მეოთხე

კონტრა

თანამედროვეობა

რედაქტორი: ლელა გაფრინდაშვილი

დიზაინი: ეკა ცაგარელი, გოგა თანდაშვილი

© კავშირი "ქალების ინიციატივა
თანასწორობისათვის"
© Association "Women's Initiative for Equality"

ქალების ინიციატივა თანასწორობისათვის
Women's Initiative for Equality
http://www.osgf.ge/wie/

წიგნი მომზადდა და გამოიცა ფონდის
"ღია საზოგადოება – საქართველო"
მხარდაჭერით

The book has been prepared and published
by the support of "Open Society – Georgia" Foundation

წიგნი დაიბეჭდა:
პოლიგრაფიული საწარმო
"დობერა"

თბილისი 2005



წინასიტყვაობა

ფონდის "ღია საზოგადოება-საქართველო" ქალთა პროგრამის ფარგლებში კავშირმა "ქალების ინიციატივა თანასწორობისათვის" განახორციელა პროექტი - "თანამშრომლობა გენდერის სწავლების განვითარებისათვის საქართველოში". გენდერის ექსპერტებმა 2003-2004 სასწავლო წელს საქართველოს 7 უმაღლეს სასწავლებელში წაიკითხეს სალექციო კურსები და მოამზადეს სტატიები წინამდებარე კრებულისათვის.

პროექტის დასრულების შემდეგ ნათელი გახდა, რომ სასურველი იყო მასალის შევსება საქართველოში არსებული თანამედროვე გენდერული/ქალთა კვლევებით, რამაც წიგნის თემატიკა საკმაოდ გაამდიდრა და მოიცვა შემდეგი სფეროები: პოლიტიკა, ეკონომიკა, სოციალური პრობლემები, ფილოსოფია, ფსიქოლოგია, კულტურის კვლევა, ეთნოგრაფია, ლინგვისტიკა, მასმედია, ვიზუალური ხელოვნება, ლიტერატურა, სამართალი, რელიგია, კონფლიქტოლოგია, პედაგოგიკა.

საბოლოოდ, წარმოდგენილი სტატიები დაჯგუფდა შესაბამისი ნაწილების მიხედვით: I. ცოდნა, რწმენა და ქალის ადგილი; II. გენდერის სოციალურ-ეკონომიკური პარამეტრები; III. ოჯახი, საზოგადოება და ღირებულებითი ორიენტაცია; IV. ქალის უფლებები: სამართალი და პოლიტიკა; V. ენა, ლიტერატურა და გენდერი; VI. მზერა, ხედვა და გენდერის პრეზენტაცია; VII. მასმედია: გენდერი და გენდერული საკითხები/პრობლემები.

კრებული "გენდერი, კულტურა, თანამედროვეობა" ერთის მხრივ წარმოაჩენს ამ სფეროში მომუშავე მკვლევართა ინტერესებს და კვალიფიკაციას, მეორე მხრივ, კი აჩვენებს კულტურის პოლიფონიურობას და პოლიგენურობას, რომლის შესწავლისა და აღწერისათვის საჭიროა ხედვათა სიმრავლე/მრავალგვარობა, რათა დაინახო, თუ როგორ ვითარდება და გარდაიქმნება იგი.

ვფიქრობ, წარმოდგენილი გამოცემა დააკმაყოფილებს გენდერული/ქალთა კვლევების მიმართ არსებულ ინტერესს და დაბადებს ახალ ინიციატივებს ამ სფეროში.

პროექტთან დაკავშირებული იდეების მხარდაჭერისათვის განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ფონდის "ღია საზოგადოება საქართველო" ქალთა პროგრამის კოორდინატორს, ქალბატონ მარინა თაბუკაშვილს და ყველა ავტორს - თანამშრომლობისათვის.

ლელა გაფრინდაშვილი

კავშირის "ქალების ინიციატივა თანასწორობისათვის"
თავმჯდომარე

PREFACE

In the frames of the Women's Program of the Open Society – Georgian Foundation the Association "Women's Initiative for Equality" implemented the project "Cooperation for the Development of Gender Studies". In 2003-2004 gender experts involved in the project led lecture courses in seven different universities of Georgia and prepared articles for the introduced book.

After the project implementation it became obvious that gathered materials required to be enriched by the other, already existed materials in the sphere of Gender Studies in nowadays Georgia. It made the collection's content quite rich and covered the following thematics: politics, economic, social problems, philosophy, psychology, cultural studies, ethnography, linguistics, mass media, visual arts, literature, law studies, conflict studies, pedagogy.

As s result the introduced articles has been distributed in seven parts of the book respectively: I. Knowledge, Belief and the Place of Woman; II. Social-Economical Parameters of Gender; III. Family, Society and Value orientation; IV. Women's Rights: Law and Politics; V. Language. Literature and Gender; VI. Eye, Vision and Presentation of Gender; VII. Mass Media: Gender and Gender Issues/Problems.

The collected volume of articles represents interests and qualifications of women, working in this area. On the other hand it shows that the culture is polyphonic and polygenic – for its description we need s multiplicity of visions/ diversity in order to see how it keeps development and transformation.

I hope the introduced publication will satisfy the interests toward gender/ women studies and gives birth to new initiatives in this area.

For project ideas supporting I would like to express my special thanks to Marina Tabukashvili and all others for their collaboration.

Lela Gaprindashvili

Head, Association "Women's Initiative for Equality"

სარჩევი

ადრეული ახალი დროის ქალი ფილოსოფოსები.....10
თამარ ონოფრიენკო

"დედათა კითხვა" და/თუ "ქალთა საკითხი" საქართველოში.....28
ლელა გაფრინდაშვილი

კულტურა, სქესი, რელიგია.....49
თამარ კიკნაძე

განქორწინება და ქალის უფლებები ადრეულ ისლამში.....57
ნანი გელოვანი

გენდერი და ეკონომიკა.....78
ჩარიტა ჯაში

გენდერი და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება.....94
ფერიდე ზურიკაშვილი

გლობალიზაცია, მიგრაცია, ქალი.....115
მაია ჭიაბრიშვილი

ომი და ქალი.....122
დარეჯან ჯავახიშვილი

ქალთა პრიორიტეტული ღირებულებები
საქართველოში.....136
მზია წერეთელი

არსებობდა თუ არა ქალის სუიდვითი ქორწინება
საქართველოში.....165
თინა იველაშვილი

გენდერი და საოჯახო როლები.....179
ლუიზა ირემაშვილი, ქეთევან ჭიაბრიშვილი

He & She - მარადიული დაპირისპირება.....196
მედეა გოქსაძე

ქალი და პოლიტიკა თანამედროვე საქართველოში.....216
ლიკა ნადარაია

საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტები
და ქართული კანონმდებლობა
ოჯახური ძალადობის სფეროში.....228
ნინო ბაქაქური

[illegible]

ენისა და გენდერის კვლევის რეტროსპექტიული და
პროსპექტიული კოორდინატები.....256
ზაალ კიკვიძე

ენისა და გენდერის პრობლემა ქართულ
სალიტერატურო ენასა და დიალექტებში.....266
რამაზ ქურდაძე

იშვიათი გენდერული გულახდილობები
თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში.....275
შოთა იათაშვილი

[illegible]

ქალი და მამაკაცი: გენდერული სტერეოტიპები და
მოდიფიკაციები ქართული, ამერიკული და ესპანური
კინემატოგრაფის მაგალითზე.....286
თეო ხატიაშვილი

მასკულინობა და ფემინობა კულტურის დისკურსში.....308
ნანა ბერეკაშვილი

გრძნობათა ანესთეზია, ანუ
მარინა ივანიშვილის ვნებათა იმპერია.....318
დავით ანდრიაძე

[illegible]

ქალის ფაქტობრივი სტატუსის შეფასება
საქართველოს მედიაში.....326
დიანა მიქაძე

საქართველოს კანონმდებლობა და მასმედიის
ხელმძღვანელთა გენდერული მგრძნობელობა.....335
ია მერკვილაძე

I.
ცოდნა, რწმენა და ქალის ადგილი

ადრეული ახალი დროის ქალი ფილოსოფოსები
თამარ ინიოფრიენკო

"დედათა კითხვა" და/თუ "ქალთა საკითხი" საქართველოში
ლეილა გაფრინდაშვილი

კულტურა, სქესი, რელიგია
თამარ კიკნაძე

განქორწინება და ქალის უფლებები ადრეულ ისლამში
ნანი გელოვანი

თამარ ონოფრიენკო

ადრეული ახალი დროის ქალი ფილოსოფოსები

ფილოსოფიის ისტორიის ანთოლოგიებში, ნარკვევებსა თუ საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოებში ასობით ფილოსოფოსს შორის იხსენიება ხოლმე მხოლოდ ორი ან სამი ფილოსოფოსი ქალი, ისინიც ძირითადად სხვა მამაკაც ფილოსოფოსთა კონტექსტში. ფილოსოფიის ლექსიკონებსა და ენციკლოპედიებში ქალთა სახელები თითქმის არ გვხვდება,თუ არ ჩავთვლით ორიოდ მოკრძალებულ წინადადებას ჰიპათიას, ჰიპარქია ალექსანდრიელისა და ელისაბედ ბოჰემიელის შესახებ.

დასაელური ფილოსოფიის ისტორიაში შეიძლება მოიძებნოს ისეთი ათწლეულები, როცა ინტერესი ქალი-ფილოსოფოსებისა და მათი ნაწერებისადმი იზრდებოდა, როცა მათ გამოსცემდნენ, მათ'ზე წერდნენ და აქვეყნებდნენ. ინიციატორად ქალ-ფილოსოფოსთა მოძიებისა გვეელინება ჯილ მენაჟე, ფრანგი მოაზროვნე და ავტორი წიგნისა „ქალ-ფილოსოფოსთა ისტორია", რომელიც გამოიცა მე-17 საუკუნის მეორე ნახევარში ჯერ ლათინურ და შემდეგ კი ფრანგულ ენებ'ზე. წიგნ'ში დასახელებულ რამოდენიმე ათეულ ქალს შორის ბევრი მოხვდა იმ ნიშნით, რომ იყვნენ ცნობილ ფილოსოფოსთა ქალიშვილები, ცოლები და დედები, ანდა უბრალოდ მეცენატები. ანტიკური საბერძნეთისა და რომის ქალ-ფილოსოფოსებს მენაჟე აჯგუფებს ფილოსოფიური სკოლებისადმი მიკუთვნებულ და დამოუკიდებელ ფილოსოფოსებად. ფაქტიურად, ეს იყო პირველი ცდა, შესწავლილი ყოფილიყო ისტორიული წყაროები და მომხდარიყო ექსკავაცია სრულებით მივიწყებულ ქალთა სახელებისა. თუმცა კი ეს არ იყო ერთადერთი კომპენდიუმი. მენაჟეს წიგნის გარდა ცნობილი იყო თომას სტენლის „ფილოსოფიის ისტორია", რომელშიც წარმოდგენილი იყო ანტიკური სამყაროს ოცდაოთხი ფილოსოფოსი ქალი. მე-17 საუკუნის მეორე ნახევარში გამოიცა მარგარეტ ბუფეს „ახალი გამოკვლევები ფრანგულ ენაში", სადაც ხოტბა ჰქონდათ შესხმული თანამედროეობის ბრწყინვალე ქალებს. მაგრამ მე-19 საუკუნისათვის ქალ-ფილოსოფოსებზე მითითება ფილოსოფიის ისტორიის სახელმძღვანელოებში შემცირდა – ამ დროისთვის მოიხსენიებოდა მხოლოდ შვედი დედოფალი ქრისტინა, როგორც დეკარტეს მფარველი და როგორც ფილოსოფიურ წერილთა ავტორი. მოგვიანებით ჰეგელი აღნიშნავდა, რომ ლაიბნიცმა თავისი თეოლოგია მიუძღვნა სოფია შარლოტეს. 1881 წელს პარიზში გამოქვეყნდა მათურენ ლესკურის „ქალი-ფილოსოფოსები". ვიქტორ კუსენი იხსენიებდა დამარის მაშამს თავის „ახალი დროის ფილოსოფიის კურსში". ფუშე დე კარეი კი წიგნებს წერდა დეკარტეს ურთიერთობებზე ელისაბედ ბოჰემიელსა და დედოფალ ქრისტინასთან, და ლაიბნიცის ელექტრესა სოფიასა და სოფია შარლოტეს ურთიერთობებზე. ეს უკანასკნელი იყო სოფია ჰანოვერელის ქალიშვილი და ელისაბედ ბოჰემიელის დისწული, შემდეგში კი გახდა პრუსიის პირველი დედოფალი. მიუხედავად 'სემოთ ჩამოთვლილისა,

ფილოსოფიის ზოგად ისტორიებში ავტორებს ავიწყდებოდათ ქალ-ფილოსოფოსთა და მათი ღვაწლის მოხსენიება. თითქმის მთელი საუკუნის მანძილზე ქალი-ფილოსოფოსები სრულებითაც აღარ მოიხსენიებოდნენ ფილოსოფიურ წყაროებში. მხოლოდ მე-20 საუკუნის სამოცდაათიან წლებში, როცა ფემინისტურმა მოძრაობამ საზოგადოებრივი სფეროს თითქმის ყველა ინსტიტუტში და მათ შორის, აკადემიაშიც შეაღწია, დაიწყეს ფილოსოფოს ქალთა ხელახალი აღმოჩენა. ქალთა, და შემდეგ კი გენდერული კვლევების წყალობით, ყველა დროის ქალი, დაწყებული პალეოლითიდან, დამთავრებული სექსუალური რევოლუციის შემდგომი პერიოდით, გახდა სხვადასხვა ჰუმანიტარულ, სოციალურ თუ პოლიტიკურ მეცნიერებათა კვლევის საგანი. უთვალავი სტატია და მონოგრაფია მიეძღვნათ როგორც დასავლური, ისე აღმოსავლური ფილოსოფიის ქალ წარმომადგენლებს. ამის პარალელურად იწყება ქალთა იმიჯებისა და რეპრეზენტაციების ძიება მამაკაც ფილოსოფოსთა შემოქმედებაში. ევროპაზე მასიურ მცდელობად ფილოსოფოს ქალთა კვლევისა მოგვეენინა 80-იანი წლების ბოლოს მერი ელენ ვეითის თაოსნობით წამოწყებული პროექტი. რამოდენიმე წლის განმავლობაში შეძლებისდაგვარად შესწავლილ იქნა პირველი ბერძენი ფილოსოფოსებიდან დაწყებული თანამედროვე ფილოსოფოსებით დამთავრებული ყველა მნიშვნელოვანი ქალი-მოაზროვნე. მასალები გამოიცა ოთხ ტომად, მერი ელენ ვეითის რედაქტორობით. დღეისათვის ეს ტომეული უკვე უძვირეს იშვიათობად იქცა დასავლეთში. მკვლევარები ცდილობდნენ აეხსნათ, თუ რა გახდა მიზეზი ქალ-ფილოსოფოსთა სახელებისა და ნაშრომების დაკარგვისა.

შუა საუკუნეებში მხოლოდ რამოდენიმე ქალს მისცეს უფლება, დასწრებოდა ლექციებს ან თავად წაეკითხა ისინი ბოლოგნის უნივერსიტეტში. მხოლოდ 1678 წელს მიანიჭეს პირველად ქალს საუნივერსიტეტო ხარისხი – იგი იყო ელენე კორნარო პისკოპეა (ვენეცია), რომელმაც ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი მიიღო პადუის უნივერსიტეტში. ამის სანახავად უნივერსიტეტში თავი მოიყარა 20 ათასამდე ადამიანმა. მალევე უნივერსიტეტმა გადაწყვიტა, აღეკვეთათ ასეთი პრეცედენტი.

1732 წელს ლაურა ბასიმ ბოლოგნას უნივერსიტეტში დაიცვა 59 თეზისი ბუნების ფილოსოფიაში. ამის საფუძველზე მას სულ მალე უბოძეს ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი და საუნივერსიტეტო კათედრა იმ პირობით, რომ არ ასწავლიდა საზოგადოებრივ სკოლებში. იგი პირველი ქალი იყო, ვისაც კი ოდესმე რგებოდა ასეთი პატივი. დაახლოებით იმავე პერიოდში ქალებს რიცხავდნენ სხვა ევროპული უნივერსიტეტებიდან და საფრანგეთის აკადემიისა თუ მეცნიერებათა სამეფო საზოგადოების მსგავსი ინსტიტუტებიდან. XVII საუკუნეშივე მადელაინ დე სკუდერი და ანნა დასიერი ნომინირებულ იქნენ საფრანგეთის აკადემიის არჩევნებისათვის, მაგრამ მათი კანდიდატურები უარყვეს, თუმცა კი სულ მალე ორივე მიიღეს რიკოვრიტის აკადემიაში (პადუა). პირველი ქალი, ვისაც კათედრა არგუნეს სორბონის უნივერსიტეტში, იყო მარია კიურე (მე-20 ს.). 1980 წელს კი მარგარეტ იურსენარი იყო პირველი ქალი, ვინც აირჩიეს საფრანგეთის აკადემიის წევრად[1]. როგორც ვხედავთ, საფრანგეთში

[1] Eileen O'Neil: Disappearing Ink: Early Modern women Philosophers and Their Fate in History, *from* Philosophy in e Feminist Voice, *ed. by* Janet S. Kourany, Princeton University Press. 1998, შენ. 6

ქალ მოაზროვნეთა მამაკაცებთან გათანასწორების ინიციატივები ჩანასახშივე იხშობოდა. ამ მხრივ იტალიის უნივერსიტეტები გაცილებით უფრო ლიბერალურად იყენენ განწყობილნი ქალთა სწავლულობისა და განათლებისადმი.

1667 წლისათვის მარგარეტ ქავენდიში გახდა პირველი ქალი, ვინც ეწვია ლონდონის სამეფო საზოგადოებას, რათა საკუთარი თვალით ენახა რობერტ ბოილის ზოგიერთი ექსპერიმენტი. ამ ვიზიტს მოჰყვა სერიოზული წინააღმდეგობა დამსწრე საზოგადოების მხრიდან. ქავენდიშს, მიუხედავად იმისა, რომ უკვე გამოქვეყნებული ჰქონდა მრავალი ნაშრომი ბუნებისმეცნიერების ფილოსოფიაში, არ დართეს ნება, გამხდარიყო ამ საზოგადოების წევრი. 1754 წელს დოროთეა ექსლებენმა ჰალეს უნივერსიტეტში მიიღო მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი, მაგრამ ეს პრეცედენტი არ იყო ნიშანი უნივერსიტეტებში ქალების რეგულარული ჩარიცხვისა.

მიუხედავად იმისა, რომ ქალებს ხელი არ მიუწვდებოდათ აკადემიურ და საუნივერსიტეტო განათლებაზე, ვერ ვიტყვით, რომ მათ არანაირი წვლილი არ შეუტანიათ ფილოსოფიაში. ეს უკანასკნელი იქმნებოდა მონასტრებში, ევროპელ ფეოდალთა და მთავართა სასახლეებსა თუ სალონებში, ფილოსოფიურ კლუბებსა თუ გაერთიანებებში. მაგრამ ასე რიგად რატომ დაიკარგა მათი კვალი? სად გაქრა მოგონებები გამოქვეყნებულ და ხელახლა გამოცემულ, თარგმნილ და კომენტირებულ ნაშრომებზე XVII-XVIII საუკუნეების ქალებისა? ქალთა საგანმანათლებლო უფლებების შესახებ დოროთეა ექსლებენის ნაშრომში მოიხსენიება ანნა-მარია ვან შურმანის იმავე თემატიკაზე გამოცემული წიგნი, რომელიც თურმე სულ მალე გამხდარა ხელმიუწვდომელი. ამალია ჰოლსტი კი 50 წლის შემდეგ წერდა, რომ ექსლებენის ტექსტის მოპოვება მისი დროისათვის უკვე შეუძლებელი ყოფილა[2]. გამოდის, რომ ქალები ერთგვარი გაუჩინარებადი მელნით წერდნენ, რომელიც წლების, ათწლეულებისა თუ საუკუნეების შემდეგ უკვალოდ ქრებოდა ფურცლებიდან თუ ფურცლებთან ერთად. თუკი შუა საუკუნეებში ქალი მოაზროვნეები ძირითადად სამონასტრო ცხოვრების წიაღში ახერხებდნენ ფილოსოფოსობასა და სხვადასხვა ნაშრომთა თარგმნასა თუ კომენტირებას, ადრეულ ახალ დროში უფრო გავრცელდა სალონური ჟანრი ფილოსოფოსობისა. სალონი რაღაც გარდამავალი იყო საჯარო და პრივატულ სფეროებს შორის. არსებითად პრივატული, თავისი მიზნებითა და შედეგებით იძენდა ხოლმე საჯარო ინსტიტუტის მნიშვნელობას. 2000 წელს გამოიცა ჯონ ქონლის წიგნი: „სათნოების გუმანი (Suspicion of Virtue): ქალი ფილოსოფოსები ნეოკლასიცისტურ საფრანგეთში" (2000, Itaca, NY). წიგნი წარმოადგენს ერთგვარ ანალიზს ქალ ფილოსოფოსთა ტექსტებისა და იმ კონტექსტისა, რომელშიც ისინი მუშაობდნენ. ქონელი შეეცადა, უფრო სერიოზულად შეეხედა სალონური შეხვედრების ტრადიციისათვის და იგი ფილოსოფოსობის ერთგვარ ჟანრად ჩაეთვალა. დღეისათვის უკვე კარგად შესწავლილ იმ ფილოსოფოს ქალებს, რომლებიც გენიალურ ფილოსოფოსებთან არიან დაკავშირებულნი

[2] Eileen O'Neil: Disappearing Ink: Early Modern women Philosophers and Their Fate in History, *from* Philosophy in e Feminist Voice, *ed. by* Janet S. Kourany, Princeton University Press, 1998, p. 27

(მათ ქონლი დიდ ფილოსოფოსთა თანამგზავრებს (satelite) უწოდებს), მან შემატა ხუთი ახალი სახე, რომლებიც მისი აზრით, ერთობ საკურადღებო მოსაზრებებს გამოთქვამენ საინოების შესახებ. მათი ტექსტები კი წარმოადგენენ გარკვეულ ალტერნატივას მე-17 ს-ის კანონიკური აუტორების ფილოსოფიისა. ქონლის მტკიცებით, სალონი ხელს უწყობდა ფილოსოფიური ანალიზის ალტერნატიული მეთოდების ექსპერიმენტირებას. სალონი წარმოქმნიდა ისეთ ფილოსოფიურ არგუმენტებს, რომლებიც „ხასიათდებოდნენ უფრო დებატებითა და ეპიგრამული კომენტარებით, ვიდრე ლექციებითა და ტრაქტატებით"[3]. სალონური შეხვედრები ხელს უწყობდა კამათის ხელოვნების განვითარებას და თემატურად კონცენტრირდებოდა ძირითადად მორალისა და ეთიკის საკითხებზე. ფილოსოფიური ანალიზის ის მეთოდები, რომლებსაც ეს ქალები იყენებდნენ, სიახლეს წარმოადგენდა მათ შედეგებთან ერთად. მაინც რა უწყობდა ხელს ქალთა აქტიურ ჩართულობას ფილოსოფიურ დებატებში? რატომ იყო, რომ ქალები ასე რიგად დაინტერესდნენ უწინ მამაკაცთათვის ნეკელი მოცალეობითა და საქმიანობით? მარგარეტ ათერტონის აზრით, ამას ხელი შეუწყო იმან, რომ ამ დროისათვის ფილოსოფიური და თეოლოგიური საკითხები შერწყმული იყო ერთმანეთთან. სულის პრობლემა ქალებსაც ისევე ეხებოდათ, როგორც მამაკაცებს. ქალებს, ასე ვთქვათ, არ ეკრძალებოდათ აზრის გამოთქმა რელიგიურ საკითხებზე[4].

მეორე ფაქტორი, რამაც ქალებს გაუადვილა საკუთარი თვის ხედვა თუ წარმოჩენა, იყო ადამიანური გონების ბუნებისა თუ ფილოსოფიის შექმნის მეთოდზე შეხედულებები, რომლებიც წაახალისა დეკარტეს მოძღვრებამ ეოველ ადამიანურ სულში ფხიზელი გონების არსებობის შესახებ. ამის შედეგად უნდა ჩაითვალოს მერი ესტელის „სერიოზული შეთავაზება ქალბატონებისათვის", სადაც იგი წერს: „ყველას არა აქვს მოცალეობა, ენების სწავლისა თუ ჩაღრმავებისათვის; არც შესაძლებლობა აქვთ, იმუსაიფონ განსწავლილ ხალხთან; მაგრამ ყველას ძალუძს იფიქროს, მართებულად წარმართოს საკუთარი უნარები და რჩევა სთხოვოს საკუთარ მე-ში დავანებულ ბატონს (მასტერ)"[5]. მისი აზრით, განათლებულობა წიგნიერებას კი არ საჭიროებს, არამედ საკუთრივ გაგებას რაციონალური უნარების ბუნებისა.

გარდა სულის შესახებ საკითხებისა, ქალთა წიგნიერების და განათლების მნიშვნელობა თავდაპირველად გაცნობიერდა იმიტომაც, რომ განათლებული დედის როლი ბავშვების აღზრდაში ფასდაუდებლად იქნა მიჩნეული. თანდათანობით, ასეთი პრაქტიკული მოტივების გარდა, ქალთა ჩართულობას ფილსოფიურ დებატებში საფუძველად დაედო ასევე თავად დაინტერესებაც ფილოსოფიური პრობლემატიკით. ისინი წერდნენ ეპისტემოლოგიის, მორალის თეორიის, სოციალური და პოლიტიკური ფილოსოფიის, ფილოსოფიური თეოლოგიის, ნატურფილოსოფიისა და განათლების თეორიების შესახებ. ამ საკითხთა უმრავლესობა დღეს

[3] Journal of the History of Philosophy, 42:2, April 2004, p. 222

[4] The Cambridge Companion to Feminism in Philosophy, ed. by Miranda Fricker and Jennifer Hornsby, Cambridge University Press, 2000

[5] Women Philosophers of the Early Modern Period, *ed. by* Margaret Atherton, Hackett Publishing Company, Indianapolis, 1994, p. 4

მხოლოდ ისტორიული ინტერესის საგანია – ფილოსოფიის მემატიანეს თუ დაინტერესებს, მიჰყვეს ფილოსოფიის ისტორიის ძაფს და ეძიოს, თუ როგორ იქსოვებოდა იგი. სოციერთი მათგანი კი დღესაც საინტერესო და პრობლემურ საკითხთა წინამორბედად შეიძლება ჩაითვალოს. ეილიენ ო' ნეილის აზრით, გაუჩინარებადი მელნის პრობლემა აიხსნება იმითაც, რომ მე-19 საუკუნისათვის მათი ფილოსოფიური ნააზრევი უკვე ითვლებოდა არა-ფილოსოფიურად. ამას გარდა, თუკი ფრანგული რაციონალიზმი ადამიანურ სულში, განურჩეველად სქესისა, აღიარებდა უმაღლესი გონების არსებობას, მე-18 ს-ის ბოლოს და მე-19 ს-ის პირველი ნახევარში გაბატონებული კლასიკური გერმანული იდეალიზმი ქალს არ მიიჩნევდა მთლად შესაფერისად ფილოსოფიური აზროვნებისათვის. როცა კარლ იოელი ფრანგი განმანათლებლობის ეპოქის შესახებ ამბობდა, რომ იმ დროს „ქალები ფილოსოფოსობდნენ და ფილოსოფია ქალურობდაო", იგი ერთმანეთის გვერდით აყენებდა და ადარებდა ქალთა მეოფობას ფილოსოფიაში და ქალურ ფილოსოფიას. ამ საკითხისადმი გერმანული და ფრანგი ფილოსოფოსების დამოკიდებულება კარგად ჩანს კანტის შეხედულებაშიც ფილოსოფიის სიღრმის მამაკაცურ ბუნებაზე – ამით იგი მიუთითებდა არა მხოლოდ გენდერისებულ სისტემებსა თუ სტილზე, არამედ სქესობრივ განსხვავებაზეც. იგი წერდა: „ქალს, რომელსაც მადამ დასიერის მსგავსად თავი გამოტენილი აქვს ბერძნულით, ან ვინც მარკიზა დე შატლეს მსგავსად ჩაბმულია მექანიკის შესახებ გამართულ, ჩახლართულ დებატებში, ასევე უნდა ჰქონდეს წვერიც; ეს უფრო საცნაურსა და გამომსახველობითს გახდიდა მის სწრაფვას სიღრმეებისაკენ".[6]

ქალი ფილოსოფოსების, ისევე როგორც მათი მრავალი მამაკაცი კოლეგის გაუჩინარების მიზეზები სწორედ მე-18 და მე-19 საუკუნეთა გასაყარზე უნდა ეძიოთ, როცა გერმანულმა ფილოსოფიამ ერთგვარი პრიმატი მოიპოვა ფრანგულზე,როცა ახლებურად ხდებოდა ფილოსოფიის ძირითადი პრობლემატიკის ჩამოყალიბება, მეთოდებისა და სტილის გამოკვეთა. მრავალი ანონიმური ფილოსოფოსი ქალი წერდა ისე, რომ მათი ვინაობა არასოდეს გაცხადებულა. ადრეული ახალი დროის ქალი ფილოსოფოსები, ისინიც კი, ვინც აქტიურად იყენენ ჩაბმული დებატებში და მრავლად აქვეყნებდნენ პუბლიკაციებს, გაქრნენ ფილოსოფიის მატიანედან.

ო'ნეილი მიუთითებს კიდევ ერთ მიზეზზე მათი გაუჩინარებისა, რასაც იგი უწოდებს „ოქსიმორონის პრობლემას". ადრეული ახალი დროის აზროვნებაშივე ითვლებოდა, რომ ქალი-ფილოსოფოსი თითქმის შეუძლებელი და არაბუნებრივი რამ იყო. ბაცუა მაკენი (XVIII ს.) თვლიდა, რომ ბარბაროსული ტრადიციიდან მომდინარე, ქალი არ მიიჩნეოდა მამაკაცური მძლავრი გონების მატარებლად. მის გაუმჯობესებაზე ვერც განათლება იქონიებდა რაიმე პოზიტიურ და მნიშნელოვან გავლენას. ბაცუას თქმით, განსწავლული ქალი მიიჩნეოდა იმ კომეტად, რომლის გამოჩენაც ავისმომასწავებლად ითვლებოდა.[7] სუსტად ერთი საუკუნის

---

[6] Eileen O'Neil: Disappearing Ink: Early Modern women Philosophers and Their Fate in Hist., *from* Philosophy in e Feminist Voice, *ed. by* Janet S. Kourany, Princeton University Press, 1998, შენ..89

[7] Eileen O'Neil: Disappearing Ink: Early Modern women Philosophers and Their Fate in History, *rom* Philosophy in a Feminist Voice, *ed. by* Janet A. Kourany, Princeton University Press, 1998, გვ. 60

შემდეგ სამუელ ჯონსონი წერდა, რომ ქალთა ქადაგება ითელებოდა ძაღლის უკანა ფეხებზე სიარულად, რაც, როგორც საერთოდაც შესაძლებელი რამ, ეროობ ანცვიფრებდა მნახველს. პიერ ჟოსეფ პრუდონი ქალი ავტორის არსებობას საერთოდ შეუძლებელ რამედ მიიჩნევდა, როგორც წინააღმდეგობრივს – ქალის წიგნი, მისი აზრით, უნდა ყოფილიყო ფილოსოფია არაფერზე.[8] ქალის ეცრიტურე იმდენად დაუჯერებელ რამედ ითელებოდა, რომ პიპათიასა და რამოდენიმე სხვა ქალის გარდა, ყველა მიივიწყეს. ეს გამონაკლისი ავტორები კი არ საჭიროებდნენ გამოწვლილვით შესწავლასა და ფილოსოფიის სტანდარტულ ისტორიებში განთავსებას. ისიც საკმარისად ითელებოდა, რომ ქალები, როგორც ფილოსოფოსები, საერთოდ მოიხსენიებოდნენ. მე-19 ს-ში ქალი ფილოსოფოსების გაქრობა გამოწვეული უნდა ყოფილიყო ფრანგული რევოლუციის პოლიტიკური შედეგებითაც. თუმცა მრავალი ფემინისტი მკვლევარი თელის, რომ ქალის გამოყენანა პრივატული სფეროდან, ანუ ოჯახიდან და შინა-მეურნეობიდან და მისი მეორე როლით თანდათანობითი დაკაეება, თავის დროზე სწორედ ევროპული რევოლუციებით იყო გამოწვეული. ინდუსტრიისა და ქალაქების განვითარებასთან ერთად გაჩენილ ახალ სამუშაო ადგილთა შორის აღმოჩნდა „ქალური" საქმიანობებიც, რომელთა დაკაეებითაც თავის ძირითად როლს დიასახლისისა მან დაუმატა მეორე, საზოგადოებრივი როლი. თუმცა ხშირ შემთხვევაში თავად ქალები იყვნენ იმის მოსურნენი, რომ უჩინარნი დარჩენილიყვნენ ისტორიული მეხსიერებისათვის. თუკი შარლ ფურიე, კონდორსე, მადამ კლემან ჰემერი თავგამოდებით იბრძოდნენ ქალთა სამოქალაქო და საგანმანათლებლო უფლებებისათვის, თვით ისეთი ქალებიც კი, როგორიც იყვნენ საზოგადოებრივ სფეროში თავისი ნაწერებით კარგად ცნობილი მადამ დე სტალი წერდა: „ქალთა გამორიცხვა პოლიტიკური და სამოქალაქო საქმიანობიდან სრულიად მარეობულად მიმაჩნია. ისე არაფერი ეწინააღმდეგება მათს ბუნებრივ მოწოდებას, როგორც ისეთი რამ, რაც ქალსა და მამაკაცს შორის მტრობას გააღვივებდა; ქალისათვის კი დიდება და სახელი მხოლოდ იმ მწუხარების მომტანი იქნებოდა, რომელიც ბედნიერების სახით გამოტყვერება ხოლმე"[9]. სტენდალი ოდნავ უფრო შემწყნარებლურად უდგებოდა ქალის გამოჩენას საჯარო სარბიელზე. მისი აზრით, მხოლოდ ეკონომიკური აუცილებლობით თუ გამართლდებოდა ქალის ავტორობა. ქალთა ფილოსოფოსობა მე-19 საუკუნეში შეიძლებოდა შეგვეძარებინა კურტიზანობისათვის, რამდენადაც ეს პირველი, ისევე როგორც მეორე, იმ მცირე როლთაგანი იყო, რომელიც ქალს ეკავა პოლისის სფეროში. სილვიან მარსელის ცინიკურ ტექსტში „კანონ-პროექტი ქალთათვის კითხვის სწავლების აკრძალვის თაობაზე" ნაიქვამია, რომ თუ ქალი წერა-კითხვას შეისწავლიდა, მაშინ იგი აღარაფერს ინდომებდა ფრანგული გრამატიკის გარდა. ამასთან, კითხვის შესწავლის შემდეგ მას შეიძლებოდა წერაც მოენდომებინა, რაც ჭეშმარიტი უბედურება იქნებოდა მთელი საზოგადოებისათვის.

---

[8] Eileen O'Neil: Disappearing Ink: Early Modern women Philosophers and Their Fate in History, *from* Philosophy in a Feminist Voice, *ed. by* Janet A. Kourany. Princeton University Press. 1998. შენ. 92

[9] Eileen O'Neil: Disappearing Ink: Early Modern women Philosophers and Their Fate in History, *from* Philosophy in e Feminist Voice, *ed. by* Janet S. Kourany. Princeton University Press. 1998. p.82

დღეისათვის საკმაოდ რთულია იმის თქმა, თუ რამდენად მოხერხდა მე-20 საუკუნის 70-90-იან წლებში ქალ-ფილოსოფოსთა ფილოსოფიური ღვაწლის სრულყოფილი რეკონსტრუქცია შემორჩენილი ფრაგმენტების, მეორადი ჩანაწერებისა თუ უკვალოდ გამქრალი პუბლიკაციების ფონზე, თუმცა კი შეიძლება ითქვას, რომ ეს, სხვა ეპოქებთან შედარებით, ყველაზე უკეთ XVII-XVIII საუკუნის ქალ მოაზროვნეთა მიმართ მოხერხდა.

გონების საუკუნის შუა პერიოდში ქალები წერდნენ მორალსა და ენებებზე ძირითადად მაქსიმების სახით, რომელიც შეიძლება მივიჩნიოთ სალონურ კულტურასთან დაკავშირებულ ლიტერატურულ-ფილოსოფიურ ჟანრად. თავის „მაქსიმებში" იანსენისტი **მადამ დე საბლე** მორალურ-ფსიქოლოგიური წიაღსვლებით ცდილობს, გააკრიტიკოს არისტოკრატიული საზოგადოება. იგი ნათლად ანსხვავებს ერთმანეთისაგან ფიზიკურ არისტოკრატიას, რომელიც ემყარებოდა ცისფერსისხლიანობასა და მაღალ საზოგადოებრივ მდგომარეობას, და პირად ღირსებაზე დაფუძნებულ სულიერ არისტოკრატიას. ინდივიდის არსებით ნიშან-თვისებად მიიჩნევდა მორალურ იდენტობას, და არა ოჯახსა თუ მემკვიდრეობას.

შემორჩენილია მაქსიმათა ორი სერია **შვედეთის დედოფლის, ქრისტინას** ავტორობით, ასევე მარკიზა **მარგარეტ დე საბლიერის** მაქსიმები, რომელიც ეთიკურ ადამიანად თვლიდა „მაღლითმოსილ წმინდანს, უფლის ღვთაებრივი ქმედებით სიქველისა და მოწყალებისათვის გათავისუფლებულ ცოდვილს, ვინც მკაცრი ლოცვისასაც კი აღასრულებდა მორალურ მოვალეობებს".[10] იგი ცდილობდა კვიეტიზმთან კავშირით ხორცშესხმული ღრმად-მისტიური პიეტის შერწყმას ღმერთის მეუფებასთან. მისთვის ინდივიდი დამოკიდებული იყო ღმერთის მოწყალებაზე. მორალური ცხოვრებით ცხოვრებაც ასევე მოითხოვდა ღვთის ჭვრეტასა და მასთან ურთიერთკავშირს.

სათნოებასა და ღირსებაზე დისკუსიებით სალონელებმა გააღვივეს ეტიკეტებისა და მანერების მიმართ ინტერესი. **მადამ დე მენტანონი** ამტკიცებდა, რომ თავაზიანობა საფუძველშივე გულისხმობდა სხვებზე ზრუნვას. მისი ნაშრომი დიალოგურ ხასიათს ატარებდა და მასში გაშლილი მორალის ფილოსოფიაც კითხვა-პასუხის სახით ვითარდებოდა. სათნოების მისეული ინტერპრეტაცია ფესვგადგმულია ერთგვარ რაციონალისტურ პრაგმატიზმში, პრაქტიკულ სიბრძნეში, რომელიც ახდენს საზოგადოებაში ბედნიერების შესაძლებლობის მაქსიმიზაციას[11].

მე-17 საუკუნის 60-იანი წლებიდან იწყება სხვა ტიპის ფილოსოფიური ეცრიტურე – ეს არის ტრაქტატი ბუნების ფილოსოფიაში. იმ დროისათვის ერთობ პოპულარული იყო კოპერნიკის თეორიის ირგვლივ ატეხილ დებატებში ჩაბმა. ლა ფონტენის „ახალ სამყაროთა აღმოჩენის" ინგლისური თარგმანის წინასიტყვაობაში მთარგმნელი და წინასიტყვაობის ავტორი **არფა ბენი** ამტკიცებდა, რომ კოპერნიკის თეორია უკეთ ხსნიდა და იცავდა ფენომენს, ვიდრე პტოლემეოსის სისტემა. მას სერიოზულ პრობლემად მიაჩნდა ამ თეორიის წმინდა წერილთან შეუთანხმებლობა, რომლის მოგვარებასაც თავად ცდილობდა იმის

---

[10] Journal of the History of Philosophy, 42:2, April 2004, p.222

[11] Journal of the History of Philosophy, 42:2, April 2004, p. 223

დასაბუთებით, რომ ბიბლიაში არ იყო ნაცადი ასტრონომიის, გეომეტრიისა თუ ქრონოლოგიის სწავლება.

ყველაზე უკეთ ცნობილ, ბუნების ფილოსოფიაზე მომუშავე ქალად ითვლებოდა **მარგარეტ ქავენდიში**, ნიუქასლის ჰერცოგის ცოლი. იგი უმაღალოფილო იყო საკუთარი განსწავლულობით. იმის გამო, რომ მისმა ოჯახმა მეფე ჩარლზ პირველისა და პარლამენტის დაპირისპირებაში მეფეს დაუჭირა მხარი, მარგარეტი იძულებული შეიქნა, დედოფალს გაჰყოლოდა საფრანგეთში, სადაც იგი შეხვდა უილიამ ქავენდიშს, რომელსაც მოგვიანებით დაქორწინდა კიდეც. ძმები ქავენდიშები ვერტუოზებად ითვლებოდნენ ახალ მეცნიერებებში. საფრანგეთში ლტოლვილობისას ცოლ-ქმარი შეხვდა და დაუმეგობრდა ჰობსს, გასენდის, დეკარტესა და ჰიუგენსს. მარგარეტმა სულ მალე დაიწყო წერა და ქმრის დახმარებით მოახერხა ამ ნაწერების გამოქვეყნებაც. წერით კი იგი წერდა ლექსებს, პიესებს, მოთხრობებს, ავტობიოგრაფიულ და ბიოგრაფიულ თხზულებებსა და წიგნებს ბუნებისმეტყველების ფილოსოფიაში. ინგლისში დაბრუნების შემდეგ ისინი ძირითადად სოფლად ცხოვრობდნენ, მაგრამ სამეფო საზოგადოებასთან სტუმრობით იგი ერთობ ხმაურიან სკანდალში გაეხვია. ქავენდიშები უესტმინსტერის საბატონოში არიან დაკრძალულნი.

მის ადრეულ ნაწერებს ეტყობა, ძირითადად, ჰობსის გავლენა, რომელსაც მეურვეობდა მისი ოჯახი და რომელთან ერთადაც იყო „ნიუ-ქასლის წრის წევრი". პარიზსა და ანტვერპენში ყოფნისას ქავენდიში შეხვდა დეკარტესა და რობერვილს. 1653-1671 წლებში გამოქვეყნებული წიგნები ეხება ბუნების ფილოსოფიას. პირველ წიგნში „ლექსები და ფანტაზიები" (1653) ატომისმის თეორიას გადმოსცემს გალექსილი ფორმით. აქ იგი მიიჩნევს, რომ სამყარო შედგება ერთიანი მატერიის განუყოფელი ნაწილებისაგან. ამ და რამოდენიმე სხვა ნაშრომს, კერძოდ „ფილოსოფიურ და ფიზიკისეულ განაზრებებს", „ფილოსოფიურ წარმოსახვებსა" და „სამყაროს ოლიოს" (World's Olio) ეფუძნებოდა კრიტიკოსთა გამოხმაურება. ისინი ეჭვის ქვეშ აყენებდნენ მის შესაძლებლობებს და მიიჩნევდნენ, რომ იგი პლაგიატორობდა, რამეთუ ჯერ არც ერთ ქალს არ სცოდნია ამდენი „მძიმე ტერმინი". მისი მეულლე იძულებული გახდა, დაეცვა თავისი ცოლის ავტორიტეტი და ღია წერილი მიუძღვნა მის „ფილოსოფიურ და ფიზიკისეულ განაზრებებს". შემდგომ ნაწერებში მას უკავია ორგანული მატერიალიზმის პოზიციები. ბუნება მისთვის მარადიული, უსასრულო და სხეულებრივია, რის გამოც ემორჩილება დაყოფას, მაგრამ მისი ნაწილებიც თავად ხომ ბუნებაა. ყოველგვარი არსებულის მასალა, მატერია მასთან იერარქიულია. სენსიტიური და რაციონალური მატერია უფრო წმინდა და მშვენიერია მისთვის, ვიდრე არაცოცხალი მატერია, მოძრაობა კი არ არსებობს მატერიის გარეთ. არამატერიალური სუბსტანციის იდეა კი, მისი აზრით, მომდინარეობს მოძრაობის მატერიისაგან აბსტრაჰირების შედეგად, რის გამოც იგი ხდება ცალკე არსებული და ზებუნებრივი. ეს კი უნდა იყოს ადამიანური ამბიციის შედეგი – ადამიანებს არ სურთ, საკუთარი თავი აღიქვან ბუნების ნაწილად, მათ ურჩევნიათ, საკუთარ თავს თვლიდნენ განსაკუთრებულ და ღვთაებრივ არსებად. სენსიტიურ და რაციონალურ მატერიას იგი უწოდებს სიცოცხლესა და ცოდნას, შეგრძნებებსა და

გონებას („ფილოსოფიური წერილები"). შინაგანად თვითრეგულირებად ბუნებას კი იგი აღწერს მომსიბველელი ქალური ენით: „ბუნება, ეს ბრძენი და შორსმჭვრეტელი ქალბატონი, ბრძნულად, მეთოდურად და წესისამებრ განაგებს საკუთარ ნაწილებს: ამასთან, იგი ეროობ მწარმოებლურია და სძულს სიზარმაცე, რაც მას აიძულებს, საკუთარი დრო წარმართოს კარგი დიასახლისის დარად" („დაკვირვებები")[12].

ეპისტოლარული ჟანრი ქავენდიშისათვის ერთობ პროდუქტიული გამოდგა. მიმოწერის ფონზე იგი წარმატებით შლიდა ხოლმე თავის მსჯელობებს და უფრო ღრმა წიაღსვლებსაც აკეთებდა, ვიდრე ტრაქტატებში. მისი წერილების კორესპონდენტი იყო წარმოსახვითი ქალი, რომელიც კითხვებს სვამდა რამოდენიმე თანამედროვე ავტორის, კერძოდ კი, ჰობსის, დეკარტეს, ჰენრი მორისა და ვან ჰელმონტის ნაშრომებზე და ძირითადად ისეთ ასპექტებს ირჩევდა, რომლებშიც თავეს უფრო კომპეტენტურად თვლიდა. მაგალითად, დეკარტეს „მეტაფიზიკური განაზრებებიდან" იგი ეხებოდა ძირითადად მოძრაობის პრობლემას, რომელსაც დეკარტე განსაზღვრავს, როგორც საგნის მოდუსს, რასაც არ ეთანხმება ქავენდიში და მას თავად საგნად ან სხეულად მიიჩნევს, სხეულისაგან არა-განყენებულად, როგორც რეალობის, ისე კონცეპტუალურ დონეზე და ცდილობს, ეს მტკიცებულება გაამყაროს მაგალითებით. არც სხეულსა და არც მოძრაობას არ შეუძლიათ თავიანთი თავით ჩაანაცვლონ ერომანეთი. მოძრაობა მისთვის მატერიისაგან განუყოფელია – მატერია ამოძრავებს და თავადაც მოძრაობს, ხოლო ბუნების ყველა ნაწილს, როგორც მატერიისაგან შედგენილს, აქვს ცოდნა და სიცოცხლე, შერწყმული არაცოცხალ მატერიასთან. სწორედ ამ შერწყმის შედეგად იწყებენ ისინი მოძრაობას.

საბოლოო ჯამში, ჰერცოგის მეუღლეს, როგორც შეპყრობილ ფილოსოფოსს, სერიოზულად არავინ უყურებდა. მაგალითად, ანნა ქონვეისადმი განკუთვნილ წერილში კემბრიჯელი პლატონისტი ჰენრი მორი განცვიფრებას გამოსთქვამდა იმის თაობაზე, რომ მარგარეტ ქავენდიშმა გაბედა და თავის ფილოსოფიურ წერილებში შეედავა ჰობსს, დეკარტეს, ჰელმონტსა და თავად მორს. ადრეული ახალი დროის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ მდედრობითი სქესის ფიგურად უნდა ჩაითვალოს პრინცესა **ელისაბედ ბოჰემიელი.** იგი სულ პატარა იყო, როდესაც მისი მშობლები გაიქცნენ საკუთარი სამეფოდან და ჰოლანდიას შეაფარეს თავი. ელისაბედი კი ინრდებოდა სილეზიაში, ბებიისა და დეიდის სახლში. მისი უმცროსი, მეცამეტე და, სოფია შემდეგში გახდა ჰანოვერის ელექტრესა და ლაიბნიცის პატრონესა. თავად ელისაბედმა კი საკმაოდ კარგი განათლება მიიღო არა მარტო ჰუმანიტარულ მეცნიერებებსა და ხელოვნებებში, არამედ ბუნებისმეტყველებაშიც. იგი არასოდეს გათხოვილა, როგორც უმზითვო და პროტესტანტი პრინცესა. ხანგრძლივი დროით სხვადასხვა ნათესავებთან ცხოვრების შემდეგ მან პროტესტანტულ მონასტერს მიაშურა, რომლის აბატიც გახდა 1667 წლიდან.

მისი, როგორც ფილოსოფოსის რეპუტაცია ძირითადად ეფუძნება რენე დეკარტესთან მიმოწერას. ასრთა გაცვლის ეპისტოლარული ბუნა იმ დროის ევროპაში ფილოსოფიური კომუნიკაციების მნიშვნელოვანი

[12] Women Philosophers of the Early Modern Period. *ed. by* Margaret Atherton, Hackett Publishing Company. Indianapolis. 1994, p. 23

საშუალება იყო. ელისაბედი, დეკარტესაგან განსხვავებით, რომელიც ინახავდა ელისაბედისადმი მიწერილი წერილების ასლებს, დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდა ამ კორესპონდენციას და დეკარტეს სიკვდილის შემდეგაც კი ნებართვა არ მიუცია გამომცემლებისათვის, გამოექვეყნებინათ მათი მიმოწერა. მართალია, წერილებში სრულყოფილად არ არის გადმოცემული მისი ფილოსოფიური პოზიცია, მაგრამ მათში დეკარტესადმი მიცემული შენიშვნებითა და საკუთარი მოსაზრებების გამოთქმით იკვეთება მისი, როგორც მოაზროვნისა და ფილოსოფოსის დამოკიდებულება ამა თუ იმ საკითხის მიმართ. მათი მიმოწერა ძირითადად ეხებოდა სხეულისა და სულის (mind) დამოკიდებულებას, ასევე თავისუფალ ნებასა და უზენაესი სიკეთის ბუნების კვლევას, რასთან დაკავშირებითაც დეკარტე თავის რესპოდენტს ურჩევდა, ეკითხა სენეკა. საყოველთაო მოსაზრებით ითვლებოდა, რომ დეკარტეს „სულის ვნებანი" დაიწერა ამ ქალთან საუბრების შედეგად და ამ ქალისადმი უღრმესი პატივისცემის ნიშნად უნდა ნაითვალოს ისიც, რომ დეკარტემ სწორედ მას უძღვნა თავისი magnum opus „ფილოსოფიური პრინციპები". მათი მიმოწერის კარგად გაცნობა გვარწმუნებს, რომ დეკარტე ითვალისწინებდა მის მიერ მიცემულ შენიშვნებს. მაგალითად, 1643 წლის 6 მაისს ჰააგიდან მიწერილ წერილში იგი საყვედურობს დეკარტეს, რომ სული, დეკარტესეული გაგებით, სრულიად მოკლებულია ერცეულობას და ასეთ შემთხვევაში, არამატერიალურ სხეულთან კავშირი არამართებული უნდა იყოსო. ელისაბედისათვის, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სული და სხეული განუყოფელნი იყვნენ. იმავე წერილში იგი დეკარტეს საკუთარი სულის მკურნალად მიმინდვს და აცხადებს, რომ თავისუფლად ააშკარავებს თავისი სულის მშვრეტელობის უმწეობას. დეკარტე თავის პასუხში წერს, რომ „ორი რამ არის ადამიანის სულში ისეთი, რასუდაც დამოკიდებულია მთელი ჩვენი ცოდნა მისი ბუნების შესახებ. პირველი, რომ იგი ასროვნებს და მეორე, რომ როგორც სხეულთან გაერთიანებულს, მას ძალუძს იმოქმედოს და იტანჯოს მასთან ერთად".[13] დეკარტე თავს იმართლებს იმით, რომ მისი მიზანი არ ყოფილა მეორის შესახებ მსჯელობა, რომ მას სურდა, მხოლოდ ეჩვენებინა განსხვავება სულს და სხეულს შორის, რომლისათვისაც საკმარისია მხოლოდ პირველიც, ხოლო მეორე კი მარტოდ-მარტო ხელის შემშლელია. დეკარტე ცდილობდა ეჩვენებინა, თუ როგორ ამოძრავებდა სულისა და სხეულის ერთიანობა სხეულს. იგი უშვებდა გარკვეული პრიმიტიული ცნებებისა და საწყისების არსებობას (არსება, რიცხვი, უწყვეტობა და სხვ.), რომელთა საშუალებითაც/ მიხედვითაც ფორმირდება მთელი ჩვენი აღქმები (მათ შორის სხეულებრივიც) და მაიგან მხოლოდ განფენილობაა ისეთი, რომლიდანაც გამომდინარეობენ ციფრები (?) და მოძრაობა. რაც შეეხება სულს, მისი ასრული, ჩვენ მხოლოდ სული გვაქვს ისეთი, რომელიც მოიცავს გონების (understanding) პერცეფციებსა და ნების მისწრაფებებს. დეკარტე დაასკვნის, რომ მხოლოდ სულისა და სხეულის ერთობლიობაზე დამყარებულ სულისმიერ ძალას ძალუძს, აამოძრავოს სხეული და პირიქით, მხოლოდ ამ ერთიანობით შეუძლია სხეულს, იმოქმედოს სულზე და გამოიწვიოს მისი გრძნობები და ვნებები. პასუხის პასუხში ელისაბედ ბოჰემიელი

[13] Women Philosophers of the Early Modern Period, *ed. by* Margaret Atherton, Hackett Publishing Company, Indianapolis, 1994; p.27

კელავაც შენიშნავს, რომ იგი მატერიასა და განფენილობას უფრო დაუთმობდა სულს, ვიდრე სხეულის ამოძრავებისა თუ ამოძრავებულად-ყოფნის უნარს დაუთმობდა არამატერიალურ არსებას. რადგანაც თუკი პირველი მოხდა „ინფორმაციის" მეშვეობით, სულები, რომლებიც ასრულებენ მოძრაობას, უნდა იყვნენ გონიერნი (intelligent), რომელსაც დეკარტე არ მიაწერს არანაირ სხეულს.

ელისაბედის წერილების ანალიზის შედეგად ჟაკლინ ბროუდი, ავტორი წიგნისა "მეჩვიდმეტე საუკუნის ქალი ფილოსოფოსები" (NY: Cambridge University Press, 2002), ასკვნის, რომ ე. ბოჰემიელი უეოყმანოდ შეიძლება ჩაითვალოს იმ ფემინისტ ფილოსოფოსთა წინამორბედად, რომელნიც თავიანთ ეთიკურ და მეტაფიზიკურ ნაშრომებში სხეულსა და ემოციას არანაკლებ მნიშნელობას ანიჭებდნენ, ვიდრე სულს.

ანნა ვისკონტესა ქონვეიმ საკმაოდ საფუძველიანი და ფართო განათლება მიიღო სახლში, საკუთარი ძმის წყალობითა და წახალისებით, რომელმაც იგი წარუდგინა თავის კემბრიჯელ ხელმძღვანელს, პლატონისტ ჰენრი მორს. მასთან ანნამ შემდეგში ხანგრძლივი მეგობრობა გააბა, მოგეიანებით კი დაქორწინდა მის ერთ-ერთ სტუდენტზე, ვისკონტ ედუარდ ქონვეიზე. მთელი სიცოცხლე ამ ქალს ტანჯავდა მომქანცველი თავის ტკივილები, რომელიც შაკიკის ერთგვარი ფორმა უნდა ყოფილიყო. ამის გამო იგი ცხოვრობდა სოფლად, მშვიდ გარემოში, სადაც მათ ხშირად სტუმრობდნენ ხოლმე ჰ. მორი და მისი წრის სხვა ადამიანები. თავის ტკივილების გამოისობით იგი შეხვდა კიდევ ერთ ისეთ ადამიანს, რომელმაც დიდი გავლენა იქონია მის პიროვნულ თუ შემოქმედებით განვითარებაზე – ეს იყო ფრენსის მერკური ვან ჰელმონტი, რომელიც მათთან ჩავიდა თავის ტკივილებისაგან მის განსაკურნად და რეგლი ჰოლში დარჩა მთელი ცხრა წლის განმავლობაში, ანნას გარდაცვალებამდე. ქონვეის ძირითად შრომად ითვლება „ყველაზე ანტიკური და თანამედროვე ფილოსოფიის პრინციპები", რომელიც ლათინურად გამოიცა 1690 წელს, ინგლისურად კი ითარგმნა 1692 წელს. ამ მეტაფიზიკურ ტრაქტატში ქონვეი აკრიტიკებს კარტეზიანულ დუალიზმს, სპინოზას პანთეისტურ მონიზმსა და ჰობსის მატერიალიზმს. თავდაპირველად ქონვეი, მორი და ვან ჰელმონტი იზიარებდნენ ქრისტიან ქნორ ფონ როზენროთის კაბალისტურ შეხედულებებს. თანდათანობით ვან ჰელმონტი დაინტერესდა კვაკერიზმით და ქონვეიც გადაიბირა. კვაკერებისადმი ფორმალური შეერთების შემდეგ ქონვეი რამოდენიმე დღეშივე გარდაიცვალა, საშინელი ტკივილებით განაწამები. ვან ჰელმონტისა და ჰ. მორის რედაქტორობით მისი ნაწერები გამოიცა ჯერ ლათინურ და შემდეგ კი ინგლისურ ენებზე. ვან ჰელმონტის მეშვეობით ლაიბნიცი გაეცნო ქონვეის თხზულებებს. სავარაუდოდ, ამ უკანასკნელმა გარკვეული გავლენა იქონია მასზე. თომას ბარნესადმი მიწერილ წერილში ლაიბნიცი აცხადებდა: „ჩემი ფილოსოფიური შეხედულებები უახლოვდება გრაფინია ქონვეის მოსაზრებებს და შუალედური მდგომარეობა უკავია პლატონსა და დემოკრიტეს შორის, რამდენადაც მე მჯერა, რომ ყველაფერი მექანიკურად ხდება, როგორც ამას დემოკრიტე და დეკარტე ამტკიცებდნენ ბატონ მორისა და მისთანათა მსგავსად. და მეც, მიუხედავად ყველაფრისა, მჯერა, რომ ყოველივე კვლავაც მოხდება ვიტალურად და მიზნობრივი მიზეზის თანახმად; ყოველივე გაჯერებულია სიცოცხლითა და აღქმებით,

საპირისპიროდ დემოკრიტეს მიმდევრებისა"[14]. მე-19 საუკუნის ფილოსოფიის ისტორიკოსი ჰენრიხ რიტერი „ქველაზე ანტიკური და თანამედროვე ფილოსოფიის პრინციპების" ავტორობას შეცდომით მიაწერდა ვან ჰელმონტს. ამის გამო მიისნეოდა, რომ მონადის იდეა ლაიბნიცმა ვან ჰელმონტისაგან აიღო. მხოლოდ მოგვიანებით, მე-20 საუკუნეში მიაქციეს სათანადო ყურადღება ქონვეის დამსახურებას. თუმცა კი მკვლევართა სხვა ჯგუფის მტკიცებით, შესატყვის თემებსე ლაიბნიცსს ანნა ქონვეის შრომის წაკითხვამდე უკვე ნამოყალიბებული და გამოქვეყნებული ჰქონდა თავისი შეხედულებები.

ანნა ქონვეის თეორია არის როგორც მონისტური, ისე ვიტალისტური. იგი განასხვავებს სამგვარ არსს: სუბსტანციას, რომელიც ქრისტიანული ნეოპლატონური ტრადიციის თანახმად, არის სამება ღმერთის, ქრისტესა და ქმნილების სახით. იგი თვლიდა, რომ სხვადასხვა ფილოსოფოსთა მიერ დახასიათებული არს(ნ)ი მხოლოდ შემთხვევითი თვისებები არიან ერთი სუბსტანციისა; ისინი ერომანეთისაგან არსებითად კი არა, მხოლოდ ხარისხობრივად განსხვავდებიან. თავად ტრიადის წევრებს ერომანეთისაგან განასხვავებთ ცვალებადობა. მათ შორის უცვლელი მხოლოდ ღმერთია, ქრისტე იცვლება მხოლოდ სასიკეთოდ, ხოლო ქმნილებები კი იცვლებიან როგორც სასიკეთოდ, ასევე საუბედუროდ, ბოროტებისაკენ მიდრეკილნი. თუკი რაიმე ქმნილება არ შეიცვლებოდა, მაშინ იგი იქნებოდა ღმერთი, რადგანაც უცვლელობას, არა-ურთიერთზემოქმედებასა და არა-კომუნიკაბელურობას იგი თვლიდა ღმერთის ატრიბუტებად. ქრისტეს კი, როგორც მხოლოდ კარგისაკენ შეცვლადს, მიისნეოდა ღმერთსა და ქმნილებას შორის მოსაშუალედ. რაც შეეხება ქმნილებათა სუბსტანციას, ის ამტკიცებს, რომ ქველა მისი სახეობა გრადაციაა აქტიური გონისა ვიტალურ მატერიამდე. მისთვის ბუნება ხასიათდება ცოცხალი სხეულისა და შეგრძნებების უნარით, სხეული კი გაცილებით უფრო ამაღლებულია (sublime), ვიდრე უბრალო მექანიზმი ან მექანიკური მოძრაობა. ამასთან, ჟაკლინ ბროუდის მტკიცებით, ანნა ქონვეი, მარგარეტ ქავენდიშის მსგავსად, სხეულს მიაწერდა სულიერ/გონით მახასიათებლებს, ხოლო სხეულს კი – მატერიალურ თვისებებს. ცნობილია, რომ, ძირითადად, ფილოსოფიაში სხეულებრივი და მატერიალური უკავშირდებოდა ქალურ, ხოლო იდეალური, გონითი და სულიერი კი – მამაკაცურ საწყისებს. ატრიბუტიკის ‘ხემოთ მითითებული გადანაცვლებით ანნა ქონვეი, შეიძლება ითქვას, ილაშქრებდა ამ სტერეოტიპის წინააღმდეგ.

ანნა ქონვეის თანამედროვე, კიდევ ერთი ქალი-მოაზროვნე, **დამარის ქუდვორთი, ლედი მაშამი** იყო კემბრიჯელი პლატონისტის, რალფ ქუდვორთის ქალიშვილი. უცნობია, თუ როგორი განათლება მიიღო მან. მაგრამ ის კი ცხადია, რომ იგი ახლოს იცნობდა მამამისისა და მისი კოლეგების შრომებს. ლათინური კი მაშინ ისწავლა, როცა კლასიკურ ენებს ასწავლიდნენ მის ეაჟს, რომელიც დამარისისათვის ერთადერთი, ხოლო მისი მეუღლისთვის კი მეცხრე შვილი იყო. ერთობ ნაყოფიერი და მნიშვნელოვანი გამოდგა მისთვის ურთიერთობა ჯონ ლოკთან,

[14] Eileen O'Neil: Disappearing Ink: Early Modern women Philosophers and Their Fate in History. *from* Philosophy in s Feminist Voice. *ed. by* Janet S. Kourany. Princeton University Press. 1998. p.24

რომელსაც ჯერ კიდევ გათხოვებამდე, 23 წლის ასაკში შეხვდა. მათ შორის მიმოწერა შეწყდა 1688 წელს, ლოკის ინგლისში დაბრუნების შემდეგ, როცა ისინი უკვე საკმაოდ ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს. ლოკი გადასახლდა მაშამის სოფლად მდებარე სახლში და იტვირთა ლედი მაშამის შვილის აღზრდა. იგი იქვე გარდაიცვალა 1704 წელს და ქონების ნახევარი უანდერძა თავის აღსაზრდელს. ლედი მადამარისიმმა მხოლოდ 4 წელიწადიღა იცოცხლა ჯონ ლოკის სიკვდილის შემდეგ. მაშამის ფილოსოფიური მემკვიდრეობა შედგება ჯ. ლოკისადმი მიწერილი ორმოციოდე პირადი წერილისაგან, ორი გამოქვეყნებული ტრაქტატისა და მოკლე, მაგრამ თითქმის მთლიანად ფილოსოფიური კორესპონდენციისაგან ლაიბნიცისადმი. ტრაქტატები „განაზრებანი ღვთის სიყვარულზე" (1690 წ.) და შემთხვევითი ფიქრები სათნო, ანუ ქრისტიანული ცხოვრების შესახებ" (1705 წ.) დაიბეჭდა ანონიმურად და მიეწერებოდა ლოკს. პირველ მათგანში ლედი მაშამი ილაშქრებდა ჯონ ნორისის ოკასიონალიზმის წინააღმდეგ და აკრიტიკებდა ყველა საგნის ღმერთში ხედვას არა წმინდა მეტაფიზიკური მოსაზრებების საფუძველზე, არამედ იმის გამო, რომ ამას იგი ქრისტიანული რწმენის არასაკმარის საფუძვლად მიიჩნევდა. სწორედ მაშამების ოჯახში ცხოვრების პერიოდს მიეკუთვნება ჯონ ლოკის შრომა „ყველა საგნის ღმერთში ხედვის მალებრანშისეული შეხედულებების კვლევა და რამოდენიმე შენიშვნა ბატონ ნორისის წიგნებზე, რომლებშიც იგი განამტკიცებს პ. მალებრანშის მოსაზრებას ღმერთში ყველა საგნის ჩვენეული ხედვის შესახებ" (1693 წ.). მეორე ტრაქტატში იგი ცდილობს, ხაზი გაუსვას რაციონალურად დაფუძნებული მორალური ქცევის მნიშვნელობას ჩვენს რელიგიურ ცხოვრებაში. ამასთან, ამის დამამტკიცებელ არგუმენტებს ის იყენებს ქალთათვის განათლების მნიშვნელობის ახსნის მიზნითაც. მისი აზრით, განათლება ეხმარება ქალებს, რელიგიური მოვალეობების შესრულებასა და დედის როლის უფრო სრულყოფილ აღსრულებაში.

მაშამის მიმოწერა ლაიბნიცისადმი შედგება თორმეტი წერილისაგან. ლაიბნიცი მას სწერდა ფრანგულად, იგი კი პასუხობდა ინგლისურად. ლაიბნიცი ერთ-ერთ წერილში იცავდა თავის ჰიპოთეზას წინასწარდადგენილი ჰარმონიის, როგორც არა მხოლოდ შესაძლებელის, არამედ ჭეშმარიტის შესახებ. რადგანაც მას მიიჩნევდა ზეაღმატებულად ყოველივე სხვაზე და ერთადერთ ისეთ რაიმედ, რომლის ქვეშაც/რომელშიც საგნები თუ მოვლენები არიან/ხდებიან ბუნებრივად და არა სასწაულებრივად. იგი მაშამს ეთანხმება, რომ არ არსებობდა არანაირი შექმნილი, განუვრცობელი სუბსტანცია, მაგრამ ეს არ ხდება იმიტომ, რომ ჩვენ არ შეგვიძლია ვიქონიოთ განუვრცობელი სუბსტანციის იდეა. ამას იგი ჰდარებს მათემატიკოსთა შემთხვევას, რომელთაც შეუძლიათ მსჯელობა ისეთ რამეზე, რისი წარმოდგენაც მათ არ ძალუძთ. მეათე წერილში იგი მაშამს აუწყებდა პრუსიის დედოფლის, სოფიას სიკვდილის შესახებ და სამძიმარს უცხადებდა ჯონ ლოკის გარდაცვალების გამო. იქვე იგი უბრუნდება მაშამის მამის, ქუდვორთის თემას და ჩამოთვლის მთელ რიგ საკითხებს, რომელთა შესახებაც მათი აზრები თანხვდებოდა. მასთან, ცდილობდა, განემარტა ისეთი მომენტები, რომელიც ქუდვორთთან ბოლომდე არ იყო ახსნილი. მასამის წერილებში კი იკვეთება ის, თუ

„ბუნებრივი ცნობიერების" ცნებას, რომელიც მისთვის სხვა არაფერია, თუ არა აკისა და კარგის, სწორისა და უმართებულოს, ჭეშმარიტისა და მცდარის გარჩევის უნარი გარკვეული წესების შესაბამისად. ლოკის აპოლოგია გამოიცა ანონიმურად ისე, რომ თვით ლოკმაც კი არ იცოდა ავტორის ვინაობა. თროთერს ეშინოდა, რომ მისი სქესის გამო ნაშრომს სერიოზულად არავინ შეხედავდა, თუმცა კი ლოკმა ავტორის ვინაობა მალევე ამოიცნო და იგი წიგნებითა და გარკვეული თანხით დააჯილდოვა. ქოქბერნი ხმას იმაღლებდა ქალთა უმეცრების წინააღმდეგ და თვლიდა, რომ იგი გამოწვეული იყო რაციონალური დისკურსებიდან ქალთა ექსკლუზიით.

XVII-XVIII საუკუნეთა გასაყარზე გამოჩნდა კიდევ ერთი ქალი ფილოსოფოსის ნაშრომი „წერილები ღვთის სიყვარულის შესახებ" (1695 წ.), რომელიც ეხებოდა ჯონ ნორისის მალბრანშისეულ შეხედულებას ღმერთის, როგორც ყოველივე არსებულის, მათ შორის, შეგრძნებათა ერთადერთ მიზეზზე. ნორისის ოკაზიონალიზმს ესტელი კრიტიკულად უდგებოდა და ამტკიცებდა, რომ შეგრძნებები უშუალოდაა გამოწვეული სულისა (mind) და სხეულის ურთიერთზემოქმედებით, ხოლო არაპირდაპირად და გაშუალებულად განპირობებულია ღმერთის მიერ. თუმცა იგი აცნობიერებს გარეგან საგნებსა და შეგრძნებებს შორის თანხმობის სირთულეს.

ნიუ ქასელელი ვაჭრის ოჯახში დაბადებულმა **მერი ესტელმა** განათლება მიიღო ბიძის წყალობით, რომელიც იმ დროს გარდაიცვალა, როცა გოგონა სულ თორმეტიოდე წლის თუ იქნებოდა. სულ მალე, დედის სიკვდილიდან ორი წლის შემდეგ მან დატოვა მშობლიური ქალაქი და ლონდონს გაემგზავრა. იქ იგი ერთ-ერთმა გამომცემელმა დაასაქმა პამფლეტების წერით. მალევე დაუმეგობრდა მაღალი წრის რამოდენიმე ქალბატონს ჩელსიდან, რომელთაგანაც იღებდა ხოლმე ფინანსურ და სულიერ დახმარებას, მათ წრეში ჰპოვებდა მეგობრულ სითბოსა და სიყვარულს. ესტელი არასოდეს დაქორწინებულა, ცხოვრობდა მარტივი და სათნო ცხოვრებით. 1731 წელს კი, 67 წლის ასაკში გარდაიცვალა მკერდის კიბოთი.

დღეისათვის მკვლევარებისათვის ხელმისაწვდომია მხოლოდ მისი ორი ცნობილი ნაშრომი „სერიოზული შეთავაზება ქალბატონებისათვის" (I და II ნაწილები) და „განაზრებანი ქორწინებაზე", პირველ მათგანში ლაპარაკია ქალთა ნაკლოვანებებზე, რომლებიც გამოწვეულია განათლების ნაკლებობით და არა ბუნებრივი ინტელექტუალური მონაცემების უქონლობით. იმისთვის, რომ ისინი რაციონალურად შეესატყვისებოდნენ თავიანთ რელიგიურ მოვალეობას, უნდა მიიღონ კარგი და მრავალმხრივი განათლება. ესტელი გაუთხოვარი ქალებისათვის მოითხოვდა სპეციალური ინსტიტუტის დაარსებას, სადაც ქალებს განათლების მიღება და ცხოვრება შეეძლებოდათ. რამოდენიმე წლის შემდეგ მან ეს იდეა განუხორციელებელად ჩათვალა. ქალებს კი შესთავაზა მორიგი ინსტრუქციები აზროვნების უნარების გაუმჯობესებისათვის, რომლებიც გამომდინარეობდა შემეცნების შესახებ ლოკისა და კარტეზიანელთა მოსაზრებებიდან. „განაზრებანი ქორწინებაზე" კვლავაც აგრძელებს ქალთა განათლების მნიშვნელობის მტკიცებას. ავტორი მიიჩნევს, რომ მხოლოდ კარგად გაწაფული გონებით

შესწევთ ქალებს უნარი, თავიდან აირიდონ შეუფერებელი ქორწინების ცდომილება, ან ამ უკანასკნელის შემთხვევაში, გონივრულად ებრძოლონ მის მანკიერებებს.

შემორჩენილია ასევე მისი წერილები ჯონ ნორისისადმი, რომლებიც ამ უკანასკნელის წინადადებით გამოიცა 1695 წელს სათაურით „წერილები ღვთის სიყვარულზე". ამას მოჰყვა ლედი მაშამის „განაზრებანი ღვთის სიყვარულზე", რომლის ლოკისეულმა სტილმაც ესტელს აფიქრებინა, რომ თხზულება ლოკს ეკუთვნოდა. 1705 წელს ლედი მაშამს ესტელმა უპასუხა ოთხასგვერდიანი ტრაქტატით „ქრისტიანული რელიგია ეკლესიის ქალიშვილის გადმოცემის მიხედვით". მასში გაშალა თავისი რელიგიური ფილოსოფია და განიხილა ლოკის შეხედულებები იმაზე, შეეძლო თუ არა ღმერთს აზროვნება ზე-დაემატებინა მატერიისათვის. აზროვნების უმაღლეს მიზნად აღიარებდა აბსტრაქტულ იდეათა ჭვრეტას, რაც გონებას აკავშირებდა არამატერიალურ და არა-შეგრძნებისეულ სიკეთესთან. ლოკი, თავის მხრივ, უარეყოფდა აბსტრაქტული აზროვნების საჭიროებას ქრისტიანობის გაგებისათვის („ქრისტიანობის გონივრულობა"). „ქრისტიანულ რელიგიას" მალევე მოჰყვა მაშამის „შემთხვევითი განაზრებანი სათნო, ანუ ქრისტიანული ცხოვრების შესახებ" (1705 წ.). მაშამი იცავდა ლოკის თეორიებს შემეცნების, განათლების, გონებისა თუ გამოცხადების რელატიური ღირსებების (მერიტს) შესახებ. მორალური სათნოების საფუძვლების პოპულარულ საკითხთან დაკავშირებით მაშამი ამტკიცებდა, რომ რამდენადაც ჩვენი ვნებები ხშირად გვაბრმავებენ ბუნების სინათლისადმი, იგი არასაკმარისი საფუძველი უნდა იყოს მორალისათვის. ამდენად, მისი აზრით, ჩვენ გვესაჭიროება გამოცხადებით შევსებული გონება.

ესტელი მხოლოდ აბსტრაქტულ აზროვნებას თვლიდა საკმარისად ჩვენი ხსნისათვის. „სერიოზული შეთავაზების" მეორე ნაწილში ის მიუთითებდა ჩვენი რაციონალური უნარების განვითარების კავშირზე პრაქტიკულ მოქმედებასთან – ცოდნა უნდა განვითარებულიყო რაციონალური გადაწყვეტილების სამსახურისათვისაც. მიუხედავად უთვალავი შეუმეცნებადი მოვლენისა და არსებისა, ადამიანს, მისი რწმენით, შეუძლია ვნებების ისე მოთოკვა, რომ ნება წინ არ უსწრებდეს განსჯას.

დამარის მაშამი, ჩვეულებრივ, ითვლებოდა მერი ესტელის ფილოსოფიურ მეტოქედ, თუმცა ძნელი არ უნდა იყოს მათ შორის უთვალავი საერთოს მონახვაც: ორივე მათგანი ხაზს უსვამდა ქალთა განათლების მნიშვნელობასა და აუცილებლობას, აკრიტიკებდა ნორისის ოკაზიონალიზმს და სჯეროდა სხეულებრივ და უსხეულო/იდეალურ სამყაროთა ურთიერთსემოქმედებისა. ჯაკლინ ბროუდის თქმით კი, მაშამზე პოზიტიური გავლენა უნდა მოეხდინა ესტელის „სერიოზული შეთავაზების" მეორე ნაწილს.

ჯონ ლოკმა დიდი გაულენა იქონია კიდევ ერთ ფილოსოფოს ქალზე, **ჯუდით დრეიქზე**, რომელიც მიიჩნევდა, რომ ქალთა ინტელექტუალური არასრულფასოვნება გამოწვეული იყო არა ინტელექტუალური უნარების, არამედ განათლებისა და ინტელექტუალური გამოცდილების ნაკლებობით („ესსე ქალთა სქესის დასაცავად").

მე-17 საუკუნის ბოლოს საფრანგეთში გამოქვეყნდა **გაბრიელა სუშონის** ფილოსოფიური ტექსტი „მორალისა და პოლიტიკის ტრაქტატი,

რომელიც განიხილავდა თავისუფლების, შემეცნებისა და ძალაუფლების საკითხებს. სუშონი თვლის, რომ მართალია, ქალებს ხელი არ მიუწვდებათ მათ'ს, მაგრამ ბუნებით მათ აქვთ უნარები, მოიპოვონ ისინი და ხელი მიუწვდებოდეთ მათ'ს.

მერი უოლსთონქრაფთის ადრეულ პუბლიკაციებ'ს „განა'სრებანი ქალიშვილთა განა'სრების შესახებ" (1787 წ.) გაელვნა იქონია **ქეთრინ მაქქოლეის** ნაშრომმა. თავის „ქალთა უფლებების გამართლება. უოლსთონქრაფთი ილაშქრებს ქალის ბუნების, სა'საზოგადოებაში მისი როლის და მისთვის განათლების მიცემის ჟან-ჟაკ რუსოსეული შეხედულებების წინააღმდეგ.

რაც უფრო იხვეწებოდა ფილოსოფიის პროფესიონალური ენა, მით უფრო ადვილდებოდა „წმინდა" ფილოსოფიური ნაწერების პოეზია ქალთა ავტორობით. **მერი შეფერდს** მიეკუთვნება „ესსე მი'ს'ისა და შეფერდის მიმართებ'ს'ედ, ბატონ ჰიუმის დოქტრინის კრიტიკისაკენ მიმართული..."(1824 წ.), „ესსე გარეგანი სამყაროს აღქმის შესახებ.." (1827 წ.) რომელიც წარმოადგენს ბერკლის შესახებ დისკუსიას. შეფერდის შემოქმედება კიდევ უფრო მეტად გაუჩინარდა ადრეული ახალი დროის ფილოსოფიის ისტორიული მეხსიერებიდან, ვიდრე შეფერდის წინამორბედი ქალების მისტიური, ფემინისტური თუ უფრო მეტად ლიტერატურული შრომები.

მე-17 საუკუნის საფრანგეთიც არანაკლებ შთამბეჭდავ ქალ ფილოსოფოსთა ჯგუფს წარმოგვიდგენს. **ანნა ლეფევერ დასიე** თავისი დროის ევროპის უგანათლებულეს ქალად ითვლებოდა. 1691 წელს მან და მისმა მეუღლემ თარგმნეს მარკუს ავრელიუსის „ფიქრები", რომელსაც მან დაურთო შენიშვნები,სადაც ანნა ლაფევერ დასიე ანტიკურ სტოიცი'ზმს აკრიტიკებს საკუთარი, ქრისტიანული სტოიცი'ზმის პო'ზიციიდან. ეს ქალი მადამ დე ლამბერტის სალონის მუდმივი სტუმარი და აქტიური მონაწილე იყო. 1714 წლიდან იგი ებმება ანტიკურობისა და ახალი დროის მომხრეთა შორის გამართულ დებატებში. თავის წიგნში „გემოვნების წახდენის მიზე'სები" იგი იცავს ანტიკურობის ღირებულებებს. ანტიკურობასთან ასოცირებულ ამ ფრანგ ფილოსოფოს ქალსვე მიეძღვნა ჟილ მენაჟეს „ქალ ფილოსოფოსთა ისტორია".

ადრეული ახალი დროის ქალი ფილოსოფოსების ნააზრევის შესწავლისას აშკარად იკვეთება ერთი რამ: ისინი ტრადიციულ ფილოსოფიურ თემებს უდგებიან საკუთარი გენდერული იდენტიფიკაციის თვალთახედვიდან, რის გამოც დებატებისათვის „ქალთა საკითხთან" დაკავშირებით არავის უღვაწია იმდენი, რამდენიც მათ მოახერხეს.

ეილიენ ო'ნეილის ა'სრით, „ქალებ'ზე კამათის" შესახებ ტექსტების რორტიანული ისტორიული რეკონსტრუქცია ქალის ბუნების შესახებ XVII-XVIII საუკუნის შეხედულებებს მოათავსებდა ადრეული ახალი დროის სამედიცინო და რელიგიური დებატების კონტექსტ'ში, თუმცა კი ისტორიოგრაფიული მიდგომა გვიჩვენებს, რომ ქალის ბუნების შესახებ დისკუსიები წარმოადგენდა ცენტრალურ ფილოსოფიურ საკითხს, დაკავშირებულს უფრო ფართო მეტაფი'ზიკურ, სოციალურ, პოლიტიკურ და ეპისტემოლოგიურ პრობლემებთან. თუ ვინმე მოინდომებს, ფილოსოფიის „ბიოგრაფია" აღწეროს ფილოსოფიისათვის დღეისთვის აქტუალური პრობლემებ'ში შეტანილი წვლილის გამომ'ზეურების მეთოდით, მაშინ ქალ ფილოსოფოსთა დიდი უმრავლესობა, ალბათ, დარჩებოდა

ფილოსოფიის ისტორიისაგან მარგინალიზებული. ხოლო თუ ფილოსოფიის ერთგვარ ეამთა-აღწერას მივყოფთ ხელს და მოვინდომებთ მისი ყველა „გონითი" ხელმძღვანელისა თუ ფილოსოფიურად-მოაზროვნე და მწერალ ხალხთა ღვაწლის წარმოჩენას, ანუ თუ წარსულში და დღეისათვის ფილოსოფიისათვის აქტუალურ პრობლემათა ფორმირება-ტრანსფორმირების აღწერას მივყოფთ ხელს, მაშინ მრავალი ფილოსოფოსი ქალი ფილოსოფიის ახლად-დაწერილი თუ ხელახლა გადაწერილი ფილოსოფიის ისტორიებში აღმოჩნდებოდა არა მხოლოდ იმიტომ, რომ ქალები იყვნენ/არიან. მაგალითად, პირველი მიდგომის თანახმად, მერი უოლსტონქრაფტი,ოლიმპია დე გუჟი,და ტერეზა დე ლამბერტი,როგორც ქალთა სამოქალაქო თუ საგანმანათლებლო უფლებებისათვის მებრძოლნი, მხოლოდ ფემინიზმის ისტორიაში თუ მოხვედებოდნენ, მაშინ როცა მეორე პრინციპის თანახმად,ისინი ადგილს დაიმკვიდრებდნენ განმანათლებელთა გვერდითაც. სრულეოფილი ფილსოფიის ისტორია, სავარაუდოდ, ფილოსოფიის კომპლექსური ისტორიის ფარგლებში ხილვადს უნდა ხდიდეს ქალ-ფილსოფოსთა სახელებს და ახდენდეს მათი წვლილის რეკონსტრუქციას როგორც დღევანდელი, აქტუალური ფილოსოფიური პრობლემატიკისადმი რელევანტურობის, ასევე წმინდა ანტიკვარულ-ისტორიული თვალსაზრისითაც.

Resume of the article
"Women Philosophers of Early Modern Era" by Tamar Onoprienko

In the dictionaries, standard anthologies and text-books of the history of philosophy only s few women philosophers are mentioned, as "satelites of great philosophers". However, there are tens of women thinkers and philosophers, who dedicated their effort to the development of western philosophical thought. Along with Hipatia, Hyparchia of Alexandria and Elizabeth of Bohemia s lot of ancient, medieval and modern names were recovered and excavated during last four decades. Here it is tried to explain why s lot of women philosophers and their writings were lost; how it happened that especially women philosophers of the early modern period were writing with s disappearing ink? They had correspondence with other philosophers and were engaged in salon appointments, where they discussed all contemporary philosophical issues as well as "women questions" – most of those women were predecessors of feminist movement or women's and gender studies.

ლელა გაფრინდაშვილი

"დედათა კითხვა" და/თუ "ქალთა საკითხი" საქართველოში

"ჰელმერი: როგორ, შენ გავიწყლება ცოლის და დედის მოვალეობა? ნორა: მე მაქვს სხვა, უფრო ძვირფასი მოვალეობა – მოვალეობა საკუთარი პიროვნებისადმი... მეც ადამიანი ვარ, როგორც შენ. ყოველ შემთხვევაში– უნდა გავხდე ადამიანი!"

ჰენრიკ იბსენი "თოჯინების სახლი"

"ვანო: ლაჩრები ხართ. ბრძოლა არ შეგიძლიათ ან სწავლის წყურვილი თქვენთვის [ქალებისთვის] ჯერ მოთხოვნილებად არ არის ქცეული! მაშო: ოჰ! მე რომ კაცად გავყჩინე განგებას, მაშინ ნახავდი, თუ როგორ დამათმობინებდა ვინმე ჩემ სურვილებს! მაგრამ ქალმა რა ექნა? ქალი ჯერჯერობით ფრთამოტეხილი ფრინველია, თავისუფალი ფრენის ნებას არავინ დაუთმობს..."

ეკატერინე გაბაშვილი "ნიგილისტიკა"

XIX საუკუნის 50-იანი წლებიდან საქართველოს სასოგადოებრივი ცხოვრების კარიბჭესთან ოჯახური მეუდროებიდან გამოსული ქალების პირველი, გაბედული მოძრაობა შეინიშნება. ამ მოელენის წინაპირობა დასავლეთიდან განმანათლებლობის პერიოდის იდეების შემოსვლაა, რომელთაგანაც თანასწორობის იდეა ერთ-ერთი ცენტრალურია. ვნახოთ, რა გარემო დახვდა ამ ახალ ქროლვას ჩვენს ქვეყანაში და როგორი დისკურსი/დისკუსია გაფორმდა.

1802 წელს ქალაქ თბილისში დაარსდა ორკლასიანი დაწყებითი სასწავლებელი, სადაც ისწავლება: ქართული ენა, რუსული ენა, არითმეტიკა, გრამატიკა, საღვთო სჯული, ისტორია (საეკლესიო და სამოქალაქო), გეოგრაფია, ხატვა, სნეობა ("დარიგებანი ადამიანისა და მოქალაქის მოვალეობათა შესახებ" – ეს წიგნი მიეწერება ავსტრიელ სერბს **თ. იანკოვიჩ დე-მირიევოს**, რომელიც 1782 წელს ჩამოვიდა რუსეთში **ეკატერინე II-ის** მოწვევით განათლების ახალი სისტემის შესაქმნელად. ამავე წელს შეადგინეს "რუსეთის იმპერიაში სახალხო სასწავლებელთა დაწესების გეგმა", ხოლო 1786 წელს "რუსეთის იმპერიის სახალხო სასწავლებელთა წესდება").

1804 წელს თბილისში დაარსდა კეთილშობილთა სასწავლებელი 1817 წელს ერეკლე მეორის მეუღლის, **დარეჯანის** სასახლეში სასულიერო სემინარიამ დაიდო ბინა. მან 1917 წლამდე იარსება.

1815-20 წლიდან **ჰ. ნ. ახვერდოვას** ქალთა პანსიონი გაიხსნა, სადაც არისტოკრატიისა და მაღალი სამხედრო-სამოქალაქო წოდების წარმომადგენელთა ქალიშვილები იზრდებოდნენ.

1830-40 წლებში კომერსანტ **კასტერლას ქვრივი** აფუძნებს და ხელმძღვანელობს "მცირეწლოვან კეთილშობილ ქალწულთა პანსიონს".

1845 წელს თბილისში **"ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტი"** იხსნება, რომელიც ასევე მაღალი წოდების ქალებისთვისაა ღია და ფრანგულის, ფორტეპიანოს, ქსოვის შესწავლის საშუალებას იძლევა.

საგანმანათლებლო ფუნქციებს ითავსებს 1846 წელს ჩამოყალიბებული "წმინდა ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებელი".

40-50-იან წლებში თბილისში იხსნება კერძო ბიბლიოთეკები. ერთ-ერთი არის **ეკატერინე კოტოვას** სამკითხველო. ასევე ჩნდება უკანონოდ შობილ და უპატრონო ბავშვთა თავშესაფრების გახსნის ინიციატივები. ერთ-ერთი პირველი ამ საქმეში ამიერკავკასიის მთავარმართებლის გოლოვინის მეუღლეა. თბილისში პირველი ასეთი დაწესებულება 1858 წელს გაიხსნა, ხოლო 1865 წელს საბავშვო ბაღი ღარიბი ოჯახებისთვის.

ამ პერიოდში უკვე არსებობს საშინაო სკოლები ქალებისათვის:

მართა ნათაძის – სოფელი მერეთი

ანა ამილახვარი – ცხინვალი

კურდღელაშვილის ქალი – თელავი

მაგდანა ედილაშვილი-ყიფშიძე – სოფელი საღოლაშენი

ფურცელაძე – სოფელი ტყისთავი

ანა წერეთელი – საჩხერე

მაგდა რცხილაძე – სოფელი ბოდბე

ერმონია ტატიშვილი (ძალუა ერმონია) – სოფელი ძეიმლეთი (გორის მაზრა)

გვიტია მაჭავარიანი – სოფელი ჩორვალი

პეტრე ხელაშვილი – სოფელი ვაქირი

სიმონ ბენაშვილი – სოფელი ზემომაჩხაანი

მღვდელი ქიტიაშვილი – საინგილო

ივანე მუხრანსკის მეუღლე – სოფელი მუხრანი

სოფიო ჯანაშვილი – სოფელი ბოდბე

საშინაო სკოლებში გამეფებული სულისკვეთება აღწერილი აქვს სოფრომ მგალობლიშვილს მოთხრობაში "წარსულიდან", სადაც ის იხსენებს "ეფროსინეს სკოლას".

"– ჩემო რძალო, აბა ის მითხარი, "დავითიანში" რომ არის ქალი და ყრმა, როგორები უნდა იყვნენ?

– უნდა ქალმან და ყმაწვილმან დახუროს ბაგე კბილისა,

ფეხი არ ახსნას საბლითა და ენა შებორკილისა;

არ მისცეს ნება შეძვრისა თვალს, წამწამს, თვალის კილოსა,

და არც ვინ თვით სხვა გაკილოს, არც სხვისგან გაიკილოსა.

– ჰე, ჰეი! მე და ჩემმა ღმერთმა, ქალი სწორე მაგითანა უნდა, დალოცვილს რა ნაირ მოუწყვია და".

70-იან წლებში ქალებისთვის უკვე არსებობს შემდეგი სკოლები:

- თბილისის ქალთა სკოლები (მამა დავითზე, ვერაზე, კუკიაზე, სომხის ბაზრის ქუჩაზე),

- "საქველმოქმედო საზოგადოების" 5 სკოლა,

- ქალთა ელემენტარული სკოლა (ქუთაისის გუბერნატორის მეუღლის ს. ი. მირსკაიას მზრუნველობით),

- თბილისის ქალთა I თანრიგის დია სახელმწიფო სასწავლებელი (პედაგოგიური ციკლით),
- თბილისის სამასწავლებლო სკოლა,
- გორის სამაზრო სასაწავლებელთან არსებული ე. წ. "ნასადილევი სკლასები" ქალთათვის,
- დუშეთ-თიანეთის დაწყებით სასწავლებლებთან არსებული ე. წ. "ნასადილევის კლასები" ქალთათვის,
- წმინდა ნინოს სახელობის ქალთა საზოგადოების სასწავლებლები (თბილისი, თელავი, ქუთაისი),
- მადამ ფავრის (ევგენია იაკობის ასული) პანსიონი,
- ქალთა ერთწლიანი პედაგოგიური კურსები (თბილისი),
- მცხეთის სამთავროს დედათა მონასტერთან არსებული ქალთა სასწავლებელი (კავკასიაში მეფის ნაცვლის მეუღლის ოლღა თეოდორეს ასულის მზრუნველობის ქვეშ),
- ქალთა ერთწლიანი სასწავლებლები (თბილისი, ქუთაისი, ფოთი).

ქალთა განათლების მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ჩატარებულ ამ სამუშაოებს დიდი ცვლილებები არ მოუხდენია. თუმცა, გაჩნდა იმედისმომცემი ტენდენცია – სწრაფვა განათლებისაკენ.

პირველი საგანმანათლებლო ტალღის გაგრძელებად იქცა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება (1879-1927), რომლის ფუნქციონირებისა და წარმატების საქმეში სწორედ ქალებმა ითამაშეს უმნიშვნელოვანესი როლი. ამ მძლავრი მოძრაობის სათავეებთან იდგნენ ისეთებიც, რომელთა წვლილის შესწავლას მრავალწლიანი "არქეოლოგიური" კვლევა-ძიება ესაჭიროება. ჩემს მიერ ჩატარებული სწორედ ასეთი კვლევის პატარა ფრაგმენტს წარმოგიდგენთ. ამ საზოგადოების ფუძემდებლები და მისი არსებობისათვის დაუღალავი მოღვაწეები, რომელთა სახელებს ერთად ვერსად ვერ წაიკითხავთ, ისინი უნდა აღმოაჩინო ბევრგან რაციონალურ-ინტუიციური ძიებების შედეგად.

ეკატერინე თარხნიშვილი-გაბაშვილი (1851-1938) ქალთა საგანმანათლებლო მოძრაობის უთვალსაჩინოესი წარმომადგენელია. იგი 1864-60 წლებში სწავლობს მადამ ფავრის პანსიონში. 1882 წლიდან იგი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის წევრია და ქალებისათვის განათლების ხელმისაწვდომობის პროპაგანდისტი. 1897-1922 წლებში ხელმძღვანელობს ქალთა ახალ პროფესიულ სკოლას. მისი წერილებით "გლეხკაცის აზრი სასოფლო სკოლაზე" და "გაბედნიერება" (1970 წელს დაიბეჭდა "ივერიაში") მან საზოგადოებას გააცნო ის შეხედულებები, რომელთა ტევეობაში იყო 19-ე საუკუნის II ნახევარში ქართველი გლეხი და რომელთა წყალობთაც ხალხში განათლების შეტანას გარდა ეკონომიკური დაბრკოლებებისა, ადათ-წესობრივი წარმოდგენებით დამძიმებული აზროვნების წესი უპირისპირდებოდა.

1879 წლიდან ეკატერინე წერდა პატარ-პატარა პიესებს (ერთ-ერთი მათგანია "სცენები ყმაწვილი ქალის ცხოვრებიდან", სადაც კრიტიკულ-იუმორისტული ინტონაციებით აღწერილია ქალის ჩაგვრისა და შევიწროების ყოველდღიური პრაქტიკა იმდროინდელ ყოფაში) და შემდეგ თვითონვე ასახიერებდა გლეხებისათვის.

1880 წელს "დროებაში" გამოქვეყნებულ წერილში განმანათლებელი ქალი აღშფოთებულია ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების უსულგულო დამოკიდებულებით ქალთა განათლებისადმი. "მე გამაკვირვა მხოლოდ იმან, რომ თორმეტიდგან დაწყებული თითქმის ხუთ საათამდე იყო ცხარე ბაასი საზოგადოების ფულის მოხმარებაზედ წერა-კითხვის გავრცელებისათვის და არავის იმაზედ ხმა არ ამოუღია, ეს ღვაწლი მარტო ეაჟების სასწავლებლებს და იმათ განათლებას უნდა ეკუთვნოდეს, თუ ქალებსაც უნდა ჰქონდეთ რამე მონაწილეობა.

მართლაც გასაკვირია, როგორ ერთს, ან საზოგადოების წევრს, ან საზოგადოების მმართველებს ფიქრადაც არ მოუვიდათ ქალების ბედის გახსენებაც. განა ცუდი იქნებოდა, როგორც ბათუმისა და თბილისის შკოლებსე ლაპარაკობენ, ესეც გადაწყვიტნათ, რომ ყველა შკოლა საქალ-ეაეო ყოფილიყო?

მართალია, ჩვენს სასოფლო შკოლებში ქალებიც სწავლობენ, მაგრამ ეს სრულიად მასწავლებელსეა დამოკიდებული. თუ სურვილი აქვთ, ქალებსაც ასწავლიან, თუ არა და არა. რათ არის ასე? რატომ ყველა შკოლა ვალდებული არაა ერთნაირად მიიღოს მსურველნი ეაჟებიცა და ქალებიცა? რატომ პედაგოგიურ კურსებზე ქალებიც არ უნდა იყვნენ მიღებულნი? განა ჩვენში ცოტა ქალები არიან, რომლებიც სიამოვნებით იკისრებენ სასოფლო შკოლების მასწავლებლობას, ამ საქმისთვის სპეციალური მომზაება რომ ჰქონდეთ. განა არ მოგეხსენებათ, რომ ევროპაში და მომეტებულად ამერიკაში საუკეთესო და მომეტებული რიცხვი მასწავლებლებისა ქალები არიან? რატომ ჩვენ არ უნდა გამოეცადოთ? თქვენ თვითონვე არ ამბობთ – ჩვენს კაცებში იშვიათათ იპოვნით რიგიანს მასწავლებელსო? ნუთუ ჩვენი წერა-კითხვის საზოგადოება უადგილოთა სახავს ქალების განათლებას საერთო სიკეთისათვის საქართველოში? მე კი ჩემის აზრით, ქალებისთვის უფრო საჭიროდ ვხედავ ქართულის ენის ცოდნას, იმიტომ, რომ ქალი არის პირველი მასწავლებელი შვილებისა; ყმაწვილს თუ ბავშვობიდანვე სიყვარული არა აქვს სწავლისა და თავის დედა ენისა, ის შემდეგშიაც ძნელად შეითვისებს იმას, და თუ ჩვენმა წერა-კითხვის საზოგადოებამ ქართველი ქალების აღზრდა ინსტიტუტსა და სავედენიებს მიანება, სადაც ქალებს სრულიად არა აქვთ ღონის-ძიება, პრაქტიკის უქონლობის გამო, ქართული ენის შესწავლისა, იმასაც ჩქარა მოვესწრებით, რომ ჩვენ ბავშვებს, დიდების მოწყალებით, სასირცხვილოდ მიაჩნდებათ თავის დედა-ენაზედ ლაპარაკი. ამის მაგალითები ახლაც ბევრია ჩვენში. ამაზედ ბევრი დამემოწმება.

წარსულის კვირის კრებაში ვიყავით რამდენიმე ქალი და ვერც ერთმა ჩვენთაგანმა ვერ მოვახერხეთ ხმის ამოღება ქალების გამოსასარჩლებლად. რატომ? იმიტომ, რომ შეეკრთით, ვერ გავბედეთ ხმამაღლა გამოგვეთქვა ჩვენი აზრი, არა ვართ ქალები შეჩვეული საზოგადო საქმეებში მონაწილეობის მიღებას.

იმედი გვაქვს, საქართველოს წერა-კითხვის საზოგადოება მიიღებს მხედველობაში ამ აზრს და შემდეგისთვის მისცემს ღონის-ძიებას ქართველ ქალებს თავის დედა-ენის შესწავლისას; ეგონებთ, საქმითაც

მალე გამოსნდეს, რომ ეს საზოგადოების ზრუნვა უსარგებლოთ არ ნაიკლის. ეკატერინე გაბაშვილი“.

სულ მალე ქალებისა და ვაჟებისათვის საერთო სკოლების იდეით მოხიბლული მკითხველი ასეთ პასუხს აქეყენებს:

“... წერა-კითხვის გავრცელების საქმეში ქალებს ისტორიულად ჰქონდათ მნიშვნელობა და ზემო-ხსენებულმა საზოგადოებამ ეს მნიშვნელობა მუდამ მსედველობაში იქონიოს, ისარგებლოს ქალების სწავლის ხასიათით და იმ ნიჭით, რომელიც ამათ აქვთ სწავლებაში, წერა-კითხვის ცოდნის გადაცემაში.

წერა-კითხვის მცოდნე კაცი თითქმის ყოველთვის მარტო თავის-თავის არის, სხვას ათასში ერთხელ ასწავლის. ქალი კი, თუ თვითონ იცის წერა-კითხვა, უეჭველია ყველა თავის შვილებსაც ასწავლის.

სამწუხაოა, რომ ეს არ ესმის ზოგიერთ ჩვენ ესრედ-წოდებულს განათლებულებსაც: “წერა-კითხვის საზოგადოების“ უკანასკნელ კრებაზედ ბ. აბდუშელიშვილმა სხვათა-შორის შემდეგ სიტყვა თქვა: “საზოგადოებამ ალბათ შეკისთვის გარდაწყვეტა და ხონში საქალებო სკოლა გახსნაო“.

ამისთანები ბევრი არიან ჩვენში. ჯერ სავაჟო სკოლები უნდა გაიხსნას და მერე თუ შეძლება იქნება საქალებოვო!

ყველა ამ მოსაზრებით, ჩვენ ვეთანხმებით ეკ. გაბაშვილის მსჯელობას და ვამბობთ: “საქართველოში წერა-კითხვის საზოგადოება ძალიან კარგს იქმს, თუ თავის უმთავრეს ყურადღებას ამჟამად საქალებო შკოლების გამაროვას მიაქცევს.

მხოლოდ ერთი პატარა შენიშვნა გვაქვს ეკ. გაბაშვილისათვის: ჩვენის აზრით, ბათუმში ჯერ-ჯერობთ საჭიროა მარტო სავაჟო კარგი შკოლა: მაჰმადიანებში, სადაც ქალი კაცს ისე ეკიდება, როგორც ცეცხლს, შეუძლებელია საეროო შკოლის გამაროვა“.

ამ წერილს ხელს აწერს ვინმე “ს. მ.“ (სავარაუდოდ ეს **სოფრომ მგალობლიშვილია,** რომელიც გამოირჩეოდა თავისი პროგრესული, ჰუმანისტური იდეებითა და პოსიციით იმდროინდელ საზოგადოებრივ დისკუსიებში – ლ.გ.).

ასეთივე პათოსით არის დაწერილი **სერგეი მესხის** სტატია “რა დაუკარგავთ ქალებს და რას დაძებენ ისინი“, სადაც ავტორი მიმოიხილავს ქალთა მოძრაობის გამოცდილებას ამერიკაში, ინგლისსა და გერმანიაში: სამოქალაქო და პოლიტიკური, განათლებისა და შრომის უფლებების მოპოვების გზას, ქალის სტატუსს ოჯახსა და საზოგადოებაში. “... არცერთ ქვეყანაში ქალები ისე ენერგიულათ და ისეთი ჭკუით არ მოჰკიდებიან თავიანთ საქმეს როგორც ამერიკაში. ამიტომაც იმათ ბევრი უფლება სწორეთ ძალით წაართვეს კაცებს. ნიუ-იორკის სასოფლო შკოლებში სულ 26000 მასწავლებელია და იმათში 21.000 ქალია. მასაჩუსეტში 4.000 მასწავლებელში 2.500 – ქალია. ასე რომ, მთელი სახალხო განათლება თითქმის მარტო ქალების ხელშია.

... ამრიკაში ძალიან ბევრი ისეთი საშუალო სასწავლებელი და შკოლაა, სადაც ქალები და ვაჟები ერთათ სწავლობენ; ხშირათ 15-16 წლის ახალგაზრდა ქალი და 18-20 წლის ემაწვილი კაცი ერთათ სხედან... საქალ-ვაჟო სასწავლებელში არასოდეს არც ზნეობის დამრღვეევი და არც საზოგადოთ გასაკიცხი რამ შემთხვევა არ მომხდარა.

... რას იტყვიან ჩვენში მარტო ახალგაზრდა ქალი და ვაჟი რომ დაინახონ ერთად ცალკე ოთახში? ..."საქმეს არიგებენ, სიყვარულს უცხადებენ ერთმანეთსო". ჩვენ ისეთი თვალით ვუყურებთ ქალებს, რომ მართლა იმათ ნახვის დროს, პირუტყვული გრძნობის დაკმაყოფილებისა და არშიყობის მეტი აზრში არაფერი არ მოგვდის. საზარელია ამისთანა შეხედულება ქალზე. ...შარშან წინ (1869 წელს – ლ. გ.) პეტიცია შეიტანეს ქალებმა კანონმდებელ კრებაში აგრეთვე იმათი უფლებების (არჩევნებში მონაწილეობის უფლება – ლ. გ.) მინიჭებაზე. მაგრამ ისიც უნაყოფოთ დარჩა...

...გერმანიაში, ბერლინში არის ერთი ლიცეი, სადაც ახალგაზრდა ქალები და ვაჟები ერთათ დაიარებიან ლექციების მოსასმენათ. პრუსიაში უთვალავი საქალებო შკოლაა.

...ესპანეთში ქალები დაიარებიან მადრიდის უნივერსიტეტში; იმათთვის იქაური პროფესორები ცალკე ლექციებს კითხულობენ.

...რუსეთში, 1868 წელს ოთხასზე მეტმა ქალმა შეიტანა ქაღალდი უნივერსიტეტში და ქალებისთვის ლექციების სმენის ნებას თხოულობდა. სახალხო განათლების სამინისტრომ უპასუხა მათ, რომ ქალებისთვის სხვა საკუთარი სასწავლებლებია გახსნილიო. ქალების უნივერსიტეტში შესვლა კი ჯერ უდროოთ დაინახა და ამიტომ უარი უთხრა პეტერბურგის ქალებს".

დასავლური გამოცდილებისა და ქალთა საკითხების აქტუალიზაციის ისტორიული, თანამედროვე სურათის აღწერის შემდეგ ს. მესხი ასკვნის, რომ სამი ფუნდამენტური უფლება - განათლების, შრომისა და არჩევნებში მონაწილეობის, არის ის ბაზისი, რომელზეც უნდა დაშენდეს ქვეყნის მომავალი.

"...ყველასათვის, ვისაც კი გონება მამა-პაპური ასრებითა და ცრუ მორწმუნეობით არა აქვს დახშული, ცხადათ დამტკიცებულია, რომ ქალი კაცის თანასწორად არის გაჩენილი, რომ იმის დამონება, სხვა-და-სხვა უფლებების წართმეეა, სიკეთის მაგივრად ენებს კაცობრიობას და აფუჭებს იმის ბუნებას და ხასიათს, როგორც საზოგადოთ გაფუჭებეულია ყოველი, "მონისა" და "ბატონის" ბუნება და ხასიათი; დამტკიცებულია, რომ ქალი მარტო შვილოსნობისთვის, ტკბილი გრძნობებისათვის და ქეეყნიერების დასამშვენებლათ კი არ არის გაჩენილი; დამტკიცებულია ათასი მაგალითებით, რომ ქალის ტვინსა და ხელსაც ისეთნაირათ შეუძლიათ კაცობრიობის სასიკეთო მოქმედება და მუშაობა, როგორც კაცებისას. ერთი სიტყვით, დამტიცებულია, რომ ცხოვრებაში ქალს თითქმის ყველა იმ მოვალეობისა და საქმის ასრულება შეუძლია, რასაც ამეამათ მხოლოთ კაცები ასრულებენ. მაშ, თუ ეს ასეა, რატომ ყოველგვარი უფლება, ყოველი საქმე მარტო კაცებსა აქვთ მინდობილი? რატომ არიან იმათ მოკლებული ქალები? ნუ თუ ჩვენ ცხოვრებაში ქალებისათვის საქმე აღარ არის, ნუ თუ მართლა თავის ცხოვრების გაუმჯობესებისთვის და ბუნების გამოსაყენებლათ კაცობრიობას იმდენი მამობრივი სქესის ტვინი და ხელი აქვს, რომ ქალების შრომა იმისათვის სრულიათ საჭირო აღარ არის?.."

სწორედ ამ რიტორიკულ შეკითხვაზე პასუხს წარმოადგენს სერგეი მესხის მიერ აღწერილი ქალთა მოძრაობები ევროპასა და ამერიკაში: ქალების სწრაფვა და გარჯა სამოქალაქო, პოლიტიკური უფლებების

მოსაპოვებლად, განათლებისა და დასაქმების ხელმისაწვდომობის მისაღწევად.

1882 წელს ახალი დისკუსიის საბაბი გახდა **აკაკი წერეთლის** წერილი, სადაც იგი ქალების გადაგვარებაზე საუბრობს და თავში ხელებს იცემს – რა გვეშველებაო. ცხადია, არაფერს ამბობს იმაზე, თუ რას აკეთებდნენ მისი თანამედროვე ქალები საზოგადოების კულტურის სასარგებლოდ და გადასარჩენად. წერილს მალევე გამოეხმაურა **ქუთაისელი ქალი** (სავარაუდოდ ის იყო იმ დროს ქუთაისის ქალთა წრის რომელიმე წარმომადგენელი: **ეკატერინე ლორთქიფანიძე, ანასტასია ნიკოლაძე, ეკატერინე მელიქიშვილი, ელენე ლორთქიფანიძე, ანა მესხი** – ლ. გ.).

"ვაი თქვენი ბრალი საცოდავო ქალებო, ვაი თქვენი ცოდვა! ვერც ერთს გაზეთის ნომერს ვერ წაიკითხავთ, რომ თქვენზედ საყვედური არ ეწეროს, არც ერთი საათი არ გავა, რომ ყოველი კუთხიდან ქვას არ გესროდენ ბრალიანიცა და უბრალონიცა; ზოგიერთნი იმ დასკვნაზედაც მისულან ჩვენდა სამწუხაროდ, როგორც თავადი აკაკი წერეთელი, რომ ქალებზედ ლაპარაკი არ ღირსო. მე არ დავმალავ იმას, რომ ჩვენი ქალები საზოგადოთ უფრო უქმი წევრები არიან საზოგადოებისა, ვინემ კაცები. მათში ნახავთ ზნეობით უფრო დაცემულოსაც, მეჭორესაც და სხვა ცუდი ზნეობის მქონესაც; მაგრამ ვკითხავ მე თავადს აკაკი წერეთელს, რა მიზეზია ქალების ზნეობით უფრო დაცემისა? ეს თანშობილი თვისებაა მათი, რომ ქალები ამ მდგომარეობაში არიან, თუ სხვა რამ მიზეზია?! მე გაბედვით შემიძლია ვსთქვა, რომ თითონ ქალები (დღევანდელი თაობა, რასაკვირველია) ისეთივე დამნაშავე არიან თავიანთ დამცირებაში, როგორც აკაკი წერეთელია დამნაშავე იმაში, რომ ის თავადი წერეთელია. რისი ბრალია ქალების დამცირება? – იმისი, რომ მათ არ მისცეს არც განათლება, არც უფლება, არც რიგიანი მიმართულება, ისევ იმ კაცებმა, რომელნიც ლაპარაკსაც აღარ კადრულობენ მათზე.

...ესეც მიბრძანეთ, ვინ ატყუებს ქალს, ვინ აშორებს მას ოჯას, ქმარშვილს, ვინ ამცირებს მას ზნეობით? იგივე კაცი, რომელიც მას პირში ელაქუცება, ღმერთი ხარო, ეუბნება და მერე სიცილს აყრის. განა ქალს შეუძლია გარყვნილი შეიქმნეს, რომ კაცი არ ჰყავდეს მას მოზიარეთ? მაშასადამე, რატომ მარტო ქალს ჰკიცხავენ უფრო გარყვნილობისთვის და კაცს არა? ეს იმიტომ ხდება, რომ საზოგადო აზრს ყოველთვის კაცები შეადგენენ და მათი ინტერესია თავი დაიმალონ და თავიის მწვირე უფრო სუსტს – უფლებამოხდილს სქესს გადაახოცონ. მოსპეთ, ბატონებო, ქალების დამცირების მიზეზი და, მერწმუნეთ, შედეგი თავისით მოისპობა. გვიბრძეთ ჩვენ ის უფლება, ის აღზრდა, რომელიც თქვენ მიგიღიათ და მერე ვნახოთ, თუ უკან ჩამოგიდგებით. მოდით, ამხანაგური ხელი მოგვეცით, ძმურათ შემოგვეხეოდეთ, ადამიანთ გვიცანით და არა თავის გასართობ ნივთად, და მაშინ, მერწმუნეთ, ქალებიც მოახერხებენ თავიანთის დანიშნულების ასრულებას და აღარც არავის შეეზიზღება მათზე საუბარი. ქალი"

ავტორს მალევე უპასუხა აკაკიმ, რომელიც პირველი წერილის სულისკვეთებით XIX საუკუნის II ნახევარში მომხდარ ყველა პროგრესულ ცვლილებას მამაკაცებს მიაწერს და "ქალს" მიმართავს: "დღეს, ღვთისმადლით, ქალებიც არიან თითო-ოროლა, რომ ჩვენ სჯულსედა

დგანან, მაგრამ თქვენ ვერც იმათ იცნობთ. ისინი არც სილამაზით არიან თქვენ ზედ ნაკლები, არც გულით და არც გრძნობით. იმათი ახალგაზრდობაც ხალისსა და ქეიფსა თხოვს, მაგრამ დრო და ჟამს რომ უყურებენ, ასე ამბობენ: ქვეყნის მომავალს და მის სიკეთეს რომ არ დავეხმაროთ, უსინდისობა იქნებაო! შედგომიან საქმეს და შეძლებისდაგვარათ კიდეც ცდილობენ, რომ გააკეთონ რამე. თქვენის წრის ქალებზედ კი კარგა ხანია გულგატეხილები ვართ!.. შრომისა და თანაგრძნობას არა გთხოვთ, მხოლოდ ნუ სცდილობთ, რომ ჩვენ მტრებთან ერთად ხელი გვეშალოთ და გვაბრკოლოთ! ეჰ, მეტს ნუღა გვათქმევინებთ, ქალბატონო! სულ რომ ჩამოვთვალოთ თქვენი ცოდვები, მაშინ მელნათ შავი ზღვა მოგვინდება, საწერლათ იალბუში და კალმათ თქვენი გრძელი ენა — ნურას უკაცრავათ მართლისათვის...

პირადათ თქვენი პატივისცემის მოსურნე აკაკი."

გაზეთის "შრომა" მეფელეტონემ იგრძნო რა, რომ მამაკაცებს აბსოლუტურად არ ესმოდათ ქალების არგუმენტები და მაინც თავისას გაიძახოდნენ, გამოაცხო ფელეტონი, სადაც ქალებს პირაპირ მოუწოდებდა უფლებების ძალით მოპოვებისაკენ, რაზეც "ქალი" პასუხობს:

"რა აქვთ წინააღმდეგი ქალსა და კაცს ერთმანეთს შორის, რომ საჭირო იყოს ძალადობა? განა იგინი ორივე განუშორებელი ადამიანები არ არიან? განა მათი ინტერესები რამეში განიყოფება მათს სოციალურს მდგომარეობაში? კაცს განა არ უნდა ესიამოვნებოდეს, რომ მისი ამხანაგი ქალის გონება და ზნეობა გახსნილი იყოს, რომ მის ოჯახში მაღალ სასწავლებელში გაზრდილი ქალი უვლიდეს და სწერთნიდეს მის შვილებს, რომ მისი ამხანაგი მკურნალობდეს, პროფესორობდეს, პედაგოგობდეს და სხვა. იშრომეთ, ბრძანებს "მეფელეტონე", მაგრამ შრომას სწავლა, მზადება არ უნდა? მერწმუნეთ, ბატონო მეფელეტონეებო, რომ რომელი კაციც ქალის უფლებების მოხდას ისურვებს, ის პირველად თავის თავს, თავის ოჯახის მტერია, თავის ინტერესებს არღვევს. ქალი"

ამ პასუხსმა აღაშფოთა და მოთმინებიდან გამოიყვანა პეტერბურგში მყოფი **დავით კეზელი**. მისი ისტერიკა გამოწვეულია შემდეგ მიზეზებით: ს) ვიღაც "ქალი"-ს გამბედაობით ეკამათოს თავად აკაკი წერეთელს, ბ) ვიღაც ქალების სურვილით იყვნენ პედაგოგები, პროფესორები, ექიმები. წერილს თან ერთვის ეპიგრაფი "Стыдить лжеца, шутить над дураком и спорить с женщиною – все тоже, что черпать воду решетом. От сих троих избавь нас боже!". ლერმონტოვის ამ სიტყვების გარდა კეზელი იხსენებს ილია ჭავჭავაძის სიტყვებსაც: "ჰე, ქართვილის დედავ, დედა ქართველისა, უწინ მამულსა უსრდიდა შვილსა!". ამის შემდეგ მისი რჩევები უფრო პროსაული ხდება.

"უმორჩილესათ ვსთხოვ ჩვენებურის ქალების მოსარჩლე მანდილოსანს, ეს ჩემი ჩარევა პირად პოლემიკაში არ მიიღოს. ღმერთმა დამიხნას ამ გვარის რეგვნულის გამბედაობისაგან! ის მირჩევნია, ღამე მთვარეს შევეყეფდე და დღე — მზესა და მომავალს ღრუბლებს, ან შავი ზღვის ცხრილით ამოხაპვა განვიძრახო, მინამ ქალს მეცნიერული ბაასი გავუმართო, როგორის ჭკუის და განათლებისაც უნდა იყოს ის...

...თუ გინდათ ღირსეულად ატაროთ ქართველის ქალის ერთხელ ქვეყანაზედ განთქმული სახელი, გამოირეკეთ თავიდან ოცნებები ექიმობაზედ, პროფესორობაზედ და ეცადეთ, შეიქმნათ დროის შესაფერი

დედები. ამისათვი საჭიროა დაწვრილებით შეისწავლოთ თქვენი სამშობლოს წარსული, ძველი ხალხების და განსაკუთრებით რომის ისტორია. იქ შეგხვდებათ მრავალი დიდების ღირსნი მანდლოსანნი, რომელთა წაბაძვაც დღეს თქვენი მოვალეობაა! ამერიკელ და ევროპელ ქალებთან თქვენ თვალის სარგო არა გაქვთ, ამიტომ რომ QUOD LICET JOVI, NON LICET BOVI (რაც ნებადართულია იუპიტერისთვის, არ შეიძლება ხარისთვის — ლ. გ.).

...სამშობლოს, მშობლებს და თქვენს ნამუსს ნუ სცვლით აფიცრის მუნდირზედ. თვალებში ნუ მოგიგროვებიათ ჭკუა და რაც ბრჭყვიალებს, ყველა ოქრო ნუ გგონიათ. მერწმუნეთ, არც მუნდირი სჯობია ჩვენს ჩოხას და კაბას, არც იმის მცმელი ჩოხის მცმელს. ერთი სიტყვით, თქვენ'ში ჯერ ქართველი ქალი იცანით და მერე ქალი სა'ზოგადოდ.

...დასასრულს, ბოდიშს მოვიხდი თქვენთან 'ზოგიერთ მკვახე სიტყვისთვის, თუმცა, მერწმუნეთ, მეტის ღირსნი ხართ. რომ სიმხდალეთ არ ჩამომართოთ ჩემი გვარის მოუწურლობა, ან ფსევდონიმის ამოფარება, გთხოვთ იცნობდეთ და არ დაივიწყოთ თქვენი მონა-მორჩილი, დავით კეზელი, პეტერბურგი, 21 თებერვალი."

80-90-იანი წლების პერიოდიკა სავსეა შეურაცხყოფილი ქალების გამოხმაურებებით მამაკაცების გაავებულ კრიტიკა'ს'ე, სადაც ღირსების დამცავი არგუმენტებთან ერთად ისმის სამომაელო მოწოდებებიც თანამშრომლობის დასაწყებად და გასაღრმავებლად. 1893 წელს ჟურნალი "კვალი" აქვეყნებს **ბარბარე ჯორჯაძის** წერილის "ორიოდე სიტყვა ყმაწვილ კაცების საყურადღებოდ", სადაც ეს განწყობილება საუცხოოდ ნათლად არის ფორმულირებული.

"პირველიდანვე დაწყებული ყოველი კაცი დედაკაცების გაკილვაში ყოფილა და არის; ყოველივე ბრალეულობა ქალს მიაწერეს და დიდად ცდილობენ ეს თავის ამხანაგი ყოვლის გ'სით დაეცაო და დაემდაბლებინაო. სიყრმიდანვე ამას ჩასძახოდენ "შენ, რადგან შემოქმედს ქალად დაუბადებიხარ, შენი წესი ეს უნდა იყოს: ხმაგაკმენდილი ჩუმად იყო, არავის შეეხედო, არსად წახვიდე, ყურები დაიხშო, თვალები დახუჭე და იჯექი, ბუსმა რომ თვალები ამოგჩიჩქნოს, ხელი არ გაანძრიო; სწავლა და სხვა ენებით განათლება რა შენი საქმეაო". თითონ მამაკაცმა კი შეისხა ამპარტავნობის და ზვაობის ფროები, დაიჭირა ერცელი ასპარე'ი და სთქვა: "მე რადგან კაცი ვარ, გავსწავ, გავქუსლავ ცის კიდემდის, ჩემი დამაბრკოლებელი არა არის-რა, ვიმჭერმეტყველებ, ვისწავლი, ყოველგვარი თავისუფლება და ქვეყნის მფლობელობა მიპყრიაო". გაიყართოვა გზა და დედაკაცი ვითომ ვალდებულებაში ჩააგდო, თუ მე არა, ლუკმას ვერ შესჭამო — რა იყო უფრო დაემონებინა. მართალია, დედაკაცისთვის ბუნებას არ მიუცია ერცელი ასპარე'ი, მაგრამ ეს მაშინ, როდესაც შეიქმნება დედად და კისრად დააწვება ოჯახის მოვალეობა; მაგრამ გათხოვებამდის კი უნდა ჰქონოდა ქალსაც თანასწორი აღ'ზრდა და მიმართულება, რომ შესძლებოდა თავის თავის ცხოვრება და ქმრის უღელის გაწევა. მამაკაცმა ოჯახშიაც კი არად ჩააგდო დედაკაცის შრომა, უპირატესობა თვით დაიპყრო და ყურები გამოუჭედა: "თქვენ ჭკუა არა გაქვთ, არა გაქვთ გული და გრძნობა, არც არა გესმით, გამოყრუებული და გამოფ'შუტურებული ხართ, თქვენ თვალებს თვალის ჩინობა არ შეუძლიან, ხართ დაუნდობელნი, მოღალატენი და ყინ მოსთვლის,

რა არ უწოდებია კაცს, ამ კაცის სათაყვანებელი არსებისათვის, რომელიც არის დედა, ცოლი და ასული. თითქოს ქალი და კაცი განგებას ერთი ძალით და ერთის ბუნებით არ შეექმნას! ის მხოლოდ, როდესაც ქალს ეტრფიალებოდა, მაშინ ამკობდა სიტყვებით: "მ'სე ხარო, მთვარე, ვარდი და ზამბახიო".

...საბრალო ქალებს იმ დაჩაგვრით მაინც ვერ დაუთრგუნეს ნიჭი და გონება: თუ განათლება არ მისცეს, თავიანთ დედაენაზედ მაინც კარგად და საძირკვლიანად შეეძლოთ ნათელი მსჯელობა, და საქმიანობა, ვინ იყო მწიგნობრობის პატრონი და წერა-კითხვის გამავრცელებელი ჩვენში, თუ არა ქალი, როდესაც კაცები მამულის დასაცველად თოფ-იარაღ'სედ იყენენ დაყუდებულნი?

...დღეს კი სხვა ქვეყნებიდან ჩვენშიაც შემოვიდა ახალი დრო განათლებისა და აყვავებისა; ახლა მაინც ჩვენმა კაცებმა დაანებონ თავი ზეაობას და მეშურნეობას, მისცენ თავიანთ დებსაც თანასწორი სწავლა და მიმართულება, რომ შეეძლოთ კიდეც კვალში ჩადგომა და ანგარიშის მოთხოვნა თანამედროვე ქალებისა, თორემ ძველ დედაკაცებს სამარის მეტი ვეღარა გაგვასწორებს რა და ახალი თაობის ქალებიც ღვაწლსა და შრომას არ შეუდრკებიან თუ კი საქმეს უშველიან რასმე".

ბარბარე ჯორჯაძის ეს წერილი ნამდვილი "მემკვიდრეა" ქართული ენის მოდერნიზაციის შესახებ 1861 წელს გამართული დისკუსიისა. **ილია ჭავჭავაძის** პასუხი კონსერვატორთა წინააღმდეგ ბესარიონ ბელინსკის სიტყვებით იწყება: "Из нашей литературы хотят устроить бальную залу и уже зазывают в нее дам, из наших литераторов хотят сделать светских людей в модных фраках и белых перчатках, энергию хотят заменить вежливостью, чувство – приличием, мысль – модною фразою, изящество – щеголоватостью, критику – комплиментами". ამას მოსდევს მწერალი ქალის მისამართით გამოთქმული სხვადასხვა ეპითეტი: "კნ. ბ. ჯორჯაძის ლექსები: ეგ ხელოსნობაა და არა ხელოვნება", "თუ "ცისკარი" უვარგისია, კიდევ თქვენგან, ყვავებო, ფარშევანგის ფრთებითა, ბულბულებო ყორნის ჩხავილითა!" "ეხლა რომ კაცმა ჰსწეროს, ცოდნის და განათლების გარდა, ნიჭიც უნდა ჰქონდეს!.. ეს რომ ჩვენ მწერალ ქალს არ ესმის, – ეგ გასაკვირელი არ რაის, რადგანაც ბევრიც სხვა არ ესმის და ანბანის თეორეტიკაზედ აუშენებია თავის ხელოვნება და შინიდგა ფეხი არ გაუდგამს". "მე იმისთვის ელაპარაკობ ეგრე სასტიკად, პირმოუფერებლად, რომ უნიჭონი და ამასთან უსწავლელნიც თავის ოთახიდან ფეხს ნუ გამოდგამენ გარეთ, ლიტერატურაში, ამას ვთხოვ ხალხის სახელითა, ხალხისვე სახელის დაცვისთვის!.."

"უნიჭო და ამასთან უცოდინარი მწერალი არა მარტო ენას ახდენს, ამასთან გონებას, გემოვნებას, გულს და სულს მკითხველისას. ამას ჩვენ მწერალ ქალს არ მივაწერთ, რადგანაც მაგათ არც წახდენა შეუძლაით რისიმე და არც გაკეთება."

"ესტეტიკური, სენტიმენტალური, დრამატიზმი და სხვანი – ეს სიტყვები საჭმელად მიუღია ამ მწერალ ქალსა. მე აქ არა მეთქმის რა ამის გარდა, რომ ეგ სიტყვები სუსტ არსებისათვის ძალიან ძნელი მოსანელებელია".

"ძალიან გვიხარია, რომ ჩვენი მწერალი ქალი აღარ აპირობს ჩემ'სედ პასუხის დაწერას და, თუ პოეტობასეც ხელს აიღებს, – ღმერთი, რჯული – დიდ ღვაწლს მხოლოდ მაშინ დასდებს ჩვენს "ცისკარს"".

"სულ შინ მჯდომელს სხვა რა საქმე უნდა ჰქონდეს, თუ არა მაგისთანა კეთილგონიერი მასხარაობა განათლებასედ. მაღალ სასწავლებელს დაბალი გონება ვერ მისწვდება, ტყუილია!"

"...თუ კნ. ბ. ჯორჯაძისას არ ესმის ეგ სიტყვები, ჩემი რა ბრალია. მიბრძანებს, აგვიხსენიო: მე არაფრის მასწავლებელი არა ვარ და ნამეტნავად ანბანისა, რომ ეგენი აგიხსნაო..."

დაკვირვებული თვალი/გონება იოლად აღმოაჩენს ილიას გაღიზიანების უხილავ მიზეზებს: ქალი კრიტიკოსის გამბედაობა, მისივე მკაფიო არგუმენტები. ეს ფსიქოლოგიური, გაუცნობიერებელი საფუძვლები აპირობებს მწერლის სურვილებს, რაც ბარბარეს სახლში ჯდომასა და მისი ოთახიდან გამოუსვლელობაში, ლექსების წერის თავის დანებებაში ვლინდება. მიუხედავად ამისა ჯორჯაძის პასუხი თანხმობასა ორიენტირებული

"შინიდამ კარში არ გამოსულხართ და უნივერსიტეტის გაელენის ქვეშ არ ყოფილხართ – ვითომც არ ვარგოდეთ. ვითომც თქვენი ნაწერი იყოს უასრო, უსაგნო, ტვინიერ ყოველის მშვენიერებისა, ყოველის ხელოვნებისა...

მე არასოდეს არა მწადდა, როგორც აღვითქვი კიდეც, მიმეცა პასუხი თ. ილია ჭავჭავაძისათვის, თუ რომ იქნებოდა ჩემი რამდენიმე ასრი დარღვეული ზრდილობიანის და განათლებულის კალმით, მაგრამ რადგან ჭავჭავაძეს პასუხის შორავს ზრდილობას და უშვერებით დაუბადებია ახალი ენა, უეჭველია ამ ახალს ენას პასუხი მოეთხოვება...

დიდო პოეტო! ახლა კი დრო არის შევრიგდეთ. დალოცვილო, კარგათ იცით და დარმწუნებული ხარო, აქ მტრობა არ არის რა, არც ემასედ და არც მამულსედ, არამედ მცირედი დავა სიტყვიერების ღირსების დაცვასედ და, ეს შერიგებაც ამით იქნება. თქვენის სურვილისამებრ, როგორც თქვენ თვითონ ინებეთ, შედგენილი გვაქვს ჩვენ და ჩვენთა მოძმეთა კვარტეტი კრილოვისა, მაგრამ ჩვენდა საუბედუროდ ერთი გვაკლია, – მომღერალი. იმედი გვაქვს, როგორც პოეტი და კარგი მაღალხმოვანი, მიიღებთ მონაწლეობას და ამასთანაეე დაგვარიგებთ თუ როგორ დავსხდეთ... ახლა კი მშვიდობით და თუ გსურსთ კიდეე მეორედ ნახვამდინ".

წერილის (პასუხის პასუხი) ასეთმა დასასრულმა ცხადია დააცხრო "გაბრაზებული" ილია, მაგრამ ქალი-შემოქმედის მიუღებლობა კიდეე მრავალჯერ გამოვლინდა. 1886 წელს მან დაწერა რეცენზია ბ. ჯორჯაძის პიესაზე "რას ვეძებდი და რა ვიპოვე", რომელიც ჯერ კიდეე 1867 წელს გათამაშდა ქუთაისის თეატრში და მას შემდეგ წარმატებით იდგმებოდა. (მონაწილეობდნენ ნატო გაბუნია, მაკო საფაროვა, ვასო აბაშიძე, მანანა ჯორჯაძე, დავით აწყურელი).

"ეს პიესა, როგორც გვითხრეს, ამ ექვსის წლის წინ დაწერილა... ჩვენის ფიქრით, ურიგოს არ ი'სამდა თეატრის ეხლანდელი გამგეობა, რომ, თუ შეიძლება, იშვიათად შეაწუხონ ხოლმე ეს პიესა..."

ამას მოჰყვება მსახიობთა ოსტატობის კრიტიკა, ქალების კოსტიუმების დაწუნება და დავით აწყურელის ქება.

სამწუხაროდ, კრიტკოსთა და მკვლევართა თვალმა ვერ შეამჩნია ბ. ჯორჯაძის პიესები: "შური", "სარკით მოტყუება", "მშვენიერი კეკელა", "მკითხავი". დაიკარგა მისი სახელმძღვანელო "დასაწყისი სწავლისა",

რომელიც მრავალი წლის შრომის შედეგი იყო და ანბანის შესწავლის მარტივ, რაციონალურ ფორმას გვთავაზობდა.

თუმცა ბარბარე ჯორჯაძის კალმით და ილია ჭავჭავაძესთან პოლემიკით მოხიბლულმა დიმიტრი ბაქრაძემ, მას სპეციალური წერილი "ქართველი ქალები" მიუძღვნა, რომელიც 1861 წელს დაიბეჭდა და ბევრი საზოგადო მოღვაწე გამოეხმაურა.

1894 წელს გაზეთის "ივერია" ფურცლებზე ნამდვილი ბრძოლა გაიმართა. არტემ ახნაზაროვის (ფსევდონიმი "ჩიორა") წერილი ისევ ქართველ ქალთა "სიაყეთა" აღწერას მიეძღვნა და მათი "დანამუსება" სცადა მაჯორი უორდროპის მაგალითით, რომელმაც ჩინებულად შეისწალა ქართული ენა და ეს მაშინ, როცა "უღირსმა შვილებმა" ანუ ქალებმა დაივიწყეს იგი. თერთმეტმა "ბრალდებულმა" გასცა პასუხი ბატონ "მოსამართლეს". გთავაზობთ მნიშვნელოვან ფრაგმენტებს ამ შერკინებისას, რომელსაც ახნაზაროვმა ვეღარ/აღარ უპასუხა.

ბარბარე სულხანიშვილი: "...ვისი ბრალია, რომ მზითევში ხელთნაწერ "ვეფხის ტყაოსნის" მაგიერ გაყიდულ მამულ-დედულის გირავნებით აღებული ვალი მიგვდევს? ვისი ბრალია "ვეფხის ტყაოსნის" ადგილი პოლ დეკოკის და ამისთანების რომანებმა რო დაიჭირეს ქართველი ქალების ცხოვრებაში? ვისი ბრალია, რომ ტკბილი ქართული ენა წაირყვნა? ვისი ბრალია, რომ ქართველმა ქალმა სვაფრად დაიწყო ჟღურტული და ქართული აითვალისწუნა? რომელი უფრო წინ მოხდა: ივანეს ვანიუხად გადაკეთება თუ მარიამის მაშინკად გადაქცევა?"

ვარდროპი თუ შემკულია მრავალი ღირსებით, პატივი და დიდება ინგლისელ მამაკაცთა საზოგადოებას და თუ ჩვენ, ქართველი ქალები მოკლებულნი ვართ ღირსებას, და ამის ნაცვლად ბევრი ნაკლულოვანება გვაქვს, ქიმუნჯის ღირსი თქვენგან შემდგარი საზოგადოებაა, ბატონო ჩიორავ".

ეკატერინე გაბაშვილი: "...ეხლა ქალებს მომეტებული უფლება აქვთ, მომატებული ღონე კაცებს არ გეექელვინოთ (სწავლა ყველას ათანასწორებს) და საჭიროება მოითხოვს ქართველებისათვის, რომ წინაც გაუსწროთ. განა ქალები საუკეთესო მქადაგებელნი არ ყოფილან ყოველს კეთილის მოძღვრებისა ჩვენში? განა მრავალი მაგალითი არ არის ჩვენს ისტორიაში, რომ დედა-კაცს აღედგინოს ის, რაც დროთა ვითარებას დაექციოს? განა ქართული ანდაზა არ ამბობს: "დედა-კაცის აგებული ღმერთმაც ვერ დააქციაო".

...დე, ჩვენ იმათ ვუსაყვედუროთ, იმათ ჩვენ გვისაყვედურონ და ერთმანეთის ქიშპით საერთო საქმე, საერთო იდეალი, საერთო სურვილი თვით არსებისა უკეთ მოვაწყოთ, უკეთ ვაწარმოეოთ".

ბარბარე ხერხეულიძე: "ბატონმა "ჩიორამ" მხოლოდ ვარდროპის ღირსებები აღნიშნა და არა ინგლისის საზოგადოებისა, რათა არ გაგვხსენებოდა ქართული საზოგადოება. თქვენ არ ინებეთ თქვენი თაყი შეგედარებინათ ინგლისელი მამაკაცებისათვის და არ ინებეთ იმიტომ, რომ თქვენს თავს თქვენვე ვერ გაამტყუნებდით და ან დარიგების დრო როგორ იქნებოდა? აბა როგორ ამოსწერდით იმ ადგილს ბატონ ეაზიანის წერილიდან, სადაც მისტერ კელტი ამბობს: ჩვენ გვქონდა ცუდი ზნე-ჩვეულებანი, ამგრამ იცით ვინ გაგვაკეთილშობილა ასე? განუსაზღერელდ

კეთილმა და კაცთმოყვარე დიკენსმა, კაცთმოყვარე ჰოვარდიმ, გადვინმა, რობერტ ოვანმა, ჯონ სტიუარტ მილმა, შელლიმ, გლადსტონმა და სხვათა".

იმედი გაგიცრუვდათ "ჩიორა"... ველით თქვენ მიერ აღძრული საგნის გარჩევას როგორც თქვენგან, ისე სხვა პირუთვნელ კაცთაგან".

ახალგაზრდა მხედარი (მ. თოიძე): "...ქეყანაში შექმნილ ვითარებაში ქალებიც და კაცებიც დამნაშავენი ვართ. მაგრამ ამ ვითარებას აქვს მიზეზები: ისტორიული, პოლიტიკური, საზოგადოებრივი და სხვა...

მთელს ჩვენს სამშობლოში ხომ ძნელად მოიპოვება იმისთანა ყმაწვილი კაცი, რომელსაც ეწყინოს, რომ იმის საცოლეს ქართული წიგნები აქვს და იმათი კითხვა უყვარს. რაც შეეხება "მუჭა-მუჭა ასიგნაციებს", თუ გნებავთ, რომ უიმისოთ გასხო

შემოკლებამ მოაძებნინოს რედაქტორს ჩვენგან უკვე გამოტირებული ნაღვაწი...“

ქართველი ქალი (ქუთაისი): “ქალები იმიტომ დაემგვანენ პეპლებს, რომ ოჯახის მოყვარულ და მორცხვ ქალს არავინ ყურადღებას არ აქცევს. არც მძიმე და კეთილშობილის ხასიათის ქალებს, რომელნიც ქმრის ერთგულნი და კარგი დედანიც იქნებოდნენ! პეპლები უკეთ მოეწყვენენ და ყველამ იმათ წაბაძა. ვინ აიძულა ეს ქალები, რომ ამისთანა გზას დაადგნენ? ნუთუ არა ეხლანდელმა კავალრებმა?! ქართული ენა იმიტომ დაივიწყეს, რომ თუ რუსულად არ ეკუკჭუკნენ კავალრებს, თავი ვეღარ მოაწონეს...“

ბარბარე ხერხეულიძე: “...ლოტო-ვეჩერებში მოსიარულეები არიან უმცირესობა, ხოლო უმრავლესობას კი გამრჯელები შეადგენენ, რადგან უწინდელი მუქთი ძიძები არა გვყავს. უმრავლესობა ოჯახებში ქალები შვილებსაც უელიან,ოჯახსაც,მუშა გუთნის – ჯერსაც, ლობიო-შეჭამანდს თეიოონ ამზადებენ და მათ შორის ბევრია სწავლა-დამთავრებული...

თქვენი საქმისთვის თქვენვე უნდა შეწუხდეთო. არა, ბატონო, თქვენ ხართ მოვალენი და თქვენ უნდა ეცადოთ ჩვენს დაწინაურებას, რადგან თქვენა სდგეხართ ცხოვრების სათავეში ყოველთვის და ყველგან. იმედია, არ გვეტყვით: თქვენთვის არ შევიწუხებთ თავსო“.

ზემოქართლელი ქალი (ელისაბედ ჩერქეზიშვილი – ლ. გ.): “...მაშ ჩვენი ქალები არ არიან დამნაშავენი, რომ ქართულის ენას არა ჰკადრულობენ, ქართულს ჟურნალ-გაზეთს თვალით არ გაიცდიან, ქართულ თეატრს ითვალწუნებენ, ქართულს ჩაცმა-დახურვას თაკილობენ, ოჯახს და მამულს არ პატრონობენ, ქმრებს ყელთამდის ვალში აგდებენ. იმათი ფიქრია მხოლოდ ლოტოსა და ბანქოს თამაში,“ბალი“ და “ვეჩერები“, “მოდა-მოდის“ გამოცლა, ვარდ-კაჭკაჭებსე ბაასი, “კავალრები“, “პიკნიკები“ და სხვა დროს გატარებანი?

...დროა, ეგონებ, გონებაზედ მოვიდეთ, გამოვეფხიზლდეთ, მაიმუნურს ქცევას თავი დავანებოთ, ჩვენს ყოფა-ცხოვრებას ჩავუკვირდეთ და ისე გავიხადოთ საქმე, რომ საქებნი ვიყენეთ და არა საკიეინებელნი და საკიცხაენი“.

მარიამ საგინაშვილი: ეს არის წავიკითხე თქვენი პასუხი, ქალბატონო ბარბარე! შენიშენას მაძლევთ, რომ უკუღმა დაგინახავთ ჩვენი ცხოვრებაო. ღმერთმა ჰქნას, ღმერთმა ჰქნას, რომ მართლა ასე იყოს და ეხლანდელი ქალები მართლა ისე იქცეოდნენ, როგორც თქვენა ბრძანებთ და როგორც ივალებს ქართულის ოჯახის მოვალეობა და საჭიროება!.

...და თუ მართლა ეს საჭირო ჩვეულებანი (ქალის მიერ ოჯახის გაძღოლა, შვილების აღზრდა, ქმრის მოელა – ლ. გ.) განდეენილნი არ არიან ჩვენის ოჯახებიდგან, მაშინ ის-ღა დამრჩება, რომ გულწრფელად მოვიხადო ბოდიში ქალებისა წინაშე და იმათთან ერთად “ვებრძოლო“ კაცებს, როგორც დამნაშავეთ “ჩიორას“ მიერ აღძრულ საგანში“.

ეკატერინე გაბაშვილი: “...რა იდეალი გაქვთ თქვენ, რომ ჩვენ არა თანავეგრძნობთ? რომელ რაზმს გავუძღეეთ ან რომელს მივდიოთ? წადით თქვენ და თუ ვერ მოგყვეთ, მაშინ გვიკიეინეთ! და თუ თქვენ თვითონ ტორტმანებთ, მაშასადამე, ორთავეს ერთად, თქვენც და ჩვენც ჯერ ჩანჩალი, უფერულობა, ძილმორეულობა გეხვდა წილად და ერთმანეთს ნურას ეუსაყვედურებთ...

...დღეს თქვენ სირახაეთ დედა-კაცს რომ იმას თვალები შეძლებული საქმროს დასაჭერათა აქვს დაჭყეტილი. ეგ მართლაც საირახისია და ზნეობით დაცემის ნიშანია, მაგრამ ის მხოლოდ მაგიერს გიხდით თქვენ! თქვენ, რომლებიც დედა-კაცის პატივს და ღირსებას მხოლოდ იმის მ'სითვის რაოდენობით ზომავთ".

ამ პოლემიკამ აშკარად გამოკვეთა/გამოაჩინა/დაადგინა ქალთა თანასწორუფლებიანობის მიუღებლობა "მამების"-თვის. თუმცა საკითხის გაუცნობიერებლობამ, მასში სინათლის შეტანის სურვილის არ არსებობამ განაპირობა აგრესია, რომელმაც დაბადა დისკუსიის ახალი მოდელი: არგუმენტები მეცნიერებიდან "ქალის/ქალურის" არასრულფასოვნების შესახებ. ამის ნათელი მაგალითია ჟურნალ "მოამბე"-ში გახშირებული პუბლიკაციები. იმასთან დაკავშირებით, რომ ქალების გამოსელა ს'ზოგადოებრივ ასპარეზზე ბუნების საწინააღმდეგო ქმედებაა და პირველ რიგში, თვით ქალების წინააღმდეგ მუშაობს. ამ აზრის დემონსტრირებას ახდენს გულიელმო ფერეროს "მესამე სქესი"-ს გადმოქართულება 1895 წელს და ექვთიმე ვაშაკიძის სტატია "დედათა კითხვა თანამედროვე მეცნიერების წინაშე", რომელიც 1897 წელს გამოქვეყნდა.

გულიელმო ფერერო: "ერთი რამ ფრიად საყურადღებო გარემოება ემჩნევა ამ საუკუნეში ინგლისის ცხოვრებას, სახელდობრ, გარემოება, რომ დედაკაცნი მიესიენენ მამაკაცის მოქმედების ასპარეზს და ეცილებიან იმ ნაირ საქმეებში, რომელიც დასაბამითვე კაცის საქმედ ითვლებოდა...

...თუ ასეთი გასათხოვარი ქალები ამნაირს უნარს იჩენენ ცხოვრებაში, ეს იმის მიზეზია, რომ პსიხიურად ნამდვილი ქალნი აღარ არიან, არამედ მესამე სქესისანი, შუათანა სქესისანი, რადგან ქალის უმთავრესი დანიშნულება თავიდან მოუშორებიათ და ამის გამო ქალური ხასიათი ძლიერ შესცვლიათ...

...აქ არ შეიძლება არ გაოცდეს კაცი, როცა დაუკვირდება ერთს შესანიშნავ გარემოებას საზოგადოების ცხოვრებისას. ხშირად საზოგადოება, მისდა შეუმჩნეველად, გამოიყენებს ხოლმე საკუთარს სნეულებას (იგულისხმება გაუთხოვრობა – ლ. გ.) თავის სასიკეთოდ. ცხოვრების წყაროდ ჰქმნის იმ ნაწილს თავის სხეულისას, რომელიც დაჭირიანებულია. უეჭველია, რომ ამოდენა მანდილოსანთა გაუთხოვრად დარჩენა უაღრესად პატოლოგიური (სნება-შეპყრობილი) მოვლენაა, მაგრამ ჩვენ ვხედავთ, რომ ინგლისის საზოგადოებამ სასიკეთოდ გამოიყენა ეს სნეულება თვისი აგებულებისა. შეჰქმნა თავისუფალი ორგანიზაცია მოწყალებისა, სამადლო საქმის ქმნისა, რომელიც სხვა, გარეშე აზრით არ ხელმძღვანელობს და ამიტომ არის ფრიად შესანიშნავი".

ექვთიმე ვაშაკიძე: "...თვით ბუნება ადებს ქალის აგებულებას "veto"-ს... თუ საშუალო რიცხვი ადამიანის ავადმყოფობისა წელიწადში გამოიხატება ორმოცი დღით, ქალისთვის ამ რიცხვს უნდა დაეუმატოთ ორმოც დღემდის კიდევ. ეს ძლიერ საგრძნობი ციფრია... ამ დროს (იგულისხმება მენსტრუაციის დღეები – ლ. გ.) ქალის ტვინი მოკლებლი არის საკმარის სისხლის მოდენას თავში. და კარგად ვიცით, რომ ყოველი ინტელექტუალური შრომა მოითხოვს საკმარისს სისხლის რაოდენობას ტვინში...

...ასე თუ ისე მძიმეობა მთელი 9 თვის განმავლობაში ქალისათვის მძიმე ტვირთია, რომელიც უშლის მას სხვა რამე მძიმე ტვირთის კისრებას.

მართლაც, ფიზიოლოგიური სურათი ამ მდგომარეობისა რომ მივიღოთ სახეში, ცხადია იქნება, რომ ყოველი მომეტებული შრომა ქალისათვის მავნებელი იქნება...

...მშობიარეს გვამში მყოფ შთასახულის ზრდისათვის საჭირო არიან სისხლის საუკეთესო ნაწილნი, რომლის ხარჯვაც შეუმჩნეველად არ რჩება ტვინის მდგომარეობისათვის.

...თუმცა ეს ფიქრი ძლიერ სასიამოვნო კი არ არის, რომ საზოგაოდ ქალის ტვინის განვითარებს მუდამ შუა ალაგი ეკავება ბავშვებისა და მამაკაცების შუა... კერძო გვამის ჭკუიანობა, სარა ბერნარის, სოფიო კოვალენსკი და სხვების, ცოტას ნიშნავს. არის ადამიანი, რომელიც განვითარებით მაიმუნს ჩამოუვარდება, მაგრამ აქედან შორს უნდა ვიყენეთ იმ დასკვნამდის, რომ მაიმუნი ადამიან სუდრის ჭკუა-გონებით.

...ერთიანად მიღებული ქალის ჭკუა და გონება არ უდრიდა და არც შეედრება მამა-კაცის ჭკუას და გონებას. ქალი მაშინ გაუმკლავდება მამა-კაცს, როდესაც უარყოფილი იქნება მისი სქესობრივი ბუნება.

...ადვილი მოსალოდნელია ქალის ცხოვრების პირობების გამოცვლამ შეჰქმნას უნაყოფო, მაგრამ გონებით მდიდარი ქალი. ეს უნაყოფობა ეხლაც იჩენს ცოტ-ცოტად თავს.

...ჩვენს ქალებზე თუ ჩამოვარგდებთ ბაასს, მათი ზნეობრივი მოვალეობა საზოგადოების წინაშე უფრო რთულია... თუმცა ჩვენი ქალები არ იწუხებენ თავს საპოლიტიკო და საეკონომიო უფლებებისათვის... საშუალო წრიდან დაწყებული მაღალ წრემდის ქართველმა ქალებმა უსაქმობის გამო არ იციან რა ქნან.

...მიიღო ჩვენმა ქალმა საშუალო სწავლა თუ არა, მას დრო და გარემოება უწყობს ხელს საზოგადო სწავლით შეავსოს ერთმხრივი სწავლა. ამის შემდეგ მის სასიქადულო ასპარეზად უნდა გახდეს ჩვენი ოჯახი...

...ენის მხრით შეწუხებული, ეკონომიურად დაქვეითებული ჩვენი ოჯახი შეუძლია მხოლოდ ქართველმა ქალმა ააყენოს, მაგრამ უბედურებაც იმაში მდგომარეობს, რომ ის უფრო უწყობს ხელს ენის შელახვას და ოჯახის ეკონოიურად დაცემას... ამ მხრით ჩვენი ძველი დედები უფრო ყურადღების ღირსნი არიან; მათში უფრო მეტია ქალობაც და ოჯახის და საზოგადო საქმის შეგნებულობაც.

...რიგიანი ზნე-ჩვეულების განმტკიცება, უსომო ფლანგიეს შეჩერება და ამ ნაირად ოჯახის ეკონოიურად აყენება, ბავშვის რიგიანად აღზრდა, — აი მართლა ნამდვილი ღვაწლი ჩვენი ქალებისა, რომელნიც ჩვენი ცხოვრების ყოველგვარი უკუღმართობის სახეში მიღებით, შთამომავლობაში ძეგლად დაედგმით მათ. მაგრამ გასწევენ ამ ღვაწლს ჩვენი ქალები?"

აი ასეთი არგუმენტირებული სკეფსისიო გაამაგრეს ინტელექტუალებმა 19-ე საუკუნეში გამართული დისკუსია ქალთა ემანსიპაციის, მათ მიერ უფლებების მოპოვების შესახებ. ეს "მეცნიერული" შტურმი არ დარჩენილა უპასუხოდ. რამოდენიმე დღეში ჟურნალმა "კეალი" დაბეჭდა ვინმე "ოლ-და"-ს პასუხი (მიუხედავად ჩემი დაუღალავი, "არქეოლოგიური" ძიებისა, ვერ ვიპოვნე ცნობა მისივინაობის შესახებ, თუმცა სავარაუოდ იგი **ოლღა გურამიშვილია**, ნიკო ნიკოლაძის მეუღლე, რომელიც მაშო გურამიშვილთან,

ეკატერინე მელიქიშვილთან და პელაგია ნაცვლიშვილთან ერთად სწავლობდა ციურიხში 70-იან წლებში).

ოლ-და: "დედათა კითხვა არის კითხვა სოციალური და არა ფიზიოლოგიური, როგორც ფიქრობს ბატონი ვაშაკიძე. ვინც სხვებრ უყურებს ამ კითხვას, ის ან განგებ იფარებს გონების თვალზე ხელს ან არა გაეგება მისი. რაკი ეს ასე გახლავთ, დედათა კითხვის გადაწყვეტისათვის უნდა მივმართოთ საზოგადოებრივ ცხოვრებას და არა ქალისა და კაცის ტვინს. ადამიანის ტვინის სიძლიერე, მისი ავ-კარგიანობა ცვალებადია. იგი სრულიად დამოკიდებულია იმაზე, თუ ვინ როგორ, რა პირობებში ავარჯიშებს თავის ნიჭს და ტვინს.

...არიან თუ არა გადაბმული ქალის ხერხემლის ძვლები, ვინემ მამა-კაცისა, მეტია თუ ნაკლები ქალის ტვინი კაცზე — ემანსიპაციური მოძრაობა არ შეჩერდება, რადგან იგი გამოწვეულია ფულის მოპოვების საჭიროებით გარეშე ოჯახისა და გაგრძელდება მანამდის, სანამ მისი გამომწვევი პირობები არ მოისპობა.

...მეცნიერება გვიმტკიცებთ, რომ ნიჭით თანასწორობა კი არ არის მიზეზი ან პირობა ეკონომიკური, პოლიტიკური უფლებით თანასწორობისა, არამედ პირიქით — საზოგადოებაში ნიჭის, გონების, ძალის უთანასწორობის მიზეზი სწორედ ეკონომიკური და პოლიტიკური უთანასწორობაა".

გაზეთ "ივერიაშიც" მკითხველი ქალი (ფსევდონიმით "ვინც უნდა ვიყო"), ამხელს ექვთიმე ვაშაკიძის უსამართლო და უსაფუძვლო "ქვითინს" წარსულ დროებასა და დედებზე, მაშინ როცა თანამედროვე ცხოვრებამ გამოაჩინა მოღვაწე და ერის მოამაგე ქალები, რომლებიც წარსულის ნანგრევებში ხეტიალს ახალი დროის მოთხოვნებისათვის თვალ-ყურის დევნებას არჩევენ და ამითვე ირჩევენ პროგრესს და პროგრესულობას.

...თანამედროვე ცხოვრებამ შეჰქმნა ისეთი ქალები, რომელთაც უსაქმობა არა სჩვევიათ და, მაშასადამე, არც ფლანგვა. ფლანგავს ის, ვინც არ იცის რა არის შრომა, ვისაც სხვისგან მოპოვებული ქონება აქვს, ვინც არ ჩარეულა ფერხულში!..

...როდესაც ჩვენ არარაობას ამტკიცებს ავტორი, შემდეგ იდეალურად გვისახავს ძველ ქართველ ქალებს. ეს ახალი არ არის ჩვენთვის. არ არის არც ერტი ქართველი მწერალი, რომელიც თვალცრემლიანი არა ჰგოდებდეს ჩვენს არარაობას და იდეალად ძველ ქალებს არ გვისახავდეს.

ნუთუ ერთი ბრწყინვალე რამ არ იპოვება ჩვენს აწმყოში მომავლის საიმედოდ, რომ აღნიშნონ იგი?! გვარგია კი იდეალად ჩვენ ძველი ქალები? ცხორება იცვლება მაშინ, როცა ყველა წინ, მერმისისკენ იცქირება და მიისწრაფება, ჩვენ გვეუბნებიან: "ნანგრევებს ჩააშტერდითო, წარსულს ჩაუკვირდით, იქ იპოვით ქალის იდეალოს". დროის მოთხოვნილება კი გამოიცვალა. ძველი ქართველი დედა ხმალს აძლევდა შვილს ხელში, დრო იმას თხოულობდა, კარგად იცოდა ხმლის მიწოდება. ჩვენ კი თანამედროვე იარაღი უნდა მივცეთ ჩვენს შვილებს ხელში. ამიტომ ნანგრევებში კი არ უნდა ვქექოთ ჩვენი იდეალი, ჩადრი კი არ უნდა წამოვისხათ, იდეალად უნდა დავისახოთ ევროპელ ქალთა შესანიშნავი წარმომადგენლები და ჩვენც იმათსავით ავმაღლდეთ გონებით".

ამ წერილს ერთვის გაზეთის მესვეურთა შეშინებული კომენტარი: "ავტორს ძველ დედათა სიკეთე და ღირსება მარტო ხმლის მიწოდებაში დაუნახავს და ახალი თაობის ქალები კი ყოვლად უნაკლოდ მიაჩნია.

ებეჭდავთ ამ ახალთაობის მომხრე ქალის წერილს და აღვიარებთ, რომ დიდად სამწუხაროა, თუ ყველა მისის ხნის ქალნი ამ აზრისა არიან“.

ეს პოლემიკა დააგვირგვინა 1898 წელს გამოქვეყნებულმა ილიას წერილმა “პატარა საუბარი“, სადაც ავტორი მკაცრად დაუპირსპირებს ერთმანეთს ცნებებს: “დედა-კაცი“ და ქალი“. პირველის მნიშვნელობას განმარტავს, როგორც ქართული ცნობიერების საფუძველადმდებარე კონსტრუქციას, სადაც “ქალურობა“ გაიგივებულია “ადამიანურობასთან“ და სტატუსით ბევრად აღემატება “ქალს“, რომელიც რუსული “баба“-ს იდენტურია.

“... “დედაკაცის“ ქალამდე“ ჩამოსელა და “მამაკაცის“ “ვაჟამდე“ — ცხნოსნის დაქვეითებაა, დიდისა პატარად გარდაქმნაა, გარდაცველაა აზრისა და სამცნების ჩამოდნობაა, დაფუყვაა. მამაკაცი კიდევ ბევრს არას დაჰკარგავს, რომ “ვაჟამდე“ ჩამოხდეს. ვაჟს კიდევ მიეკერება სახელი კაცისა. “ქალი-კაცი“ არ ითქმის, არ მოდის, არ ეხერხება ენას. იქნებ იმიტომაც, რომ ქალი მეტად სუსტია და თან ვერ ატარებს, ვერა კუიდავს “კაცის“ მძიმე სახელს. თუნდაც ეგრეც იყოს, აქ სიტყვა არ უხდება საგანს და საგანი სიტყვას. ქალი ქლაიღაა და თითქო არა კაცისად ქალობა და სად დედაკაცობა!.. ქალისათვის ეს წუთისოფელი სასეირნო წალკოტია, დედაკაცისათვის — სახლია პატიოსანი შრომისა, მინდორია სახნავ-სათესი, ყნაია სამკალი, ძნაა სალეწი, სარბიელია საომარ ჭკუითა და მარჯვენითა. ქალი უფარ-ხმალო დედაკაცია, დედაკაცი ფარ-ხმლიანი ქალია და სად მოელენ ერთმანეთთან!.. ვაი, რომ დედაკაცნი წავინენ, აღარ გეყვანან და მარტო “ქალები“-ღა დაგერჩნენ და, ჩვენის ფიქრით, აქ არის სხვათა შროის სათავე ჩვენის უბედურებისა“.

არადა, ამ ახალი ქალების რიცხვი საკმაოდ დიდია: ისინი ჩართულები არიან საგანმანათლებლო კამპანიაში, ცოდნის კერებს აფუძნებენ საქართველოს ყველა რეგიონში და ხელს უწყობენ კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების, დაცვის, განვითარებისა და გადაცემის საქმეს.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფილიალებში მოღვაწე ქალთა საქმიანობა მოიცავს როგორც სკოლების და სასწავლო პროცესის ორგანიზებას, ასევე ქველმოქმედებას. ღარიბი ოჯახებისა და მარგინალური ჯგუფების დასახმარებლად. ამ “შეუმჩნეველ“ შრომაში ჩართულები იყვნენ:

ანა ღოღობერიძე-მუსხელიშვილი
ანასტასია თუმანიშვილი-წერეთელი
ეკატერინე თარხნიშვილი-გაბაშვილი
ოლღა გურამიშვილი-ჭაეჭაეაძე
ოლღა გურამიშვილი-ნიკოლაძე
ეფროსინე არდაზიანი
ბარბარე მაჭავარიანი-წერეთელი
ნინო აბაშიძე-ორბელიანი
ეკატერინა მელიქიშვილი-მესხი
ანასტასია ერისთავი-ხოშტარია
მარიამ ორბელიანი
მარიამ ვარდოსანიძე
სოფიო ყულოშვილი
მარიამ დადიანი-ანჩაბაძე
მარიამ ყაუხჩიშვილი
ელენე ბახტაძე
ანასტასია დავითაშვილი-მაჩაბელი
ელენე ყიფიანი-ლორთქიფანიძე
სოფიო არგუტინსკაია-ამირეჯიბი
ბარბარე ხერხეულიძე-ავალიშვილი
ელისავეტა ორბელიანი
ნატალია აზიანი (დონდაროვა)
ნინო ჭილაშვილი-ყიფიანი
ნინო ტატიშვილი-ყიფიანი
მარიამ დგებუაძე-ფულარია
პაულინია დგებუაძე-დადიანი
ბარბარე ერისთავი-ჯორჯაძე
ანასტასია ერისთავი-კახიძე

ნინო ქობულაშვილი
ნინო ნაკაშიძე
ელისაბედ თულაშვილი
თამარ ჯორჯაძე
თინათინ ფორაქიშვილი
ანასტასია ამირაჯიბი
ნინო ჩერქეზიშვილი
ნინო უგრელიძე

ეს არის ძალიან უმნიშვნელო ნაწილი იმ ქალებისა, რომელთა წელილი დღემდე შეუფასებელია.

აღწერილი პოლემიკები ნათლს ჰფენს "ქალისა" და "ქალურობის" კონცეფციების/გაგებების პატრიარქალურობას 19-ე საუკუნის საქართველოში. არა მგონია, რომ ამ დისკურსულ მოდელებს რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება განეცადოთ ერთი საუკუნის განმავლობაში. ამის მიზეზები შემდეგია: 1) 20-ე საუკუნეში არ მომხდარა გენდერუილ/ქალთა საკითხების ქართული სოციო-კულტურული თაეისებურებების პრეზენტაცია/რეპრეზენტაცია და სწორედ ამიტომ "დედო მტევერი" წარსულში არსებულ განწყობებს, ტექსტებს და ცნობიერ/არაცნობიერ ხატებს; 2) სოციალისტურმა საბურველმა კიდევ უფრო "დაამშვიდა" და "გააბრუა" რეეოლუციამდე არსებული ბობოქარი ენებები ახალი, ემანსიპაციის ტენდენციების წინააღმდეგ; 3) პოსტსაბჭოთა პერიოდის საქართველოში კი ეს დისკუსია/დისკურსები უფრო ხელოვნური და ნაძალადევია, ვიდრე ეს იყო 19-ე საუკუნეში.

რაც ეხება "женский вопрос"-ს საქართველოში,მას იგივე ბედი ეწია, რაც დემოკრატიას და სოციალურ სამართლიანობას. ეს მდგომარეობა არაჩვეულებრივად აღწერა ნატალია ა'სიანმა (დონდაროვა) თაეის წერილში "ინტერვიუ ქალბატონ დემოკრატიასთან".

"დემოკრატიის დამცველთა" უსამართლობით გულგაწყალებული ნატალია გადაწყვეტს პირდაპირ ინახულოს ქალბატონი დემოკრატია და აღმოაჩენს, რომ იგი საშინელ გაჭირვებაში ცხოვრობს ორივე ქმრისგან მიტოვებული. (პირველი ქმარი-თვითმპყრობელი, ხოლო მეორე-მენშეეიკი)

"– ეგ არაფერი, – დაუმატა მან (ქალბატონმა დემოკრატიამ) ოხვრით, უბედურება ის არის, რომ მესამეთ მიპირებენ გათხოეებას! რა ვიცი, ეიღაც ბოლშევიკი გამოჩენილა, ეხლა ის მეარშიყება, დიდ ბედნიერებას მპირდება, მაგრამ რა ვქნა, როგორ გავბედო?..

– აღარ გათხოვდე, შე უბედურო, იკმარე მაგდენი ქმრები! შევბედე მე სიბრალულით და ნაღვლიანათ დავბრუნდი სახლში".

შეუძლებელია რაიმე პრობლემის გადაფასება, თუ ის, რაც იყო და ის, რაც გაქვს არ შეაფასე. სწორედ ასეთი სამუშაოს პრელუდიაა ეს სტატია. მის გაგრძელებას სულ მალე შემოგთავაზებთ ერცელი მონოგრაფიის სახით, რომელიც ქართულ კულტურაში ქალების დავიწყებული/მივიწყებული/იგნორირებული წელილს მიეძღვნება. წარმოაჩენს "**დედათა კითხვის**", "**женский вопрос**"-ის და "**ქალთა საკითხის**" ისტორიას საქართველოში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გაბაშვილი. ე, მოთხრობები, თბილისი, 1983
2. ჭავჭავაძე. ი, თხზულებანი, ტ. V, თბილისი, 1981
3. მაიაშვილი. გ, რჩეული ნაწერები, ტ. II, თბილისი, 1968
4. თავზიშვილი. გ, რჩეული პედაგოგიური თხზულებანი, თბილისი, 1977
5. სახოკაია. თ, ჩემი საუკუნის ადამიანები, თბილისი, 1984
6. ჯორჯაძე. ს, წერილები, თბილისი, 1989
7. ქიქოძე. გ, რჩეული თხზულებანი, ტ. I, თბილისი, 1963
8. გაჩეჩილაძე.ს,ნარკვევები 19-ე საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, თბილისი, 1952
9. ჭილაია. ს, მეოცე საუკუნის ქართული მწერლობა, თბილისი, 1956
10. გეარამაძე. ს, თეატრალური მემუარები, თბილისი, 1949
11. ასათიანი. ლ, ლიტერატურული ნარკვევები, თბილის, 1974
12. მოგონებები აკაკისე, თბილისი, 1990
13. აბაშიძე. ტ, მოგონებანი, თბილისი, 1954
14. ანთაძე. დ, თეატრალური ზესტაფონი, თბილისი, 1978
15. ჩხეიძე. ნ, მოგონებანი, თბილისი 1956
16. თუშიშვილი. გ, მთვარის ჩრდილები, თბილისი, 2002

სარქივო მასალები

გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერტურის სახელმწიფო მუზეუმი
(ხელნაწერები)

1. ე. გაბაშვილის არქივი
2. ნ. აზიანის არქიეი
3. ნ. ყიფიანის არქიეი
4. ს. მგელაძის არქივი
5. მ. გარიყულის (თათეიშვილი) არქიეი
6. ს. წერეთლის არქივი
7. ი. ჭავჭავაძის არქივი
8. ნ. ორბელიანის არქიეი
9. ბ. ჯორჯაძის არქივი

საქართველოს სახელმწიფო სათეატრო მუზეუმი

1. ე. გაბაშვილის არქიეი
2. ნ. ნაკაშიძის არქივი
3. ტ. აბაშიძის არქიეი
4. ფ. ქორიძის არქიეი
5. კ. ფოცხვერაშვილის არქიეი
6. შ. დადიანის არქივი

ქართული ჟურნალ-გაზეთების პერიოდიკა

1. ჟურნალი "ივერია", 1880-83 წელი

2. ჟურნალი "მოამბე", 1894-98 წელი
3. გაზეთი "ივერია", 1897-99 წელი
4. ჟურნალი "ცისკარი", 1862-65 წელი
5. ჟურნალი "მნათობი", 1869-72 წელი
6. გაზეთი "შრომა", 1881-83 წელი
7. გაზეთი "Кавказ", 1852-55 წელი

Summary of the article:
"Mother's Question" and/or "Women's Question" in Georgia - by Lela GaprindaSvili

The article highlights the features of the ideas of western emancipation and enlightenment movement in Georgia, dating back from the 19th century. Women were the main organizational force of this "New Charter". But the discourses, started about women issues of that period show that these efforts were not evaluated. Furthermore, it was not noticed at all.

The main themes of articles, written by men were facts of forgetting mother language and of refusing the traditional functions and role by women. Every such polemics was ended by "paternal" advices appealing remembering and imitation of the forerunner women's examples.

Women's reaction on it made possible the realistic vision of analysis of causes and effects of social/public processes, from the one hand and the position, oriented on future, on changes and progress – from the other hand.

The invalidity of the reality-based arguments made the disputing men to apply to "scientific" arguments. They started translation of western authors and popularization of the idea that women's "weakness" was predetermined by biology and that's why public activity and intellectual work were not their business.

So "women's issue" in Georgia was assessed in strictly negative way by the society "Fathers" of that period and quite logically it was called "Women's Question". The same happened to the "zhenskij vopros". It was as false and empty as entire socialist ideology.

Above-represented article is interesting in sense of provided information about enlightenment women. However, the author works on more wide-scale monograph about women's contribution to Georgian culture, which she offers soon.

თამარ კიკნაძე

კულტურა, სქესი, რელიგია

XX საუკუნის 70-იან წლებში წარმოიშვა საზოგადოებაში ქალთა ჩაგვრისა და დისკრიმინაციის მიზეზებისადმი სოციალურ-კულტურული ანუ ე.წ. გენდერული მიდგომის ტრადიცია. ამ თეორიულ მუშაობას, როგორც დასავლეთში მიაჩნიათ, საფუძველი ჩაუყარა ფრანგმა ფილოსოფოსმა-ეგზისტენციალისტმა სიმონა დე ბოვუარმა თავის ნაშრომში "მეორე სქესი". სწორედ აქ დაისვა პირველად საკითხი კულტურაში ფემინურის – ქალურის დათრგუნვის შესახებ. მასში ნაჩვენებია, რომ საზოგადოება აკანონებს მამაკაცურს (მასკულინურს), როგორც პოზიტიურ კულტურულ ნორმას, ხოლო ქალურს (ფემინურს), როგორც ნორმიდან გადახრას.

ქვით მილეთი თავის ნაშრომში "სექსუალური პოლიტიკა" ავითარებდა ს. ბოვუარის ნააზრევს და წერდა კულტურაში ფემინურის დათრგუნვაზე, როგორც პატრიარქატის სოციალურ პოლიტიკაზე. ტერმინი "პატრიარქატი" ქვით მილეთის ნაშრომზე ბევრად უფრო ადრე მოიხსენიება, მაგრამ სწორედ მან მიანიჭა კულტურის ანალიზში ამ ტერმინს ძირითადი ცნების დატვირთვა. ქვით მილეთის გაგებით, პატრიარქატი მამათა ძალაუფლება გახლავთ. ეს არის ოჯახური, იდეოლოგიური, პოლიტიკური სისტემა, რომელშიც ქალური ყოველთვის მამაკაცურს არის დამორჩილებული. ქალების დათრგუნვა მომდინარეობს არა ბიოლოგიური განსხვავებიდან, არამედ ფემინურის, როგორც მეორადის სოციალურად დაკანონებიდან, პოლიტიკა სოციალური ძალაუფლების პარადიგმაა, რომელიც მოწოდებულია, პატრიარქატის წესების შესაბამისად გააკონტროლოს ქალური სუბიექტურობა.

სოციოლოგიაში, პოლიტოლოგიასა და ისტორიაში ცნება "გენდერი" მუშავდება როგორც კლასის ანალოგიური, ფუნდამენტური მასტაბილიზებელი პრინციპი. გენდერული პოზიციიდან სოციალურ-პოლიტიკური პროცესების ინტერპრეტაციისათვის გამოიყენება სოციოლოგიური მოდელები, რომლებითაც აიხსნება სოციალური იდენტურობის ჩამოყალიბების პროცესი და მისი დროითი ცვლილებები, სოციალური ჯგუფების წარმოშობა და დაშლა უთანასწორობის პირობებში, გაბატონებული ჯგუფების კულტურული ჰეგემონიის დამყარება და შერყევა.

გენდერის კონცეფციაში, როგორც სოციალურად კონსტრუირებულ, სიმბოლურად ინტერპრეტირებულ, ისტორიულად ცვალებად მოდელში, აშკარად ჩანს ფრანგი ფილოსოფოსი-პოსტმოდერნისტის ჟაკ დერიდას დეკონსტრუქციის თეორიის გავლენის კვალი. ტერმინი "დეკონსტრუქცია" ნიშნავს მეტაფორების ამოცნობის პროცესს,მაგი იმ ფარული ლოგიკის გამომზეურებას, რომელიც, ჩვეულებრივ, არსებობს, როგორც ცნებათა

ბინარული ოპოზიცია (მამაკაცი-ქალი, სუბიექტი-ობიექტი, კულტურა-ბუნება და ა.შ.). ჟ. დერიდა გვიჩვენებს, რომ არ არსებობს წმინდა განსხვავებები დომინაციის გარეშე, ვინაიდან ამგვარ ოპოზიციაში ერთი მხარე ყოველთვის მეორეს არის დაქვემდებარებული. ტერმინი "დეკონსტრუქცია" აღნიშნავს ზოგადად, ნებისმიერი ცნებისათვის, როგორც იდეოლოგიურად ან კულტურულად კონსტრუირებულისათვის, ფარდის ახდას და არა უბრალოდ ბუნებრივი რეალობის ასახვას.[1]

დერიდას თეორიამ დიდი გაელენა მოახდინა ფრანგული პოსტმოდერნისტული ფემინიზმის წარმომადგენლების – ჰოლენ სისუს, ლუსი ირიგარეს, იულია ქრისოეეოის შეხედულებებზე. ფრანგულ ფემინიზმში გენდერის კატეგორიის ანალიზი დეკონსტრუქციის საშუალებით უფრო ეგზისტენციური და მეტაფორული ხასიათისაა, ხოლო ამერიკულ ფემინიზმში გენდერის კატეგორია სოციალურ და მეთოდოლოგიურ ფუნქციას ასრულებს. გენდერის კონსტრუქციულ კატეგორიაში სქესი კულტურული მეტაფორა ხდება და, როგორც ე. ფი აღნიშნავს, სულისა და ბუნების ურთიერთობას გადმოსცემს. სული მამაკაცია, ბუნება – ქალი, ხოლო შეცნობა აღმოცენდება როგორც ფლობის გარკვეული აგრესიული აქტი: პასიური ბუნება განიცდის განსხეულებას, გახსნას, ადამიანი მის სიღრმეებში შეაღწევს და დაიმორჩილებს. ადამიანის გაიგივება მამაკაცური სახის მქონე შემცნობ სულთან, ბუნებისა კი დაქვემდებარებულ მდგომარეობაში მყოფ ქალთან ყოველთვის იყო და დღესაც არის დასავლეთის კულტურის მთავარი თემა.[2]

"ნეკნიდან შექმნა" ქალზე სერიოზული თავდასხმის საფუძველი გახდა. ბიბლიაში ნათქვამია, რომ მას შემდეგ რაც ღმერთმა შექმნა ადამი, მას უკვდავი სული შთაბერა.

საკითხმა, აქვს თუ არა ქალს სული, სამღვდელოებაში დიდი კამათი გამოიწვია. ბევრი ეჭვსაც კი გამოთქვამდა, არის თუ არა ქალი ადამიანი.

585 წელს მსოფლიო საეკლესიო კრებაზე სპეციალურად განიხილეს ეს საკითხი და დიდი დისკუსიების შემდეგ, მხოლოდ ერთი ხმის უპირატესობით, ფორმალურად სცნეს, რომ ქალს აქვს სული. ასეთი მართლაც "გმირული" აღიარება შესაძლებელი გახდა საღმრთო წერილის წყალობით, სადაც მითითებულია, რომ ძე ღვთისა, იესო ქრისტე, იმავდროულად იყო ადამიანის შვილი, ვინაიდან მისი დედა ადამიანი იყო.

მიუხედავად ამისა, ზემოთ აღნიშნულ გადაწყვეტილებას შემდგომშიც ეჭქვეშ აყენებდნენ და საუკუნეთა შემდეგ ამ საკითხის განხილვას ისევ და ისევ უბრუნდებოდნენ. 1690 წელს ფრანკფურტში გამოვიდა წიგნი "ქალი ადამიანი არ არის", 1750 წელს კი ლაიფციგში გამოჩნდა წიგნი "საყურადღებო საბუთი იმისა, რომ ქალი ადამიანთა მოდგმას არ მიეკუთვნება". შუა საუკუნეებში შეინიშნებოდა ე.წ. "კუდიანებზე ნადირობა". ინკვიზიციის მიერ დასჯილ მამაკაცთა და ქალთა რაოდენობას მკვლევარები 1:20, ზოგი 1:100, და 1:1000 შეფარდებითაც კი განიხილავდა.

---

[1] Derrida S., Grammatology, J. Hopkins Univ. Press, 1976. gv. 56

[2] Fee E. Critiques of Modem Sñience: the Relationship of Feminism to Other Redical Epistemologies|| Feminist Approaches to Science, gv. 44

აი, როგორ განისაზღვრებოდა ქალის როლი წიგნში "ცოლ-ქმრული ცხოვრების შესახებ", რომელიც ევროპაში გამოვიდა 1943 წელს: "ქალის მოვალეობა მისი ქმრის მიმართ მდგომარეობს იმაში, რომ ემსახუროს მას მორჩილად, იყოს მოკრძალებული საუბარში და ჩაცმა-დახურვაში. ყურადღება მიაქციოს წესრიგს სახლში და აწარმოოს საოჯახო საქმეები."[3]

უკვე XIX საუკუნეში ოგიუსტ კონტი, რომელიც სოციოლოგიის მამამთავრად ითვლება, აღნიშნავდა, რომ საზოგადოებაში ქალის არათანასწორუფლებიანი მდგომარეობა განისაზღვრება "ქალის ორგანიზმის ბუნებრივი სისუსტით. არ შეიძლება არსებობდეს კაცისა და ქალის სოციალური თანასწორობა. ქალის განსაკუთრებული მოწოდება ოჯახური მოვალეობებია."[4] "ბავშვობაში ქალი მამას უნდა ემორჩილებოდეს, მოწიფულობაში – ქმარს, ქმრის სიკვდილის შემდეგ – ვაჟიშვილებს. ქალი მორჩილებისაგან თავისუფალი არასდროს უნდა იყოს – ამბობს ინდოელების "მანუს კანონები".

"მადლობელი ვარ უფალო, რომ შენ მე ქალად არ გამაჩინე", – იმეორებს ყოველდღიურ ლოცვაში ორთოდოქსი იუდეველი.

"ცოლებო, დაემორჩილეთ თქვენს ქმრებს, როგორც უფალს, რამეთუ ქმარი არის ცოლის მბრძანებელი, ვითარცა ქრისტე – ეკლესიის, – გვარიგებს ბიბლია.

ქმრები ცოლებზე მაღლა დგანან იმიტომ, რომ ალაჰმა უბოძა უპირატესობა პირველთ მეორეებზე", – გვეიტყვიცებს ყურანი.

ნათქვამი საკმაოდ დამაჯერებლად ცხადყოფს, რომ რელიგიური სწავლებანი ერთხმად აცხადებენ საზოგადოებაში ქალების დაქვემდებარებული როლის შესახებ. ტრადიციულად რელიგიური მოძღვრებები საყოველთაოდ აშუქებენ საზოგადოებაში ქალის არათანასწორუფლებიან მდგომარეობას, ამიტომაც სრულიად გამართლებული ჩანს იმის მტკიცება, რომ რელიგია უსქესო არ გახლავთ – იგი წარმოშობით მამრობითი სქესისაა.

დღეანდელ პირობებში, როცა ქალი ცდილობს, განავითაროს თავისი შესაძლებლობანი, იგი თავისდაუნებურად, დგება მემკვიდრეობითი, ტრადიციულად მიღებული ემოციური განწყობილების და ორიენტაციის შეცვლისა და გადახალისების წინაშე არა მხოლოდ გარე ოპოზიციასთან ბრძოლის, არამედ საკუთარ თავთან ბრძოლის გზითაც, იმ წინააღმდეგობებთან, რომლებიც მასში ჩამოყალიბებული იყო ტრადიციული იდეალების დაფუძნებით.

საზოგადოებრივ წარმოებაში ქალების ჩართვის განუხრელი ზრდა დამაჯერებლად მოწმობს, რომ ქალთა სოციალური სტატუსის გადასინჯვა ობიექტური აუცილებლობა ხდება. ხსენებული კანონზომიერი ტენდენციის ტემპები და უმტკივნეულობა დამოკიდებულია არა მხოლოდ ეკონომიკურ განვითარებაზე, არამედ იდეოლოგიური ხასიათის ფაქტორებზეც. მათ რიცხვს, კერძოდ, მიეკუთვნება სტერეოტიპები, რომელთა ადამიანის ცნობიერებაში შენარჩუნება უდიდეს წილად დამოკიდებულია რელიგიაზე და მის ინსტიტუტებზე.

---

[3] Burrell B.C. S woman's place is in the House: Campaigning for Congr. In the Feminist Era. – Ann Arbor: Univ. Of Michigan press, 1996 – (5)

[4] Социальная категория пола. Философия. Изд. КРОНН-ПРЕСС., М.,1995 გვ. 67

დღეს ხშირად აუცილებელი ხდება რელიგიური პრაქტიკისა და ტრადიციების გარდაქმნა და ფორმულირების შეცვლა, რათა ისინი შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი თანასწორუფლებიანობის არსთან, რომელიც საფუძვლად უდევს რელიგიურ ტრადიციებს. გასწორების, გარდაქმნისა და ფორმულირების შეცვლის მცდელობანი მთელს მსოფლიოში მიმდინარეობს. მსოფლიოს მოსახლეობის ორი მესამედი თავის თავს რომელიმე რელიგიას უკავშირებს, ამიტომ მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, რომ რელიგიური ხმები ძალ'ხე მნიშვნელოვან როლს ასრულებს და თავისი წვლილი შეაქვს თანასწორუფლებიანი სოციალური სტრუქტურების განვითარების საქმეში. უფრო მეტიც, ვინაიდან ქალების ჩაბმა ცხოვრების ყველა სფეროში დღევანდელი რეალობით არის ნაკარნახევი, რელიგიურ ხმებს რაღაც კონსტრუქციულის შეტანა შეუძლიათ ამ პრობლემის განხილვაში.

შეუძლიათ თუ არა რელიგიურ მოძღვრებებს იმგვარად ტრანსფორმირდნენ, რომ მხარში ამოუდგნენ საზოგადოებრივ პროგრესს, რომლის ერთ-ერთი კომპონენტიც ქალთა დისკრიმინაციის ლიკვიდაციაა. ამ კითხვას სხვადასხვანაირად პასუხობენ.

ერთნი, მეტად კონსერვატულად განწყობილნი, საკითხის ასე დაყენებას უსაფუძლოდ, თვით რელიგიის არსის წინააღმდეგ მიმართულად თვლიან. სხვანი, რომელთა რიცხვიც მეტად მნიშვნელოვანია, მ'სად არიან და მიისწრაფვიან, მოახდინონ ტრადიციულ რელიგიურ მოძღვრებაში რეფორმირება.

ქრისტიანობა თავისი მოძღვრებით და ინსტიტუციური სტრუქტურით თანასწორუფ-ლებიანობის დამცველად მოგვეელინა. ადრე დაწესებული ნორმებისაგან განსხვავებით, იესო ქრისტე ხშირად და ღიად აღიარებდა ქალების ღირსებას. მისი სიკვდილის შემდეგ ისინი მეტად მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ეკლესიის ინსტიტუტების შექმნაში, რადგანაც მთავარი რიტუალი იყო მონათვლა და არა წინადაცვეთა.

ქრისტეს მოწაფეები თემში გაერთიანდნენ. პირველი ქრისტიანული ორგანიზაციები სწორედ თემის სახით არსებობდა. მორწმუნენი აქ ერთნაირი უფლებებით სარგებლობდნენ, თუმცა იყვნენ ხელმძღვანელები – მოციქულები, წინასწარმეტყველები, მასწავლებლები, რომელთაც ასეთი მდგომარეობა მხოლოდ მათი პირადი თვისებების გათვალისწინებით ეკავათ და როგორც ქალს, ისე მამაკაცს შეეძლო, დაეკავებინა გამორჩეული მდგომარეობა. ამ პერიოდის ქრისტიანულ ძეგლებში ხშირად ვხვდებით გამოჩენილი ქალების სახელებს.

ჩვენი წელთაღრიცხვის მეორე საუკუნეში, როდესაც რომში ქრისტიანობა ოფიციალურ რელიგიად გამოცხადდა, ქალებს საბოლოოდ დაეხშოთ გზა საეკლესიო იერარქიასა და თემის ხელმძღვანელობაში. თანასწორუფლებიანობა პატრიარქალური ინსტიტუციური სტრუქტურებით შეიცვალა. ასეთ ცვლილებებს თან ახლდა საღვთისმეტყველო მოძღვრება, რომელიც პატრიარქალურ წესრიგს ღვთის ნებას მიაწერდა და დაჟინებით მოითხოვდა მამაკაცსა და ქალს შორის ისეთ ურთიერთობებს, როცა მამაკაცი ხელმძღვანელობს, ხოლო ქალი მორჩილია.

საზოგადოებრივ ურთიერთობათა პატრიარქალური ხასიათი პრაქტიკულად მრავალი საუკუნის განმავლობაში ბატონობდა.

რელიგიური სამართალი და ინსტიტუტები საყოველთაო პატრიარქალური წესების ურყევ დამცველებად გამოდიოდნენ. მხოლოდ XVI საუკუნემ – რეფორმაციის პერიოდმა, როდესაც ქრისტიანობაში მოხდა რადიკალური ცვლილებები, რომლებიც გამოწვეული იყო ფეოდალიზმის ნიადაგზე ახალი ბურჟუაზიული ურთიერთობების ჩასახვითა და განვითარებით, თან მოიტანა "ფემინისტური აღორძნების" სიო. მოკლე შუალედმა ლუთერსა და კალვინს შორის მოიტანა თავისუფლების გაელვება. ეატრისა გალენდო, ფრანჩესკა დელებრისკა, ეკატერინე არაგონელი, დედოფალი მერი, ანა ბეკონი, ჯეინ გრეი, მარგარეტ როპერი, მერი სიდნეი – აი, რეფორმაციის დასაწყისის რამდენიმე გამოჩენილი ქალის სახელი.

კეთილისმყოფელ გარდაქმნათა სიო, თუმცა ჯერ კიდევ სუსტი და ხანმოკლე, ხელახლა იგრძნობოდა XVIII საუკუნეში, საფრანგეთისა და ამერიკის ბურჟუაზიულ რევოლუციათა პერიოდში, რომელმაც წამოაყენა ლოზუნგი: "თავისუფლება, თანასწორობა და სამართლიანობა". მაგრამ როგორც კი რევოლუციური ქარიშხალი ჩაცხრა, საზოგადოებამ უცებ მიივიწყა გამარჯვებაში ქალების წვლილი. სახელმწიფოს ყველა საკანონმდებლო და აღმასრულებელ ორგანოში უპირატესობა მხოლოდ მამაკაცებს ენიჭებოდათ. ქალები ძველებურად ელემენტარული პოლიტიკური უფლებების გარეშე დარჩნენ.

მხოლოდ XX საუკუნეში მიიღო შეუქცევადი ხასიათი დისკრიმინაციის წინააღმდეგ მიმართულმა მოძრაობამ. ყოველ ათწლეულში, განსაკუთრებით 60-იანი წლების დასაწყისიდან, ის სულ ახალ და ახალ ძალებს იკრებს. მის რიგებში ერთიანდება თანამედროვე საზოგადოების სხვადასხვა წარმომადგენელი.

ქალთა დისკრიმინაციის წინააღმდეგ მიმართულმა რეფორმატორულმა მოძრაობამ ყველაზე დიდი გაქანება სწორედ ქრისტიანულ სამყაროში მიიღო, რაც დასავლეთის ქვეყანების უმრავლესობაში საზოგადოებრივ პროგრესთან არის დაკავშირებული. რეფორმატორულად მოაზროვნე თეოლოგები და ეკლესიის წარმომადგენლები ფემინისტური მოძრაობის ზეგავლენით, და, რაც მთავარია, თანამედროვე საზოგადოებაში მიმდინარე ცვლილებების გათვალისწინებით, წმინდა წერილებისა და ქრისტიანული საზოგადოების ახალ ინტერპრეტაციასაც მიმართავენ იმ მიზნით, რომ უარი თქვან იმ დებულებებზე, რომლებიც ქალების დისკრიმინაციის საფუძველს წარმოადგენს. ამ მოძრაობის უდაო მიღწევაა ქალების დაშვება საეკლესიო ეპარქიაში, თუმცა კონფესიონალურ თემში სასულიერო პირებს შორის ქალთა რაოდენობა ძალიან მცირეა. ისინი, იშვიათი გამონაკლისის გარდა, არ არიან საეკლესიო ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში. როგორც მართებულად აღნიშნავენ ფემინისტი ქალები, ქრისტიანობა ჯერ კიდევ რჩება "მამაკაცთა რელიგიად", რომელიც ქალთა დისკრიმინაციის გამომწვევ სტერეოტიპებს უჭერს მხარს, რასაც შემდეგი წარმოდგენებიც ემსახურება:

უპირველეს ყოვლისა, "ღმერთის სახე", როგორც მამაკაცისა. სინამდვილეში "ძველ აღთქმაში" ღმერთს სქესი არა აქვს. მთელი ისტორიის მანძილზე ეკლესიას მამაკაცები მართავდნენ და თავადვე განმარტავდნენ წმინდა წერილს. ღმერთის ხსენებისას მხოლოდ

მამრობითი სქესის ნაცვალსახელს ხმარობდნენ და ქრისტიანული სამება მამრობითი სქესის ტერმინებისაგან (მამა, ძე და სული წმინდა) შედგება და ა.შ. ყოველივე ამან საზოგადოებრივ ცნობიერებაში წარმოშვა ღმერთის, როგორც მამრობითი სქესის რწმენა.

მეორე, ისტორია ქალის დამორჩილებული მდგომარეობის განჩინებისა, რომლის საფუძველსაც ბიბლიური ამბავი – ადამის ნეკნიდან მისი სამსახურისათვის ევას შექმნა - წარმოადგენს.

მესამე, ქრისტიანულ სიმბოლიკაში ქალი წარმოდგენილია ორი ჰიპოსტასით – ევასა და წმინდა მარიამის სახით. პირველში განსახიერებულია ბოროტება და ადამის შეცოდებისათვის პასუხისმგებლობა სწორედ მას ეკისრებოდა. მეორეში – აბსოლუტური უმანკოება, მარადიული ქალწულობა. ფემინისტებს მიაჩნიათ, რომ ქრისტიანული თეოლოგია ხელს უწყობს სქესის შესახებ მამაკაცური იდეების გამომხატველი სიმბოლიკის გავრცელებას: მეძავი – სექსუალური ბოროტებაა, სექსუალური სიწმინდე – ქალწულობა, სექსუალური აღწარმოებაა – დედა.[5] მერი დეილის სიტყვებით, "ქალის აღწერა ქალწულობის, რძლობის და დედობის კატეგორიებით ნიშნავს მისდამი მიდგომას მარტოოდენ სექსის ჩარჩოებში" მაშინ, როდესაც ასრულ არავის მოსდის კაცის დასახასიათებლად მიმართოს მხოლოდ "უმწიკველო ქმრისა და მამის" კატეგორიებს.[6]

მეოთხე, მამაკაცთან შედარებით ქალის უფრო დაბალი ბუნების "ღვთიური მტკიცებულება" (რასაც ქალის დამორჩილებული მდგომარეობა უნდა შეესაბამებოდეს) ქრისტინული ეკლესიის მსახურებმა ამოიკითხეს პავლე მოციქულის მიმართვებში. ისინი ხშირად მოიხსენიებენ პასაჟებს პირველი კორინთელებისადმი მიმართვიდან, რომლის თანახმად, ქალს ეკრძალება თავსაბურავის გარეშე ლოცვა, მაშინ, როცა "ქმარმა არ უნდა დაიფაროს თავი თავსაბურავით, რადგან იგი არის ღვთის ხატი და დიდება, ცოლი კი ქმრის დიდება, რადგან "ქმარი კი არა არის შექმნილი ცოლისაგან, არამედ ცოლია შექმნილი ქმრისათვის"[7]. პირველ მიმართვაში ტიმოთესადმი ნათქვამია: "ქალი მდუმარედ უნდა სწავლობდეს ყოველგვარი მორჩილების ქვეშ, ხოლო ქალს ნებას არ ვაძლევ იბატონოს ქმარზე, არამედ დუმდეს უნდა, რადგან ადამია შექმნილი, შემდეგ კი ევა"[8]. მაგრამ ფემინისტი ქალების გარკვეულ ნაწილს ასეთი რეფორმატორობა უპერსპექტივოდ მიაჩნია და ამიტომ საკუთარი "ფემინისტური რელიგიის" შექმნის ან სპირიტუალობის იდეას აყენებს. "სპირიტული ფემინიზმი" არ არის ერთგვაროვანი მოძრაობა. იგი აერთიანებს ქალღმერთის (გოდდესს) თაყვანისმცემელ, მატრიარქალური ფუტურიზმის მიმდევარ თეორეტიკოსებს, ალქაჯური პრაქტიკის მომხრეებს, რასაც პირობითად "ფემინისტური რელიგია" ეწოდება. შეიძლება გამოვყოთ რამდენიმე მისი მახასიათებელი.

---

[5] Hole J. and Livine E., Rebirth of Femimism W.J., 1971 გვ. 383
[6] Daly M., The Church and the Second Sex, N.Y., 1968 გვ. 111.
[7] პავლე მოციქულის ეპისტოლენი პირველთ კორინთელთა მიმართ 11:7- 11:8
[8] პავლე მოციქულის ეპისტოლენი, პირველი ტიმოთეს მიმართ 2:11- 2:2).

უპირველეს ყოვლისა, პატრიარქალურ მომაკვდავ მსოფლმხედველობას უპირისპირდება მთლიანობა და ერთარსებობა, რაც ქალთა მსოფლმხედველობას მოსდევს.

ღმერთს, როგორც ტრანსცენდენტულ ძალას, ფემინისტური რელიგიის თეორეტიკოსები უპირისპირებენ ქალთა მოდგმის ღვთიურობას. ისტორიული იუდაიზმისა და ქრისტიანობის ღმერთები, ნაომი გოლდბერგის აზრით, არ შეეფარდებიან თანამედროვე ქალებს, ამიტომ უარყოფილი იქნებიან და შეიცვლებიან რელიგიური ექსპრესიულობის ახალი ქალური ფორმებით. "სპირიტული ფენიმიზმის" თანახმად, ქალღმერთი ბუნებას არ უპირისპირდება, არ არის მისდამი ტრანსცენდენტული, პირიქით, იგი ბუნების ნაწილია და იმყოფება თანამოქმედებაში ბუნებრივ ძალებთან, რომლებიც მიაჩნია "არა დასაპყრობ რაიმედ, არამედ საკუთარი თავის სხვა განზომილებად". ფემინისტური სპირიტულობა თავისი არსებით თაყვანისცემის ეკოლოგიური ფორმაა.

თუმცა "სპირიტული ფემინიზმის" მიმდევრებს მიაჩნიათ, რომ ამ რელიგიას საფუძვლად უდევს ერთარსებობის იდეა, მათ არ შეუძლიათ გადალახონ მათ მიერვე გაკრიტიკებული დიქოტომიზმი. არსებითად, მათი აზროვნება არ გამოდის იმავე გაორებულობის სამყაროს საზღვრებიდან, რომლის არსებობისთვის ისინი ბრალს სდებენ "მამაკაცურ კულტურას". საბოლოო ანგარიშით, განსხვავება პრეროგატივების არჩევაშია. პატრიარქალური კულტურა აქცენტს აკეთებს გონისა და კულტურის მნიშვნელობაზე, "ქალური" - უპირატესობას ინტუიციასა და ბუნებას ანიჭებს. პატრიარქალური მითები იცვლება მატრიარქალურად ორიენტირებული მშვიდობისმყოფელობით, რომელიც, ფაქტობრივად, ქალების დომინირებაზე დაყრდნობილ სისტემას აიდეალებს. "ჩვენ ეიმყოფებით ახალი ერის - აკვარიუსის (მერწყულის) ეპოქის კარიბჭესთან, - წერს ელისაბედ დეივისი, - სხვა აკვარიული ეპოქის გარიჟრაჟზე. ორმოცდათორმეტი ათასი წლის წინ დიდმა დედოფალმა ბაზილიომ წესრიგი და სამართლიანობა მოიტანა ქაოსის სამყაროში, რომელიც ჩვენი XX საუკუნის მსგავსად, მოცული იყო უკანონობითა და წინააღმდეგობრიობით. ქალები დღეს, ისე, როგორც მაშინ, ამომავალი ციელილიზაციის მქადაგებლები არიან. ჩვენ თვალს მიეაპყრობთ ქალებს, ეელოდებით რა ხსნასა და გაჯანსაღებას აკვარიუსის ამაღორძინებელ წყლებში... მაქსიმალიზმის ეპოქა დასასრულს უახლოდება... მხოლოდ სამი ათასი წლის განმავლობაში გაბატონებული მამაკაცური მატერიალიზმის მხეცის დამხობით შეუძლია კაცობრიობას, იხსნას თავი. XXI საუკუნის მეცნიერებაში გზას ფიზიკური კი არა, სულიერი ძალა გაიკვლევს... მგრძნობიარობაზე მაღალმგრძნობიარე პერცეფცია გაიმარჯვებს და ისევ იბატონებენ ქალები".[9]

რა თქმა უნდა, ასეთი სახის მოძრაობები იზოლირებულ, ალტერნატიულ ცხოვრების წესს უწევენ პროპაგანდას. ამასთან აღსანიშნავია, რომ ისინი ხშირად ანტაგონიზმში მოდიან მათთან, ვინც "სწორ კულტურულ ხაზს არ მისდევს".[10]

[9] Devis E. G. The First Sex, გვ. 337-339

[10] Walters S.D. Caught in the Web, გვ. 29

რეფორმატორობას, ალბათ, თავისი საზღვრები აქვს, ამ საზღვრების გადალახვა კი რელიგიის ფუნდამენტური საფუძვლების შერყევას იწვევს. ფემინისტური რელიგიის შექმნა თავისთავად არარეალურია, თუნდაც მხოლოდ იმის გამო, რომ მას მხარს არ უჭერს თვით ქალების უმრავლესობა, რადგან გაბატონებულთა და ქვეშევრდომთა ადგილების გადანაცვლებით კაცობრიობა უფრო ბედნიერი არ გახდება.

Summery of the article "Culture, Gender and Religion" by Tamar Kiknadze

70-th years of XX century have caused tradition of the social and cultural approach to the reasons of discrimination and suppression of the women in s society. S beginning to this theoretical work has put, as is accepted to consider in West by the French philosopher – existentialist Simone de Beauvoir in her book " The Second Sex ". Here problem of suppression female - feminine in culture for the first time was put. In this work the society constructs man's (masculine) as positive cultural norm, and female (feminine or negative), as s deviation from norm, as something another.

The designing of s category of gender as analytical tool has opened new analytical opportunities for feminists in research of s society and culture. The opposition male and female loses biological features, and the accent is transferred on disclosing of internal mechanisms of formation of culture. The sex becomes s cultural metaphor.

The metaphor of s sex carries out s cultural - formatting role of factor. Differently, the gender asymmetry is one of major factors of formation of traditional western culture understood as system of manufacture of knowledge of the world.

The traditionally religious doctrines everywhere cover an unequal position of the women in s society, and therefore quite justified the statement that religion has masculine gender.

However in XX century .the steady growth of the women's involving in sphere of public manufacture convincingly testifies that the reconsideration of the social status of the women becomes objective necessity. The rates and painless of the specified natural tendency's realization depend, however, not only on material development, but also from the factor of the ideological order, in particular, concern to number those stereotypes, which acknowledgement (confirmation) in consciousness of the people in s huge degree depends on religion and its (her) institutes.

Whether can world and so-called national dogmas " be reconstructed" so that to promote public progress, which component is the liquidation of discrimination of the women? On this question the different answers are given.

ნანი გელოვანი

განქორწინება და ქალის უფლებები ადრეულ ისლამში

ალაჰის მოციქული აფრთხილებდა თავის მიმდევრებს: "ყველა დასაშვები ქმედებიდან, განქორწინება არის ყველაზე არასასურველი უსენაესი ალაჰისთვის" [32,671].

განქორწინება არის ცოლ-ქმრული ურთიერთობების დარღვევა, რომლის გამოცხადება შეიძლება სიტყვიერად, წერილობით ან პირობითი ნიშნებით.

ორივე – წმინდა ყურანიდან და ჰადისებიდანაც ჩანს, რომ განქორწინება დაშვებულია, მაგრამ განსაკუთრებულ გარემოებათა არსებობის შემთხვევაში. ყურანში განქორწინებას ეძღვნება სპეციალური სურა ამავე სათაურით [65-ტალá̄ق] და ამის გარდა არის არაერთი აია ქორწინების დარღვევაზე [2:226,227,228,230-237,241,242; 4:19-21,35,130; 33:49; 58:3,4]. ეს ფაქტი იმაზე მიუთითებს, რომ ალაჰის მოციქული ამ საკითხს მნიშვნელოვან ყურადღებას და დროს უთმობდა.

ისლამი ითვალისწინებს ყველა შესაძლებლობის გამოყენებას, რათა ხელი შეუშალოს განქორწინებას, რადგანაც ყურანში ქორწინება აღწერილია, როგორც მტკიცე აღთქმა (მისá̄ق ღალ̄ظ) და არ შეიძლება მისი დარღვევა უსაფუძვლოდ. მუჰამადმა უთხრა თავის შვილობილ ზაიდ ბ. ჰარისს: "დაიტოვე შენი ცოლი და გეშინოდეს ალაჰისა" [33:37]. გადმოცემით, მოციქულმა მიუთითა მუსლიმებს: "მორწმუნე მამაკაცს უფლება არა აქვს მოექცეს არაკეთილმოსურნედ მორწმუნე ქალს. თუ მას არ მოსწონს მასში რაღაც, მაშინ დაე, დაკმაყოფილდეს იმით, რაც არის მასში კარგი"[15,2/1129]. ყურანში არის მოწოდება: "მოექეცით [თქვენს ცოლებს] კეთილად და თუ თქვენ ისინი აღარ მოგწონთ, ხომ შესაძლებელია, რომ რაღაც არ მოგწონთ და ალაჰმა მოათავსა მასში დიდი სიკეთე" [4:19]. თუ სხვა გამოსავალი არ არის და ცოლ-ქმარს შორის უთანხმოებაა (შიკá̄ق), განქორწინება არ იკრძალება. ისლამი აღიარებს ორივე მეუღლის უფლებას შეწყვიტონ ცოლ-ქმრული ურთიერთობა.

ყურანში თანმიმდევრულად არის შემუშავებული განქორწინების საკითხები. ჯაჰილიის პერიოდთან შედარებით, ისლამმა მოაწესრიგა გაყრის პროცესი და შეზღუდა ის განსაზღვრული ვალდებულებებით.

ყურანი ითვალისწინებს სამი სახის გაყრას: ტალá̄ق, ½იჰარ და აიმან.

მუჰამადმა გააუქმა გაყრის წინაისლამური ფორმა – ẓიჰარ, როცა მამაკაცს შეეძლო ეთქვა ცოლისთვის: "ანთი 'ალაიია ქა-ẓაჰრი უმმი", სიტყვასიტყვით – "ჩემთვის იგივე ხარ, რაც დედაჩემის ზურგი". დედა განეკუთვნებოდა იმ პირთა კატეგორიას, რომელთანაც ქორწინება

იკრძალებოდა [4:23][1]. ქმარს შეიძლება შეედარებინა ცოლი სხვა სისხლის ნათესავებისთვისაც. ამ ფორმულის წარმოთქმა აწესებდა განსაზღვრულ განქორწინებას მუჰამადის დრომდე და როგორც ჩანს, ხშირად გამოიყენებოდა. არ არის მინიშნება, ის წარმოიშვა მედინაში, თუ არაბეთის ნახევარკუნძულის სხვა კუთხეში. თუმცა ეს იდიომა ყურანში ორჯერ არის მოხსენიებული და ორივეჯერ მედინის პერიოდის სურებში. ერთ სურაში – 33:4[2] არის ამ პრაქტიკის აკრძალვა და ის ეხება მთელ მუსლიმურ თემს, მაშინ როცა მეორე 58:2, რომელიც უფრო მოგვიანო პერიოდს განეკუთვნება, ამ ფორმულას ძალადაკარგულად აცხადებს. ეს უკანასკნელი გამოცხადება (58:2) კომენტატორთა და ტრადიციონალისტთა აზრით, მოჰყვა ამ ფორმულის აქტიურ გამოყენებას თემის წევრების მიერ და თვითონ სურას აქვს სათაური 'ალ-მუჯáდილა" (მოკამათე ქალი). ჰადისებში ასეთი შემთხვევაა გადმოცემული: აუს ბ. ას-სამითმა, ეს ფორმულა გამოიყენა თავისი ცოლის – ხავლა ბინთ სა'ლაბას მიმართ, რომელიც იყო მისი ბიძაშვილი [5,VI,410; 4,VIII,478]. აღნიშნულია, რომ ხავლა წავიდა ალაჰის მოციქულთან და სთხოვა ამ ფორმულის გამოყენება არ ჩათვლილიყო კანონიერ განქორწინებად. ხავლა არწმუნებდა, რომ მის ქმარს არ წარმოუთქვამს "ტალáკ"(გაყრის ფორმულა) და როგორ შეიძლებოდა მის ფიცს დაერღვია მათი ქორწინება. ის ლოცულობდა და შესთხოვდა ალაჰს გარდმოეფლინა მოციქულისათვის შესაბამისი დადასტურება. „ალაჰმა ისმინა ქალის მუდარა, რომელიც შეეკამათა მუჰამადს თავის ქმართან დაკავშირებით და იჩივლა ალაჰთან. ხოლო ალაჰი ყოველთვის ისმენდა მოკამათეთა საუბარს, რამეთუ ალაჰს ყველაფერი ესმის და ყველაფერს ხედავს" [9,58:1; 36,9; 22,70-71; 14,1067-68].

ატ-ტაბარის[3] ერთ-ერთი ვერსიით: 'ხავლა ბინთ სა'ლაბასთან განქორწინება მოხდა წარმართული ჩვეულებით. ის მივიდა მოციქულთან და უთხრა: "ჩემი ქმარი გამეყარა მე წარმართული ჩვეულებით, როცა მოვხუცდი და ჩემი ძვლები დასუსტდა" და ალაჰმა გარდმოაფლინა ეს აია" [6,XXVIII,19].

გაყრის ეს სახე – „½იჰარ" ითვალისწინებდა ცოლ-ქმრული სიახლოვის აკრძალვას, ვიდრე ქმარი არ შეასრულებდა გამოსასყიდ ქმედებებს და

---

[1] "წარმართობის დროს ქმარს შეეძლო ეთქვა თავისი ცოლისათვის: შენ ჩემთვის იგივე ხარ, რაც ჩემი დედის სურგი. ამასთან, ის ხდებოდა მისთვის აკრძალული, როგორც მშობელი დედა. იმ დროიდან სქესობრივი ურთიერთობა მასთან იკრძალებოდა. ის რჩებოდა გაურკვეველ მდგომარეობაში, რადგანაც არ ითვლებოდა გაყრილად, არ ჰქონდა შესაძლებლობა გათხოვილიყო სხვა მამაკაცზე, მაგრამ არც მის ცოლად ითვლებოდა. როცა ისლამმა მოაწესრიგა საზოგადოებრივი ურთიერთობები და განსაზღვრა ოჯახი, როგორც საზოგადოების უპირველესი შემადგენელი ნაწილი, აუცილებლად მიიჩნია ქალის დამცირება მოესპო: დედა –არის დედა, ცოლი – არის ცოლი და არაყოთარ სიტყვებს არ შეუძლია შეცვალოს ამ ურთიერთობის ბუნება" [8, VII,გვ.1994, შენ.9].

[2] წარმართულ არაბულ საზოგადოებაში გაყრის ეს ფორმა საბოლოოდ ითვლებოდა და მისი შეცვლა ადარ შეიძლებოდა. ასე რომ ქალი მთელი ცხოვრება რჩებოდა დაკავშირებული თავის ქმართან. 58 სურის 1-4 აია, რომელიც ამ საკითხს ეხება, გარდმოვლენილ იქნა ამ აიამდე. ამდენად, გაყრის ეს ფორმა ("ზიჰარ") უკვე გაუქმებული იყო ამ სურის (33) გარდმოვლენისას. აქ ის მოტანილია მხოლოდ იმ განცხადების დასამტკიცებლად, "რომ თქვენი სიტყვა მხოლოდ თქვენს ბაყვებზეა და ის არაყოთარ შემთხვევაში არ ემთხვევა საქმის რეალურ ვითარებას" [8,VII,გვ.1994,შენ.9].

[3] არაბი ისტორიკოსი და ყურანის ცნობილი კომენტატორი (გარდ.923წ.)

ამგვარად, განქორწინება იოვლებოდა დროებითად, დაუსრულებლად. რაც შეეხება გამოსასვლელ ქმედებებს, არსებობდა რამდენიმე საშუალება. ერთ-ერთი იმაში მდგომარეობდა, რომ მამაკაცი ვალდებული იყო გაეთავისუფლებინა მონა; იმას, ვისაც არ ჰყავდა მონა, შეეძლო ემარხულა ორი თვე გადაბმით; იმას, ვისაც არ შეეძლო ესეც, უნდა გამოეკვება სამოცი გაჭირვებული [9,58:3-4; 36,VI,410].

ცხადია, რომ მუჰამადმა გააუქმა გაყრის ეს ფორმა და მხოლოდ შეიძლება ვიეარაუდოთ, რომ ეს ფორმულა ძალადაკარგულად და უკანონოდ გამოცხადდა. მუჰამადის მოქმედებებს ორი ახსნა შეიძლება მოეუძებნოთ: 1) გაყრის ეს ფორმა ფართოდ იყო გავრცელებული. მართალია, მუჰამადს სურდა ის არაკანონიერად გამოეცხადებინა, მაგრამ ეშინოდა მუსლიმური თემის მხრიდან წინააღმდეგობის. 2) ფიცის ნებისმიერი ფორმა ყოველთვის აკისრებდა ვალდებულებას მამაკაცს ან ქალს, რომელიც ამას წარმოთქვამდა და შეიძლებოდა მხოლოდ მისი გამოსვლიდეა გარკვეული პირობებით. სწორედ ყურანის გამოცხადებაც მიუთითებს იმ პირობებსე, რომლის შესრულების შემდეგაც შეიძლება ფიცის გაუქმება [30,129;14,57]. სოგიერთი მკვლევარის აზრით, ასეთი გაყრის დროს ქმარს უნდა უსრუნველეყო ცოლი [28,193,შენ.2]. ყურანის აიებში, არც ტრადიციებში ამის შესახებ არაფერია ნათქვამი. პირიქით, ერთ ვერსიაში, ხავლა ინფორმაციას აწვდის მუჰამადს, რომ მის ქმარს არაფერი არ ჰქონდა და ის იყო მისი ერთადერთი მხარდამჭერი.[4] სწორედ ამ დროს ხავლას მოუტანეს ფინიკის კალათა (50 ან 60 ფინიკით სავსე), მოციქულმა უთხრა: „წადი და დააპურე 60 გაჭირვებული შენი ქმრის ნაცვლად და დაუბრუნდი მას“ [30,183].

გაყრის ერთ-ერთი ფორმის სახელწოდება – „აიმან“ – მომდინარეობს ფიცის სახელწოდებიდან, რომელსაც მუსლიმი წარმოთქვამდა მარჯვენა ხელის აწევით. მამაკაცი იფიცებდა, რომ არ ექნებოდა ურთიერთობა ცოლთან 4 თვის განმავლობაში, ვიდრე განახორციელებდა ჩანაფიქრს. ყურანით "აიმან" ეკუთვნოდა დაუსრულებელ განქორწინებათა რიცხვს და ცოლ-ქმრული ურთიერთობა შეიძლება განახლებულიყო ოთხი თვის ვადის გასვლის შემდეგ ფიცის წარმოთქმიდან.

ყურანის მიხედვით, "მათ, ვინც დაიფიცეს დაშორებოდნენ თავიანთ ცოლებს, უნდა დაიცადონ ოთხი თვე. თუ ისინი [ამ დროის განმავლობაში] გადაიფიქრებენ, მაშინ ჭეშმარიტად, ალაჰი მიმტევებელი, მწყალობელია“ [2: 226].

კომენტატორთა აზრით, "წარმართ არაბებს შორის არსებობდა ჩვეულება, როცა ქმარი განრისხებული ან თავისი ნებით აძლევდა ალაჰს

[4] იუსუფ ალის აზრით "თუ ისეთი სიტყვები, როგორიც არის "ზიჰარ"-ის ფორმულაში, შეიძლებოდა უბრალოდ იგნორირებული ყოფილიყო, მაშინ ეს მიგვიყვანდა იქამდე, რომ მას გამუდმებით გაიმეორებდნენ დაუფიქრებლად. ამიტომ მას სერიოზულად უყურებენ და საუბარია ქმრის დასჯაზე და ცოლის უფლებების აღდგენაზე. ცოლს შეუძლია მოითხოვოს უსრუნველყოფა თავისთვის და თავისი ბავშვებისათვის. მაშინ, როცა ქმარს არ შეუძლია ცოლისაგან მოითხოვოს ცოლ-ქმრული ვალდებულების შესრულება. თუ მისი მოქმედება დაუფიქრებელი იყო, თუ ის ნანობს ამას, ის კვლავ იძენს თავის ცოლ-ქმრულ უფლებას მხოლოდ დანაშაულის გამოსყიდვის შემდეგ, რომელზედაც ნათქვამია 58:3-4 აიაში. თუ ცოლს უყვარს ქმარი, როგორც ეს იყო ხავლას შემთხვევაში, ამ უკანასკნელს შეუძლია გამოაცხადოს თავისი ცოლ-ქმრული უფლებების შესახებ და მოითხოვოს ქმრისგან გამოსყიდვის შემდეგ საოჯახო ცხოვრების აღდგენა [11,გვ.1511,შენ.5335].

ფიცს, რომ არ მიუახლოვდებოდა თავის ცოლს. ეს ართმევდა ქალს თავის საქორწინო უფლებებს – მას განუსაზღვრელი ვადით არ შეეძლო გაათხოვება სხვაზე. ..... ისლამმა დააწესა ოთხი თვე. ორივე დაინტერესებულ მხარეს აქვს დრო და მათ შეუძლიათ ამ დროში მიიღონ საბოლოო გადაწყვეტილება იმაზე, რომ შესაძლებელია თუ არა შერიგება [11,გვ.89,შენ.253].

გაერის სხვა ფორმა იყო ხულ' (ტერმინი მომდინარეობს ძირიდან ხალá', რაც ნიშნავს – განთავისუფლებას, მოცილებას, თავის დაღწევას).

განქორწინების ეს ფორმა დღესაც კანონიერია, ქალი სთხოვს ქმარს გაანთავისუფლოს ის და სამაგიეროდ უბრუნებს საქორწინო საჩუქარს – მაჰრს, რაც მან მისგან მიიღო. ეს გაერა ხდება ქალის ინიციატივით[5] [30,112].

ყურანში პირდაპირი მითითება ხულ'ა-ზე არ არის, თუმცა არის დამოწმება ქალის უფლებაზე, თვითონ გაითავისუფლოს თავი საქორწინო საჩუქრის უკან დაბრუნებით[2:229]. ალ-ბაიდავი[6] თავის კომენტარებში ასკვნის [2,49], რომ ეს აია ეხება ხულ'ა ჩვეულებას. ალ-ბუხარის(გარდ.870წ.) ჰადისების კრებულში, განქორწინების წიგნში[63], 12-ე თავი ამ სათაურს ატარებს. ზოგიერთი მკვლევარის აზრით, გაერის ეს ფორმა წარმოიშვა წინაისლამურ ხანაში, ისევე როგორც ტალáკ[37,112]. თუმცა ეს ასე რომ ყოფილიყო, მაშინ პროცედურა განსხვავებული იქნებოდა – საქორწინო საჩუქარი უკან უნდა დაებრუნებინათ მისი ტომის წევრებს, რადგანაც სწორედ მათ გადაეცათ ის ქორწინების დროს [38, 130].

ჰადისების მიხედვით, ყურანის 2:229 აია გარდმოვლენილ იქნა ჰაბიბასა და საბით ბ. კაისთან დაკავშირებით. ჰაბიბამ იჩივლა მოციქულთან ქმარზე და მან ჰკითხა: "დაუბრუნებ შენ მას თავის ბაღს?" ქალის თანხმობის შემდეგ, მოციქულმა გამოიძახა ქმარი და შეატყობინა ამის შესახებ. საბითმა თქვა, რომ მან მისცა ჰაბიბას მაჰრის სახით 2 ბაღი, რომლებიც იყო მის საკუთრებაში. მოციქულმა თქვა: "აიღე ისინი და გაცილდი მას" და მაშინ გარდმოვლენილ იქნა ეს აია [13,68:12].

ტენიკური ტერმინი ხულ'ა – ქალის უფლება გაეყაროს ქმარს მაჰრის უკან დაბრუნებით, დაყრდნობილია ყურანის 2:229 აია'ზე და ზემოთ განხილულ ჰადისზე.

ტრადიციებში არის სამი მოხსენიება ხულ'ას შესახებ. არ არის დამოწმება ამ ტიპის განქორწინების გამოყენების თაობაზე მექელების მიერ, ტá'იფის ხალხის ან მათი მეზობელი ტომების მიერ. ჰაბიბა ბინთ საჰლი (მáლიქ ბ. ან-ნაჯჯáრ) გათხოვილი იყო საბით იბნ კაისზე (ბანá ალ-ჰáრის ბ. ალ-ხაზრაჯ). ჰაბიბა წავიდა მოციქულთან და აუხსნა, რომ ისინი ვერ ეთანხმებოდნენ ერთმანეთს. ამგვარად, მუჰამადმა უბრძანა მას დაებრუნებინა საბითისათვის ყველაფერი, რაც ჰქონდა მისგან მიღებული. ჰაბიბამ შეასრულა მოციქულის ნათქვამი და დაბრუნდა თავის საკუთარ გვართან. იბნ სა'დისთან(გარდ.845წ.) ორ ვერსიაში მოცემულია დამატებითი ინფორმაცია, რომ მუჰამადმა შესთავაზა მას ქორწინება[4,VIII,445-446], მაგრამ ამ ფაქტს არ მოიხსენიებს იბნ

[5] სწორედ აქედან გამომდინარე, ზოგიერთი მკვლევარი თვლის, რომ ისლამი პირველი რელიგიაა მსოფლიოში, რომელმაც სცნო ქალის უფლება გაყრაზე. ეს არის ცოლის აბსოლიტური უფლება და არაეის შეუძლია ხელი შეუშალოს მას [26,136].

[6] გარდ. 1282, 1291 ან 1316 წელს.

ჰანბალი(გარდ.855წ.) [5,VI,433]. საინტერესოა, რომ გაყრის „მუთაᲗáᲰირ“ მეთოდთან დაკავშირებით იყო ბევრი საკამათო, რადგანაც მუᲰამადს მიმართავდნენ განმარტებისათვის და მის დასამოწმებლად. დასახელებულია საბით ბ. კაისის სხვა ცოლიც – ჯამილა ბინთ ‘აბდ ალ-ლაᲰ ბ. უბაიᲲ [4,VIII,382]. აღნიშნულია რომ მანაც ითხოვა გაყრა და მათ უთანხმოებას რელიგიური საფუძველი ჰქონდა. ორ სხვა შემთხვევას ადგილი ჰქონდა ‘უსმანის ხალიფობა’ში[7] და ორივეჯერ ხალიფამ მიიღო სათანადო გადაწყვეტილება. პირველი შემთხვევა უკავშირდება რუბაი’ა ბინთ მუ’ᲐᲡᲡ[8] (ან-ნაჯჯáრის გვარი), რომელიც გათხოვდა მოციქულის დროს, ბადრთან ბრძოლის შემდეგ [4,VIII,447]. ტრადიციის ერთ-ერთ ვერსიაში ტერმინი „იხთალა’ა“ არის გამოყენებული განქორწინების მნიშვნელობით. მეორე შემთხვევა უკავშირდება უმმ ბაქრა ალ-ასლამიიას, რომელიც გათხოვდა თავისიეე ტომის წევრსე – ‘აბდ ალ-ლაᲰ ბ. ასიდსე. უმმ ბაქრამ სთხოვა მას გაყრა (იხთალა’ა). შემდეგ ორივემ – ცოლმა და ქმარმაც გადაიფიქრეს და მათ რჩევა ჰკითხეს ‘უსმანს, რომელმაც გამოაცხადა, რომ გაყრა კანონიერი ხდება, როცა „ტალáკ“ არის მოხსენიებული [4,VIII,486]. ამის შემდეგ ‘აბდ ალ-ლაᲰს უფლება მიეცა დაებრუნებინა თავისი ცოლი [5,VI,434]. ‘უსმანის ეს გადაწყვეტილება იმას ნიშნავს, რომ თუმცა ინიციატივა გაყრაზე ცოლის მხრიდან მოდიოდა, რეალურად გაყრასთან დაკავშირებული პროცედურა უნდა შეესრულებინა ქმარს და მხოლოდ ეს იყო კანონიერი განქორწინება.

ჰაბიბას შემთხვევაში არ არის აღნიშნული, რა უნდა დაუბრუნებინა მას თავისი ქმრისათვის. ფრაზა “ის რაც მიცემული ჰქონდა მას მისთვის“ [2:229], შეიძლება გულისხმობდეს მაᲰრს ან სახლს, ან ტანსაცმელს არ რაიმე სხვა ნივთს. ხოლო რუბაი’ას შემთხვევაში ქმარს ჰქონდა უფლება მოეთხოვა, რაც მას სურდა მისი ცოლისაგან. ერთ ვერსიაში ნათქვამია, რომ მან დაუბრუნა ქმარს ყველაფერი, გარდა თავსაბურავისა. სხვა ვერსიაში კი ‘უსმანის გადაწყვეტილებით[9] ქმარს შეეძლო მოეთხოვა ყველაფერი, რასაც ცოლი ფლობდა. თუმცა, სხვა შემთხვევებიც არის დასახელებული: დუბა’ა ბინთ ‘ამირმა (ბანáᲰ ‘ამირ ბ. სა’სა’) სთხოვა თავის მეორე ქმარს გაყრა, რომლითაც მან დააჯილდოვა ის. აქ არ არის აღნიშნული, რომ დუბა’ამ გადაუხადა ქმარს რაიმე იმ ფაქტის მიუხედავად, რომ ის იყო მდიდარი ქალი [4,VIII,153].

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ჩვენს მიერ განხილულ ჰადისებში არ არის კვალი წინაისლამური განქორწინების ფორმის, როცა ცოლს ჰქონდა მეტი თავისუფლება გაყოროდა თავის ქმარს. გადმოცემით, ის ცვლიდა თავისი კარვის შესასვლელის მიმართულებას და ამით მიანიშნებდა ქმარს – დაეტოვებინა ის. თუმცა შესაძლოა, ეს წესი იყო გავრცელებული მხოლოდ ბედუინთა ტომებში და იმ შემთხვევებში, როცა ქმარი ქორწინების მერე ცოლის გვარში რჩებოდა საცხოვრებლად [31, 93].

როდესაც საუბარია ქალთა მიერ გაყრის მიღებაზე, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ის მეთოდი, რომელსაც მიმართავდა ‘სოგიერთი

---

[7] მესამე „მართლმორწმუნე“ ხალიფა 644-656 წწ.

[8] მოხსენიებულია, რომ მის განქორწინებას ადგილი ჰქონდა 35/655-56 წელს.

[9] ‘უსმანის გადაწყვეტილება უფრო ამძიმებდა ქალის მდგომარეობას, ვიდრე ეს მუᲰამადმა გააკეთა. მაგრამ შესაძლოა ასეთი მძიმე პირობა დააწესა იმისათვის, რომ აეძულებინა ცოლი – დარჩენილიყო თავის ქმართან.

ტომის ქალი მუჰამადთან ქორწინებისას. ამ ყველა შემთხვევაში, ისინი მოითხოვდნენ თავიანთი თავისუფლება მიეღოთ არა ქორწინების შემდეგ, არამედ მის დასრულებამდე. ისინი აღწევდნენ ამას ფორმულით "ა'ᵃᵃᵃ

ანაზღაურება მოხდა[4,VIII,143-147]. მოთხრობილია, რომ მუჰამადმა უბრძანა აბუ ასიდს, რომელმაც ჩამოიყვანა ასმა' მოციქულისათვის – დაებრუნებინა ის თავის ხალხთან და მიეცა საჩუქარი ან გაყრილი ქალის კომპენსაცია – 2 ნაჭერი ბამბის ქსოვილი. აქვე არის დაცული ინფორმაცია, რომ მუჰამადმა შესთავაზა ასმა'-ს მაჰრი – 12½ áკიდა[13]. ამ შემთხვევაში მუჰამადი ვალდებული იყო გადაეხადა დადგენილის ნახევარი, თუმცა მას შეიძლებოდა დამატებით გადაეცა ბამბის ქსოვილი.

ყურანში ნათლად არის მითითებული, რომ დაუსრულებელი ქორწინების დროს 'იდდა არაა აუცილებელი. შესაბამისად განცხადება, თითქოს ქილáბის ტომის ქალებმა მუჰამადთან განქორწინების დროს შეასრულეს ეს ვალდებულება, არ უნდა იყოს სწორი. ყურანის კომენტატორის, იბნ ქასირის(გარდ.1373წ) თანახმად, ყველა მუსლიმი თეოლოგი ეთანხმება ერთმანეთს, რომ ქალმა ქორწინების დასრულებამდე გაყრის შემთხვევაში, არ უნდა შეასრულოს თავშეკავების ვადა. მას ნება ერთვება მაშინ გათხოვდეს, როცა მოესურვება [16].

„ტალáკ"[14] – არის განქორწინების ყველაზე გავრცელებული ფორმა ისლამში. ქმარი ათავისუფლებს ცოლს ყოველგვარი ცოლ-ქმრული ვალდებულებისაგან გაყრის განსაკუთრებული ფორმულის („ტალáკ") წარმოთქმით.

ტერმინი – „ტალáკ" გაჩნდა წინაისლამურ პერიოდში[15]. ტერმინი ტალლაკა იყო გამოყენებული, რათა აღენიშნათ გაყრა იმ შემთხვევებში, როცა ქორწინება არ იყო დასრულებული. ის გვხვდება ამ მნიშვნელობით ზემოთ განხილულ აიებში – 2:237 და 33:49, აგრეთვე ტრადიციებში მუჰამადის ცოლთან – 'აიშასთან დაკავშირებით, რომელიც დანიშნული იყო ჯუბაირ ბ. მუტ'იმზე [4,VIII,58] და დაშორდა. ასევე ის მოხსენიებულია მუჰამადის ქალიშვილების (რუქაიდა და უმმ ქულსუმი) ბიოგრაფიაში, როცა ისინი გაეყარნენ აბუ ლაჰაბის[16] ვაჟიშვილებს [4,VIII,36-37].

ტერმინი „ფარაკა" არის აგრეთვე გამოყენებული, როცა საქმე ეხება განქორწინებას ქორწინების დასრულებამდე. მაგალითად, მუჰამადის ქორწინების დროს გარკვეული ტომის ქალებთან ან როცა 'აბდ არ-რაჰმáნ ბ. აზ-ზუბაირი გაეყარა თამიმა ბინთ ვაჰბს იქამდე, ვიდრე დაასრულებდა მასთან ქორწინებას [4,VIII,457]. ეს ტერმინი, როგორც ჩანს, გამოიყენებოდა რეალური განცალკევების აღსანიშნავად. ძნელია ითქვას აგრეთვე, რა ეტაპზე გამოიყენებოდა ტერმინი „რადდა ნ-ნიქáD". როგორც ჩანს, ის გამოიყენებოდა ქორწინების დასარღვევად საქორწინო ხელშეკრულებიდან მის რეალურ დასრულებამდე პერიოდში. ის გამოყენებულ იქნა ზაინაბ ბინთ 'უსმან ბ. მა'ზუნთან დაკავშირებით, როცა მისმა ბიძამ გაათხოვა ის მისი თანხმობის გარეშე. ამაზე პროტესტი გამოხატეს მან და მისმა დედამ. ნათქვამია, რომ მათ მიმართეს მუჰამადს და მან გააუქმა ეს ქორწინება [4,VIII,269]. საინტერესოა შეეხიშნოთ, რომ ტრადიციაში, რომელიც უკავშირდება ამინა ბინთ 'აფფანს, ტერმინი „ტალლაკა" არის გამოყენებული [4,VIII,269]. „რადდა ნ-ნიქáD" არის

---

[13] áკიდა = 37, 44 გრ.

[14] "ტალáკ" – ქმარი მოწმეთა თანდასწრებით წარმოთქვამს გაყრის ფორმულას; "ანთი ტალáკ", რაც ნიშნავს "თავისუფალი ხარ"[35,564-571;18,181-82].

[15] თუმცა არ არის მოხსენიებული მისი სამჯერ წარმოთქმის თაობაზე იმ დროს.

[16] მუჰამადის ბიძა და ისლამის შეურიგებელი მოწინააღმდეგე.

გამოყენებული ტრადიციაში, რომელიც ეხება ხანსა' ბინთ ხუზამ-ს [4,VIII,456]. ის იყო ქვრივი და მამამ გაათხოვა შეთანხმების გარეშე. ხანსა'-ს არ მოეწონა საქმრო და მუჰამადმა გააუქმა ეს ქორწინება. ბოლოს, ეს ტერმინი გამოყენებულია ჰაფსა ბინთ 'აბდ არ-რაჰმანის(აბუ ბაქრის შვილიშვილი) ბიოგრაფიაში, როცა მისმა მამიდამ – 'აიშამ, მამის არყოფნის დროს გაათხოვა თავისი ძმისშვილი, მაგრამ მამამ დაბრუნებისას გააუქმა ქორწინება [4,VIII,468-469]. ამ ტერმინს შესაძლოა ჰქონდა მექური წარმოშობა [38,136] და თანდათან ხმარებიდან გამოვიდა. ტერმინმა – „ტალლაკა" შეცვალა ის კანონიერი განქორწინების მნიშვნელობით.

ყველაზე საკამათო საკითხი გაყრის თაობაზე ტრადიციებში არის ფატიმა ბინთ კაისის (ბანá მუÐáრიბ ბ. ფიჰრ) შემთხვევა [4,VIII,273-75]. ის იყო აბუ 'ამრ ბ. ჰაფსის ცოლი (მახზáმის გვარი). ფატიმას გადმოცემით, საკითხი ეხებოდა იმას, იყო თუ არა მისი ქმარი ვალდებული მისი საცხოვრებლისა და უსრუნველყოფისათვის (სუქნá ვა-ნ-ნაფაკა) გაყრის შემდეგ. იბნ ჰანბალთან მოცემულია 20 ტრადიცია ამ საკითხზე და იბნ სა'დისთან – 6. იბნ სა'დის თანახმად, ფატიმა მიეიდა მუჰამადთან და მოითხოვა, რომ მის ქმარს უსრუნველეყო ის. მოციქულმა წარმოთქვა: ამის ვალდებულება არა აქვს „იმას, ვინც არ იბრუნებს უკან თავის ცოლს". ეს არის იმათთვის, ვისი მისამართითაც მესამე „ტალáკ" იქნა წარმოთქმული[4,VIII,274]. ზოგან ნათქვამია, რომ ფატიმას მიეცა საცხოვრებელი და საზრდო, მაგრამ ტყუილი თქვა. იბნ ჰანბალის თანახმად, მან მიიღო 5 კალათი ან საწყავი ქერი ან 5 ფინიკი ან უბრალოდ მოხსენიებულია ქერი [5,VI,413].

მუსლიმი სამართალმცოდნეები არაბულ სიტყვას – „სუქნა" თარგმნიან, როგორც "საცხოვრებლის უფლებას". "ნაფაკა" – არის უსრუნველყოფა [27,431-445].

ფატიმა ბინთ კაისი გვიყვება, რომ მისი ქმარი წავიდა, თუმცა წარმომადგენელი გამოაგზავნა მასთან თავის არყოფნაში. მან ფატიმას შესთავაზა მატერიალური დახმარება (ფინიკი, ქერი ან ფული), მაგრამ მან უარყო (შესაძლოა, მას ეცოტავა). ქმრის წარმომადგენელმა შეახსენა, რომ ყოფილი ქმარი არ იყო ვალდებული არაფერზე. ამის შემდეგ ფატიმა მოციქულთან წავიდა, რომელმაც დაუდასტურა. შემდეგ მოციქულმა უთხრა, რომ დაეტოვებინა თავისი ყოფილი ქმრის სახლი და მოაწესრიგებინა ყველაფერი, რათა გაეტარებინა 'იდდა სხვაგან. თავდაპირველად შეარჩია ერთ-ერთი ქალი მიმდევარის სახლი, მაგრამ შეცვალა გადაწყვეტილება, რადგანაც იცოდა, რომ მას ხშირად სტუმრობდნენ მამაკაცები. ბოლოს ფატიმამ დაასრულა 'იდდა უმმ მაქტუმის სახლში, რადგანაც "მისი ვაჟი ბრმა იყო და ის განცალკევებული იქნებოდა მამაკაცებისგან" [30,319-320].

ალ-ბუხარისთან მოტანილია ჰადისი, რომლის თანახმადაც მოციქულმა ნება დართო ფატიმა ბინთ კაისს გადასულიყო ქმრის სახლიდან სპეციალური მიზეზით – ის ცხოვრობდა უკაცრიელ ადგილას და მას სურდა დაეცვა ქალის უსაფრთხოება. იბნ სა'დის თანახმად, ფატიმამ დაკარგა თავისი უფლება „სუქნა"-ზე, თავისი დაუმორჩილებლობით ქმრისადმი გაყრამდე [3,III,175].

მარვან ბ. ალ-ჰაქამის მედინაში მმართველობის დროს (64/683-4) ფატიმას ნათესაური ქალი გაეყარა ქმარს და გადაწყვიტა თავისი ქმრის სახლის დატოვება, მაგრამ მარვანმა ნება არ დართო. მან დაიმოწმა მოციქულის სიტყვები: "ქალისათვის, ვინც გაეყარა საბოლოოდ, არის სუქნა და ნაფაკა იმდენ ხანს, ვიდრე ის რჩება 'იდდა-ში" [38,139].

ფატიმას შემთხვევაში, ეს იყო საბოლოო გაყრა. აქ არის გამოყენებული ტერმინი „ტალლაკჰა ალ-ბათთა"(ნამდვილად, აუცილებლად). სავსებით შესაძლებელია, რომ ფატიმას მტკიცება – მუჰამადმა ნება არ დართო მოეთხოვა ქმრისაგან უსრუნველყოფა, სწორია თვითონ მუჰამადის პირადი ცხოვრებიდან გამომდინარე. მოციქულს არ უსრუნველყვია სხვადასხვა ტომის ქალები, რომლებსაც ის გაეყარა. თუმცა მათ შემთხვევაში ქორწინება არ იყო დასრულებული. ეს არ მიუთითებს იმაზე, რომ ფატიმას შემთხვევაში მან გამოიტანა ინდივიდუალური გადაწყვეტილება, რადგანაც მისი ქმარი მედინაში არ იყო და ოჯახმა უარი განაცხადა მის დახმარებაზე. ფატიმას შემთხვევაში რეალურ პრობლემას წარმოდგენდა ის, რომ მისი განცხადებით, მას არ შეეძლო შეესრულებინა თავისი 'იდდა.

ყურანის მიხედვით, 'იდდა – თაეშეკაეების პერიოდი გაყრილი ქალისათვის, არის 3 თვე. ფატიმას შემთხვევაში ტრადიციებში ბევრი ურთიერთსაწინააღმდეგო ვერსიებია, რადგანაც თუ ის მართალი იყო, ეს არ ეთანხმება არც ჰადისების შინაარსს და არც ყურანის 65:1 აიას, რომლის თანახმადაც ქალმა არ უნდა დატოვოს სახლი, ვიდრე დაასრულებს თავის 'იდდას.

"ო, მოციქულო, როცა თქვენ [მუსლიმები] აძლევთ ცოლებს გაყრას, გაეყარეთ მათ დადგენილი ვადის ['იდდა] შესაბამისად და დაიწყეთ ვადის ათვლა და გეშინოდეთ ალაჰისა.[17] არ გააგდოთ [გაყრილი ცოლები] მათი საცხოვრებლიდან[18] და დაე, ისინი დარჩნენ იქ, თუ მხოლოდ ისინი არ ჩაიდენენ აშკარა მრუშობას,[19] ასეთია დადგენილება ალაჰისა" [65:1].

ქვრივებისათვის 'იდდას პერიოდი იყო 4 თვე და 10 დღე, თუმცა მითითება ამის თაობაზე არ არის არც ტრადიციებში და არც ყურანში. ეს წესი არ იყო მუჰამადის მხრიდან სიახლე, მაგრამ მუჰამადმა დააკანონა ეს პრაქტიკა სავდასე ქორწინების დროს, რომელიც ქვრივი იყო მექაში. ამ შემთხვევაში ტერმინი 'იდდა არ იყო გამოყენებული. მოთხრობილია, რომ მუჰამადმა იქორწინა მასზე, როცა „ის დასაშვები [ნებადართული] იყო მისთვის" – მას დასრულებული ჰქონდა თაეშეკაეების ვადა [4,VIII,53].

---

[17] 'იდდა – "თაეშეკაეების ვადა დადგენილია ქალების, მამაკაცების და ახლადდაბადებული ბავშვის ინტერესების გამო და საქორწინო ცხოვრების კანონების შესაბამისად და პასუხობს ხალხთა ცივილიზებული საზოგადოების მოთხოვნას. პარტნიორებმა სერიოზულად უნდა მოიფიქრონ და იხელმძღვანელონ შიშით ალაჰის წინაშე" [11,გვ.1562,შენ.5506].

[18] რამდენადაც ისლამი უყურებს გათხოვილ ქალს ყველა ურთიერთობებში, როგორც იურიდიულ პირს, მას აქვს უფლება თავის სახლზე ან საცხოვრებელზე. ეს ეხება დანახარჯებსაც (გონივრულ საზღვრებში) ამ სახლზე ან საცხოვრებელზე. აგრეთვე მისი და მისი ბავშვების კუებაზე. ეს ეხება არა მარტო თანაცხოვრების პერიოდს, არამედ "იდდა-საც, რომელიც არის მძიმე პერიოდი ქალისათვის. ამ დროს არ შეიძლება მისი გაშვება სახლიდან. არასწორია, თუ ის თვითონ წავა, რადგანაც ეს ართულებს შერიგებას [11,გვ.1562,შენ.5507].

[19] "ფაჰიშა" აქ ნიშნავს ღალატს, ნათესაეების შეურაცხყოფას, ან დაუმორჩილებლობას ქმრისადმი [16].

მეორეს მხრივ, ეს ტერმინი გამოყენებულია მუჰამადის სხვა ცოლთან – ჰაფსასთან მიმართებაში, რომელთანაც ქორწინებას ადგილი ჰქონდა მალევე ჰიჯრას(622) შემდეგ მედინაში. ის იყო ქვრივი და მან დაასრულა თავის „თავშეკავების“ პერიოდი [4,VIII,83]. მექაში, სავდას შემთხვევის გარდა, სხვა მოხსენიება ამ ჩვეულების შესახებ არ არის. შესაძლოა, რომ ეს იყო მედინური ტერმინი, მიღებული და შეთვისებული მუჰამადის მიერ [38,141]. უნდა აღინიშნოს, რომ მოციქული – საფიიაზე, ჯუვაირიიაზე და რაიჰანაზე ქორწინების დროს, არ დაელოდა ‘იდდას შესრულებას. საფიამ და ჯუვაირიამ დაკარგეს ქმრები მუსლიმთა თავდასხმის დროს მათ ტომზე, რასაც მოჰყვა მათი დატყვევება და შემდგომ ქორწინება მოციქულზე.

იბნ სა‘დისთან არის ცალკე თავი სათაურით: „მოციქულის ცოლების თავშეკავების პერიოდი“ [4,VIII,195]. ტრადიციებში არის მოხსენიებული, რომ მუჰამადმა დააწესა გლოვის ვადა ახლო ნათესავის გარდაცვალების შემთხვევაში 3 დღე, ხოლო ქვრივების შემთხვევაში 4 თვე და 10 დღე. წინაისლამურ (ჯაჰილიის) ხანაში იყო 1 წელი.

ქვრივთან დაკავშირებით ‘იდდას დაწესება უკავშირდება ფურაი‘ა ბინთ მალიქს (ხაზრაჯის ტომი), რომელიც გათხოვდა საჰლ ბ. რუფი‘აზე (იმავე ტომიდან). მისი ქმარი მოკლულ იქნა და ფურაი‘ა დაქვრივდა. ის დარჩა საცხოვრებლის და საარსებო საშუალებების გარეშე, რადგანაც მის ქმარს არაფერი არ დაუტოვებია. ფურაი‘ა იყო ქმრის ნათესავებთან, როცა მისი სიკვდილის ამბავი შეიტყო [4,VIII, 366-68]. ის ძალიან ღარიბი იყო და მივიდა ალაჰის მოციქულთან, რათა ნება დაერთო დაბრუნებოდა თავის ოჯახს. თავდაპირველად, მუჰამადი დაეთანხმა, მაგრამ შემდეგ გამოიძახა და უთხრა, რომ ის უნდა დარჩენილიყო ‘იდდას დაასრულებამდე იმ ადგილას, სადაც მან შეიტყო თავისი ქმრის სიკვდილი. [5,VI,370]. ეს იმას ნიშნავდა, რომ თავისი ქმრის ნათესავებს უნდა მიეცათ მისთვის საკვები, ვიდრე დაასრულებდა დაწესებულ ვადას. თუმცა ეს ეწინააღმდეგებოდა ფატიმა ბინთ კაისის შემთხვევას, როცა მოციქულმა არ მიუთითა ამის თაობაზე. ეს არ ადასტურებს, რომ ფატიმას განცხადება სიმართლეს არ შეესაბამებოდა. შესაძლებელია, მუჰამადმა ძალა ვერ დაატანა ქმრის ოჯახს, ქმარი კი მედინაში არ იყო. ამასთან ფატიმას ქმრის ოჯახი ეკუთვნოდა მახზუმის გვარს, მექის კურაიშის ტომს, რომელთაც ჯერ კიდევ არ ჰქონდათ შეთვისებული ‘იდდას ჩვეულება. ფურაი‘ა კი მედინელი იყო და ‘იდდა უფრო მედინაში იყო პრაქტიკაში, ვიდრე მექაში. ამდენად, მუჰამადის გადაწყვეტილებას – ფურაი‘ა დარჩენილიყო თავისი ქმრის ნათესავებთან, არ შეხვდა წინააღმდეგობა მათი მხრიდან [29,430-45].

გადმოცემით, “ამ ჰადისის შესაბამისად იქცეოდა მრავალი მოციქულის სწავლული მიმდევარი და არა მხოლოდ ისინი. თვლიდნენ, რომ ქვრივი არ უნდა წავიდეს თავისი ქმრის სახლიდან ‘იდდას ვადის დასრულებამდე. თუმცა მოციქულის ზოგიერთი კომპანიონი თვლიდა, რომ ქვრივმა შეიძლება იქ იცხოვროს, სადაც ისურვებს. მაგრამ პირველი აზრი უფრო სანდოა“ [15,3/1204].

რაც შეეხება მომთაბარე ტომებს, იქაც ქვრივი სახლში უნდა დარჩენილიყო ‘იდდას დროს, მაგრამ თუ მისი ტომი გადადიოდა სხვა ადგილას, მას შეეძლო მათთან ერთად წასვლა.

თუ ქერიეს თავისი თავი თვითონ უნდა შეენახა და არავინ იყო, ვინც თავის თავზე აიღებდა მის უზრუნველყოფას, მაშინ მას ჰქონდა უფლება დღისით გასულიყო სახლიდან, რათა გამოეძიებინა, მაგრამ ვალდებული იყო ღამე თავისი ქმრის სახლში გაეტარებინა [21,209].

ჩვეულებრივ 'იდდა გრძელდება გაერილისათვის 3 მენსტრუაციული პერიოდი (كُرَاء') ან 3 კალენდარული თვე. ამ დროს გაირკვევა, არის თუ არა ის ფეხმძიმედ, თუ არის მაშინ 'იდდა გაგრძელდება ბავშვის დაბადებამდე [33,280].

ერთ-ერთი პრობლემა, რომელიც აუცილებლად უნდა განხილულ იქნას, არის ის, რომ მუჰამადმა ქერიეს – ას-სუბა<ია ბინთ ალ-ჰარის ალ-ასლამიიას – ნება დართო ხელახლა გათხოვილიყო ბავშვის დაბადების შემდეგ. ეს იყო 'იდდას დასრულებამდე [4,VIII,287-288;5,VI,432]. ამ გადაწყვეტილებიდან ნათლად ჩანს, რომ მუჰამადის მითითება 'იდდას თაობაზე გამოწვეული იყო პრაქტიკული თვალსაზრისით, რათა მამის გარდაცვალების შემდეგ დაბადებული ბავშვი არ ჩაეთვალათ მეორე ქმრის შვილად. მეორეს მხრივ, ეს არ ეთანხმება იმ განცხადებას, რომ ქმრის გარდაცვალების შემდეგ ქალმა უნდა იგლოვოს 4 თვე და 10 დღე. ტრადიციებში მოთხრობილია, რომ ცნობილ მუჰადისებს – იბნ <აბბასსა და აბუ ჰურაირას დაუსახელეს სუბა'იას შემთხვევა და აზრი ჰკითხეს იმ ქალის სტატუსის შესახებ, რომლის ქმარიც გარდაიცვალა. იბნ 'აბბასმა თქვა, რომ ქალს შეეძლო გათხოვება ხელახლა მას შემდეგ, რაც 2 თვე გავიდოდა. აბუ ჰურაირამ თქვა: როგორც კი დაბადებს ბავშვს. იბნ 'აბბასი გულისხმობდა, რომ თუ ბავშვს დაბადებდა 'იდდას დასრულებამდე, ის კიდევ უნდა დაელოდებოდა ვადის გასლას. მაგრამ თუ ამ პერიოდის ('იდდა) დასრულებისას ის ჯერ კიდევ ყეხმძიმე იყო, მას უნდა დაეცადა იქამდე, ვიდრე ბავშვი დაიბადებოდა [38,143]. სუბა'იამ დაბადა ბავშვი ქმრის გარდაცვალებიდან რამდენიმე დღის შემდეგ და მოციქულმა ნება დართო ხელახლა გათხოვილიყო.

ზემოთ განხილული ტრადიციები მოწმობს, რომ 'იდდა შემოღებულ იქნა ძირითადად ქალის გაერასთან დაკავშირებით. ცხადია, რომ 'იდდას, როგორც წესის დამკვიდრებასთან დაკავშირებით მუჰამადს შეხვდა წინააღმდეგობები. ეს შეიძლება გამოწვეული იყო ეკონომიკური მიზეზებით, რადგანაც გაერილი ქალის შემთხვევაში, მის ყოფილ ქმარს უნდა შეენახა ის 'იდდას პერიოდში, თუ ის ფეხმძიმედ იყო. ხოლო ქერიეს შემთხვევაში მხოლოდ მაშინ, თუ ის არ მიიღებდა მემკვიდრეობას. თუმცა ძნელი იყო პასუხისმგებლობის დაკისრება ქალის შენახვაზე მისი ქმრის ოჯახისთვის [38,144;25,280-281].

ყურანის 2:240 აიას შესაბამისად: "და თუ რომელიმე თვენგანი გარდაიცვლება და დატოვებს ცოლებს, მაშინ უნდა უანდერძოთ,[20] რომ ისინი შეინახონ ერთი წლის განმავლობაში და არ გააძევონ [თქვენი] სახლიდან და თუ ისინი დატოვებენ [თქვენს სახლს], მაშინ თქვენზე არ არის ცოდვა იმის გამო, რასაც ისინი მოიმოქმედებენ, წესის შესაბამისად".

ყურანის კომენტატორთა აზრით, ქერიეს ყოფნა გარდაცვლილი ქმრის სახლში საჭირო იყო განსაკუთრებით მაშინ, როცა ის არაფერს არ იღებდა მისგან მემკვიდრეობით. ამ შემთხვევაში მას შეეძლო იქ

[20] მეორე სურა არის ადრეული მედინური სურა. ანდერძი შემდეგ შეიცვალა აიებით მემკვიდრეობაზე, სადაც საუბარია ქერიეს კონკრეტულ წილზე მემკვიდრეობიდან.

დარჩენილიყო ერთი წლის განმავლობაში, თუ ამ დროის მანძილზე ხელახლა არ გათხოვდებოდა [8,I,129]. ალ-ბუხარი ხაზს უსვამს, რომ ქალს უფლება აქვს დარჩეს 7 თვე და 20 დღე თავისი ქმრის ნათესავებთან ქმრის სურვილის და ანდერძის შესაბამისად. თუმცა ქვრივს უფლება აქვს დარჩეს უფრო მეტი დრო ან წავიდეს ქმრის სახლიდან [3,III,181;13, 63:256].

მოციქულის ცნობილი მიმდევრები – 'აბდ ალ-ლაჰ ბ. 'უმარი, 'აიშა, უმმ სალამა და სხვები ერთსულოვანნი იყვნენ იმაში, რომ გლოვა აუცილებელია ქალისათვის, რომელსაც გარდაეცვალა ქმარი. არც ერთი მითითება არ არის იმის თაობაზე, რომ მოციქულის მიმდევრებიდან ვინმე არ ეთანხმებოდა ამ აზრს და ამიტომ ის სავალდებულოა მთელი მუსლიმური თემისათვის.

გლოვის ვადა ემთხვევა 'იდდას პერიოდს, რათა გაირკვეს ფეხმძიმედ არის თუ არა ქალი. ყურანი მიუთითებს: „და ისინი თქვენგან, ვინც გარდაიცვლებიან და დატოვებენ ცოლებს – მათ უნდა დაიცადონ [ხელახლა გათხოვებამდე] 4 თვე და 10 დღე" [2:234].

ყურანის კომენტატორთა აზრით, "ქვრივს არ შეუძლია ხელახლა გათხოვება ამ დროის გასვლამდე, რადგანაც აუცილებელია დადგინდეს, ელოდება თუ არა ბავშვს. ქვრივისათვის "თავშეკავების ვადა" შეადგენს ან 4 თვეს და 10 დღეს ან ეს ვადა გადის ბავშვის დაბადების შემდეგ, თუნდაც ეს მოხდეს [ქმრის] სიკვდილიდან 130 დღეზე მეტი ხნის შემდეგ. თუ ბავშვი დაიბადება უშუალოდ ქმრის სიკვდილისთანავე, 'იდდა წყდება ამ მოვლენასთან დაკავშირებით. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ მუსლიმური სამართლის მიხედვით, 'იდდა ქვრივისათვის უფრო მეტია, ვიდრე გაყრილი ქალისათვის. ამით გამოიხატება მისი პატივისცემა გარდაცვლილისადმი [2,51].

მუჰამადს განქორწინებასთან დაკავშირებული მითითებების დამკვიდრებასთან დაკავშირებით მრავალი წინააღმდეგობა შეხვდა. 'უსმან ბ. 'აფფანის ნახევარდა – უმმ ქულსუმ ბინთ 'უკბა, რომელთან დაკავშირებითაც გარდმოვლენილ იქნა სურა 60:10, თავისი ქმრის – ზაიდ იბნ ჰარისის გარდაცვალების შემდეგ გათხოვდა აზ-ზუბაირ ბ. ალ-'ავვამზე [4,VIII,230-31], რომელიც უხეში იყო თავისი ცოლების მიმართ. უმმ ქულსუმმა სთხოვა გაყრა და ბოლოს მან წარმოთქვა ერთი „ტალაკ" მის წინააღმდეგ. უმმ ქულსუმი წავიდა და მოგვიანებით ქმარმა შეიტყო, რომ მან დაბადა ბავშვი. აზ-ზუბაირმა განაცხადა, რომ ცოლმა მოატყუა ის. მუჰამადმა ურჩია, უკან მიეღო ცოლი ყურანის მითითებათა შესაბამისად, მაგრამ მან უარი თქვა. ყურანის 2:228 აია პირდაპირ მიუთითებს, რომ გაყრილმა ქალმა არ უნდა დამალოს, რომ ის ფეხმძიმედაა გაყრის შემდეგ და ქმარს შეუძლია დაიბრუნოს ცოლი. ამასთან მიუთითებულია, რომ ფეხმძიმობის პერიოდში ქმარმა უნდა შეინახოს ის ბავშვის დაბადებამდე [34, 31;24,62].

"თუ ისინი ფეხმძიმედ არიან, შეინახეთ ისინი, ვიდრე იმშობიარებენ, და თუ ისინი კვებავენ [ძუძუთი] თქვენს ბავშვებს, გადაუხადეთ მათ და მოითათბირეთ ერთმანეთში კეთილად, და თუ ვერ მოითათბირებთ ერთმანეთში კეთილად, მაშინ მოიწვიეთ ძიძა" [65:6].

საინტერესოა, თუ ვისთან რჩებიან ბავშვები გაყრის შემდეგ?

იბნ სა'დისთან არის გადმოცემა, რომ აზ-ზუბაირ ბ. ალ-'ავვამი გაეყარა ასმა' ბინთ აბი ბაქრს და წაიყვანა მისი ვაჟი 'ურვა, რომელიც მაშინ პატარა იყო [4,VIII,253]. ძნელია ითქვას, რომ ეს ეხება გაყრას, როცა ერთი „ტალáკ" არის წარმოთქმული, თუ საბოლოო გაყრას. თუმცა ნათქვამია, რომ აზ-ზუბაირმა იქორწინა ამის შემდეგ მრავალ ქალთან.

ერთხელ გაყრილი ქალი მივიდა ალაჰის მოციქულთან და უთხრა: "ჩემი ბავშვი ჩემს მიერ გამოზრდილია, მაგრამ ბავშვის მამას უნდა წამართვას მე". მოციქულმა უპასუხა: "იქამდე ვიდრე არ გათხოვდები სხვაზე, შენ მეტი უფლება გაქვს ბავშვის აღზრდაზე". ეს ჰადისი აჩვენებს, რომ დედას აქვს ბავშვის აღზრდის უპირატესი უფლება გაყრის შემდეგ და ეს უფლება უნარჩუნდება მას ხელახლა გათხოვებამდე. არის ასეთი ჰადისიც: "მოციქულ მუჰამადთან მივიდა გაყრილი წყვილი და მიიყვანეს ბავშვი, რომელიც თითოეულს სურდა თავისთან დაეტოვებინა. ალაჰის მოციქულმა შეისწავლა სიტუაცია, დასვა ერთი მშობელი ერთ მხარეს და მეორე მშობელი მეორე მხარეს. შემდეგ მივიდა ბავშვთან და ჰკითხა: "ხელი მოკიდე იმას, ვინც შენ გსურს". ბავშვი მივიდა დედასთან და ხელი ჩაავლო. ამის შედეგ ბავშვზე უფლება მას გადაეცა და ორივე ერთად წავიდა" [19, 290].

ამ ჰადისებზე დაყრდნობით, მუსლიმი თეოლოგები აკეთებენ ასეთ დასკვნას, რომ დედამ უნდა აღზარდოს ბავშვი იმ ასაკამდე[21], ვიდრე ის შეძლებს შეგნებულ მოქმედებას. სამართალმცოდნეთა განმარტებით, ბავშვი რჩება დედის მზრუნველობის ქვეშ, ვიდრე ის მიაღწევს 7 წლის ასაკს ან სრულწლოვანებას. თუმცა შესაძლოა ეს წესი არ მოქმედებდა ადრეულ მუსლიმურ თემში ან შესაძლოა, ეს საკითხი სასამართლოს გადასაწყვეტი იყო. ერთ-ერთი ჰადისის თანახმად, მოსამართლეს კენჭისყრით შეეძლო ამ საკითხის გადაწყვეტა.

განქორწინებასთან დაკავშირებით დაცული უნდა იქნას შემდეგი პირობები:

1. არ შეიძლება ქმარი გაეყაროს ცოლს, როცა ის რიტუალურად უწმინდურ მდგომარეობაშია. ასეთ შემთხვევაში განქორწინება ბათილად ითვლება [10,100,შენ.5].

უსენაესმა ალაჰმა თქვა: "ო, მოციქულო, როცა თქვენ [მუსლიმები]გაეყრებით ცოლებს, გაეყარეთ დადგენილ დროს და დაიწყეთ ვადის ათვლა... [65:1].

2. არ შეიძლება განქორწინების სპეციალური ფორმულის (ტალáკ) წარმოთქმა ერთდროულად სამჯერ. ის იკრძალება მოციქულის ჰადისით, რომელმაც თქვა ამ შემთხვევასთან დაკავშირებით: "ნუთუ შეიძლება თამაში ალაჰის წიგნით იმ დროს, როცა მე თქვენს შორის ვარ" [16]. სამჯერ „ტალáკ" უნდა წარმოითქვას და განხორციელდეს სხვადასხვა დროის მონაკვეთში. მოციქულის დროს, აბუ ბაქრის[22] და 'უმარის[23] ხალიფობის პირველი ორი წლის განმავლობაში არ იყო პრაქტიკაში „ტალáკ"-ის 3-ჯერ ერთდროულად წარმოთქმა, რადგანაც ის ითვლებოდა,

---

[21] ყურანის 2:233 აიას შესაბამისად, დედამ ბავშვი უნდა გამოკვებოს ძუძუთი ორი წლის განმავლობაში. მეორეს მხრივ, მშობლები უნდა შეთანხმდნენ ბავშვის აღზრდასთან დაკავშირებით [8,I,124,შენ.516;24.61].

[22] აბუ ბაქრ ას-სიდდიკ – მუჰამადის უახლოესი მიმდევარი, პირველი ხალიფა 632-34წწ.

[23] "უმარ ბ. ალ-ხატტაბ – მეორე „მართლმორწმუნე" ხალიფა 634-644 წწ.

როგორც ერთი და შესაბამისად ქორწინების აღდგენა შეიძლებოდა [26,124].

მოციქულის გარდაცვალების შემდეგ, განქორწინების შემთხვევები გაიზარდა და 'უმარმა შეიტანა ცვლილება ამ წესში. სახელდობრ, „ტალáკ"- ის ფორმულის ერთდროული, უწყვეტი წარმოთქმა 3-ჯერ, კანონიერად გამოაცხადა და ეს იყო საბოლოო გაყრა, რადგანაც გადმოცემით, ხალხს არ სურდა დაეცადა გარკვეული დრო განქორწინების მისაღებად[24].

3. თუ 'იდდას დროს მეუღლეები განაახლებენ ურთიერთობას, „ტალáკ" ბათილად ითვლება. 'იდდას დასრულების შემდეგ ცოლ-ქმარს შორის განმეორებითი ქორწინება მხოლოდ ჩვეულებრივი წესით (ზაეაჯ) ხდება. გაყრის ფორმულის ერთჯერადი წარმოთქმა შეიძლება ანულირებული იქნას შერიგებით 'იდდას დროს. თუ შერიგება არ მოხდა ან ფორმულა წარმოთქმულ იქნა ორჯერ, მაშინ ქორწინების აღსადგენად, საჭიროა გამოსასყიდი ქმედებები განწმენდის ვადის დაცვით – მარხვის და მოწყალების გაცემით; ყურანის თანახმად, „როცა თქვენ აძლევთ განქორწინებას ცოლებს, მაშინ დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ, დატოვეთ ისინი [თქვენთან], წესის თანახმად ან გაუშვით ისინი წესისამებრ. მაგრამ არ დააყოვნოთ ისინი იმ აზრით, რომ ავნოთ მათ, დაარღვიოთ [კანონი] და ის, ვინც ასე მოიქცევა, ჩაიდენს ძალადობას თავის მიმართ" [2:231].

ნათქვამია, რომ ეს აია გარმოვლენილ იქნა "როცა მა'კალ ბ. იასარის დას გაეყარა ქმარი. მან წარმოთქვა "ტალáკ" ერთხელ და თავშეკავების პერიოდში არ წარმოუთქვამს "ტალáკ" მესამეჯერ, თუმცა როცა 'იდდა გავიდა, მან მოინანია თავისი მოქმედება და მოისურვა უკან დაებრუნებინა ცოლი. ამ უკანასკნელსაც სურდა დაბრუნებოდა თავის ქმარს, მაგრამ მისმა ძმამ არ მოიწონა მისი გადაწყვეტილება. ამის შემდეგ იქნა გარდმოვლენილი ეს აია, რათა გაერკვია სიტუაცია [28,131,შენ,22].

4. „ტალაკ"-ის ფორმულის სამჯერ წარმოთქმის შემთხვევაში, ხელმეორედ შეუღლება მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა ქალი სხვაზე გათხოვდება, მერე კი განქორწინდება (ან დაქვრივდება). ეს ქორწინება უნდა მოხდეს მაჰრის გადახდით, 'იდდას დაცვით და სხვა.

„გაყრის შესახებ ცხადდება ორჯერ, რომლის შემდეგაც ან უნდა შეინარჩუნოთ ცოლი, როგორც მიგითითებთ შარიათი (კანონი) და გონება, ან გაუშვათ ის ღირსეულად" [2:229].

ამ აიას გარდმოვლენის მი'ს'ი გახდა შემდეგი: ჯაჰილიაში 'ქმარი აძლევდა თავის ცოლს გაყრას იმდენჯერ, რამდენჯერაც სურდა და ის

[24] მუსლიმ სწაელულთა აზრით, "უმარმა ეს გადაწყვეტილება მიიღო ექსტრაორდინალური შემთხვევების გათვალისწინებით. სახელდობრ, დაპყრობათა დროს მედინაში მრავალი ტკვე ქალი ჩამოაყალდათ სირიიდან,ეგვიპტიდან და სხვა ქვეყნებიდან. ისინი ძალიან ლამაზები იყვნენ და არაბებს სურდათ მათზე დაქორწინება. მაგრამ აქ ქალებს თავის მხრივ არ სურდათ თანაცოლებთან ცხოვრება და ისინი ხშირად პირობას უყენებდნენ მამაკაცებს, რათა გაეროდნენ თავიანთ ცოლებს 3-ჯერ „ტალáკ"-ის წარმოთქმით, რაც მათ უკან დაბრუნებას უკრძალავდა. თუმცა მათ არ იცოდნენ, რომ სამჯერ წარმოთქმა ერთდროულად ერთ „ტალáკ"-ს უტოლდებოდა. არაბები წარმოთქვამდნენ 3-ჯერ „ტალáკ"-ს, რათა დაერწმუნებინათ ეს სირიელი და სხვა ქალები, მაგრამ მერე იბრუნებდნენ უკან, რაც იწვევდა დაუსრულებელ კამათს. იმისათვის, რომ აღმოეფხვრა ეს სიძნელეები, ხალიფა "უმარმა 3-ჯერ „ტალáკ"-ის ერთდროული წარმოთქმა საბოლოო გაყრად გამოაცხადა [26,127].

კვლავ ხდებოდა მისი ცოლი. ის იბრუნებდა მას, როცა ის იყო ჯერ კიდევ დადგენილ პერიოდში, თუნდაც მიცემული ჰქონოდა გაყრა 100-ჯერ და მეტი ოდენობით. ერთხელ ქმარმა უთხრა თავის ცოლს: "ვფიცავ ალაჰს, მე არ მოგცემ შენ გაყრას, მაგრამ შენ იცხოვრებ ჩემგან განცალკევებით. მე არასოდეს მოგცემ შენ გაყრას, მაგრამ ყოველთვის როცა გავა ვადა ('იდდა), მე დაგიბრუნებ შენ". ცოლი წავიდა და შეატყობინა მოციქულს. ის დუმდა, ვიდრე არ იქნა გარდმოვლენილი ყურანის აია [9,418,შენ.173].

ყურანში ნათქვამია, რომ მამაკაცს არ შეუძლია ხელახლა იქორწინოს თავის ცოლზე საბოლოო გაყრის შემდეგ, ვიდრე ეს ქალი ცხოვრობს სხვა მამაკაცთან. "თუ ქმარმა მისცა ცოლს გაყრა [მესამეჯერ], მაშინ მას არ შეუძლია იქორწინოს მასზე, ვიდრე ის არ გათხოვდება სხვაზე. და როცა [ახალი ქმარი] გაეყრება მას, მა'შინ ყოფილ მეუღლეებს ნება ერთვებათ დაუბრუნდნენ [ცოლ-ქმრულ ცხოვრებას] იმ პირობით, რომ მათ განსრახული აქვთ შეასრულონ ალაჰის მითითება. ეს არის – ალაჰის მიერ დადგენილი" [2:230].

ყურანის დადგენილებები მიუთითებს, რომ თუ მამაკაცი გადაწყვეტს გაეყაროს ცოლს, ის უნდა გაეყაროს მას ღირსეულად [2:229]. ეს ეხება იმ შემთხვევებსაც, როცა ქორწინება არ იყო დასრულებული და მაჰრი არ იყო დადგენილი ქალისათვის [2:236]. მაგალითად, მუჰამადმა ასმა' ბინთ ალ-ნუ'მანს მისცა 2 ნაჭერი ბამბის ქსოვილი კომპენსაციის სახით. აქ გამოყენებულია ტერმინი მათთა'ა [4,VIII,146]. ეს ტერმინი არის ყურანის მითითებებში [2:241] და „არჩევანის აია"-ში [33:28]. არის კიდევ ერთი ასეთი შემთხვევა, სადაც ეს ტერმინია გამოყენებული: 'აბდ არ-რაჰმან ბ. 'აუფი გაეყარა თუმადირ ბ. ალ-ასბაღის [4,VIII,298-300], ბანუ ქალბის ტომის ბელადის ქალიშვილს. მასზე იქორწინა მუჰამადის მითითებით, როცა ის გაიგზავნა ქალბის ტომთან მოსალაპარაკებლად. მან მისცა თუმადირს კომპენსაციის სახით – შავი მონა. 'აბდ არ-რაჰმანი იყო მდიდარი კაცი და შეუძლებელია, რომ ადრეულ მუსლიმურ თემში ამგვარი კომპენსაცია ხშირი ყოფილიყო.

მათთ'ას (ამგვარი კომპენსაციის) ოდენობა განსაზღვრული არ არის. ყურანის კომენტატორთა აზრით, „ეს ჩვეულება ეხება ქალებს, რომელთაც გაეყარნენ რაიმე სერიოზული დანაშაულის გარეშე მათი მხრიდან. კომპენსაციის ოდენობა, რაც აუცილებლად უნდა გადაუხადოს ხელმეორე ქორწინებამდე, რჩება ღიად, რადგანაც ის დამოკიდებულია ქმრის ფინანსურ მდგომარეობაზე და იმ შესაბამისი დროის სოციალურ პირობებზე [11,104].

"მას (მათთა<ა) არა აქვს ვადა, რადგანაც ალაჰს არ განუსაზღვრია რაიმე ვადა საზრდოსათვის. ის მხოლოდ იწონებს საარსებო საშუალებათა გადახდას" [32,131].

ყურანის კომენტატორთა აზრით, ეს კომპენსაცია არის დამატებითი შვება გაყრილი ქალებისათვის, საქორწინო საჩუქარზე უფლებების მი'უხედავად. ყურანი აფრთხილებს მუსლიმებს, რომ გამოამჟღავნონ განსაკუთრებული სიკეთე და დიდსულოვნება ქალთან მიმართებაში, რომელსაც ტოვებენ, რადგანაც რთულ სიტუაციაში, რომელიც გარდაუვალია ნებისმიერი საქორწინო კავშირის დარღვევისას, ადამიანებისათვის დამახასიათებელია არასამართლიანი და უხეში მიმართვა თავიანთი ცოლებისადმი. ამის გამო არის საუბარი

"ვალდებულებაზე", რათა წინა პლანზე იყოს წამოწეული დიდსულოვნება და არა უპირობო აუცილებლობა. თუმცა ისეც შეიძლება მოხდეს, როცა გაყრილი ქალისათვის არ არის გათვალისწინებული ნათლად დადგენილი საქორწინო საჩუქარი იმის და მიუხედავად, რომ ქორწინება კანონიერია. ამ შემთხვევაში ქმარი ვალდებულია გადაუხადოს მას საქორწინო საჩუქარი, თავისი ოჯახის ჩვეულებების შესაბამისად, როგორც საზღაური საცოლისათვის [8,I,129,შენ.536].

როგორც აღვნიშნეთ, ყურანი არ ადგენს იმ დახმარების ზუსტ ოდენობას, რომელიც ქმარმა უნდა გაუწიოს ცოლს განქორწინების შემდეგ. მასში უბრალოდ ნათქვამია: "შეძლებულს – თავისი ზომა, ღარიბს – თავისი ზომა [2:236] ან "როგორც შეფერის ღვთისმოსავ ადამიანს" [2:241]. ამის გარდა, ყურანმა აუკრძალა ქმარს, რომ წაერთმია ცოლისათვის ის ქონება, რაც მან უკვე აჩუქა მას ქორწინების დროს [4:20,21].

მონა-ქალებს რაც შეეხება, მუჰამადმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ განთავისუფლებულ მონა-ქალს უფლება ჰქონდა დაერღვია საქორწინო ხელშეკრულება, რომელიც მან დადო მონობაში ყოფნის დროს. მან ბარირას – 'აიშას მონა-ქალს გათავისუფლების შემდეგ მისცა არჩევანის უფლება: ან გაცილებოდა თავის ქმარს ან ხელახლა ექორწინა მასზე [4,VIII,859]. ბარირამ აირჩია გაყრა. თუმცა ზუსტად არ არის ცნობილი, მისი ქმარი იყო მონა თუ თავისუფალი. გადმოცემების უმრავლესობა ეთანხმება, რომ ის იყო მონა. ეს იმას ნიშნავს, რომ მუჰამადის გადაწყვეტილება ეხებოდა მონა-მამაკაცს. ერთი რამ დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ბარირა გათხოვილი იყო მასზე თავისი ყოფილი პატრონის მიერ, მისი თანხმობით ან მისი თანხმობის გარეშე [38,146]. 'იდდა აუცილებელი იყო მონა ქალისთვისაც, მაგრამ 4 თვის და 10 დღის ნაცვლად, მხოლოდ 2 თვე და 5 დღე გრძელდებოდა. 3 კურᾶ'-ს ნაცვლად (3 მენსტრუაციული პერიოდი) – 1, 2 ან 3 თვის ნაცვლად, 1 ან 2 თვე [29,445].

ქალი შეიძლება გაეყაროს თავის ქმარს, თუ ეს უკანასკნელი გაუჩინარდა (მაფკᾶდ ალ-ხაბარ). არ არსებობს შიკᾶკ (უთანხმოება), მაგრამ ქმარს არ შეუძლია ცოლ-ქმრული ვალდებულებების შესრულება. ყურანში ან ჰადისებში არ არის პირდაპირი მითითება, რამდენ ხანს უნდა ელოდოს ქალი ქმარს: ჰანიფიტების აზრით, 120 ან 100 წელზე მეტი; შაფიიტების აზრით, 7 წელი; მალიქიტების თანახმად – 4 წელი. ალ-ბუხარისთან არის სპეციალური თავი – „მაფკᾶდ" [13,68:21]. თუმცა იქ არ არის მოციქულის ჰადისი უშუალოდ ამ საკითხზე. მაგრამ არის იბნ მუსაიბის დამოწმება, რომლის თანახმადაც თუ პიროვნება ხდება მაფკᾶდ ბრძოლის დროს, მისმა ცოლმა უნდა დაუცადოს ერთი წელი. გადმოცემულია აგრეთვე, რომ იბნ მას'უდი ეძიებდა თავისი მოსამსახურე ქალის ქმარს ერთი წელი და შემდეგ გამოაცხადა, როგორც მაფკᾶდ. ეს არ იყო ის შემთხვევა, როცა მამაკაცი დაიკარგა ბრძოლის დროს. ამდენად, ერთი წელი საკმარისია, რომ მამაკაცი გამოცხადდეს, როგორც მაფკᾶდ და ეს არის გაყრის საფუძველი. მაგრამ ის განსხვავდება ხულ'ასაგან, რადგანაც ცოლი არაა ვალდებული დაუბრუნოს მაჰრი [11,677]. თუმცა ყურანი ურჩევს ქალებს შერიგებას იმ შემთხვევაშიც კი, როცა ქმარი უხეშად ექცევა ცოლს ან უარყოფს მას [4:128].

ქმრისათვის, რომლის ცოლიც საფრთხეს უქმნის ქორწინებას, ყურანში არის 4 ტიპის რჩევა, რომელიც დეტალურადაა განხილული შემდეგ აიებში: "კეთილშობილი ქალები არიან ერთგულნი თავიანთი ქმრების" და იცავენ [ქმრის არყოფნის დროს] ყველაფერს, რაც მიუთითა ალაჰმა, რომ დაიცვან. ხოლო იმათ [ცოლებს], რომელთა დაუმორჩილებლობის [ნუშá'ს] თქვენ გეშინიათ, თავიდან შეაგონეთ, [ხოლო შემდეგ] საქორწინო სარეცელ'ზე უარი უთხარით. [თუ ეს არ უშველის], სცემეთ და თუ ისინი დაგემორჩილებიან თქვენ, მაშინ არ აწყენინოთ მათ. ჭეშმარიტად, ალაჰი უ'სუნაესი, უდიდესია" [4:34]. „თუ თქვენ გეშინიათ უთანხმოების მეუღლეებს შორის, მა'შინ დანიშნეთ სამართლიანი წარმომადგენელი ქმრის ოჯახიდან და ცოლის ოჯახის მხრიდან. თუ ორივე [მეუღლეები] მოისურვებენ შერიგებას, მაშინ ალაჰი შეარიგებს მათ" [4:35].

ტრადიციებში არის მრავალი შემთხვევა, როცა განქორწინების საკითხი განიხილებოდა სწორედ სასამართლო პროცედურის შესაბამისად. 4:130 აიას თანახმად, "თუ მეუღლეები გაეყრებიან მაშინ ალაჰი თითოეულ მათგანს უსრულველყოფს თავისი სულგრძელობით". კომენტატორთა განმარტებით, "იმით, რომ მისცემს თითოეულ მათგანს ახალ მეუღლეს" [9,439,შენ.111; 7,130].

65:2 აიას თანახმად კი გაყრისას საჭიროა 2 მოწმე (მამაკაცი), რათა დაადასტურონ, რომ ის იყო მოუფიქრებელი. ასეთ მითითებას აძლევს იმას, ვისაც სწამს ალაჰის და განკითხვის დღის, რადგან "იმას, ვისაც ეშინია ალლაჰის, ის აძლევს სხვა გამოსავალს [მდგომარეობიდან]".

განქორწინების საკითხებზე მსჯელობისას აუცილებლად უნდა ითქვას რამდენიმე სიტყვა უშუალოდ მოციქულის პირად ცხოვრებასთან დაკავშირებით. ტრადიციების თანახმად, ის არასოდეს არ გასცილებია თავის ცოლებს საბოლოოდ. მაგრამ აღნიშნულია, რომ მან წარმოთქვა ერთი „ტალá" (ტალლაკა) ჰაფსასთან და რაიჰანასთან მიმართებაში [4,VIII,30]. შესაძლოა, საედას მიმართაც და თავისი სიცოცხლის ბოლოს ის დაცილდა თავის ცოლებს. ჰაფსას შემთხვევაში არ არის მოხსენიებული განქორწინების მიზეზები. შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ ჰაფსას მძიმე ხასიათის გამო. ერთ-ერთ ეერსიაში გადმოცემულია, რომ მუჰამადთან მივიდა მთავარანგელოზი ჯაბრაილი და უთხრა მას, რომ ჰაფსა უკან დაებრუნებინა [4,VIII,34]. სხვა გადმოცემით, მან დააბრუნა ის უკან და მას უბრძანეს ეს გაეკეთებინა [4,VIII,34]. რაიჰანასთან (ყოფილი ტყვე) დაკავშირებით, საერთოდ ეჭვს იწვევს – იქორწინა თუ არა სინამდვილეში მასზე მუჰამადმა. რაც შეეხება საედას, შესაძლებელია, რომ მუჰამადი გაეყარა მას, მაგრამ ტრადიციები ცდილობენ დამალონ ეს ფაქტი. მხოლოდ ერთი ტრადიციის თანახმად, მუჰამადმა გაუგზავნა მას „ტალá". სხვაგან მოხსენიებულია საედას შიში, რომ მუჰამადი ამას გააკეთებდა და ეს იყო მისი გაფრთხილება. 4:128 აია სწორედ ამ ამბავთან დაკავშირებით იქნა გარდმოვლენილი. მთავარი ის იყო, რომ საედა დარჩა მუჰამადის ცოლად მხოლოდ სახელით, მუჰამადი აღარ მოინახულებდა მას და საედამ დაუთმო „თავისი დღეები" 'აიშას [4,VIII,54]. შესაძლოა, რომ ეს შეთანხმება საედასთან მოხდა უფრო გვიან, ვიდრე გაყრა ჰაფსასთან. ჰაფსასთან განქორწინება იყო ტიპიური მაგალითი გაყრის, რაც შეიძლებოდა მომხდარიყო ნებისმიერი არაბი ქალის ცხოვრებაში. ამდენად, მუჰამადმა გაანალიზა, რომ მის ცოლებს უნდა დაეკავებინათ მაღალი

სოციალური მდგომარეობა მუსლიმურ თემში, ვიდრე დანარჩენ ქალებს და წამგებიანი იქნებოდა მისთვისაც და მისი ცოლებისთვისაც, თუ ის გამოიყენებდა გაყრის ჩვეულებრივ მეთოდს, როცა უთანხმოება წარმოიშობოდა მასა და მის ცოლებს შორის.

ყურანში არის გამოცხადებები, რაც მიუთითებს, რომ მუჰამადს ჰქონდა განსაზღვრული გეგმა – მიეცა თავისი ცოლებისათვის მაღალი სოციალური მდგომარეობა თემში. ყურანის აიას ("არჩევანი"–33:28-9) თანახმად, მუჰამადი დაცილდა თაეის ცოლებს ერთი თვით და ამის შედეგ არჩევანი შესთავაზა: ან „ამქვეყნიური ცხოვრება და მისი ნეტარება" ან „ალაჰის მოციქული და იმქვეყნიური ცხოვრება". 'აიშას განცხადებით, ეს არ ნიშნავდა გაყრას, თუმცა სხვა ვერსიებში არის საპირისპირო აზრი გამოთქმული.

იბნ სა'დისთან ნათქვამია, რომ ერთმა ანსარმა თქვა: ჩურჩულებენ, რომ მუჰამადი გაეყარა თავის ცოლებს, თუმცა ჰაფსას მამამ – 'უმარ ბ. ალ-ხატტაბმა ჰკითხა და მუჰამადმა უპასუხა, რომ ის არ გაყრია თავის ცოლებს. შესაძლოა მუჰამადმა ამ მითქმა-მოთქმის შესაჩერებლად გადაწყვიტა რელიგიური სანქცია მიეცა თავისი ურთიერთობისათვის ცოლებთან. აქ „ტალáკ" არ არის ნახმარი. შეიძლება დავასკვნათ, რომ ჰიჯრის 8 ან 9/630-31 წლის შემდეგ ის არ გაყრია თავის რომელიმე ცოლს.

და ბოლოს, ისლამი თვითონ შეიძლება გახდეს განქორწინების მიზეზი. 60:10 აიაში განსაზღვრულია, რომ მუსლიმ ქალებს ნება არ ერთვებათ გათხოვდნენ ურწმუნოებზე. მუჰამადის ბიძაშვილი – უმმ ჰანი' ბინთ აბი ტალიბ, რომელიც გახდა მუსლიმი, გაეყარა თავის ქმარს – ჰუბაირა ბ. აბი ვაჰბ ალ-მახზუმის [4,VIII, 152]. ზაინაბი – მუჰამადის ქალიშვილი გახდა მუსლიმი თავის ქმარზე (აბუ ლ-'ას ბ. ალ-რაბი'ა) ადრე. ზაინაბი წავიდა ემიგრაციაში ან მუჰამადთან ერთად ან მომდევნო წელს. გადმოცემით, მანამდე ზაინაბი გაეყარა თავის ურწმუნო ქმარს, ხოლო მისი ქმარი მუსლიმი გახდა ჰიჯრის 7/628-29 წელს და მხოლოდ ამის შემდეგ ჩავიდა მედინაში [4,VIII,31]. აღნიშნულია, რომ მოციქულმა დაუბრუნა ზაინაბი თავის ქმარს ახალი ქორწინებით [4,VIII,33]. მაგრამ არ არის აღნიშნული,აბუ ლ-'ასმა მისცა თუ არა ზაინაბს ახალი მაჰრი. გადმოცემით, ეს გახდა მე-9 სურის (ბარá'ა–თავისუფლება ან მონანიება) გარდმოვლენის მიზეზი – როცა ცოლი ხდება მუსლიმი მის ქმარზე ადრე, ერთადერთი გზა არის გაეყაროს მას, რადგან „მის მიერ ისლამის მიღება იყო საბოლოო გაყრა (თატლ‹კ ბá'ინ)" [4,VIII,32].

ყურანის 66:10 აიას შესაბამისად, ყველა ქორწინება მუსლიმი ქალის ურწმუნოსთან ძალადაკარგულად გამოცხადდა. საჭირო იყო მაჰრის უკან დაბრუნება, როგორც ეს გათვალისწინებული იყო ქალის ინიციატივით გაყრის დროს. "ასეთი წესით გაყრის დროს მოქმედებს იგივე პირობები, რაც ხულ'ას დროს. იგულისხმება, რომ არამუსლიმ ქმარს არანაირი დანაშაული არ მიუძღვის და საქორწინო ხელშეკრულება ირღვევა ცოლის მიერ, რომელსაც ამ შემთხვევაში უნდა დაებრუნებინა მაჰრი. თუ მას არ შეეძლო ამის გაკეთება, მუსლიმური თემი იყო ვალდებული გადაეხადა მისთვის" [8,IX,2650,შენ.37].

ისლამის მიღება მართლაც ნიშნავდა მრავალი წინა-ისლამური ჩვეულების უარყოფას ქალის სტატუსთან დაკავშირებით. ყურანში

თანმიმდევრულად არის შემუშავებული ცოლ-ქმრული ურთიერთობის დარღვევის წესი, თუმცა შეიჩღუდა ის გარკვეული ვალდებულებებით.

ქალთა დისკრიმინაციის ერთ-ერთ მაგალითად მუსლიმურ სამართალში განიხილება მამაკაცის უფლება – ჰყავდეს ერთდროულად ოთხი ცოლი და გაეყაროს ნებისმიერ მათგანს, როცა მოისურვებს. ამის საპირისპიროდ, მუსლიმ ქალს შეუძლია ჰყავდეს მხოლოდ ერთი ქმარი და გაყრა მიიღოს მხოლოდ სერიოზული საფუძვლის არსებობის შემთხვევაში და ისიც ქმრის თანხმობით.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

1. ‘აბდ ალ-ბáკ‹, მუ▯ამმად ფუ’áდ. ალ-მუ‘ჯამ ალ-მუფაჰრას ლი-ალფáᲦ ალ-კურ’á ნ ალ-ქარ‹მ. დáრ ალ-ფაქირ, 1401/1981.
2. ალ-ბაი«%ოვáნ, ნ%ო'ირ ად-დáნ ‘აბდ ალ-ლ%ოპ ბ. ‘უმარ. ანვ%ირ ათ-თანზ‹ლ ეა ასრ%ირ ათ-თა’ვáლ. დáრ ალ-ფაქირ.1302/1982
3. ალ-ბუხ%ირáნ, მუჰამმად ბ. ისმ%ი‘ილ აბáᲦ ‘აბდ ალ-ლ%ოპ ალ-ჯუ‘ფ‹. ალ-ჯამ‹‘ ს‹-‹ა▯áნ▯, მი'რ,1304 ჰ.
4. იბნ სა“დ, ტაბაკáთ ალ-ქუბრá. I-IX, ბაირáᲦთ(თ.გ.).
5. იბნ ▯ანბალ, აჰმად. მუსნად, 1-6, მი'რ, 1313 ჰ.
6. ატ-ტაბარ‹, აბáᲦ ჯა‘ფარ მუ▯ამმად ბ. ჯარ‹რ. ჯáმი‘ ალ-ბაიáნ ô«თაôს‹რ ალ-კურ’áნ. 1-30, მისრ, 1323-1329/1905-1911.
7. [ჯალáლაინი] ჯალáლ ად-დáნ ალ-მა▯ალლáᲦ ეა ჯალáლ ად-დáნ ას-სუიáტáᲦ. თაôს‹რ ალ-იმáმაინ ალ-ჯალáლაინ. ბაირáᲦთ(თ.გ.).
8. **Значение и смысл Корана**. SKB-Bavaria, Verlag and Handel GmbH,1999.
9. **Коран.** Перевод с арабского и комментарии **М-Н. О. Османова**. М.,1995.
10. **Хрестоматия по исламу.** Переводы с арабского, введение и примечания. Составитель С.М. Прозоров, М. 1994.
11. **Ali, Abdullah Yusuf.** The Holy Quran. Text,Translation and Commentary .Beirut(n.d.).
12. **Al-Balâdhurî.** The Ansâb al-Ashrâf. Vol. I.M. Hamidullah,ed.Cairo,1959.
13. **al-Bukhâri,** Muhammad ibn Ismâ“il. The Translation of the Meanings of Sahih al-Bukhari: Arabic-English,trans. Muhammad Muhsin Khan.al-Medina, 2nd revised edition.9 vol. 1973-1976.
14. **Maulana, Muhammad Ali.** The Holy Qur'ân. Arabic Text with English Translation and Commentary. Ohio, U.S.S., New 2002 edition.
15. **[Muslim]**Sahih Muslim,ed. Abdul Hamid Siddiqi (Arabic-English), Leiden,1972-1975.
16. **Tafsir ibn Kathir.** ¯ Tafsir. com Tafsir ibn Kathir.
17. **Women in Islam.** An Anthology from the Qurân and $adîths.Translated and edited by Nicholas Awde. Curzon, 2000.
18. **სანიკიძე გ.,** ტალაკი, ისლამი. ენციკლოპედიური ცნობარი, 1999.
19. **Аляутдинов Ш.,** Ответы на ваши вопросы об Исламе. М., 2003.
20. **Большаков О.Г.,** История Халифата, Т. 1, Ислам в Аравии: 570-633, М., 1989.

21. **Женщина в Исламе.** Редактор-составитель **Гульнара Нуруллина**. М., 2003
22. **Филипс А. А.Б.**, Законы жизни мусульман. Эволюция фикха.Перевод с английского Т.В.Гончаровой. М ., 2002.
23. **Adamu M.K.**, The Islamic Notion of Marriage and Divorce. Laranto,Nigeria,1987.
24. **Bell R.**, Muhammad and Divorce in the Qur'ân.— The Moslem World, 29,no.1,1939, გვ.55-62.
25. **Bellefonds Y. L.**, "Idda.— The Encyclopaedia of Islam. NE. vol. III,გვ.1010-1013.
26. **Engineer S. S.**, The Rights of Women in Islam.London.1992..
27. **Hawting G.R.**, The role of Qur'ân and $adîth in the legal controversy about the rights of s divorced women during her waiting period("idda).— Bulletin of the School of Oriental and African Studies, 52, 1989, გვ.. 430-445.
28. **Jawad H.S.**, The Rights of Women in Islam.An Authentic Approach.Palgrave, 1998.
29. **Juynboll Th.W.**, "Idda.— E.Y. Brills First Encyclopaedia of Islam (1913-1936). edited by M.Th.Houstma, S.Y. Wensinck, H.S.R.Gibb. Leiden, New-York-Köln, 1993, IV,გვ.445.
30. **Kabbani M.H., and Bakhtiar L.**, Encyclopaedia of Muhammad's Women Companions and the Traditions They Related.Chicago, 1998.
31. **Levy, Reuben.** The Social Structure of Islam.Cambridge. 1957.
32. **Maulana, Muhammad Ali.** The Religion of Islam: S Comphrehensive Discussion of the Sources, Principles and Practices of Islam.Cairo. n.d.
33. **Motzki, Harald.** Marriage and Divorce. — EQ, III, გვ. 276-281.
34. **Roberts, Robert.** The Social Laws of the Qoran.London, 1980.
35. **Schacht, Joseph.** Talak.- Shorter Encyclopaedia of Islam. Edited by H.S.R. Gibb and I.H. Kramers. Leiden, 1953,გვ. 564-571.
36. **Shaltut M.**,The Quran and woman(Annotated English version with Arabic text),Cairo. n.d.
37. **Smith, William Robertson.** Kinship and Marriage in Early Islam, Cambridge, 1885.
38. **Stern, Gertrude.** Marriage in Early Islam.London, 1939.

Summary of the article
"Divorce and Women's Rights in Early Islam" by Nani Gelovani

Divorce is called talq. Islam allows divorce but only under extraordinary circumstances. The Kur'n has devoted to divorce an entire chapter, which bears the same name (Surat al-talaq). In addition, there are many other verses throughout the Kur'n that deal with the subject. These Ordinances resulted in the introduction of a number of changes, which may be said to have constituted a reform of the methods employed in pre-Islamic times for the dissolution of marriages.

The Kur'n does not give the same rights in the matter of divorce to women that it gives to men. Rather, the decision to divorce is left to the men exclusively. „While the husbund possesses the power of divorce, absolute, immediate, unquestioned, no privilege of corresponding nature had been reserved for the wife". Much of the basis for this is the Ku r'nic view of the essential superiority of men with respect to women.

II.
გენდერის
სოციალურ-ეკონომიკური პარამეტრები

გენდერი და ეკონომიკა
ნარიტა ჯაში

გენდერი და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება
ფერიდე ხურიკაშვილი

გლობალიზაცია, მიგრაცია, ქალი
მაია ჭიაბრიშვილი

ომი და ქალი
დარეჯან ჯაფახიშვილი

ჩარიტა ჯაში

გენდერი და ეკონომიკა

შესავალი

გენდერული ეკონომიკა განიხილავს ქალისა და მამაკაცის სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის განსხვავებულობისა და ძალაუფლების გავლენის განსაზღვრას საზოგადოებაში, რომელიც გამყარებულია გენდერული როლებითა და ურთიერთობებით. გენდერული ეკონომიკის ანალიზი გულისხმობს ისეთი ეკონომიკური ფაქტორების შესწავლას, როგორიცაა რესურსების გამოყენება და კონტროლი, დასაქმება შრომის ბაზარზე, შემოსავლების განაწილება და კეთილდღეობა, საკუთრების უფლებების რეალიზაცია, ფინანსური ბერკეტების მართვა და სხვა. აუცილებლად გასათვალისწინებელია ინსტიტუციონალური, სოციალური, პოლიტიკური, დემოგრაფიული და გეოგრაფიული ფაქტორები, რომლებიც მეტად მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკური სტრატეგიის განხორციელების დროს.

მსოფლიოში მიმდინარე კატაკლიზმებმა, რესურსების მკვეთრმა შეზღუდულობამ, მოსახლეობის სწრაფი ზრდისა და მოხმარების საშუალებების სათანადო წარმოების შეუსაბამობამ, დღის წესრიგში დააყენა მსოფლიოში არსებული ადამიანური რესურსების ეფექტურად გამოყენების აუცილებლობა და მსოფლიოს ეკონომიკური განვითარების პროცესებში ქალისა და მამაკაცის სამუშაო ძალის უნარისა და შესაძლებლობების საერთაშორისო მაშსტაბებითა და მიდგომებით განსაზღვრა. **სქესებს შორის არსებებული განსხვავება ადამიანური რესურსების განვითარებისა და გამოყენების თვალსაზრისით გარკვეულ გავლენას ახდენს ეკონომიკური განვითარების პროცესებზე, მრავალი ფაქტორი აბრკოლებს ქალთა სამუშაო ძალის ეფექტურად გამოყენების შესაძლებლობებს, რომელიც გენდერულ უთანასწორობას იწვევს საზოგადოებაში.**

გლობალიზაციის პროცესების გავლენა გენდერულ თანასწორობაზე

გლობალიზაციის პროცესმა და ლიბერალურმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ არათანაბარი პირობები შეუქმნა ქალს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებში მონაწილეობის მიღების თვალსაზრისით. ეკონომიკური ლიბერალიზაციამ ხელი შეუწყო კაპიტალის მოძრაობასა და გადინებას სხვადასხვა ქვეყნებში. გლობალიზაციამ ფართოდ გაუღო კარი ქალთა იაფ სამუშაო ძალას, რომელსაც ნაკლები პროფესიონალური ალტერნატივა გააჩნია მსოფლიო შრომის ბაზარზე. ტრადიციული

გენდერული შრომის განაწილება შეიცვალა როგორც გეოგრაფიული ასევე დარგობრივი თვალსაზრისით. გლობალიზაციის პროცესების თანმდევმა საეჯრო ლიბერალიზაციამ,გლობალურმა საეჯრო წესებმა უდიდესი გავლენა მოახდინა გენდერულ ურთიერთობებზე.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ საეჯრო ლიბერალიზაცია და ექსპორტზე ორიენტირებული მრეწველობის განვითარება ზირითადად ქალის იაფასიან შრომაზეა დამყარებული. ქალები შეადგენენ მთელს მსოფლიოში ექსპორტის წარმოების სონაში მომუშავე პერსონალის 70-90 პროცენტს. სასოფლო სამეურნეო სფეროში ქალთა დაახლოებით 43 პროცენტია დასაქმებული, როგორც ეს კვების პროდუქტებისა და სასოფლო ორგანიზაციის /FAO/ ოფიციალური წყაროს მონაცემებშია მოცემული. განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში ქალები აწარმოებენ მსოფლიოში არსებული საკვები პროდუქტების ნახევარზე მეტს. მომხმარებელი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ქალის შრომაზე. საერთაშორისო შრომის ორგანიზაციის /ILO/ მონაცემების მიხედვით ქალები განვითარებად ქვეყნებში ერთიდაიგივე სამუშაოში კაცებთან შედარებით უფრო ნაკლებ ანაზღაურებას იღებენ, საუკეთესო შემთხვევაში მამაკაცების მიერ გამომუშავებული თანხის 50-80 პროცენტს. ქალები შეადგენენ ერთ მესამედ მრეწველობაში დასაქმებულ სამუშაო ძალას. "არც ერთ განვითარებად ქვეყანას არ მიუღწევია მაღალ მაჩვენებლებისათვის სამრეწველო პროდუქციის ექსპორტზე ქალთა დახმარების გარეშე[1] გლობალიზაციის პროცესების შედეგად აღმავლობა განიცადა წარმოებისა და მომსახურების მრავალმა დარგმა. ქალთა სამუშაო ძალამ მასიურად გადაინაცვლა მომსახურებისა და ტურიზმის სფეროში, თავისუფალ ვაჭრობაში. მიუხედავად ამისა არ გაუმჯობესებულა მათი შემოსავლების დონე, სამაგიეროდ მნიშვნელოვნად გაუარესდა ქალთა უსაფრთხოებისა და შრომის დაცვის მექანიზმები. ჩამოყალიბდა სექსუალური ინდუსტრიის მძლავრი დარგი, რომელმაც გაამძაფრა სექსუალური ძალადობა ქალების მიმართ და მნიშვნელოვნად ხელი შეუწყო ტრფიკინგის გავრცელებას მრავალ ქვეყნაში. ქალები არ სარგებლობენ იმავე შეღავათებით, როგორც კაცები.

> მაგალითად აშშ-ის საეჯრო შეთანხმები უგულველყოფენ ქალთა სამუშაო პრობლემებს.
>
> •საეჯრო ხელშეკრულები შეიძლება შეიცავს ზოგადად მომუშავე უფლებათა დაცვას, მაგრამ ბევრ შემთხვევაში ეს სტანდარტები არგულისხმობს სპეციფიკურ დაცვას ქალებისათვის.
>
> •პროფკავშირებს უძნელდებათ მომუშავე ქალების ორგანიზაცია და შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფა ქალებისათვის შრომის ძირითადი სტანდარტები არ ეხება ქალთა დისკრიმინაციის ისეთ მომენტებს, როგორიცაა სექსუალური ძალადობა[2]

გლობალიზაციას ახასიათებს ისეთი ტენდენციების განვითარება, როგორიცაა: სიღარიბის ფემინიზაცია, რომელიც უპირველეს ყოვლისა გამოხატულია ქალთა დახმარების არასათანადო ხელმისწვდომობასა

[1] Patricia Alexander Gender Glosary of Macro-economic Iterms, 2000, page 8

[2] Bama Athreya , Trade is Women"s Issue. ATTAC, 2002

და მათი სოციალურ-ეკონომიკური უფლებების დარღვევების სახით. მილიონობით ქალი მსოფლიოში გლობალიზაციის მსხვერპლია.. "მსოფლიო ერთ მთლიან ოჯახად არ არის წარმოდგენილი, ის იყოფა ჩრდილოეთ და სამხრეთად ნაწილებად, სხვადასხვა სქესად, უთანაბრობა სუფევს ყველგან. ეკონომიკური გლობალიზაციის შედეგად ერთი მუჭა ადამიანები პირამიდის თავშია მოქცეული, ასეული მილიონობით კი ქვევით და მათი უმრავლესობა ქალებია." ასე ახასიათებს პამ რაჯპუტი ინდოეთის ქალთა ორგანიზაციის წარმომადგენელი ეკონომიკური გლობალიზაციის განვითარების პროცესს აზიაში[3]. გლობალიზაციისათვის დამახასიათებელმა ეკონომიკურმა კანონზომიერებებმა გამოიწვია საზოგადოების პოლარიზაციის საყოველთაო ხასიათი, რის შედეგად მოსახლეობის უდიდესი ნაწილი გაღატაკდა, ხოლო მცირე ნაწილი გამდიდრდა. ე.წ. რკინისებურმა ტრანზიციამ (განსხვავებით ხავერდოვანი ტრანზიციისაგან), რომელიც ძირითადში დამახასიათებელია აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისათვის, ქვეყნის მაკრო-ეკონომიკური პარამეტრების მთლიანი მოშლა გამოიწვია. ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა რთული ეკონომიკური კატაკლიზმებით მიმდინარეობდა. ტერმინი რკინის ტრანზიცია მიანიშნებს იმ ფაქტს, რომ ეკონომიკური გარდაქმნის პროცესი იმდენად უხეშად, უსამართლოდ, არალეგიტიმურად მიმდინარეობს, რომ იწვევს მთლიან ეკონომიკური სისტემის მოშლას, წარმოების დონის მაქსიმალურ შემცირებას, უმუშევრობის მაღალ დონეს,ჰიპერინფლაციას,ჩრდილოვანი ეკონომიკის არნახული მასშტაბით აყვავებას, რის შედეგად რადიკალურად იცვლება მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. გარდაქმნის პროცესი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა შედარებით ნაკლებ წინააღმდეგობებით წარიმართა. ამიტომ აქ ეკონომიკური განვითარებისა და გენდერული თანასწორობის მიღწევის უფრო მეტი ხელშემწყობი პირობები შეიქმნა. სავარუადოა, რომ ამ ქვეყნების ახალხან ევრო-ატლანტიკურ სივრცეში გაერთიანება კიდევ უფორ მეტად გააძლეიერებს მათ დემოკრატიულ განვითარებას.

გლობალიზაციის პროცესის განვითარება აღმოსავლეთ ევროპისა და დსთ-ის ქვეყნებში უკავშირდება – დემოკრატიული, სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობას, სოციალური და ეკონომიკური რადიკალურ ცვლილებებს. საზოგადოება სრულიად მოუმზადებელი შეხვდა ამ მოვლენებს. მიუხედავად იმისა, რომ ქალები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში, სუვერინეტეტული სახელმწიფოს ჩამოყალიბების მეტად რთულ პროცესებში მათი ადგილი ძალაუფლების პირამიდაში არ აღმოჩნდა. ამიტომ სავსებით კანონზომიერად, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ კიდევ უფრო გააუარესა მათი სოციალურ-ეკონომიკურ სტატუსი. ვაჭრობის ლიბერალიზაციამ და პრივატიზაციამ,საბაზრო პრინციპების დანერგვამ ამ ქვეყნებში გამოიწვია უმუშევრობის არნახული მაშსტაბი, მრეწველობის კრიზისი, ქვეყნის შიდა ბაზრის მთლიანი მოშლა უცხოური საქონლის უდიდესი იმპორტი, მასიური მიგრაცია დასავლეთისაკენ, ომები და კონფლიქტები.

---

[3] Feminist Challenges in S Globalizated Economy, Wide Bulletin, October, 2003. 46

დამახასიათებელი მოვლენები[4]:

- ნეოლიბერალურმა პარადიგმებმა გამოიწვიეს ეკონომიკის სხვადასხვა დარგების რესტრუქტურიზაცია, სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის შეცვლა - შედეგი ქალთა მასობრივი გამოდევნა საწარმოებიდან.
- მზარდი მილიტარიზაცია ეკონომიკური და პოლიტიკური პეგემონის მისაღწევად, ბაზრების დაპყრობისათვის, რამაც გამოიწვია ძალადობის სინდრომის გაბატონება ყველგან
- ზრდა ნეოკონსერვატიზმისა და სხვადასხვა ფუნდამენტალური რელიგიური მიმდინარეობისა, რომლებიც გარკვეულ გაელენას ახდენენ ქვეყნების პოლიტიკურ ვითარებაზე და გენდერული განვითარების სპეციფიკურობაზე სხვადასხვა ქვეყნებში.
- მასკულინიზაციის ზრდა ეკონომიკაში და პოლიტიკაში - ძალაუფლების განაწილება

ცნობილია, რომ დღეს მსოფლიოს პოლიტიკური და ეკონომიკური მართვის სადაეები მამაკაცების ხელშია კონცენტრირებული. ფინანსური, ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის, ასევე თავდაცვის, უშიშროების, საერთაშორისო ურთიერთობების ყველა მხარე კონტროლდება მამაკაცების მიერ. ქალთა უდიდესი ნაწილი მოღვაწეობს განათლების, ჯანდაცვის კულტურისა და სხვა სოციალურ სფეროებში. მაგრამ ნაკლებად მონაწილეობენ პოლიტიკური და ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში. სახელმწიფოს მიდგომა ამ თვალსაზრისით გენდერულად ნეიტრალურია, რაც ნიშნავს პატრიარქალური მიდგომების კიდევ უფრო გაძლიერებას.

გენდერული ეკონომიკური მოდელის განვითარებისათვის პირველ რიგში აუცილებელია სოციალური პოლიტიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის ინტეგრირება, მაკრო-ეკონომიკისა და საყაჭრო პოლიტიკის სოციალური შინაარსით განმტკიცება. საეალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო საეაჭრო ორგანიზაციის ურთიერთ კონეერგაცია გენდერული თანასწორობისა და ეკონომიკური სამართლიანობის დასამკვიდრებლად იმ ქვეყნებში, სადაც ეს სამეული ანუ ეგრეთწოდებული "სამი და" ახორციელებს ქვეყნის ეკონომიკის რესტრუქტურიზაციასა და მის განვითარებას.

გლობალიზაციის დამახასიათებელმა პროცესებმა გარკვეული გაელენა მოახდინეს საერთაშორისო ქალთა მოძრაობის განვითარებაზე. საერთაშორისო ორგანიზაციების დიდი ძალისხმეეით დღის წესრიგში დადგა გენდერული პარამეტრების ინტეგრირების აუცილებლობა გლობალიზაციის პროცესში, სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური ზრდის სტრატეგიაში.

გენდერის როლი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესებში

ნობელის პრემიის ლაურეატი ეკონომისტი ამართეა სენი[5] თავის ცნობილ ლექციების კურსში,რომელიც ეხება გენდერულ თანასწორობის

[4] Feminist Challenges in S Globalizated Economy, Wide Bulletin, October, 2003. 46

[5] ამართეა სენი დაიბადა 1933 წელს ინდოეთში, ინდოეთის მოქალაქე, კემბრიჯის, პარეარდის, დელის უნიეერსიტეტების, ლონდონის ეკონომიკური სკოლის პროფეესორი,ნობელის ლაურეატი ეკონომიკის დარგში 1998 წ. მას მიინიჭეენ ფემინისტური ეკონომიკის მკვლეერადაც. მისი ნაშრომები შესაძლებლობებისა და თავისუფლების შესახებ შეიცავს თეზისებს გენდერული თანასწორობის შესახებ Development and Freedom, 1999, New-York, The possibility of Social

პრობლემებს ხასგაზმით აღნიშნავს, რომ გენდერული უთანასწორობა არ არის ერთი კონკრეტული ფენომენი, ის მრავალწახნაგოვანი და კომპლექსურია და უშუალოდ დაკავშირებულია სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებთან[6].

პროფესორი ლორეინ კორნერი მიიჩნევს,რომ "გენდერი საზოგადოების დემოკრატიული განვითარების აუცილებელი პირობაა, მას შეუძლია შეცვალოს ქვეყნის ეკონომიკრი განვითარების დონე. მიუხედავად მისი უდიდესი ეკონომიკური მნიშვნელობისა. გენდერული საკითხებისადმი დაინტერესება ეკონომისტებისა და პოლიტიკოსებისათვის აქტუალურად არ მიიჩნევა, რაც მოქმედებს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე[7].

შესაძლებლობათა თანასწორობა თითოეული ადამიანის პოტენციალიდან გამომდინარე, წარმავლობის, ეროვნების, კანის ფერის, სარწმუნოების, სქესის მიუხედავად /როუს და მილტონ ფრიდმანები/ განისაზღვრება იმისადა მიხედვით, თუ როგორ განკარგავენ საზოგადებრივ დოვლათს ადამიანები და რა სარგებლობას ნახულობენ ინდივიდები, რომლებიც სქესის ან ასაკის მიხედვით განსხვავდებიან, განსხვავებული შესაძლებლობები გააჩნიათ საზოგადოებაში, რაც ძირითადში ქვეყანაში არსებული რესურსების გამოყენებისა და კონტროლის, სამსახურში მოწყობის, თანამდებებობრივი დაწინაურების, სათანადო ხელფასის მიღების და მომატების, ძალაუფლების მოპოვების შესაძლებლობებში ჰპოვებს ასახვას[8]. პატრიარქალურ საფუძვლებზე დამყარებული ძალაუფლების კონცენტრაციამ განაპირობა მამაკაცის მონოპოლიური მდგომარეობა საზოგადეობაში,

ქალის როგორც ინდივიდის საქმიანობა დაკავშირებულია სამ ფუნქციასთან:

- რეპროდუქციული ფუნქცია - გენერაციული, ბავშვების აღზრდა, ოჯახის სხვა წევრებზე ზრუნვა და ა. შ. **რეპროდუქციული ფუნქცია** ქალის ძირითად საქმიანობად ითვლება, რაც არანაკლებად (თუ მეტად არა) მნიშვნელოვანი და შრომატევადია. მთელი პასუხისმგებლობა მას ეკისრება. ამ შრომის ეკონომიკური ღირებულების ასახვა საზოგადოებაში არ ხდება. ამ საქმიანობის მნიშვნელოვანი ნაწილი "უჩინარი" რჩება. საოჯახო სამუშაოს შემსრულებელი ქალები შესაბამის ეკონომიკურ ანაზღაურებას არ იღებენ.
- მწარმოებლური ანუ ეკონომიკური ფუნქცია ქალის მწარმოებლური ანუ ეკონომიკური შრომა კი, რომელიც, ხშირ შემთხვევაში, ქალის დამატებით საქმიანობადაა მიჩნეული, ეკონომიკური ღირებულების მატარებელია. ქალის სამმაგი როლის გაუთვალისწინებლობა ქალის შრომის ექსპლუატაციას იწვევს და ნორმირებული სამუშაო დღის არსებობის შესაძლებლობას საერთოდ გამორიცხავს. ეს გარემოება ქალების მდგომარეობის სირთულესა და არათანასწორუფლებიანობას აშკარად ადასტურებს. მთელ რიგ სხვა შედეგებთან ერთად ეს ქალის განათლებისა და თვითგანათლების, პირადი და პროფესიონალური ზრდის

---

[6] Radcliffe Quaterly-Summer, 2001 Cliffe Notes, page 3

[7] Loren Camer The Gender-iffrentiated Impact of Macroeconomics, 1991 , page 18

[8] Choice, Democracy and Social justice, 1999, Gender and Cooperative Conflicts 1990, Gender Inequility and Theories of Justice 1995

შესაძლებლობებს ამცირებს, რაც საბოლოო ჯამში ქალის სამუშაო ძალის ნაკლებ ღირებულებასა და ნაკლებ კონკურენტუნარიანობაში აისახება.

- საზოგადოებრივი ფუნქცია, რომელიც ეხება იმ საქმიანობას, რომელსაც ქალი ეწევა ოჯახს გარეთ, სამეზობლო ურთიერთობების დროს, სხვადასხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებში საქმიანობის დროს[9].

1990 წლებიდან ნეოლიბერალური პოლიტიკის დანერგვამ ეკონომიკაში გამოიწვია საბაზრო ურთიერთობების გაფართოება. გლობალური საბაზრო ძალები არ არიან გენდერულად ნეიტრალური. ისინი მიმართულია მამაკაცური პოზიციების გასაძლიერებლად. ნეოკლასიკური ეკონომიკური თეორიის მიხედვით ქალის შრომის ბევრი ასპექტი უხილავია და ეკონომიკური ღირებულების მატარებელი არ არის. ინდოელი ფემინისტი კამლა ბრასინ აღნიშნავს, რომ დღესაც აღორძინებულია პატრიარქალური, მასკულინირებული ძალაუფლება. რის შედეგად პატრიარქალური ძალადობა არათუ არ შემცირდა, არამედ გაიზარდა. "ბოლო წლებში მოხდა ქალთა მოძრაობის, ფემინისტური თეორიის და გენდერული საკითხების შერწყმა პოლიტიკურ კონტექსტებში ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე"[10]

მასკულინირებული ძალა ეკონომიკური საქმიანობის განსახორციელებელი ერთადერთი საშუალება არ არის, ქალთა და მამაკაცთა პოტენციალი ეკონომიკური რესურსების მაქსიმალურად ეფექტიანად გამოყენების თვალსაზრისით ერთნაირად მნიშვნელოვანია. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, ქალს ძალუძს ე.წ. "მამაკაცური საქმის" ისევე კარგად შეასრულება, როგორც მამაკაცს და პირიქით, მამაკაცებს ასევე ეფექტიანად შეუძლიათ წმინდად "ქალური საქმის" შესრულება. თავისთავად საქმიანობის განსაზღვრა როგორც "მამაკაცური" და როგორც "ქალური" არასწორია და არამეცნიერულია, როდესაც საუბარი არ ეხება ბიოლოგიური როლებიდან გამომდინარე საქმიანობის სახეობებს.

1994 წელს შვეციის შრომის სამინისტროს მიერ ნატარებული გამოკვლევა "ძალაუფლება, ეკონომიკა და გენდერი" ნათლად მიანიშნებს თუ რამდენად მასკულინირებულია ძალაუფლება და ეკონომიკა ისეთ, განვითარებულ ქვეყნებში, როგორიც შვეციაა. ამ გამოკვლევაში მოცემული მასალები ამ სფეროში გენდერული უთანასწორობის დემონსტრირებას ახდენენ: 58 კერძო კომპანიაში მენეჯერები საერთოდ არ არიან ქალები, 99.6 ფულის ბირჟის დირექტორები მხოლოდ მამაკაცები არიან, ეკონომისტ მამაკაცების 44 პროცენტს მიღწეული აქვთ მაღალი კარიერა, ქალების - მხოლოდ 5 პროცენტს. ეკონომიკური ძალაუფლება ნეიტრალებრივ ასოცირდება მამაკაცთან, ეაჯრობასა და მრეწველობაში ლიდერები ყოველთვის კაცები არიან, ამიტომაც უპირატესად ისინი მონაწილეობენ ეკონომიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ბუნებრივია, ეკონომიკური ძალაუფლება განისაზღვრება რესურსების განკარგვისა და მასზე კონტროლის შესაძლებლობების მიხედვით[11].

---

[9] Гендер на повестке дня . Бишкек, 1999

[10] Discussing Women"s Empowerement Theory and Practice. SIDA Studies, p.83

[11] Power , Economy and Gender" 2000 Swedish Labour Ministry , page 6

მწარმოებლური ანუ ეკონომიკური ფუნქცია პიროვნების სოციალურ სტატუსს ხარდის და საზოგადოების მიერ ფასდება როგორც სამუშაო ამ სიტყვის სრული გაგებით. ეკონომიკურ ფუნქციას ასრულებენ როგორც ქალები, ასევე მამაკაცები, მაგრამ ქალებს ეკონომიკური ფუნქციის შესასრულებლად ნაკლები დრო რჩებათ.

ქალის წვლილის არასათანადო შეფასება საზოგადოებარივ ცხოვრებაში მის სტატუსსე აირეკლება. ცნობილია, რომ ინდივიდის საქმიანობა მხოლოდ იმ შემთხვევაში არის ეკონომიკურად შეფასებული, თუ მას საბაზრო ღირებულება აქვს. ამიტომაც ქალის რეპროდუქციული საქმიანობის არასათანადო შეფასებამ და ქალის შრომის არახელსაყრელმა პირობებმა მნიშვენელოვნად შეაფერხა მისი მწარმოებლური შრომის ეფექტიანობა საზოგადოებაში. ამერიკელი ეკონომისტის ე. ჰანსენის აზრით, თუ მთლიან ეროვნულ პროდუქტს გულდასმით გავიანგარიშებთ აღმოჩნდება, რომ ბევრ შემთხვევაში ქალები აწარმოებენ მის ნახევარზე მეტს. სამწუხაროდ ქალის რეპროდუქტიული შრომა ასახვას ვერ პოულობს მთლიან ერთობლივი პროდუქტის განზომილებაში. ეკონომიკური პროცესების რეალიზაციის დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება ისეთ კატეგორიებს, როგორიცაა საკუთრების ფლობა და განკარგვა, ქვეყანაში არსებული რესურსების ხელმისაწვდომობა და მასზე კონტროლი, რაც ხშირად უთანაბრდება ინდივიდის უნარს გამოიმუშაოს ფული. ამ თვალსაზრისით, ქალები, თავიანთი ეკონომიკური სტატუსის შეუფასებლობის გამო, აშკარად იჩაგრებიან.

როგორც აღვნიშნეთ, ქალის სტატუსი საზოგადოებაში, მისი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა ძირითადად მისი მწარმოებლური, ეკონომიკური საქმიანობით განისაზღვრება.

საზოგადოებრივი მენტალიტეტის ხელშეწყობით, არსებული სოციალურ-ეკონომიკური უთანაბრობის შედეგად საზოგადოების ნახევრის შემოქმედებითი, პროდუქტიული, ინტელექტუალური პოტენციალი არარეალიზებული და შეუფასებელი რჩება, რაც მთელი საზოგადოების განვითარებას აფერხებს.

> ტერმინი - ეკონომიკური დამოუკიდებლობა, მისი ინტერპრეტაცია განსხვავებულია იმისდა მიხედვით მსჯელობის ობიექტი ქალია თუ მამაკაცი. ქალი, რომელიც მუშაობს და ახერხებს საარსებო საშუალებებით თავის დაკმაყოფილებას, ითვლება ეკონომიკურად დამოუკიდებლად მამაკაცისაგან. მამაკაცი კი, რომელსაც გააჩნია საკუთარი ფინანსური შესაძლებლობები და არ მუშაობს მარტო ლუკმა პურისათვის ითვლება ეკონომიკურად დამოუკიდებლად[12].

თუ როგორი მნიშვნელობა ენიჭება ქალთა მონაწილეობას ეკონომიკურ პროცესებში, ნათლად არის გამოხატული ამერიკელი ეკონომისტის ესთერ ბოუსრაპის წიგნში "ქალის როლი ეკონომიკური განვითარების პროცესში". ქალის წვლილი ეკონომიკური გამეითარების პროცესებში ყოველთვის იგნირირებული იყო, რის შედეგაც განვითარება ყოველთვის

[12] ეს ინტერპრეტაცია მოცემულია შვეციის შრომის სამინისტროს მასალებში. იხ. I "Powers, Economy and Gender " 2000 Swedish Labour Ministry , page 3

შეფერხებული იყო. მთავარი ამოცანაა - ქალთა ეფექტური ინტეგრაცია ეკონომიკური განვითარების პროცესში[13].

ქალთა ეკონომიკური როლის გაზრდა დამოუკიდებლობისა და უფრო მაღალი სტატუსის მოპოვების საშუალებას იძლევა. მეორე მხრივ, უფრო მაღალი სტატუსი - სამეწარმეო საქმიანობაში წარმატების მიღწევის საწინდარია. რა თქმა უნდა, ქალთა ეკონომიკური აქტივობის გაზრდას თან უნდა ახლდეს აღეკვატური დამცავი მექანიზმების ფუნქციონირება რომელიც სახელმწიფოს პრეროგატივას წარმოადგენს. სახელმწიფოს როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. მაკროეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველყოფა ქვეყენაში, ხელს უწყობს ადამიანური პოტენციალის განვითარებას, ეკონომიკური აქტივობის, სამუშაო ადგილების შექმნის სტიმულირებასა და სოციალური ინფასტრუქტურის განვითარებას. რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დაბალკონკურენუნარიანი შრომითი რესურსების, ქალთა ეკონომიკური აქტიურობის განავითარებისათვის. 2003 წელს მსოფლიოს შრომის ბაზარზე დასაქმებული იყო 2, 8 ბილიონი ადამიანი, მათგან 1 ბილიონი ქალია[14].

ეკონომიკური კეთილდღეობის მაჩვენებელია არა მარტო შემოსავლები, ფული, არამედ დროის ბიუჯეტი, რომელსაც ადამიანი განკარგავს. ორ ადამიანს შეუძლია ჰქონდეს ერთი და იგივე შემოსავალი, მაგრამ დროის გამოყენების სხვადასხვა შესაძლებლობები, რაც პირდაპირ აისახება მათ სოციალურ-ეკონომიკურ სტატუსზე.

ქალისა და მამაკაცის დროის განკარგვის ტიპიური მოდელი ინგლისში, კეირაში საათების მიხედვით, 1985 წელი[15]

	ქალი	მამაკაცი
პიროვნული ზრუნვა	44	44
თავისუფალი დრო	23	24
სახლის მოვლა	12	5
აუნაზღაურებელი შრომა	13	23
სახლის მოვლა	12	1
პროდუქტების ყიდვა	4	3
ბავშვებზე ზრუნვა	4	1

ჯეკობსონის სახელმძღვანელოში მოცემული ეს ცხრილი ძალიან საინტერესოა, რომლის მიხედვით თავისუფალი დრო ქალსა და მამაკაცს თითქმის ერთნაირი აქვს. სამაგიეროდ ქალი მნიშვნელოვნად ნაკლებ დროს ანდომებს ეკონომიკურ, ანუ ანაზღაურებელ საქმიანობას. დროის ბიუჯეტის ძირითად ნაწილს ის უთმობს არამწარმოებლურ საქმიანობას ანუ გადაუხდელ შრომას, მიუხედავად იმისა, მოსწონს მას თუ არა ეს საქმიანობა.

მაგრამ ამავე დროს არსებობს კანონზომიერებაც, რაც უფრო განვითარებულია საზოგადოება, მით უფრო მაღალია მოსახლეობის კეთილდღეობა და გენდერული განსხვავება დროის ბიუჯეტის მიხედვით

[13] Ester Beusrup Ecenomic Development

[14] Global Employment Trends for Women 2004..

[15] Joyce p. Jacobsen,Gender Economy, Oxford,UK, 1994, p.7

უფრო მეტად მცირდება. ტექნოლოგიების განვითარება, მომსახურების ინფრასტრუქტურის უმაღლესი დონე ხელს უწყობს დროის ნაწილის გამონთავისუფლებას ქალების სასარგებლოდ, დარჩენილი დროის გამოყენება მას შეუძლია თავისი პროფესიონალური ჩვევების გასაუმჯობესებლად, რომელიც სასიკეთოდ იმოქმედებს მის სოციალურ-ეკონომიკურ სტატუსზე. დრო ფულია - ეს ტრივიალური გამოთქმა გენდერულად მგრძნობიარეა. არ არსებობს ქვეყანა, სადაც არ იყოს განსხვავება სქესებს შორის დროის ფაქტორის გამოყენების თვალსაზრისით.

ნაკლებ განვითარებულ ქვეყნებში, სოციალური ინფრასტრუქტურის არასაკმარისი დონის პირობებში ქალებს დროის მწვავე დეფიციტი გააჩნიათ. ერთობლივი შრომის დატვირთვა ქალებისათვის ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში საშუალოდ შეადგენს 70 საათს, რაც 15 საათით მეტია, ვიდრე დატვირთვა ქალებისა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში[16].

/ ადამიანის კეთილდღეობას განმსაზღვრელი სამი ინდიკატორი: სტატუსი, დროის ბიუჯეტი და ხელფასი.

ქალის სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი განიზღვრება იმისდა მიხედვით, თუ წარმოების რომელ დარგებში ეწევა ეკონომიკურად აქტიურ საქმიანობასა და რა შემოსავლები გააჩნია მას.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ მამაკაცის ეკონომიკურ აქტიურობა შრომის ბაზარზე განისაზღვრება უპირატესად ეკონომიკური მოტივაციით, ქალის კი განისაზღვრება სოციალურ-დემოგრაფიული ფაქტორებით. მამაკაცის, როგორც ოჯახის მარჩენალის მისია განპირობებულია მისი ეკონომიკური აქტიურობის აუცილებლობასა და მაღალი შემოსავლების მიღებაში, რაც ასოცირდება ოჯახურ მოვალეობასა და პასუხისმგებლობასთან. ქალის ეკონომიკური აქტიურობა კი მის სოციალურ სტატუსს განსაზღვრავს და მეორადია რეპროდუქციული ფუნქციის შემდეგ. თეზისი - ქალისათვის უპირველესია ოჯახური მოვალეობები და მერე სხვა საქმიანობა[17] დღის წესრიგიდან არასოდეს არ მოხსნილა.

ხელფასი ანუ შემოსავლები ეს ის მაჩვენებელია, რომელიც განსაზღვრავს მატერიალურ კეთილდღეობის დონეს ინდივიდებისა, ჯგუფებისა და საერთოდ საზოგადოებისა. ეკონომიკური შესაძლებლობები განსაზღვრავენ ადამიანური განვითარების პოტენციალს. შემოსავლების დონე ხშირად განსაზღვრავს ადამიანური კაპიტალის ეკონომიკური უკუგების ეფექტურობას. ქალისა და მამაკაცის ეკონომიკური შესაძლებლობები არის საფუძველი პარიტეტული ურთიერთობების დონისა საზოგადოებასა და ოჯახში.

რატომ არის ძალიან დიდი განსხვავება ქალისა და მამაკაცების შემოსავლებში. არსებული ლეგალური სივრცე, კონსტიტუცია[18] არის

[16] Women in Transition, UNSEF 2000, page 6

[17] იგულისხმება ამ შემთხვევაში ეკონომიკური აქტიურობა

[18] საუბარია პოსტ საბჭოთა. გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებზე

საფუძველი ქალისა და მამაკაცის შესაძლებლობების თანაბრად გამოყენებისა. მაგრამ საზოგადოებაში მოქმედი სტრეოტიპები, დომინირებული მასკულინირებული პოლიტიკა და რიგი ობიექტური ფაქტორები, წარმოშობს იმ დიდ ზღვარს, განსხვავებას, რომელიც არსებობს შემოსავლების განაწილების დროს სქესებს შორის.

გენდერული სეგრეგაცია შრომის ბაზარზე

გენდერული სეგრეგაცია გამოხატულია შრომის ასიმეტრიულ განაწილებაში ქალისა და მამაკაცის შრომის სხვადასხვა დარგებში.

დასაქმების გენდერულ სეგრეგაციას გააჩნია შემდეგი სახეობები: ჰორიზანტალური, დარგთაშორისო და ვერტიკალური. საქმე იმაშია, რომ განსხვავების საფუძველს შემოსავლების მიღების შემთხვევაში იძლევა არა სამუშაო ძალის სქესობრივი თვისობრივი ფაქტორი, არამედ დარგობრივი, პროფესიონალური და ვერტიკალური სეგრეგაცია.[19]

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ქალისა და მამაკაცის მიერ პროფესიის არჩევა ასევე გენდერული სეგრეგაციით არის განპირობებული. გარკვეულ მნიშვნელობას იძენს ქვეყანაში არსებული ტრადიციები, საზოგადოების მენტალიტეტი, სოციალურ-ეკონომიკური დონე, რომელიც დიდი გავლენას ახდენს ბავშვობიდანვე ქალისა და ვაჟის აღზრდაზე. განათლების სპეციფიკურ ორიენტაცია, პროფესიის არჩევა ყალიბდება სქესობრივი ნიშნის მიხედვით, რომელიც შემდგომ განსაზღვრავს შრომის ბაზრის ხელმისაწვდომობის შესაძლებლობებს. ამიტომაცაა, რომ ქალთა ყველაზე მეტი კონცენტრირება ხდება ისეთ პროფესიულ დარგებში, როგორიცაა ჯამრთელობა და განათლება, სოციალური უსრუნველყოფა, კულტურა და ხელოვნება. ქალები განსაკუთრებით დომინირებენ მომსახურების სფეროში, მასში მონაწილე ქალთა რიცხვი 60 პროცენტზე მეტია. ამ დარგის გაზრდამ ბევრ ქვეყანაში გამოიწვია ქალთა სამუშაო ძალის დიდი რაოდენობით ჩართვა შრომის ბაზარზე. გაიზარდა მოთხოვნა ქალთა სამუშაო ძალაზე და სეგრეგაციაც გაიზარდა.

ქალთა დასაქმების ევოლუციური პერიოდები, ძირითადად შეესაბამება ქალთა ეკონომიკური დარგების განვითარებას.

- მე 19 საუკუნეში საფეიქრო მრეწველობის განვითარებამ დიდი რაოდენობით ქალთა იაფი მუშახელი მიიზიდა
- მე 20 საუკუნის 20 წლებში ძალზე პოპულარული გახდა ქალთა დასაქმება ჯამრთელობის დაცვის სექტორში
- 30 წლებში მსოფლიო ეკონომიკის კრიზისის დროს განსაკუთრებით ბევრი ქალი გამოიდევნა საწარმოებიდან, მაგრამ ამის მიუხედავად, ქაღალდის ინდუსტრიასა და საფეიქრო მრეწველობაში მაინც ქალთა დიდი მასა იყო ჩაბმული
- მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ქალთა დიდი ნაწილი დასაქმდა განათლების, ჯამრთელობისა და კულტურის სფეროებში, მათ მონაწილეობის ხვედრითი წილი გაიზარდა მსუბუქ მრეწველობაში.

---

[19] ჰორიზონტალური სეგრეგაცია გამოხატულია ძირითადში პროფესიონალურ ჯგუფებში, ვერტიკალური ერთი და იმავე პროფესიონალურ ჯგუფებში, თანამდებობრივი თვალსაზრისით.

- მეოცე საუკუნის 60 წლებიდან ხდება ქალთა დიდი კონტიგენტის გადანაწილება მომსახურების, ვაჭრობისა და სასკოლების სფეროში.

ქალთა ეკონომიკური აქტიურობის ზრდას თან სდევს მათი ჩართვა ქვეყნის მმართველობით სისტემაში, თუმცაღა მათ მონაწილეობას უფრო ჰორიზონტალური მიმართულება აქვს, ვიდრე ვერტიკალურისა. ქალები ჩართული არიან მმართველობითი რგოლის უფრო დაბალ საფეხურებზე, ხოლო იერარქიული კიბეზე აღმასვლისას /ვერტიკალში/ მათი რიცხვი შესამჩნევად მცირდება. ეს მსოფლიო მასშტაბის ტენდენციაა. მეორადი დასაქმება, რომელიც დამატებითი შემოსავლების მიღების საშუალებას იძლევა მამაკაცებში უფრო მეტია ვიდრე ქალებში, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ხელფასის საშუალო მაჩვენებლებიყოველთვის ვერ გამოხატავენ გენდერული დისკრიმინაციის სურათს.

გერმანელი მეცნიერი კრისტინა კლენერი მიიჩნევს, რომ არსებობს სამი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც იწვევს გენდერული თვალსაზრისით არათანაბრ შემოსავლებს[20]:

1. გენდერული სპეციფიკური განაწილება, სამმაგი დატვირთვა – სამსახური, ოჯახი და საზოგადოება. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოში შეიმჩნევა შრომის ბაზარზე ქალთა მონაწილეობის რიცხვის ზრდა, მათ კარიერის ზრდის ნაკლები შესაძლებლობები გააჩნიათ.

2. გენდერული განაწილება შრომის ბაზარზე, ქალებსა და მამაკაცებს ჰორიზონტალური სეგრეგაცია გააჩნიათ შრომით ბაზარზე, წარმოების დარგები, სადაც ქალები დომინირებენ, ნაკლებ ანაზღაურებადი და ნაკლებ პრესტიჟულია. ისინი ძირითადში განაწილებული არიან მომსახურების სფეროში. სოციალური შეფასების თვალსაზრისით ქალთა მუშაობის კოეფიეციენტი დაბალია.

3. სახელმწიფოებრივი პოლიტიკის მოუქნელობა, როცა ვერ იქნება ხელშემწყობი პირობები შრომის საკანონმდებლო ბაზის შესაქმნელად მიდგომა სოციალური ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად და პროფესიული განათლების უსრუნველყოფასად.

ქალის სამყარო ასოცირდება რეპროდუქციულ საქმიანობასთან, ხოლო მამაკაცის სამყარო კომპანიებში და კოოპერაციებში საქმიანობასთან არის დაკავშირებული. ფემინური ქცევის მოდელი, რომელიც ყალიბდება ბავშვობიდან ოჯახში დიდ გავლენას ახდენს პროფესიის არჩევისას. ქალის ქცევის მოდელი შეესამაბა მის ორმაგ, ზოგჯერ სამმაგ როლს საზოგადოებაში. მან უნდა შეასრულოს ქალის უპირველესი ფუნქცია: გენერაციული, ოჯახის მოვლის ფუნქცია და შემდეგ ეკონომიკური ფუნქცია. ეკონომიკურად აქტიური ქალი ყოველთვის ცდილობდა ისეთი პროფესია აერჩია, რომელიც შეესაბამებოდა მის ფემინისტურ ქცევის მოდელს: ასეთი პროფესიები უმეტესწილად იყო: ექიმი, მასწავლებელი, მომსახურეობის სხვადასხვა სფერო, მანუფაქტურული წარმოება, ადმინისტრაციის სხვადსხვა დონე - თარჯიმანი, რეფერენტი, მდივანი და სხვა.

დასაქმების საბჭოური პარადიგმები

საბჭოთა სისტემის დასაქმების ფორმა თითქმის საყოველთაო იყო და გამოირჩეოდა გენდერული პროფესიული სეგრეგაციით. თუმცა იყო

[20] Women and Economy, materials of Conference " Women and Democract" page 49 , 2002, Tallin

გამონაკლისები, რომელიც ხშირ შემთხვევაში გარკვეულ გენდერული თანასწორობის ილუზიას ქმნიდა. შრომა სავალდებულო იყო ყოველი სრულწლოვანი მოქალაქისათვის, ქალს, თუ მას დიასახლისის სტატუსი არ ჰქონდა, უნდა ემუშავა. ვინც არ მუშაობდა, მას მუქთახორის, პარაზიტის სტატუსი ენიჭებოდა და არსებული კანონმდებლობის მიხედვით შესაბამისად ისჯებოდა. ასეთი მიდგომა განსაკუთრებით პოპულარული გახდა 1970-1985 წლებში, როდესაც მოსახლეობის შრომისუნარიანი ნაწილი მთლიანად ჩაერთო ქვეყნის ეკონომიკის საქმიანობაში. საბჭოთა პერიოდში, კერძოდ 80-იან წლებში. სოციალური დაცვის საბჭოური სისტემა საშუალებას აძლევდა ქალებს, მაქსიმალურად ჩართულიყვნენ შრომის ბაზარზე. 1989 წელს 40-45 წლის ქალების ეკონომიკური აქტიურობის დონე 97% აღწევდა. 1989 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემებით, დასაქმებულთა შორის ქალების წილი 46,3% იყო, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი იყო საერთაშორისო სტანდარტებით. მაღლი ეკონომიკური აქტივობის დონე ხელს უწყობდა მეტ თანასწორობას განათლების მიღებაში და უკეთესი კარიერის შექმნის შესაძლებლობებს.[21] აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს პერესტროიკის მამათავრის მ. გორბაჩოვის მიდგომა. მისი აზრით, საყოველთაო დასაქმება არ ითვალისწინებდა ქალთა მოთხოვნებსა და საჭიროებებს, რომ პერესტროიკა მისცემს საშუალებას ქალებს თავიათი სურვილის მიხედვით აერჩიათ ოჯახი ან სამსახური. ჩვენი აზრით, ასეთი ალტერნატივა არ ითვალისწინებდა იმას, რომ ქალთა სამუშაო ძალის აქტიური მონაწილეობის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ქვეყნის მომავალი ეკონომიკური განვითარება.

შრომის ბაზრის ძირითადი დამახასითებელი ტენდენციები[22]:

- გენდერული სეგრეგაცია შრომის ბაზარზე
- ქალთა სამუშაო ძალის ნაკლებკონკურენტუნარიანობა შრომის ბაზარზე. /ორმაგი დატვირთვა, დროის ბიუჯეტის სიღარიბე, პროფესიონალური ზრდის ნაკლები შესაძლებლობები/
- ქალები შრომით ბაზარზე დომინირებენ ყველაზე ნაკლებად სუბსიდირებულ დარგებში.
- ქალები წარმოადგენენ სამუშაო ძალის ნახევარზე მეტს, როცა მათი შემოსავლები მსოფლიოს შემოსავლების მხოლოდ ერთ მეათედს წარომოადგენს.
- ქალები ფლობენ საკუთრების მხოლოდ ერთ მეასედს მთელი მსოფლიოს საკუთრებისა. /Maria Williams, Women in Labour Market, Wide, 2000, p.54/

ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების პაქტი, რომელსაც საქართველო 1994 წელს მიუერთდა, აღიარებს ქალისა და მამაკაცის თანასწორობას, შრომის სამართლიანი და ხელსაყრელი პირობების, სოციალური უსრუნველყოფის, ოჯახის დაცვის, სათანადო ცხოვრების დონისა და სხვა უფლებებს. ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ კონვენცია შეიქმნა 1979 წელს,

---

[21] შრომის ბაზარი საქართველოში, გაეროს განვითარების პროგრამა, თბილისი, 2002, 17გვ

[22] Women in Labour Market Maria Williams, and Wide, 2000. P. 54

საქართველომ ამ კონვენციას მოაწერა ხელი 1994 წელს. საქართველოს მიერ პირველი სახელმწიფო მოხსენება წარდგენილ იქნა 1998 წელს.

ქალთა შრომითი ურთიერთობის საკითხები ქვეყანაში რეგულირდება შრომის კანონთა კოდექსით, რომლის ერთი თავი ({12} "ქალის შრომა"), იმ ურთიერთობებს, რომელიც ყალიბდება საწარმოსა და ორგანიზაციებში მომუშავე დასაქმებული დედების შრომის პირობებს, ორსულობისა და მშობიარობის დღეებსის რაოდენობას, მძიმური და მცირეწლოვან შრომით ურთიერთობებს. შრომის კანონის კოდექსი ძირითადად აპელირებას აკეთებს დედათა და ბავშვთა დაცვის საკითხებზე.

გლობალიზაციის დამახასიათებელმა პროცესებმა გარკვეული გავლენა მოახდინეს საერთაშორისო ქალთა მოძრაობის განვითარებაზე. საერთაშორისო ორგანიზაციების დიდი ძალისხმევით დღის წესრიგში დადგა გენდერული პარამეტრების ინტეგრირების აუცილებლობა გლობალიზაციის პროცესში, გენდერული განვითარება კი აღიქმება, როგორც დემოკრატიული სახოგადოების ერთერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი. საერთაშორისო კონვენციები და რეკომენდაციები შრომის შესახებ ასრულებენ მნიშვნელოვან როლს გენდერული თანასწორობის მიღწევის თვალსაზრისით. ეს სტანდარტები ეხება შრომის ანაზღაურებას. თანაბარი შესაძლებლობებსა და დამოკიდებულებას დასაქმების სფეროში, არასრულ დასაქმებას, შინამეურნეობრივ შრომასა და სხვა.

მეოცე საუკუნეში ეგალიტერული თეორიისა და შემდგომ სოციალისტური იდეოლოგიის ჩარჩოებში ძალიან პოპულარული გახდა შრომის ბაზრის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, როგორც გენდერული თანასწორობის მიღწევის ერთერთი მნიშვნელოვანი გარანტი. სამართლიანად აღნიშნავს მსოფლიო ბანკის ექსპერტი გენდერულ საკითხებში ფიორელა პაჩი, რომ ეს პრობლემა მხოლოდ მსჯელობის საგანი გახდა და გენდერული უთანასწორობა ეკონომიკური აქტიურობის თვალსაზრისით კლავ დომინირებს მსოფლიოს ქვეყნებში. გენდერული უთანასწორობა ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური წინააღმდეგობრივი განვითარების შედეგია. როგორც აღვნიშნეთ, იგი ყველაზე უფრო მეტად ეკონომიკური ურთიერთობების ფონზე ელინდება. საკუთარი ქონების არარსებობა ან სიმცირე, კვალიფიციური დასაქმების შესაძლებლობის შეზღუდულობა, არაფორმალურ სექტორში მუშაობა, განსხვავებული შემოსავლები დიდ გავლენას ახდენს ინდივიდების კეთილდღეობაზე. ეკონომიკური ზრდა გენდერული თანასწორობის საფუძველია, მაგრამ მხოლოდ ეს არაა საკმარისი სასურველი შედეგის მისაღწევად. ამისათვის აუცილებელია, როგორც სათანადო ინსტიტუციონალური მექანიზმების ამუშავება, რომლებიც უზრუნველყოფენ ქალებისა და მამაკაცებისათვის თანაბარ უფლებებსა და შესაძლებლობებს, ასევე შესაბამისი პოლიტიკური გარემო არსებული დისკრიმინაციის გადასალახავად.

ცნობილია, რომ არსებობს ნებისმიერი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემის გადაჭრის სამი გზა: ეკონომიკური აღმაველობა, ინსტიტუციონალური მექანიზმების გააქტიურება და მიზანმიმართული სოციალური პოლიტიკის გატარება. ქალებისა და მამაკაცების კეთილდღეობის ამაღლებასა და გენდერული უთანასწორობის დაძლევაში ცხოვრების დონის სტაბილიზაციაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს

სახელმწიფო, რომელიც განაგებს ქალთა პირობების გაუმჯობესებასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან სოციალურ სახსრებს.

გენდერული თანასწორობა ეს არის შესაძლებლობათა თანასწორობა და რატომ? უთანასწორობა ეკონომიკური შედეგების მიხედვით განიხილება, როგორც სამართლიანი და ეკონომიკურად გამართლებული მოვლენა სქესებს შორის ბიოლოგიურად არსებული განსხვავებისა და პრეფენციული სტრუქტურის შესაბამისად.

სახელმწიფო სოციალურმა პოლიტიკამ გენდერული უთანასწორობის შემცირების მიზნით უნდა სრულყოს საკანონმდებლო და მარეგულირებელი ნორმები, რომლებიც ხელს შეუწყობს გენდერული თვალსაზრისით თანაბარი შესაძლებლობების ჩამოყალიბებას, უნდა უზრუნველყოს მაკროეკონომიკური სტაბილურობა, გააძლიეროს მაკროეკონომიკური სტიმულები, გადაანაწილოს სახელმწიფო ხარჯები მაქსიმალური სოციალური უკუგებით და განახორციელოს მიზნობრივი ინვესტიციები მიკროდონეზე გენდერული უთანასწორობის შესამცირებლად.

გენდერული თვალსაზრისით თანაბარი შესაძლებლობების ჩამოყალიბებას, უნდა უზრუნველყოს მაკროეკონომიკური სტაბილურობა, გააძლიეროს მაკროეკონომიკური სტიმულები, გადაანაწილოს სახელმწიფო ხარჯები მაქსიმალური სოციალური უკუგებით და განახორციელოს მიზნობრივი ინვესტიციები მიკროდონეზე გენდერული უთანასწორობის შესამცირებლად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ქალთა მდგომარეობა საქართველოში. გაეროს განვითარების პროგრამა, თბილისი, 2000
2. ქალი და კაცი საქართველოში, სტატისტიკური კრებული, თბილისი, 1999 .
3. ქალი და კაცი საქართველოში, სტატისტიკური კრებული, თბილისი, 2004
4. ჰუმანური განვითარების ანგარიში, საქართველო, გაერო.1996, 1997, 1998. 1999.
5. თურნავა.ნ. ქალი გარდამავალ პერიოდში, თბილისი, 1998
6. გაჩეჩილაძე რ. მოსახლეობის მიგრაცია საქრთველოში და მისი სოც.-ეკ. შედეგები. თბ. 1997
7. ტუხაშვილი მ. საქართველოს მოსახლეობის შრომითი პოტენციალი: ფორმირება და განაწილება, თბილისი, 1998
8. შრომის ბაზარი საქართველოში, თბილისი, 2002
9. ჯაში, ჩ გლობალიზაცია და გენდერი ეკონომიკაში, მაკრო-ეკონომიკა ნომ.2. 2002
10. Теория и методология гендерных иследований М МЦГИ 2001
11. Гендер На Повестке Дня , Бишкек, 1999

12. Практическое Рукодвоство По Внедрению Гендерных Подходов , Братислава, 2001
13. Gender Economic Growth and poverty, New Delhi, 1994
14. Boserup, E, Women"s Role in Economic Development, NewYork,1970
15. Elson Diane, Gender Aware Analysis and development Economics in Journal on international Development 5:2 university of Manchester,1993
16. Elson Diane, the Impact of Structural Adjustment on Women,1989
17. Jacobson J.,"Economic of Gender, Cambridge, 1996.
18. Jashi, Ch. Women in Economic Development, UNDP, Tbilisi, 1998.
19. Jashi Ch.-Women in Labor Market, Transition, Privatization and Women Yugoslavia, Subotica, 2002
20. Jashi Ch. Development of Women"s Entrepreneurship:The Case of Georgia, Geneva 2004
21. Marila Karl, Women"s Enterprise. The hilhorst, Harry Oppenoorth.1992 23. Lessons from Privatization labour issues in Development and Transition Countries Geneva, 1997.
22. Patricia Alexander , Sally Baden, Glossary for Macroeconomic Terminology 2000
23. Women in Transition, UNICEF,1999
24. Women Poverty and Aids, Cambridge, 1996
25. Noeleen Heyzer, Gita Sen Gender, Economic Growth and Poverty, 1994. New Delhi
26. Poverty in Transition, UNDP, 1998 New-York
27. Lorraine Corner, The Gender –differentiated Impact of Macroeconomics, 1998
28. Enhancing Women"s Participation in Economic Development, Washington , 1994
29. Privatization and Equity, .edited by V.V Ramanadbam, New-york1995
30. Pierlla Paci ,Women in Transition, World Bank, 2002
31. Sabedashvili,T. Women in The Decade of Transition;The Case of Georgia, Tbilisi, 2002
32. Sen .S. On Economic Inequility, Clarendon Press, Oxford 1973
33. The World of Women-1978-1990. Trends and Statistics, United Nations. New York, 1999
34. Williams, WIDE, Women in the Market-s manual for popular economic literacy , Brussel, 2000
35. WIDE, Bulletin, Globalization, Development and Sustainability, 2002
36. Women and Democracy,covrence report, Tallinn, Estonia, 2003

Summery of the article
"Gender and Economics" by Charita Jashi

The article "Gender and Economics" highlights theoretical and methodological es of gender economics and the influence of worldwide transformative processes ıe development of gender equality. The analysis of gender economics covers the

review of the economical factors, like the possibilities of resource application, the employment within the labor market, the distribution of incomes and welfare, realization of property rights, financial and technological development, and others. Some tendencies proper to globalization, such as the feminization of poverty, are expressed mostly by the lack of accessibility to women's assistance and in violation of their social-economical rights. Problems of power and of economical relations between genders are also specially emphasized in the article. Issues of unpaid labor, social justice, and economical independence are shown according to the works of Amarthea Sen, the Noble Prize winner, economist Joy Jacobson, Diana Elson, Maria Williams, Ester Bouserup, Poirella Pachi and others.

The author predominantly underlines challenges concerning the tendencies of the labor market, the gender segregation and the inequity of incomes. Macro-economical policy and gender integration seems to be very important for solving the socio-economical problems, and for reducing gender inequality. The state social strategy, in terms of reducing gender inequality, must undertake the improvement of legal and regulating norms, which in their turn will facilitate the formation of equal opportunities from s gender standpoint; it will also help ensure macroeconomic incentives and the allocation of state funds in such s way that it yields maximum social payback. For the purpose of decreasing gender inequality, targeted investments must be also allocated on the macro level.

ფერიდე ზურიკაშვილი

გენდერი და სოციალურ–ეკონომიკური განვითარება (საერთაშორისო გამოცდილების ანალიზი)

გლობალიზაცია და გენდერი. გლობალიზაცია მრავალმხრივი და რთული პროცესია, რომელიც დიდ გავლენას ახდენს მსოფლიოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ წესრიგზე, მრავალი ქვეყნის მოსახლეობის, მეურნეობისა თუ განსახლების სისტემების განვითარებაზე[1].

უკანასკნელ პერიოდში მსოფლიოში გლობალიზაციის შედეგად სახელმწიფოთა პოლიტიკური, სოციალურ–ეკონომიკური და კულტურული ინტეგრაცია ახალ ფაზაში შევიდა. ამ ინტეგრაციის ფონზე მიმდინარეობს მატერიალურ-ტექნიკური პროგრესი, დემოკრატიული ინსტიტუტებისა თუ ღირებულებების გავრცელება, თუმცა ამავე დროს რჩება გადაუჭრელი პრობლემებიც (მაგ. კონფლიქტები, სიღარიბე, დაუცველობა და ა.შ.). დღეს მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, სხვა მრავალ სოციალურ–ეკონომიკურ საკითხთან ერთად, გენდერული უთანასწორობა ერთ-ერთ ძნელად გადასაჭრელ პრობლემათა შორის მოიაზრება. მისი გადაწყვეტა, გლობალური მასშტაბით, საჭიროებს მრავალმხრივ საქმიანობას ცალკეული ქვეყნის პოლიტიკურ–სამართლებრივ, სოციალურ–ეკონომიკურ და კულტურულ სფეროებში.

ქალს და მამაკაცს შორის უთანასწორობა მათი შესაძლებლობების რეალიზაციის უთანაბრობაში გამოიხატება. უთანაბრო შესაძლებლობანი თვალსჩინოდ ვლინდება საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ასპექტში, ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკაში, ეკონომიკაში, სოციალურ და კულტურის სფეროში, საზოგადოებასა და ოჯახში[2]. ყოველივე ეს კი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქვეყნების სოციალურ–ეკონომიკური დონეების უთანაბრო განვითარებაზე.

როგორც ცნობილია, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის შეფასებისთვის იყენებენ მრავალ მაჩვენებელს. ბოლო ათწლეულში ამ ინდიკატორებს მიემატა ადამიანური განვითარების ინდექსი (HDI) გენდერული განვითარების ინდექსი (GDI) გენდერული უფლება-მოსილებითი ინდექსი (GED).

ადამიანის განვითარების ინდექსს სამი განზომილება აქვს: სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა, განათლების ცენზი და ცხოვრების დონე. გენდერული განვითარების ინდექსი იგივე მაჩვენებებით იზომება, თუმცა ცალკე გამოითვლება ქალთა და მამაკაცთათვის. გენდერული უფლებამოსილებითი ინდექსი ზომავს შედარებთ უფლებამოსილებას

[1] დავითაშვილი, 2003.

[2] იხ. გრაფიკები №1 და №2, გვ

პოლიტიკურ და ეკონომიკურ სფეროებში პოლიტიკური წარმომადგენლობის თვალსაზრისით. ამ მაჩვენებლების მიხედვით მსოფლიოს ქვეყნების კლასიფიკაციისას, გენდერული თანასწორობის თვალსაზრისით განვითარებულ ქვეყანათა შორის პირველ ათეულში ხვდება მაღალგანვითარებული ქვეყნები (კანადა, ნორვეგია, შვეცია, ისლანდია, ფინეთი, აშშ, საფრანგეთი, ახალი ზელანდია, ავსტრალია, დანია). ეს ის ქვეყნებია, სადაც ქვეყნის პოლიტიკურ და სოციალურ–ეკონომიკურ განვითარებაში ქალები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ხელისუფლების ყველა დონეზე[3]. ორას ქვეყანას შორის გენდერული განვითარების ინდექსის მიხედვით საქართველო 98–ე ადგილზეა[4].

გენდერული განსხვავებანი GEM რანჟირების, GDI და HDI-ს მაჩვენებლების მიხედვით[5]:

სახელმწიფო	EM	GDI	HDI
ნორვეგია	1	2	2
შვეცია	2	5	6
დანია	3	14	15
კანადა	4	1	1
გერმანია	5	15	14
აშშ	8	3	3
ავსტრალია	9	4	7
დიდი ბრიტანეთი	16	11	10
სარ	18	84	101
კუბა	21	53	58
მექსიკა	33	48	50
იაპონია	38	8	4
ჩინეთი	40	79	98
ინდონეზია	71	88	105
კუვეიტი	72	35	35
ბანგლადეში	83	123	150
თურქეთი	85	73	86
არე	96	45	43
პაკისტანი	101	116	138

გლობალური მასშტაბით გენდერული უთანასწორობა ეკონომიკის სფეროში გამოიხატება იმაში, რომ ქალს და კაცს უკავია განსხვავებული სოციალური მდგომარეობა. სიმდიდრე (რესურსები და კაპიტალი) და ძალაუფლება ძირითადად მამაკაცების ხელშია, ქალები უფრო ღარიბები, ნაკლებად განათლებულნი, შრომაში მეტად ექსპლუატირებულნი და უუფლებონი არიან, თუმცა როგორც ინგლისელი პოლიტოლოგი პეტმანი აღნიშნავს, "ქალი ასრულებს მსოფლიოში შესრულებული ფასიანი სამუშაოს 1/3-ს, წარმოების სფეროში სამუშაოების 2/3-ს, თუმცა ის ფლობს შემოსავლების 1/10-ს და საკუთრების მხოლოდ 1/100-ს.[6]" ყოველწლიურად ახალი კომუნიკაციებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების გავრცელება, ხელს უწყობს ეროვნული საზღვრების გაუქმებას და ფიზიკური მანძილების შემცირებას. ამავე დროს საფინანსო ბაზრებზე ხდება უსარმაზარი თანხების გადადინება, იზრდება საქონლისა და

[3] იხ. ცხრილი №1

[4] Human Development Report, 2001

[5] United Nations Human Development Report, 2001

[6] Pettman 1996

მომსახურეობის ექსპორტი, ინტენსიურად მატულობს სამუშაო ძალის მიგრაციული ნაკადების სიმძლავრეები. ყოველიეე ეს მამაკაცთა სასარგებლოდ მუშაობს და ვერ ხსნის დღის წესრიგიდან ქალისთვის არსებულ უთანასწორობის მრავალ პრობლემას: აუნაზღაურებულ შრომას, შრომის ბაზრის სეგრეგაციას, დისკრიმინაციას დასაქმებასა და სხვა სფეროში[7]

მოკლედ განვიხილოთ გენდერული დისკრიმინაციის სახეები დასაქმების სფეროში, რომელსაც გლობალური ხასიათი აქვს და რომელიც ხდება მაშინ", თუ დასაქმებულ ადამიანებს, რომელთაც აქვთ ერონაირი მწარმოებლური შესაძლებლობანი და უნარები, ეპყრობიან განსხვავებულად, მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი წარმოადგენენ განსხვავებულ სოციალურ–დემოგრაფიულ ჯგუფებს."[8] ანსხვავებენ გენდერული დისკრიმინაციის მრავალ სახეს: შრომის ანაზღაურებაში, დაქირავებაში, შტატების შემცირების, დაწინაურების და კვალიფიკაციის ამაღლების პროცესში[9].

ნეოკლასიკოსები გამოყოფენ სამი სახის დისკრიმინაციას: უპირატესობების დონეზე (დამქირავებლის დონეზე), სტატისტიკურ დისკრიმინაციას და დისკრიმინაციას წარმოშობილს შრომის ბაზრის მონოპოლიური სტრუქტურის ბაზაზე[10].

დღეს მსოფლიოში გლობალური ხასიათი აქვს პროფესიონალურ სეგრეგაციას გენდერული ნიშნის მიხედვით. განასხვავებენ პროფესიული სეგრეგაციის ორ შემადგენელს: ჰორიზონტალურს (დარგობრივს, კვალიფიკაციის მიხედვით, სექტორებს შორის) და ვერტიკალურ სეგრეგაციას. ვერტიკალური სეგრეგაცია გამოხატავს ქალთა უმნიშვნელო რაოდენობას მმართველობის დონეზე არსებულ პროფესიებსა და ძალაუფლებრივ პოზიციებზე (იერარქულ სტრუქტურაში). ვერტიკალური სეგრეგაცია ჰორიზონტალურთან ერთად განიხილება სხვადასხვა დონეებზე; მაკროეკონომიკურ, ეკონომიკის დარგის – მიკროეკონომიკურ და ცალკეული ფირმის (საწარმო), ან პროფესიონალური ჯგუფის დონეზე.

განვიხილავთ მსოფლიოში ქალების დასაქმების სტრუქტურის განზოგადოებულ მოდელს, (რომელიც შეიმუშავეს ამერიკელმა მეცნიერებმა) ის წარმოდგენილია პირამიდის სახით: რაც მაღალია თანამდებობის იერარქიული საფეხური, მით ნაკლებია ქალთა ხვედრითი წილი.

მსოფლიოს ქვეყნების აბსოლუტურ უმრავლესობაში დღეს ქალთა დაწინაურებისთვის მაღალ საფეხურებზე არსებობს მრავალი ბარიერი; ამ ბარიერთა ერთობლიობას სპეციალურ ლიტერატურაში "მინის ჭერს" უწოდებენ.

გლობალიზაციის გენდერული შედეგების ექსპერტული შეფასების საფუძველზე შემუშავდა სამი სახის კონცეფცია[11].

ა) ოპტიმისტური ხასიათის - "ინტეგრაციის" კონცეფცია. აქ იგულისხმება გლობალიზაციის შედეგად საგარეო ვაჭრობის მაჩვენებლების ინტენსიური ზრდა.

[7] Peterson 1999

[8] Малышева 2002

[9] Хоткина 2002

[10] Ремашевская 2002

[11] Машкова, 2002

XX საუკუნის მეორე ნახევარში, 50 წლის განმავლობაში, მსოფლიოში ექსპორტის მოცულობა გაიზარდა 16–ჯერ, სამრეწველო წარმოება კი 6–ჯერ. განვითარებადი ქვეყნების ხვედრითი წილი სამრეწველო წარმოებაში გაიზარდა 6,3%–დან 18,2%–მდე (განვითარებული ქვეყნების წილი კი სტაბილური დარჩა 22%).

სამრეწველო წარმოების ექსპორტზე ორიენტაციამ გაზარდა ქალთა ხვედრითი წილი წარმოებაში (12%–დან 32%–მდე) და არაფორმალურ სექტორში აზიის, აფრიკის და ლათინური ამერიკის ქვეყნებში.

93 ქვეყანაში შექმნილია საექსპორტო წარმოების თავისუფალი ეკონომიკური ზონები: სინგაპური, ჩილე, ჩინეთი, მალაიზია, შრილანკა, სამხრეთი კორეა და ა.შ., სადაც დასაქმებულთა აბსოლუტური უმრავლესობა ქალია.

ბ) ნეგატიური მიდგომა ეხება გლობალიზაციის გავლენას დასაქმებაში ქალთა ექსპლოატაციის გაძლიერებაზე. ამ კონცეფციის თანახმად საგარეო ვაჭრობაზე ორიენტირებულ საექსპორტო დარგებში იქმნება ისეთი დასაქმების სახეები, რომლებიც ქალის მონური შრომის გამოყენებას უწყობს ხელს. ამ კონცეფციაში ხაზი ესმება ქალთა დასაქმების ზრდას დაბალანასღაურებად სამუშაოებზე და მათ პოლიტიკურ კონფორმიზმს.

გ) მესამე, "მარგინალიზაციის" კონცეფცია აქცენტს აკეთებს ქალთა დასაქმებაზე მათთვის არახელსაყრელ დარგებში. გლობალიზაციის ფონზე ბევრ ქვეყანაში არ იცვლება ქალის დაქვემდებარებული სტატუსი ოჯახშიც კი. ასეთ ქვეყნებში, სტრუქტურული გარდაქმნების პროგრამებში ქალები თამაშობენ "მეორადი რესურსის" როლს.

გენდერი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამებში

გენდერული თანასწორობის პრაქტიკაში რეალიზაციის საკითხი მას შემდეგ გახდა ასეთი აქტუალური, როდესაც პრაქტიკულად აღმოჩნდა, რომ მსოფლიოს მოსახლეობის 4/5–ზე მეტი ასეთი უთანასწორობის პირობებში ცხოვრობს. XX საუკუნის 80–იანი წლებიდან განვითარებადი ქვეყნების ვალების კრიზისიდან გამოყვანის მიზნით საერთაშორისო ორგანიზაციების (მსოფლიო ბანკი და საერალუტო ფონდი) დახმარებით 70–მდე ქვეყანაში ამოქმედდა (სგპ) სტრუქტურული გარდაქმნის პროგრამები.

ასეთი პროგრამების უმრავლესობა საწყის ეტაპზე ატარებდა ღონისძიებებს ეკონომიკის სტაბილიზაციისათვის (კერძოდ, ამცირებდა ხარჯებს სახელმწიფო სექტორში და ატარებდა მკაცრ მონეტარულ პოლიტიკას). შემდეგ ეტაპზე ხდებოდა ბაზრის რეფორმა. შიდა ინვესტიციების უსრუნველყოფის მიზნით: ტარებოდა სახელმწიფო სექტორის რეფორმები,ვაჭრობის ლიბერალიზაცია,დასაქმების სფეროში შეზღუდვების მოხსნა, საფინანსო ბაზრის დერეგულირება, ეკონომიკური განვითარების სტაბილიზაციისათვის ახალი ინსტიტუციონალური სტქრუქტურების შექმნა[12].

---

[12] Мезенцева, 2002

90-იანი წლების გამოკვლევებმა გამოავლინა სოციალური განვითარების პროგრამების (სგპ) გენდერული ზემოქმედების ორი განსხვავებული ფორმა:

პირდაპირი ზემოქმედება დაკავშირებულია ქალის და კაცის მიერ საბაზრო და არასაბაზრო ურთიერთობებში განსხვავებულ მონაწილეობასთან: ასე მაგალითად, ბავშვების მოვლა ტრადიციულად ქალების პრეროგატივაა. პოსტსოციალისტურ ქვეყნებში სახელმწიფო საბავშვო დაწესებულებების შემცირებამ გამოიწვია მათი პროფესიული დასაქმების შემცირება, რადგან ასეთ დაწესებულებებში მომუშავეთა უმრავლესობა იყო ქალი.

ირიბი ზემოქმედება დაკავშირებული იყო იმ ცვლილებებთან, რომელიც მოხდა საბაზრო დასაქმებისა და საოჯახო შრომას შორის არსებულ თანაფარდობაში. თუ რეფორმის შედეგად ქალთა დასაქმების პროფილის ცვლილებებში წარმოიშობოდა ეკონომიკური სტიმულები, მაშინ ხდებოდა საოჯახო შრომის გადანაწილება ოჯახის სხვა წევრებს შორის. მრავალი განვითარებადი ქვეყნის მაგალითმა გვიჩვენა, რომ ეს გადანაწილება პირველ რიგში შეეხო ოჯახში მყოფ ქალიშვილს, რომელიც ხშირად წყვეტდა თავის საქმიანობას (მაგ. განათლებას). ეს ტენდენცია დღესაც გრძელდება, ე.ი. საოჯახო შემოსავლის გაზრდის მიზნით (დედის საქმიანობის შედეგად) ხდება გოგონათა (ადამიანური კაპიტალის) რესურსის დათრგუნვა. რაც იმაზე მიგვითითებს, რომ ტრადიციულ საზოგადოებებში საოჯახო შრომა უფრო მეტად ფასობს, ვიდრე ის დანახარჯები, რომელიც იხარჯება გოგონათა განათლებისათვის[13].

მკვლევარების მიერ შესწავლილია არა მარტო ეკონომიკური განვითარების დიფერენცირებული გავლენა ქალებსა და მამაკაცებზე, არამედ დადგენილია "გენდერული გადახრა" გენდერულად ნეიტრალურ სოციალურ-ეკონომიკურ პროგრამებში. "გენდერული გადახრა" სტრუქტურული გარდაქმნების პროგრამებში სხვადასხვანაირადაა შეფასებული. ეკონომისტების აზრით, აუცილებელია გენდერული განზომილებების ჩართვა ეკონომიკური პროცესების ანალიზისას. მათ მიზანშეწონილად მიაჩნიათ, ყურადღება გამახვილდეს შრომის გენდერულ დანაწილებაზე, ქალთა აუნაზღაურებელ შრომაზე საოჯახო მეურნეობაში, რესურსების უთანაბრო განაწილებაზე. ალტერნატიული თვალსაზრისი მდგომარეობს იმაში, რომ სგპ კონცეპტუალურ დონეზე არის გენდერულად ნეიტრალური. ქალსა და კაცს შორის განსხვავებების წარმოშობა გამომდინარეობს განათლების, კვალიფიკაციის, შრომის ბაზარზე უპირატესობათა არსებობით და ეს ყველაფერი საბოლოოდ იწვევს გენდერულ უთანასწორობას.

"გენდერული გადახრის" არსებობამ სგპ-ში განაპირობა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პოლიტიკაში გენდერული პარამეტრების და ინდიკატორების შეტანა, გენდერული პოლიტიკების შემუშავება და მათი პრაქტიკაში გატარება. ეტაპობრივად გეხვდებოდა გენდერული პოლიტიკების მიზნობრივი კრიტერიუმების ევოლუცია, რაც საფუძველიანად აქვს შესწავლილი უცხოელ ეკონომისტებს და მგეგმავებს მოზერს, მულინოს, მეზენცევას, პარკერს. მოკლედ განვიხილოთ თვითოეული პოლიტიკის არსი:

[13] Seg., G 1997

პოლიტიკა "ქალი და განვითარება" (Women in Development) დაფუძნებულია იმ იდეოლოგიაზე, რომლის მიხედვით ქალთა ჩართვა განვითარების პროგრამებში ამაღლებს იმ პროგრამების ეკონომიკურ ეფექტურობას. ამ მიდგომის მიზანია, უსრუნველყოს რესურსების ეფექტური განაწილება და გამოყენება. თუმცა ხშირად მხედველობაში არ მიიღება გენდერული თანასწორობის მიღწევის საკითხი. სწორედ ეს გახდა WID პოლიტიკის კრიტიკის მიზეზი მრავალი მეცნიერის მხრიდან. ეს მიდგომა მიზნად არ ისახავს არსებული გენდერული ურთიერთობების შეცვლას. იგი გვთავაზობს გენდერულად-ნეიტრალური ან გენდერულად-სპეციფიკური ინსტრუმენტებით მოქმედებას. არსებითად ითვლება არა ძალაუფლების, არამედ რესურსების განაწილებისა და გამოყენების საკითხი.

პოლიტიკა "გენდერი და განვითარება" ("Gender and Development") აქცენტს აკეთებს გენდერულ თანასწორობაზე, როგორც განვითარების მთავარ მიზანზე. ამ მიდგომის საფუძვლად ითვლება საზოგადოებაში ძალაუფლებრივი ურთიერთობების ანალიზი და განსაკუთრებით, ძალაუფლებრივი ურთიერთობები ქალსა და მამაკაცს შორის. ამ პოლიტიკის ჩარჩოებში გენდერული ურთიერთობანი განიხილება, როგორც სოციალურად კონსტრუირებული, პოტენციურად ცვალებადი მოვლენა.

პოლიტიკა, რომელსაც ეწოდება "კომპლექსური გენდერული მიდგომა" ("Gender Mainstreaming") განვითარდა 80-90-იან წლებში, უფრო აფართოებს გენდერული პოლიტიკის საზღვრებს. მის ჩარჩოებში გენდერული თანასწორობა არ ყალიბდება ცალკეულ სპეციფიკურ მიზნად, არამედ ხდება ყველა პროგრამისა და სტრატეგიული მიმართულების ძირითადი ელემენტი. გაეროს განსაზღვრებით "ესაა პროცესი, რომლითაც შეიძლება შეფასდეს დაგეგმილ ღონისძიებათა სისტემა მამაკაცებსა და ქალებზე ურთიერთქმედების თვალსაზრისით. კანონმდებლობა, სტრატეგიები და პროგრამები, მათ შორის ყველა დონეზე და ყველა სფეროში," განიხილება გენდერულ ჭრილში.

ბოლოს,ყველაზე ბოლოს დანერგილი პოლიტიკა "Women Empowerment" - რომელიც შეიძლება ასე გადმოვაქართულოთ "ქალთა უფლებამოსილება". ამ მიმართულებაში ხაზგასმულია, რომ გენდერული თანასწორობის მიღწევა, შეუძლებელია ქალთა ძალაუფლებრივ სტრუქტურებში დაწინაურების გარეშე, მათთვის შესაბამისი რესურსების გადაცემის გარეშე.

მსოფლიო ბანკის ექსპერტი გენდერის საკითხებში, ინგლისელი პროფესორი კაროლინ მოზერი (Caroline Moser) საერთაშორისო ორგანიზაციებში, 1950 წლიდან დღევანდლამდე, გამოჰყოფს გენდერული პოლიტიკის ევოლუციის 5 ეტაპს.

პირველი ეტაპი. მიზნობრივი კრიტერიუმი: კეთილდღეობის ამაღლება. ეს მიდგომა ძალზე პოპულარული იყო 50-70-იან წლებში, თუმცა ზოგიერთ ქვეყანაში ის დღესაც ფართოდ გამოიყენება. ის ქალებს განიხილავს, პროგრამის სოციალური ნაწილის პასიურ ბენეფიციარებად. ამ ეტაპზე პროგრამები რეალიზდება კონკრეტულად ქალთა პრაქტიკული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად (მაგალითად, დედებისთვის - მათი საკვების გაუმჯობესება, ოჯახის დაგეგმვის საკითხები და სხვა).

ამ მიდგომაში არ პოულობს ასახვას ქალთა დაქვემდებარებული მდგომარეობა საზოგადოებაში.

მეორე ეტაპი. მიზნობრივი კრიტერიუმი: თანასწორობის მიღწევა. ეს მიდგომა გამოხატავს WID პოლიტიკის ერთ ვერსიას და ფართოდ გავრცელება ჰპოვა "ქალთა ათწლეულის" პერიოდში 1976–1986 წლებში. ამ მიდგომის მთავარი მიზანია – გენდერული თანასწორობის დონის ამაღლება, ქალები განიხილება განვითარების პროცესის აქტიურ მონაწილეებად. სოციალურად მნიშვნელოვანია არა მისი რეპროდუქციული, არამედ მის მიერ შესრულებული "პროდუქტიული"–პროფესიონალური და სხვა როლები. გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისთვის მოქმედების ძირითადი სტრატეგიები და ინსტრუმენტები დაკავშირებულია სახელმწიფოს პირდაპირ ჩარევასთან. ეს მიდგომა არ სარგებლობს მოწონებით პოლიტიკურ სტრუქტურებში.

მესამე ეტაპი. მიზნობრივი კრიტერიუმი: სიღარიბის დაძლევა. ესაა 70–იანი წლების პოლიტიკა და წარმოადგენს WID შებრუნებულ ფორმას. ეს ეყრდნობა პოსტულატს, რომ მსოფლიოში მიმდინარეობს სიღარიბის ფემინიზაცია, ე.ი. ქალები ქმნიან მოსახლეობის უღარიბეს ფენებს. სიღარიბის ფემინიზაცია განიხილება არა დაქვემდებარებული სოციალური სტატუსის, არამედ ქალებისთვის ნაკლები საბაზრო შესაძლებლებების ფონზე და მათი ჩამორჩენით ადამიანური კაპიტალის განვითარებაში შრომის ნაყოფიერების დონეზე. ამ პოლიტიკის რეალიზაციის ძირითადი ინსტრუმენტები მიმართულია ქალების მიერ დამოუკიდებელი შემოსავლების მიღებისაკენ. ეს მიდგომა ძალზე პოპულარულია დღესაც მრავალი ქვეყნის არასამთავრობო ქალთა ორგანიზაციებში.

მეოთხე ეტაპი. მიზნობრივი კრიტერიუმი: ეფექტურობის ამაღლება. ეს მიმართულება გავრცელდა 80–იან წლებში. ესაა WID მესამე ვერსია. მთავარი მიზანია ქვეყნის სოციალურ–ეკონომიკურ განვითარებაში ქალთა ჩართვის ეკონომიკური ეფექტურობის უზრუნველყოფა. მთავარი კრიტიკა დაკავშირებულია იმასთან, რომ დრო, რომელსაც განაგებენ ქალები, განიხილება როგორც "მაღალელასტიური განსომილება". სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შემოთავაზებულია, რომ მუნიციპალური და სოციალური სფეროს პროფესიების საქმიანობის შეზღუდვის შემთხვევაში, ქალები ამ შემცირების კომპენსაციას მოახდენენ საოჯახო საქმის ხარჯზე, რაც ფაქტიურად ნიშნავს საერთო სამუშაო დროის გაზრდას. მოცემული მიდგომის ფარგლებში, ეკონომიკურ განვითარებაში ქალთა მონაწილეობის ამაღლება, პირდაპირ ასოცირდება გენდერულ თანასწორობასთან (ძალაუფლებრივი შესაძლებლობების გაფართოებასა და გადაწყვეტილების დონეებზე მონაწილეობასთან), რაც ძალზე შორსაა სინამდვილისგან. მიუხედავად ასეთი ნაკლისა, ასეთი მიდგომა ძალზე პოპულარულია 28–მდე ქვეყანაში, გადაწყვეტილებების მიღების დონეზე მყოფ ლიდერთათვის, რადგან მასში საკმაოდ მკაფიოდაა გამოხატული სოციალური პოლიტიკის გენდერული ორიენტაცია.

მეხუთე ეტაპი. მიზნობრივი კრიტერიუმი: ქალთა ძალაუფლებრივი შესაძლებლობების გაფართოება (empowerment). ეს მიდგომა ჩამოყალიბდა განვითარებული ქვეყნების ქალთა გავლენით. ზემოთ აღწერილი კრიტერიუმებისგან განსხვავებით, ძირითადი მიზანი ჩამოყალიბებულია,

ასე: "ქალთა ძალაუფლების მასშტაბების გაფართოება, მათი ინიციატივიდან გამომდინარე". ამ მიდგომის მომხრეები ამტკიცებენ, რომ ქალთა დაქვემდებარებული მდგომარეობიდან გამოსვლისთვის საჭიროა აქტიური მოქმედება სხვადასხვა დონეებზე. მთავარ გასაღებად ნაოლად აღიარებულია – ძალაუფლების საკითხი. იმისთვის, რომ თავიანთი მდგომარეობა შეცვალონ საზოგადოებაში, ქალებმა უნდა გააძლიერონ საქმიანობა, რათა გაიზარდოს მისი ხვედრითი წილი გადაწყვეტილების დონეებზე. პოლიტიკის ძირითადი ინსტრუმენტები დაკავშირებულია ქალთა მობილიზაციასთან "ქვემოდან", ე.ი. ქალთა ორგანიზაციებთან. გათვალისწინებულია მათი სტატუსის ამაღლება გადაწყვეტილების დონეზე, როგორც რეგიონულ, ასევე ადგილობრივ დონეზე.

გენდერული როლები და მოთხოვნილებანი სოციალურ–ეკონომიკური განვითარების კონტექსტში

სოციალურ–ეკონომიკური პოლიტიკების მისნობრივი კრიტერიუმების ევოლუციის თანხედენილად მოხდა წარმოდგენებისა და შეხედულებების გაღრმავება ქალის და კაცის სოციალურ როლებზე. ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ სოციალური მნიშვნელობა მიენიჭა იმ სოციალურ როლებსა და ფუნქციებს, რომლებიც ადრე იმყოფებოდა "სოციალური მხედველობის" მიღმა. აქ უნდა მივმართოთ კაროლინა მოზერის შრომებს, რომელმაც შემოგვთავაზა ქალის სამმაგი სოციალური ფუნქციის კონცეფციის გამოყენება შრომის გენდერული დანაწილების ანალიზის დროს. მსგავსი მიდგომა პრინციპულად განსხვავდება ეკონომისტების და დემოგრაფების მიდგომებისგან, რომლებიც ტრადიციულად აკეთებენ აქცენტს ქალის მწარმოებლურ ან რეპროდუქციულ როლზე[14].

კ. მოზერი ხასს უსვამს, რომ საზოგადოებების უმრავლესობაში ქალები ამა თუ იმ ხარისხით ჩართულნი არიან საქმიანობის შემდეგ სახეებში: საწარმოო საქმიანობა, კელავწარმოებითი (რეპროდუქციული) საქმიანობა, (სოციალური ჯგუფის ან ლოკალური თემის ჩარჩოებში) სოციალური ინტეგრაციის მხარდამჭერი საქმიანობა.

რაც შეეხება მამაკაცებს, ისინი ასრულებენ ორ ფუნქციას: საწარმოოს და ინტეგრაციულს.

თითოეული ფუნქციის შინაარსს კ. მოზერი განსაზღვრავს შემდეგი სახით:

კელავწარმოებითი საქმიანობა (რეპროდუქციული შრომა) შედგება სამი შემადგენლისგან:

ადამიანის კელავწარმოება (ბავშვთა შობა და მათი მოვლა);

ოჯახის წევრთა მოვლა (საჭმლის მომზადება, რეცხვა, ტანსაცმლის წესრიგში მოყვანა, ავადმყოფთა მოვლა, მოხუცებულთა მოვლა);

საოჯახო მეურნეობის მოვლა (ოჯახის უსრუნველყოფა წყლით, სათბობით, საკვებლებით, ავეჯით და სხვა).

ყველა კულტურაში რეპროდუქციული შრომა ქალზე რთული საქმიანობაა, პრაქტიკულად ის არაა შეზღუდული დროში, არ გააჩნია ხარისხის შეფასების სტანდარტული კრიტერიუმები; მას გააჩნია დაბალი

[14] Мезенцева, 2002

სოციალური სტატუსი და ხშირად არც ითვლება შრომად, რადგან ფულადობრივი შეფასება არ აქვს. ამასთანავე უკანასკნელ ათწლეულში ეკონომისტებმა იმ საქმიანობას გაცილებით მეტი ყურადღება მიაქციეს: შემუშავებულია ზოგიერთი სახის რეპროდუქციული შრომის ირიბი ღირებულებების შეფასების მეთოდიკები (კერძოდ იმ სახეების, რომლებსაც გააჩნია საბაზრო ანალოგიები – მაგ. მოვლა–მომსახურეობა, ოჯახის წევრთა მომსახურეობა). ეს მეთოდიკები შემოთავაზებულია რეპროდუქციული შრომის მონაცემთა ნაციონალურ ანგარიშებში., (ე.წ. "თანამგზავრი ანგარიშებში" ("satellite Iccounts").

საწარმოო საქმიანობა მოიცავს: როგორც საბაზრო (საქონელი და მომსახურეობა, წარმოებული ყიდვის და მართვის მიზნით), ისე ნატურალურ წარმოებას (კეთილდღეობა, წარმოებული საკუთარი მოთხოვნილებისთვის). ამაში ამა თუ იმ ხარისხით ჩართულია ორივე სქესის წარმომადგენლები, თუმცა, როგორც ქვეყნების უმრავლესობის პრაქტიკა გვიჩვენებს, საწარმოო საქმიანობა ექვემდებარება შრომის მკაცრ, გენდერულ დაყოფას მამაკაცის სასარგებლოდ, როგორც სასაქონლო, ისე არასასაქონლო სფეროში. გარდა ამისა, ქვეყნებში, სადაც ოფიციალურ სექტორში კაპიტალდაბანდებების უმნიშვნელო მასშტაბებია, საბაზრო ურთიერთობანი სუსტადაა განვითარებული, შეინიშნება საწარმოო საქმიანობის გენდერული სეგმენტაცია: მამაკაცები დაკავებულნი არიან იმ საქმიანობით, რომელსაც გააჩნია სასაქონლო სახე, იმ დროს როდესაც ქალები შეეიწროვებულნი არიან არასასაქონლო სექტორში. საწარმოო საქმიანობა ტრადიციულად ეკონომიკური ანალიზის საგნად ითვლება თავის საბაზრო ნაწილში: ამასთანავე არასაბაზრო ნაწილის შეფასება მეთოდოლოგიური თვალსაზრისით ძნელია, რადგან ითვალისწინებს ღირებულებითი შეფასების ირიბი სისტემების გამოყენებას (კვლავწარმოებითი საქმიანობის ანალოგიურად).

მო:მოზერის მიერ გამოყოფილი საქმიანობის მესამე სახე – სოციალურ ინტეგრაციასთან დაკავშირებული საქმიანობა – არასოდეს ხდება ეკონომისტების და პოლიტიკოსების ყურადღების ცენტრში. ეს საქმიანობა დეტალურადაა შესწავლილი მხოლოდ ანტროპოლოგების, კულტუროლოგების და მცირედ - სოციოლოგების შრომებში. აქ შედის სოციუმისთვის საჭირო ორგანიზაცია, ისეთი როგორც: ცერემონიები, დღესასწაულები, სხვადასხვა გაერთიანებებში მონაწილეობა, პოლიტიკური საქმიანობა, ქველმოქმედება და სხვა. ამ საქმიანობის სოციალური მნიშვნელობა ეჭვს არ იწვევს, ამასთანავე, მიუხედავად იმისა, რომ ინტეგრაციული ფუნქცია მოითხოვს შრომისა და დროის მნიშვნელოვან დანახარჯებს, არასოდეს არ გამხდარა ეკონომიკური ანალიზის ობიექტი (ირიბი შეფასების მეთოდიკებით მაინც). საქმიანობის ეს სახე, ისე როგორც საწარმოო, ხასიათდება შრომის მკვეთრად გამოხატული გენდერული დანაწილებით. შრომის დანაწილების შექმნილი სტრუქტურიდან გამომდინარე მოზერი გამოყოფს ინტეგრაციული საქმიანობის ორ გენდერულ–სპეციფიკურ ტიპს:

პირველი ეტაპი – ყოველდღიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება თემში. აქ შეიძლება შედიოდეს ისეთი სამუშაოები, როგორიცაა იშვიათი რესურსების (მაგ. წყლის) უსრუნველყოფა და განაწილება, სამედიცინო

მომსახურება და ავადმყოფების მომსახურეობა (თავისი ოჯახის გარეთ), დაწყებითი განათლების უსრუნველყოფა და სხვა. ამ სამუშაოებში ძირითადად დასაქმებულია ქალები. ეს საქმიანობა რეგულირდება ტრადიციებით, ის არ განიხილება როგორც პროფესიონალური, სრულდება "თავისუფალ დროს" და პრაქტიკულად არ ნაზღაურდება.

მეორე ეტაპი – პოლემიკურ საქმიანობაში მონაწილეობის მიღება ადგილობრივ დონეზე. ამ სამუშაოში გათვალისწინებულია ძირითადად მამაკაცები, რომელთა სოციალური სტატუსი პერმანენტულად მაღლდება.

გენდერული მოთხოვნილებების კლასიფიკაცია, შემოთავაზებული კ. მოზერის მიერ, ემყარება ქალთა გენდერული ინტერესების კონცეფციას, ჩამოყალიბებულს მაქსინ მულინოს მიერ 1985 წელს. მ. მულინოს და მოზერის იდეა მდგომარეობს იმაში, რომ ქალებს, როგორც სოციალურ-დემოგრაფიულ ჯგუფს, აქვთ საკუთარი მოთხოვნილებები და ინტერესები: ისინი განსხვავდებიან ამ მოთხოვნილებებით და ინტერესებით მამაკაცებისაგან. ეს განსხვავება განპირობებულია იმით, რომ ჯერ ერთი, ქალები ასრულებენ სამმაგ ფუნქციას, მეორეც, უმრავლეს საზოგადოებაში ისინი იკავებენ დაქვემდებარებულ სოციალურ სტატუსს და მდგომარეობას. მულინოს ანალოგიურად, მოზერი გამოყოფს გენდერული მოთხოვნილებების 3 ტიპს.

პრაქტიკული გენდერული, მოთხოვნილებები – რომელთა დაკმაყოფილება ქალებს უადვილებს ყოველდღიურ პრაქტიკულ საქმიანობას. სოციალურ-ეკონომიკური პროგრამები, რომლებიც მიმართულია პრაქტიკულ გენდერულ მოთხოვნილებათა უსრუნველყოფისათვის, პასუხობს ყოველდღიურ საჭიროებებს. ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება არ იწვევს ქალთა სტატუსის ამაღლებას საზოგადოებაში, თუმცა სწორედ ქალის დაქვემდებარებული მდგომარეობა განიხილება მკვლევარების მიერ, როგორც პრაქტიკული მოთხოვნილებების ერთერთი მთავარი მიზეზი.

ასეთი მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის საჭირო კონკრეტული ღონისძიებებია: წყლით და საკვებით უზრუნველყოფა, სამედიცინო მომსახურეობით უსრუნველყოფა, სამუშაოს შეთავაზება და სამუშაოს მიღების შესაძლებლობა, საცხოვრებლის მშენებლობაში დახმარება და სხვა.

სტრატეგიული გენდერული მოთხოვნილებები – რომელთა დაკმაყოფილება ხელს უწყობს ქალებს და მამაკაცებს შორის არსებული ძალაუფლების დისბალანსს. ეს მოთხოვნილებები განპირობებულია ქალის საზოგადოებაში დაქვემდებარებითი სტატუსით. მათ უშუალო კავშირი აქვთ შრომის უფლება-მოვალეობების ან ძალაუფლებისა და პასუხისმგებლობის გენდერულ დანაწილებასთან, მათი დაკმაყოფილება კი მოითხოვს სერიოზულ ინსტიტუციონალურ (მათ შორის საკანონმდებლო) ცვლილებებს.

სტრატეგიული გენდერული მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ღონისძიებებია:

არსებული შრომის გენდერული დანაწილების შეცვლა.

საოჯახო საქმიანობისა და ბავშვთა აღზრდის მოვალეობის შესრულების შემსუბუქება.

ინსტიტუციონალურად გამყარებული დისკრიმინაციის ფორმების შეცვლა (კერძოდ, ნაციონალური კანონმდებლობის სტატუსის შეცვლა, რომლის მიხედვით უპირატესობა ენიჭებათ ქალებს).

რეპროდუქციული ჯანმრთელობის სფეროში მომსახურების უსრუნველყოფა, შობადობის რეგულირების შესაძლებლობების მიცემა.

მამაკაცებისგან ძალადობის წინააღმდეგ აღძრული ღონისძიებათა სისტემის შექმნა. პრაქტიკული და სტრატეგიული გენდერული მოთხოვნილებების განცალკევება იყო ჩადებული გენდერული პოლიტიკების ტიპოლოგიის საფუძველში, რომელიც შეიმუშავა მაილა კაბირმა 1992 წელს. ამ ჩარჩოებში გამოიყოფა ორი ძირითადი ტიპი და რამდენიმე ქვეტიპი.

პირველი ტიპი – გენდერულად უგრძნობი პოლიტიკა (gender-blind policy). ამ პოლიტიკის სფეროში არაა აღიარებული გენდერულ განსხვავებათა მნიშვნელობა და მათი აუცილებელი ჩართვა სოციალურ–ეკონომიკურ პოლიტიკებში.

აქ ხდება ფაქტიურად არსებული გენდერულ ურთიერთობათა აღწარმოება და ამგვარად, ამყარებს "მამაკაცურ გადახრას" სოციალ–ეკონომიკურ სფეროში.

მეორე ტიპი – გენდერულად მგრძნობიარე პოლიტიკა. ხაზი აქვს გასმული ფაქტს, რომ როგორც ქალები, ისე კაცები განვითარების პროცესის მონაწილენი არიან, მაგრამ ქალებს მაინც აქვთ შეზღუდული შესაძლებლობანი (როგორც შემსრულებლებს, ისე ბენეფიციარებს), ამის შედეგად, ქალებს აქვთ განსხვავებული (ხანდახან კი პირდაპირ საწინააღმდეგო) მოთხოვნილებანი, ინტერესები და პრიორიტეტები სოციალურ–ეკონომიკურ სფეროში. გენდერულად მგრძნობიარე პოლიტიკა იყოფა რამდენიმე ქვეტიპად: გენდერულად–ნეიტრალური პოლიტიკა, გენდერულად–სპეციფიკური და გენდერულად დიფერენცირებული პოლიტიკა. დაავახასიათოთ მათი ძირითადი თავისებურებანი.

გენდერულად ნეიტრალური პოლიტიკა გულისხმობს საწყის (ამოსავალ) წერტილად გენდერული უთანასწორობის კონკრეტული ფორმების და მასშტაბების აღრიცხვას. ამ პოლიტიკის უშუალო ამოცანა, როგორც წესი, ისღუდება ორივე სქესისთვის პრაქტიკული გენდერული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებით. გენდერულად ნეიტრალური პოლიტიკა არ ეხება შრომის არსებული გენდერული დანაწილების, ძალაუფლების, რესურსების და პასუხისმგებლობის განაწილების საფუძვლებს.

გენდერულ–სპეციფიკური პოლიტიკა, ისე როგორც გენდერულად ნეიტრალური, რეალიზდება შრომის გენდერული დანაწილების, ძალაუფლების და პასუხისმგებლობის დანაწილების ჩარჩოებში. თუმცა წინა პოლიტიკებისაგან განსხვავებით, მას გააჩნია გამოხატული მიზნობრივი ხასიათი და ცალკეული სქესისათვის შეიცავს განსხვავებული შინაარსის განზომილებებს. ეს პოლიტიკა, ისევე როგორც გენდერულად ნეიტრალური, არ გამოდის ჩარჩოებიდან კაცების ან ქალების გენდერული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის.

გენდერულად დიფერენცირებული პოლიტიკა – გულისხმობს გენდერული ურთიერთობების ბალანსირებული სისტემების შექმნის საჭირო ღონისძიებებს. მიზნობრივი ჯგუფების როლში, რომლებსეც

მიმართულია გადანაწილებადი პოლიტიკის ღონისძიებანი, შეუძლია გამოვიდეს ან ორი სქესი, ან ერთი რომელიმე სქესი. ზემოთ აღნიშნული ტიპებისგან განსხვავებით, ეს პოლიტიკა აყენებს სტრატეგიულ-გენდერულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების ამოცანას. ამასთანავე ის შეიძლება წარიმართოს კონკრეტულ პრაქტიკულ მოთხოვნილებაზე. თუმცა გამოყენებულ უნდა იქნას ისეთი საშუალებები, რომელთაც გააჩნიათ ტრანსფორმაციული პოტენციალი, ე.ი. ხელს შეუწყობენ გენდერული თანასწორობის შედარებით მაღალი დონისა და ქალთა ძალაუფლებრივი შესაძლებლობების გაფართოების მიღწევას.

რასაკვირველია, რეალურ პრაქტიკაში ზემოთაღწერილი ტიპები ძალიან იშვიათად არსებობენ "რაფინირებული, სახით". ამასთან, კონკრეტული სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის ანალიზი პერსპექტივაში გენდერული შედეგების პროგნოზის შესაძლებლობას მოგვცემს. ქვემოთ დაწვრილებით შევჩერდებით ზოგიერთი კონკრეტული მეთოდიკის დახასიათებაზე, რომელიც შეესაბამება გენდერული პოლიტიკის განსხვავებულ ტიპებს.

გენდერული პარამეტრები სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამებში (მეთოდოლოგიური მიდგომების ანალიტიკური მიმოხილვა)

წინამდებარე ნაწილში მიმოვიხილავთ სოციალურ-ეკონომიკური პროგრამების გენდერული ანალიზის მეთოდიკას, რომელიც შემოთავაზებულია სხვადასხვა სამეცნიერო კელეგების ინსტიტუტებისა და კერძო ექსპერტების მიერ. გენდერული ანალიზის ეს მეთოდები "გენდერულად ნეიტრალური", "გენდერულად დაყოფილი", "ინსტიტუციონალური" და "კულტურულ-გარდაქმნითი" ხასიათისაა.[15]

ჰარვარდის ანალიტიკური მოდელი (ჰამ). ჰამ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გენდერული ფაქტორებით შეფასების ერთერთი პირველი ცდაა და ახასიათებს გენდერულად-ნეიტრალური მიდგომა. ეს მოდელი შემოთავაზებულ იქნა ჰარვარდის საერთაშორისო განვითარების ინსტიტუტის მეცნიერთა მიერ, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოსთან (USAID) ერთად.

მოცემული მიდგომის მიზანია – დაეხმაროს გადაწყვეტილების დონეზე მომუშავე ადამიანებს, უფრო ეფექტურად დაგეგმონ თავიანთი საქმიანობა განვითარების კონკრეტული პროგრამის ჩარჩოებში. ჰამ-ის მთავარი პრინციპია მიკროდონეზე ინფორმაციის შეგროვება. ეს ინფორმაცია ეხება მამაკაცების და ქალების საქმიანობასა და რესურსებს, რომლებსაც ისინი აკონტროლებენ. შემდგომი ეს ინფორმაცია სისტემატიზირდება ცხრილებში, სადაც აღწერილია საქმიანობის სახეები და რესურსები, ბინარულ ფორმაში (მონაწილეობს – არ მონაწილეობს. აქვს – არ აქვს (იხ. დანართი).

---

[15] Moser C., 1994, Kabeer N., 1994, Longwe S., 1994, March C.,, 1999, Smyth Y., Mukhopadhyay M., 1999, Мезенцева 2002

საწარმოო (პროდუქტიული) და აღწარმოებითი (რეპროდუქტიული) საქმიანობის დიფერენცირებული ანგარიშის საშუალებით, მოცემული მოდელი გვაძლევს სათანადო წარმოდგენას შრომის გენდერული დანაწილების შესახებ, უზრუნველყოფს ქალის შრომის ანალიტიკურ "ხედვას" და მის როლს ეკონომიკაში.

ჰამ მოსახერხებელია პრაქტიკულად გამოყენებაში და შეუძლია ადვილად ადაპტირება კონკრეტული ამოცანების გადასაწყვეტად. ჰამ თავის მხრივ მოიცავს ოთხ საბაზო ანალიტიკურ ინსტრუმენტს:

1. მამაკაცის და ქალის საქმიანობის მატრიცა სხვადასხვა სფეროში. ეს მატრიცა ასახავს ყველა სახის: საწარმოო და რეპროდუქციულ საქმიანობას, რომელიც მნიშვნელოვანია მოცემულ პროექტში (იხ. დანართი).

2. ქალის და მამაკაცის მიერ რესურსებზე ხელმისაწვდომობისა და კონტროლის მატრიცა. აქ ფიქსირდება, აქვთ თუ არა კაცებს და ქალებს ხელმისაწვდომობა, ვინ აკონტროლებს რესურსების გამოყენებას, ვინ აკონტროლებს ამ რესურსების გამოყენებიდან მიღებულ სარგებელს, რომელსაც იღებს ინდივიდი, ოჯახი, ადგილობრივი თემი.

3. გავლენის ფაქტორების მატრიცა. ამ მატრიცაში ხდება იმ ფაქტორების ფიქსირება, რომლებიც გავლენას ახდენს შრომის გენდერულ დანაწილებაზე, რესურსების ხელმისაწვდომობასა და კონტროლზე: სოციალური ნორმები; დემოგრაფიული მახასიათებლები; ინსტიტუციონალური სტრუქტურები; ზოგადი ეკონომიკური მახასიათებლები; შიდა და საგარეო პოლიტიკური კონტექსტი; განათლება და პროფესიული მომზადება;

4. გენდერული პარამეტრების გაზომვის კითხვარი სოციალურ–ეკონომიკური განვითარების პროგრამების შემუშავებისა და რეალიზაციის მიზნით. კითხვარის მიზანია – მგეგმავმა გააანალიზოს თავისი პროექტი გენდერული ურთიერთობების თვალსაზრისით.

კონცეპტუალური თვალსაზრისით ჰამი ემყარება ზედმეტად გამარტივებულ ("მატერიალისტურ") შეფასებებს ადამიანის ქცევის შესახებ. ჰამ–ის ინსტრუმენტების მიღმა დგას რაციონალური ინდივიდის ქცევის ლოგიკა, რომელიც გადაწყვეტილებას იღებს ეკონომიკური მოსაზრებებიდან. ამასთანავე, ფაქტიურად იგნორირდება როგორც გენდერული კულტურის ანალიზის აუცილებლობა მოცემულ საზოგადოებაში, ასევე იმ ინსტიტუტების გენდერული კულტურა, რომლებიც გადაამუშავებენ და ანხორციელებენ განვითარების პროგრამებს. იგულისხმება, რომ ეს ინსტიტუტები გენდერულად ნეიტრალურია, თუმცა პრაქტიკა არკვევს, რომ ეს ასე არაა.

ჰამ არ განიხილავს საკითხს იმაზე, თუ რატომ ყალიბდება გენდერული ურთიერთობანი, როგორც უთანასწორობის ურთიერთობანი. ამასთანავე ქალთა დაქვემდებარებული მდგომარეობის მიზეზები ფაქტიურად რჩება ჩრდილში. თუმცა ჰამ-ის ანალიტიკური ინსტრუმენტები შეიძლება ფართოდ იქნას გამოყენებული ძალაუფლების კვლევისთვის რესურსებზე ხელმისაწვდომობისა და კონტროლის საკითხთან დაკავშირებით.

ჰამ–ში იგნორირებულია უთანასწორობის ყველა სხვა საფუძველი (კერძოდ ეთნიკურობა, კლასი, რასა), ქალები და მამაკაცები შედარებულია როგორც ერთგვაროვანი ჯგუფები. საოჯახო მეურნეობისა და

ადგილობრივი თემის დონეზე გამოთიშულია შრომის გენდერული დანაწილების და კოოპერაციის საკითხი. ჰამ–ის მატრიცა დასაქმების სახეების შესახებ არ შეიცავს საქმიანობას სოციალური ინტეგრაციის სფეროში.

მიუხედავად იმისა, რომ ბევრი შენიშვნაა გამოთქმული, იდეოლოგიურად ნეიტრალურობის გამო, ეს მოდელი აქტიურად განაგრძობს გამოყენებას სოციალურ–ეკონომიკური დაგეგმვის პროექტებში.

ქალთა უფლებამოსილების (შესაძლებლობების გაფართოების) მოდელი. (Women's Empowerment Framework). მოცემული ანალიტიკური მოდელი შემოთავაზებული იქნა გაეროს კონსულტანტის სარა ლონგვის (Sara Longwe) მიერ. მოდელი გამოიყენება ამა თუ იმ პროგრამის განვითარების მონიტორინგისა და კონკრეტული შედეგების შეფასებისთვის. ის კარგად გამოიყენება ქალთა უფლებამოსილების პრობლემებზე ტრენინგების ჩატარების საქმეში.

ჰარვარდის მოდელისაგან განსხვავებით პროგრამულ ანალიტიკოსებს და სპეციალისტებს საშუალება ეძლევათ, განვითარების პრობლემებში, გამოააშკარავონ დაგეგმილი ღონისძიებების ტრანსფორმაციული პოტენციალი. ამ გარემოების გათვალისწინებით ეს მოდელი სამართლიანად გვთავაზობს სერიოზულ ანალიტიკურ ინსტრუმენტებს ფორმალურად დეკლარირებულ მიზნებსა და რეალურ რეზულტატებს შორის. ამის გამო ის დიდი წარმატებით სარგებლობს NGO-ების მიერ გენდერული ექსპერტიზის დამოუკიდებლად ჩატარებისათვის.

ფლებამოსილებას (შესაძლებლობების გაძლიერებას) სარა ლონგვი განსაზღვრავს, როგორც პროცესს, რომელიც ხელს უწყობს ქალებს, დაიკავონ საზოგადოებაში ისეთივე ადგილი, როგორც კაცებმა, თანასწორად მიიღონ მონაწილეობა სოციალურ ეკონომიკური განვითარების პროგრამებში (წარმოების ფაქტორებზე თანასწორი კონტროლის მისაღწევად).

როგორც აღნიშნავს ლონგვი, მკვლევართა დიდი ნაწილი განვითარების საკითხებზე მუშაობისას კონცენტრირებას აკეთებს მასზე, თუ რა ხარისხითაა მიღწეული სქესთა თანასწორობა განათლებაში, დასაქმებასა და ჯანდაცვაში. ამის შედეგად, მხედველობის გარეთ რჩება სოციალ–ეკონომიკურ განვითარების პროცესებში ქალის ინტეგრალური როლი. სიღარიბის მთავარ მიზეზად ლონგვი მიიჩნევს არა მარტო შრომის დაბალმწარმოებლურობას, არამედ, ექსპლუატირებულ და დაჩაგრულ სტრუქტურებს შორის, დაჩაგრულ სქესსაც.

ლონგვის მოდელი ემყარება გენდერული თანასწორობისა და ქალთა პრობლემების სოციალური მნიშვნელობის ანალიტიკური ინსტრუმენტის გამოყენებას.

ლონგვის მოდელი გენდერული თანასწორობის 5 იერარქიულ დონეზე იძლევა წარმოდგენას. ერთი საფეხურიდან მეორეზე გადასვლა ნიშნავს გენდერული თანასწორობის ამაღლებას და ქალთა უფლებამოსილების გაფართოებას:

პირველი საფეხური (დონე) – "კეთილდღეობა". ლონგვი ამ თანასწორობის ინტერპრეტაციას განმარტავს, როგორც ქალთა მატერიალური კეთილდღეობის მიღწევას მამაკაცების თანასწორად (ისეთი

რესურსების მიხედვით როგორიცაა: სურსათი, ფულადი შემოსავალი და სამედიცინო მომსახურება).

ა)ს:მეორე დონე – "დაშვება", რაც ნიშნავს ქალთა თანაბარ დაშვებას მიწა'ზე, შრომასა და კაპიტალ'ზე (კრედიტებთან), განათლებასა და პროფესიულ მომზადება'ზე, მომარაგების და რეალიზაციის ქსელებთან საზოგადოებრივ მომსახურებასთან და სხვა. ლონგვი ხაზს უსვამს,რომ "დაშვების თანასწორობა" მიიღწევა თანასწორი შესაძლებლობების პრინციპის საფუძველ'ზე,რაც,როგორც წესი,მოითხოვს კანონმდებლობის და ადმინისტრაციული პროცედურების რეფორმირებას, რათა თავიდან ავიცილოთ ქალთა დისკრიმინაცია.

მესამე დონე – "გაცნობიერება". ამ ცნების ინტერპრეტაცია განიხილება, როგორც განსხვავების არსებობა წესს, გენდერსა და მრწამსს შორის, რაც იმაში გამოიხატება, რომ გენდერული როლები კულტურულად დეტერმინირებულნი არიან და შეიძლება შეიცვალოს. ცნება "გაცნობიერება" შეიცავს იდეას, რომელიც მიგვითითებს, რომ შრომის გენდერული დანაწილება უნდა იყოს სამართლიანი და ორივე სქესისთვის მისაღები, არ უნდა მიიყვანოს ერთი სქესი დომინირებამდე.

მეოთხე დონე – "მონაწილეობა", ეს ნიშნავს იმ ხარისხს, რითაც ქალი ანხორციელებს კონტროლს გადაწყვეტილების მიღებაზე; წარმოების ფაქტორების, მოგების განაწილების და რესურსების გამოყენების თაობაზე. თანაბარი კონტროლი ნიშნავს კონტროლის შესაძლებლობებზე კონტროლს, რომელიც უნდა გააჩნდეს მამაკაცებს და ქალებს, ე.ი. სიტუაცია, სადაც არცერთ სქესს არ უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, მოახდინოს განსაზღვრული გავლენა გადაწყვეტილების მიღებაზე.

ლონგვის მოდელის მეორე ძირითად ანალიტიკურ ინსტრუმენტად ითვლება "ქალთა პრობლემების სოციალური მნიშვნელობა". ლონგვი გვთავაზობს "ქალთა პრობლემების კატეგორიზაციის" თავისებურ განსაზღვრებას; აქ უნდა იყოს ჩართული პრობლემები, რომლებიც ეხება სოციალურ–ეკონომიკური ცხოვრების ყველა სფეროს და თან დაცული უნდა იყოს გენდერული თანასწორობა ყველა დონეზე. ამგვარად, ცნება "ქალთა პრობლემები" აღმოჩნდა უფრო ფართო, ვიდრე ტრადიციული წარმოდგენები სოციალურ როლებზე. სხვანაირად რომ ვთქვათ, სოციალურ–ეკონომიკური ცხოვრების ყველა მოვლენა შეიძლება იქცეს "ქალთა პრობლემად", თუ მის მიმართ ფიქსირდება გენდერული უთანასწორობა.

განსაზღვრავს რა "ქალთა პრობლემების კატეგორიას", სოციალურ–ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებისას ლონგვი გამოყოფს 3 სოციალური მნიშვნელობის დონეს (იხ. დანართი).

ნეგატიური დონე – სოციალურ–ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც არ რთავს ქალთა პრობლემატიკას მი'ნენებისა და ამოცანების სიაში. როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, აღნიშნული ღონისძიების რეალიზაციის შედეგად ქალთა მდგომარეობა შეიძლება გაუარესდეს.

ნეიტრალური დონე – (ანუ კონსერვატიული) მიზნების და ამოცანების დონეზე ფორმალურად აღიარებულია ქალთა პრობლემატიკის მნიშვნელობა. მითუმეტეს, აუცილებელია სპეციალური ძალისხმევა იმისთვის, რომ პროგრამის რეალიზაციის შედეგად ქალთა მდგომარეობა არ გაუარესდეს.

პოსიტიური დონე – ქალთა პრობლემატიკა ცხადადაა ჩართული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პოლიტიკის მიზნებსა და ამოცანებში. მასთან, გათვალისწინებულია ქალთა მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება მამაკაცებთან შედარებით.

ექსპერტთა უმრავლესობის აზრით, მოდელი გვაძლევს მეტად შესაღებულ განმარტებას გენდერულ ურთიერთობებზე, ძალაუფლების თვალსაზრისით.

როგორც ჰამ, ისიც ქალებს განიხილავს, როგორც ჰომოგენურ ჯგუფს, რაც გამორიცხავს ცალკეული ჯგუფის ინტერესების და მოთხოვნილებების დიფერენცირებული ანალიზის საშუალებას.

გენდერული თანასწორობის დონეების, იერარქიების დალაგება ხელს უწყობს ქალთა შესაძლებლობების გაფართოებას (უფლებამოსილების პროგრესის) აღქმას, მკაცრად ხაზობრივი სახით, რაც არ შეესაბამება სინამდვილეს. ამასთანავე ეს იერარქია არ იძლევა საშუალებას სწორად შევაფასოთ რესურსების კონტროლი. ლონგვის მოდელის გამოყენება ძნელია ჯგუფებში ორივე სქესის მიმართ, რადგან ის შემოსაზღვრულია და შესაღებულია ქალთა პრობლემატიკით. მთლიანად ლონგვის მოდელი არ განიხილება, როგორც დამოუკიდებელი და დასრულებული ინსტრუმენტი, ამიტომ მისი გამოყენება უნდა მოხდეს გენდერული ანალიზის სხვა მეთოდიკებთან ერთად.

სოციალური ურთიერთობების ანალიზი (სუა). ეს მიდგომა შემუშავებულია ნაილა კაბირის (Naila Kabeer) გაეროს ექსპერტის და სასექსის უნივერსიტეტის (UK) პროფესორის, მიერ. სოციალური ურთიეროობების ანალიზი (სუა) მრავალჯერ იყო გამოყენებული განვითარებად ქვეყნებში სოციალურ–ეკონომიკური განვითარების პროგრამებში.

სუა მიზნად ისახავს: ა) არსებული გენდერული უთანასწორობის ანალიზს: (რესურსების განაწილების პასუხისმგებლობასა და ძალაუფლებაში). ბ) ისეთი სოციალურ–ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებას, რომელიც ქალებს შესაძლებლობას მისცემს, გახდნენ სოციალურ–ეკონომიკური ტრანსფორმაციის სრულფასოვანი და სრულუფლებიანი აგენტები.

სუა ეყრდნობა 3 კონცეპტუალურ საფუძველს: განვითარების კონცეფცია, როგორც კეთილდღეობის მიღწევის საშუალება; სოციალური ურთიერთობების კონცეფცია და ინსტიტუციონალური ანალიზი.

სუა-ს ჩარჩოებში "განვითარება" აიხსნება, პირველ რიგში, როგორც ხალხთა კეთილდღეობის ამაღლება. კეთილდღეობაში იგულისხმება გადარჩენა, უსაფრთხოება და ავტონომია, "ავტონომიაში" კი - ინდივიდის თვისება საკუთარი არჩევანის საფუძველზე, სრული შესაძლებლობით, მონაწილეობა მიიღოს კოლექტიური და ინდივიდუალური გადაწყვეტილების მიღებაში.

ნ. კაბილი იყენებს ცნებას "სოციალური ურთიერთობანი" ისეთ სტრუქტურულ ურთიერთობათა აღწერისთვის, რომლებიც აწარმოებენ სისტემატიურ სოციალური განსხვავებების იდენტიფიკაციას ამა თუ იმ ქვეყნის მოსახლეობაში. სოციალური ურთიერთობანი წარმოშობენ უთანასწორობის ურთიერთდაკავშირებულ რთულ სისტემას, რომლებიც თავის მხრივ, ცალკეული ინდივიდების პოსიციას განსაზღვრავენ მოცემულ

საზოგადოებაში. გენდერული ურთიერთობანი წარმოადგენენ სოციალური ურთიერთობების ერთერთ ფორმას. გენდერთან ერთად სოციალური ურთიერთობების საფუძვლად ითვლება კლასობრივი, რასობრივი და ეთნიკური მიკუთვნებულობა.

6. კაბირი ხაზს უსვამს, იმ აზრს, რომ ყოველ ინსტიტუტს გააჩნია "ოფიციალური" იდეოლოგია, რომელიც მთელ მის პოლიტიკას განსაზღვრავს. ეს გამოიხატება ამ ინსტიტუტების მიზნებში (იხ. დანართი).

სახელმწიფო: გააჩნია დაცვის ეროვნული ინტერესები და ეროვნული კეთილდღეობის ინტერესები.

ბაზარი: გააჩნია მოგების მაქსიმალიზაციის მიზანი.

ადგილობრივი თემი (NGO–ების სექტორიც): ასრულებს არასაბაზრო მომსახურეობის ფუნქციას.

ოჯახი, ნათესაური კლანი: ალტრუიზმის სფერო, ის აგებულია კოოპერაციისა და არაკონფლიქტურ ურთიერთობებზე.

სუა ეერდნობა იდეას, რომ სოციალურ ურთიერთობებში არსებობს 5 განსხვავებული ასპექტი, რომელიც მუშავდება ყოველ სოციალურ ინსტიტუტში: შიდა განაწესი, პრაქტიკული საქმიანობა, რესურსების განაწილება, პერსონალის ძალაუფლების სტრუქტურა და კონტროლი.

ეს მოდელი საშუალებას გვაძლევს გავაანალიზოთ სოციალური ურთიერთობანი სხვადასხვა დონის სოციალურ ინსტიტუტებში, თვალნათლივ დავინახოთ საზოგადოებაში ქალთა დაქვემდებარებული მდგომარეობა და გენდერული უთანასწორობა. თუმცა გენდერი, როგორც ანალიტიკური კატეგორია, ჩართულია სხვა უთანასწორობებთან (კლასობრივი, რასობრივი, რელიგიური, ეთნიკური და სხვა), რაც უკარგავს მას მნიშვნელობას.

იწვევს კრიტიკას "სოციალური ინსტიტუტის" ცნების განსაზღვრა. კერძოდ,მკვლევარები მიუთითებენ მასზე,რომ ლოკალური თემის ჩართვა სოციალურ ინსტიტუტებში არაა მთლად კორექტული, ეს სხვა სახის ინსტიტუტია, ვიდრე ბაზარი ან სახელმწიფო.

ლ:არასაკმარისი ყურადღება ექცევა ორგანიზაციებს, რომლებიც სოციალური ინსტიტუტების ჩარჩოებში არსებობს, რაც შთაბეჭდილებას ტოვებს, რომ შინაგანად სოციალური ინსტიტუტი ჰომოგენურია.

ინსტიტუტების, როგორც ანალიტიკური კატეგორიების, ასეთი დაჯგუფება წარმოშობს სიძნელეებს საჭირო ინფორმაციის შეკრების საქმეში.

გენდერული ანალიზის მატრიცა (გამ). გამ შემუშავებული იქნა რანი პარკერის მიერ (Rani Parker) იმ მიზნით, რომ გამოეევლინა სოციალურ–ეკონომიკური განვითარების პროგრამების დიფერენცირებული გავლენა მამაკაცებსა და ქალებზე. ის ემყარება შემდეგ პრინციპებს:

* მთელი ინფორმაცია, რაც აუცილებელია გენდერული ანალიზისათვის, ზოგადად, ცნობილია იმ სოციალური ჯგუფების წარმომადგენლებისათვის, რომლებიც პროგრამული ზემოქმედების ობიექტებს წარმოადგენენ.

* გენდერული ანალიზი არ მოითხოვს საგარეო ექსპერტების მოზიდვას. ის შეიძლება განხორციელდეს თვითონ მიზნობრივი ჯგუფის წევრების მიერ.

გენდერული ანალიზის მატრიცის შევსება ხდება კოლექტიური განსჯის საგანი, რომელსაც ახდენენ დაინტერესებული ჯგუფები. აქ ხდება ქალის და მამაკაცის თანაბარი წარმომადგენლობის დაცვა.

პირველ ეტაპზე მონაწილეობას ღებულობენ ექსპერტები, შემდეგ ჯგუფის წევრები.

ჰამ შეიძლება გამოყენებული იქნას სოციალურ–ეკონომიკური პროგრამის რეალიზაციის სხვადასხვა ეტაპზე.

კონცეპტუალური გადამუშავების ეტაპზე გამ აფასებს, რამდენად სასურველია გენდერული ანალიზის შედეგები, რომელიც მოსალოდნელია პროგრამის რეალიზაციის შედეგად. და რა ხარისხით შეესაბამება გენდერული ეფექტი პროგრამის საერთო მიზნებს.

მიზნების, ამოცანების და ინსტრუმენტების კონკრეტიზაციის სტადიაზე გამ იძლევა საშუალებას, შეფასდეს გენდერული შედეგები. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია, შეტანილი იქნას აუცილებელი ცვლილებები მიზნების ფორმულირებისა და ინსტრუმენტების შერჩევის დროს.

პროგრამის მონიტორინგის და მისი ეფექტურობის შეფასების სტადიაში, გამ– შესაძლებლობას იძლევა, შეაფასოს ფაქტიური გენდერული ეფექტი უფრო ფართო სოციალურ–ეკონომიკური და პოლიტიკური კონტექსტის ფონზე.

გამის გამოყენების მთავარ მიზანს შეადგენს განვითარების კონკრეტული პროგრამების გენდერული შედეგების ანალიზი. "გენდერული შედეგები" იშლება ორ შემადგენელ ნაწილად:

პირველი შემადგენელი – გენდერული შედეგების გამოვლენის სოციალური დონე. გამის მოდელში განიხილება ოთხი სოციალური დონე: ქალები, კაცები, საოჯახო მეურნეობა, ადგილობრივი თემი (ან სოციალური ჯგუფი მთლიანად). გარდა ამისა მეთოდიკა უშვებს დამატებითი ანალიტიკური დონეების, კერძოდ, ასაკობრივი, ეთნიკური და სოციალური ჯგუფების შემოტანას.

მეორე შემადგენელი – გენდერული შედეგების გამოვლენის სფერო. გამოიყოფა ოთხი სფერო. შრომა, დრო, რესურსები, სოციო–კულტურული ფაქტორები. შრომითი სფეროს განხილვის დროს ყურადღება ექცევა ცვლილებებს, რომელიც დაკავშირებულია შრომის შინაარსთან. დროის ანალიზის დროს – ცვლილებებს დროის ანალიზში, რომელიც იხარჯება განსაზღვრულ საქმიანობაზე. რესურსების ანალიზი მოიცავს რესურსებთან ხელმისაწვდომობის ცვლილებებს (რესურსებში იგულისხმება შემოსავალი, მიწა, ფინანსური რესურსები). ბოლოს, სოციო–კულტურული ფაქტორების ანალიზი ითვალისწინებს ცვლილებებს მოსახლეობის იმ ჯგუფის ცხოვრების სტილში, რომელსაც მიეწერება კონკრეტული სოციალურ–ეკონომიკური ღონისძიებანი (კერძოდ გენდერული სტერეოტიპების, გენდერული როლების და სტატუსების, შრომის გენდერული დანაწილების ცვლილებები).

ანალიზის ბოლო შედეგი წარმოდგენილია მატრიცის სახით, რომლის უჯრედები გადაკეთეს ანალიზის სოციალურ დონეებს და გენდერული შედეგების გამოვლენის სფეროებს. მატრიცის უჯრედები ივსება შინაარსობრივი ინფორმაციით, რომელიც ფორმულირებულია მოკლედ. ამის შევსების შემდეგ ჯგუფი მსჯელობს შედეგებზე. ცალკე გამოიყოფა ის შედეგები, რომლებიც არ იყო გათვალისწინებული პროგრამის

განხორციელების პროცესში. ეს წარმოადგენს ამ წევრთათვის კარგ გენდერულ ტრენინგს და შეიძლება გამოყენებული იქნას მუნიციპალურ დონეზე.

ამ მოდელს რიგი ღირსებები გააჩნია: მასში გამოყენებულია ადვილად მიღწევადი და ცალადი კატეგორიები. შემოთავაზებულია ინფორმაციის სისტემატიზაციის ლოგიკური შერჩევის საფუძველი; უსრუნველყოფილია პროგრამის რეალიზაციის მარტივი მონიტორინგი. იძლევა მისნობრივი ჯგუფების წევრების მიერ კოლექტიურად განსჯისა და შეფასების მთელი სპექტრის და მოლოდინების გამოვლენის შესაძლებლობებს. ამ მხრივ ეს მეთოდიკა პრინციპულად განსხვავდება მეთოდიკებისგან, რომლებიც ეურდნობა ინდივიდუალურ მსჯელობას ან ექსპერტის შეფასებას.

გამ-ი ფლობს მნიშვნელოვან კულტურულ–გარდაქმნით პოტენციალს. ესაა ინსტრუმენტი, რომელიც მიმართულია სწავლების პროცესის სტიმულირებაზე. კულტურული ცვლილებების პროექტის რეალიზაციის პროცესში წარმოიშობა წინააღმდეგობა გარკვეული ჯგუფებისგან. პროექტი იდეურად მოწოდებულია, მხარი დაუჭიროს იმ წევრებს, რომლებიც ხედებიან "რისკის ჯგუფში".

ამასთან, არის კრიტიკული შენიშვნებიც. მატრიცის შევსების დროს არის საშიშროება, რომ დაიკარგოს მნიშვნელოვანი ინფორმაცია. გარდა ამისა, ჯგუფის წევრთა ინტერესები და მოლოდინები შეიძლება წინააღმდეგობაში მოვიდეს არსებული პრობლემების ობიექტურ განხილვასთან. დაფინანსების შეწყვეტის შიშით, დისკუსიის მონაწილეებმა შეიძლება ქვეცნობიერად არ იმსჯელონ ნეგატიურ ასპექტებზე პროგრამის შესრულების დროს.

თუ ჰარვარდის ანალიტიკური მოდელი და სოციალურ ურთიერთობათა ანალიზი (სუა) გამოიყენება გენდერული შედეგების ანალიზისთვის მაკროდონეზე, გამ-ი გამოიყენება მუნიციპალურ დონეზე. რაც შეეხება ქალთა შესაძლობების (უფლებამოსილების) გაფართოებას – ის ყველა დონეზე შეიძლება გამოყენებული იქნას: ფედერალურიდან მუნიციპალურამდე.

ამ მეთოდიკების გამოყენების დროს მთავარი პრობლემა ის კი არაა, რომ ანალიტიკურად რთულია და ძნელია ინფორმაციის მოპოვება, არამედ ძალზე მნიშვნელოვანია მმართველი ელიტების მზადყოფნა გენდერული პრობლემების აღიარებისთვის.

მრავალი ქვეყნის მაგალითზე შეიძლება აღინიშნოს, რომ ის პირები, რომლებიც მონაწილეობას ღებულობენ სოციალურ–ეკონომიკური განვითარების საკითხებში, სტერეოტიპულები არიან. მათი ორიენტაცია ტიპიურია გენდერულად–ბრმა პოლიტიკის გატარებისთვის. მათი შეხედულებანი ქალის და კაცის სოციალურ ფუნქციაზე სტერეოტიპულია (მაგ. დედათა და ბავშვთა დაცვის საკითხები მოიაზრება ქალთათვის, დასაქმების – კაცთათვის). "გარდაქმნით" ვერსიაში მისი საშუალებებით შესაძლებელია კულტურული სტერეოტიპების დაძლევა (მაგ. ქალთა ინტეგრაცია არატრადიციულ პროფესიებში და მამაკაცების ჩაბმა ბავშვთა აღზრდაში).

ამიტომაც ხშირად ხდება გენდერულად სპეციფიკური პოლიტიკის ტრადიციული ვერსიის რეალიზება, რაც გამოხატავს იმ პირთა გენდერულ განწყობას, ვინც იღებს გადაწყვეტილებას. რაც შეეხება სოციალურ–

ეკონომიკური პოლიტიკის ექსპერტებს, ისინი ხშირად გენდერულად ნეიტრალურნი არიან.

ამგვარად, "სოციალური აქტიორების" მენტალიტეტი გარკვეულად ზღუდავს ამა თუ იმ ანალიტიკური მეთოდიკის გამოყენებას. ძნელია, მაგალითად, ჩვენს პირობებში ლონგვის მეთოდის და გენდერული ანალიზის მატრიცის გამოყენება, იმიტომ, რომ ის მოითხოვს განვითარებულ გრენდერულ აზროვნებას. ეს მეთოდიკები შეიძლება წარმატებით იქნეს გამოყენებული ქალთა NGO-ების მიერ სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის (რეგიონული ან მუნიციპალური) დამოუკიდებელი ექსპერტიზის ჩასატარებლად.

დიდი პერსპექტიეები აქვს სუა-ს გამოყენებას, რადგან ეს მეთოდიკა წარმატებით აერთიანებს მეთოდოლოგიურ კორექტიულობას და ფოკუსირებას აკეთებს გენდერულ პრობლემებზე; ის გამოიყენება არა მარტო სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამებში, არამედ ყველა დონეზე დამოუკიდებელი ექსპერტიზის ჩატარებისათვის.

ზემოთ აღწერილი მეთოდიკის კორექტული ადაპტაცია მოცემულ პირობებში საშუალებას მოგვცემს, არსებითად გავაფართოოთ გენდერული ანალიზის ინსტრუმენტები და უზრუნველყოთ გენდერული ბალანსი მიღებულ გადაწყვეტილებებში.

ს. ლონგვის ანალიზის მოდელი

	ნეგატიური	ნეიტრალური	პოზიტიური
აღიარების დონე			
თანასწორ. დონე			
კონტროლი			
მონაწილეობა			
გაცნობიერება			
ხელმისაწვდომობა			
კეთილდღეობა			

გამოყენებული ლიტერატურა

1. ს.დავითაშვილი გლობალიზაცია და ნაციონალიზმი, თბ.,2003
2. Baylis J. and Smith S. (Eds) The Globalization of World Politics, Oxford,2001
3. Beckman P. and D'Amico F.(Eds) Women, Gender and World Politics:Perspectives, Policies and and Prospects. Westport, Conn. Bergin &Gervey, 1994
4. Enloe .C., Bananas, Bases and Beaches: making Feminist Sence of International Politics, London, Pinter, 1989
5. Kabeer N. Reversed Realities: Gender Hierarchies in Development Thought. Verso, London, 1994
6. Kabeer N. and Subrahmanian R. Institutions, Relations and Outcomes:Framework and Tools for Gender Aware Planning, IDS Discussion paper,357. Brighton,1996
7. Lingen A. Brouwers R., Nugieren M., Plantenga D., Zuidberg L. Gender Assessment Studies: A manual for Gender Consultants. Institute of Social Studies Advisory Service.The Hague, 1997

8. Longwe Sara H . Gender Awareness: The Missing Element in the Third World Development Project//Changing Perceptions: Writings on Gender an Development, Ed by Tina Wallance and Candida March, Oxfam, UK and Ireland,Oxford, 1991
9. Longwe Sara Supporting Women's Development in the Third World: Distinguishing between Intervention and Interference.In Gender and Development, Oxfam, Oxford,1995, vol3,N 1
10. MarchC., Smyth I., Mukhopadhyay M.A. Guide to Gender Analysis Framework, Oxfam,1999
11. Molyneux M. Mobilization Without Emancipation and Women's Interests, Feminist Studies, 1985,11, N2
12. Moser C., Gender Planning and Development: Theory, Practice and Training, Routhledge, UK/USA, 1993
13. Nelson B. and Chowdhyry N. Women and Politics Worldwide. Newhaven, Yale University Press, 1994
14. Oxfam Gender Training Manual, Ed by S. Williams, Oxford, 1994
15. Parker R. Another Point of View: A Manual on Gender Analysis, Training for Grassroots Worker, UNIFEM
16. Peterson V .S., Runian A.S. Global Gender Issues, 2ed., Boulder, Colo: Westview Press,1999
17. Pettman j.j.Worlding Women: A Feminist International Politics.London:Routledge, 1996
18. Sen G. and Grown c. Development ,Crises and Alternative Visions:Third World Women's Perspectives, NY.: Monthly Review Press,1997
19. Steans j. Gender and International relations , Cambridge, Polity Press,1998
20. Tickner a. Gender in International Relations, New York: Columbia Un. Press,1992

Summary of the Article
"Gender and Social-Economic Development: Analysis of International Experience" by Feride Zurikashvili

The article represents s valuable piece of work on such critical aspects of the theory of Gender Studies as: gender and globalization, mainstreaming of gender in social and economic development programs and transformation of gender roles and needs in the context of development. Professor Zurikashvili reviews some of the key methodological approaches with regard to integration of gender in the socio-economic development policies, such as: Harvard Analytical Method, Women's Empowerment Framework, Analysis of Social Relationships, and Matrix of Gender Analysis. When, there are available only few sources about the debates occurring in the field of Gender and Development in Georgian, this article becomes s valuable stone in the foundation of this wing of Gender Studies'in the country. The work represents not only different approaches and experiences in the field of Gender and Development but also compares and analysis them. Through different examples and experiences of other countries, in the article Professor Zurikashvili demonstrates the significance of effective gender mainstreaming into the development policies and programs. As only effective gender mainstreaming can guarantee the achievement of greater gender equality and justice, which in turn makes the process of development complete.

მაია ჭიაბრიშვილი

გლობალიზაცია, მიგრაცია, ქალი

ბევრი კრიტიკოსი ფიქრობს, რომ გლობალიზაცია იმ გაგებით, რომ იგი ახდენს ქვეყნის ინტეგრაციას მსოფლიო საზოგადოებაში, გააძლიერებს სქესთა შორის უთანასწორობას. ამან შეიძლება სხვადასხვა თვალსაზრისით აენოს ქალებს – განსაკუთრებით სამხრეთის ქვეყნებში. კერძოდ:

- ***ეკონომიკური თვალსაზრისით*** მოსალოდნელია დისკრიმინაცია მამაკაცი მომუშავეების სასარგებლოდ, ქალის მარგინალიზაცია უხელფასო ან არაფორმალურ შრომაში, ქალის დასაქმება დაბალხელფასიან არაინტელექტუალურ სამუშაოებზე და შესაბამისად მის მიერ შემოსავლის ტრადიციული წყაროების დაკარგვა;
- ***პოლიტიკური თვალსაზრისით*** მოსალოდნელია ქალის გამორიცხვა საშინაო პოლიტიკური პროცესებიდან და, ამგვარად, მის მიერ კონტროლის დაკარგვა გლობალიზაციურ პრესებზე;
- ***კულტურული თვალსაზრისით*** მოსალოდნელია თვით-მყოფადობისა და ავტონომიურობის დაკარგვა და ასიმილაცია ჰეგემონურ გლობალურ კულტურაში;

ამავე დროს ქალთა ბევრი დამცველი აღიარებს, რომ გლობალიზაცია ქალთა სხვადასხვა ჯგუფზე სხვადასხვაგვარ გავლენას ახდენს, აყალიბებს ქალისადმი დამოკიდებულების ახალ სტანდარტებს და ხელს უწყობს ქალთა ჯგუფების მობილიზაციას. იმ ვითარებებში, სადაც ქალები ისტორიულად რეპრესირებულები და დისკრიმინირებულები იყვნენ შრომის პატრიარქალური დაყოფით, გლობალიზაციის ზოგიერთ ნიშნებს შეიძლება მალიბერალიზებელი შედეგები მოჰყვეს. თუმცა ბევრ ქვეყანაში ქალები მნიშვნელოვნად არახელსაყრელ მდგომარეობაში რჩებიან და გლობალიზაციის დადებითი გაელენა სადაო რჩება.

პრობლემასთან დაკავშირებული საკითხებისა და ანგარიშების მიმოხილვა

პეკინი+5 საბოლოო დოკუმენტი

გენერალური ასამბლეის სპეციალური სესიის 2000 წლის ეს ანგარიში მიმოიხილავს იმ პროგრესს, რაც მიღწეული იქნა ქალების საკითხთან დაკავშირებულ 1995 წლის გაეროს კონფერენციაზე. ანგარიშში აღნიშნულია, რომ გლობალიზაცია ზოგ ქალს შესაძლებლობებს სთავაზობს, თუმცა იწვევს მრავალი მაოგანის მარგინალიზაციას. დოკუმენტი მხარს უჭერს ე.წ. მთავარი ხაზის პრინციპს,როგორც სქესთა თანასწორობის მიღწევის ერთ-ერთ გზას[1].

[1] http://www.un.org/womenwatch/confer/beijing5/

გენდერი და გლობალიზაცია: ქალთა შრომა და ქალთა მობილიზაცია

მსოფლიო სისტემების კვლევისადმი მიძღვნილ ამ სტატიაში ვალენტინ მოგადამი ასაბუთებს, რომ ქალი მნიშვნელოვან როლს ასრულებს გლობალიზაციაში, განიცდის მის მტკივნეულ სეგავლენას და ხდება ანტისისტემური მოძრაობების წევრი[2].

ქალები და სიღარიბე

გაეროს განვითარების პროგრამის ამ მონოგრაფიაში ავტორები (ლურდეს ბენერია და სივიტრი ბისნატი) ასაბუთებენ, რომ გენდერი გავლენას ახდენს სიღარიბის მიზეზებზეც და შედეგებზეც. იმისათვის, რომ მოხდეს ქალის სუსტი სტრუქტურული პოზიციის კომპენსირება და ჩაბმა განვითარების პოლიტიკაში, მათი მოთხოვნები დაბეჯითებით საჭიროებს განსაკუთრებულ ყურადღებას[3].

ქალის უფლებები და ეკონომიკური სამართალი

გიტა შენი და სონია ონუფერ კორეა ამ გამოკვლევაში ასაბუთებენ, რომ თავისუფალი ბაზრის გლობალიზაციის რყევები და პატრიარქალური რეაქციები ახალ დილემებს აჩენს თანასწორობისათვის მოღვაწე ქალებისათვის[4].

მზადება 21-ე საუკუნეში ფემინიზმის გააზრებისათვის

მსოფლიო სისტემების კვლევისადმი მიძღვნილ ამ სტატიაში თორი დიკინსონი ხაზს უსვამს ფემინისტურ პერსპექტივებს ქალზე "შერჩევითი გლობალიზაციის" არაერთგვაროვანი ზეგავლენების თაობაზე[5].

ფემინიზმის ანალიტიკოსები გლობალური ეკონომიკის შესახებ

ამ საჟურნალო სტატიაში სასკია საშენი აღწერს გლობალიზაციისადმი ფემინისტური მიდგომის მნიშვნელოვან მხარეებს, კერძოდ, სახელმწიფოს კლებად სუვერენიტეტს, რაც თვალსაჩინოა, თუ დავუკვირდებით მსოფლიო ქალაქების ახალ როლებს და ახალი სამართლებრივი რეჟიმების გაჩენას[6].

ქალთა ადამიანის უფლებები

შარლოტა ბუნჩი და სამანტა ფროსტი იკვლევენ ქალთა ადამიანის უფლებების კონცეფციის სირთულეებს და ამ უფლებების მხარდამჭერ ორგანიზაციათა რიცხვის ზრდის მიზეზებს[7].

ქალთა რესურსები

მრავალი ორგანიზაცია მუშაობს ქალთა სტატუსზე. ეს ორგანიზაციები დაკავშირებულია რატგერსის უნივერსიტეტის ქალთა გლობალური ლიდერობის ცენტრთან[8].

---

[2] http://regionalworkbench.org/USP2/links.htm

[3] www.sociology.emory.edu/globalization/issues02.html

[4] Gender Justice and Economic Justice: Reflections on the Five Year Reviews of the UN Conferences of the 1990's, *By Gita Sen, DAWN Research Coordinator on Globalisation; and Sonia Onufer Correa, DAWN Research Coordinator on Sexual and Reproductive Right.* (ნაშრომი მომზადებულია UNIFEM–თვის პეკინის მოქმედებათა პლატფორმის ხოთწ. მიმოხ. მოსამზ.)

[5] jwsr.ucr.edu/archive/vol7/number1/dunaway/index.shtml

[6] www.uwm.edu/Dept/IGS/presentation/sassen.pdf

[7] www.cwgl.rutgers.edu/globalcenter/ charlotte/publications.pdf

[8] www.cwgl.rutgers.edu

ქალთა მიგრაცია – გლობალიზაციის დადებითი თუ უარყოფითი შედეგი?

70-იანი წლებიდან დაწყებული, მიგრანტების რიცხვი გაორმაგდა. მიგრაციული ნაკადები უფრო მრავალფეროვანი გახდა (სულ უფრო მეტი ქვეყანა ერთვება). საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასების მიხედვით 150 მლნ. ადამიანი (ყოველი 50-ე) ცხოვრობს თავისი ქვეყნის გარეთ როგორც მიგრანტი.

უკანასკნელი 20 წლის მანძილზე განვითარებულმა ქვეყნებმა მიგრანტების სარეკორდო რიცხვი დაარეგისტრირეს (მსოფლიო მოსახლეობის 2,5 %).

ტრადიციულად, მიგრაციულ პროცესებში წამყვანი ადგილი მამაკაცებს ეკავათ - ჯერ ისინი მიდიოდნენ ემიგრანტებად და მერე კი – ქალები, იმ მიზნით, რომ ოჯახი კელავ გაერთიანებულიყო. ბოლო წლებში მიგრანტების საერთო რაოდენობაში სულ უფრო მეტი წილი დაიკავეს იმ ქალებმა, რომლებიც დამოუკიდებლად მიგრირებენ. უკანასკნელი მაჩვენებლები გვამცნობს, რომ ქალები ჭარბობენ კიდეც. ეს პროცესი იწოდება მიგრაციის ფემინიზაციად. დღემდე პოლიტიკოსები და მეცნიერები იშვიათად ეხებიან ქალის ასპექტს მიგრაციულ პროცესებში.

მიგრაცია სხვადასხვა რამაა მამაკაცისთვის და ქალისთვის. ქალი-მიგრანტები ხშირად ორმაგად არასახარბიელო და არახელსაყრელ მდგომარეობაში არიან შრომის ბაზარზე: როგორც ქალები და როგორც მიგრანტები. ბევრ გარდამავალ ქვეყანაში ქალთა დასაქმება შემცირდა 40%-ით და თვით დასაქმების პირობები კი მკვეთრად გაუარესდა. ქალებს, რომლებიც ხანგრძლივად რჩებიან უმუშევრები, სთავაზობენ დაბალ-თანრიგიან სამუშაოს და უხდიან გაცილებით ნაკლებს, ვიდრე მამაკაცებს იმავე სამუშაოზე. ევროკავშირის ანგარიშების მიხედვით, რომლებიც დანიის სოციალურ საქმეთა და დასაქმების სამინისტრომ გამოსცა გასული წლის ივნისში, ქალი-მიგრანტები ხშირად დაუსაქმებელნი არიან დანიშნულების (მიმღებ) ქვეყნებში და თავმოყრილნი არიან გარკვეულ ეკონომიკურ სექტორში, როგორიცაა საოჯახო საქმე. მათი სტატუსი (მიგრანტის მეუღლის, ე.ი. დამოკიდებულის) ზღუდავს მათ დაშვებას სამუშაოებზე, სოციალურ და ჯანდაცვის პროგრამებზე. ქვეყნის რეზიდენტის სტატუსი მათთვის დამოკიდებულია დასაქმებულ მამაკაც პარტნიორზე. თუ მათ შორის ურთიერთობა იცვლება (უარესდება), მიგრანტმა ქალმა შესაძლოა დაკარგოს ლეგალური სტატუსი და იქცეს არალეგალურ მიგრანტად. ამგვარად, შესაძლოა, დეპორტაცია დაემუქროს. უფრო მეტიც, არსებობს დაკვირვებები, რომ ქალი-მიგრანტები ძალადობის მსხვერპლნიც უფრო ხშირად ხდებიან, ვიდრე სხვა ქალები. სერიოზულია ის პრობლემაც, რომ ქალ-მიგრანტი თითქმის უდაოდ ასოციაციერდება პროსტიტუციასთან.

მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა და სამუშაო ადგილების სიმწირე უდიდესი მამოძრავებელი ფაქტორებია ქალთა შრომითი მიგრაციისათვის. ეს ზრდის დაუცველი ადამიანების რიცხვს, მათ შორის ტრეფიკინგისა და მისი შედეგებისგან დაუცველთა რიცხვსაც. გლობალიზაციამ ერთბაშად და საგრძნობლად გაზარდა იმ ქალების რიცხვი, რომლებიც

მ'ხად არიან სიცოცხლე გარისკონ, რათა გაექცნენ სიღარიბეს და იშოვონ ფული თავიანთთვის და თავიანთი ოჯახებისათვის.

საქონლისა და კაპიტალის თავისუფალი მოძრაობისაგან განსხვავებით, ადამიანების თავისუფალი გადაადგილება მგრძნობიარე პოლიტიკურ და სოციალურ საკითხად რჩება მიუხედავად იმისა, რომ სულ უფრო მეტი ქვეყანა იწყებს მიხვედრას, რომ მათ დასჭირდებათ მიგრანტები, თუ სურთ შეინარჩუნონ ახლანდელი 'სრდის ტემპები და არეგულირონ დემოგრაფიული ტენდენციები.

ევროპის კავშირის საბჭოს დასაქმების კომიტეტის ანგარიშის მიხედვით (2004 წლის ოქტომბერი) საერთაშორისო მიგრაცია მნიშვნელოვან როლს ასრულებს მოსახლეობის ზრდაში. თუ ევროკავშირის ქვეყნებში იმიგრაცია არ გადააჭარბებს ემიგრაციას და ე.წ. წმინდა მიგრაცია ყოველწლიურად დადებითი და მ'სარდი სიდიდე არ იქნება, მოსახლეობის რიცხოვნობა მკვეთრად შემცირდება.

ევროპა თელის, რომ ნამდვილად ღირს მიგრანტი ქალების წარმმართველი როლის შესწავლა მომავალი თაობების სოციალიზაციის სფეროში. ისინი ხომ ფასეულობებისა და უნარ-ჩვევების ძირითადი გადამცემნი არიან თავიანთი შვილებისათვის, როგორც მეორე თაობის მიგრანტებისათვის და, ამგვარად, ხანგრძლივი 'სეგავლენის მოხდენაც შეუძლიათ მიგრანტთა მთელ ჯგუფებ'ზე.

ემპირიული დაკვირვებები ცხადყოფს, რომ ქალები უფრო მოკლევადიან და მოკლედისტანციურ გადაადგილებებში არიან ჩართულნი, ვიდრე მამაკაცები. ჰამბურგის საერთაშორისო ეკონომიკის ინსტიტუტის გამოკვლევით ქალები, ჩვეულებრივ, ერთვებიან ე.წ. "ცირკულარულ მიგრაციაში", რაც იმაში მდგომარეობს, რომ ისინი მოგზაურობენ ტურისტული ვიზებით, სამუშაოს უფლების გარეშე და ძირითადად დასაქმებულნი არიან ოჯახის შინამოსამსახურეების, ძიძების, მომვლელების, და ს.შ. საქმიანობით. ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი ისეთი საქმიანობის ხაფანგში ებმებიან, რომლებიც არ შეესაბამება იმ ადამიანურ კაპიტალს და უნარ-ჩვევებს, რაც მათ თავიანთი ქვეყნებიდან შეიტანეს. ეს კი ორივე (გამგზავნი და მიმღები) ქვეყნისათვის დიდ დანაკარგებს ნიშნავს.

მიმღები ქვეყნებისათვის მიგრანტი ქალების განათლება და უნარები გამოუყენებელი რჩება და, რაც მთავარია, მათი არალეგალური შრომა ჩრდილოვანი ეკონომიკისა და შავი ბაზრის წყარო ხდება – ბევრ ქვეყანაში არაფორმალური დასაქმება შემოსავლის ძირითადი წყარო გახდა დაბალშემოსავლიანი ჯგუფებისათვის და კერძოდ – ქალებისათვის.

მრავალ ქვეყანაში სიღარიბის ზღვარს მიღმა მცხოვრები ქალების რიცხვი გაცილებით მეტია, ვიდრე ამავე სტატუსის მამაკაცებისა. უმუშევრობის მაჩვენებელი განათლების გარკვეული დონის ქალებ'ში გაცილებით მაღალია, ვიდრე იმავე დონის მამაკაცებში. თუ ქალები სამუშაოს იპოვიან, მათი შრომის ანა'ღაურება 30-დან 40%-მდე ნაკლები იქნება, ვიდრე მამაკაცებისა იმავე პო'ზიციებ'ზე. ძალიან ხშირად კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ქალთა ფუნდამენტურ ეკონომიკურ უფლებებს და იშვიათად აძლევს აღნიშნულ ფაქტებს დისკრიმინაციის კვალიფიკაციას. სრულშტატიან სამუშაო'ზე მომუშავე ქალებს დამატებითი ტვირთი აწვებათ საოჯახო მეურნეობასა და ბავშვების მოვლის საქმეში, რაც ამცირებს მათ თავისუფალ დროს მამაკაცებთან შედარებით. ეს

გაელენას ახდენს მათი პროფესიული უნარ-ჩვევების განახლებასა და პროფესიულ წინსვლაზე. შედეგად, ქალები ვეღარ უმკლავდებიან ისეთი სამუშაო ადგილების გაჩენას, სადაც მოეთხოვებათ უფრო სრულყოფილი განათლება, მეტად დახვეწილი უნარები და რჩებიან თავიანთი დაუცველი სამუშაო ადგილების პირისპირ. როცა ისინი გადაადგილდებიან სხვა ქვეყნებში, ეს მდგომარეობა სუსტად მეორდება დანიშნულების (მიმღებ) ქვეყნებშიც. ამ ქვეყნებში ხომ ძირითადად დაუცველ შრომასა და მომსახურებაზეა მოთხოვნა. ხშირად სწორედ აქ ვლინდება ტრეფიკინგი, რაც მთავრდება მათი ნართვით ძალდატანებით და დამამცირებელ შრომაში.

11 სექტემბრის ტერორისტულ აქტამდე დისკუსიები მიგრანტებზე ცენტრალურ საკითხებად განიხილაედა შრომითი ბაზრის მოთხოვნებს, მიგრანტების ინტეგრაციას კულტურათა მრავალფეროვნებაში (მულტიკულტურალიზმში). დღეს ძირითადი აქცენტები გადატანილია უსფრთხოებაზე და ხანდახან უკვე ისეც წარმოჩნდება ხოლმე, რომ მიგრაციის შეზღუდვა ტერორიზმის საწინააღმდეგოდ მიმართული ღონისძიებაა.

მრავალ განვითარებულ ქვეყანას სურს აკრძალოს იმიგრაცია ან შეამციროს აბსოლუტურ მინიმუმამდე. ისინი ლამის ერთმანეთს ეჯიბრებიან "თავშესაფრის მიცემის ყველაზე ამკრძალავი წესების" შექმნაში. მიგრანტების უმრავლესობას სხვა არჩევანი არ რჩება, თუ არა არალეგალური ან არაწესიერი მიგრაცია. ბოლო წლებში მკვეთრად გაიზარდა იმ პირთა რიცხვი, რომლებიც ირჩევენ მოგზაურობისა და ქვეყანაში შესვლის არაწესიერ გზებს.

ამჟამად მთავრობათაშორისი თანამშრომლობა მიგრაციის მართვის სფეროში განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სასაზღვრო კონტროლს და ამით – არალეგალური მიგრაციის პრევენციას. მაგრამ აქცენტი მხოლოდ სასაზღვრო კონტროლზე, არალეგალურ მიგრანტებთან ბრძოლასა და მათ დაუყოვნებლივ რეპატრიაციაზე, რომელთა უმრავლესობა ტრაფიკინგის ამოუცნობი მსხვერპლია, ხშირად აებედითი მოჯადოებული წრის დასაწყისად იქცევა ხოლმე. გამოკვლევები ადასტურებს, რომ დაუყოვნებლივ რეპატრიაციას დაქვემდებარებულთა 50%-მდე კვლავ ერთვება კრიმინალურ წრეში. იმის ნაცვლად, რომ საერთაშორისო საზოგადოებრიობა მიხვდეს და აღიაროს, რომ ამგვარი ღონისძიებები წინდაუხედავია, ის მაინც დაჟინებით და ჯიუტად ამტკიცებს, ეს საჭიროა თავდასაცავად და სახელმწიფო უშიშროების განსამტკიცებლადო.

ფაქტი, რომ მიგრაცია ზოგადად (წესიერი და არაწესიერი) სულ უფრო მეტად უკავშირდება დამნაშავეობას და ორგანიზებულ დანაშაულს, უარყოფითად მოქმედებს ქალების ტრაფიკინგის დაძლევის მცდელობებზე. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ტრაფიკინგის მომავალ, პოტენციურ მსხვერპლთა უმრავლესობა ნებაყოფლობით ტოვებს თავის ქვეყანას, რომ სამუშაო და ფული საზღვარგარეთ იშოვოს. ისიც ფაქტია, რომ ეს ადამიანები დანიშნულების ქვეყნებში არალეგალურ მიგრანტებად ითვლებიან და არალეგალურადვე მუშაობენ. კრიმინალური ორგანიზაციები და დაჯგუფებები კი ითვისებენ მათ კუთვნილ გასამრჯელოს, იმიტომ რომ არის მოთხოვნა დაბალანაზღაურებად,

დაუცველ შრომასა და კომერციულ სექსზე და სწორედ ეს ორგანიზაციები და დაჯგუფებები არიან ჩართულნი როგორც შუამავლები. არაწესიერ და დოკუმენტების არმქონე მიგრანტებს ისე იყენებენ, რომ მათ ხელი არ მიუწვდებათ ჯანმრთელობის დაცვაზე, არაფერი გაეგებათ თავიანთ უფლებებზე, ექვემდებარებიან ფიზიკურ და გონებრივ ძალადობას, არა აქვთ საკმარისი ანაზღაურება ან გასამრჯელოს "შუაკაცი" ართმევს. ტრაფიკინგით დაკავებული ადამიანები ყოჩაღად სარგებლობენ ნაკლოვანებებით მიგრანტთა სოციალური და სამართლებრივი დაცვის სფეროში. იმის ნაცვლად, რომ მთავრობებმა სათანადო დაცვა და თანადგომა აღმოუჩინონ ტრაფიკინგის მსხვერპლთ, ისინი განიხილებიან, როგორც არალეგალური მიგრანტები და ჩვეულებრივ, რაც შეიძლება სწრაფად, დეპორტირდებიან თავიანთ ქვეყნებში. ამგვარი მკაცრი დამოკიდებულება განპირობებულია იმ ვარაუდით, რომ დანიშნულების ქვეყანაში დარჩენის ვადის გახანგრძლივება მეტ მიგრანტს მიიზიდავს.

დასავლეთის სამყარო უფრო აქტიურად იწყებს იმ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ საფრთხეების გაცნობიერებას, რაც თან ახლავს ქალების არალეგალურ მიგრაციას და ცდილობს დასვას საკითხები ამ საფრთხეების თავიდან ასაცილებლად.

რა უნდა გაკეთდეს?

- ნათელია, რომ ქალის მდგომარეობის გაძლიერება ამოსავალია მათ დასაცავად უსამართლო ექსპლუატაციის სიტუაციებისაგან. მისი მდგომარეობის გაძლიერება ნიშნავს სქესთა შორის თანასწორი შესაძლებლობების ჩამოყალიბებას. კერძოდ, ეს ნიშნავს მისთვის უფრო ფართო არჩევანის უფლების მიცემას: როდის დაქორწინდეს, განათლების და დასაქმების რა შესაძლებლობები გამოიყენოს, საერთოდ – როგორ იცხოვროს.
- ძალისხმევა უნდა მოხმარდეს სამუშაოზე დისკრიმინაციის დაძლევას, განათლებაზე ხელმისაწვდომობის აკრძალვების მოსპობას, უნდა გაფართოვდეს მათი პოლიტიკური წარმომადგენლობა და დაძლეულ უნდა იქნას ქალზე ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის არაპროპორციული ზეგავლენა.
- ეკონომიკური ზრდა ავტომატურად არ ზრდის ღარიბთა და მოსახლეობის ყველაზე მარგინალიზებული ჯგუფების (ქალების ჩათვლით) კეთილდღეობას. აქ საჭიროა ე.წ. "ღარიბთა სასარგებლოდ განვითარება", ანუ ისეთი ეკონომიკური ზრდა, რაც ყველა ჯგუფს მოიცავს წარმოების და მოხმარების ნაწილებში. ქალების სპეციფიკური პოტენციალი, როგორც ადამიანური კაპიტალის მნიშვნელოვანი წყარო, განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს ეკონომიკის განვითარების თვალსაზრისით.
- სიღარიბის დაძლევის ყოელისმომცველი სტრატეგიები უნდა ყალიბდებოდეს და ფასდებოდეს ქალებისა და ბავშვების ტრეფიკინგზე მათი გავლენის ხარისხის გათვალისწინებით.
- ახალი შესაძლებლობები უნდა დამუშავდეს და განვითარდეს შრომის ბაზარზე ქალებისათვის გაფართოებული დაშვების შესათავაზებლად.

• საზოგადოებრივი დანახარჯები საზოგადოების ყველაზე ადვილად ზემოქმედებადი წევრების დასაცავად უნდა აღიქმებოდეს როგორც ინვესტიცია და არა როგორც ტვირთი.

Summary of the article
"Globalization, Migration, Woman" by Maia Tchiabrishvili

Globalization is part of recent development of the universe. It is the fundamental source of integration of the states into the global society. This process strengthens the gender inequality in its political, economic and social sense. Many research papers are devoted to the issues of gender and globalization; gender and poverty; women justice and economic justice; feminism analysis; women human rights, etc.

The paper highlights migration feminization issue, i.e. significant changes in proportion of migration – women migrate on their own. Also it stresses on economic inequalities between genders (differences in incomes; different opportunities to be employed according to the background and skills, etc.). Trafficking in women remains actual and becomes more painful and uncontrolled.

Some unsolved problems and questions for discussions are set at the end of the paper.

დარეჯან ჯავახიშვილი

ომი და ქალი – დანაკლისი და შენაძენი

მოცემული სტატიის დაწერა თაკის დროსე საქართველოში გასული საუკუნის ბოლო წლების სამოქალაქო ომისა და ქვეყნისშიდა კონფლიქტებში ქალთა აქტიური როლის\წვლილის დაკვირვებამ შთამაგონა. შთაგონების მეორე წყარო, 1995 წლიდან მოყოლებული, იძულებით ადგილნაცვალ პირებთან ფსიქოსოციალური მუშაობის პროცესში, იძულებით ადგილნაცვალ მანდილოსანთა ჩემს თვალწინ მიმდინარე პიროვნული და პროფესიული სრდის დაკვირვება იყო. ამ ორი რიგის დაკვირვებებმა ორი შეკითხვა გამიჩინა: რამდენად სამართლიანია პაციფიზმის\მილიტარიზმის თვალსაზრისით სქესობრივ განსხვავებებზე საუბარი? და მეორე: იმ ტკივილისა და უბედურების გარდა, რაც ომს ყოველი კონკრეტული ქალის ცხოვრებაში მოაქვს, ხომ არ ქმნის იგი, ამასთან ერთად, ქალის განვითარებისა და წინსვლის პირობებს?.. მოცემული სტატია ამ შეკითხვებზე პასუხის გაცემის პროცესში დაიწერა.

1. "ვინ არის პაციფისტი?.."

"ადამიანებს შორის საუკეთესონი საკუთარ
პიროვნებაში აერთიანებენ როგორც
მამაკაცურს, ასევე ქალურს"
რალფ ვ. ემერსონი

ომი, გულისხმობს რა ძალაუფლებისათვის დაპირისპირებას, შეუწყნარებლობას, მარცხსა თუ გამარჯვებას, ალბათ, ძალიან შორსაა იმისაგან, რასაც ჩვენ ქალურობაში ვგულისხმობთ. ამას ადასტურებს ჯ. უილიამსისა და ბ. ბეთსის მიერ გასული საუკუნის ბოლოს ჩატარებული მასშტაბური გამოკვლევა: მათ მსოფლიოს 30 ქვეყანაში შეისწავლეს სხვადასხვა კულტურის მქონე ხალხთა სტერეოტიპული წარმოდგენები ქალისა და მამაკაცის შესახებ, აღმოაჩინეს დიდი კულტურათაშორისი მსგავსება, რის საფუძველზეც გამოადიფერენცირეს კროსკულტურული როლური სტერეოტიპები. კვლევის თანახმად, მამაკაცურობა მოიცავს ისეთ ნიშნებს, როგორიცაა: აქტიური, აგრესიული, თვითდარწმუნებული, დამოუკიდებელი, ავტორიტარული, და ს.შ. ქალურობა მოიცავს ისეთ ნიშნებს, როგორიცაა: მზრუნველი, თბილი, ემოციური, დამოკიდებული და ს.შ. ამ გამოკვლევის შედეგები ასახავს ე.წ. გავრცელებულ ასრს. რაც შეეხება საქმის ობიექტურ ვითარებას, სოციალური ფსიქოლოგიის წიაღში ათწლეულების მანძილზე მიმდინარე გამოკვლევების საფუძველზე დადასტურდა: მამაკაცი ქალთან შედარებით უფრო დომინანტურია, მისთვის დამახასიათებელია სწრაფვა ლიდერობისაკენ და ლიდერობის

არადემოკრატიული სტილი; კომუნიკაციის პროცესში მას საქმიანი შინაარსი უფრო აინტერესებს, ვიდრე თვით ურთიერთობა; მისი ურთიერთობის სტილი გულისხმობს სრუნვას დამოუკიდებლობაზე. ამის საპირისპიროდ, ქალის ურთიერთობის სტილი გულისხმობს სრუნვას ურთიერთდამოკიდებულებაზე; მისთვის წამყვანია ე.წ. "სრუნვის ეთიკა" - ის ორიენტირებულია ჩართული იყოს ურთიერთგაგებასა და თანადგომაზე დამყარებულ ემოციურ კავშირებში. კომუნიკაციის პროცესში მას საქმიან შინაარსზე მეტად განცდათა ურთიერთგაზიარება აინტერესებს, იგი მგრძნობიარეა და უკეთ სცნობს სხვა ადამიანის ემოციურ მდგომარეობას "სხეულის ენის" მიხედვით; მისთვის ჩვეულია ემპათია - სხვისი მდგომარეობის ემოციური თანაგანცდა. შესაძლოა სწორედ ემპათიის უნარი ეხება საფუძვლად კიდევ ერთ მნიშვნელოვან განსხვავებას - ქალი მამაკაცთან შედარებით ნაკლებად აგრესიულია.

აღწერილი ვითარების თვალსაჩინოდ წარმოსადგენად მოვიშველიებთ ტ. ლირის ფსიქოდიაგნოსტიკური ტესტის მიხედვით შედგენილ დიაგრამას (იხ. დამატება). აქ ზემოთ ჩამოთვლილი თვისებები განლაგდება კოორდინატთა სიბრტყეში, რომელსაც ქმნიან ისეთი მნიშვნელოვანი პიროვნული განსომილებანი, როგორიცაა კეთილგანწყობა-აგრესიულობა და დაქვემდებარება-დომინანტობა.

როგორც ვხედავთ, დისკოგრამის ზედა ნახევარსფერო "მამაკაცურ" ნიშნებს აერთიანებს, ქვედა კი - "ქალურს". გამოხატულების ინტენსიობის მიხედვით იცვლება მათი თვისობრიობა: ორი შიდა კონცენტრირებული წრე ნორმის ფარგლებს შეესაბამება, მესამე მოიცავს ე.წ. აქცენტირებულ (სომაზე მეტად გამოხატულ) ნიშნებს, რომელნიც ადამიანს ადაპტაციურ სირთულეებს უქმნის. გარე წრეში მოქცეული ნიშნები, ჩვეულებრივ, ნორმის ფარგლებს სცილდება და ანომალურ სულიერ მდგომარეობასა თუ ქცევაზე მიგვანიშნებს. საინტერესოა, რომ ეს სწორედ ის ქცევის ნორმებია, რაც საომარი მოქმედების კონტექსტში სრულიად ბუნებრიეად აღიქმება და ჯარისკაცს მოეთხოვება: ქვედა გარე ნახევარწრე გულისხმობს ომის წარმოებისას მისი ქცევის სტრატეგიას საკუთარ ჯარის ნაწილში, ზედა კი - მოწინააღმდეგესთან შებრძოლების დროს. თუ ომიდან კვლავ ფსიქიკური ანომალიის კონტექსტში გადავინაცვლებთ, გარე წრეში გაერთიანებული ნიშნები და მათგან მომდინარე ქცევები სწორედ ისინია, რასაც ალფრედ ადლერი "მამაკაცურ პროტესტს" უწოდებდა. "მამაკაცური პროტესტი" გამოიხატება ადამიანის დაპირისპირებაში ცხოვრებისა და სხვა ადამიანების მიმართ უტრირებული ქცევის (მაგალითად, კონფლიქტები) საშუალებით; მისი მამოძრავებელია გარშემომყოფთა მხრიდან თავისი სრულფასოვნების აღიარების მიღწევის წადილი, ხოლო არსი კი - სწრაფვა ძალაუფლებისაკენ. ამდენად, ექნება ადგილი "მამაკაცური" ტიპის ანომალურ ქცევას (დესპოტიზმი,სადიზმი,სისასტიკე - იხ. დისკოგრამა), თუ "ქალური" ტიპის ანომალურ ქცევას (ჭარბი დაქვემდებარება, დამოკიდებულება, მაზოხიზმი - იხ. დისკოგრამა), უფრო მეტიც - იქნება ეს გამოხატული ქალთან თუ მამაკაცთან - ადლერის მიხედვით ეს ერთი და იგივე რიგის მოვლენებია - "მამაკაცური პროტესტი".

ამგვარად, თუ დავეყრდნობით საქმის ზემოაღწერილ ვითარებას, შეიძლება ითქვას, რომ ქალურობა (და არა ქალი როგორც ასეთი) უფრო პაციფისტურია, ვიდრე მამაკაცურობა (და არა მამაკაცი როგორც

ასეთი). მაგრამ ქალურობა და მამაკაცურობა მხოლოდ და მხოლოდ ნიშნებია (გნებავთ, ფსიქოლოგიური "ინგრედიენტები"), რომლებიც განსხვავებული შეფარდებით არის წარმოდგენილი თითოეულ ქალსა და მამაკაცში. თითოეული სქესისათვის არსებობს ინდივიდუალურ ვარიაციათა ფართო დიაპაზონი, ამას ყოველდღიური მეტყველებაც ასახავს: "ვაჟკაცი ქალი", "მამალი ქალი", "ქალანუნა", და ა.შ.

ამ კონტექსტში არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ "მამაცი ქალები" - ამაზონები,რომლებიც მოარული ლეგენდის თანახმად,ჩვენს ისტორიულ წინაპრებს წარმოადგენდნენ. კონსტანტინე კაპანელს სტატიაში "ქალი და სიყვარული" მოჰყავს დიოდორ სიცილიელის სიტყვები: "მდინარე ტერმოდორის მახლობლად ცხოვრობდა თურმე ერთ დროს ვიღაც თავადი ამასელი. როდესაც ეგვიპტელები შემოვიდნენ საქართველოში,მამაკაცთ გაუჭირდათ მათი განდევნა საქართველოდან. მაშინ ამასელი თავადის ქალმა შეადგინა თურმე ახალგაზრდა ქალთა მხედრობა თემის კარში, შემდეგ ეს მხედრობა გაძლიერდა და შეებრძოლა ეგვიპტელებს. ეგვიპტელები არ მოელოდნენ ამას და დამარცხდნენ, უმრავლესობა ქალებმა ამოწყვიტეს და დანარჩენები კი უკან განდევნეს; მათმა მხნეობამ და ბრძოლაში თავდადებამ თავსარი დასცა უცხოელებს; უცხოელებმა ამასელ ქალთა გუნდს დაარქვეს "ამაზონები", ხოლო საქართველოს დასავლეთ ზღვისპირად მცხოვრებლებს "კოლხიდარნი" - ქალნი მხედარნი, და მათ ქვეყანას - კოლხიდა. ამასელი ქალები იბრძვიებდნენ მარჯვენა ძუძუს, რომ იარაღი უკეთესად ეხმარათ. ამასელ ქალთა მეფობამ დიდხანს გასტანა".

უეჭველია, რომ ამაზონების მიერ ცალი ძუძუს "დაბრმავება" საკუთარ თავში ქალური საწყისის ნახევრად ჩაკვლის (ფსიქოლოგიის ენაზე - არაცნობიერში განდევნის) და მამაკაცურობის წინ წამოწევის სიმბოლური მნიშვნელობის მატარებელია. ამგვარი მებრძოლი ქალები უცხო არ არის არც მსოფლიო ისტორიისათვის - ჟანა დ'არკი, არც საქართველოსათვის - მაია წყნეთელი, თამარ ეაშლოვნელი, თინათინ წავკისელი. საქართველოს თანამედროვე კონფლიქტებშიც (სამოქალაქო ომი, კონფლიქტები აფხაზებთან, ოსებთან) მოგეხსენებათ, აქტიურად მონაწილეობდნენ ქალები. ზემოხსენებულ სტატიაში კონსტანტინე კაპანელი საყვედურობს ქართველ ქალს ამაზონურობას. ცნობილია, რომ ამის გამო იგი თავისი დროის ქალების რისხვისა და ფიზიკური შეურაცხყოფის ობიექტიც კი გახდა (!). ჩემი აზრით, ის ჭარბ განსოგადებას აკეთებს, და რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია - ეშლება საყვედურის ადრესატი. რამ განაპირობა ქართველ ქალში მასკულინური თვისებების წინ წამოწევა? საქართველოში იბრძოდა "ერი და ბერი" - ანუ, სასულიერო პირიც, ქალიცა და მამაკაციც - ერის შენარჩუნებისათვის, და ეს ისტორიული აუცილებლობა იყო. ამ აუცილებლობას გრძნობდნენ ძველი მემატიანეები და მწერლები, რომელთა აბსოლუტურ უმრავლესობას მამაკაცები წარმოადგენდნენ და შესაბამისად ცდილობდნენ ქალში წაეხალისებინათ ბრძოლისუნარიანობა, მამაკაცურობა - რასაც ახერხებდნენ მისაბაძი ქცევის ნიმუშების აღწერით. ჯერ კიდევ V საუკუნეში აღწერა იაკობ ხუცესმა დედოფალ შუშანიკის წამება, რომელიც მაშინდელ პატრიარქალურ ეპოქაში (!) ნამდვილად არაქალური შემართებით განუდგა მეუღლეს. უეჭველია, რომ იაკობ ცურტაველის

ისტორიული მისია მნიშვნელოვანია არა როგორც კონკრეტულად შუშანიკის პიროვნების უკვდავმყოფისა, არამედ როგორც მწერლისა, რომელმაც საქართველოს ქალებს სნეობრივი მაგალითი დაუტოვა, რომელ'სე "სწორებასაც" ისინი ახდენდნენ საუკუნეების მანძილზე (მითუმეტეს, რომ თხ'სულებამ დროს გაუძლო და ჩვენამდე მოატანა). ალბათ, თავის მხრივ, ამ ნაწარმოებმაც შეამზადა ნიადაგი იმისათვის, რომ XI საუკუნის დასაწყისში ბაგრატ IV-ის დედა, დედოფალი მარიამი დიპლომატიური მისიით კონსტანტინოპოლს გაემგზავრა იმპერატორ რომანო'სათან მოსალაპარაკებლად. ამგვარმა ფაქტებმა კი, თავის მხრივ, ნიადაგი მოამ'ადა XII საუკუნის საქართველო'ში თამარის გასამეფებლად. რამდენადაც ჩვენ არა იმდენად რეალური, არამედ ფსიქოლოგიური ფაქტები გვაინტერესებს, ამავე რიგში შეგვიძლია მოვიყვანოთ ვეფხისტყაოსანი, სადაც რუსთაველმა მთავარ ქალ პერსონაჟებს სასიყვარულო ურთიერთობა'ში ჭეშმარიტად მასკულინური აქტიობა გამოაელენინა: თინათინი და ნესტან-დარეჯანი სატრფოებს იბარებდნენ პაემანზე, უმხელდნენ სიყვარულს, და ა.შ. ყოველივე ამან კი თავის მხრივ, ალბათ, მოამ'ადა ნიადაგი იმისათვის, რომ XVII საუკუნის საქართველოში გაი'სარდა ქეთევან წამებული - ქალი, რომელმაც შაჰ-აბასის წინააღმდეგ კახეთის აჯანყებაში თავისი გარდაცვლილი მეუღლის მეფე დავითის ადგილი დაიკავა, ხოლო მას მერე, რაც მისი ვაჟი თეიმურა'ი მეფობას შეუდგა და შაჰმა იგი თავისთან დაიბარა, შვილის მაგიერ წავიდა სპარსეთში, რათა ქვეყანა უმეფოდ არ დარჩენილიყო და მოწამეობრივად დაასრულა იქ ცხოვრება. მისი ისტორიაც აღწერილ იქნა მემატიანეების მიერ. აქედან გამომდინარე, აღარ გვიკვირს XVIII საუკუნე'ში მაია წენეთელისა და თამარ ეაშლოვნელის არსებობა. ამაეე კონტექსტში 'შეიძლება ხა'ი გაესვას წმინდა ნინოს ფიგურას, რომელმაც თავის ეპოქაში განმანათლებლის, ასე ეთქვათ, "მასკულინური" ფუნქცია შეასრულა საქართველო'ში ქრისტიანობის შემოტანით, და რომლის ღვაწლიც აგრეთვე მემატიანეთა მიერ აღწერილი და განდიდებულია. ამ ყოველივეს ფონზე დავამატებ, რომ საქართველოში ქალის ყველაზე გავრცელებული სახელებია ნინო, თამარი, ქეთევანი - და კომენტარი უკეე ზედმეტია.

ამდენად, ქართველ ქალ'ში მამაკაცური ქცევის ტენდენციების წახალისებას საუკუნეების ისტორია აქვს და ამ საქმეში ლომის წილი თვით მამაკაცებს მიუძღვით. რასაკვირველია, ეს ნახევრად იუმორისტული დასკვნა აქ იმისათვის არ მომყავს, რათა "დამნაშავის იარლიყი" ერთი სუბიექტიდან მეორე'ზე გადავიტანო. დამნაშავეთა ძიება და იარლიყების მიწებება დესტრუქციული სტრატეგიაა და კეთილ ნაყოფს არ გამოისხამს. პრობლემის მოგვარებისათვის მნიშვნელოვანია გაცნობიერდეს არა *რატომ* შეიქმნა იგი, არამედ *როგორ*. ჩვენს შემთხვევაში შეკითხვას "როგორ" შეიძლება შემდეგი პასუხი გავცეთ: ქალში მამაკაცურობის ზემოაღწერილი წახალისება ხდებოდა პატრიარქალური ეპოქისათვის საზოგადოდ ჩვეული ქალის დაკნინების ფონ'ზე (ფეოდალური კანონმდებლობა, რელიგიური ნორმები და სხვა). ეს კი "მამაკაცურობის" გაძლიერების პარალელურად, ქალს "ქალურის", ანუ "მეორეხარისხოვნის", რეპრესირებისაკენ (არაცნოებიერში განდევნისაკენ) უბიძგებდა, რაც თავის მხრივ განაპირობებდა მის ფსიქიკაში ამ საწყისთა მკვეთრ პოლარიზაციას. პრობლემის გადაწყვეტა აქ არა იმაშია, რომ პოლუსებს ადგილი

შეუნაცვლდეს, არამედ იმაში, რომ ისინი დაპირისპირების ნაცვლად ჰარმონიულ ურთიერთობაში შეეიდნენ ერთმანეთთან. ეს მსჯელობა უფრო გასაგები გახდება, თუ მივმართავთ კარლ გუსტავ იუნგის შეხედულებებს.

კ. გ. იუნგის მიხედვით, ადამიანი იმთავითვე ანდროგინული ბუნებისაა: მამაკაცში არსებობს ქალური საწყისი - "ანიმას" არქეტიპი[1], ქალში არსებობს მამაკაცური საწყისი - "ანიმუსის" არქეტიპი. ნებისმიერი პიროვნება შეიძლება აღიწეროს "ქალური" და "მამაკაცური" ნიშნების წონასწორობის ტერმინებში. რაც უფრო დომინირებს მამაკაცის ფსიქიკაში მისი მამაკაცურობა, მით უფრო ითრგუნება და არა აქვს გაცნობიერების საშუალება მის ანიმას. ქალის შემთხვევაში რაც უფრო დომინირებს ცნობიერად მისი ქალურობა, მით უფრო ითრგუნება და გაცნობიერების საშუალება არა აქვს მის ანიმუსს. ამგვარ მკვეთრ პოლარიზაციას შესძლოა მოჰყვეს "მედლის ამოტრიალება": დათრგუნული ფუნქციის "აფეთქება"-ამოქმედება და თავისი ზე-აქტივობით პიროვნების ინდივიდუალობის, მისი ღირებულებების წალეკვა. მამაკაცი ანიმას "ტყვეობაში" ხდება სხვადასხვა ვნებებს აყოლილი, ცვალადი გუნება-განწყობილების, არაწესიერ სქესობრივ ურთიერთობებში და ა.შ. ანიმუსის "აფეთქების" შემთხვევაში ქალი ხდება ჯიუტი, უსულგულო, შეუბრალებელი, დესპოტური, კონფლიქტური, სხვათა ხელძღვანელობისა და დაქვემდებარებისაკენ მიდრეკილი.

ანიმა და ანიმუსი ურთიერთდაპირისპირებული წყვილია. საერთოდ, იუნგისათვის დამახასიათებელია ადამიანის ფსიქიკური არსის აღწერა ურთიერთდაპირისპირებულ ტერმინებში (ანიმა - ანიმუსი, ინტროვერსია-ექსტრავერსია, ინტუიცია-შეგრძნება, და ა.შ.). სწორედ ამის საფუძველზე განიხილავს იგი ადამიანს, როგორც სრულყოფილების პოტენციალის მატარებელს: მას პიროვნების განვითარების მამოძრავებელ ძალად მიაჩნია დაპირისპირებული კომპონენტების სწრაფვა გაერთიანებისაკენ, გამთლიანებისაკენ, ინტეგრაციისაკენ, თვითრეალიზაციისაკენ, "თვითობის მიღწევისაკენ". თვითობის მიღწევა - ადამიანის სრულყოფილი განვითარება - გულისხმობს ე.წ. "ანდროგინიზაციას": მამაკაცის შემთხვევაში საკუთარი ანიმას, ქალური საწყისის გაცნობიერებასა და რეალიზაციას, ქალის შემთხვევაში კი - საკუთარი მამაკაცური საწყისის, ანიმუსის გაცნობიერება-რეალიზაციას. ანდროგინული პიროვნების ერთერთ პროტოტიპად იუნგს თვით იესო ქრისტე მიაჩნდა. ანდროგინულობა არ ნიშნავს არც ქალის "გაკაცებას", არც კაცის "გაქალებას", არც ფსიქიკურ ჰერმაფროდიტიზმს (ორივე სქესის ნიშნების გასაშუალოებას). იგი გულისხმობს ორივე სქესისათვის დამახასიათებელი ნიშნების გამოხატულებას, შინაგან ჰარმონიულობას. თანამედროვე სოციალურ ფსიქოლოგიაშიც საუბრობენ ანდროგინული ტიპის პიროვნებაზე. აქ ეს ცნება უფრო "დამიწებულია". თუ იუნგისათვის თვითრეალიზაცია და ანდროგინულობა მხოლოდ რჩეულთა ხვედრია, აქ ანდროგინულად ახასიათებენ პიროვნებას, რომელსაც, ფსიქოდიაგნოსტიკის ტერმინებში თუ აღვწერთ, მაღალი მაჩვენებლები აქვს პიროვნული კითხვარების როგორც "მასკულინობის" ასევე "ფემინინობის" შკალაზე.

[1] თანდაყოლილი არაცნობიერი ფსიქიკური წარმონაქმნი, რომელიც კაცობრიობის გამოცდილებას მოიცავს და გარკვეულ პირობებში სპეციფიკური რეაგირებისაკენ მიმართავს ადამიანს

ანდროგინული მამაკაცის დომინანტობა შერბილებულია, მას განვითარებული აქვს სრუნვის ეთიკა; ანდროგინული ქალი კი სრუნვაზე ორიენტაციასთან ერთად დამოუკიდებელი და აქტიურია. გამოკვლევების თანახმად, ანდროგინიზაცია მატულობს ასაკთან ერთად.

ზემოთ მოყვანილი მსჯელობიდან გამომდინარე, მოცემული ქვეთავის დასაწყისში დასმულ შეკითხვაზე პასუხი ამგვარია: ანდროგინული პიროვნება არის პაციფისტური წყობისა, განურჩეველად ქალი იქნება ეს თუ კაცი. ერთ-ერთი ცნობილი კონფლიქტოლოგიური თეორიის თანახმად, სისტემათა შორის კონფლიქტი (იქნება ეს პიროვნებები, ოჯახები, ხალხი თუ სახელმწიფოები) თვით სისტემის შიგნით არსებული კონფლიქტის გარემოზე პროეცირების გზით იქმნება. ამდენად, ანდროგინული პიროვნება, რომელსაც შინაგანი თანხმობა და სულიერი გაწონასწორება ახასიათებს, ბუნებრივია, არ იქნება კონფლიქტური. ამ პოზიციას ეხმიანება თანამედროვე ფემინისტურად განწყობილი ქალების აზრი იმის თაობაზე, რომ ომის პრევენციის მიზნით მნიშვნელოვანი იქნება კაცობრიობის მამაკაცური ნაწილისათვის დედობრივი ფუნქციის განხორციელების წახალისება (აქ იგულისხმება სრუნვა, მოვლა). ეს ხელს შეუწყობს მათში დომინანტური თვისებების პარალელურად სრუნვის ეთიკის განვითარებასა და ამდენად, მათ "დემილიტარიზაციას". ჩემი აზრით, ეს მიდგომა ცალმხრივია: არ უნდა დაგვავიწყდეს (და თუ დაგვავიწყდება, ისინი მსწრაფლ თვითონ შეგვახსენებენ თავს) ქალთა ის ნაწილი, რომელთაც ქალურობა-მამაკაცურობა მკვეთრად პოლარიზებული აქვთ და ამდენად, ან ანიმუსის "აფეთქების" საშიშროების წინაშე დგანან, ან უკვე არიან "ამაზონები". ალბათ, აქაც უნდა ვეძიოთ გზები, რომლებიც ხელს შეუწყობს მათ, გააცნობიერონ და რეალიზაცია მოახდინონ თავისი დათრგუნული მხარეებისა, რათა მათი შინაგანი კონფლიქტის გარეთ განერცობის საშიშროება მოიხსნას.

2. ქალი, როგორც ომის შედეგად დაზარალებული

"მიუხედავად იმისა, რომ ომის წარმოების
თანამედროვე პირობებში მამაკაცის მიერ
ქალთა დასაცავად ბრძოლა მითად იქცა,
მამაკაცთა წარმოდგენაში ეს მითი
რეალობის ძალას ინარჩუნებს"
ვირჯინია ჰელდი

დღევანდელ დღეს ძნელია ეჭვი შეიტანო იმაში, რომ ქალებისა და ბავშვების დაცვის ყველაზე ეფექტურ და ერთადერთ საშუალებას მშვიდობის შენარჩუნება წარმოადგენს. ომს ქალისათვის ბევრი დანაკლისი, ტკივილი და პრობლემა მოაქვს. ალბათ, უპირველეს ყოვლისა, სიკვდილის საკითხს უნდა შევეხოთ. სტატიაში "ჩვენ და სიკვდილი" ზიგმუნდ ფროიდი იუმორით ასაბუთებს, რომ ადამიანები სიკვდილის მიმართ ერთგვარ "სირაქლემას" პოზიციას ვიკავებთ - იგი, ასე ვთქვათ, "ამოღებული გვაქვს ხმარებიდან". მართალია, ის პერიოდულად გვახსენებს თავს გარშემომყოფთა გარდაცვალების დროს, რაც "ჩვენს ფსიქიკას ძლიერ დარტყმას აყენებს, თითქოსდა რაღაც უნივერსალურმ დაანგრია ჩვენი

უსაფრთხოება". მაგრამ აქაც ჩვენ არ ვთმობთ პოზიციებს, არ ვაღიარებთ მის გარდუვალობას და ვცდილობთ, მისი ყოველი კონკრეტული ფაქტი შემთხვევითი მიზეზით ავხსნათ: ავადმყოფობა, სიბერე, უბედური შემთხვევა და ა.შ.

მართლმადიდებლური ქრისტიანული რელიგია გულისხმობს სიკვდილისადმი მომზადებას, მაგრამ თუ გავიხსენებთ რომ ოქტომბრის რევოლუციის შემდგომ საქართველოში რწმენა შეირყა და თაობები მოსწყდა ტრადიციულ ქრისტიანულ მრწამსს, დავინახავთ, რომ მიუხედავად უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე ეკლესიისაკენ ჩვენი მოსახლეობის შემობრუნებისა, XXI საუკუნის ქართველებსაც სავსებით გვახასიათებს სიკვდილის მიმართ ზემოთ აღწერილი დამოკიდებულება. ფროიდის მიხედვით, ომის ყველაზე მატრავმირებელი გავლენა, სწორედ სიკვდილის მიმართ ამგვარი დამოკიდებულების შენარჩუნების შეუძლებლობაში მდგომარეობს. ათასობით ადამიანის ყოველდღიური სიკვდილი, რასაც შესაძლოა ადგილი ჰქონდეს ომის დროს, აღარ გვაძლევს საშუალებას გავექცეთ სიკვდილის გარდუვალობის განცდას. იძულებული ვხდებით, ვაღიაროთ, რომ ჩვენც და ჩვენი ახლობლებიც მოკვდავნი ვართ. ეს კი იწვევს მძიმე ფსიქოლოგიურ მდგომარეობას - "აპათიასა და ნების დამბლას", რაც გამოწვეულია იმით, რომ სიკვდილის მიმართ უწინდელი დამოკიდებულება დაგვენგრა, ახალი კი ჯერ არ შეგვიმუშავებია.

ქალი, რომლის ოჯახის წევრებიც ომში იბრძვიან, მძიმე ფსიქოლოგიურ მდგომარეობაშია - მას არაფრის გარანტია არა აქვს, იგი დაუცველია და მოწყლადი, იგი შფოთავს და შესაძლოა იმ "აპათიასა და ნების დამბლასაც" განიცდიდეს, რომელზედაც წერს ფროიდი. ახლობელი ადამიანი, რომელიც იბრძვის და რომელსაც საფრთხე ემუქრება, მისი არსების ნაწილია (გ. მორენოს თანახმად ადამიანი და მისი უახლოესი სოციალური გარემოცვა განუყოფელი ფსიქოლოგიური ერთეულია), დაღუპვის შემთხვევაში იგი კარგავს თავის ნაწილს, როგორც ხალხში იტყვიან "თავის სისხლსა და ხორცს". იმის მიხედვით, თუ ვინ არის დაღუპული, მიუხედავად დანაკლისის ტკივილის შესაძლო ერთნაირი სიძლიერისა, ქალი განსხვავებული პრობლემების წინაშე დგება.

შვილის დაღუპვის შემთხვევაში (მიიუმეტეს, თუ შვილი ერთადერთია), ქალი კარგავს ისეთ მნიშვნელოვან ფუნქციას, როგორიცაა დედობა. ეს განსაკუთრებით მძიმე გადასატანია იმ ქალისათვის, რომელმაც საკუთარი თავის განხორციელების ერთადერთ გზად დედობა აირჩია, პირად ცხოვრებაზე "უარი თქვა" და ცხოვრობდა "შვილის ცხოვრებით" (აქ შესაძლოა, შემეკამათონ და თქვან "შვილს აცხოვრებდაო თავისი ცხოვრებით", მაგრამ ჩვენს კონტექსტში ამას არა აქვს არსებითი მნიშვნელობა). ასეთ ქალს შვილის დაღუპვასთან ერთად ეცლება ცხოვრების საზრისი\მიზანი, უვითარდება მძაფრი სულიერი კრიზისი და თუ ეს კრიზისი ვერ გადალახა - არ მოძებნა თავისი თავი, ცხოვრების საზრისი – შესაძლოა, სავალალო შედეგებმადე მივიდეს, დაწყებული თვითდესტრუქციით დამთავრებული იმით, რასაც იუნგი ქალის ანიმუსით წალეკვას უწოდებდა (იხ. ზემოთ).

მეუღლის გარდაცვალების შემთხვევაში ქალი სხვა რიგის პრობლემების წინაშე დგება: მან უნდა იტვირთოს ოჯახში მამაკაცის ფუნქციები, გაზარდოს საკუთარ ქცევათა დიაპაზონი - შეავსოს

"მამაკაცური" ქცევებით, შეცვალოს თავისი "მეკონცეფცია" (ეოფით ენაზე რომ ვთქვათ, წარმოდგენები საკუთარი თავის შესახებ). რასაკვირველია, ყველაფერი ეს ფსიქოლოგიურ კრიზის გულისხმობს. ეს კრიზისი მთლიანად ოჯახს ეხება და ბავშვების ერთგვარ დაბნეულობასაც მოიცავს ("რატომ გახდა დედა "მამა"?). აქ შესაძლოა სხვა პრობლემებიც გაჩნდეს: თუ ქალს ეშინია ოჯახის მიმართ პასუხისმგებლობის, შესაძლოა ის თავის არასრულწლოვან უფროს შვილს "აჰკიდოს". ბუნებრივია, ეს გამოიწვევს საამისოდ ფსიქოფიზიკურად ჯერ მოუმწიფებელ ბავშვში ფსიქოლოგიურ პრობლემებს, რომლებიც მთელ ოჯახზე განივრცობა და იმოქმედებს მის ფსიქოლოგიურ დინამიკაზე.

ყურადღება მინდა გავამახვილო, აგრეთვე, დანაკლისის იმ ფორმაზე, რომელსაც პრიორითად "პოტენციური მეუღლის დაკარგვა" შეიძლება ვუწოდოთ. ბუნებრივია, ომი ცვლის ქვეყნის დემოგრაფიულ ვითარებას, მკვეთრად ზრდის მამაკაცთა სიკვდილიანობას. გ. მელაძისა და გ. წულაძის წიგნში "საქართველოს მოსახლეობა და დემოგრაფიული პროცესები" საინტერესო მონაცემებია მოყვანილი: XX საუკუნის ბოლოს საქართველოში მომხდარი შიდა კონფლიქტების შედეგად დაღუპულ მამაკაცთა ზუსტი რაოდენობის დადგენა ვერ მოხერხდა, სავარაუდო რაოდენობა ვარირებს 12 000-დან 24 000-მდე. 90-იან წლებში მკვეთრად იკლო ქორწინებითი შობადობის მაჩვენებელმა, 1993 წლიდან დაიწყო ქორწინების გარეშე შობადობის მკვეთრი ზრდა და 1996 წლისათვის ყოველი მესამე დაბადებული ბავშვი ქორწინების გარეშე იყო. შესაძლოა ამგვარი ვითარების გამომწვევი და ამხსნელი სხვა ფაქტორებიც არსებობს, მაგრამ უეჭველია, რომ ომიანობის დროს მამაკაცთა სიკვდილიანობამ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. მარტოხელა დედობა რიგ ფსიქოლოგიურ პრობლემებს ბადებს, როგორც ქალისათვის, ასევე ბავშვისათვის.

ომის დროს ქალის მიერ განცდილ საშინელებათა რიცხვს ეკუთვნის გაუპატიურება, რომელიც ზოგიერთ კონფლიქტებში ბრძოლის ხერხადაა ქცეული (მაგალითისათვის კმარა ყოფილი იუგოსლავიის შემთხვევა, სადაც გაუპატიურება სერბების მიერ ეთნოწმენდის საშუალებად იყო მინიშნული). გაუპატიურებაზე საპასუხოდ ქალს უმძიმესი ფსიქოლოგიური პრობლემები უნდება: უპირველს ყოვლისა, დიდია ალბათობა, განუვითარდეს პოსტ-ტრავმული სტრესული დარღვევები (ე.წ. პტსდ) - სულიერი დაავადება, რომელსაც ახასიათებს მატრავმირებელი გამოცდილების განმეორებადი განცდა, ზესიფხიზლე (ძილის დარღვევები, შიშიანობაა, შფოთვის მაღალი დონე), ერთგვარი გაუცხოება (გარშემო მიმდინარე სოციალურ მოვლენებში ჩაურთველობა, ინტერესის დაქვეითება, განურჩევლობა მომავლისადმი, უპერსპექტივობის განცდა და ა.შ.). პოსტ-ტრავმულ სტრესს დრო არ კურნავს, მისი შედეგები ზოგჯერ წლების შემდგომ ინენს თავს. იმ შემთხვევაშიც, როცა პტსდ არ ვითარდება, ქალი ურთულესი ფსიქოლოგიური პრობლემების წინაშე დგება: შელახული ღირსება, დაქვეითებული თვითშეფასება, ბრალეულობის განცდა მეუღლისა და ოჯახის მიმართ, სირცხვილი. ეს ყველაფერი ქალის თვითდესტრუქციის გზასე გადასვლის საშიშროებას მოიცავს - იქნება ეს ნევროზი, ფსიქოსომატური სიმპტომები თუ სუიციდალური განწყობილება. იმ შემთხვევაში, თუ ნაყოფი შენარჩუნდა, მშობიარობის შემდგომ ქალი

ტრაგიკული არჩევანის წინაშე დგება - აღსარდოს თავსმოხვეული მაგრამ ცხრა თვე მუცლით ნატარები შვილი თუ გაასხვისოს იგი.

და ბოლოს, მინდა შევეხო პრობლემას, რომელმაც დღევანდელ დღეს ყოფილი საბჭოთა კავშირის მასშტაბით საყოველთაო ხასიათი მიიღო: ლტოლვილობა,იძულებითი გადაადგილება. ქალი,როგორც ლტოლვილი, კარგავს მისთვის უმნიშვნელოვანეს "კერიის შემანარჩუნებლის" ფუნქციას. ცხოვრების შეცვლილი პირობები უამრავ ადაპტაციურ სირთულეს მოიცავს: "ჩაწერო" ახალ სოციალურ და ფიზიკურ გარემოში, გაუმკლავდე მატერიალურ სიდუხჭირეს და ა.შ. ხშირად ეს ყველაფერი ომის მატრავმირებელი გამოცდილების, და შესაძლოა, პტსდ-ს ფონზე მიმდინარეობს. ამგვარ პირობებში ადვილია ჩაგითრიოს წარსულზე ნოსტალგიამ და მომავალზე შფოთვამ, რაც ხელის შემშლელია "აქ და ამჟამად" ადაპტაციაში. ლტოლვილის - როგორც ქალის, ასევე მამაკაცის - ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა შელახული ღირსების გრძნობაა, დაქვეითებული თვითშეფასება, საკუთარი თავის აგრესიის მსხვერპლად განცდა და მტრის განსოგადებული ხატის შექმნა - მტრისა, რომელიც დამნაშავეა მის ამჟამინდელ მდგომარეობაში. მტრის ხატი და მსხვერპლობის განცდა თავის თავში ატარებს შემდგომ თაობებში გადაცემის და განვრცობის საშიშროებას, რამაც შესაძლოა რევანშისტული განწყობების გაჩენას ან პასიური ცხოვრებისეული პოზიციის დაკავებას მისცეს ბიძგი. რიტა როჯერსის თანახმად, ქალი, რომელიც მამაკაცთან შედარებით მეტ დროს უთმობს თავის მცირეწლოვან შვილს (უყვება მას ზღაპრებს, სხვადასხვა ისტორიებს, ეთამაშება, უმღერის), დგას რისკის წინაშე გამოვიდეს მტრის ხატის გადამცემის როლში.

3. მედლის მეორე მხარე

"იყო და არა იყო რა, იყო ერთი გლეხი.
მას ულამაზესი ჯიშიანი ბედაური ჰყავდა.
ერთხელაც იმ ქვეყნის ხელმწიფემ თვალი მოჰკრა ცხოველს და
გლეხს თავისი ეზირი გაუგზავნა: - მომყიდეო.
გლეხმა უარი შეუთვალა. მაშინ ხელმწიფემ შეთავაზებული
საზღაური გაუორმაგა.გლეხი მაინც უარზე იყო. ხელმწიფემ ნახევარი
სამეფოც შეაძლია.გლეხმა კვლავ უარით გამოისტუმრა. ხალხში
გავრცელდა ეს ამბავიდა მავანნი იტყოდნენ: "რა უგნურია ეს
გლეხიო". გლეხი კი წარბებს ფიქრიანად შეჭმუხნიდა და იტყოდა:
"ვინ იცის, უგნური ვარ თუ გონიერიო". ცოტა ხანში გლეხს ბედაური
გაექცა. ხალხი ამბობდა: "არ გაუმართლაო". გლეხი კვლავ
ფიქრიანად ამბობდა: "ვინ იცის, არ გამიმართლა თუ გამიმართლაო".
გახდა ხანი და ბედაური გლეხს მოუბრუნდა, თანაც
თავისი მსგავსი ნარჩევი ბედაურების დიდი რემა მოუყვანა.
მავანნი იტყოდნენ: "როგორ იხეირა გლეხმაო", გლეხი კი კვლავ
ფიქრიანად ამბობდა: "ვინ იცის, ეიხეირე თუ წაეგეო". ცოტა ხანში
გლეხის შვილმა ერთ-ერთი ბედაურის გახედვნისას ფეხი დაისახიჩრა.
ხალხი ამბობდა: "რა უბედურება დაემართათო". გლეხი კი კვლავ
თავისას არიშლიდა: "ვინ იცის, უბედურებაა თუ ბედნიერებაა".
ამასობაში ხელმწიფემ მეზობელ ქვეყანას ომი გამოუცხადა,

ყველა ახალგაზრდა მამაკაცი ომში გაიწვიეს.
გლეხის შვილი არ წაიყვანეს - ფეხი ჰქონდა დასახიჩრებული.
მაჟანნი კელაე ამბობდნენ : "ბედი ჰქონიათო".
გლეხი კელაე ფიქრიანად ამბობდა : "ვინ იცის..."
აღმოსავლური არაკი

როგორ აბსურდულად და მკრეხელურადაც უნდა ჟღერდეს, განსაკუთრებით სტატიის მეორე ნაწილის ფონზე, XX საუკუნის ომებმა მნიშვნელოვანი სასიკეთო ცვლილებები შეიტანა მსოფლიო ქალთა ცხოვრებაში. აქ ხაზი უნდა გაესვას შემდეგს: თუ ყოველი კონკრეტული ქალის ცხოვრებაში ომი ტრაგედიაა, ზოგადად ქალთა პოპულაციისათვის, ისტორიულ ჭრილში,ის ემანსიპაციის პირობაა. ქალთა ემანსიპაციისათვის განსაკუთრებით მსოფლიო ომებმა შეასრულეს მძლავრი ბიძგის მიმცემის ფუნქცია. ლბათ, გვახსოვს ქართული ფილმი «რეკორდი», სადაც მეზობლის შეგინებამ ჯოტია ცაავას თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმის გამოვლენის საშუალება მისცა. როგორც ჩანს, ომები იმდენად ბღალავდა ქალთა ინტერესებს, მათ სრულიად სამართლიან აღშფოთებასა და შეშფოთებას იწვევდა, რომ განაპირობა მათი მასობრივი გამოსვლა მსოფლიო საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე. 1913 წელს ამერიკაში ჯეინ ადამსის ხელძღვანელობით შექმნა «ქალთა მშვიდობის პარტია», რომელიც შემდგომში შეუერთდა ევროპელ თანამოაზრე ქალებს და გადაიქცა «ქალთა საერთაშორისო ლიგად მშვიდობისა და თავისუფლებისათვის», რომელიც ამჟამადაც აქტიურად იღწვის მსოფლიოში მშვიდობისა და სამართლიანობისათვის.

ომის გავლენა ქალთა ცხოვრებაზე კარგად "იკითხება" მეორე მსოფლიო ომის ამერიკის ქალებზე ზეგავლენის მაგალითში: რამდენადაც ამერიკელი მამაკაცები ომში იბრძოდნენ, დადგა საჭიროება ქალებს შეეცვალათ ისინი სამუშაო ადგილებზე. 1940-45 წლებში დასაქმებულ ქალთა რაოდენობა გაიზარდა 25%-ით. ქალებმა შეადგინეს იმდროინდელი შრომითი ძალების ნახევარზე მეტი. ეს ზრდა გაგრძელდა ომის დამთავრების შემდეგაც. მაგრამ თუ ომის დასაწყისში ქალები გამოთქვამდნენ აზრს, რომ იმუშავებდნენ მეუღლის ომიდან დაბრუნებამდე, ომის დამთავრების შემდეგ სურათი შეიცვალა: მათ გამოხატეს სამუშაო ადგილებზე დარჩენის, საკუთარი შემოსავლის ქონის, დამოუკიდებლობის ნება. ამდენად, საგრძნობლად გამოიცვალა ამერიკელი ქალი: მან თავის თავზე აიღო პასუხისმგებლობა ოჯახური გადაწყვეტილებების გამო, დაიწყო ოჯახის გარეთ თვითრეალიზაციის ახალი შესაძლებლობების ძიება და ა.შ.

მაინც რატომ მოხდა ესოდენ მნიშვნელოვანი განვითარება მაინც და მაინც ომის ფონზე? არ შეიძლებოდა ეს ნახტომი მშვიდობიან დროს განხორციელებულიყო? ამ შეკითხვაზე პასუხის გასაცემად უპირველეს ყოვლისა უნდა ვალიაროთ, რომ ომი დამანგრველად მოქმედებს მამაკაცის ცხოვრებაზე: თავი რომ გავანებოთ სიკვდილიანობასა და ხეიბრობას, ომიდან დაბრუნებული მამაკაცების დიდ ნაწილს აწუხებს პტსდ. ეს დაავადება მხოლოდ 1980 წელს იქნა დაფიქსირებული, არ არსებობს I და II მსოფლიო ომის მონაცემები, მაგრამ ეჭვს გარეშეა, რომ დაზარალებულთა რიცხვი მაშინაც მაღალი იქნებოდა. რას წარმოადგენს

პტსდ. სემოთ უკვე ავხსენით: ნაუროველობა რეალურ ცხოვრებაში, იზოლირება საზოგადოებისგან, და ა.შ. მაგრამ მაშინაც კი, როდესაც მამაკაცი ომიდან უვნებელი ბრუნდება და პტსდ არ აწუხებს, მას უჭირდება შეცვლილ, არასამხედრო გარემოსთან ადაპტაციის სირთულეები, ის გაჭირვებით "ეწერება" მასში. თუ ომი წაგებულია, ან საზოგადოების მიერ განიხილება როგორც უსამართლო (როგორც, მაგალითად, ამერიკისა და ვიეტნამის შემთხვევაში), ყოველივე სემოთ აღწერილს ემატება შელახული ღირსების, უქმად დაკარგული დროისცხოვრების ნაწილის, არასრულფასოვნების, ბრალეულობის განცდები. ალბათ, ამ მხრივ ინფორმაციულია შემდეგი მონაცემები: ვიეტნამის ომში დაიღუპა 46 610 მებრძოლი, დაბრუნების შემდეგ თავი მოიკლა 75 000-მა.

ყოველივე აღწერილის ფონზე იწყებს არსებობას სოციალური შეკვეთა ქალის შრომაზე. მაგრამ რატომ ელოდება ქალი მაინცა და მაინც სოციუმიდან წამოსულ შეკვეთას, რა უშლის მას სელს გაუსწროს მოვლენებს? ამაზე პასუხის გასაცემად მოეიშველიებ სოციალურ-ფსიქოლოგიურ გამოკვლევას, რომელმაც დაადასტურა, რომ ქალს ახასიათებს ე.წ. «წარმატების შიში». მიღწევის მოტივაციის კვლევის მიზნით ჩატარებულ იქნა ექსპერიმენტი, რომელშიაც ქალ ცდის პირებს ეუალებოდათ დაებოლოვებინათ წინადადება: «გამოცდების შემდგომ ანამ აღმოაჩინა, რომ სამედიცინო ინსტიტუტის უძლიერესი სტუდენტია...». მამაკაცი ცდის პირებისათვის ანალოგიური წინადადება იყო შეთავაზებული მამრობითი სქესის სტუდენტის შესახებ. აღმოჩნდა, რომ მამაკაცი ცდის პირების უმრავლესობა ბედნიერად ასრულებდა თავისი გმირის ისტორიას, მაშინ როდესაც ქალ ცდის პირთა უმრავლესობა ანას ისტორიას დრამატულად სახავდა: ანა - გარიყული საზოგადოებიდან, ანა - რომელსაც ეჭვი ეპარება საკუთარ ქალურობაში, და ა.შ.

ამდენად, სოციალურ-ფსიქოლოგიურმა გამოკვლევებმა დაადასტურა, რომ ქალი ერთგვარ შინაგან კონფლიქტს განიცდის: ერთის მხრივ, მას სწადია წარმატება. მეორეს მხრივ, ეშინია, რომ წარმატების მიღწევის შემთხვევაში ვერ უპასუხებს საზოგადოების ტრადიციულ გაგებას ქალურობის შესახებ და აღმოჩნდება გარიყული. სხვათა შორის, სტატიის დასაწყისში ქალისა და მამაკაცის როლური სტერეოტიპების შესახებ კროსკულტურაული გამოკვლევის შედეგები სრულად არ იყო მოყვანილი, რამდენადაც ისინი ზედსართავთა ვრცელ სიას მოიცავს. გთავაზობთ კიდევ ერთ ნაწყვეტს ამ სიიდან: ქალი - ქარაფშუტა, ჭარბად მოლაპარაკე, სულელი; მამაკაცი - სერიოზული, რაციონალური, ფართო ინტერესების მქონე. აქ კომენტარი ზედმეტია.

ზევით გავაანალიზეთ ომის "დადებითი" გავლენა ამერიკელი ქალის მაგალითზე. ვფიქრობ, საგანგებო მსჯელობის საგანია ყოფილი საბჭოთა სივრცის ქალები, ეს ვრცელი საკითხია და მასზე აქ ვერ შეეხერდებით. რაც შეეხება საქართველოს, ცხოვრებისეული სინამდვილე თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ იძულებით გადაადგილებულ ქალთა უმრავლესობა მამაკაცებთან შედარებით მეტ აქტივობას იჩენს ცხოვრების შეცვლილ პირობებთან შესაგუებლად: ქალები მეტად არიან დასაქმებულნი, ხშირ შემთხვევაში ოჯახს მატერიალურად უზრუნველყოფენ. იძულებით ადგილნაცვალ ბავშვებთან წლების მანძილზე გაწეული ფსიქოსოციალური მუშაობის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ მათ

შემოქმედებით პროდუქციაში (ნახატები, სკეტჩები, და სხვა) ქალი წარმოდგენილია, როგორც საქმიანი, მაორგანიზებელი, წესრიგის შემომტანი, ძლიერი, სერიოზული. რას მოიტანს ეს მომავალში? შეიძლება, თუ არა, აქ პარალელის გავლება "სემოთ აღწერილ ვითარებასთან? შეიძლება, თუ არა, ეს განვიხილოთ როგორც ქალის განვითარების და წინსვლის პროცესი? ნემი "სრით, შეიძლება. ყოველ შემთხვევაში, სავარაუდოა, რომ დღეანდელი აქტიური ქალები დიდ წვლილს შეიტანენ საზოგადოებაში ზემოთ აღწერილი, დრომოჭმული, სტერეოტიპული წარმოდგენების შერყევასა და შეცვლაში და ამით მომავალ თაობას ნიადაგს მოუმზადებენ, რაცა მათ თავისი შინაგანი პოტენციალის უფრო სრული რეალიზაციის საშუალება ჰქონდეთ.


ეგოცენტრული
ალტრუისტული
ინტროვერტული
ექსტროვერტული
ინტელექტუალური
ემოციური
ინფორმაციული
ინტუიციური
ანალიზი
ინტერპრეტაცია
ინტერესი
ინფორმაციის
ინტერპრეტაციის
ინტერესი
ინფორმაციის
ინტერესი
ინფორმაციის
ინტერესი
ინფორმ

8. "Проблемы души нашего времени" - К. Г. Юнг, Москва, 1994.
9. "What every American should know about women's history", Holbrook, 1994.
10. "Intergenerational transmission of historical enmity" - R. Rogers, in "Psychodynamics of intergenerational relationships" edited by V. Volkan, 1990.

Summery of the article "Women and War" by Darejan Javakhishvili

The given paper was triggered on one hand by my observations during civic war and internal conflicts of the end of last century in Georgia. On the other hand, the paper was inspired by my observations while 7 years work with Internally Displaced Persons, mainly women and children, who became IDPs in s result of those conflicts. Two things surprised me while observations: 1. Active participation\contribution of women into confrontations and conflicts; 2. Visible personal growth of many of IDP ladies I became acquainted with while all these years. Based on these observations, two questions entered my mind: first of all, are there any gender differences in terms of pacifism\militarism or not? And, another one - in spite of multiple losses and war related tragedy can we conclude that war plays s significant role in women's emancipation? The given paper is an attempt to answer these two questions. It consists of three parts.

The first part of the paper tries to show that there are no gender differences in terms of pacifistic\militaristic attitude. It is well known that femininity could be described as caring, empathetic, non-aggressive, etc.; masculinity could be described as active, dominant, more aggressive, etc. But both femininity and masculinity are just personal variables, and there is s vide range of variations within each sex. Every woman or man could be described in terms of combination\balance of these variables. Therefore, the most pacifistic is so called "androginious" (K. G. Jung) personality, who has s harmonious balance of femininity and masculinity in himself\herself. And in this case gender differences step back.

The second part of the paper describes the multiple losses which women usually experience (or could experience) while military conflicts. Among others, problems related to traumatic stress, enemy image and victimization phenomena are discussed. It is emphasized, that women who spent much more time with young children then men, tells different fairy tails and stories to them, can contribute to\or prevent transmission of enmity to the young generation.

The third part of the paper tries to look at "another side of the coin": it attempts to investigate possible benefits which women could have from war. It is emphasized, that while for every concrete woman war is tragedy, for the whole generation\population of women war could serve as s powerful trigger for emancipation. The examples of the first and second world wars' positive impact on American women's life\emancipation are analyzed. Finally, paper discusses the dynamics of women's emancipation in contemporary Georgia, after internal conflicts with Abkhazians and South Ossetians, on an example of Internally Displaced Women, who are initiative, active and effective in coping with displacement related trauma and difficulties related to uncertain and unsettled living conditions.

III.
ოჯახი, საზოგადოება
და ღირებულებითი ორიენტაცია

·თა პრიორიტეტული ღირებულებები საქართველ(
მზია წერეთელი

არსებობდა თუ არა ქალის სუიდვითი ქორწინება
საქართველოში
თინა იველაშვილი

გენდერი და საოჯახო როლები
ლ'უიზა ირემაშვილი, ქეთევან ჭიაბრიშვილი

მზია წერეთელი

ქალთა პრიორიტეტული ღირებულებები საქართველოში

კაცობრიობის განვითარების თანამედროვე ეტაპზე მსოფლიოს პროგრესული საზოგადოებრიობა ქალთა უფლებების დისკრიმინაციის წინააღმდეგ გამოდის. ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ დგას ტრადიციულად აზიატურ ქვეყნებში, სადაც ქალთა დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად საჭიროა განსაკუთრებული ძალისხმევა, როგორც სახელმწიფოს სამართლებრივ სფეროში რეფორმების თვალსაზრისით, ასევე საზოგადოებრივი აზრის ძირეული ცვლილებებისთვის. მიუხედავად დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის დასავლურ პოლიტიკაზე ორიენტაციისა, ქართული საზოგადოება ქალის მდგომარეობისა და უფლებების გაგებაში ჯერ კიდევ მოქცეულია ვიწრო-აზიატური ტრადიციების ჩარჩოებში. ცნობილია, რომ ნაციონალური მენტალიტეტი მნიშვნელოვნად განსაზღვრავს სოციალური როლების განაწილებას საზოგადოებაში. მართლაც, ტრადიციული ქართული მენტალიტეტიდან გამომდინარე, ქალები გაცილებით ნაკლები უფლებებით სარგებლობენ საზოგადოებაში, ვიდრე კაცები. ასე, რომ საქართველოში ქალთა და მამაკაცთა თანასწორუფლებიანობაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. v

ბოლო წლებში საქართველოში ხორციელდება ქალთა მოძრაობის საკმაოდ მძლავრი მხარდაჭერა როგორც სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების, ასევე მრავალრიცხოვანი უცხოური ფონდებისა და მეცნიერმკვლევართა სექტორის მხრიდანაც. გამოიცემა და ვრცელდება ბროშურები ქალთა უფლებების შესახებ, ტარდება სემინარები, კონფერენციები და ტრენინგები, მიმდინარეობს ქალთა სხვადასხვა საკითხების (დასაქმების, დემოგრაფიული, პოლიტიკური აქტივობის, სოციალური როლის, სქესთა შორის განსხვავების და ს.შ.) სოციოლოგიური, ფსიქოლოგიური და სხვა მეცნიერული კვლევები; აქტიურად ფუნქციონირებენ ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციები, რომელთა რიცხვი დღეს საქართველოში 60-მდე აღწევს; ხდება მათი საქმიანობის პოპულარიზაცია ბროშურების გამოცემის, მრგვალი მაგიდების თუ კონფერენციების მოწყობის სახით.

ქალთა საკითხებისადმი მიძღვნილ სემინარებზე და კონფერენციებზე, დისკუსიებსა თუ ამ საკითხებზე მომუშავე მეცნიერ-მკვლევართა შეკრებებზე ხშირად ისმება ისეთი პრობლემური საკითხები, როგორიცაა, ქალის და მამაკაცის თანაბარი სამართლებრივი უფლებების არათანაბარი სოციალური რეალიზაცია,

ქალთა უფლებების დისკრიმინაცია, ამ მოვლენის სოციალური და პოლიტიკური ანალიზი და სხვ.

ეს საკითხები ძალ'სე საინტერესო და რთულია, რადგან აქ საქმე გვაქვს არა მხოლოდ ქვეყნის საშარილებრივ მოწყობასთან, არამედ ქვეყანა'ში მცხოვრები სა'ხოგადოების მენტალიტეტთან. მიმაჩნია, რომ ქალთა უფლებათა არათანაბარი რეალიზაციის მექანიზმები სწორედ სა'ხოგადოებრივ ცნობიერება'შია ჩადებული და ამიტომ ვფიქრობ, სასარგებლო იქნება ამ საკითხის მეცნიერული გააზრება სპეციალური ფსიქოლოგიური კვლევის საფუძველ'ზე.

ზემოთ აღნი'შნული მოსა'სრებიდან გამომდინარე, მიზნად დავისახე საქართველო'ში ქალთა უფლებების რეალიზაციის ფსიქოლოგიური მექანი'ზმების შესწავლა, რომლებიც ხელს უ'შლიან ქალებს მამაკაცებთან თანაბარი უფლებებისა და სოციალური სტატუსის მოპოვება'ში. ერძოდ, ჩემი მი'ზანი იყო გამერკვია, თუ რა მოტივაციური საფუძვლები უდევს ქალთა და მამაკაცთა არათანაბარ სოციალურ სტატუსს.

ქალთა მოტივაციური საფუძვლების გამოკვლევა გამოავლენს, თუ რამდენად არიან მ'ზად ქალები მამაკაცებთან თანაბარი უფლებების რეალიზაციისათვის და რა ფსიქოლოგიური მექანიზმები უდევს საფუძვლად ამ მ'ზაობას. ჩემს მიზანს წარმოადგენდა, აგრეთვე, ქალებში მაღალი სოციალური სტატუსის მოპოვების მოტივაციასა და მათ ასაკობრივ, სოციალურ, მატერიალურ, თანამდებობრივ, დასაქმების სფეროს მოკუთვნებულობასა და სხვა მონაცემებს შორის შესაძლო ურთიერთმიმართების არსებობის გარკვევა.

ამ საკითხების შესასწავლად ჩემს მიერ შექმნილი იყო სპეციალური მეთოდიკა.

კითხვარი იკვლევს იმ მნიშვნელოვან ღირებულებებს, რომლებიც ქმნიან ქალთა სოციალური ქცევის მოტივაციურ საფუძვლებს. ამ კითხვარ'ში მოცემულია შესაძლო წარმატებათა ნუსხა (სულ 21 "წარმატება") სამი სხვადასხვა სფეროდან. ეს სფეროებია:

1. ფი'ზიკური და ფსიქიკური თვისებების ქონა. ამ სფეროს პირობითად "II სქესთან წარმატება" ვუწოდე;
2. პირადი სოციალური, პოლიტიკური და მატერიალური წარმატებები. ამ სფეროს პირობითად "სამსახურში წარმატება" ვუწოდე;
3. ოჯახური და ცოლ-ქმრული წარმატებები. ამ სფეროს პირობითად "წარმატება ოჯახ'ში" ვუწოდე.

თითოეული სფერო მოიცავს 7 სასურველ წარმატებას – მსჯელობას.

ცდისპირ ქალებს ამ კითხვარ'ში მოეთხოვებოდათ, აერჩიათ თავისთვის სასურველი წარმატებები.

ეს კითხვარი აელენს გამოყოფილ სფეროთა მიხედვით ღირებულებების ("წარმატებების") სიხ'შირეთა განაწილებას და, მაშასადამე, ამ სფეროთა ღირებულებების მეტნაკლებ მონაწილეობას ცდისპირთა მოტივაციურ მექანი'ზმებში. კითხვარის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ცდისპირი (ქალი) ირჩევს რა ყველაზე მნიშვნელოვან სურვილებს, სინამდვილეში იგი ამით აელენს თაყვის სოციალურად მნიშვნელოვან ღირებულებებს. გამოკვლევის მეცნიერული სისუფთაყვის მი'ზნით, ცდისპირებს მოეთხოვებათ, აირჩიონ 3 სურვილი (სასურველი წარმატება), რაც მათ საშუალებას აძლევს, აირჩიონ სურვილები კითხვარში წარმოდგენილი სამივე სფეროდან, ხოლო ინსტრუქციით მოთხოვნილი ამორჩეულ სურვილთა სასურველობის მიხედვით I, II და III ადგილებზე დალაგება კი აელენს თითოეული

ცდისპირისათვის ყველაზე მნიშვნელოვან ღირებულებათა თანმიმდევრობას.

ამგვარად ეს კითხვარი იკვლევს ქალთა მიღწევის მოტივების საფუძვლებს – მათ ღირებულებებს, როგორც მათი შინაარსის, ასევე მათი სასურველობის ხარისხის თვალსაზრისითაც. ამიტომ ჩემს მიერ შემუშავებულ ამ კითხვარს მე პირობითად "სასურველ წარმატებათა ფსიქოლოგიური კითხვარი" ვუწოდე.

გარდა ამ კითხვარისა, საკვლევი მეთოდიკა მოიცავს ცდისპირთა ანკეტურ (დემოგრაფიულ) მონაცემებს, როგორიცაა, სქესი, ასაკი, განათლება, სამუშაო ადგილი, ვინ ინახავს ოჯახს და სხვ.

რადგან, ჩემი გამოკვლევა, ისეთ ზოგად ფსიქოლოგიურ საკითხს ეხება, როგორიცაა ღირებულებათა სისტემა, ამიტომ მივიჩნიე, რომ აუცილებელი იყო, გამოკვლეულიყო საზოგადოების ყველა ის ფენა, რომელიც მნიშვნელოვან გალენას ახდენს საზოგადოებრივ ცნობიერებაზე და ქმნის საზოგადოებრივ აზრს. ამგვარად, ჩემი კვლევის სპეციალურ საგნად იქცნენ საზოგადოების შემდეგი ფენები:

1. ვაჭრობისა და წარმოების სფეროში დასაქმებული პირები;
2. მეცნიერ-მუშაკები;
3. უმაღლესი და საშუალო განათლების დაწესებულებების პედაგოგები;
4. ძალოვან სტრუქტურაში დასაქმებული პირები;
5. მმართველობის სფეროში დასაქმებული პირები;
6. სტუდენტები;
7. არასამთავრობო ორგანიზაციებში დასაქმებული პირები;
8. დიასახლისები და უმუშევრები.

გამოკვლევა ჩატარდა ქ. თბილისში და მოიცავდა საშუალოდ 100 ცდისპირს დასაქმების თითოეული სფეროდან.

გამოკვლევა ანონიმური იყო, მაგრამ ფიქსირდებოდა ისეთი ანკეტური მონაცემები, როგორიცაა, სქესი, ასაკი, ოჯახური მდგომარეობა, შვილების რაოდენობა, ეროვნება, განათლება, პროფესია, საცხოვრებელი ადგილი, სამუშაო ადგილი, თანამდებობა, ხელფასი (გამომუშავებული თანხა) და ვინ ინახავს ოჯახს.

კითხვარის შედეგების დამუშავებისას მნიშვნელოვნად მივიჩნიე, დამედგინა შემდეგი მიმართებები:

1.I, II და III ადგილებზე დაყენებული (არჩეული) ღირებულება ყველა ქალის მიერ;

2.ყველაზე გავრცელებული (ყველაზე ხშირად არჩეული) წარმატება (მსჯელობა) ყველ-ლა ქალისთვის I, II და III ადგილებზე;

3.I, II და III ადგილებზე დაყენებული (არჩეული) წარმატება ზემოდაღნიშნული 8 დასაქმების სფეროს მიხედვით;

4.I ადგილზე დაყენებული წარმატების მიმართება ასაკთან, ოჯახურ მდგომარეობასთან, შვილების რაოდენობასთან, ეროვნებასთან, განათლებასთან, პროფესიასთან, საცხოვრებელ რაიონთან, თანამდებობასთან, ხელფასთან;

5.I, II და III ადგილებზე დაყენებული (არჩეული) წარმატების მიმართება "ვინ ინახავს ოჯახს"-თან;

სტატისტიკური ანალიზის შედეგად მიღებულია შემდეგი შედეგები:

ქალების მიერ I ადგილზე დაყენებული წარმატების გასარკვევად, სიხშირეთა განაწილების ცხრილის საფუძველზე, გამოვითვალე პირსონის χ^2. აღმოჩნდა, რომ 677 ქა-ლის მონაცემების მიხედვით მიღებული შედეგები სტატისტიკურად სანდოა (χ^2=249,417, p=0,000).

მიღებული შედეგები სვეტების საშუალებით გამოხატულია შემდეგ გრაფიკზე:



I ადგილზე არსებული წარმატება

როგორც ვხედავთ, ქალების ნახევარზე მეტი სასურველობის მიხედვით I ადგილზე ირჩევს ოჯახში წარმატებას, მათი ერთი მესამედი ირჩევს სამსახურში წარმატებას, ხოლო ძალიან მცირე ნაწილი (8%) ირჩევს II სქესთან წარმატებას.

ქალების მიერ II ადგილზე დაყენებული წარმატების სიხშირეთა განაწილებაც სტატისტიკურად სანდოა (χ^2=101,903, p=0,000).

მიღებული შედეგები სვეტების საშუალებით გამოხატულია შემდეგ გრაფიკზე:



II ადგილზე დაყენებული წარმატება

როგორც ვხედავთ, ქალების 41% II ადგილზე ირჩევს ოჯახში წარმატებას, 44% ირ-ჩევს – სამსახურში წარმატებას, ხოლო მხოლოდ 15% – ირჩევს II სქესთან წარმატებას. ამგვარად, II ადგილზე არჩეული წარმატებიდან ყველაზე ხშირად არჩეულია სამსახურში წარმატება.

ქალების მიერ III ადგილზე დაყენებული წარმატების სიხშირეთა განაწილება სტატისტიკური ანალიზისას გამოირკვა, რომ მონაცემთა შორის განსხვავება არ არსებობს (χ^2=1,005 p=0,605).

მიღებული შედეგები სვეტების საშუალებით გამოხატულია შემდეგ გრაფიკზე:



III ადგილზე დაყენებული წარმატება

როგორც ვხედავთ, III ადგილზე წარმატებები სამივე სფეროდან თანაბრადაა განაწილებული.

საინტერესოა, გავარკვიოთ ყველაზე გავრცელებული მსჯელობები I, II და III ადგილების მიხედვით.

I ადგილზე არჩეული მსჯელობების სიხშირეთა განაწილება სტატისტიკურად სანდოა (χ^2=976,296, p=0.000) და მას შემდეგი სახე აქვს:



I ადგილზე დაყენებული მსჯელობა

I ადგილზე ყველაზე ხშირად არჩეული მსჯელობებია:
№10 – კარგი ოჯახის შექმნა(17%);
№14 – იყო შენი საქმის პროფესიონალი(18%);
№20 – გყავდეს კარგი ქმარი და ბავშვები(20%).

II ადგილზე არჩეული მსჯელობების სიხშირეთა განაწილებაც სტატისტიკურად სანდოა (χ^2=660,877, p=0.000) და მას შემდეგი სახე აქვს:



II ადგილზე დაყენებული მსჯელობა

II ადგილზე ყველაზე ხშირად არჩეული მსჯელობებია:
№14 – იყო შენი საქმის პროფესიონალი (20%);
№20 – გყავდეს კარგი ქმარი და ბავშვები (14%).

III ადგილზე არჩეული მსჯელობების სიხშირეთა განაწილებაც სტატისტიკურად სანდოა (χ^2=455,211, p=0.000) და მას შემდეგი სახე აქვს:



III ადგილზე დაყენებული მსჯელობა

III ადგილზე ყველაზე ხშირად არსებული მსჯელობებია:

№14 – იყო შენი საქმის პროფესიონალი(12%);

№20 – გყავდეს კარგი ქმარი და ბავშვები(14%).

№21 – გქონდეს დამთმობი და ყურადღებიანი ხასიათი.

საინტერესოა I, II და III ადგილებზე დაყენებული (არსებული) წარმატება დასაქმების სფეროების მიხედვით. ამ საკითხის გასარკვევად, სიხშირეთა განაწილების ცხრილის საფუძველზე გამოვთვალეთ პირსონის χ^2.

I. ვაჭრობისა და წარმოების სფეროში დასაქმებული ქალების მიერ I ადგილზე არსებული წარმატების მონაცემებისათვის მივიღეთ სიხშირეთა სტატისტიკურად სანდო (χ^2=51,740, p=0,000) განაწილება.

შედეგები სვეტების საშუალებით გამოხატულია შემდეგ გრაფიკზე:



I ადგილზე არსებული წარმატება

ამგვარად, ვაჭრობისა და წარმოების სფეროში დასაქმებული ქალების დიდი ნაწილისათვის ყველაზე სასურველია ოჯახში წარმატება, ამ ქალებია 20%-სათვის – სამსახურში წარმატება და მხოლოდ 13%-თვის – II სქესთან წარმატება.

ვაჭრობისა და წარმოების სფეროში დასაქმებული ქალების მიერ II ადგილზე არსებული წარმატების მონაცემებისათვის მივიღეთ სიხშირეთა სტატისტიკურად სანდო (χ^2=17,180, p=0,000) განაწილება.

შედეგები სვეტების საშუალებით გამოხატულია შემდეგ გრაფიკზე:



II ადგილზე დაყენებული წარმატება

როგორც ეხედავთ, სასურველობის II ადგილზე ვაჭრობისა და წარმოების სფეროში დასაქმებული ქალების ნახევარზე მეტი(52%) ოჯახში წარმატებას ირჩევს, ამ ქალების 29%-ი – სამსახურში წარმატებას და მხოლოდ 19%-ი – II სქესთან წარმატებას.

ვაჭრობისა და წარმოების სფეროში დასაქმებული ქალების მიერ III ადგილზე არჩეული წარმატების მონაცემებისათვის მივიღე, რომ სიხშირეთა განაწილებას შორის განსხვავება არ არის (χ^2=0,860, p=0,651).

შედეგები სვეტების საშუალებით გამოხატულია შემდეგ გრაფიკზე:



III ადგილზე დაყენებული წარმატება

სასურველობის III ადგილზე ვაჭრობისა და წარმოების სფეროში დასაქმებული ქალების მიერ არჩეულია წარმატება სამივე სფეროდან თანაბრად.

2. მეცნიერ-მუშაკი ქალების მიერ I ადგილზე არჩეული წარმატების მონაცემებისათვის მივიღე სიხშირეთა სტატისტიკურად სანდო (χ^2=45,664, p=0,000) განაწილება.

შედეგები სვეტების საშუალებით გამოხატულია შემდეგ გრაფიკზე:



I ადგილზე არჩეული წარმატება

როგორც ვხედავთ, მეცნიერ-მუშაკი ქალების დიდი ნაწილისათვის(61%) ყველაზე სასურველია ოჯახში წარმატება, ამ ქალების 32%-სათვის – სამსახურში წარმატება და მხოლოდ 7%-თვის – II სქესთან წარმატება.

მეცნიერ-მუშაკი ქალების მიერ II ადგილზე არჩეული წარმატების მონაცემებისათვის მივიღე სიხშირეთა სტატისტიკურად სანდო (χ^2=37,981, p=0.000) განაწილება.

შედეგები სვეტების საშუალებით გამოხატულია შემდეგ გრაფიკზე:



II ადგილზე დაყენებული წარმატება

ამგვარად, მეცნიერ-მუშაკი ქალების დიდი ნაწილისათვის (57%) ყველაზე სასურველია სამსახურში წარმატება, ამ ქალების 35%-სათვის – ოჯახში წარმატება და მხოლოდ 8%-თვის – II სქესთან წარმატება.

მეცნიერ-მუშაკი ქალების მიერ III ადგილზე არჩეული წარმატების მონაცემებისათვის მივიღე, რომ სიხშირეთა განაწილებას შორის განსხვავება არ არის(χ^2=1,869, p=0,393). შედეგები სვეტების საშუალებით გამოხატულია შემდეგ გრაფიკზე:



III ადგილზე დაყენებული წარმატება

როგორც ვხედავთ, სასურველობის III ადგილზე მეცნიერ-მუშაკი ქალების მიერ ოჯახში წარმატება არჩეულია შედარებით იშვიათად (9%-ით), მაგრამ სტატისტიკური ანალიზი აჩვენებს, რომ ქალების მიერ III ადგილზე გაკეთებული არჩევანი თანაბარალბათია.

3. პედაგოგების (ქალების) მიერ I ადგილზე არჩეული წარმატების მონაცემებისათვის მივიღე სიხშირეთა სტატისტიკურად სანდო (χ^2=29,828, p=0,000) განაწილება.

შედეგები სვეტების საშუალებით გამოხატულია შემდეგ გრაფიკზე:



I ადგილზე არჩეული წარმატება

პედაგოგი ქალების უმრავლესობის მონაცემები ფაქტიურად ორ თანაბარ ნაწილად იყოფა. ნახევარი მათგანისათვის ყველაზე სასურველია ოჯახში წარმატება, ხოლო მეორე ნახევარისათვის – სამსახურში წარმატება.

პედაგოგი ქალების მიერ II ადგილზე არჩეული წარმატების მონაცემებისათვის მივიღე სიხშირეთა სტატისტიკურად სანდო (χ^2=24,804, p=0,000) განაწილება. შედეგები სვეტების საშუალებით გამოხატულია შემდეგ გრაფიკზე:



II ადგილზე დაყენებული წარმატება

როგორც ეხედავთ, პედაგოგი ქალების ნახევარზე მეტი(54%) სასურველლობის მიხედვით II ადგილზე ოჯახში წარმატებს ირჩევენ, მათი მესამედი(34%) – სამსახურში წარმატებას, ხოლო მათი შედარებით მცირე ნაწილი(12%) – II სქესთან წარმატებას.

პედაგოგი ქალების მიერ III ადგილზე არჩეული წარმატების მონაცემებისათვის მივიღე, რომ სიხშირეთა განაწილებას შორის განსხვავება არ არის(χ^2=1,130, p=0,568).

შედეგები სვეტების საშუალებით გამოხატულია შემდეგ გრაფიკზე:



III ადგილზე დაკვნებული წარმატება

სასურველლობის III ადგილზე პედაგოგი ქალების მიერ სამსახურში წარმატება არჩეულია შედარებით იშვიათად (28%), მაგრამ სტატისტიკური ანალიზი აჩვენებს, რომ ქალების მიერ III ადგილზე გაკეთებული არჩევანი თანაბარალბათია.

4. ძალოვან სტრუქტურებში დასაქმებული ქალების მიერ I ადგილზე არჩეული წარმატების მონაცემებისათვის მივიღე სიხშირეთა სტატისტიკურად სანდო (χ^2=36,516, p=0,000) განაწილება. შედეგები სვეტების საშუალებით გამოხატულია შემდეგ გრაფიკზე:



I ადგილზე არჩეული წარმატება

როგორც ვხედავთ, ძალოვან სტრუქტურებში დასაქმებული ქალების დიდი ნაწილისათვის ყველაზე სასურველია ოჯახში წარმატება (68%), შედარებით მცირე ნაწილისათვის – სამსახურში წარმატება (26%), ხოლო ძალიან მცირე ნაწილისათვის (6%) კი – II სქესთან წარმატება.

ძალოვან სტრუქტურებში დასაქმებული ქალების მიერ II ადგილზე არჩეული წარმატების მონაცემებისათვისაც მივიღე სიხშირეთა სტატისტიკურად სანდო (χ^2=11,742, p=0,003) განაწილება.

შედეგები სვეტების საშუალებით გამოხატულია შემდეგ გრაფიკზე:



II ადგილზე დაყენებული წარმატება

ძალოვან სტრუქტურებში დასაქმებული ქალების უმრავლესობის აზრი ორ ნაწილად იყოფა. ნახევარი მათგანი (45%) სასურველობის მიხედვით II ადგილზე ოჯახში წარმატებას ირჩევს, მეორე ნახევარი (42%) – სამსახურში წარმატებას, ხოლო მათი შედარებით მცირე ნაწილი (13%) – II სქესთან წარმატებას.

ძალოვან სტრუქტურებში დასაქმებული ქალების მიერ III ადგილზე არჩეული წარმატების მონაცემებისათვისაც მივიღე სიხშირეთა სტატისტიკურად სანდო (χ^2=13,290, p=0,001) განაწილება. შედეგები სვეტების საშუალებით გამოხატულია შემდეგ გრაფიკზე:



III ადგილზე დაყენებული წარმატება

როგორც ვხედავთ, სასურველობის III ადგილის მიხედვით ამ სტრუქტურებში დასაქმებული ქალების ნახევარზე მეტი(55%) ირჩევს სამსახურში წარმატებას, მათი 26% – II სქესთან წარმატებას, ხოლო 19% – ოჯახში წარმატებას.

5. მმართველობის სტრუქტურებში დასაქმებული ქალების მიერ I ადგილზე არჩეული წარ-მატების მონაცემებისათვის მიეიღე სიხშირეთა სტატისტიკურად სანდო (χ^2=57,056, p=0,000) განაწილება.

შედეგები სვეტების საშუალებით გამოხატულია შემდეგ გრაფიკზე:



I ადგილზე არჩეული წარმატება

მმართველობის სტრუქტურებში დასაქმებული ქალების დიდი ნაწილისათვისაც (64%) ყველაზე სასურველია ოჯახში წარმატება, მათი მესამედისათვის (31%) – სამსახურში წარმატება, ხოლო ძალიან მცირე ნაწილისათვის (5%) კი – II სქესთან წარმატება.

მმართველობის სტრუქტურებში დასაქმებული ქალების მიერ II ადგილზე არჩეული წარმატების მონაცემებისათვისაც მიეიღე სიხშირეთა სტატისტიკურად სანდო (χ^2=10,722, p=0,005) განაწილება.

შედეგები სვეტების საშუალებით გამოხატულია შემდეგ გრაფიკზე:



II ადგილზე დაკავებული წარმატება

ამგვარად, მმართველობის სტრუქტურებში დასაქმებული ქალების უმრავლესობის აზრი ორ ნაწილად იყოფა. ნახევარი მათგანი(40%) სასურველობის მიხედვით II ადგილზე ოჯახში წარმატებას ირჩევს, მეორე ნახევარი(42%) – სამსახურში წარმატებას, ხოლო მათი შედარებით მცირე ნაწილი(19%) – II სქესთან წარმატებას.

მმართველობის სტრუქტურებში დასაქმებული ქალების მიერ III ადგილზე არჩეული წარმატების მონაცემებისათვის მივიღეთ, რომ სიხშირეთა განაწილებას შორის განსხვავება არ არის(χ^2=0,389, p=0,823). შედეგები სვეტების საშუალებით გამოხატულია შემდეგ გრაფიკზე:



III ადგილზე დაფიქსირებული წარმატება

როგორც ეხედავეთ, სასურველობის III ადგილზე მმაროველობის სტრუქტურებში დასაქმებული ქალების მიერ წარმატებები სამივე სფეროდან არჩეულია თანაბრად.

6. სტუდენტი ქალების მიერ I ადგილზე არჩეული წარმატების მონაცემებისათვის მიეიღე სიხშირეთა სტატისტიკურად სანდო (χ^2=23,638, p=0,000) განაწილება.

შედეგები სვეტების საშუალებით გამოხატულია შემ-დეგ გრაფიკზე:



I ადგილზე არჩეული წარმატება

სტუდენტი ქალების თითქმის ნახევარისათვის (47%) ყველაზე სასურველია სამსახურში წარმატება, მათი 36%-თვის – ოჯახში წარმატება, ხოლო შედარებით მცირე ნაწილისათვის(14%) კი – II სქესთან წარმატება.

სტუდენტი ქალების მიერ II ადგილზე არჩეული წარმატების მონაცემებისათვის მივიღე სიხშირეთა სტატისტიკურად სანდო (χ^2=22,315, p=0,000) განაწილება.



II ადგილზე დაკენებული წარმატება

სტუდენტი ქალების მიერ სასურველობის მიხედვით II ადგილზე არჩეული წარმატებათა სიხშირეთა განაწილება ემთხვეოა მათ მიერ არჩეული ყველაზე სასურველი (I ადგილზე არჩეული) წარმატებების სიხშირეთა განაწილებას: თითქმის ნახევარისათვის (47%) ყველაზე სასურველია სამსახურში წარმატება, მათი 35%-თვის – ოჯახში წარმატება, ხოლო შედარებით მცირე ნაწილისათვის (15%) კი – II სქესთან წარმატება.

სტუდენტი ქალების მიერ III ადგილზე არჩეული წარმატების მონაცემებისათვის მივიღე, რომ სიხშირეთა განაწილებას შორის განსხვავება არ არის (χ^2=0,961, p=0,611).

შედეგები სვეტების საშუალებით გამოხატულია შემდეგ გრაფიკზე:



III ადგილზე დაკენებული წარმატება

სასურველობის III ადგილზე სტუდენტების მიერ წარმატებები სამივე სფეროდან არჩეულია თანაბრად.

7. არასამთავრობო ორგანიზაციებში დასაქმებული ქალების მიერ I ადგილზე არჩეული წარმატების მონაცემებისათვის მივიღე სიხშირეთა სტატისტიკურად სანდო (χ^2=6,145, p=0,013) განაწილება.

შედეგები სვეტების საშუალებით გამოხატულია შემდეგ გრაფიკზე:



I ადგილზე არჩეული წარმატება

როგორც ვხედავთ, არასამთავრობო სექტორში დასაქმებული ქალების დიდი ნაწილისათვის (61%) ყველაზე მეტად სასურველია ოჯახში წარმატება, ხოლო შედარებით მცირე ნაწილისათვის (38%) კი – სამსახურში წარმატება. რაც შეეხება II სქესთან წარმატებას, იგი არც ერთი ქალისათვის არ აღმოჩნდა ყველაზე სასურველი.

არასამთავრობო ორგანიზაციებში დასაქმებული ქალების მიერ II ადგილზე არჩეული წარმატების მონაცემებისათვის მივიღე სიხშირეთა სტატისტიკურად სანდო (χ^2=53,745, p=0,000) განაწილება. შედეგები სვეტების საშუალებით გამოხატულია შემდეგ გრაფიკზე:

შედეგები სვეტების საშუალებით გამოხატულია შემდეგ გრაფიკზე:



II ადგილზე დაფენებული წარმატება

არასამთავრობო სექტორში დასაქმებული ქალების დიდმა ნაწილმა(64%) სასურველობის მიხედვით II ადგილზე აირჩია სამსახურში წარმატება, ხოლო შედარებით მცირე ნაწილმა(23% და 11%) კი – ოჯახში წარმატება და II სქესთან წარმატება.

არასამთავრობო ორგანიზაციებში დასაქმებული ქალების მიერ III ადგილზე არჩეული წარმატების მონაცემებისათვისაც მივიღე სიხშირეთა სტატისტიკურად სანდო (χ^2=6,616, p=0,037) განაწილება. შედეგები სვეტების საშუალებით გამოხატულია შემდეგ გრაფიკზე:



III ადგილზე დაკავებული წარმატება

სასურველობის III ადგილზე არასამთავრობო სექტორში დასაქმებული ქალების მიერ ყველაზე ხშირად (43%) არჩეულია II სქესთან წარმატება, შემდეგ (32%) – სამსახურში წარმატება და შემდეგ (23%) – წარმატება ოჯახში.

8. დიასახლისების მიერ I ადგილზე არჩეული წარმატების მონაცემებისათვის მივიღე სიხ-შირეთა სტატისტიკურად სანდო (χ^2=16,782, p=0,000) განაწილება.

შედეგები სვეტების საშუალებით გამოხატულია შემდეგ გრაფიკზე:



I ადგილზე არჩეული წარმატება

დიასახლისების დიდი ნაწილისათვის(74%) ყველაზე მეტად სასურველია ოჯახში წარმატება, ხოლო შედარებით მცირე ნაწილისათვის(26%) კი – სამსახურში წარმატება. რაც შეეხება II სქესთან წარმატებას, იგი, ისევე, როგორც არასამთავრობო სექტორში დასაქმებული ქალებისათვის, არც ერთი დიასახლისისათვის არ აღმოჩნდა ყველაზე სასურველი.

დიასახლისების მიერ II ადგილზე არჩეული წარმატების მონაცემებისათვისაც მივიღე სიხშირეთა სტატისტიკურად სანდო (χ^2=19,753, p=0,000) განაწილება.

შედეგები სვეტების საშუალებით გამოხატულია შემდეგ გრაფიკზე:



II ადგილზე დაყენებული წარმატება

სასურველობის II ადგილზე დიასახლისების მიერ ყველაზე ხშირად (55%) არჩეულია წარმატება ოჯახში, შემდეგ (33%) – სამსახურში წარმატება და შემდეგ (12%) – II სქესთან წარმატება.

დიასახლისების მიერ III ადგილზე არჩეული წარმატების მონაცემებისათვის მივიღე, რომ სიხშირეთა განაწილებას შორის განსხვავება არ არის(χ^2=3,068, p=0,216).

შედეგები სვეტების საშუალებით გამოხატულია შემდეგ გრაფიკზე:



III ადგილზე დაყენებული წარმატება

სასურველობის III ადგილზე დიასახლისების მიერ წარმატებები სამივე სფეროდან არჩეულია თანაბრად.

საინტერესოა ქალების მიერ I ადგილზე არჩეული წარმატების მიმართება სხვა ანკეტურ მონაცემებთან. ამ მიმართებების დასადგენად გამოვიყენე პირსონის χ^2 და მასზე დაფუძნებული ასოციაციის სასომი კონტინგენციის კოეფიციენტი C.

ქალების მიერ I ადგილზე არჩეული წარმატების მიმართება ასაკთან.

აღმოჩნდა, რომ არსებობს სტატისტიკურად სანდო მიმართება ასაკსა და მათ მიერ I ადგილზე არჩეულ წარმატებას შორის (χ^2=22,780, p=0.001; C=0,184, p=0.001).

შედეგები სვეტების საშუალებით გამოხატულია შემდეგ გრაფიკზე:


80
70
60
50
40
30
20
10
0
პროცენტი
67
60
51
37
41
33
27
19
20
19
0
0
0

და II სქესთან წარმატებას კი ყველაზე ხშირად ახალგაზრდები მიიჩნევენ მათთვის ყველაზე სასურველად.

ქალების მიერ I ადგილზე არჩეული წარმატების მიმართება ოჯახურ მდგომარეობასთან.

აღმოჩნდა, რომ არსებობს სტატისტიკურად სანდო მიმართება ქალების ოჯახურ მდგომარეობასა და მათ მიერ I ადგილზე არჩეულ წარმატებას შორის (χ^2=25,557, p=0.000; C=0,193, p=0.000). მიღებული შედეგები სვეტების საშუალებით გამოხატულია შემდეგ გრაფიკზე:



ოჯახური მდგომარეობა

ოჯახურ მდგომარეობასა და I ადგილზე არჩეულ წარმატებას შორის არსებული მიმართება პროცენტულად ასე გამოიყურება: ყველა ქალის მიერ არჩეული ოჯახში წარმატების 50% დაოჯახებულებზე მოდის, 36% – მარტოხელებზე და 9% – გაყრილზე. არჩეული სამსახურში წარმატების 37% დაოჯახებულებზე მოდის, 48% – მარტოხელებზე და 11% – გაყრილზე. არჩეული II სქესთან წარმატების 30% დაოჯახებულებზე მოდის, 64% – მარტოხელებზე და 6% – გაყრილზე.

როგორც ვხედავთ, წარმატებას ოჯახში ყველაზე ხშირად დაოჯახებული ქალები მიიჩნევენ თავისთვის ყველაზე სასურველად, სამსახურში და II სქესთან წარმატებას კი ყველაზე ხშირად მარტოხელები მიიჩნევენ მათთვის ყველაზე სასურველად.

ქალების მიერ I ადგილზე არჩეული წარმატების მიმართება შვილების რაოდენობასთან.

აღმოჩნდა, რომ არსებობს სტატისტიკურად სანდო შვილების რაოდენობასა და ქალების მიერ I ადგილზე არჩეულ წარმატებას შორის (χ^2=30,038, p=0.000; C=0,209, p=0.000). მიღებული შედეგები სვეტების საშუალებით გამოხატულია შემდეგ გრაფიკზე



შვილების რაოდენობა

შვილების რაოდენობასა და I ადგილზე არჩეულ წარმატებას შორის არსებული მიმართება პროცენტულად ასე გამოიყურება: ყველა ქალის მიერ არჩეული ოჯახში წარმატების 42% იმ ქალებზე მოდის, რომლებსაც არცერთი შვილი არ ჰყავთ, 23% – ერთშვილიანებზე და 30% – ორშვილიანებზე. არჩეული სამსახურში წარმატების 58% იმ ქალებზე მოდის, რომლებსაც არცერთი შვილი არ ჰყავთ, 15% – ერთშვილიანებზე და 23% – ორშვილიანებზე. არჩეული II სქესთან წარმატების 74% იმ ქალებზე მოდის, რომლებსაც არცერთი შვილი არ ჰყავთ, 9% – ერთშვილიანებზე და 15% – ორშვილიანებზე.

როგორც ვხედავთ, წარმატებას სამივე სფეროდან ყველაზე ხშირად ის ქალები მიიჩნევენ თავისთვის ყველაზე სასურველად, რომლებსაც არცერთი შვილი არ ჰყავთ.

ქალების მიერ I ადგილზე არჩეული წარმატების მიმართება ეროვნებასთან.

ამ მიმართების დადგენა ვერ მოხერხდა, რადგან ჩვენს მიერ გამოკვლეული ქალების დიდი უმრავლესობა(92%) ქართველი აღმოჩნდა(χ^2=1586,579, p=0,000).

ეროვნებათა განაწილების სიხშირე მოცემულია შემდეგ გრაფიკზე:



ეროვნება

ეს შედეგი ორგვარად შეიძლება იყოს ახსნილი:

1. დასაქმების ჩვენს მიერ განხილულ რვა სფეროში ძირითადად ქართველები მუშაობენ.

2. გამოკვლევა ჩატარდა ქართულ ენაზე და შესაძლებელია რომ ეს არის თბილისში დასაქმებულ სხვადასხვა ეროვნებათა მიერ ქართული ენის ცოდნის მაჩვენებლების სიხშირეთა განაწილება.

ქალების მიერ I ადგილზე არჩეული წარმატების მიმართება განათლების დონესთან.

ჩემს მიერ გამოკვლეული ქალების დიდი უმრავლესობას (64%-ს) უმაღლესი განათლება აღმოაჩნდა, ხოლო დანარჩენ ნაწილს (22%) – არასრული უმაღლესი (χ^2=885,639, p=0,000). ამ უკანასკნელ ჯგუფს სტუდენტები შეადგენენ, რომელთა მიერ I ადგილზე არჩეული წარმატება უკვე დადგენილია ზემოთ. გამოკითხულ ქალებში განათლების დონის განაწილების სიხშირე მოცემულია შემდეგ ნახატზე:



ეს შედეგები ასახავს სოციალისტური წყობის გავლენას საზოგადოების ცნობიერებაზე. იმ პერიოდში ქალაქში მაცხოვრებელთათვის უმაღლესი განათლება აუცილებელ ატრიბუტს წარმოადგენდა. ქალისათვის კი უმაღლესი განათლების დიპლომი, თუნდაც ფორმალური, წარმატებული გათხოვების ერთ-ერთი პირობა იყო.

მიუხედავად განათლების დონის სიხშირეთა ასეთი განაწილებისა, მაინც გამოვთვალე ქალების მიერ I ადგილზე არჩეული წარმატების მიმართება განათლების დონესთან. აღმოჩნდა, რომ არსებობს კორელაცია ამ ორ ცვლადს შორის (χ^2=53,260, p=0,000; C=0,273, p=0,000).

მიღებული შედეგები სვეტების საშუალებით გამოხატულია შემდეგ გრაფიკზე:


80
60
40
20
0
პროცენტი
67
68
61
51
33
34
33
13
11
9
5
12
11
11
1
1
1

როგორც ვხედავთ, ოჯახში წარმატებას ყველაზე ხშირად ირჩევენ, როგორც ყველაზე სასურველს ეკონომისტები, ჰუმანიტარები, შემდეგ ტექნიკური განათლებისა და სოციალური მეცნიერების პროფესიის მქონე ქალები.

სამსახურში წარმატებას ყველაზე ხშირად ირჩევენ, როგორც ყველაზე სასურველს სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერების პროფესიის მქონე ქალები და აგრეთვე იურისტები, ეკონომისტები და სამართლის სპეციალისტები.

II სქესთან წარმატებას ყველაზე ხშირად ირჩევენ, როგორც ყველაზე სასურველს სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერების პროფესიის მქონე ქალები და აგრეთვე იურისტები, ეკონომისტები და ექიმები.

ჩემი მონაცემები საშუალებას გვაძლევს გავარკვიოთ ასევე თბილისში ყველაზე წარმატებული (დასაქმებული) პროფესიები ქალებში. სიხშირეთა განაწილების ცხრილის საფუძველზე გამოვთვალე პირსონის χ^2. მიეიღე, რომ პროფესიათა განაწილება ჩემს მიერ გამოკვლეულ შერჩევაში სტატისტიკურად სანდოა: χ^2=170,224

p=0,000. მიღებული შედეგები სვეტების საშუალებით გამოხატულია შემდეგ გრაფიკზე (ამ განაწილებაში არ არის გათვალისწინებული სტუდენტების და დიასახლისების მონაცემები):



ამგვარად, გამოვლინდა ყველაზე ხშირად დასაქმებული ქალთა პროფესიები: ეკონომისტი, ჰუმანიტარი, სოციალური მეცნიერება, პედაგოგი და ტექნიკური.

ქალების მიერ I ადგილზე არჩეული წარმატების მიმართება საცხოვრებელ რაიონთან.

აღმოჩნდა, რომ არსებობს სტატისტიკურად სანდო საცხოვრებელ რაიონსა და ქალების მიერ I ადგილზე არჩეულ წარმატებას შორის (χ^2=41,453, p=0.001; C=0,243, p=0.001).

მიღებული შედეგები სვეტების საშუალებით გამოხატულია შემდეგ გრაფიკსე:



როგორც ვხედავთ, ოჯახში წარმატებას ყველაზე ხშირად ირჩევენ, როგორც ყველაზე სასურველს დიდუბის, საბურთალოს, ვაკის, ისნისა და სამგორის რაიონში მცხოვრები ქალები. სამსახურში წარმატებას ყველაზე ხშირად ირჩევენ, როგორც ყველაზე სასურველს საბურთალოს, დიდუბის, ვაკის, მთაწმინდისა და ნაძალადევის რაიონებში მცხოვრები ქალები. II სქესთან წარმატებას ყველაზე ხშირად ირჩევენ, როგორც ყველაზე სასურველს ვაკის, საბურთალოს, დიდუბის, ისნისა და სამგორის რაიონში მცხოვრები ქალები.

ქალების მიერ I ადგილზე არჩეული წარმატების მიმართება თანამდებობასთან.

აღმოჩნდა, რომ არ არსებობს მიმართება ქალების მიერ I ადგილზე არჩეულ წარმატებასა და მათ თანამდებობას შორის (χ^2=4,438, p=0,350; C=0,087, p=0,350).

ქალების მიერ I ადგილზე არჩეული წარმატების მიმართება ხელფასთან.

აღმოჩნდა, რომ არსებობს სტატისტიკურად სანდო მიმართება ქალების მიერ I ადგილზე არჩეულ წარმატებასა და მათ ხელფასს შორის (χ^2=32,391, p=0.000; C=0,222, p=0.000). მიღებული შედეგები სვეტების საშუალებით გამოხატულია შემდეგ გრაფიკსე:

მიღებული შედეგები სვეტების საშუალებით გამოხატულია შემდეგ გრაფიკ'ს:



ხელფასი

საინტერესოა, რომ ის ქალები, რომლებსაც ხელფასი საერთოდ არა აქვთ, თავისთვის ყველაზე სასურველ წარმატებად მიიჩნევენ II სქესთან და სამსახურში წარმატებას.

ქალების მიერ I, II და III ადგილებზე არჩეული წარმატების მიმართება ცვლადთან "ვინ ინახავს ოჯახს".

აღმოჩნდა, რომ არ არსებობს მიმართება ცვლადს "ვინ ინახავს ოჯახს" და ქალების მიერ I, II და III ადგილებზე არჩეულ წარმატებებს შორის (I, II და III ადგილების შესაბამისად χ^2=1,994, p=0.737; C=0,057, p=0.737; χ^2=2,109, p=0.716; C=0,058, p=0.716; χ^2=2,731, p=0.604; C=0,066, p=0.604).

საინტერესოა ცვლადის "ვინ ინახავს ოჯახს" სიხშირეთა განაწილება ჩვენს მიერ გამოკვლეული 677 ქალისა და 601 კაცის მონაცემებით:



ვინ ინახავს ოჯახს

ჩვენს მონაცემებზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ დღეს ოჯახების 51%-ს მამაკაცები ინახავენ, 26%-ს – ქალები, ხოლო 19%-ს – ქალი და მამაკაცი თანაბრად.

სასურველ წარმატებათა კითხვარის შედეგების ანალიზი გვიჩვენებს, რომ:

1. ქალების უმეტესი ნაწილი თავისთვის ყველაზე სასურველად ოჯახში წარმატებას მიიჩნევს, სასურველობის მეორე ადგილზე თანაბრად ნაწილდება წარმატებები ოჯახში და სამსახურში, ხოლო სასურველობის მესამე ადგილზე კი თანაბრად არჩეულია წარმატებები სამივე სფეროდან.

2. ქალებისათვის ყველაზე ხშირად სასურველი მიღწევები (წარმატებები) ასე გამოიყურება:

- "გყავდეს კარგი ქმარი და შვილები"
- "იყო შენი საქმის პროფესიონალი"
- "კარგი ოჯახის შექმნა"
- "გქონდეს დამთმობი და ყურადღებიანი ხასიათი"

3. არსებობს მიმართება ყველაზე სასურველ წარმატებასა და შემდეგ ანკეტურ მონაცემებთან: ასაკთან, ოჯახურ მდგომარეობასთან, განათლებასთან, პროფესიასთან, საცხოვრებელ რაიონთან და ხელფასთან.

4. არ არსებობს მიმართება ყველაზე სასურველ წარმატებასა და თანამდებობასთან და ცელადთან "ვინ ინახავს ოჯახს".

5. არსებობს მიმართება სასურველობის I, II და III ადგილებზე არჩეულ წარმატებასა და ქალთა დასაქმების ჩვენს მიერ განხილულ სფეროებს შორის.

ეს მიმართება არჩეული წარმატების სფეროების მიხედვით გამოსახულია შემდეგ ცხრილში:

დასაქმების სფეროები	I ადგილი	II ადგილი	III ადგილი
ვაჭრობა, წარმოება	ოჯახი	ოჯახი	ოჯახი, სამსახური, II სქესი
მეცნიერ მუშაკი	ოჯახი	სამსახური	ოჯახი, სამსახური
პედაგოგი	ოჯახი, სამსახური	სამსახური	ოჯახი, სამსახური
ძალოვანი	ოჯახი	ოჯახი, სამსახური	სამსახური
მართველობა	ოჯახი	ოჯახი, სამსახური	ოჯახი, სამსახური, II სქესი
სტუდენტი	სამსახური	სამსახური	ოჯახი, სამსახური, II სქესი
არასამთავრობო ორგ.	ოჯახი	სამსახური	II სქესი
დასახლისი	ოჯახი	ოჯახი	ოჯახი, სამსახური, II სქესი

როგორც ვხედავთ, არსებობს განსხვავება სხვადასხვა სფეროში დასაქმებულ ქალთა მიერ არჩეული წარმატებების სასურველობის ხარისხში. კერძოდ, ვაჭრობისა და წარმოების სფეროში დასაქმებული ქალების და აგრეთვე, დიასახლისების უმრავლესობა ყველაზე სასურველად ოჯახში წარმატებას მიიჩნევენ, ხოლო პედაგოგები და განსაკუთრებით კი სტუდენტები – სამსახურში წარმატებას. რაც შეეხება ალოვან, მმართველობით და არასამთავრობო სექტორში დასაქმებულ ქალებს და, აგრეთვე, მეცნიერმუშაკებს, მართალია, მათთვის ყველაზე სასურველია ოჯახური წარმატება, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია სამსახურში წარმატებაც.

გამოკვლევის შედეგად გამოიკვეთა საქართველოში ქალთა უფლებრივი მდგომარეობის მეტად საინტერესო ფსიქოლოგიური ასპექტი - ქალთა ყველაზე მნიშვნელოვანი ღირებულებები, რომლებიც საფუძვლად უდევს მათ მიღწევის მოტივებს. მართალია, ქალთა უმეტესი ნაწილისათვის წარმატებები ოჯახურ სფეროში ყველაზე მნიშვნელოვან ღირებულებებს წარმოადგენს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ქალთა საკმაოდ გავლენიანი ჯგუფებისათვის – პედაგოგებისა და განსაკუთრებით კი სტუდენტებისათვის, ყველაზე მნიშვნელოვანი ღირებულებაა საზოგადოებრივ (სამსახურეობრივ) მოღვაწეობაში მიღწეული წარმატებები. აქედან გამომდინარე, მათი მიღწევის მოთხოვნილებებიც მაღალი სოციალური სტატუსისა და მატერიალური დამოუკიდებლობის მოპოვებისკენაა მიმართული.

ქალთა ორიენტაციას მაღალი სოციალური სტატუსის მოპოვებაზე ადასტურებს, აგრეთვე, მაიი უმეტესობის მიერ სასურველობის II ადგილზე "სამსახურში" მიღწეული წარმატებების არჩევა. როგორც ეხედავთ, ქალთა სოციალურად მნიშვნელოვანი ღირებულებები და, მაშასადამე, მათი მიღწევის მოტივები უფრო ხშირად და უფრო მეტად არის ორიენტირებული მაღალი სოციალური სტატუსის მოპოვებაზე, ვიდრე ამ სტატუსის შესატყვისი როლის ფსიქოლოგიურად მიღება ხდება საზოგადოებრივი (თუ თვით ქალთა) ცნობიერებისათვის. აქედან გამომდინარე, შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ საზოგადოებაში ქალთა და მამაკაცთა სოციალურ თანასწორობას საფუძველად უდევს ფსიქოლოგიური მექანიზმები, რომლებიც მათ სოციალურად მნიშვნელოვან ღირებულებათა სისტემის საფუძველზე აგებული მიღწევის მოტივებითაა განსაზღვრული. ამდენად, ჩვენს საზოგადოებაში ქალთა უფლებათა არათანაბარი რეალიზაციის მექანიზმებიც თვით ქალთა მნიშვნელოვან ღირებულებებში უნდა ვეძებოთ.

ამგვარად, გამოკვლევის საფუძველად, შეიძლება საბოლოოდ დავასკვნათ, რომ საქართველოში ქალთა უფლებების არათანაბარი რეალიზაციის მექანიზმები ჩადებულია ქალთა სოციალურად დაბალი დონის ღირებულებათა სისტემაში, რომელიც შესაბამისად განსაზღვრავს როგორც მათ სოციალურად შედარებით დაბალი დონის მიღწევების მოტივებს, ასევე საზოგადოების მიერ მათთვის სოციალურად დაბალი როლების მიწერას.

Summary of the article
"The Favourable Values of Women in Georgia" by Mzia Tsereteli

The article is dedicated to the study of women's achievements motifs and priority of the value systems in Georgia.

Special method was developed comprising personal particulars and the test of desired successes including the list of possible achievements. The research was carried out in Tbilisi and included 677 respondents (women).

In consequence of the analysis of the questionnaire about desired successes the following results became obvious: The most desired achievement for most of the women is success in the family; For one third – success at work and only for 8 percent – success with the opposite sex; The second place of desirability is occupied by success in the family and at work equally; The third place – success in three fields equally; The most important socially meaningful values of women are expressed by the following statements: s) to create s good family; b) to have s good husband and children; c) to be s professional of one's occupation; The second place is occupied by the following statements: s) to be s professional of one's occupation; b) to have s good husband and children; The third place is occupied by the following statements: s) to have s good husband and children; b) to be s professional of one's occupation; c) to have considerate and tractable character; There is s dependence between the most desirable success (the most meaningful value) and the age, marital status, number of children, education, profession, place of residence, salary. The fields of chosen meaningful values on the I, II and III places by women's employment is presented in the Table below:

Field of employment	I place	II place	III place
Trade, enterprise	family	family	Family, work, opposite sex
Scientific workers	family	work	Family, work, opposite sex
Pedagogues	Family, work	work	Family, work, opposite sex
Law enforcement	family	Family, work	work
Government,	family	Family, work	Family, work, opposite sex
Students	work	work	Family, work, opposite sex
Housewives	family	family	Family, work, opposite sex
NGOs	family	work	opposite sex

Traditionally most of the women's achievement motif was directed towards the success in the family. In case of female pedagogues we notice the realization of such kind of the achievement motif.

The values and opinions of the female-students were being formed in the years when the country was moving to the market economy. Apparently these processes significantly influenced the formation of their values and opinions. In particular, while he success achievement for the women of the previous generations is less significant ınd non-obligatory in the career, it has acquired s very important value, as well as the ignificant function for social promotion. Hence, favourable conditions to promote vomen's achievements in the public life have been created in the country.

The new generation has experienced s strong impact of new conditions triggering xpansion of their achievement motifs from the family field toward the public one.

Thus, having compared all the results we can conclude that the results of the test nable to observe the process of mentality transformation currently underway in Georgia.

თინა იველაშვილი

არსებობდა თუ არა ქალის სყიდვითი ქორწინება საქართველოში

მკელევართა დიდ ნაწილში (რ. ხარაძე, მ. ბექაია და სხვ.) გაბატონებული იყო შეხედულება და დღესაც არის, რომ საქართველოში საკმაოდ გავრცელებული უნდა ყოფილიყო ქალის სყიდვით ქორწინების ფორმა, ე.წ. "სყიდვითი ქორწინება". ეს მკელევარები თავიანთი შეხედულების დასასაბუთებლად იშველიებდნენ ზოგად მოდელებს, ძველ ისტორიულ წყაროებს, ლიტერატურულ ნაწარმოებებსა და საქართველოს ზოგიერთ კუთხეში დაფიქსირებულ ეთნოგრაფიულ მასალებს.

მოკლედ განვიხილოთ ჯერ არსებული წერილობითი მონაცემები, მერე ცალკეული კუთხეების მიხედვით არსებული ეთნოგრაფიული მასალები და შემდეგ შესაძლებლობების ფარგლებში ამ მონაცემების ურთიერთშეჯერება და ანალიზი გავაკეთოთ.

წინასწარ გვინდა აღვნიშნოთ, რომ აქ დასმული საკითხის განხილვა ჩვენ მზითევ-სათავნოსთან ურთიერთკავშირში გვექნება. დღემდე მკელევართა უმრავლესობა ამ ორ მნიშვნელოვან მოვლენას ცალ-ცალკე, ერთმანეთისაგან მოწყვეტით განიხილავდნენ და მათ სხვადასხვა ეპოქაში წარმოშობილად თვლიდნენ. ჩვენ კი ორივე მოვლენა ერთიან, მთლიან სისტემად მიგვაჩნია და მიზანშეწონილად ვთვლით ისტორიული განმარტება მიეცეს არა ცალკეულ, არამედ მთლიან სისტემას. ამის შედეგად მათ შორის ისტორიული კავშირიც გამიკეთება, ეს კი გზას გაგვიკაფავს თითოეული მათგანის შესწავლის საქმეშიც. ამიტომ ჯერ მოკლედ მზითევ-სათავნოს შესახებ:

ივ. ჯავახიშვილმა გიორგი მეფის მიერ ბიზანტიის კეისრის მოციქულისადმი მიმართვიდან – "ჩვენი ქვეყნის ზნე-ჩვეულების თანახმად საქმროს მოაქვს საცოლისათვის (ხაზგასმა ჩვენია - თ. ი.) ქონება და არა საცოლეს საქმროსადმი, ამიტომ ჩემს ასულს მზითევს ვერ გამოვატან, მაგრამ სხვაფრივ ქონებრივად უზრუნველყოფ"-ო, – გამომდინარე გააკეთა დასკვნა, რომ "ქართული ქორწინების წესი პირველად სწორედ საქმროს ავალებდა საცოლისათვის (და არა მისი ოჯახისათვის – თ. ი.) ქონების მიტანას". გარდა ამისა, მან "შუშანიკის წამებაში" ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ როდესაც ოჯახური კონფლიქტი ცოლ-ქმრის გაყრით მთავრდებოდა, ქმარი ცოლისათვის ადრე მირთმეულ ნივთებს უკან იბრუნებდა.

ივ. ჯავახიშვილმა დაიმოწმა არქანჯელო ლამბერტის ცნობები,მისი აზრიც, ("საქმრო თითქოს ფასს იხდიდა საცოლოსათვის") და აღნიშნა, რომ "სწორედ ურვადი იყო, ქალის წამოყვანისათვის მირთმეული ქონებრივი საზღაური და იაკობ ხუცესის ცნობაშიც ამავე ურვადის კვალი და ნაწილი უნდა ვიგულისხმოთ". მისი მითითებით, "ეს იმ დროს

უნდა დაწესებულიყო, როდესაც ქალის ცოლად შერთვა მოტაცება-სყიდვით, სწორედ "ურვადის" მიცემით შეიძლებოდა მხოლოდ" [17,214].

ივ. ჯავახიშვილის შემდეგ რ. ხარაძემ სვანეთის ეთნოლოგიური მასალების შესწავლისა და ზემოთ აღნიშნული წერილობითი მონაცემების საფუძველზე გააკეთა დასკვნა, რომ "იმდენად, რამდენადაც აღნიშნული ურვადის არსებობა დამტკიცებულია საქართველოს ძველი ისტორიული წყაროებითაც, მით უფრო მეტი მნიშვნელობა ეძლევა სვანეთში დადგენილ წესს მის ისტორიულ გარემოში განსახილველად. "ნაყდანურ"-ი და "ნაჭულაშ"-ი წარმოადგენდა იმ სასყიდელს, რომელსაც ეაეის სახლი აძლევდა ქალის სახლს". სყიდვითი ქორწინების წარმოშობის შესახებ იგი იზიარებს ვილკენის თეორიას, რომლის მიხედვით თავდაპირველი წესი ქალის მოტაცებისა შემდგომში მასში გარკვეული სასყიდელის გადახდით შეიცვალა. ქალში გადახდილი სასყიდელი ამ წესის განვითარების ძირითად საფეხურსე წარმოადგენდა გარკვეულ საზღაურს, რომელსაც გამტაცებელი იხდიდა მდევრის თავიდან ასაცილებლად. [15,97]. ჩვენს ხელთ არსებული წერილობითი მონაცემებით და ეთნოლოგიური მასალებიდან ნათლად ჩანს, რომ საერთოდ, მოტაცება ცოლის შერთვის გავრცელებული საშუალება არ იყო და იგი მეორადი, გამოუვალი მდგომარეობიდან გამოსავალი და ყოველთვის საერთოდ მიუღებელი საშუალება ჩანს. როგორც წესი, დასაქორწინებელთა მდგომარეობას ნათესავთა კოლექტივი აწესრიგებდა; მოტაცება კი ამგვარი წესის დარღვევას მოასწავებდა. აქედან გამომდინარე, მიუღებლად მიგვაჩნია სყიდვითი ქორწინების დაკავშირება მოტაცებით ქორწინებასთან და შემდეგში მისი ფართოდ გავრცელება.

მოტაცება, გამონაკლისის სახით მაინც თუ ხდებოდა, ამ დროს გარკვეული რაოდენობის ჯარიმის გადახდა – ეს იყო არა ქალისათვის, არამედ ჩადენილი დანაშაულისათვის გაღებული გამოსასყიდი და ლოგიკურად შეუძლებელია მისი გადაზრდა "სყიდვითი ქორწინების" ჩვეულებაში და შემდგომ მისი ფართოდ გავრცელება.

ვ. ითონიშვილი ხევის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის იზიარებს ივ. ჯავახიშვილისა და რ. ხარაძის შეხედულებას ქართველ ხალხში სყიდვითი ქორწინების არსებობის შესახებ [4,211].

მ. ბექაია აჭარული მასალების შესწავლის მაგალითზე ასკვნის, რომ საქართველოს ამ კუთხეშე საქორწინო წესების მნიშვნელოვანი ნაწილი სყიდვითი ქორწინების გადმონაშთებს უნდა წარმოადგენდეს. იგი ამ გადმონაშთების რამდენიმე რიგს ჩამოთვლის. კერძოდ, ესაა მთხოვნელების მოვალეობრივი დამოკიდებულება საცოლის ოჯახის მიმართ და სავალდებულო მისატანები; ისეთი საქორწინო წესები, რომლებიც გამოსაღებს გულისხმობს მთხოვნელებისაგან, უშუალოდ გამოსასყიდის არსებობა ზემო აჭარაში" [2,ს127].

ს. ჭანტურიშვილმა არსებული წერილობითი და ეთნოგრაფიული მონაცემების ანალიზის გარეშე აღიარა საქართველოში სყიდვითი ქორწინების არსებობა და მიუთითა, რომ ივ. ჯავახიშვილმა დაიმოწმა XVII-XVIII საუკუნეების წყაროები და ცოლის მიმართ ქმრის მატერიალურ ვალდებულებაში დაინახა ურვადის კვალი და ანარეკლი, ე. ი. სყიდვითი ქორწინების გადმონაშთი, რომლის კვალი თვალნათლივ დადასტურდა საქართველოს მთიანეთის მაგალითსე (სვანეთი, ხევი) [12,166].

ლ. მელიქიშვილი ფიქრობს, რომ ფშაეში ქალის ოჯახში დატოვებული "სახლის პატივი" სყიდვითი ქორწინების გადმონაშთურ ელემენტს უნდა წარმოადგენდეს... ეს ჩვეულება ადრეეე მიეცა დაეიწყებას. საქართველოს სოგიერთ კუთხეებთან შედარებით ფშაეის ეთნოგრაფიულმა მასალამ სყიდვითი ქორწინების წესის მხოლოდ მკრთალი ანარეკლი შემოგვინახა". ეინაიდან "სახლის პატივის" სახით მიტანილი ქონება ქალს არ ხმარდებოდა და ის მხოლოდ მისი მამის კუთვნილებად ითვლებოდა". ამიტომ მოხმარების ასეთი ხასიათით "სახლის პატივი", სყიდვითი ქორწინების გადმონაშთურ ელემენტად მიგეაჩნია", – აღნიშნავს იგი [6,151].

ენახოთ ჩვენს ხელთ არსებული წერილობითი მონაცემებისა და ეთნოგრაფიული მასალის ანალიზით აღნიშნულ კუთხეებში და, საერთოდ, საქართველოს მოსახლეობაში შემორჩენილი სემოთ აღნიშნულ წეს-ჩვეულებათა ესა თუ ის რიგი, რამდენად შეიძლება მიეკუთვნოს სყიდვითი ქორწინების გადმონაშთსა თუ მის ანარეკლს.

ყველა წერილობით ძეგლში, რომელსაც აკად. ივ. ჯავახიშვილი განიხილავს, ხაზგასმითაა მითითებული, რომ ქართული ნენ-ჩვეულების თანახმად საქმროს მოაქეს საცოლისათვის (და არა ოჯახისათვის – თ. ი.) ქონება". "წარეგზავნიდა ქალსა მას შეძლებისამებრ ნიშნად სამკაულთა ძვირფასთა..." [18,134].

ცოლის ინიციატიეით ცოლ-ქმრის გაერის დროს ქმარს უფლება ჰქონდა ცოლისადმი ნიშან-ქორწილის დროს მირთმეული სანუქრები უკან დაებრუნებინა. სწორედ ამის ამსახველია იაკობ ხუცესისადმი ვარსქენის მიმართეა "ნემი სამკაული მას არ დაუტეო, ოდეს იგი არა ნემი ცოლი არს: იპოვოს ეინმე რომელმან განიკაფოს იგი" [5]. სხვადასხვა სახის სამართლის ძეგლებში ეკითხულობთ: ქმარმან თუ გაუშვას ცოლი მისი უსაბაბოდ, მისცეს მას ქალსა თავისი მოტანილი, წიგნით რაც ზითეეი მიუტანია; თავისას ქმრის გაგზავნილი ნიშანიცა და სახლის პატივიცა მას, ქალს დარჩეს (ხაზგასმა ჩვენია – თ. ი.)... და თუ ქალმან მოინდომოს გაშვება, გავიდეს ცარიელი და დარჩეს ნიშანი, სახლის პატივი და ზითევი მას, ქმარსა მისსა" [10,239]. მართალია, აღნიშნული ძეგლი არაქართული წარმოშობისაა, მაგრამ ვახტანგის კრებულის შედგენამდე საქართველოში დიდი ხნით ადრე მოქმედებდა. ამავე დროს იგი იმდენად გადამუშავებული სახითაა თარგმნილი და იმდენად მოხდენილადაა ქართულ სინამდვილესთან შეფარდებული, რომ თავისუფლად შეიძლება ჩაითვალოს თავისებურ ქართულ ვერსიად.

სემოთ მოტანილი წერილობითი წყაროები ნათლად გვიჩვენებს, რომ აღნიშნული ნივთები თუ ქონება იყო არა ქალის ოჯახისადმი, არამედ საკუთრივ საცოლისა თუ ცოლისადმი მიმართული და მასთან ქალის ოჯახს არაფერი ესაქმებოდა. ამის შესახებ აკად. ივ. ჯავახიშვილი მართებულად აღნიშნავდა: "აქედან ცხადი ხდება, რომ ეს ნივთებია, რომელიც საცოლოს ან ცოლს უნდა მირთმეოდა, აშკარაა, რომ საქმროს მიერ გაღებული ნივთები გამოსასყიდი კი არ იყო ქალის ოჯახისთვის გაღებული, არამედ ამ ქალის საკუთრება. მიუხედავად ამგვარი განცხადებისა, აკად. ივ ჯავახიშვილმა ეაეის მხდიდან საცოლოსათვის სანუქრის მიტანა მიიჩნია ძველი ხანის იმ "ურადის" ნაშთად, რომელიც "ურეადი"-საგან არის წარმომდგარი" [18,274].

ჩვენ შუშანიკის წამებაში დადასტურებული ფაქტი და გიორგი მეფის განაცხადი არ მიგვაჩნია ურვადის კვალისა ან მისი ანარეკლის დამადასტურებლად, რადგან აქ სულ სხვა ვითარებასთან გვაქვს საქმე. ვფიქრობთ, ამ მასალებში არა გამოსასყიდის, არამედ ქალის ქონებრივი უსრუნველყოფის ფაქტები უნდა იგულისხმობოდეს. ჩვენი ამ ვარაუდის სასარგებლოდ ლაპარაკობს ის ფაქტიც, რომ ადრე ფეოდალური საქართველოს იურიდიულ დოკუმენტებში ვერ ეხვდებით "ურვადისა" თუ გამოსასყიდის დაფიქსირებას. ამავე დროს აქ ნიშნის, პირისსანახავისა თუ საქორწინოს შესახებ საკმაოდ უხვი მონაცემები მოგვეპოვება. ეს კი იმას გვაფიქრებინებს, რომ ურვადი საქართველოში (განსაკუთრებით კი ბარის რეგიონებში), არ უნდა არსებულიყო. გ. ნადარეიშვილი ამ ხარვეზს ძველი ბაბილონური სამართლისა და შუა საუკუნეებში მოგზაურთა ზოგადი მინიშნებიდან ავსებს და ასკვნის, რომ "ურვადის რაღაც გადმონაშთები მაინც ბარის საქართველოში უნდა არსებულიყო" [7,41]. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ხმაურობის კანონების მიხედვით "შერაქთუმი" (მსხვილის განსაკუთრებული სახეობა, რომელიც გათხოვების წინ მამის სახლიდან ეძლეოდა ქალიშვილს), როგორც ქონებრივი მასა თავისი ოდენობით ჩვეულებრივ მეტი იყო "თერხათუმსე" სასძლოს გამოსასყიდის ფასი) [14,72]. აშკარა ხდება, რომ აქ ჩვენ საქმე გვაქვს არა ქალის გამოსასყიდ ქონებასთან, არამედ ქმრის სახლში ქალის ქონებრივად უსრუნველყოფასთან ნაწილობრივ ქმრის ოჯახის ხარჯზე. ამდენად ამ დოკუმენტის მოშველიება ადრე ფეოდალურ საქართველოში ურვადის არსებობის დასადასტურებლად არ გამოდგება. რაც შეეხება ადრეულ ისტორიულ დოკუმენტებში მითითებულ საქმროსა და მისი ოჯახიდან გაღებულ საჩუქრებს, ვერავითარ შემთხვევაში ურვადით ან თუნდაც მის რაღაც ნაირსახეობად ვერ მივიჩნევთ, რადგან თავისი ბუნებით ის სულ სხვაა, ურვადი კიდევ სხვა.

ახლა განვიხილოთ, რა ვითარება გვაქვს საქართველოს სხვადასხვა კუთხის შესახებ ჩვენს ხელთ არსებული საკმაოდ უხვი ეთნოგრაფიული მასალებისა და სპეციალური ლიტერატურის მიხედვით.

ვინაიდან დაწინდვა-ნიშნობის დროს მირთმეული საჩუქრებ-ნივთების შესახებ დაწვრილებით უკვე აღვნიშნეთ ზემოთ, ამიტომ აქ მასზე აღარ შეეჩერდებით. ჩვენ მხოლოდ იმ მოვალეობაზე გავამახვილებთ ყურადღებას, რომლის შესრულებაც სავალდებულოდ ითვლებოდა მექორწინე ოჯახებს შორის.

რ. ხარაძის მითითებით სვანეთში ნაყდანურ-ის რაოდენობა გადაწყვეტილი იყო: ერთი ხარი, რომლის ღირებულება ძველ დროში 25-30 მანეთამდე აღწევდა. ქალს ამ ხარისაგან ნაწილი არ ერგებოდა. ის მთლიანად ოჯახის კუთვნილებას წარმოადგენდა". რაც შეეხება "ნაჭულაშ"-ს, იგი უდრიდა ერთ ნალჯომ ყანას, ერთ უღელ ხარს და ერთ ძროხას. თავისი ღირებულებით ერთი ნალჯომი ყანა ერთ უღელ ხარს უდრიდა. ნაჭულაში მიღებულ მიწას თითქმის ყოველთვის ქალს უტოვებდნენ და ეს შეადგენდა მის განუყოფელ საკუთრებას" ზემო სვანური მასალებით, ქალის ოჯახში ნაჭულაშ-სა და ნაყდანურიდან მიღებულ ხარებს ქალის სასარგებლოდ ჰყიდდა. ამ ხარების საფასურიდან ქალი იმსადებდა ქმრის სახლში წასაღებ ბარგს... გადრა ამისა, ქალს თავისი ოჯახი აძლევდა ერთ ძროხას, თითო წვრილფეხა საქონელს და

თითო შინაურ ფრინველს, რაც აგრეთვე ქალის განუყოფელ საკუთრებას წარმოადგენდა. ნაჭულაშში აძლევდნენ ქალს ერთ ნალჯომ ყანას, ძროხას ან უღელ ხარს. ამ მიწას მოიხმარს ქალის ოჯახი... ზოგჯერ ქალს რნებოდა ის სარგებლობაში. ნაჭულაშის საფასურში უყიდდა მშობელი ქალს-ქვეშაგებს, სკივრს, ნაფრასტს (ეერცხლის მოჭედილი გულსამკაული). ქვემო სვანეთში კი "ნაჭულაშ"-ის ხარების საფასურს ან თუ ეს უკანასკნელი ფულის სახით იყო მიღებული, თვითონ ამ ფულს აძლევდნენ ქალს. მას სხვა დანარჩენ საქონელსა და ფრინველს ისევე აერანდნენ, როგორც ეს ზემო სვანეთში იყო მიღებული. ყველაფერი ეს კი – აღნიშნავს რ. ხარაძე, "ქალის საკუთრების სახით შედიოდა ქმრის სახლში" [15,97]. გარდა ზემოთქმულისა, თავისუფალი სვანის მითითებით მამის ოჯახიდან მამის ოჯახიდან გათხოვილ ქალიშვილს ყოველ ახალ წელიწადს უნდა მიეღო საჩუქარი ერთი მანეთიდან ძროხა-ხარ-ცხენამდე [8,86]. იგივე ფაქტები დამოწმებულია ჩვენს მიერ სვანეთში მუშაობის პერიოდში. ყოველ უბრალო ლხინში ქალიშვილი ქმარ-შვილებითურთ დედ-მამის სახლშია დაპატიჟებული. ცოლს თუ ღარიბი ქმარი ჰყავს და დედ-მამა შემძლე, ამ უკანასკნელებმა უნდა ნააცვან ტანისამოსი ყოველთვის და თუ იქამდე მივიდა საქმე, რომ ქმარი ვერ არჩენს, ქალიშვილი შვილებიანად დედ-მამამ უნდა არჩინოს... როდესაც დედ-მამის სახლში მსხვილფეხა საქონელი დაიკვლებოდა, ტყავიდან ქალიშვილს ეძლეოდა საქალამნე. დასასრულ, შენიშვნის ღირსია ის გარემოება, რომ გათხოვილი ქალი დედ-მამის ოჯახში თითქმის ისეთივე უფლებით სარგებლობდა, როგორც ერთ-ერთი წევრთაგანი. გარდა ზემოთქმულისა წელიწად'ში ერთხელ ყველიერში ოჯახი გათხოვილ ქალს უგზავნიდა 4-6 ლიტრა არაყს, სამ ლიტრა'ზე ნაკლები არ შეიძლებოდა [15,87]. გასათვალისწინებელია ისიც, რომ დედის მიერ შეძენილი ყანა მის ქალიშვილს მიჰქონდა. მას სათავანო "ლეთ'სვიმი" ერქვა. თუ ორი ქალიშვილი ყავდა, მას ქალიშვილები წაიღებდნენ – გაიყოფდნენ. მოტანილი მასალიდან აშკარად ჩანს, აქ სყიდვით ქორწინებასთან ან მის რაიმე გადმონაშთან არ უნდა გვქონდეს საქმე. მიუხედავად ამისა, რ. ხარაძე საბოლოოდ იმ დასკვნამდე მიდის, რომ "ქალ'ში "ნაჭულაშ"-ისა და "ნაყდანურ"-ის გადახდის წესი წარმოადგენს თავდაპირველად მოტაცების გ'სით ქალის შერთვისა და მასში აუცილებელი საფასურის გადახდის განვითარებულ საფეხურს, ხოლო მ'სითვის გაჩენის ფაქტიც თავისი განვითარების პირველ საფეხურ'ხე ქალის პირადი საკუთრების სახით ამაეე ურვადის ნაწილს შეადგენდა" [15,194].

არსებული წერილობითი მონაცემებიდან და ეთნოგრაფიული მასალებიდან ჩანს, რომ სვანეთში ქალის ოჯახს საკმაოდ დიდი მატერიალური ხარჯი ჰქონდა თავისი გათხოვილი ქალის ქმრის სახლ'ში მოწყობისათვის, რათა მას თავისი საკუთრება ჰქონოდა ახალ ოჯახში. როგორც ენახეთ, ნაჭულაშ-ი (ეს ფულადი იქნებოდა, ხარებისა თუ მიწის ნაკვეთის სახით) უმეტესად ქალს მიეეებოდა ქმრის სახლში, როგორც მისი საკუთარი ქონება. ამას თუ დაეამატებთ იმ ფაქტსაც რომ, საეალდებულოდ ითვლებოდა, ქალს მამის ოჯახიდან გაჰყოლოდა ძროხა, წერილფეხა საქონელი და ფრინველი, ქორწილის შემდეგ ყოველ ახალ წელს მისთვის მამის ოჯახიდან ცოცხალი საქონლის (წვრილფეხა ან მსხვილფეხა) გაგ'ზავნა, ასევე ქორწილის დროს ეაეის ოჯახ'ში წასაღები

"ქალაფი"-ს – "მაყა"-ს (ზემო სვანეთში 24 ფუთი ხორბლის ფქვილისაგან გამომცხვარი პური, 16 ფუთი ქერის არაყის, სუთი წერილფეხა საკლავის რაოდენობით) თუ "იდ"-ის (ქვემო სვანეთში ერთი დაკლული ძროხის ან ხარის,ერთი ფუთი პურისა და ერთი ლიტრა არაყის წაღება),რომლითაც პირველ დამეს ქალის მამის სახლი ვაჟის ოჯახში მის სტუმრებსა და თაყის მიერ მიყვანილ ხალხს უმასპინძლდებოდა, ნათელი გახდება, რომ ნაჭულაშ-ი და ნაყდანურ-ი არ შეიძლება ჩაითვალოს გამოსასყიდად ან მის რაიმე სახის გადმონაშთად. ეს იყო ქალის საკუთარი ქონება ქმრის სახლში, რომელიც ქალის მამის ოჯახის ინიციატივით ქმრის სახლში გამოიყოფოდა და მამის სახლში ეგზავნებოდა ქმრის ოჯახში გადასასვლამდე.

რაჭა-ლეჩხუმის მოსახლეობაში სანიშნო ნივთების გარდა, სხვა არავითარი ვალდებულებით არ იტვირთებოდა ვაჟის ოჯახი ქალის მამის სახლის წინაშე. ნიშნობის ნივთების რაოდენობა და ფასეულობაც ვაჟის ოჯახის შესაძლებლობაზე იყო დამოკიდებული. რაც შეეხება მზითევს,იგი საკმაოდ მრავალნაირი იყო (ჭურჭელი, ლოგინი,ტანსაცმელი, საქონელ-ძროხა, ცხვარი, ღორი).

იმერეთში ქორწილამდე ერთი-ორი დღით ადრე სასიძოს ოჯახს სასძლოს სახლში უნდა გაეგზავნა ე. წ. "საქორწილო" (დაკლულ-გასუფთავებული მთლიანი ღორი, ლოგინის გადასამოსი თეთრეული, გარკვეული რაოდენობის ღვინო და სხვა სახის პროდუქტები). მთხრობელთა ერთი ნაწილის მითითებით "საქორწინო" იყო არა პროდუქტი, არამედ ის ფული, რომელსაც სასაძლოს აძლევდნენ ნიშნობის/ /დანიშვნის დროს (დასანიშნი ნივთები მასში არ შედიოდა). ამ ფულს ოჯახი ვერ ხარჯავდა, ქალს მიჰქონდა უკან, ქმრის სახლში. იგი ამ "საქორწილოს" გაავალებდა და მიღებული სარგებლით (წელიწადში თუმანზე ორი მანეთი იყო სარგებელი) უნდა შეეძინა ტანსაცმელი და სხვა საჭირო ნივთები, როგორც თავისთვის, ისე ქმარ-შვილისთვის. ქმრის ოჯახი ამგვარი ხარჯებისათვის არაფერს არ აძლევდა იმ მოტივით, რომ მას "საქორწინო მიღებული ჰქონდა". ქალს თუ "საქორწინოს" (ფულს) არ მისცემდნენ, მაშინ ქმრის ოჯახი იყო ვალდებული, გარკვეული თანხა მიეცა ყოველწლიურად ქალისთვისა და მისი ქმარ-შვილისთვისაც.

მთხრობელთა ნაწილის მითითებით საქორწინო ძღვენის (დაკლული ღორი, ხუთი ფუთი ღვინო, ორმოცდაათი პური) ნაცვლად, რომელსაც ნიშნობის წინა დღეს ან მის შემდეგ ქორწილისთვის უგზავნიდნენ ქალის მამის ოჯახს, დასაშვები იყო ფული გაეგზავნათ. ამ ფულით შეეძლო ოჯახს ეყიდა ქორწილისათვის სურსათ-სანოვაგე, ან ქალისთვის გაეტანებინა ქმრის ოჯახში.

გარდა ამისა, დასავლეთ საქართველოს მოსახლეობაში როგორ ავხსნათ, თუ უფრო ადრე არა, XIX საუკუნის II ნახევრიდან მაინც, არსებული წესი, რომლის მიხედვითაც ვაჟის ოჯახი საკმაო რაოდენობის მზითევსა და გარკვეული რაოდენობის ფულს ითხოვდა (რომელიც ქალის საკუთრებას შეადგენდა ქმრის სახლში), მაშინ, როდესაც ვაჟის მხარეს შედარებით მცირეოდენი საქორწინო ხარჯების გაღება უხდებოდა? მთხრობელთა ნაწილის თქმით "საქორწილო" ფულადიც იყო და ნატურითაც. საქორწილოს რაოდენობასა და სახეობაზე დამოკიდებულ

ოჯახებს შორის წინასწარი შეთანხმება არ ხდებოდა. სახიძოს ოჯახი ვალდებული იყო, იგი ყოველგვარი შეთანხმების გარეშე მიეტანა.

ჩვენი მასალებით ასევე იცოდნენ საკლაესისა და სხვა სახის საჭმელ-სასმელის გაგზავნა სამეგრელოს მოსახლეობაშიც, რაც წერილობითი მონაცემებითაც დასტურდება. წერილობითი მონაცემებით, გარდა ზემოთ აღწერილი მისატანი, წესად ყოფილა წინასწარი შეთანხმებით ცოცხალი საქონლის (ძროხა, ხარი, ცხვარი) გაგზავნაც. მკვლევართა მიერ იგი გააზრებულია როგორც გამოსასყიდი.

გურიაში ქორწილამდე ვაჟის ოჯახი დანიშნულ ქალს მიუტანდა საქორწინო ტანსაცმელს, ხშირად ამ ტანსაცმლითაც სიძე წინასწარი მოლაპარაკების შედეგად სასიმამროსაგან მიღებული ფულით ყიდულობდა. რაც შეეხება ქალის მზითევს, მის რაოდენობაზე ორივე ოჯახი წინასწარ შეთანხმდებოდა. სიძე-პატარძალი რომ მიბრუნდებოდა ქალის მამის სახლში, მაშინ იცოდნენ ოჯახის წევრებისთვის საჭურებისა და ოჯახში ძღვენის მიტანა. ძღვენში შედიოდა გოჯი, ქათმები, ინდაურები, ხაჭაპური და საქონლის გადაუხსნელი ბეჭი. ამავე დროს სიძეს სიდედრისათვის მიჰყონდა საჩუქარი.

გარდა მზეთევისა, გათხოვილ ქალს მამის ოჯახიდან ყოველ ახალ წელს უგზავნიდნენ არჩივს (გოჯი, ინდაური, ხორცი, ხაჭაპურები), რომლის სიდიდე ოჯახის შეძლებაზე იყო დამოკიდებული. ვიდრე მშობლები ცოცხალი ჰყავდა, ქალი ყოველ ახალ წელს იღებდა მათგან არჩივს.

აჭარის მოსახლეობაში მ. ბექაია საქორწინო წესების მნიშვნელოვან ნაწილს სყიდვითი ქორწინების გადმონაშთად მიიჩნევს [2,22]. უნდა აღვნიშნოთ, რომ მკვლევარი მთხოვნელის მოვალეობრივ დამოკიდებულებაში საცოლეს ოჯახის მიმართ საველდებულო მისატანებში ნიშნობის დროს მისატან სამკაულებსა და ტანსაცმელსაც გულისმობს. ჩვენ იგი არ მიგვაჩნია სყიდვითი ქორწინების გადმონაშთად თუნდაც იმიტომ, რომ ის საცოლისადმი მირთმეული ნივთ-სამკაულები იყო და მამის ოჯახს მასთან ხელი არ ჰქონდა.

ჩვენი ვარაუდით არც ე. წ. "მიჰრი" შეიძლება ჩაითვალოს გამოსასყიდად (თუმცა ავტორი მას ასე თელის) ან მის რაიმე სახის გამოვლენად, რადგან, როგორც თვით მ. ბექაია მიუთითებს "მუსულმანობას მოჰყვა ე. წ. მიჰრი, გამოსასყიდის ის ნაწილი, რომელიც ქმარს უნდა გადაეხადა ცოლისათვის და, რომელიც მიისნეოდა ცოლის მზითევად". ეს იყო ქმრისაგან ცოლისათვის წინასწარ გამოყოფილი ქონება, რათა ცოლ-ქმრის გაყრის შემთხვევაში ქალი მატერიალურად რამდენადმე უზრუნველყოფილი ყოფილიყო [2,122].

აჭარაში დამოწმებული "ბაშლუღი" და "რაშვეთი"-ც არ უნდა წარმოადგენდეს გამოსასყიდს ან მისი რაიმე სახის გამოვლინებას.. ჩვენს საველე მასალაზე რომ არაფერი ეთქვათ, ერთგან თვით მ. ბექაია აღნიშნავს: "ბაშლუღის" ამღებთა უმრავლესობა გადმოგეცემის, რომ ნახევარი ან მთელი ბაშლუღი, ან უფრო მეტიც, ქალიშვილს უკან გაატანეს მზითევის სახით" [2,123].

საყიქრებელია, რომ "მიჰრის" მსგავსად "ბაშლუღი" აჭარის მოსახლეობაში იყო არა ქალისათვის გამოსასყიდი, არამედ საქმროს ოჯახის ვალდებულება, მზითევის მომზადებით ქალის ქონებრივი მდგომარეობის განსამტიცებლად. რამდენადაც ვიცით, აჭარაში მზითევი

ქალის პირად საკუთრებად ითვლებოდა და მისი ნებართვის გარეშე ვერ გასხვისდებოდა. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მ'სითევეის აუცილებელ ელემენტს წარმოადგენდა ძროხა, წერილფეხა საქონელი, რამდენიმე ხელი ლოგინი, სკიერი და სხვა საოჯახო ნივთები შეძლებისდაგვარად, მაშინ სულაც არ იქნება გასაკვირი, რომ ბა'შლულის ნაწილი ქალის მამის სახლს არა ქალის, არამედ მ'სითევეის საკომპენსაციოდ დარჩენოდა.

სამცხე-ჯავახეთში წესად იყო სასძლოსათვის მისართმევი ნივთების (წინდი, საქორწინო ტანსაცმელი და ლოგინის გადასამოსი) გარდა ქორწილის დროს "გადასაწყვეტის" მიტანაც საჭმელ-სასმელის სახით. მის რაოდენობაზე წინასწარ იყვნენ შეთანხმებულნი მექორწილე ოჯახები. გადასაწყვეტის სიდიდე დამოკიდებული იყო სასიძოს ოჯახიდან მისული მაყრების რაოდენობაზე. აქედან გამომდინარე მასში ვერ ვხედავთ სყიდვითი ქორწინების რაიმე ანარეკლს თუ გადმონაშთს.

აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მეტ-ნაკლები სპეციფიკურობა შეინიშნება. არსებული წერილობითი მონაცემებისა და ეთნოგრაფიული მასალების დაწერილებით განხილვა გვეიჩვენებს, თუ რაში გამოიხატება ეს სპეციფიკურობა.

იმერეთის მსგავსად ქართლშიც ქორწილის დღეს ვაჟის სახლიდან ქალის ოჯახში იგ'ზავნებოდა "საქორწილო" ძღვენი (ღვინო, ღორი ან ცხვარი და გარკვეული რაოდენობის გამომცხვარი პური). როგორც წერილობითი მონაცემებიდან ჩანს, მექორწინე ოჯახებს შორის მასზე წინასწარი მოლაპარაკება არ წარმოებდა.

ასევე არ ხდებოდა მოლაპარაკება კახეთის მოსახლეობაში ნიშნობისა და ქორწილის დროს ვაჟის ოჯახიდან ქალის მამის სახლში წასაღები ხარჯის მიტანისა და რაოდენობის შესახებ, მაგრამ ვაჟის ოჯახი თავს ვალდებულად თვლიდა, იგი მიეტანა (ცხვრის თუ ძროხის, ღვინის, ყველის, პურისა და სხვა პროდუქტის სახით).

ქართლსა და კახეთში აღნიშნული ხარჯები არ შეიძლება ჩაითვალოს რაიმე სახის გამოსასყიდად ან მის მკრთალ ანარეკლად. თუ შეეადარებთ მას ქალის მიერ მიტანილი მ'სითევეისა და სათავნოს სიდიდეს, აღმოჩნდება, რომ ეს ხარჯი საკმაოდ მცირე იყო ქალის მიერ მინატანთან შედარებით. ეფიქრობთ, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ბარში (ქართლი და კახეთი) და დასავლეთ საქართველოს ერთ ნაწილში (იმერეთი), განსხვავებით ზოგიერთი კუთხისაგან, ქმრის სახლში ქალის ქონებრივი უსრუნველყოფა მისი მამის სახლის ხარჯზე ხდებოდა.

თუშეთში ნიშნობის დროს ვაჟის მშობლები ქალის სოფლის ხალხს უმასპინძლდებოდა პურით, არეით და თითო ნატეხი შაქრით. ქორწილის შემდეგ "პატარძლის სოფელს სიძემ ერთი წლის განმავლობაში "საქალთანო" უნდა გადაუხადოს. სიძე ძღვენით და საკლავით პატარძლისას მივა, სოფელს დაიწვევს და უმასპინძლდება" [11,166].

ხევსურეთში, გარდა ნი'შნის მიტანისა, ქორწილის დროს ვაჟის ოჯახიდან ქალის მამის სახლში მიდიოდა ორი კაცი. მათ თან მიჰქონდათ სასმელი და საკლავად მიჰყავდათ სამი ცხვარი. ეს იყო მხოლოდ ქალის სახლის წინაშე ვაჟის ოჯახის მატერიალური ვალდებულებაა. ამავე დროს, მართალია, ქალისათვის მ'სითევეის მიცემა არ იცოდნენ (უფრო

სწორედ, თეით ამ ტერმინს არ იცნობდნენ), მაგრამ საკმაოდ სოლიდური სათავნო მიჰყეებოდა (რამდენიმე ხელი ტანისამოსი, თავისი ხელით დამზადებული სხვა საოჯახო ნივთები, მის სახელზე გაბრდილი ძროხა, თავისი ნამატით), რომელიც მის საკუთრებას წარმოადგენდა ქმრის სახლში, მისი მისაკუთრება და გამოყენება ქმარსა და მის ოჯახს არ შეეძლო.

ფშავში ნიშნობის შემდეგ "სახლის სანახავ"-ის გაგზავნა ქართველ მკვლევარებში მინნეულია სეიდვითი ქორწინების ანარეკლად. ამ დროს ვაჟის ოჯახს ქალის მამის სახლში მოჰქონდა გარკვეული რაოდენობის სასმელი და მიჰყავდა საკლავი, რომელიც მეორე დღის ნადიმს ხმარდებოდა (პირველ დღეს სუფრა ქალის მამის ოჯახის პურ-მარილით იშლებოდა). თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ვაჟის მხარეს სახლის სანახავის მიტანის დროს საკმაოდ დიდი რაოდენობის (ორმოცი-სამოცი კაცი) ხალხი მიჰყავდა, მისი მიტანილი არაკი, ღვინო, მიყვანილი საკლავი და გამომცხვარი პური, მხოლოდ ერთი ხელი პურობისთვის თუ იქნებოდა სამყოფი, არ შეიძლება ჩაითვალოს სეიდვითი ქორწინების რაიმე გადმონაშთად ან ანარეკლად.

რაც შეეხება მამის სახლიდან წაღებულ ქონებას, იგი საკმაო რაოდენობისა ყოფილა. დ. ხიზანიშვილის მითითებით ფშავში დედაკაცს საკუთარი ქონება აქვს, "სათავნო", რომელსაც შეადგენს ფული, ცხვარი, ძროხა და სხვა ნივთები. სათავნოს თავისუფალი პატრონია დედაკაცი და სხვას არც დედაკაცს, არც მამაკაცს, გარეშე იქნება თუ მონათესავე, თუ შინაური "სახლის ჯალაბი", ნება არა აქვს სათავნოს შეეცილოს, თვით ქმარსაც კი, რომელიც "უმახლობლესი პატრონია ცოლისა, "დედაკაცის სათავნოს ვერ შეეხება იმის ნებადაურთველად" [16,120].

ვაჟა-ფშაველას მითითებით ქალის ქრთამი ის არის, რაც "სანაწეო" ქორწილში და "სახლის სანახავში" დაუდგება. აგრეთვე ისა, რომ იმის სათავნოა "ფულად რომ ექნება, თუ საქონელი ეყოლება" [3,320]. არ შეიძლება ასევე "სახლის სანახავში" თუ "სანაწეოს" სახით ქორწილში ქმრის ნათესავების მხრიდან გაღებული სარეკარი ჩაითვალოს სეიდვითი ქორწინების გადმონაშთის რაიმე გამოვლინებად, რადგან "ამ სარეკარს ის მუქთად არ იღებს, არამედ სამაგიეროს თავადაც უხდის, შეეძლებელია დაუსარეკრებულად ვინმე დატოვოს: ზოგს უნდა ჭრელი წინდები მისცეს, ზოგს ხელთათმანები, სხვას ხელსახოცი" [3,520].

მთიულეთ-გუდამაყრის მოსახლეობაში ჩვენს ხელთ არსებული ეთნოგრაფიული მასალებისა და წერილობითი მონაცემების მიხედვით დიდ ნიშნობაზე ვაჟის ოჯახს საკმაო ხარჯების მიტანა ევალებოდა (საკლავი, არაკი, გამომცხვარი პური).

თუ დიდ ნიშნობაზე ორი ცხვრის წაყვანა საკმარისი იყო, "ქორწილზე მათი რაოდენობა ოთხზე ნაკლები არ უნდა ყოფილიყო (კენტის წაყვანა არ შეიძლებოდა), რომელთაგან ერთი "სადედო" იყო და მისი დაკვლა არ ხდებოდა. სადედო ცხვრის მიყვანა სავალდებულო ნორმათა კატეგორიას მიეკუთვნებოდა. ქორწილის დროს წასაღებ პურ-მარილზე მ ხ ა რ ე ე ბ ი წ ი ნ ა ს წ ა რ თ ა ნ ხ მ დ ებ ო დ ნ ე ნ, რ ო მ ლ ის რ ა ო დ ე ნ ო ბ ა განისაზღვრებოდა ქორწილში მიწვეული ხალხის რაოდენობის მიხედვით. შეიძლება ითქვას, რომ ქალის მამის სახლში ქორწილის საკლავი ძირითადად ვაჟის ოჯახიდან მიჰყავდათ.

მკვლევართა ნაწილის მითითებით შეუძლებელია დიდი ნიშნობის ხარჯების საკალდებულო რაოდენობის დადგენა, რადგან მისი სიდიდე-სიმცირე ძირითადად სამდიდრე-სიღარიბე'ზე იყო დამოკიდებული. იგივე შეიძლება ითქვას ქორწილის ხარჯების რაოდენობის განსაზღვრაზეც. მოიულეთ-გუდამაყრის მოსახლეობაში დაფიქსირებული დიდი ნიშნობისა და ქორწილის ხარჯები დასაშვებია "საქორწილოს" რანგში იქნეს განხილული, რომელსაც ქართველ მკვლევართა დიდი ნაწილი სყიდვით ქორწინებას უკავშირებს.

ი. ჭყონია განიხილავს რა დაწერილებით დიდ ნიშნობას და მასთან დაკავშირებულ მხარეთა მორალურ ვალდებულებებს, აღნიშნავს, რომ "დიდ ნიშნობასა და მის წინარე საფეხურებს, ე. წ. სყიდვითი ქორწინების გადმონაშთები არ ემჩნევა. შეინიშნება კი, რომ ნიშნის ან სარეკრის ზოგიერთი ელემენტი აქეთკენ ინენს მიდრეკილებას, რაც სარეკართან შედარებით ახალი მოვლენა უნდა იყოს" [13,137]. პატივცემულ მკვლევარს სრულიად ეთანხმებით, მხოლოდ ერთს კი შევნიშნავთ, რომ ჩვენ შეიძლება ვეძიოთ საქორწინო ურთიერთობაში სყიდვითი ელემენტები და არა სყიდვითი ქორწინების გადმონაშთები.

საქართველოს სხვა კუთხეებისაგან მეტად თავისებური სპეციფიკურობით გამოირჩევა ხევი, სადაც მკვეთრად მოქმედებდა ვაჟის ოჯახიდან ქალის მამის სახლ'ში ურვადის და სხვა სახის საჭმელ-სასმელის სავალდებულო მიტანის წესი. ამიტომ შევჩერდებით ამ კუთხის მოსახლეობაში მოქმედ წესებ'ზე. წერილობითი მონაცემებით ნიშნობიდან ქორწილამდე არსებული პერიოდი რამდენიმე წესის აუცილებლობას გულისხმობდა: "სასიძოდ მისვლა", "სანახავად მისვლა", "მთხოვართ წვევა" და საქორწინო მ'ზადება".

"სასიძოდ მისვლის" დროს ვაჟის ოჯახი ვალდებული იყო, ქალის მამის სახლ'ში მიეტანა გარკვეული რაოდენობის სასმელი (არაკი), გამომცხვარი პური და ყველი, რომლის რაოდენობა ქალის სოფლის სიდიდის მიხედვით განისაზღვრებოდა. გარდა ამისა, სასიძოს სიდედრისათვის მიჰქონდა ე. წ. "სასიდედრო" (საკაბე და თავშალი). აღნიშნული ძღვენის აუცილებლობა სხვა სახის მატერიალურ თუ ფულად გამოსაღებთან ერთად, ვ. ითონიშვილის შეხედულებით, ქორწინებას სყიდვითი ხასიათს აძლევდა" [4,177].

შემდეგი ეტაპი იყო "სანახავად მისვლა", რომლის დროსაც სავალდებულო იყო გარკვეული სახისა (არაკი, პური, ქადა და ს. შ.) და რაოდენობის ძღვენის მიტანა ქალის მამის სახლ'ში, "სარძლოს ოჯახის სასარგებლოდ ძღვენის მიტანის ეს წესიც მოხევური ქორწინების სყიდვით ხასიათ'ზე ლაპარაკობს",- აღნიშნავს ვ. ითონიშვილი [4,183].

"მთხოვართ წვევის" დროსაც აუცილებელი იყო გარკვეული რაოდენობისძღვენის წაღება. ამ დროს ხდებოდა ურვადის ჩაბარება და ქორწილის მოწყობის ვადა'ზე შეთანხმება.

რაც შეეხება ურვადს, მას ხევში ძირითადად საქონლით იხდიდნენ. გამორიცხული არ იყო ასევე ურვად'ში ფულის, ჭურჭლის, იარაღის და ზეგჯერ მიწის ნაკვეთის მიცემაც. ურვადის რაოდენობა მორიგების მიხედვით განისაზღვრებოდა. მართალია, საქართველოს სხვა

კუთხეებისაგან განსხვავებით ხევში უფრო აშკარად და გამოკვეთილად მოქმედებდა ქალის მამის სახლის წინაშე ვაჟის ოჯახის საკმაოდ დიდი მატერიალური ვალდებულება, მაგრამ ამას მაინც ვერ ჩავთვლით ქალის სყიდვით ქორწინების მახასიათებლად.

ვ. ითონიშვილის მითითებით ქალისათვის მზითვისა და სათავნოს მომზადების წყაროს თვით მამის სახლი წარმოადგენდა და არა სასიძოსაგან მიღებული ურვადი. ეს მითითება ჩვენი ვარაუდის სასარგებლოდ უნდა ლაპარაკობდეს, რომ მამის სახლი (ცდილობდა ქალი დამოუკიდებელი ქონებით უზრუნველეყო ქმრის ოჯახში. ამ გაღებული ქონების ანაზრაურებას მერე ქალის ოჯახი ქმრის ოჯახიდან ცდილობდა, რომელიც შემდეგში სავალდებულო ნორმად იქცა.

არსებული ეთნოგრაფიული მასალების და წერილობითი მონაცემების საფუძველზე, მართებულად მიგვაჩნია, სათავნო და მზითვი განხილულ იქნეს არა ერთმანეთისაგან იზოლირებულად, არამედ ერთმანეთთან ურთიერთკავშირში, თუ გვინდა, რომ მათი წარმოშობის მიზეზებისა და რაობის შესახებ რამდენადმე სწორი დასკვნები გავაკეთოთ. სიტყვას აღარ გავაგრძელებთ და დავამთავრებთ საუბარს იმით, რომ საოჯახო ურთიერთობის სხვადასხვა ეტაპზე სათავნო მზითვეთან ერთად წარმოადგენდა ქალის უფლებას ოჯახში არსებული ქონების გარკვეულ ნაწილზე.

რაც შეეხება ქართველი ხალხის მეზობლებს ჩრდილო კავკასიაში, მათთან, მაგალითად, ჩეჩნებში, აღებულ ურვადს ქალს მზითვად ატანდნენ უკან; ნერქეზებთან მზითვი შეადგენდა ურვადის ნახევარს, ინგუშებში ურვადის ორი მესამედი ქალის საკუთრება ხდებოდა და თუ მაინცდამაინც ამ ხალხებში სყიდვითი ქორწინება არსებობდა, არ შეიძლებოდა მას გავლენა არ მოეხდინა ხევის მოსახლეობაზე, რომელთანაც გეოგრაფიულ-კლიმატური პირობების გამო მათთან მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა, რის ნიადაგზეც ურვადის გადახდა ამ კუთხეში თანდათანობით საყალდებულო ნორმად დამკვიდრდა.

საერთოდ, ქალის მამის ოჯახის წინაშე ვაჟის სახლის დიდი მატერიალური ვალდებულება (მეტ-ნაკლებად სხვადასხვა ხარჯი), საფიქრებელია, თავისი სათავეებით მომდინარეობს ქმრის ოჯახში მამის სახლის მიერ ქალის ქონებრივი უზრუნველყოფიდან. ამ ვარაუდის საფუძველს გვაძლევს ხევსურეთის ეთნოგრაფიული ეფფა, სადაც "ოჯახში ქალს პატარაობიდანვე მიუსენდნენ სათავნოს და ამ მიზნით მას ეძლეოდა ერთი ან ორი ძროხა, რომლის ნამატიც და შემოსავალიც გათხოვებამდე (და ქალი გათხოვდებოდა 20-25 წლის) – ქალისა იყო. ამით ქალი ტანისამოსს იმზადებდა და საჭირო საგნებსაც იძენდა...

...სათავნო ქალის საკუთრებაა და ქმარსა და მის ოჯახს არ შეუძლია სათავნოს დასაკუთრება" [6,173]. მიუხედავად იმისა, რომ ქალს საკმაოდ სოლიდური სათავნო მიჰქონდა (აღარას ვამბობთ ტანსაცმელსა და სხვა ნივთებზე), სიძის ოჯახის მატერიალური ვალდებულება ქალის მამის სახლის წინაშე ქორწილის დროს მიტანილი მცირეოდენი ძღვენითა და სამი ცხვრის მიყვანით შემოიფარგლებოდა. თითქოსდა პარადოქსია, ყველაზე ტრადიციულ კუთხეში რომ ამგვარი სურათი გვაქვს. მაგრამ ეს ერთი შეხედვითაა. საქართველოს ყველა კუთხის ეთნოგრაფიულ მასალებსა და წერილობით მონაცემებს თუ შეეაჯერებთ ერთმანეთთან

და გავაანალიზებთ, ეს პარადოქსულობა იხსნება და მეტად საინტერესო შედეგებს ეღებულობთ.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ქართველი ხალხის ყოფაში გამოსასყიდი რომ არსებულიყო, მას ასახვა უნდა ეპოვა სამართლის ძეგლებში თუ საეკლესიო დადგენილებებში (რომლებიც საკმაო სიუხვით მოგვეპოვება) და ტერმინოლოგიაში. ცნობილია, რომ იქ, სადაც სყიდვითი ქორწინება არსებობდა, ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა უცოლო მამლის მიერ ქვრივი რძლის ცოლად შერთვა (რადგან მასში ოჯახს გამოსასყიდი ჰქონდა გადახდილი). ხევის მოსახლეობაში (სადაც ე. ითონიშვილს სყიდვითი ქორწინება შემორჩენილ ფაქტად მიაჩნია) აღნიშნული ჩვეულება თუ ყოფით მოვლენას წარმოადგენდა (სყიდვითი ქორწინება და იქიდან გამომდინარე ლევირატი), მაშინ რატომ უნდა ყოფილიყო გიორგი ყაზბეგის დაქვრივებული ქალიშვილისათვის მიუღებელი მამლის წინადადება ცოლად შერთვის თაობაზე? (გ. ყაზბეგის ქალიშვილი გათხოვილი იყო ოს დუდაროვზე). აღნიშნული ფაქტი იმაზე მიგვანიშნებს, რომ საქართველოს ამ კუთხის მოსახლეობისათვის ქალში გამოსასყიდის გადახდა მათ ყოფით ჩვეულებას კი არ წარმოადგენდა, არამედ მეზობელი ხალხებისაგან შემოვიდა მოგვიანებით მათთან მჭიდრო (მით უმეტეს საქორწინო) ურთიერთობის შედეგად, ხევის მოსახლეობისათვის მეტ-ნაკლებად მისაღები აღმოჩნდა და ფეხიც მოიკიდა, მაგრამ მისი თანამდევი ჩვეულება ლევირატი სრულიად მიუღებელი აღმოჩნდა ქართველი ხალხის მორალურ-ეთიკურ-ფსიქოლოგიური ნორმებით. სწორედ ამიტომაც გ. ყაზბეგის ქალმა, თავისი ეროვნული მორალურ-ეთიკური ნორმებიდან გამომდინარე, თვითმკვლელობით დაამთავრა სიცოცხლე და მამლს არ გაჰყვა ცოლად.

საქართველოს ყველა კუთხეში წესად იყო, რომ ნიშნობის ან ქორწილის დროს სასიძოს ოჯახს სარძლოს დედისათვის უნდა მიერთმია გარკვეული სახის საჩუქარი (ნაძუძური//საძუძური). აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მექორწინე ოჯახებს შორის მასზე არავითარი წინასწარი მოლაპარაკება არ ხდებოდა (გამონაკლისს წარმოადგენდა თიოქოს სამეგრელოს მოსახლეობა, სადაც "ნაძუძური", სავალდებულო ბეგარის სახეს ატარებდა და გამზრდელს მისი მოთხოვნის უფლება ჰქონდა). იგი დაუწერელი კანონიეთი მოქმედებდა და მასზე რაიმე შეთანხმება საჭირო აღარ იყო. სასიძოს ოჯახს რაგინდ მცირე სახის საჩუქარი გაეგზავნა, მასზე ქალის ოჯახი სამდურავს ვერ იტყოდა.

რას წარმოადგენდა "ნაძუძური"? როგორი იყო მისი ბუნება და რაობა? რამ განაპირობა მისი წარმოშობა და შენარჩუნება საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე?

"ნაძუძური" საქართველოს ცალკეულ კუთხეში სხვადასხვა სახით ფიგურირებდა (ცოცხალი ცხვარი, საკაბე ან სხვა რაიმე ნივთიერი საჩუქარი, ფული). ჩვენს ხელთ არსებული წერილობითი მონაცემებისა და ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით "ნაძუძური" ადრე ძირითადად ნატურალური სახისა იყო. ფულადი სახე მან მეტად გვიან მიიღო და ისიც ნაწილობრივ. მას უგზავნიდნენ მხოლოდ და მხოლოდ სასძლოს დედას თუ გამზრდელს. გარეგნულად ისე ჩანს, თითქოს "ნაძუძური" ერთგვარ კომპენსაციას წარმოადგენდა სასძლოს დედისათვის თუ გამზრდელისათვის ქალის გაზრდისათვის გაღებული.

"ნაძუძურის" ბუნების შესახებ მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობაა. თ. სახოკიას მითითებით მასში აშკარად ჩანს ქალის სეიდეითი ხასიათი [9,101]. ი. ჭყონიას არამართებულად მიაჩნია ეს მითითება და აღნიშნავს, რომ საქართველოს ცალკეულ კუთხეებში ნაძუძურს საჩუქარი ეწოდება, რაც პირველადი ბუნების გამომხატველი უნდა იყოს [13,51]. "სასიდედროს" ბუნებასთან დაკავშირებით ვ. ითონიშვილი აღნიშნავს, რომ სასიდედრო წარმოადგენდა სიძის მიერ სიდედრისათვის სასაგულისა და თავსაბურავის სახით მიტანილ საჩუქარს, მაგრამ აქვე ყურადღება უნდა მიექცეს ერთ გარემოებას: "სიდედრი სიძეს თავის მხრივ ერთი ხელი სანეჯო ტალავერით ასაჩუქრებდა, ე. ი. სიდედრი სიძისაგან მიღებულ საჩუქარს მისადმი მიცემული საჩუქრითვე ანაწილაურებდა" [4,219]. აქედან გამომდინარე იგი გამოსასყიდს (სეიდეითი ქორწინების რაიმე გამოვლინება) კი არა, არამედ ურთიერთდასაჩუქრების გამოხატულებას წარმოადგენდა. "ნაძუძური", ჩვეულებრივ, ეს იყო საქორწინო საჩუქარი, რომელსაც სიძე პატივისცემის ნიშნად სიდედრს მიართმევდა. საქორწინო დასაჩუქრების აღნიშნული სახე საქორწინო სპეციფიკას ვერ მიეწერება და ამიტომ სასეიდელის გადახდის ანალოგიურ მაგალითად ვერ გამოდგება. იგი საეროო მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს ყოველგვარი შენათესავების წესების შესრულების დროს.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, დასაშვებად მიგვაჩნია: არ გავიზიაროთ ის შეხედულება, თითქოს საქართველოს მოსახლეობის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ქალის სეიდეითი ქორწინების აშკარა გადმონაშთები თუ ანარეკლი არსებობდა.

ეფიქრობთ, რომ არსებულ ეთნოგრაფიულ მასალებსა და წერილობით მონაცემებში არა სეიდეითი ქორწინების გადმონაშთები, არამედ ქალის უფლებრივი და ქონებრივი მდგომარეობის მახასიათებელი ნიშნები უნდა ვეძიოთ. ქალი ქმრის ოჯახში დამოუკიდებელი – საკუთარი ქონებით (ქმრის ოჯახიდან თუ მამის ოჯახიდან გამოყოფილი ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა) შედიოდა, რაც, საეროდ მისი უფლებრივ-ქონებრივი მდგომარეობის საკმაოდ მაღალი დონის მაჩვენებლად უნდა მივიჩნიოთ.

საქართველოს სხვადასხვა კუთხის ეთნოგრაფიული მასალებისა და არსებული წერილობითი მონაცემების შეჯერება საშუალებას გვაძლევს, თვალი გავადევნოთ თუ როგორ ხდება ქალის ქონებრივი უსრუნველყოფა ქმრის სახლში ჯერ მამის სახლის მიერ და მერე თანდათანობით უკვე ქმრის ოჯახის ხარჯზე.

ზემოთქმულიდან გამომდინარე ვფიქრობთ, რომ ქალის ქონებრივი უსრუნველყოფა ქმრის სახლში და ქალის მამის სახლის წინაშე ვაჟის ოჯახის მატერიალური ვალდებულება (რა სახითაც არ უნდა იყოს ეს) უნდა განვიხილოთ ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში და არა ერთმანეთისაგან მოწყვეტით ცალ-ცალკე.

ქალის სეიდეით ქორწინების არსებობა თუ მაინც საყოველთაო მოვლენა იყო (რაც ჩვენ საეჭვოდ მიგვაჩნია), ვფიქრობთ, მართებული იქნება ვეძიოთ არა სხვადასხვა ხალხებში არსებული პარალელი'სმი, არამედ ვეცადოთ ავსახოთ, რა თავისებურებითა და სპეციფიკურობით აისახა ესა თუ ის საყოველთაო მოვლენა ან მისი ელემენტები ამა თუ იმ ცალკე ეთნიკურ ერთობლიობაში, და რა ცვალებადობა განიცადა

მან ამ ეთნიკური ერთობის ფსიქიკურ, მორალურ, რელიგიურ, სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ თავისებურებათა გავლენის შედეგად. ცნობილია, რომ კულტურის ესა თუ ის წეს-ჩვეულება ცალკეული საზოგადოების ისტორიული განვითარების საკუთარი და განუმეორებელი შედეგი და მისი ფსიქიკის გამომხატველია, რაც თითოეული ხალხის თავისებურებებითაა განპირობებული.

დასაშვებია, სყიდვითი ელემენტების გაჩენას საქორწინო ურთიერთობაში გარკვეული დროიდან ჰქონდა ადგილი. შეიძლება ზოგიერთ ხალხში ეს ელემენტები სყიდვითი ქორწინების სახედ იქცა და ამრიგად მოქმედებდა, მაგრამ საკალდებულო არაა, პარალელიზმის ძიებაში იგი ყველა ხალხზე გაავრცელოთ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თბ., 1938
2. მ. ბექაია, ძველი და ახალი საქორწინო ტრად. აჭარაში, ბათ.1974
3. ეაჟა-ფშაველა, თხზულებანი, თბ., 1987
4. ვ. ითონიშვილი, ქართველ მთიელთა საოჯახო ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1960
5. იაკობ ხუცესი, წამება წმიდისა შუშანიკისა დედოფლისა, თბ., 1979
6. ლ. მელიქიშვილი, ტრადიციული საქორწინო წეს-ჩვეულებების სტრუქტურული ანალიზი და ინოვაცია, თბ., 1986
7. გ. ნადარეიშვილი, ძველი ქართ. საოჯახო სამართალი, თბ., 1974
8. ბ. ნიჟარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1965
9. თ. სახოკია, ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1955
10. ქართული სამართლის ძეგლები, I, თბ., 1963
11. გ. ცოცანიძე, გიორგობიდან გიორგობამდე, თბ., 1987
12. ს. ჭანტურიშვილი, ყოფა და კულტურა V-X- საუკ. საქ-ში, თბ., 1984
13. ი. ჭყონია, ქორწინების ინსტიტუტი მოიულეთში, თბ., 1955
14. ხამურაბის კანონები, თბ., 1988
15. რ. ხარაძე, დიდი ოჯახის გადმონაშთები სვანეთში, თბ., 1939
16. ნ. ხიზანიშვილი, ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1940
17. იე. ჯავახიშვილი, თხს. ტ. V, თბ., 1986
18. იე. ჯავახიშვილი, თხს. ტ. VI, თბ., 1982

Summery of the article
"Did Marriage in Georgia Allow Women to Be Purchased" by Tina Ivelashvili

The paper "Did Marriage in Georgia Allow Women to Be Purchased" views women's legal marital conditions in Georgia. On the basis of analysis of available literary origins and ethnographic materials, the paper depicts her property / economical status in s husband's family. Our conclusion is this: we do not share the opinion, according to which there existed evidents that women were purchased for marriage in the ethnographic reality of Georgian population. Though some elements of purchase appeared in marital relations after some period and in some ethnic groups, so that these elements turned into s form of above-described type of marriage on women, but we do not maintain to predicate it to all Georgian peoples while searching the parallels.

ლუიზა ირემაშვილი
ქეთევან ჭიაბრიშვილი

გენდერი და საოჯახო როლები

"ჭეშმარიტად საწყალობელია დიაცი:
თუ მიჯნურია, იგი იტანჯება მომეტებულად,
თუ დედაა, იგი ინაგრება,
თუ კარგი ცოლია, წელში წყდება დედის მეუღლისა
და მიჯნურის ვალდებულებათა შეთავსებისას".
კ. გამსახურდია

უკანასკნელ წლებში გენდერულმა პრობლემამ პოპულარობა მოიპოვა. ქალი ცდილობს თავისი შესაძლებლობების განვითარებას და გამოვლენას. ამ პროცესში იგი ძალაუნებურად უპირისპირდება ქართულ ტრადიციებს. როგორც საკუთარ თავთან (რადგან ჯერ კიდევ ქალის ცნობიერებაში სახლის გარეთ შრომა ყოველთვის უპირისპირდება საოჯახო შრომას!), ისე ოპოზიციასთან (ამ შემთხვევაში, ტრადიციებთან) ბრძოლის გზით უნდა მიაღწიოს ორიენტაციების, ღირებულებების, ემოციური განწყობების შეცვლას. ქალისთვის არსებანი ამგვარად კი არ გამოიყურება: "აქონდეს შესაძლებლობა არაფერი აკეთოს თუ, წავიდეს სამუშაოდ", არამედ სრულიად სხვაგვარად "განწირული იყოს, მთელი ცხოვრების მანძილზე წმინდოს მტვერი, რეცხოს ჭურჭელი, მარტომ შეასრულოს ერთი და იგივე საოჯახო სამუშაო, ან კიდევ, გავიდეს სახლიდან, დაინახოს ხალხი, მიიღოს ჯილდო თავისი შრომისათვის, შეიცვალოს საქმიანობა".[1] ეს რთული პროცესია, რომელიც თავს იჩენს ხოლმე ოჯახურ ურთიერთობებში. პედაგოგიურმა მეცნიერებამ თავისი სიტყვა უნდა თქვას ამ სირთულის დაძლევაში.

ოპოზიციას (საზოგადოების ნაწილი, მეუღლე, შვილები) თავისი შეხედულებები აქვს ქალის როლზე. რაც ხშირად ოჯახურ კონფლიქტებში ელინდება.

თვით ოჯახის სოციალური ბუნებიდან გამომდინარეობს სამეურნეო-ეკონომიკური ფუნქციების შესრულების სირთულე. ამ სიროულის დაძლევა შესაძლებელია როგორც ქალის, ისევე მამაკაცის მიერ მეუღლის, დედის, მამის, მეოჯახის როლებისა და ამ როლებთან დაკავშირებული რეპერტუარის, მოლოდინების გაცნობიერებით. როგორც შ. ნადირაშვილი შენიშნავს: სოციალური ფსიქოლოგიისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება არა მხოლოდ სოციალურ ჯგუფებს და მათში მიმდინარე ურთიერთქმედებებს, არამედ იმასაც, იღებს თუ არა პიროვნება შინაგანად როლს, როგორია

[1] Гендерные проблемы и развитие, М., Изд. «Весь Мир», 2002.

მისი განწყობისეული დამოკიდებულება იმ რეალურ კავშირ-ურთიერთობებთან, რომელშიც იგია ჩართული.[2]

ოჯახის ფუნქციების შესრულებისათვის მხოლოდ როლის ფლობა არ კმარა. აუცილებელია როლის მიღება. როლის მიღება-მიუღებლობა ბევრადაა დამოკიდებული უფლება-ვალდებულებათა დადგენაზე, იდეების, ნორმების ღირებულებათა გაცნობიერება-აღიარებაზე.

არ არსებობს დედობის, მამობის უფლება მოვალეობის გარეშე და დედობის, მამობის მოვალეობა უფლების გარეშე. თუ კაცისა და ქალის უფლების სასღვრებში შემოდის მეუღლეთა შორის შრომის სამართლიანი განაწილება, ეს უფლება ასევე სამართლიან მოვალეობასა და პასუხისმგებლობას მოითხოვს მათგან. ქალთა მოქალაქეობრივი თანასწორობა, მათი ჩაბმა საზოგადოებრივ საქმიანობაში, საოჯახო ურთიერთობებში მორალურ-ფსიქოლოგიური ღირებულებების წინ წამოწევა არღვევს მამაკაცისა და ქალის როლების ტრადიციულ სტრუქტურას.

საოჯახო ყოფის პრობლემის გადაჭრისას ს. იანკოვა მოითხოვს, აუცილებლად იქნას გათვალისწინებული როლის გაგების სამი ასპექტი:

_ როლი, როგორც საზოგადოების მოთხოვნათა ჯამი, რომელიც ასოცირებულია ადამიანის პოზიციასთან (ამ შემთხვევაში პოზიციასთან ყოფაში);

_ როლი, როგორც ინდივიდის მიერ იმის გაგება, თუ რას ითხოვს მისგან საზოგადოება მოცემული პოზიციიდან გამომდინარე;

_ როლი, როგორც ინდივიდის რეალური ქმედება მოცემულ პოზიციაში (როლური ქცევა).[3]

როლის ამ ასპექტებში წარმოდგენა ნათელს ხდის, რომ შესაძლებელია ახალგაზრდა გახდეს დედის ან მამის როლის მფლობელი, მაგრამ მას არ ჰქონდეს გაცნობიერებული ამ როლებთან დაკავშირებული მოლოდინები.

როლის მიღება-მიუღებლობაზე დიდ გავლენას ახდენს ერის წარსული და ამ წარსულით გამართლებული ტრადიციები, შეხედულებები, წარმოდგენები, დამოკიდებულებები. იმის მიხედვით, თუ რამდენად გამძლეა ერში, ოჯახში, პიროვნებაში წარსულის განცდა, უნარი იმისა, შეუძლია თუ არა მას, შეეთვისოს და გაჰყვეს ახალს, უნდა ვიმსჯელოთ ეროვნული ტრადიციების მდგრადობაზე, რომლებმაც თავიანთი გავლენით შეიძლება დაარქარონ ან შეანელონ პიროვნების ადაპტირება აწმყოსთან.

ბავშვის გაჩენა და მოვლა ცოლ-ქმრულ ცხოვრებაში ოჯახურ სიძნელეებთან შეგუების, ურთიერთგამტანობისა და ერთმანეთზე ზრუნვის ყველაზე მკაფიოდ გამოხატვის პერიოდია. მაგრამ ახალშობილზე მუდმივი ზრუნვა და ის, რომ ეს საზრუნაი მხოლოდ ქალს აწევება, თითქოს ერთმანეთს აშორიშორებს დედას და მამას.

ქართველი სოციოლოგი გ. ლოგუა სქესთა როლების განსხვავებულობას ბიოსოციალური განსხვავებულობით ხსნის და იქვე დასძენს: "მართალია მძიმეა ბავშვთა შობის ბიოლოგიური ხვედრი, მაგრამ იგი დედობის მაღალადამიანური მოთხოვნილების რეალიზაციის შედეგად

[2] შ. ნადირაშვილი, პიროვნების სოციალური ფსიქოლოგია, თბ., 1975, გვ. 422.

[3] Янкова З.А. Формирование личности в быту, в сб. «Социальные исследования», выпуск 7,1981с. 27.

მიღებული მორალური კმაყოფილებით კომპენსირდება. ხოლო საოჯახო საქმიანობის განაწილების ხასიათსა და რაგვარობას ყოველ კონკრეტულ ოჯახში ძირითადად განსაზღვრავს მეუღლეთა პიროვნული ურთიერთობის ხასიათი. ამიტომ არ შეიძლება ერთმნიშვნელოვანი ზოგადობის ხასიათი ჰქონდეს და, მითუმეტეს, ცოლისა და ქმრის საოჯახო როლების განსხვავებულობა ქალისა და მამაკაცის ყოფითი უთანასწორობის საფუძველს წარმოადგენდეს."[4]

ჩვენი აზრით, როცა საუბრობენ საოჯახო ცხოვრებაში ქალისა და მამაკაცის უთანასწორო მდგომარეობაზე, არც ერთ ავტორს მხედველობიდან არ რჩება ქალის ბიოლოგიური ხვედრი. აქ საკითხი ეხება იმას, რომ ბავშვს, განსაკუთრებით სიცოცხლის პირველ წლებში სჭირდება სპეციფიკური დედობრივი ზრუნვა, რომელიც დაკავშირებულია განუსაზომელ შრომასთან. თუ ბიოლოგიური განსხვავებულობით გამოწვეული მთელი სიმძიმე ქალებს აწვეთ მხრებზე და ეს სიმძიმე "დედობის მაღალადამიანური მოთხოვნილების რეალიზაციის შედეგად მიღებული კმაყოფილებით კომპენსირდება", მამაკაცსაც ხომ აქვს მამობის ასეთივე მაღალადამიანური მოთხოვნილება, იქნებ ბავშვის მოელასა და საოჯახო შრომაში დახმარებითა და მხარდაჭერით მოეხდინა ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილება-კომპენსირება?!

შვედმა ფსიქოლოგმა მარგარეტ რადხოლმმა[5] ასეთი ექსპერიმენტი ჩაატარა: ხუთი თვის ფეხმძიმე ქალებს ასმენინებდა რამდენიმე მამაკაცის ხმას, რომელთა შორის ერთი ბავშვის მამა იყო. მუცლადმყოფი ბავშვები მამის ხმას სცნობდნენ და რეაგირებდნენ – გულის ცემა უჩქარდებოდათ, მოძრაობას იწყებდნენ. შენიშნეს რამდენიმე ბავშვი, რომელთაც არანაირი რეაქცია არ ჰქონდათ, აღმოჩნდა, რომ ამ ბავშვებს მამები არ ეფერებოდნენ.

ბავშვების დაბადების შემდეგ კვლევა 45 ბავშვზე გაგრძელდა. 16 ბავშვის მამას სთხოვეს თავიანთი ახალშობილებისთვის ინკუბატორში ეყურებინათ, დანარჩენ მამებს კი ნება დართეს 10 წუთის განმავლობაში უშუალო კონტაქტში ყოფილიყვნენ პატარებთან, აეყვანათ ხელში, მაგიდაზე დაეწვინათ და სხვ.

თავის დროზე პატარები შინ გამოწერეს. ფსიქოლოგი აქაც აკვირდებოდა მათ. 6 წუთის განმავლობაში კინოფირზე იღებდა მამის თამაშს შვილთან. აღმოჩნდა, რომ მამები, რომლებსაც უშუალო კონტაქტი ჰქონდათ ახალშობილებთან უფრო მგრძნობიარენი იყვნენ ბავშვთან ურთიერთობისას, უფრო მეტად ეფერებოდნენ შვილებს, სამსახურიდან სახლში მოიჩქარდნენ, ბავშვები უფრო მეტად ეჭირათ სახით თავისკენ, ვიდრე იმ მამებს, რომლებიც ინკუბატორში აკვირდებოდნენ შვილებს.

მარგარეტ რადხოლმმა ასეთი დასკვნა გააკეთა: ახალშობილ ბავშვთან მამის უშუალო ურთიერთობა ხელს უწყობს მამის შეჩვევას და სიყვარულს ბავშვისადმი და შესაბამისად, ოჯახის სიმტკიცეს.

ექსპერიმენტული კვლევის შედეგად დადგენილია, რომ სოციალური მოლოდინები ჩამოყალიბებას იწყებენ გარდამავალ ასაკში. ეს ასაკი ღირებულებათა ძიების, ქცევის ნორმებთან შესატყვისობის, მოლოდინების ფორმირების ასაკია.

---

[4] გ. ლოგუა, სოციოლოგიური გამოკვლევები, კრებ. II, თბ., 1976, გვ. 240.

[5] მარგარეტ რადხოლდი

დედის, მამის, მეოჯახე ქალის, მეოჯახე კაცის სოციალური როლი ქცევითი რეპერტუარია, რომელიც ნორმებისა და სტანდარტების ერთობლიობას ეფუძნება. ეს ნორმები, სტანდარტები ოჯახის მი'სნებიდან მომდინარეობს. ამიტომაა, რომ როცა ახალგაზრდები იწყებენ ღირებულებათა ძიებას, წარმოიდგენენ იდეალური ოჯახის მოდელს და სოციალური ურთიერთქმედების დროს ცდილობენ ვალდებულებების აღსრულებას. ამიტომ ექმნებათ ადამიანებს ერთმანეთის მიმართ ამ ნორმების შესატყვისობის მოლოდინები.

სოციალური მოლოდინები საოჯახო ეთიკის ნორმებს უკავშირდება. სოციალურ მოლოდინებთან შესატყვისობის საკითხი ოჯახის ნორმებთან შეხამების ან მათგან გადახრას გულისხმობს, რაც გარკვეულ ფარგლებში ოჯახის არსებობა-არარსებობის საკითხს აყენებს.

უფროსკლასელთა ღირებულებითი ორიენტაციები საოჯახო ცხოვრებაში

ჩვენს მიერ ჩატარებული ანკეტური გამოკითხვის უპირველესი მი'სანი იყო რაოდენობრივ მაჩვენებლებში მიგვეღო მასალა, რომელიც რეპრეზენტატიული იქნებოდა და საშუალებას მოგვცემდა დაგვედგინა:

1. უფროსკლასელთა შეხედულებანი ოჯახის სიმტკიცის შესახებ.
2. რა მიაჩნიათ ქალის საქმედ ოჯახში.
3. რას თელიან მამაკაცის საქმედ ოჯახში.
4. მიაჩნიათ თუ არა უფროსკლასელებს საოჯახო მეურნეობის წარმოება აუცილებლად და რატომ.
5. რა როლის შესრულება შეუძლია საყოფაცხოვრებო მომსახურებას საოჯახო შრომაში.
6. აქვს თუ არა უფროსკლასელთა შრომას ოჯახში სისტემატიური ხასიათი.
7. რა მიაჩნიათ საოჯახო კონფლიქტების მიზეზად.
8. მიაჩნიათ თუ არა საოჯახო შრომაში მხოლოდ ქალის დასაქმების ტენდენცია დრომოჭმულად.
9. რა ძირითად შრომით საქმიანობას ეწევიან უფროსკლასელები ოჯახში.

გამოკითხულ მოსწავლეთა (თბილისის სკოლების 957 მოსწავლე და მათი მშობლები) 94% ოჯახის სიმტკიცის საფუძვლად სიყვარული მიაჩნია. ამ მაჩვენებელმა მშობლებთან საგრძნობლად დაიწია: დედებთან –. 58%, მამებთან – 45%. ინტერესთა ერთიანობა ოჯახის სიმტკიცის საფუძვლად აღიარა მოსწავლეთა დაახლოებით 60%-მა. ამ მაჩვენებელმა მშობლებთან შეადგინა 80%.

საოჯახო შრომის სამართლიანად განაწილების საკითხში გოგონებისა და ბიჭების შეხედულებები მნიშვნელოვნად დასცილდა ერთმანეთს. გოგონების 65% და ბიჭების 30% მოიხრეა ამ შრომის სამართლიანი განაწილების. მშობლებთან ეს სხვაობა უფრო გაი'ზარდა: დედების 95%-ს მიაჩნია, რომ საოჯახო შრომა სამართლიანად უნდა განაწილდეს. ამ მოსაზრებას მხარი დაუჭირა მამების მხოლოდ 35%-მა.

როგორც გოგონებმა, ასევე ბიჭებმა ბავშვების აღზრდა მიიჩნიეს ქალისა და კაცის თითქმის თანაბარმნიშვნელოვან საქმედ.

ბიჭებმა, დაახლოებით 85%-მა, მამაკაცის საქმედ ძირითადად ჩათვალეს პროდუქტების შეძენა და საოჯახო ნივთების შეკეთება. ამავე დროს, როგორც ქალები (დაახლოებით 30%), ასევე მამაკაცები (დაახლოებით 30%) პროდუქტების შეძენას ქალის საქმედ თვლიან.

უფროსკლასელი ბიჭების დაახლოებით 85% ქალის საქმედ მიიჩნია ბავშვების მოვლა, საჭმლის მომზადება, ბინის დასუფთავება, თეთრეულის რეცხვა. ამავე დროს, გოგონების 50% აზრით მამაკაცები უნდა მონაწილეობდნენ ბავშვების მოვლაში, საოჯახო საქმიანობაში. ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო გაიზარდა დედებთან.

უფროსკლასელი მოსწავლეებიდან არავითარ საოჯახო საქმიანობას არ ეწევა გოგონების დაახლოებით 25% და ბიჭების 48%. ეს მაჩვენებელი მამებთან 51% აღწევს. საოჯახო საქმიანობაში თავიანთ დაუსაქმებლობას მოსწავლეების დაახლოებით 40%, ხოლო მამების 68% ხსნის დროის უქონლობით. გოგონების დაახლოებით 10%, ბიჭების 55% და მამების 45% საოჯახო საქმიანობას თავიანთ საქმიანობად არ თვლიან. გოგონების დაახლოებით 30% და ბიჭების 57% აღნიშნავს, რომ ეზარებათ ეს საქმე.

მისანიშნებელია ის გარემოება, რომ საოჯახო დავალებებს ბიჭებიცა და გოგონებიც ასრულებენ იძულებით, მხოლოდ მაშინ, როცა დედა მოითხოვს. საოჯახო საქმიანობაში სისტემატურად მონაწილეობს თბილისელი მოსწავლეების დაახლოებით 20%.

ოჯახის ბიუჯეტის დაზოგვისათვის საოჯახო შრომა აუცილებლად მიაჩნია უფროსკლასელთა მხოლოდ 23%. ეს მაჩვენებელი მშობლებთან იზრდება 80%-მდე.

საოჯახო შრომაში მხოლოდ ქალის დასაქმების ტრადიცია დრომოჭმულად მიიჩნია ბიჭებისა და მამების მხოლოდ 31%-მა. ბიჭებისა და მამების მხოლოდ 10%-ს მიაჩნია, რომ მამაკაცის დაუსაქმებლობა საოჯახო საქმიანობაში ამცირებს მის ავტორიტეტს. ამავე დროს როგორც ბიჭები (დაახლოებით 70%), ასევე მამებიც (50%) გრძნობენ, რომ ქალი ოჯახში ძალიან დატვირთულია, რაც იწვევს მის გაღიზიანებას, გადაღლას. ეს კი ამცირებს მის ყურადღებას როგორც საკუთარი თავის, ასევე ქმრის და შვილების მიმართაც.

საოჯახო საქმიანობაში მხოლოდ ქალის დასაქმების ტრადიცია დრომოჭმულად არ მიაჩნია ბიჭების დაახლოებით 25%, მამების 36% და გოგონების 5%-ს.

ანკეტური მასალების ანალიზის საფუძველზე საოჯახო შრომისადმი დამოკიდებულების მიხედვით უფროსკლასელები დავყავით სამ ჯგუფად:

1. **პოზიტიურად განწყობილნი.** გოგონები – 24%, ბიჭები – 14%. მათ საოჯახო მეურნეობის წარმოება ოჯახის წევრების მიერ აუცილებლად მიაჩნიათ, რადგან იგი ხელს უწყობს ოჯახის დანახარჯების შემცირებას, ოჯახის სიმტკიცესა და ოჯახში სტუმრების მიღება-გამასპინძლებას.

საოჯახო შრომისადმი პოზიტიურად განწყობილი გოგონების მხოლოდ 16 და ბიჭების 8% მონაწილეობს სისტემატურად საოჯახო შრომაში.

2. **საოჯახო შრომისადმი ინდიფერენტულად განწყობილნი.** ამ ჯგუფის გოგონების 21 და ბიჭების 9% მართალია მონაწილეობს

საოჯახო შრომაში, მაგრამ იძულებით, როცა ამას დედა დაუინებით მოითხოვს.

3. **საოჯახო შრომისადმი ნეგატიურად განწყობილნი.** ამ ჯგუფის წარმომადგენლები გოგონების 10 და ბიჭების 16% ვერ ერკვეიან საოჯახო შრომის შინაარსში, ამ შრომას თვლიან მოსაბეზრებლად, ვერ ხედავენ მასში ვერავითარ შემოქმედებას, არ მონაწილეობენ მასში და ძალიან ეზარებათ.

საოჯახო შრომისადმი ექსპერიმენტული ჯგუფის მოსწავლეთა დამოკიდებულების კრიტერიუმად მივიჩნიეთ მათი პრაქტიკული საქმიანობა, ამ საქმიანობის შესრულება განსაზღვრულ დროში და შესრულების ხარისხი. ამ მიზნით გამოვიყენეთ თამაში-შეჯიბრის მეთოდი.

თამაში-შეჯიბრი - "მოგზაურობა საოჯახო ეიფაში" ითვალისწინებდა კვლევას, იცოდნენ თუ არა მოსწავლეებმა, რა ღირს ერთი კილოგრამი კარაქი, პური, შაქარი და ასე შემდეგ. ასევე უნდა წარმოედგინათ სხვადასხვა კერძების რეცეპტები, შეეკეთებინათ უთო, გაეწმინდათ შუშა და სხვა.

თამაშის მონაწილეებს ვეუფლებით ჯგუფებად. ყოველ ჯგუფში შედიოდა ბიჭებისა და გოგონების თანაბარი რაოდენობა. ჯგუფის თითოეულ წევრს ეძლეოდა თავისი ბარათი. ეს ბარათი, ერთი მხრივ მეგზურის როლს ასრულებდა, ხოლო, მეორე მხრივ, მისი საშუალებით ხდებოდა თამაშის მონაწილეთა საოჯახო შრომითი საქმიანობის შეფასების ქულებით გამოხატვა. ბარათში რიგის მიხედვით ნაჩვენები იყო კაბინეტები. მაგალითად, თუ №1 ჯგუფის ბარათში ნაჩვენები იყო, რომ ამ ჯგუფს მოგზაურობა უნდა დაეწყო №1 კაბინეტიდან, №2 ჯგუფის ბარათი უჩვენებდა, რომ მოგზაურობა უნდა დაეწყოთ №2 კაბინეტიდან და ს.შ. ამან თამაშის ორგანიზებულად ჩატარების საფუძველი შექმნა. თამაშის ორგანიზაციულმა მხარემ, იმან, რომ ამ თამაშს თავისი აღმზრდელობითი ფუნქცია შეესრულებინა, მოითხოვა მასში ჩაგვერთო არა მხოლოდ ექსპერიმენტული ჯგუფის კლასის ხელმძღვანელები, არამედ მასწავლებლებიც და მშობლებიც (რა თქმა უნდა, მამებიც). თვითოეული კაბინეტისათვის მასწავლებელთა და მშობელთა წარმომადგენლებისაგან შეიქმნა ჟიური.

ჯგუფები თამაშის დროს კლასიდან კლასში გადადიოდნენ. №1 ოთახში ასეთი დავალება ეძლეოდათ: ჯგუფის თითოეულ წევრს უნდა დაეწერა თხზულება თემაზე – "რატომ მოსტაცა პრომეთემ ზევსს ცეცხლი?" ამ დავალების მიზანს შეადგენდა ცეცხლის, როგორც კერის მნიშვნელობის, მატერიალურ და სულიერ მოთხოვნილებათა ერთიანობის გააზრება მოსწავლეთა მიერ. ვინც უფრო მეტად მიუახლოვდებოდა დავალების მიზანს, გახსნიდა ცეცხლის, როგორც კერის შინაარსს, მის მნიშვნელობას, გამოამჟღავნებდა გარკვეულ ცოდნას ადამიანის მატერიალურ და სულიერ მოთხოვნილებათა შორის კავშირის შესახებ, - ჟიური ქულებით გამოხატულ შესაბამის აღნიშვნებს აკეთებდა მოსწავლეთა ბარათებში, რის საფუძველზეც შემდეგ გამოჰყავდა ჯგუფის საერთო საშუალო მაჩვენებელი. №1 კაბინეტს სხვა ჯგუფი იკავებდა, ხოლო წინა ჯგუფი №2 ოთახში გადადიოდა. აქ თამაშის მონაწილეებს ღილებს აჭრიდნენ. ღილების სწრაფად და ხარისხიანად მიკერებში შესაბამისი ქულები იწერებოდა. №3 კაბინეტში თამაშის მონაწილეებს ურიგდებოდათ

კითხვარი. მაგალითად, რა ღირს ერთი კილოგრამი შაქარი. შავი, რუხი, თეთრი პური. №4 ოთახში ელექტრო უთო იყო შესაკეთებელი და ს.შ. ვცდილობდით, პრაქტიკული ხასიათის დავალების თეორიული შენაცვლებოდა.

საოჯახო შრომისადმი პოზიტიურად განწყობილი მოსწავლეები დიდ ყურადღებას ამჟღავნებდნენ, ჯგუფის წევრების საქმიანობის შედეგებისადმი ინტერესს იჩენდნენ, მუშაობდნენ ხალისით, მხიარულად. მათი ნამუშევარი გამოირჩეოდა ხარისხით, ცდილობდნენ, დავალება რაც შეიძლება სწრაფად შეესრულებინათ.

საოჯახო შრომისადმი ინდიფერენტულად განწყობილნი არ ამჟღავნებდნენ შრომისადმი ინტერესს, დიდ დროს ანდომებდნენ ამა თუ იმ დავალების შესრულებას, მუშაობდნენ უგერგილოდ, დროს ხუმრობაში ატარებდნენ და ჩიოდნენ, რომ დაიღალნენ.

მესამე ჯგუფის მოსწავლეები – საოჯახო შრომისადმი ნეგატიურად განწყობილნი, ყოველმხრივ ცდილობდნენ, რაც შეიძლება შეემცირებინათ დავალების მოცულობა, მუშაობდნენ უხალისოდ და უხარისხოდ, არ აინტერესებდათ თუ რა შეხედულებისა იყვნენ მათ შესახებ ამხანაგები, მასწავლებლები და მშობლები.

საოჯახო შრომისადმი ნეგატიურად განწყობილ მოსწავლეებზე დაკვირვებამ დაგვანახა ზოგიერთი ის მიზეზი, რამაც განაპირობა ასეთი დამოკიდებულება საოჯახო შრომისადმი. სახელდობრ, მათ არ აღმოაჩნდათ საოჯახო შრომის პრაქტიკული უნარ-ჩვევები, არა აქვთ გამომუშავებული სწორი შინაგანი დამოკიდებულება ოჯახი წევრების მიმართ. ყველაზე მეტად იმ გარემოებას უნდა მიექცეს ყურადღება, რომ საოჯახო შრომისადმი ნეგატიურად განწყობილი მოსწავლეებიდან ბევრს მაღალი აკადემიური წარმატება აქვს. ეს გარემოება იმაზე მიუთითებს, რომ მშობლებს შეცდომა აქვთ დაშვებული: ისინი თვლიან, რომ მათი შვილების ძირითადი მოვალეობაა კარგად სწავლა. ასეთმა მოსწავლეებმა შეიძლება შეასრულონ ესა თუ ის დავალება, მაგრამ არ გამოდიან ოჯახისა და საზოგადოების ინტერესებიდან, დავალებას ასრულებენ იძულებით, ან მხოლოდ საკუთარი კეთილდღეობის მიზნით. ამიტომ მათი შრომითი საქმიანობა ფორმალურ ხასიათს ატარებს. მოსწავლემ შეიძლება იცოდეს ის მორალური მოთხოვნა, რომ დედას უნდა დაეხმაროს, შეიძლება კიდეც მოიქცეს ამ მორალური მოთხოვნის შესაბამისად.მაგრამ როგორც კი იპოვის საშუალებას (დღეს ბევრი გაკვეთილი აქვს, ხვალ საკონტროლო სამუშაო უნდა შეასრულოს და ა.შ.) მეისვე დაარღვევს ამ მორალურ მოთხოვნას. ცოდნა აუცილებელი სტიმულია აქტივობისთვის, მაგრამ იგი არა საკმაო პირობაა. მხოლოდ შეგნების შეერთება ცოდნასთან, გრძნობასთან, მხოლოდ განცდილის შეგნება არის აქტივობის აუცილებელი და საკმაო პირობა. 'სნეობრივი რწმენა განსაზღვრავს პიროვნების ქცევის მოტივს, მის მიმართულებას. მოტივები, აღნიშნავს ს. ლეონტიევი,[6] ასრულებენ ორმაგ ფუნქციას: პირველი, ისინი აღძრავენ და წარმართავენ მოქმედებას, ხოლო მათი მეორე ფუნქცია ის არის, რომ ისინი მოქმედებას აძლევენ სუბიექტურ, პიროვნულ აზრს, ე.ი. თუ მოტივები, ერთი მხრივ "წარმმართველი მექანიზმის" როლში გამოდიან, მეორე მხრივ, პიროვნების გამოცდილების "აკუმულატორს" წარმოადგენენ.

[6] Леонтьев А.Н. Потребности, мотивы и сознание, сб. XVIII Межд. психологический конгресс «Проблемы общей психологии», т. 2, с. 25.

მოტივი ყოველთვის რაღაც მი'სანთანაა დაკავშირებული. ესაა მოტივის საკონტრიბიი შინაარსი, რომელიც მი'სნის მიღწევისათვის ადამიანის ძალებს მობილი'ზებას უკეთებს.

მოტივი როგორც პიროვნების გამოცდილების "აკუმულატორი", ადამიანის ქცევას აძლევს პიროვნულ ა'ხრს. ეს გარემოება საოჯახო ცხოვრებაში იმა'ზე მიუთითებს, რომ აღ'ხრდის შედეგად:

1. ოჯახის მოთხოვნები გადაიქცევიან თვითბრძანებად, თვით'შეფასებად, თვითკონტროლად;
2. ოჯახის გეგმები და მი'სნები (მათ შორის სამეურნეო) დაუკავშირდებიან
   ოჯახის წევრების სწრაფვას თვითდამტკიცებისა და პრესტიჟის მოპოვებისათვის ოჯახში;
3. ოჯახის თითოეული წევრი თავის მოქმედებას წარმართავს ოჯახში ზნეობრივი ატმოსფეროს შესაქმნელად, რასაც ურთიერთდახმარებითა და მხარდაჭერით გამოხატავს.

როგორც ანკეტური გამოკითხვის, ისე თამაში-'შეჯიბრის შედეგების საფუძველ'ზე იმ დასკვნამდე მივედით, რომ მი'ზან'შეწონილია საოჯახო შრომით აღ'ხრდაში დაშვებული შეცდომები გამოსწორებულ იქნას მხოლოდ მოსწავლეებისადმი დიფერენცირებული მიდგომის გ'ზით. ამ მი'ზნით, ჩვენ ეცადეთ გამოგვეყენინა ის მოტივები, რომლებითაც ხელმძღვანელობენ უფროსკლასელები საოჯახო შრომითი საქმიანობისას. როდესაც უფროსკლასელის ზნეობრივი პო'ზიციის ფორმირებაში ესოდენ დიდ როლს ვანიჭებთ საოჯახო შრომას, ამ შრომისადმი უფროსკლასელთა დამოკიდებულებას, ჩვენ გამოვდიეართ საერთოდ შრომის მექანი'ზმიდან. შრომა თავისი მექანი'ზმის მიხედვით ექსტრაგენურია. იგი არაა სიამოვნებით დაწყებული და ამ სიამოვნებისათვის განკუთვნილი პროცესი. "შრომითი ქცევისათვის ისაა დამახასიათებელი,რომ პრინციპულად იგი სუბიექტის აქტიური მოთხოვნილების იმპულსის გარე'შე მიმდინარეობს და ყოველ შემთხვევაში მის პროცესში შექმნილი ღირებულება ამ მოთხოვნილების კონკრეტული განსა'ზღვრულობის ფარგლებს შორდება: შრომა ობიექტური ა'ზრის, ობიექტური მნიშვნელობის პროდუქტს ქმნის."[7]

შრომითი სიამოვნება მხოლოდ შრომის შედეგია. "'შრომის შინაარსობრივი მხარე თავისთავად, ავტომატურად არ წარმოშობს შემოქმედებით დამოკიდებულებას შრომისადმი. ცნობილია შემთხვევები, როცა შემოქმედებითი პროფესიის ადამიანები უსულგულოდ ასრულებენ თავიანთ მოვალეობას, ჩვეულებრივი შრომის წარმომადგენლები კი ხალისით მუშაობენ, ავლენენ ინიციატივას, თავიანთ საქმიანობაში აქსოვენ დიდ ჰუმანისტურ ა'ზრს".[8]

იმისათვის, რომ უფროსკლასელის ცხოვრებისეული პო'ზიციის ჩამოყალიბებაში დიდი როლი შეასრულოს შრომამ, მისი ჩაბმა უნდა ხდებოდეს არა შრომის ერთ რომელიმე სახეობაში, არამედ, შეძლებისდაგვარად, ყოველგვარ შრომაში, იქნება ეს თვითმომსახურება, საყოფაცხოვრებო ხასიათის შრომა თუ სხვა.

[7] ლ. უ'სნაძე. ადამიანის ქცევის ფორმები, თბილისის უნივერსიტეტის შრ. ტ. XVII, 1941. გვ. 14

[8] Архангельский А., Формирование активной жизненной позиции, сознательного отношения к труду на благо общества – основная задача нравственного воспитания молодого поколения., журн. «Педагогика», 1997, №1, с. 97.

აღმსრდელობითი მუშაობის ეფექტურობა მნიშვნელოვნად დამოკიდებულია ამ პროცესის ორგანიზაციაზე, დიდაქტიკური მასალის მოძიებასა და გამოყენებაზე.

დიდაქტიკური მასალის გამოყენების პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური საფუძვლების გააზრებისას გასათვალისწინებელია ამ მასალის საობიექტივაციო შინაარსის წინ წამოწევა და ზნეობრივი ამოცანისა და კითხვების სახით მოსწავლეთა წინაშე დასმა.

განწყობის თეორიის მიხედვით, სუბიექტს არ ექნება აზროვნების, შემეცნებითი ქცევის განწყობა, თუ მასზე არ მოქმედებს გაურკვეველი, პრობლემური სიტუაცია და არ გაჩნია მისი გარკვევის, შემეცნების მოთხოვნილება.

იმ აქტივობით, რომელიც ხორციელდება ასეთი განწყობის ბაზაზე, კმაყოფილდება თეორიული მოთხოვნილება, რაც მიიღწევა პრობლემური მდგომარეობის მოხსნით. ამ დროს სუბიექტი "რაიმე ობიექტურ შინაარსს ამჩნევს და ერთხანს მასზე ჩერდება", საგნის ობიექტივაციას ახდენს. "ობიექტივაცია ობიექტივირებული შინაარსის მკაფიო და ცხადი გაცნობიერების შესაძლებლობას ქმნის."[9]

დიდაქტიკური მასალის სფეციფიკური ორგანიზაციის საშუალებით ვცდილობდით, მოსწავლეთა ცოდნა და გამოცდილება წინააღმდეგობაში მოსულიყო სინამდვილესთან. ამ წინააღმდეგობის დაძლევა ხდებოდა გონებრივი საქმიანობის ისეთი ხერხებით, როგორიცაა შედარება, ანალოგია, უარეყფა, განზოგადება, ანალიზი და სხვ. (კონკრეტულ პედაგოგიურ სიტუაციასთან დაკავშირებით დიდაქტიკური მასალის ასეთი ორგანიზაცია მეთოდის როლსაც ასრულებდა).

გთავაზობთ დიდაქტიკური მასალის სპეციფიკური ორგანიზაციის ნიმუშს.[10]

დიდაქტიკური მასალის საობიექტივაციო შინაარსის ამოცანის სახით დასმის **მიზანი:** სქესობრივი ცხოვრების, როგორც ცოლსა და ქმარს შორის მრავალმხრივი ურთიერთობის მომცველისა და არა მხოლოდ სექსის ფიზიოლოგიური გამოვლენის გაცნობიერება უფროსკლასელთა მიერ. იმ მოლოდინების გათვალისწინება, რომელიც დაკავშირებულია საოჯახო – სამეურნეო როლებთან, მეუღლეთა მიერ "პროდუქტიული სიყვარულის" (ე. ფრომი), მამაკაცური და ქალური ღირსების გამოვლენასთან.

მოსწავლეებს ურიგდებათ წერილების ასლები.

წერილი მეგობარს:

შენ მოხოვ გაგაგებინო რატომ წამოვედი სახლიდან, - ჩვენ ხომ ასე გვიყვარდა ერთმანეთი.

ერთად ცხოვრების მანძილზე სახლში იშვიათად გაკეთებულა საჭმელი. რომ არ იცი საჭმელის გაკეთება, ეს ეროვნია, მაგრამ მთავარი ისაა, რომ ***არ უნდა*** *რომ იცოდეს.*

როგორც იცი, მე არასოდეს ვიყავი იმის მომხრე, რომ ქალმა თავისი ცხოვრება სამზარეულოში ჩაკლას. მაგრამ ახლა ცოლს რომ ეთხოვლობდე, შეეამოწმებდი, შეუძლია თუ არა მას სადილის გაკეთება.

[9] დ. უზნაძე, ყურადღების არსის პრობლემისათვის, ფსიქოლოგია, ტ. 4, თბ., 1947. გვ. 146

[10] გ. სოროკინა, "ერბო-კვერცხი ხახეთ". ჟ. "სტუდენტური მერიდიანი", 1992. №8.

უკანასკნელად სახლში რომ მივედი. მაშინვე კარტოფილის გათლა დავიწყე. - ნაშუშული მინდოდა დაფრის ფოთოლთან და ბულგარულ წიწაკასთან ერთად.საწებლით. ლიამ კი,ნაცვლად იმისა,რომ გახარებოდა და გვერდში ამოამდგომოდა, შემომთავაზა: ნეტავი შენ, მოხარშე და ეგ იქნება, არ გენანება დრო, მოდი გამოფენაზე წაიღეთო. მე ვეღარ მოვითმინე და მივახალე: მომბეზრდა შენი სულიერი საზრდო, წაბრძანდი სადაც გენებოს-მეთქი. ეროი სიტყვით, გავმსცდი. აღარაფრის მოსმენა აღარ მინდოდა. კარი გამოვიჯახუნე და წამოვედი. (ვახტანგი)

წერილი მეგობარს:

მიჭირს აგიხსნა რატომ წავიდა ვახტანგი ნემგან, - ნვენ ხომ ძალიან გვიყვარდა ერთმანეთი. ყველაფერში დამნაშავეა ერბო-კვერცხი ხასეით, რომელიც მან რამდენიმე დღის წინ ნვენს მეგობართან ჭამა.

შენ ხომ იცი, ვახტანგი სულაც არ იყო ისეთი კაცი რომელიც ნემგან სამზარეულოსაოვის თავის შეწირვას მოითხოვდა. რას ეჭამდით? ყველი, კარაქი, ძეხვი, ნაი, კონსერვები. ნვენ ხომ შეეთანხმდით, როცა ვქორწინდებოდით, რომ საჭმელი კულტად არ გვექცია. მაგრამ ეს მაშინ, ახლა კი რამდენჯერმე მაგრძნობინა, რომ მოვნატრა "ბორშის" სუნი და გემო. როგორ მოვიფიქრებდი, რომ მიმატოვებდა რაღაც ხახვიანი ერბო-კვერცხისოვის. წასელის წინ მომახალა: ნუთუ ვერა გრძნობ, რომ ნვენი სახლი თიოქოს გაცივდა, ინტიმი კი გაუფერულდა. იგი თელის, რომ კვების, სამზარეულოს კულტურა თვით ადამიანის კულტურის დონეზე მეტყველებს. (ლია)

მოსწავლეები იყოფიან ხუთკაციან ჯგუფებად. მათ ევალებათ პასუხი გასცენ ამ წერილებს, რა გამოსავალს მოძებნიან, რას ურჩევენ ლიასა და ვახტანგს, მათი მეგობრები რომ იყვნენ.

წერილების პრეზენტაციის შემდეგ, მასწავლებელი სვამს კითხვას: მაშ ასე, ახალგაზრდა კაცმა ჭამა-სმა კონფლიქტის საგნად აქცია, იქნებ ასეთები გამონაკლისები არიან? შეიძლება კაცი სახლიდან გაიქცეს იმის გამო, რომ ცოლს არ უყვარს სამზარეულო? ან იქნებ კაცი ოჯახის უფროსად მიიჩნევს თავს?

ვინ უნდა მართავდეს ოჯახს? აი ის პირველი კითხვა, რომელმაც განსაზღვრა დისპუტის ხასიათი და მსვლელობა.

ლევანი: *რა თქმა უნდა, მამაკაცი, რადგან იგი, როგორც ფიზიკურად, ისე ეკონომიურად ძლიერია.*

თამარი: *ოჯახში უფროსობისთვის, ეკონომიკური მხარე არ უნდა იყოს გადამწყვეტი: ეთქვათ მდიდარია, მზითვეი აქვს, ან მუშაობს და ანაზღაურებაც ქმარზე მეტი აქვს, მაშინ რა, ის უნდა იყოს ოჯახის უფროსი?*

მზია: *ყველაზე კარგი გამოსავალი ის არის, რომ არც ერთი მათგანი არ უნდა ცდილობდეს,არ უნდა ამყაროენებდეს ლიდერობის სურვილს. თვით ცხოვრებამ, ამა თუ იმ საოჯახო პრობლემისადმი მიდგომამ უნდა წარმოაჩინოს ოჯახის ლიდერი. ასეთ შემთხვევაში ხან ცოლი იქნება ლიდერი, ხან ქმარი.*

ქეთინო: *რატომ ეკამათობთ? ნებისმიერ ნვენგანს, ბიჭს თუ გოგოს, რომ გვკითხონ, ვინ არის თქვენს ოჯახში უფროსი, ეუპასუხებთ, მამა. იქნებ ეს ტრადიციის გაელენაა? მაგრამ ისიც ხომ კარგად ეიცით, ხოგჯერ მეფე მეფობს, მაგრამ არ მართავს. ნვენს ოჯახებშიც უმეტესად ასეა:*

მამა ლიდერობს, მაგრამ დედა მართავს, რადგან მთელი საოჯახო-სამეურნეო საქმე მას აწევს მხრებზე.

ლეილა: *ამას ისიც ემატება, რომ ქალი ოჯახში "ფინანსთა მინისტრია".*

ნინო: *სიყვარულის გვერდით ასეთი საკითხების დაყენება, ხომ არ აებრალოებს მას; სიყვარული ხომ სულიერია, რაღაც პაროვანი, კოსმიური.*

ნუგზარი: *მართლაც, ასეთი გამოთქმა რომ ვიხმაროთ: - "ცოლქმრული სიყვარულის მაჩვენებელი", "საოჯახო ცხოვრების მაჩვენებელი", - აი ამ მაჩვენებელში უნდა ეკავოს თუ არა რაიმე ადგილი ჭამა-სმაზე ფიქრს, ზრუნვას, სადილის გაკეთებას.*

ვაჟა: *თქვენ სულიერსა და მატერიალურს, ადგილს ვერ უძებნით. ჭამა-სმა სიყვარულის გვერდში კი არა, მის წინ უნდა დავაყენოთ. განა შეიძლება მშიერი კუჭით სიყვარული? განა ამ სიყვარულისთვის არ უნდა აკეთებდეს ქალი გემრიელ სადილს?*

თინიკო: *მაშ ჯერ გემრიელი საჭმელი, რომელიც მაინც და მაინც ქალმა უნდა აკეთოს სიყვარულისთვის?!*

თენგიზი: *ასეთმა მიწიერმა სულაც არ უნდა შეგეშინოს. ვახტანგიც ისე ფიქრობდა როგორც ლია, - საჭმელი კულტად არ უნდა ექციათ, მაგრამ არ გამოვიდა. აქამდე ისინი ხომ დედის ოჯახში ცხოვრობდნენ, იქ ხომ კეთდებოდა სადილი, ხომ მოსწონდათ. ესე იგი, იქ სხვა აკეთებდა სადილს.*

ლევანი: *ვახტანგი იმაშია დამნაშავე, რომ მას საერთოდ არ უნდა გაეკეთებინა საჭმელი.*

გია: *ვახტანგმა, ალბათ, იმიტომ მოკიდა ხელი საჭმლის გაკეთებას, რომ ამით ახალგაზრდა ცოლს აგრძნობინა, - სახლში გაკეთებული საჭმელი გემრიელი და ეკონომიურია და შენც უნდა გააკეთო.*

ლია: *იქნებ არ იყვნენ ეკონომიურად ისეთ დონეზე?*

ნოდარი: *დაეუშვათ არ იყვნენ. იმ სადილის გაკეთებას სახლში მაინც თავისი დანიშნულება აქვს. ჯერ ერთი გემრიელია, და მეორეც, რაღაც სითბოთი და სიმყუდროვით აკავებს ოჯახს. ვახტანგიც ხომ ამბობს: მომბეზრდა სასადილოში სადილი, ძეხვი და კონსერვები. თითქოს უმნიშვნელოა, მაგრამ ერბო-კვერცხი ხახვთან და პამიდორთან, უკვე სულ სხვაა.*

თამრიკო: *ასე გემრიელად რომ ეწყვნებათ მამაკაცებს შინ გაკეთებული სადილი, რატომ არ აკეთებენ თვითონ? რატომ ეძნელა ვახტანგს დაფნის ფოთოლთან ნაშუშული კარტოფილის გაკეთება? რატომ გავარდა სახლიდან ამის გამო? მე ძალიან მომეწონა პოეტ ია სულაბერიძის ლექსი "მუქარა". სეპირად ვიცი:*

ვარ გადაცმული დიასახლისად,
ედიასახლისობ: ერეცხავ, ვამზადებ,
ვაუთოებ და ვაკეთებ ფაქიზად,
თან გემუქრები: ცოტა მაცადე!

შენ რომ გგონივარ რამის მაქნისი,
ეს – თავს გაჩვენებ რამის მაქნისად,
რისი – რომელი დიასახლისი!
გადაცმული ვარ დიასახლისად!

გადაცმული ვარ, როგორც
წენეთელი
(ის: ქალი – ლომად, მე ლომი
– ქალად),
მოხეტიალე და მუშკეტერი,
მუშკეტს, წინსაფრის კალთის
ქვეშ ვმალავ.

ცოტა მაცადე! თუ დასრულება

ამ უცხო როლის დმერთმა მაღირსა!..
არ გაეწინილვარ მე ამ როლისთვის
– დრეიტიო შეგრჩი დიასახლისად!

ქეთინო: *ჩემი აზრით, აქ მთავარი ისაა, რომ თუ მამაკაცი ცდილობს საოჯახო საქმეში მოგეხმაროს, შენ, ქალი რომ გქვია, უნდა გაგიხარდეს და ერთად სადილის გაკეთების სურვილი კაცს არ უნდა ჩაეკლა. ერთხელ, ორჯერ თუ გაუჩნდა მამაკაცს ასეთი სურვილი, მერე ალბათ შეილებიც მიბაძეენ. ეს ხომ ბედნიერებაა!*

გიორგი: *მე ვიცნობ ერთ ძალიან კარგ ოჯახს. მამაკაცი მთლიანად უზრუნველყოფს ოჯახს, ქალი კი დიასახლისია. ასეთ ოჯახებში, ეყიქრობ ლაპარაკიც არაა იმაზე, ქალი იყოს ლიდერი თუ კაცი, ქალმა აკეთოს სადილი თუ კაცმა.*

ზაზა: *ჩვენ ხომ ისეთ ოჯახებზე ელაპარაკობთ, სადაც ქალიც მუშაობს და კაციც.*

შოთა: *ასეთ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, მთელი სამეურნეო საქმე ქალს არ უნდა აწევს მხრებზე და მაშინ არც უფროსობის პრეტენზია გაუჩნდება. მამაკაცი უნდა დაეხმაროს, ოღონდ გაახნია რაში, ან როგორ მიიღებს ქალი ამ დახმარებას? ზოგიერთი ცოლი ცდილობს ყველაფერში ქმარი დაიხმაროს, დაეხმარება და... დაეწუნებს. მაგალითად, არ მიმანნია სწორად კაცი ჭურჭელს ან სარეცხს რეცხავდეს. ჩემი აზრით, კაცს მეტი ხელფასი უნდა ჰქონდეს და ეს "მეტი" ოჯახმა დახარჯოს სარეცხის გასარეცხად, იატაკის მოსაწმენდად და სხვა.*

მზია: *როგორ ფიქრობ, რა იდეალური პირობებიც უნდა შეექმნას ქალს საყოფაცხოვრებო მომსახურებამ, განა ოჯახში საქმე გამოილეკა? თვითმომსახურებას, ბავშვების აღზრდას რას უსამ? განა რომელიმე თქვენთაგანზე ნაკლებია არნოლდ შვარცენეგერი? ახლა იგი კალიფორნიის შტატის გუბერნატორია, მაგრამ სიამოვნებით აცხადებს: "ბავშვებისთვის დრო არ უნდა შეეკანოს, გეჭიროს ბავშვი ხელში, ისმენდე მის ტირილს, უცელიდე საფენებსაც კი, - ეს ხომ უდიდესი სიამოვნებაა. თუმცა ცოლი მეუბნეოდა ხოლმე, რომ არასოდეს ამ საქმეს კარგად არ ვაკეთებდი." ისიც წარმოიდგინეთ, რომ პოპულარულ მსახიობს ოთხი შვილი ჰყავს.*

თინიკო: *რა პირობებიც შეიქმნება ოჯახში, ისე უნდა მოიქცეს მამაკაცი, ისე უნდა მიეხმაროს ცოლს. ეს მამაკაცის დამცირებად სულაც არ მიმანნია. როცა მამაკაცი წელილს შეიტანს საოჯახო შრომაში, ბავშვების აღზრდაში, ქალს მეტი დრო დარჩება თავისი შესაძლებლობების გამოსაყენენად. და თუნდაც, ქმრისადმი, ყურადღებისა და სითბოს გამოჩენისათვის.*

გიორგი: *რა თქმა უნდა, მამაკაცი უნდა ეხმარებოდეს მეუღლეს ბავშვის გაზრდაში – ასეირნოს, წაიყვანოს ბაღში, თუ დედა შინ არ არის აჭამოს, გამოუცვალოს კიდეც, მაგრამ თუ შინ არის რატომ უნდა აკეთოს მისთვის შეუფერებელი საქმე?*

ვახტანგი: *მართლაც, ამაზე მეტი არც უნდა მოითხოვის ქალმა და საერთოდ, ცოლისა და ქმრის ურთიერთობაში, სამსარეულოს, კულინარიას, გადამწყვეტი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს. სიყვარულს უფრო მეტად სულიერი საზრდო სჭირდებაო.*

მასწავლებელი: *მაგრამ რატომ დამკვიდრდა ხალხში გამოთქმა: "სიყვარულის გემი საყოფაცხოვრებო წვრილმანებში დაიმსხვრაო".*

ლელა: *კი მაგრამ, სულიერს ყოველთვის მატერიალური უძღოდა დასაბამიდან. ლბათ, ამიტომ მიაქციეს ადამიანებმა ასეთი დიდი ყურადღება კულინარიას, სამსარეულოს, ამიტომ შეიქმნა მითები და ლეგენდები კვების პროდუქტებზე.*

ქეთინო: *ლელა, ადამიანმა ცეცხლზე ჯერ მწვადი შეწვა, რომელიც ძალიან გემრიელი ენვენა უმ ხორცთან შედარებით, შემდეგ კი თიხა გამოწვა, რკინა დაიურვა.*

ნოდარი: *რად გვინდა ასე შორს წასელა, ლამაზი სიტყვები? ჩვენ გვერდს ვუყლეთ მთავარს – რა არის ემანსიპაცია?*

გიორგი: *ყოველ შემთხვევაში,ემანსიპაცია სულაც არ ნიშნავს ქალის დიასახლისობიდან განთავისუფლებას.*

ქეთინო: *ერთია ყოველგვარი წვრილმანი: დასუფთავება, სადილზე, საუზმესა და ვახშამზე ზრუნვა, მომზადება, მეორე – დიასახლისობა. დიასახლისობა მე ასე მესმის: ოჯახში წესრიგის გამგებელი.*

მზია: *ქალი დიასახლისობას მაშინ შესძლებს თუ საოჯახო შრომაში ყველა თავის წელილს შეიტანს. ხომ არიან მზარეული მამაკაცები? ხომ წმენდენ კაცები მანქანის მინებს? მაგრამ ისინი ოჯახში არც სადილს აკეთებენ და არც ფანჯრის მინებს ასუფთავებენ.*

თენგიზი: *ბევრ რამეში დედები არიან დამნაშავეები – სულ წუწუნებენ, ვერ აკუდიეართ საქმესო. გესაკვედურობენ, - აი ახლაც თავი მტკივა, მაგრამ თქვენ თუ გიყურეთო... არ მოსწონთ ჩვენი გაკეთებული. ამის შემდეგ შეიძლება მიეხმაროთ, მაგრამ იძულებით, უხალისოდ.*

პაატა: *ჩვენს ოჯახში სტუმრების წასელის შემდეგ, მაგიდის ასალაგებლად დედას მარტო არასოდეს ვტოვებთ: ბოთლებს ვაგროვებთ, მაგიდასა და სკამებს თავის ადგილზე ვდგამთ. ქნრებ, ეს უმნიშვნელო საქმეა, მაგრამ მთავარი ისაა, რომ დედა არ არის მარტო.*

თინიკო: *მეც ასეთი აზრი მაქვს, სულაც არ არის საჭირო, კაცმა წინსაფარი აიფაროს და ჭურჭელი რეცხოს. ამით ის თითქოს მცირდება კიდეც ჩემს თვალში, მაგრამ უფრო დამამცირებელია კაცისთვის, როცა ტახტზე ნებიერობს, ან ტელევიზორს უყურებს, ქალი კი ამ დროს საოჯახო საქმეში იხრჩობა. თუ მოისურვებს გამოძებნის კიდეც ამ ზღვა საქმეში სათავისო საქმეს.*

ნატო: *გეთანხმები. მამაკაცი უსაქმოდ არ უნდა იჯდეს, მაგრამ რატომ მაინც და მაინც თავისი შესაფერისი საქმე უნდა მოძებნოს? იქნებ ოჯახში ჩვილი ბავშვია, დედა ხომ სულ მასთან უნდა ტრიალებდეს? როგორ, კაცს ლობიოს გაკეთება ან ერბო-კვერცხის შეწვა მაინც არ უნად შეეძლოს? იქნებ ჩვილი ბავშვის საწოლთან თეთრად გათენებული ღამეები, მასზე გაუთავებელი ზრუნვაც დიდ როლს ასრულებს დედაშვილურ სიყვარულში? იქნებ ეს ამაგი განაპირობებს იმას, რომ გაყრის შემდეგ შვილებს თუნდაც სრულიად უქონელი დედა ფიზიკურად და ეკონომიკურად ძლიერ მამას ურჩევნიათ?*

რუსუდანი: *იქნებ ეკონომიკური სიძლიერით აიხსნება ის, რომ ქართველ ქალს შეეძლია დიდსულოვნად აპატიოს ღალატი ქმარს? მაგრამ ესეც ხომ ქალის უფლების შელახვაა?*

დასკვნაში მასწავლებელი აეითარებს აზრს იმის შესახებ, რომ ოჯახური ურთიერთობა მრავალმხრივია და წყვილთა შორის ურთიერთობა არ არის მხოლოდ სექსის ფიზიოლოგიური გამოვლენა. თუ ქმარი კრავად არის გაზრდილი, იგი გაინაწილებს საოჯახო საქმეს და, თუ ქალიც კარგი გაზრდილია, ამას მადლიერებით გამოხატავს. ასეთ შემთხვევაში ორივე პარტნიორი დარწმუნდება იმაში, რომ ეს ურთიერთსრულვის, სიყვარულის გამოვლენაა და ოჯახს, როგორც ერთობას განამტკიცებს.

განსაკუთრებული ყურადღება მიეაქციეთ კოლექტიური ანალიზის მეთოდებს. ამ მეთოდების ამოცანა მდგომარეობს ჯგუფური მუშაობის ორგანიზაციაში, ჯგუფისა და თითოეული წევრის მართვაში. ასეთი მუშაობის შედეგად მიღებული ცოდნა მოიცავს ჯგუფის წევრთა როგორც წინარე, ისე ჯგუფში მიღებულ პირად გამოცდილებას, თვითშეცნობას, საკუთარი შეხედულებების, აზრების, გრძნობებისა და განცდების განსჯას.

სანიმუშოდ მოგვაქვს მტკიცებაითა რანჟირების მეთოდი.

წინასწარ დამუშავებულია ქალისა და მამაკაცის ურთიერთობაში რაიმეს მტკიცების ან უარყოფის დებულებები:

- ქალის ბუნებიდან გამომდინარე, მისი სიყვარული უფრო ძლიერია და უძლებს დროს.
- მამაკაცის სიყვარულში ფიზიკური სწრაფვა უმთავრესია.
- ქალმა სიყვარულისთვის ყველაფერი უნდა აიტანოს, ღალატიც კი.
- ქალები ბუნებით უფრო დამთმობნი არიან.
- მამაკაცი სიყვარულშიც კი თავკაცობას ამჟღავნებს.
- ქართულში ცნება "მამაკაცის" გვერდით უნდა დამკვიდრდეს "დედაკაცი".
- სიყვარული თავის თავში სექსს გულისხმობს.
- სექსი უსიყვარულოდ ცხოველურია.
- ქორწინებამდე და ქორწინების შემდეგ სიყვარული სხვადასხვაა.
- სიყვარულს ოჯახი აუფერულებს.
- სიყვარულს ოჯახი განამტკიცებს.

წინასწარ კლასში სხვადასხვა მხარეს გამოიკვრება პლაკატები წარწერით "მთლიანად ვეთანხმები", "არ ვეთანხმები", "ვმერყეობ".

მოსწავლეთა ინტერესის გაღვიძების მი'სნით, მასწავლებელი, მოსწავლეებს ყველა მტკიცებას აცნობს. შემდეგ თითოეულ მტკიცებას უნდა მოყვეს დრო განსჯისათვის, რათა მოსწავლეებმა თავიანთი ადგილი დაიკავონ პლაკატებთან. ასე ბუნებრივად მივიღებთ ჯგუფებს. მასწავლებელი თითოეული ჯგუფიდან ერთ ან ორ მოსწავლეს თავისი პოზიციის დასაბუთებას სთხოვს. სხვა ჯგუფის წევრები შეკითხვებს აძლევენ. კითხვა-პასუხი იმპროვიზირებული დისპუტის სახეს ღებულობს.

დასკვნაში ხაზი უნდა გაესვას როგორც ქალის, ასევე მამაკაცის ზნეობრივ ღირსებებს. ისეთ ღირსებებს, რომლის გამოვლენა ნებისყოფას, სულის შრომას მოითხოვს.

ვარჯიშის, ცოდნის განმტკიცების მიზნით, მოსწავლეებს შეიძლება შეეთავაზოთ სიტუაციის გათამაშება.

მიზანი: ქალისა და მამაკაცის ბიოლოგიური და სოციალური სქესის გაცნობიერება.

სიტუაცია: ახალგაზრდა ცოლ-ქმარს დიდხანს არ უჩნდებოდათ ბავშვი. ჯადოქარმა დაამშვიდა ისინი და უთხრა: მხოლოდ მაშინ გაუჩნდებოდათ ბავშვი, როცა გულდასმით გადაწყვეტდნენ, ბიჭი უნდოდათ თუ გოგო. შემდეგ უნდა დაესაბუთებინათ არჩევანი.

მინდა ბიჭი მყავდეს, იმიტომ რომ:

ს)

ბ)

გ)

მინდა გოგო მყავდეს, იმიტომ რომ:

ს)

ბ)

გ)

შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს წარმოადგინონ ქალისა და მამაკაცის ბიოლოგიური და სოციალური სქესის დახასიათება.

დასკვნაში უნდა განვითარდეს აზრი იმის შესახებ, რომ ბიოლოგიური სქესი შეუცვლელია. ამიტომ არიან ქალი და მამაკაცი ერთმანეთზე დამოკიდებული და მათ შორის თანასწორობის საფუძველიც ესაა.

"გამოსახა უფალმა ღმერთმა ადამი (კაცი) მიწის მტვრისაგან და შთაბერა მის ნესტოებს სიცოცხლის სუნთქვა და იქცა ადამი ცოცხალ არსებად". ასე შეიქმნა პირველი კაცი – ადამი, კაცობრიობის მამა.

გავიდა დრო და ღმერთმა ბრძანა: "არ ვარგა ადამის მარტო ყოფნა, გაკუსენ შემწეს, მის შესაფერს". ასე შეიქმნა პირველი ქალი – ევა, კაცობრიობის დედა.

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ეკითხულობთ: შესაფერი – სათანადო, ღირსი, სწორი.

ქალისა და მამაკაცის ტოლფასოვნებასა და თანასწორუფლებიანობაზე მიგვანიშნებენ ბიბლიაში ჩაწერილი შემდეგი ღებულებები:

"ქმარი ჯეროვან პატივს მიაგებს ცოლს, და ასევე ცოლი – ქმარს. ცოლი კი არ არის საკუთარი სხეულის უფალი, არამედ ქმარი; ასევე ქმარიც როდია თავისი სხეულის უფალი, არამედ ცოლი".

"არც კაცია ქალის გარეშე და არც ქალი კაცის გარეშე, უფლის მიერ. რადგან, როგორც ცოლი ქმრისგან არის, ისე ქმარი – ცოლისგან, ხოლო ყველაფერი ღმერთისაგან".

ჯერ კიდევ XII საუკუნეში ითქვა რუსთაველის საკაცობრიო მნიშვნელობის სიტყვები: "ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია".

ი. გოგებაშვილი წერდა: "პირველს კაცს ღმერთმა შეუქმნა ცოლი მისივე გვერდისაგან. პირველი ცოლი ღმერთმა ამ სახით იმიტომ შექმნა, რათა ცოლსა და ქმარს ერთმანეთი ისე უყვარდეთ, როგორც თავი უყვართ.

პირველ კაცს ღმერთმა უწოდა ადამი, ხოლო პირველ ქალს დაარქვა ევა".

პირველი კაცი, პირველი ქალი – ორი საწყისი, რომელთა შერწყმაზე ადამიანთა მოდგმის ბედია დამოკიდებული. ორი საწყისიდან არ შეიძლება ერთი უმაღლესი იყოს, მეორე - უმდაბლესი, ისინი თანასწორნი და ერთმანეთის შემავსებელნი არიან, მთლიანობას მხოლოდ ერთმანეთით ქმნიან.

სწრაფვა გამთლიანებისკენ, სიყვარული ორ საწყისს შორის ის მამოძრავებელი ძალაა, რომლის საშუალებითაც კაცობრიობამ აღმასვლა შეძლო.

ქალსა და მამაკაცს შორის ტოლფასოვნებისა და თანასწორობის პირველ მაგალითებს მოსარდი ოჯახში ხედავს.

სოციალური სქესი, მამაკაცისა და ქალის თავისებურებანი მათ მიერ შესრულებული როლების თვალსაზრისით, განპირობებულია არა მხოლოდ ფიზიოლოგიური განსხვავებულობით, არამედ ისტორიულად ეს თავისებურებანი ჩამოყალიბდა აღსრდით, ტრადიციებით, შრომათა იმ სახეებით, რომელსაც ასრულებდნენ მამაკაცები და ქალები.

დასკვნა

თანამედროვე საზოგადოებაში გენდერული პრობლემის გადაჭრისთვის აუცილებელია გაძლიერდეს მუშაობა ახალგაზრდობის საოჯახო ცხოვრებისთვის, დედობის, მამობის, მეოჯახის მოსამზადებლად, რაც უნდა დაეყრდნოს პედაგოგიურ, მეთოდოლოგიურ და ორგანიზაციულ საქმიანობას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Гендерные проблемы и развитіе, М., Изд. «Весь Мир», 2002.
2. შ. ნადირაშვილი, პიროვნების სოც. ფსიქოლოგია, თბ., 1975, გვ. 422.
3. Янкова З.А. Формирование личности в быту, в сб. «Социальные исследования», выпуск 7, М., 1981, с. 27.
4. გ. ლიგუა, სოციოლოგიური გამოკვლევები, კრებ. II, თბ., 1976, გვ. 240.
5. მარგარეტ რადხოლდი
6. Леонтиев А.Н. Потребности, мотивы и сознание, сб. XVIII Международный психологический конгресс «Проблемы общей психологии», т. 2, с. 25.
7. დ. უსნაძე. ადამიანის ქცევის ფორმები, თბილისის უნივერსიტეტის შრომები ტ. XVII, 1941, გვ. 14
8. Архангельский А., Формирование активной жизненой позиции, сознательного отношения к труду на благо общества – основная задача нравственного воспитания молодого поколения., журн. «Педагогика», 1997, №1, с. 97.
9. დ. უსნაძე, ყურადღების არსის პრობლემისათვის, ფსიქოლოგია, ტ. 4, თბ., 1947, გვ. 146
10. გ. სოროკინა, "ერბო-კვერცხი ხახვით". ჟ. "სტუდენტური მერიდიანი", 1992. №8.

Summary of the article "Gender and the Family-Roles" by Luisa Iremashvili and Qetevan Chiabrishvili

Problem of Gender in this research is viewed in relation with household-economic unction, and family roles of Men and Women. Students' orientations in the family nvironment and approaches to the family roles are studied. Some samples of anagement of pedagogical process of students' attitudes to these roles are described.

მედეა გოგსაძე

He & She - მარადიული დაპირისპირება?

პარლამენტარ ადა მარშანიას წინადადება პარტიულ სიებში ქალთა წარმომადგენლობაზე კვოტირების დაწესებაზე ოდიოზურად იქნა აღქმული როგორც ტრადიციების "მედროშე", ისე "ულტრაევროპული" ა'ზროვნებით მოკეკლუცე დეპუტატების მიერ. კანონმდებელნი ფრიად გახალისდნენ (რბილად რომ ვთქვათ!). რა იდგა ამ მხიარულების მიღმა – პარლამენტართა არაკომპეტენტურობა, თუ... გენდერული წარმომავლობის შიშები?.. შემოთავაზებულ ნაშრომში ამ ფრიად მნიშვნელოვან კითხვაზე პასუხის გაცემას შეეცდებით.

გენდერული ასიმეტრია ქართულ ცნობიერებაში

თავდაპირველად იდეის მომხრეებსა და მათ ოპონენტებს გავესაუბროთ.

1. SHE

ადა მარშანია (პარლამენტარი) – კვოტირება დროებითი ზომაა, რომელიც კონკრეტული მი'ნის მიღწევას გულისხმობს. ამ გამოცდილებამ მსოფლიო მასშტაბით გაამართლა. დარბაზის ქალიკი, კავკასიური მენტალიტეტიდან გამომდინარე, ნემოვის მოულოდნელი არ ყოფილა. ე. წ. "ახლის კულტი" საქართველო'ში მშვენიერ სქესს ოჯახის კონტექსტ'ში აქცევს, მაგრამ მისი სა'ზოგადოებრივ-პოლიტიკურ სიბრტყე'ზე დანახვა ძალ'ზე უძნელდება. გასათვალისწინებელია კონკურენციის შიშიც. მამაკაცებს აფრთხობთ ქალთა გააქტიურება პოლიტიკურ სარბიელ'ზე. სამწუხაროდ, მხარი არც ქალბატონებმა დამიჭირეს – რაში გეჭირდება რაღაც განსაკუთრებული პირობები, ინვალიდები კი არ ვართო. არავის გაუა'ზრებია ნემი წინადაება რაციონალურად. მართვა-ორგანი'საციაში ყოველთვის უნდა იყოს წარმოდგენილი სამყაროს ხედვის ქალური კუთხე, რომელიც, ძირითადად, გარემოს კეთილმოწყობა'ზეა ორიენტირებული. რა პრინციპებით ხელმძღვანელობს სანიმუშო დიასახლისი? ეს არის ოჯახის წევრთა კვება, ჩაცმა, ჰიგიენა, ჯანმრთელობა და განათლება'ზე ზრუნვა, საცხოვრისის მოწესრიგება, ურთიერთობის წეს-ჩვეულებათა ჩამოყალიბება და განათლება'ზე ზრუნვა, საცხოვრისის მოწესრიგება, ურთიერთობის წეს-ჩვეულებათა ჩამოყალიბება. იგივე პრინციპები ქალს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სარბიელ'ზე გადააქვს, რაც სახელმწიფოს კეთილმოწყობასა და სოციალ'ური პროგრამების განხორციელებაში ელინდება. ნებისმიერი ქვეყანა, სადაც ქალთა პოლიტიკური აქტივობა დაბალია, ამ კუთხით მოისუსტებს. შორს წასვლა არც დაგეჭირდება – საქართველო ამის მაგალითია.

ლელა გაფრინდა'შვილი (კავ'შირი "ქალების ინიციატივა თანასწორობისთვის") – ეს მოდელი რეკომენდებულია გაეროს ქალთა

დისკრიმინაციის კომიტეტის მიერ. სამწუხაროდ, ქალებს ახასიათებთ გაუცნობიერებელი პოლიტიკური ინერტულობა. სწორედ ისინი წარმოადგენენ პიარ-კამპანიათა ლოკომოტივებს,აწარმოებენ არჩევნებზე დაკვირვებას. აწესრიგებენ საზოგადოებასთან ურთიერთობას, მაგრამ ყოველივე ამას, ძირითადად, მამაკაცთა სასარგებლოდ აკეთებენ. საქართველოში მოქმედი მოდელის პირობებში, პოლიტიკაში წარმატებას მხოლოდ ფსიქიკის "მამაკაცური" სტრუქტურის ქალები აღწევენ. მაგალითად, ნინო ბურჯანაძის პროგრამაში არ არის წარმოდგენილი სოციალური პრობლემატიკა, სამაგიეროდ, აშკარად შეინიშნება აგრესიულ-მასკულინური მოტივაცია. იგივე მოდელი მოქმედებს აშშ-სა და დიდ ბრიტანეთში. ამის შედეგად მიიღეს მადლენ ოლბრაიტი და მარგარეტ ტეტჩერი. ეს უკანასკნელი ქვეყნის ისტორიაში ყველაზე აგრესიულ პრემიერ-მინისტრად აღიარეს.

ნანი ჭანიშვილი ("გენდერული განვითარების ასოციაცია") – როდესაც რეგიონებში შესწავლილ იქნა ადგილობრივი პრობლემატიკა, აღმოჩნდა, რომ საქართველოს მასშტაბით პრიორიტეტულია ქალის მონაწილეობა გადაწყვეტილების მიმღებ სტრუქტურებში. სწორედ ამ საფუძველზე შეკიმუშავეთ ხსენებული კანონპროექტი, რომლის წარდგენა ქალბატონმა ადა მარშანიამ ითავა. პირველ განხილვაზე უმრავლესობა პოზიტიურად განწყო, მაგრამ კენჭისყრა ვერ მოხერხდა. მერე იმუშავეს გარკვეულმა ძალებმა და მეორე განხილვაზე კანონპროექტი გააქილიკეს. მესამე მოსმენაზე ოპონენტებმა თავისი გაიტანეს და კანონპროექტი ჩავარდა. საგულისხმოა, რომ ნინო ბურჯანაძე თავიდანვე ეწინააღმდეგებოდა ამ იდეას. მიუხედავად ამისა, პრეცედენტი ძალზე მნიშვნელოვანია და ამ კუთხით ძალისხმევა გაგრძელდება.

2. <u>HE</u>

რომან გოცირიძე (პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის ხელმძღვანელი) – კვოტირების გზა ხელოვნურია და კარგს არაფერს მოგვიტანს. ქალთა ნაკლებ მონაწილეობას გადაწყვეტილების მიმღებ სტრუქტურებში კავკასიური მენტალიტეტი განაპირობებს. დააკვირდით, ვინ უსის საჭეს – არც ისე ბევრია ქალი. აქაც იგივე მექანიზმი მუშაობს. სამწუხაროდ, ასეთია რეალობა, რომელიც თანდათან, ბუნებრივად უნდა გამოსწორდეს.

რამაზ საყვარელიძე (პოლიტოლოგი) – ქალთა პოლიტიკაში მოსაზიდად კვოტირება გაუმართლებელია. წინსვლა მოხდება არა პიროვნული ღირსების, არამედ სქესობრივი ნიშნის მიხედვით, რაც პოლიტიკის ხარისხს გააუარესებს. არა მგონია, საქართველოში ქალებს მამაკაცებისგან დაცვა სჭირდებოდეთ. ნინო ბურჯანაძის ფეერული წარმატება ამის მაჩვენებელია.

ეს ორი პოზიცია წარმოადგენს მამაკაცთა ნეგატიური პოზიციის შედარებით უწყინარ გამოვლინებას. უმრავლესობის აზრი გამოიხატება შემდეგი ფრაზებით: "კი მაგრამ, სად მოუნახოთ ამდენი ჭკვიანი ქალი ერთად?" (!), "რა საჭიროა ეს მეტინრობა, ბოლოს და ბოლოს, ქალის საქმე ოჯახი და ქმარ-შვილია". აშკარაა, რომ ჩვენს ძვირფას მამაკაცებს ქალთა პოლიტიკური აქტიურობა, რბილად რომ ვთქვათ, არ ხიბლავთ. ამის საფუძვლები ისტორიულ მენტალიტეტშია საძიებელი. ცნობიერებისა და ყოფის პატრიარქალური მოდელის იდეოლოგიზაცია პირველად არისტოტელემ მოახდინა. მან პატრიარქალური ძალაუფლება მთელი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური სტრუქტურის ქვაკუთხედად გამოაცხადა. თომა აქვინელი (1227-1274) "მართვის საფუძველებში" ასაბუთებს, რომ პატრიარქალური ძალაუფლება იმანენტური ბუნებისაა და მისგან ორგანულად ყალიბდება სახელმწიფოებრივი მმართველობა. ჟან ბოდენი (1530-1596) თავის ნაშრომში "სახელმწიფოს შესახებ" დეკლარატულად ლაპარაკობს ქალური მმართველობის დაუშვებლობაზე. ყველა ამ პოზიციის საერთო ლაიტმოტივია ქალთა დისკრედიტაცია და მამაკაცური უპირატესობის დასაბუთება. ასე რომ, ჩვენი ძვირფასი ოპონენტების მსჯელობა, ისტორიული მიდგომის ტრანსფორმირებული ანარეკლია.

სიღრმისეული სოციალურ-ფსიქოლოგირი ანალიზი გვარწმუნებს, რომ ამ ნეგატივიზმის საწყისი გენდერული წარმომავლობის შიშებია.

"ნეკნის შიში"

1. "მტრის ხატი"

"ქალი ჯოჯოხეთის კარიბჭეა", – წერდა ტერტულიანე.

208 წელს კართაგენის საეკლესიო კრებამ ქალებს წერა-კითხვის სწავლა აუკრძალა – "სატანის მოკავშირის" ხელში განათლება მეტად სახიფათო იარაღიაო. 585 წელს მაკედონიის საეკლესიო კრებამ სრული სერიოზულობით იმსჯელა საკითხზე – ჩაითვალათ თუ არა ქალი ადამიანად. რა არი ეს, თუ არა პანიკური შიში მდედრობითი სქესის – "ბუას" წინაშე, რადაც გადაიქცა „მშვენიერი სქესი" პატერნალისტურ მსოფლმხედველობაში?

შიში იმის მაუწყებელია, რომ სუბიექტი ობიექტში აშკარა, ან ფარულ მუქარას გრძნობს. სწორედ ამ საფუძველზე ყალიბდება "მტრის ხატი". პატრიარქალურ იდეოლოგიას ახასიათებს ორი ტიპის დამოკიდებულება ქალის მიმართ – რადიკალურ-ნეგატიური და შედარებით შემწყნარებლური.

პირველის თანახმად, ქალი იმანენტური დამნაშავეა – მის შემოხვევაში უდანაშაულობის პრეზუმფცია არ მოქმედებს, ბორიტება მისი შეგნებული არჩევანია. ეს შეხედულება უკვე წარმართულ ეპოქაში იღებს დასაბამს: "ხმელეთსა და ზღვაში მობინადრე უცნაურ ცხოველთა შორის ქალი ყველაზე ამაზრზენი პირუტყვია", – ბრძანა კომედიოგრაფმა მენეკრემ. წარმართებს არც ეკლესიის მამანი ჩამორჩენენ: "ქალი მეგობრობის მტერი, საბედისწერო სასჯელია, მუდმივი ცდუნებაა, უბედურებაა, რომელიც სახლშიც თან გდევთ", – ასე დაშანთა იოანე ოქროპირმა ევას ასულნი.

შედარებით შემწყნარებლური მიდგომა ქალს ზნეობრივ ინვალიდად აცხადებს და "დიდსულოვნად" მიუტევებს "თანდაყოლილ" არასრულფასოვნებას: "ქალს არ ძალუძს კარგისა და ცუდის განსხვავება... ახალგაზრდა ქალში გათხოვების შემდეგ სულიერი შესაძლებლობები უკან იხევს და იგი პრიმიტიული ხდება", – შენიშნა პოლ იულუს მობიუსმა; "ჭკვიანი ადამიანი ქალს ჭკვიანი ბავშვივით უნდა მოექცეს: ეთამაშოს, იმხიარულოს მასთან ერთად, უძღვნას კომპლიმენტები, მაგრამ სერიოზულ თემებზე მასთან ლაპარაკი არ ღირს", – წერდა დორმერ სტენჰოუპი (XVII ს) თავის ფილოსოფიურ ნაშრომში.

მამაკაცური შიშების მიღმა დგას ათასწლოვანი "მტრის ხატი", რომელსაც ქალის არასრულფასოვნება-მანკიერების იდეა ასაზრდოებს. როდის და რატომ ჩაისახა ეს დაპირისპირება?..

2. ცუდი გოგო ხარ! – წადი და დადექი კუთხეში!

ისტორიული ანალი'ი გვარწმუნებს, რომ ხიდი ორ ნაპირს შორის მატრიარქატ-პატრიარქატის გასაყარ'ზე ჩატყდა, თუმცა ამის წინაპირობა მატრიარქატის წიაღში შემ'სადდა. მ. ო. კოსვენი მატრიარქატში ორ სტადიას გამოყოფს: 1) ადრეულს, რომელიც მისი აღწერით ველურობის პერიოდს და ბარბაროსობის დაბალ საფეხურს მოიცავს. მამაკაცები ნადირობას მისდევენ, ქალები პრიმიტიულ მიწათმოქმედებას და მათი წილი თემის უ'სრულველოფა'ში დაახლოებით თანაბარია. ეს სქესთა თანაბარ სოციალურ სტატუსს განაპირობებს. კერძო საკუთრებას თემი ჯერ არ იცნობს. საქმე გვაქვს ე. წ. "პირველყოფილ კომუნიზმთან". ალბათ, სწორედ ეს იყო მსოფლიო მითოლოგიაში ნოსტალგიურ მოგონებად შემორჩენილი ოქროს ხანა. 2) სპილენძის იარაღების შექმნამ და ფართოდ გამოყენებამ მიწათმოქმედების როლი მკვეთრად გაზარდა. პროტესტის ძირითად მასას ახლა ქალები ქმნიდნენ და ძალიანაც "გაიჯავჯილეს". მატრიარქატის განვითარებულ სტადიას შეესატყვისება ქალის დომინირება თემის ცხოვრებაში და მამაკაცის დაბალი სოციალური სტატუსი. გოგონას დაბადება ბიჭის დაბადება'ზე უფრო სასურველად მიაჩნდათ – თემს მარჩენალი ემატებოდა. ფრანგმა მისიონერმა შარლ დე ლეგობენმა (XVII ს) მარონის კუნძულებ'ზე მიაკვლია განვითარებული მატრიარქატის რელიქტს. ამ რეგიონში თემის სა'სოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებას ქალები განაგებდნენ და სრული სექსუალ'ური თავისუფლებით სარგებლობდნენ. ცოლ-ქმრული ღალატი მხოლოდ მამაკაცის შემთხვევაში ისჯებოდა. მას აველა-დიდებას უწყავდნენ და აძევებდნენ, შეეძლოთ მოეკლათ კიდეც. ცხადია, მამაკაცები ასეთ გარემო'ში თავს კომფორტულად ვერ იგრძნობდნენ და საკარაუდოა, რომ აგრესიის აკუმ'ულირება უკვე მა'ინ დაიწყო. მოგვიანებით, რკინის მძიმე იარაღებმა ფი'იკური ძალის მნიშვნელობა გაზარდა და თემის გამოსაკვები პროდ'უქციის ძირითად მასას უკვე კაცები ქმნიდნენ. მათ დროთა განმავლობა'ში ქალებს მართვის სადავეები ჩამოართვეს. კანონიერი მემკვიდრის ყოლის სურვილმა განაპირობა მშვენიერი სქესის სექსუალური თავისუფლების შე'ღწევა და ცალმხრივი მონოგამიის დაწესება (მამაკაცებმა შეინარჩუნეს პოლიგამიის უფლება). საბოლოოდ, ქალი ჩამოაცილეს გადაწყვეტილების მიღების სფეროს და მისი ფუნქციები საოჯახო სა'რუნავით შემოფარგლეს. მშვენიერი სქესი კარგა ხანს ვერ შეეგ'ა პოზიციების დაკარგვას. ლეგენდებს ამორძალთა ამბოხ'ზე რეალური საფუძველი გაჩნია. ამორძალთა ფენომენი სრული უფლებით შეიძლება მივიჩნიოთ აგრესიული ფემინიზმის ისტორიულ პირველსახედ. როგორც ჩანს, ქალთა ამბოხი კარგა ხანს გაგრძელდა. მათ საკუთარი ქალაქ-სახელმწიფოებიც კი დააარსეს. კაპადოკიაში მათი სახელმწიფოს დედაქალაქი იყო მდინარე თერმოდონტის გასწვრივ აშენებული თემისკირა. უკანასკნელი ცნობები ამორძალთა მოძრაობა'ზე ადრეულ შუა საუკუნეებს ეკ'ეთვინის. მხედველობაში გვაქვს ნეხ ქალთა აჯანყება თავადის ქალ ლუბუშეს ეპოქაში (VI ს.). ცხადია, მამაკაცებმა მოსპეს მატრიარქალური იდეოლოგიის ეს უკანასკნელი საყრდენი. როგორც ჩანს, სქესთა

დრამატული დაპირისპირება გამოკვეთილ სოციალურ კანონსომიერებად სწორედ ამ პერიოდში ჩამოყალიბდა. "პოტენციური მეამბოხე" მაქსიმალურად შესწავლეს, რაც უფლებების შეკვეცასა და გადაადგილების რეგლამენტირებაში გამოიხატა. საკუთარი ეს, ან უბანი ქალისთვის ერთადერთ სამყაროდ იქცა. განათლების აკრძალვა, ქალწულობის ინსტიტუტი, მკაცრი ეტიკეტი, გონებრივი და ზნეობრივი არასრულფასოვნების დასაბუთება – მძლავრი საშუალებები იყო პატერნალისმის კვარცხლბეკის განსამტკიცებლად.

საბოლოოდ, პოზიციები ასე განლაგდა: მამაკაცი – ბატონი, შემოქმედი, ქალი – ყმა, შემსრულებელი. "მტრის ხატი" მათ შორის უფსკრულად ჩაიშალა, სიყვარული კი სიფრიფანა ბეწვის ხიდად გაიდო.

ფსიქოლოგ ერიკ ბერნის მიხედვით, ადამიანის ქცევას სამი შინაგანი მექანიზმი განსაზღვრავს: "ბავშვი" იმპულსურ ქცევას განსაზღვრავს, "მშობელი" "ბავშვს" აკონტროლებს, ხოლო "მოსრდილი" ორივეს აწონასწორებს. მისი წყალობით ვერც "მშობელი" დაიაგრავს ხედმეტად "ბავშვს" და ვერც "ბავშვი" აიცოცდება თავსე მშობელს. პარმონიულ პიროვნებაში სამივე მექანიზმი დაბალანსებულია. ისტორიულად, ძლიერმა სექესმა ქალში ეს ბალანსი დაარღვია – ჩაკლა "მოსრდილი", "დააპატიმრა" "მშობელი" და "ბავშვსე" ხედამხედველობა თავად იკისრა. ანუ „მშვენიერ სქესს", ფაქტობრივად, წაერთვა ფსიქოლოგიური თვითრეგულაციის უფლება. პატრიარქალურმა იდეოლოგიამ ქალს ჩამოართვა ზრდასრული ადამიანის უფლებები და "მარადიული ბავშვის" ამპლუაში გადაიყვანა. "ქალს არ სჭირდება ტვინი. საკმარისია თუთიყუშივით რამდენიმე სიტყვის მკაფიოდ წარმოთქმა შეძლოს", – ბრძანებდა დორმერ სტენჰოუპი. პარლამენტარმა ქალბატონებმა ტყუილად იუკადრისეს ადა მარშანიას წინადადება. პატერნალისმმა ქალი სოციალურ-ისტორიულ ინვალიდად აქცია. "ინვალიდი" ნიშნავს უვარგისს. სხვა რა იყო პატრიარქალური იდეოლოგია გენდერულ ჭრილში, თუ არა „მშვენიერი სქესის" სოციალური, ზნეობრივი, ფსიქოლოგიური და ანატომიურ-ფიზიოლოგიური უვარგისობის დასაბუთება? მაგრამ ქალის "დაპატიმრებული" "მშობელი" არ ისვენებს და რევანშს ესწრაფვის – შემოვლითი გზებით ცდილობს მამაკაცის გაცურებას. აქედან საზრდოობს არც თუ ურსაფუძველო წარმოდგენა ქალური ცბიერების შესახებ. "არ არსებობს ცბიერება, ქალის ცბიერებას რომ აღემატებოდეს", – გვმოძღვრავს ისო ზირაქი. მართლაც, ცბიერება საუკეთესო თავდაცვა აღმოჩნდა ძალმომრეობის წინააღმდეგ.

"დროსე თუ არ მიეიღე ზომები, არაკი იცის, რას მოიმოქმედებენ ეს ძალაუფლებისმოყვარე, ვერაგი არსებები", – გაიფიქრა მაღალი ტრიბუნიდან ძველ რომში. უფლებააყრილი რომაელი მატრონები ჩინებულად ახერხებდნენ მამაკაცთა ყურით დაჭერას. ნერონს ჯერ დედა – აგრიპინე, შემდეგ კი ცოლი – პოპეა ატარებდა თავის ჭკუაზე. ოქტავიანე ავგუსტე ცოლის – ლივიას ყურმოჭრილი ყმა იყო.

XV საუკუნის საფრანგეთში ქალებს ოფიციალურად აეკრძალთ ტახტზე ასვლა. სამაგიეროდ, „მშვენიერმა სქესმა" ოსტატურად გამოიყენა თავისი საბრძოლველო არგუმენტი – სექსუალური მიმზიდველობა და... ფარული ქალური მმართველობა დამყარდა.

– რას კითხულობთ, მადამ? – შეეკითხა ერთხელ ეკატერინე მედიჩის მეფის ფავორიტი, დიანა დე პუატიე.

— საფრანგეთის ისტორიას და, თქვენ წარმოიდგინეთ, აღმოვაჩინე, რომ მეფეები ყოველთვის კახპების ჯკუაზე დადიოდნენ, — "უმანკო" ღიმილით უპასუხა მეტოქეს დედოფალმა (აფუს, სად იყო ბატონი სტენჰოუპი!).

საბოლოოდ, მამაკაცები თავად შეაძრწუნა მონსტრმა, რომელიც საკუთარი ხელით შექმნეს. სწორედ ამიტომ ურჩევნიათ ნაკლებად ჭკვიანი ქალები — ასეთები, მათი გაგებით, უფრო იოლი სამართავნი არიან. პარლამენტში ადგილს არ მოგთხოვენ და კუთხეშიც უპრობლემოდ დადგებიან. სამწუხაროდ, ქალისა და მამაკაცის ურთიერთობა ათასწლეულთა განმავლობაში ერთი და იმავე სქემით მიმდინარეობს — მამაკაცის "მშობელი" მეურვეობს "მარადიულ ბავშვს" — ქალს, რომელიც მას "ბავშვად" აქვთ აქცევს და, საბოლოოდ, კუთხეშიც აქვთ აყენებს; მთავარია, მამაკაცმა ვერ იგრძნოს, რომ დიდი ხანია კუთხეშია ატუსული. ძლიერი სქესი გრძნობს ამ საფრთხეს, რაც სხვადასხვა დამზღვევე ღონისძიებებში ელინდება; კვოტირების კანონპროექტის ჩაგდებაც ამ დამზღვევე ღონისძიებათა რიგს მიეკუთვნება. სქესთა უფლებების გათანაბრების საკითხი თავიდანვე მამაკაცთა უკიდურეს წინააღმდეგობას წააწყდა, რამეთუ საკუთარი მდგომარეობის ხელყოფად იქნა შეფასებული. იგივე შიში ასაზრდოებდა მამაკაცთა მიერ კვოტირების მიუღებლობას, ხოლო ყოველად უადგილო ქილიკი და სიცილ-ტკარცალი ფარული შიშის შემნიღბველი უსუსური პოზა გახლდათ.

— კი,ბატონო,სულ ქალბატონები,თანაც მხოლოდ ლამაზები დაესვათ პარლამენტში. ისინი საქმეს უკეთ გააკეთებენ, კაცებმა კი თოხი დაეჭიროთ, — "დიდსულოვნად დათმო" ჯემალ გოგიტიძემ.

— მეშინია, რომ პარლამენტში მოსახვედრად მამაკაცები რეკონსტრუქციულ ქირურგიას მიმართავენ და სქესს გადაიკეთებენ, — "შეშფოთდა" გიგი წერეთელი.

— ოხო, ხო, ...კუსანოვს რიგი დაუდგება, — ახორხოცდა გივი შუღაროვი.

— მოდით, ზედა და ქვედა პალატა დავაარსოთ. ზედაში ქალბატონები დავსვათ, ნვენ კი ქვედაში ვიყოთ, — "მიაგნო" კომპრომისს ვასილ მაღლაფერიძემ.

პარადოქსი ის გახლავთ, რომ მამაკაცს ქალი მეორეხარისხოვან არსებად — საკუთარ "ნეკნად" მიაჩნია და ამ "ნეკნის"... პანიკურად ეშინია!..

მამაკაცური შიშები ცალკე სასაუბრო, ერცელი და ურთულესი თემაა.

"ყველაზე მთავარი ბაბუინი" (რისი ეშინია მამაკაცს)

1. ასე ძლიერი და ასე სუსტი...

ნებისმიერ მამაკაცში მოცემულია დომინანტობის მეტ-ნაკლები მოთხოვნილება; რეალიზაციის სიძნელეები სტრესის წყაროდ იქცევა. საბჭოთა ფილმში "გაგრძელდი, გაგრძელდი ხიბლო..." სწორედ ასეთი სიტუაციაა გაშუქებული.

პენსიაზე მყოფი ღვაწლმოსილი მეცნიერ-მუშაკი დეპრესიით იტანჯება. საგანგებოდ მოწვეული ექიმი უცებ აუღებს ალღოს მის მდგომარეობას:

— იცით, ბაბუინებში (პრიმატების სახეობა — ავტ.) მსგავსი სიმპტომები აღენიშნებათ ხანშიშესულ მამრებს, რომლებიც ვეღარ ახერხებენ ჯოგის

დაცვისა და გამრავლების უსრულველყოფას. სხვა მამრების უპირატესობა სასოწარკვეთილებაში აგდებთ, რაც ნეიროტული დარღვევის მიზესი ხდება. თქვენი ბაბუა უფუნქციოდ დარჩა, ამიტომ თავს ვერ გრძნობს ოჯახის უფროსად, რასაც მტკივნეულად განიცდის.

– ბაბუ, შენ ჩვენი ყველაზე მთავარი ბაბუინი ხარ, – გულს უკეთებს მოხუცს კეთილი შვილიშვილი.

სწორედ აქ მარხია ძაღლის თავი. მამაკაცს სურს, იყოს ყველაზე მთავარი თუ არა, ანგარიშგასაწევი მაინც სამსახურში, მეგობართა წრეში, ოჯახში, საყვარელი ქალის (ან, საერთოდ, ქალების) თვალში და... საწოლში. აქ წარუმატებლობას კი ყველაზე მტკივნეულად განიცდის. ნებისმიერ მამაკაცში ზის "ყველაზე მთავარი ბაბუინი".

"ყველაზე მთავარი ბაბუინის" სინდრომს ახასიათებს შემადგენელ კომპონენტთა თითქმის მათემატიკური ურთიერთგანსაზღვრულობა. სოციალური სტატუსის სიმყარე განაპირობებს მაღალ პიროვნულ თვითშეფასებას (ანუ ფსიქოლოგიურ ბალანსს) და დადებითად აისახება როგორც განწყობაზე, ისე ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. შესაბამისად, სოციალური ფიასკო განსაზღვრავს პიროვნულ კრახს, რაც გამანადგურებელ დარტყმას აყენებს ჯანმრთელობას და ინტიმურ სფეროს. სოციალური კრიზისი ასეთ მაგალითებს ჭარბად წარმოგვიდგენს. მამაკაცებმა დაკარგეს სოციალურ-პიროვნული სტატუსის მთავარი წყარო – მარჩენლის ფუნქცია, რამაც მათი მნიშვნელოვნება როგორც ოჯახში, ისე მის ფარგლებს გარეთ, კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა. ქართველი მამაკაცი ეეღარ ახერხებს იყოს "ყველაზე მთავარი ბაბუინი", რაც გამანადგურებლად აისახა მის პიროვნულ თვისებებზე და ჯანმრთელობაზე. სწორედ ამისი შედეგია ლოთობა,გულსისხლძარღვთა, ნერვული და სქესობრივი დარღვევები. სტატისტიკის თანახმად, ფსიქიკურ დარღვევებსა და თვითმკვლელობათა რიცხვი მამაკაცებში ქალებთან შედარებით 3-4-ჯერ მეტია. ეს მამაკაცური ფსიქიკის "სპრინტერული" ბუნებით აიხსნება – გაგრძელებული სტრესის მიმართ ქალთან შედარებით ნაკლებ მდგრადობას იჩენს. ქალი კი, პირიქით, სტაიერი – გაგრძელებული სოციალური წნეხის მიმართ უფრო ამტანი გახლავთ. ეს კანონზომიერება სქესთა ანატომიურ კონსტიტუციაშიც ჰპოვებს გამოხატულებას. ქალს კანქვეშ განლაგებული ცხიმის მარაგი შიმშილის მიმართ უფრო გამძლეს ხდის. შიმშილობის წლებში პირველად მამაკაცები იღუპებოდნენ.

მამაკაცის სპრინტერული ბუნებიდან გამომდინარე, კრიზისის სიტუაციაში ყალიბდება "გოგია უიშვილის სინდრომი". „ძლიერი სქესი" ვერ ძლიერობს და განრიდების ტენდენცია უყალიბდება. სწორედ ამისი გამოხატულებაა ფსიქიკური დარღვევებისა და სუიციდისკენ მიდრეკილება. პირველ შემთხვევაში – იგი გაურბის რეალობას, მეორეში – საერთოდ, ცხოვრებას.

აი, რამდენიმე მაგალითი იმისა, თუ რაოდენ არასტაბილურია მამაკაცის მდგომარეობა საქართველოს სინამდვილეში:

ს.ს. – სამი შვილის მამა, უმუშევარი. ბოლო ორი წლის განმავლობაში სულიერად მოტყდა, მძიმე დეპრესიაში ჩავარდა, გალოთდა, საშინელ მდგომარეობამდე მივიდა. ერთხელ, როდესაც ცოლი სახლიდან გასული დაიგულა, თავი ჩამოიხრჩო.

ვ.ს. – ორი შვილის მამა. დაახლოებით იგივე სურათი, თუმცა, საბედნიეროდ არ გალოთებულა. თვითმკვლელობის მი'ნით გადაიჭრა ვენები, მაგრამ დრო'ს მიუსწრეს.

ს.მ. – 20 წლის უცოლო ყმაწვილი, საშუალო განათლებით, უმუშევარი. ნასვამ მდგომარეობა'ში გაახსენდა შეყვარებული, რომელ'სედაც სიღარიბის გამო ვერ დაქორწინდა და დანა ჩაირტყა. საბედნიეროდ, უშველეს.

მ.ნ. – 36 წლის. ვერ აიტანა პოტენციასთან დაკავშირებული პრობლემები და ფანჯრიდან გადმოხტა.

განსაკუთრებით გ'ულის'შემძვრელია ფსიქიკურად დაავადებული 30 წლის გ.ს.-ს ისტორია. მან თავის ჩამოხრჩობა სცადა – ბოლო წამს ჩამოხსნეს ახლობლებმა. ყველას შესჩიოდა – რისი მაქნისი ვარ, ცხოვრების ა'სრი დავკარგე, გავ'სარმაცდი, ვერაფერს ვაკეთებ, იმპოტენტი ვარ – სიკვდილი მინდაო.

ამ სულიერად დაავადებულმა ადამიანმა საოცარი სიზუსტით მოუყარა თავი ყველა იმ პრობლემას, რომელიც დღეს მამაკაცებს აწუხებს. ისინი დაასაჭურისეს – სოციალურად, ფსიქოლოგიურად და ფი'ზიკურად. მათ სურთ იყვნენ ძლიერნი, მოიყვანონ ცოლი, არჩინონ ოჯახი, იყვნენ ღირსეული პარტნიორები საწოლში, მაგრამ ძალით გააზარმაცეს, გაალოთეს და გააიმპოტენტეს.

მთავარ ბაბუინობას ვინღა ჩივის, რიგით'სეც "ველარ ქაჩავენ..."

რაღა საკვირველია, თუ სასოწ'არკვეთილი მამაკაცი თავს იხრჩობს, დანას ირტყამს, ვენებს იჭრის და ფანჯრიდანაც ხტება?!..

2. სამგან'ზომილებიანი ასიმეტრიის მასკულინური ვარიაცია

მამაკაცურ ში'შებს მხოლოდ კრი'ზისი როდი ასა'ხრდოებს. "გოგია უი'შვილის სინდრომი" სიტუაციური ბუნებისაა. არსებობს ფსიქიკის ყველაზე ღრმა შრეებ'ში დაფიქსირებული, არქეტიპული ხასიათის კომპლექსები და მათ მიერ ნაკვეები შიშები, რომლებიც ზოგად-ისტორიული და ეთნიკურ-კულტურული წარმომაველობისაა. ამ საკითხ'ში გასარკვევად ისევ ერიკ ბერნის უნივერსალური მოდელი დაგვეხმარება.

'სემოთ აღვნიშნეთ, რომ სა'ზოგადოებამ "მშვენიერ სქესში" დაარღვია სამგან'ზომილებიანი სიმეტრია – ჩაკლა „მო'ხრდილი", მაქსიმალურად გაკოჭა „მშობელი" და „ბავშვ'ს" კონტროლი თავად იკისრა. პატერნალისტური ყოფის პირობებ'ში კონტროლი, ცხადია, მამაკაცის ხელ'ში გადავიდა. ერთი შეხედვით, ამას "ძლიერი სქესის" სოციალურ-პიროვნული პოზიციები უნდა გაემყარებინა, მაგრამ პირიქით მოხდა და, აი რატომ: მამაკაცის „მო'ხრდილმა" დაკარგა პარტნიორი – ქალის „მო'ხრდილი", ანუ დაირღვა ინტერპერსონალური ურთიერთობის ნორმალური მიმდინარობა, რამაც მამაკაცის „მო'ხრდილის" დაკნინება განსაზღვრა. ქალური სამგან'ზომილებიანი სიმეტრიის დანგრევეთ მამაკაცმა საკუთარი შინაგანი ბალანსიც დაა'ზარალა. პროცესი აქ არ შეჩერებულა. „მო'ხრდილის" დეგრადაციამ განაპირობა კომპენსატორული მექანი'ზმების ამუშავება – „გამოთავისუფლებული სივრცე" „მშობელმა" დაიკავა. ცხადია, ეს არ იყო სრულფასოვანი ჩანაცვლება. შინაგანი ბალანსის დარღვევას აუცილებლად უნდა გამოეწვია არასრულფასოვნების ქვეცნობიერი განცდა და თანამდევი შიშები. ამის შენიღბვა იმპერატიულ-აგრესიული პოზით მოხერხდა, მით უფრო, რომ პატერნალისტურ მოდელ'ში ასეთი ქცევა

ბუნებრივად ჩაეწერა. უკიდურეს შემოხვევაში, ნამდვილ მამაკაცს ბანალური მუტრუკი ჩაენაცვლა. სწორედ ამისი თვალსაჩინო მაგალითია რაინდობის ინსტიტუტი ევროპაში „მშვენიერი მანდილოსნის“ მიმართ დეკლარატიული „თაყვანისცემით“ (პარალელი – „ქართველი ქალის კულტი“) და საოცარი სირეგვენით.

ზოგადად, “მოსრდილის“ ისტორიულმა “ამპუტაციამ“ განაპირობა მამაკაცის ორი ტიპის ჩამოყალიბება: “ძლიერი მამაკაცი“, რომელშიც აქცენტირებულია “მშობელი“; იგი დამოუკიდებლობასა და სიტუაციის ფლობას ესწრაფვის, ნაკლებად უყვარს სხვისი ასრების გასიარება. მისი ქცევა შემტევი და იმპერატიულია. ეოფაში სწორედ ამ ტიპმა მოირგო “ნამდვილი მამაკაცის“ იმიჯი. “სუსტი მამაკაცი“ – მასში “ბავშვია“ აქცენტირებული. “მშობელი“ სხვადასხვა მიზეზის გამო (თანდაყოლილი ხასიათი, აღზრდის თავისებურებები...) “დაინვალიდებულია“. ეს განაპირობებს მის ადვილ მართვადობას და სხვისი ზეგაელენის ქვეშ იოლად მოქცევას. რეალურად, მამაკაცში შეთავსებულია “სუსტი“ და “ძლიერი“ კატეგორიის ნიშნები. იგი შეიძლება იყოს “ძლიერი“ ოჯახში და “სუსტი“ საზოგადოებაში და პირიქით; ან ყველაფერში “ძლიერმა“ მაინცდამაინც ქალთან, ან შვილთან “წაისუსტოს“ – ვარიაციები უამრავია.

3. “მარადიული ბიჭობის სინდრომი“

საქართველოში ეთნიკურ-კულტურულმა ფაქტორმა განაპირობა ფრიად სამწუხარო სოციალურ-ფსიქოლოგიური ფენომენი – “მარადიული ბიჭობის სინდრომი“. მისი ძირითადი მახასიათებელია უკიდურესი ეგოცენტრული ინფანტილიზმი; გარდა ამისა, მეტ-ნაკლებად: დიდ პრეტენზიებთან შეთავსებული სრული უპასუხისმგებლობა, ეოყლოზინობა, პედონიზმი და ცხოვრებისადმი ეგზისტენციური დამოკიდებულება. ამ უკანასკნელში იგულისხმება ამჟამინდელ მომენტზე ფოკუსირება – მნიშვნელოვანია ის, რა ხდება აქ, ამ წუთში. “ბიჭი“ წინ არც იხედება, ან მომავლის გეგმები ამოიწურება ინფანტილური ოცნებებით, ილუზიებითა და ბაქიბუქით. დანარჩენი თვისებები სიტუაციურია და ბიჭის “კერძო “ნაირსახეობაზეა“ დამოკიდებული: “კარგი ბიჭი“ – ზრდილობიანია, “ცუდი ბიჭი“ – უსრდელი, “ქუჩის ბიჭი“ უსრდელობა ხულიგნობაში გადადის, “ძველი ბიჭი“ – ვითომ “ავტორიტეტობს“, “დედიკოს ბიჭი“ – სახლში ზის და “ღიმილის ბიჭს“ – ყველა გულში იხუტებს. ცხადია, ეს კალსიფიკაცია პირობითია და აბსოლუტური სიზუსტის პრეტენზია არ გაგვანია. ეჭვგარეშეა, რომ ეს “ბიჭები“ რეალობასთან პირისპირ სრულ უუნარობას ავლენენ. გენდერული ნახევარფაბრიკატი – “მარადიული ბიჭი“ ვერც შვილად ივარგებს, ვერც მოქალაქედ, მეუღლეობასა და მშობლობაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. მაგალითებისთვის შორს წასვლა არც დაგეჭირდება; პარლამენტში გამართული ბალაგანი “მარადიული ბიჭობის სინდრომის“ ძალზე კოლორიტული გამოვლინებაა. სწორედ ფსიქოლოგიური არასრულფასოვნებით არის განპირობებული მამაკაცთა ქვეცნობიერი შიშები. მათ ეშინიათ სიახლის, უფროსის, ამინდის, მიკრობების, საკუთარი ჩრდილის და... ქალის! ფაქტი: “ქალთა გაზეთში“ ნდობის ტელეფონზე საკმაოდ გაღიზიანებულმა ახალგაზრდა მამაკაცმა დარეკა და თანამშრომელ ქალბატონს, რბილად რომ ვთქვათ, უკმეხად ელაპარაკა: “ნეტავი რა გგონიათ თავი? რომ იცოდეთ, რა ბედნიერებაა,

როდესაც ქუჩაში ლამაზი ქალი მოდის, შენ კი ის ფეხზე გკიდია...“ ამ აგრესიული განწყობის მოტივაციის გაშიფვრა ძალზე მარტივია: ქალთან ურთიერთობა პასუხისმგებლობაა, რისიც მას (და არა მარტო მას!) პანიკურად ეშინია. რატომ? ფსიქოლოგიური უმწეობის გამო; ამიტომ სხვა რა გზა აქვს – ფეხზე უნდა დაიკიდოს და შინაგანი კონფლიქტი ქედმაღლობით, ან სულაც თავხედობთ შენიღბოს. სხვათაშორის, ქალთა წინაშე შიში ფუნქციური ჰომოსექსუალიზმის ერთ-ერთი პირობაა.

“ძლიერი სქესი“ – ასეთია მამაკაცთა მოდგმის კრებითი სახელი, რომელშიც აისახა, ერთი მხრივ, პრივილეგირებული სოციალურ-ისტორიული სტატუსი, მეორე მხრივ – მაღალი მოლოდინი ამ სქესის წარმომადგენელთა მიმართ. ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, აქ იგულისხმება ხასიათის ისეთი თვისებები, როგორიცაა ნებისყოფა, მიზანდასახულობა, პასუხისმგებლობა, გონიერება, სიმამაცე, რისკიანობა და სხვა. სოციალური თვალსაზრისით – ლიდერის, ორგანიზატორისა და წინამძღოლის უნარები. “მამაკაცი – კეთილი ბატონი, დამცველი და მხსნელი“ – ეს ამ ეპითეტის (ან, თუ გნებავთ, წოდების) კონსტრუქციულ-პატერნალისტური შინაარსია. შემოხვევითი როდია, რომ მრავალ რელიგიურ სისტემაში ადამიანთა ქომაგი ღმერთი სწორედ მამაკაცის სახით იშვა (იესო, ბუდა, კრიშნა).

სამწუხაროდ, რეალური მამაკაცი სოციალურ შეკვეთას არ ამართლებს. ამას აქვს როგორც სუბიექტური (თავად კონკრეტული მამაკაცის, ასე ვოქვათ, ბედოვლათობა), ისე ობიექტური (სოგადისტორიული, კულტურულ-ეთნიკური და სოციალურ-ეკონომიკური) საფუძვლები.

ძალზე აღვილია “ძლიერი სქესის“ დადანაშაულება, მაგრამ ისიც უნდა ვაღიარეთ, რომ მამაკაცს ისტორიულმა განვითარებამ წაართვა ოუნდაც მცირედი შანსი - იყოს მამაკაცი.

მისი მშვენიერი ლედი? (რისი ეშინია ქალს)

1. გაუთხოვრობის შიში

ყოველგვარ შიშს, თუ კომპლექს სოციალური, ფსიქოლოგიური და ფიზიოლოგიური საფუძვლები ასაზრდოებს. რაც უფრო ძველია პრობლემა, მით უფრო ძნელდება ამ სამი ფაქტორის გამიჯვნა მის გამომწვევ მიზეზებში. შინაგანად გაწონასწორებული (სამგანზომილებიან სიმეტრიას ეგზისტენციალურ-ფენომენოლოგიურ) ადამიანი ნაკლებად ექვემდებარება ამ სიძნელეებს. დღეისათვის ქალში გაწონასწორებულობაზე ლაპარაკიც ზედმეტია. მამაკაცისგან განსხვავებით, მათ თრგუნავს არა მარტო სოგადსოციალური პრობლემები, არამედ ყოფის პატრიარქალური მოდელიც.

მაინც რისი ეშინია ქალს?

“ქალთა უმრავლესობას პრინციპები არ გააჩნია – გულის კარნახს ემორჩილებიან და მათი საქციელი იმ მამაკაცსვა დამოკიდებული, რომელიც უყვართ“,– წერდა ლაბრუიერი.

ქალთა საქციელი ათაწლეულთა განმავლობაში მართლაც იყო დამოკიდებული მამაკაცზე, რომელიც უყვარდათ და რომელიც... სულ არ უყვარდათ. ისტორიულად, ქალის ცხოგადოების სრულფასოვან წევრად აღიარებისთვის იგი უნდა რეალიზებულიყო სამ ამპლუაში – შვილი, ცოლი, დედა. გაუთხოვრობა ერთგვარ სოციალურ ინვალიდობად

ფასდებოდა. მას შემდეგ სიტუაცია მხოლოდ ფორმალურად შეიცვალა. გაუთხოვრობა ქალში დღესაც არასრულფასოვნების განცდას აღძრავს იმის მიუხედავად, რამდენად წარმატებულად ახერხებს რეალიზაციას საზოგადოებრივ სარბიელზე. ისტორიულად, ქალის სოციალური სტატუსი ყოველთვის მამაკაცზე იყო დამოკიდებული – ფასდებოდა არა იმის მიხედვით, ვინ იყო თვითონ, არამედ ვისი ცოლი ან შვილი გახლდათ. მამამკაცმა თუ მოახერხა წარმატებული საზოგადოებრივი რეალიზაცია, მისი დაუქორწინებლობა სოციალურ ინვალიდობად არ ფასდება და არც არასრულფასოვნების განცდას უყალიბებს (როგორც წესი!). პირველ რიგში, ქალს ეშინია გაუთხოვრობის – ეს არის მშვენიერი სქესის პერმანენტული ისტორიული კოშმარი. ნებისმიერ ქალში ზის "კოკია", რომელიც ცის გახსნასავით ელის "პრინცს" – მამაკაცს. სწორედ ამიტომ ერიდება საკუთარი "მეს" აქტიურ რეალიზაციას – ამით პოტენციურ საქმროს დააფრთხობს; მთელი უბედურება კი ის გახლავთ, რომ არც "პრინცია" პრინცი, შინაგან ბალანსდარღვეული დასახიჩრებული მამაკაციც მხოლოდ და მხოლოდ ტახტზე აბობღებული ლაქიაა, თანაც პრინცესობას პრინცზე გათხოვებაც ეერ მოგანიჭებს, თუ "გვირგვინით" არ დაიბადე. ეს "გვირგვინი" თვითფასეულობის მყარი განცდაა, "მეა", რომელიც "მშვენიერ სქესს" დიდი ხანია დაუნგრიეს.

2. "სარკეე, მითხარი!"

გაუთხოვრობის შიშთან დაკავშირებულია შიშების მთელი "თაიგული" – გარეგნული მიმზიდველობის არასაკმარისობის შიში, ფიზიკური ნაკლის შიში და ს. შ. ბატონ ნოდარ სარჯველაძის (ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი) ერთ-ერთ გამოკვლევაში დადასტურდა, რომ გარეგნობის ძაგება "მშვენიერი სქესისთვის" უპირველესი ფრუსტრატორია (დამთრგუნველი ფაქტორი). მიაქციეთ ყურადღება – სწორედ გარეგნობის და არა ინტელექტის, ან პროფესიული უნარებისა.

"ქმრის გულისთვის ქალი დათანხმდება თავი წაჭრან, ოღონდ თმები კი – არა", – წერდა ჟან პოლი. არის ამაში რაციონალური მარცვალი. მახსენდება ალექს ლა გუმას ერთი მხატვრული ნაწარმოებიდან: მთავარი გმირი, რომელიც ეს-ესაა ციხიდან გამოვიდა, დანით მიიწევს ნამშვები ლამაზმანისკენ. "მე შენი არ მეშინია, გამიყარე დანა, შენ ნაბიჭვარო!" – მკერდს უხვევრებს ქალი. "არა, არ მოგკლავ, მხოლოდ მაგ ლამაზ სახეს დაგინახავ და ცხოვრებაში ზედაც აღარავინ შემოგაფურთხებს", – იქედნურად იცინის მამაკაცი. რეაქცია ერთი შეხედვით უცნაური, მაგრამ სიღრმისეულად ძალზე ლოგიკურია. აქამდე აფთარივით შემართული ქალი სახეზე ხელებს აიფარებს და ისტერიკაში ვარდება. მანდილოსნების ასეთ მიჯაჭვულობას თავის გარეგნობაზე საფუძვლად უდევს არა წმინდა ესთეტიზმი, ან ნარცისიზმი (თუმცა, კონკრეტულ სიტუაციაში ესეც გასათვალისწინებელია!), არამედ სოციალური თვითდამკვიდრების სურვილი, რომელიც პატრიარქალურ გარემოში მამაკაცზეა დამოკიდებული. გარეგნობა კი, მისი მოსაზიდი იარაღია.

გაუთხოვრობის შიშთანვეა დაკავშირებული "მეტოქის შიში", ანუ სხვა ქალების კონკურენტებად აღქმა. შური სხვისი გარეგნობისა და ღირსებების მიმართ, არის არა მარტო კონკრეტული ქალის უარყოფითი

თვისება, არამედ "მშვენიერ სქესის" დამოკიდებული სოციალური სტატუსის პირდაპირი წარმოებული. ქალური ფსიქოლოგიის ეს სარეველა დამახასიათებელია ნებისმიერი კულტურისთვის, რომელმაც განეითარებული პატრიარქატის საფეხურს მიაღწია. ძალ'ზე ნიშანდობლივია, რომ ფიფქიასა და ბოროტი დედინაცვლის ზღაპრის ვერსიები თითქმის ყველა კულტურული ერის ფოლკლორში გვხვდება. დედინაცვალი, რა თქმა უნდა, ბოროტი, მაგრამ ისიც მსხვერპლი და პროდუქტია პატრიარქალური მოდელისა, რომელმაც ქალები ერთმანეთს მტრებად გადაკიდა.

რაც უფრო ნაკლებადაა მოცემული გარეგნობის მიმართ დამოკიდებულებაში სხვა ქალის ხარჯ'ზე თვითდამკვიდრების ტენდენციაა და მეტია წმინდა ესთეტი'ზმი, მით უფრო ნამოყალიბებულ, ჰარმონიულ პიროვნებასთან გვაქვს საქმე. ამისთანასთვის "თმის მოჭრა" აპოკალიფსად არ იქცევა.

საინტერესო დეტალი: პატრიარქალური მენტალიტეტის პირობებში გარეგნობა ქალს სჭირდება არა თავისთვის, არამედ მამაკაცის მოსაპოვებლად, ამდენად, ხ'შირად მისთვის არსებითია არა რეალური სილამა'ზე, არამედ სოციუმისაგან მისი აღიარების ხარისხი. პლასტიკური ქირურგიით უსომო გატაცება ამ სინდრომის შემადგენელი ნაწილია. მაგალითისთვის შორს წასვლა არც დაგეჭირდება – კინოვარსკვლავი შერი პლასტიკური ოპერაციების რიცხვით უკვე გინესის წიგნ'შია შესატანი. ხანდახან აღიარების დაუოკებელი სურვილი პათოლოგიურ ფორმას იღებს. სწორედ ასეთი შემთხვევაა აღწერილი ფილმში "ფედორა" (მარტა კელერის მონაწილეობით). ხანშიშესული კინოვარსკვლავი გაუთავებლად იახალგაზრდავებს თავს, ვიდრე სახეხანიარეკ, სავარძელს მიჯაჭვულ ინვალიდად არ გადაიქცევა. ბოლოს საკუთარ ქალიშვილს აიძულებს ოპერაციის გაკეთებას და თავის სახელს მას გადაულოცავს, რაც გოგონას დაღუპვით სრულდება. ამ შემთხვევაში ში'ში სიბერის წინაშე და სილამაზისკენ სწრაფვა აბსურდამდე მიდის, ხოლო ყოველიეს პირველწყარო პატრიარქალურ მოდელში უნდა ეძიოთ.

მახსენდება ფრაზა რომელიღაც ფირმის პომადის რეკლამიდან: "ეს პომადა თქვენს ბაგეს მაგიურ ძალას მიანიჭებს. ყველა მამაკაცი მხოლოდ თქვენ გიყურებთ, მათ მხოლოდ თქვენ სურხართ!"

3. სექსის შიში

ეკლესიურ-ორთოდოქსულმა იდეოლოგიამ სექსი სიბილწედ გამოაცხადა. ალბათ, ადამიანს ვეგეტატიური გამრავლების უნარი რომ ჰქონოდა, სქესობრივ კავშირს საერთოდ აკრძალავდნენ. ინტიმური ეტიკეტი განსაკუთრებით მკაცრი იყო ქალის შემთხვევაში, რაც პატერნალი'ზმიდან გამომდინარე,სავსებით ლოგიკურია. ქალის იდეალად ითვლებოდა სათნო, მეოჯახე არსება, რომელიც სამაგალითოდ უვლიდა ქმარ-შვილს, აელენდა სრულ მორჩილებას, ხოლო საწოლში ყოველგვარი ენთუ'ზიაზმის გარეშე ასრულებდა ნასახვის ფუნქციას. ანორგა'ზმია და ფრიგიდულობა ღირსეული ქალის აუცილებელ თვისებად იქნა აღიარებული. ასე რომ, ამ დარღვევების პირველწყარო იმ შორეულ წრსულ'ში უნდა ეძიოთ. მაგრამ ეკლესიურ-ორთოდოქსული ტრადიცია, ზოგადად, "მშვენიერ სქესს" ცდუნებად და ბოროტებად აღიარებს. „ქალი

ჯოჯოხეთის კარიბჭეა", – წერდნენ ეკლესიის მამანი. ეს უარყოფითი შეფასება განმტკიცებას პოულობს სწავლებაში ოთხი სტიქიის შესახებ. მიწა – ქალური სტიქია სიცოცხლის საწყისია, მაგრამ დასასრულიცაა – სიკვდილის შემდეგ ყველაფერი მასვე უბრუნდება. ამდენად, ქალური საწყისი, ერთი მხრივ, კოსმოსური საშოა, მეორე მხრივ, კოსმოსური სამარე. აქედან იღებს დასაბამს ორობითი დამოკიდებულება ქალის მიმართ – იგი შეიძლება იყოს როგორც სულიერი (ან ფიზიკური) დაბადების, ისე სიკვდილის მიზეზი. გრადაციები განლაგდა ორ პოლუსს შორის: პირველი – ღვთისმოშიში, სათნო ქალი (სიცოცხლის წყარო), მეორე – ღვთისმგმობი და ბიწიერი (ჯოჯოხეთის კარიბჭე). პირველს ახასიათებს სექსის მიმართ ნეიტრალური დამოკიდებულება, ნასახვის ფუნქციის ფორმალური შესრულება და დედობაზე ორიენტაცია. ამ კატეგორიის იდეალური მიწიერი განსხეულება ღვთისმშობელია. მეორეს – აცხორცობა, გაუმაღლარი სექსუალობა, დედობის ფუნქციის იგნორირება. ასეთი გახლდათ მიწიერი დემონი – კუდიანი.

ორთოდოქსთა ორობით მიდგომას ენათესავება ოტო ვაინინგერის შეხედულებანი, რომელიც მან ნამოაყალიბა თავის ნაშრომში "სქესი და ხასიათი". "მშვენიერი სქესი" მისთვის ორ პოლუსს შორის გრადაციათა ერთობლიობაა. ეს არის "დედა" და "მეძავი". პირველისთვის სექსი საშუალებაა შვილის გასაჩენად – ორგაზმს მნიშვნელობას არ ანიჭებს. მეორისთვის – მიზანი და მხოლოდ ის სურს. ვაინინგერის აზრით, ნებისმიერი ქალი ანგელოზისა და დემონის პარადოქსული ნაზავია (გავიხსენოთ მანონ ლესკო), ანუ არ არსებობს "მეძავი" "დედობის" ნასახის გარეშე და ნებისმიერ "დედაშიც" ყოველთვის ზის "მეძავი". საუკუნეთა განმავლობაში თავად ქალებმაც დაიჯერეს თავისი იმანენტური მანკიერება. საქმე იქამდე მიიყვანეს, რომ ქალს საკუთარი სექსუალობის თვითონვე შეეშინდა. დანაშაულის კომპლექსით განპირობებული ისტერია ხშირი მოვლენაა. ანორგაზმიაზე, ვაგინიზმზე, ფრიგიდულობასა და დეფლორაციის შიშზე აღარას ვამბობთ. პირველი შეცოდების ისტორიით ნაკვები "ევას კომპლექსი" ამ განცდებს კიდევ უფრო ამძიმებს.

დასკვნა: მამაკაცს ეშინია ქალის, უფრო სწორედ მისი თავისთავადობის, ამიტომ თრგუნავს მას. ქალს ეშინია მამაკაცის, მაგრამ კიდევ უფრო... მარტო დარჩენის. ამიტომ ერიდება სექსუალობის გამოვლენას, თრგუნავს სხვისი სილამაზე, უფრთხის აშკარა თვითდამკვიდრებას და მალავს ჭკუას, რათა პოტენციური პარტნიორი არ დააფრთხოს.

შედეგი: ვერც ერთად, ვერც უერთმანეთოდ.

ფსიქოლოგიაში ამას სადო-მაზოხიზმს უწოდებენ.

4. რევანში

"მშვენიერ სქესზე" სოციალურ-ისტორიულმა დიქტატმა ის შედეგი გამოიღო, რომ ათასწლეულთა მანძილზე აკუმულირებულმა აგრესიამ რევანშის ქვეცნობიერი (ხანდახან ცნობიერი) სურვილი ნამოაყალიბა. შურისძიების ფორმა კონკრეტული ქალის სოციალურ-ფსიქოლოგიურ ტიპზეა დამოკიდებული. სამერთიანი სიმეტრიის დარღვევით ნამოყალიბდა, ძირითადად, როი კატგორიის ტიპი: „ძლიერი ქალი" და „სუსტი ქალი".

ორივე კატეგორიაში ჩაკლულია „მოზრდილი“, ამდენად ზედმეტია ლაპარაკი შინაგან ბალანსსე და ჰარმონიულ ფსიქიკაზე.

“სუსტ ქალში“ აქცენტირებულია “ბავშვი“, ამიტომ ასეთი ტიპის ქალი არამდგრადი და დამოკიდებულია. ხიბლავს, ძირითადად, ავტორიტარული ტიპის მამაკაცები, რომლებიც მეურვეობას გაუწევენ. ეს, ცხადია, არ ნიშნავს, რომ საჭიროების შემთხვევაში, ოჯახს ვერ გაუძღვება და გადაწყვეტილებას ვერ მიიღებს, მაგრამ ეს უდიდესი სულიერ-ემოციური დაძაბვის ფასად უჯდება. ამ კატეგორიას განსაკუთრებით ეშინია მარტოობის, ამიტომ, ასეთ შემთხვევაში, დამოკიდებულ პოზიციას მისტირის: “კაცის ფეხის მტვერიც კი ოჯახისთვის მადლია!“ – ღაღადებს ხალხური ანდაზა. ეს “სუსტი“ ქალის“ სულის გამოძახილია. “სუსტი ქალი“ შვილებთან ურთიერთობაში ზედმეტად რბილია, აღმზრდელისა და წარმმართველის როლში ცოტა არ იყოს, მოისუსტებს. დედობა, ძირითადად, მოვლა-მომსახურებაში გამოიხატება. თუ დედური ინსტინქტი მასში ძალზე ძლიერია, შვილები მის კერპებად იქცევიან და მსხვერპლად ეწირება. მიუხედავად ამისა, მათ თვალში დიდი ავტორიტეტით არ სარგებლობს, რაც ექსტრემალურ სიტუაციაში დრამატულად, ან სულაც, ტრაგიკულად სრულდება. “სუსტი ქალის“ ქრესტომათიული მაგალითია თავსაფრიანი დედაკაცი. ცხადია, ეს ტიპაჟი შურისმაძიებლად ვერ ივარგებს.

ეს მისია ისტორიულად “ძლიერმა ქალმა“ იკისრა. მასში აქცენტირებულია მოურჯულებელი “მშობელი“, რომლის “გაკოჭვა“ მდგრადი ფსიქიკის გამო ვერ მოხერხდა, ამდენად, გადაწყვეტილებებს ადვილად და სიამოვნებთ იღებს. ცხოვრებისეულ სიძნელეებს მედგრად უმკლავდება, მაგრამ “მოზრდილის“ ბლოკირების გამო თავს სრულფასოვნად ვერ აბალანსებს, ამიტომ ახასიათებს გარემოს დამორჩილებისადმი გადაჭარბებული ლტოლვა – ეს ქვეცნობიერად არასულფასოვნების განცდის კომპენსაციაა. ხშირად სოციალური თვითდამკვიდრებისკენ სწრაფვა ძალზე აგრესიული ფორმით ხდება – ფემინიზმის რადიკალური ფრთა სწორედ ასეთი ტიპაჟებითაა დაკომპლექტებული. ხასიათის სიხისტიდან გამომდინარე, “ძლიერ ქალს“ რბილი და დამთმობი მამაკაცები ხიბლავს. როგორც დედა, უკიდურესად მკაცრი და მომთხოვნია, რაც ხშირად სადიზმამდე მიდის (გავიხსენოთ ოსტროვსკის კაბანიხა, ან გარსია ლორკას ბერნარდა ალბა). ასეთი დედა ნებსით თუ უნებლიეთ ამსხვრევს შვილის პიროვნულ ღერძს. იგი, როგორც წესი, სუსტ ადამიანად ყალიბდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, დედა-შვილს შორის დაპირისპრება გარდაუვალია (გავიხსენოთ, თუნდაც მარტირიო და ადელა “ბერნარდა ალბას სახლიდან“). ძლიერი ქალის მაგალითია ვაჟა-ფშაველას დარეჯანი. ზოგადად, შეიძლება ითქვას, რომ როგორც “ძლიერი“, ისე “სუსტი“ ქალი პატერნალიზმის, ერთი მხრივ, პროდუქტი, ხოლო, მეორე მხრივ, მსხვერპლია. შურისძიება ხდება პირდაპირი, შემტევი, ან არაპირდაპირი, შემოვლითი გზებით. პირველის მაგალითია გენდერული მოძრაობა, ანდა ყოფითი დიქტატი (მას მხოლოდ “ძლიერი ქალები“ ახორციელებენ). მეორე ძალზე საინტერესოდ ვლინდება ე. წ. “საბედისწერო ქალის ფენომენში“. ეს უკანასკნელი მამაკაცის “მოსარჯულებლად“ წმინდა ქალურ ილეთებს იყენებს – იგი თავისი არსით “მტაცებელია“. მისი ჩამოყალიბებისათვის აუცილებელია

ეგოცენტრული ხასიათისა და ზნეობრივი უპრინციპობის შეთავსება. "საბედისწერო ქალები" გვხვდებიან როგორც "ძლიერთა", ისე "სუსტთა" კატეგორიაში, ამდენად მათი "ნადირობის" ფორმები კარდინალურად განსხვავებულია.

საბედისწერო "ძლიერი ქალი", "სასტიკი ბანდიტია", რომელიც სიტუაციის კონტროლს შემტევი მეთოდებით ახორციელებს. მამაკაცებს ხშირად დამცინავადაც კი ექცევა – ძალლადაც არ აგდებს, ამდენად, ძირითადად, ფსიქიკის მაზოხისტური წყობის მამაკაცს იმორჩილებს. სექსოპათოლოგიაში ამას "ქალბატონისა და მონის სინდრომს" უწოდებენ. საკმარისია, გავიხსენოთ მაიაკოვსკის მუსა ლილი ბრიკი. ეს ბანოვანი რკინის ხელით მწყემსავდა თავის მამაკაცებს. უბედური მაიაკოვსკი წლების განმავლობაში არჩენდა ბრიკების წყვილს. ლილის საზღვარგარეთ მანქანა უყიდა და პირველსაყვე თვალის გადაბრიალებაზე სოლიდურ თანხებს აძლევდა. ქალი მას ძალზე ციივად და უემეხად ექცეოდა; "ძალიან მიყვარდა ოსიასთან (მისი ქმარ – ავტ.) წოლა. ამ დროს ვალოდიას სამსარეულოში ვამწყვდევდით (ისინი ერთ ბინაში ცხოვრობდნენ!). მესმოდა, როგორ ტიროდა და აწვალებდა კარებს" – გამოუტყდა ერთხელ ქალბატონი ბრიკი ოჯახის მეგობარს. სიკვდილის შემდეგ მაიაკოვსკიმ საყვარელს ბინა და ლიტერატურული მემკვიდრეობა უანდერძა. ეს ფაქტი საბედისწერო ქალის "ბანდიტიზმის" ძალზე თვალსაჩინო ნიმუშია.

საბედისწერო ქალთა მეორე ტიპს – "თაღლითს", ქმნის "სუსტ ქალთა" ის კატეგორია, რომელშიც "მშობელი" ბოლომდე ვერ "გაკოჭეს". მისი მეთოდები მოქნილია და შემპარავი. "ბანდიტი" მამაკაცს თრგუნავს, "თაღლითი" – ნდობაში შედის, ან სულაც თავს აცოდებს. პირველი ძუ ვეფხვია, მეორე – კრუტუნა ფისუნია, – "თაღლითი" "ბანდიტზე" სახიფათოა, რამეთუ თანაბარი წარმატებით აცურებს როგორც მასოხისტს, ისე სადისტს და ხანდახან... ნამდვილ მამაკაცს! მის შემთხვევაში "სისუსტე" დამანგრეველ ძალად იქცევა. სწორედ "თაღლითი" იყო ფრანგი ლეიტენანტის მომხიბლავი საყვარელი მერილ სტრიპის შესრულებით.

"არ არსებობს ცბიერება, ქალის ცბიერებას რომ აღემატებოდეს", – გვმოძღვრავს ისო ზირაქი.

ალბათ, აქ "საბედისწერო ქალი" იგულისხმება.

მზეთუნახავი და ურჩხული

1. მარადიული დუეტი – ქალი და მამაკაცი

უსიერ ტყეში განმარტოებით ცხოვრობს ყველასაგან მოძულებული და მთელს ქვეყანაზე გაბოროტებული ურჩხული. მაგრამ გამოჩნდა მზეთუნახავი, რომელიც არ შეუშინდა არც საფრთხეს, არც მის სასარელ იერს. სითბო აგრძნობინა და... მონსტრი უფლისწულად გარდაიქმნა.

"მზეთუნახავი და ურჩხული" მსოფლიოს ხალხთა ფოლკლორსა და მითოლოგიაში ფართოდ გავრცელებული არქეტიპული წარმომავლობის სახე-სიმბოლოა. ხალხის პოეტურმა ფანტასიამ ფანტასტიკური სახე-სიმბოლოს კოდში მოაქცია უსოგადესი ფილოსოფიური საკითხი – სქესთა ინტერპერსონალური ურთიერთობა, ანუ ქალური და მამაკაცური საწყისების ურთიერთობა და ფენომენოლოგიური რაობა. ნაჩვენებია

მამაკაცური (აქტიური) საწყისის ორსახოვნება – აღმაშენებელი (კონსტრუქციული) და დამანგრეველი (დესტრუქციული). იგულისხმება, რომ მამაკაცს თანაბარი წარმატებით შეუძლია იყოს როგორც უფლისწული, ისე ურჩხული. ეს დამოკიდებულია აღზრდაზე, სოციუმზე, მის სურვილზე და... ქალზე. ზემოხსენებულ ზღაპარში ქალზე ფაქიზადაა ნაჩვენები ქალური სითბო-სინაზის გაველენით მამაკაცური აგრესიის შერბილება, კონსტრუქციულ კალაპოტში მოქცევა და სიკეთისკენ წარმართვა. ანუ თუ გვინდა ურჩხულში უფლისწულის გამოღვიძება, მზეთუნახავმა უნდა იმზეთუნახავოს: ჩნდება ლოგიკური შეკითხვა: მზეთუნახავი ყოველთვის მზეთუნახავობს?

"ქალებს უკიდურესობა ახასიათებთ. ან მამაკაცზე გაცილებით უკეთესნი არიან, ან გაცილებით უარესნი", – წერდა ლაბრიუერი. ამ სიტყვებში კარგი ანალიტიკოსის დახვეწილი ხედვა იგრძნობა. ქალი თავისი ბუნებით უფრო ინტუიციურ-ემოციურია. სწორედ ამიტომ, როგორც დადებით, ისე უარყოფით გამოვლინებებში უფრო რადიკალურია, ამდენად წარმატებით შეუძლია იყოს როგორც მზეთუნახავი, ისე... ურჩხული ყუბში! მაგალითისთვის ლილი ბრიკიც კმარა.

აქ იბადება კიდევ ერთი ლოგიკური შეკითხვა: ყოველთვის შესაძლებელია ურჩხულის გაუფლისწულება? პასუხი ისევ ზღაპარში უნდა მოვიძიოთ: საჭიროა თავად ურჩხულის სურვილი. ნებისმიერმა ფსიქოთერაპევტმა ანა-ბანასავით იცის – პაციენტს არაფერი ეშველება, თუ პრობლემის გადაჭრაში თავად არ არის დაინტერესებული.

დასკვნა: წარმატებული ინტერპერსონალური ურთიერთობა ორმხრივი ძალისხმევის შედეგია, ანუ მზეთუნახავმა უნდა იმზეთუნახავოს, ხოლო ურჩხულის გაუფლისწულების სურვილის ნასახი მაინც უნდა ჰქონდეს; წინააღმდეგ შემთხვევაში, მას ხელში "ფსევდო-მზეთუნახავი" – ზემოხსენებული "თაღლითი" ჩაიგდებს და თავის ჭკუაზე აცეკვებს. გავიხსენოთ, კრონინის "ციხე-კოშკი ბროუდის" მთავარი გმირი, რომელიც წლების მანძილზე ატერორებდა ცოლ-შვილს და ბოლოს მოხერხებული ნენსის მარიონეტი გახდა.

2. როლების გადანაცვლებით... ჯამი იცვლება

როგორც უკვე აღინიშნა, დუეტი "მზეთუნახავი და ურჩხული" მამაკაცური და ქალური საწყისების ფენომენოლოგიური რაობისა და ურთიერთმიმართების განზოგადებული სახე-სიმბოლოა. ეს საკითხი მარადიულია,ამიტომ მითოლოგიაში,ეპოსში,ფოლკლორში, ლიტერატურაში, ფერწერაში ხშირად გვხვდება მისი ტრანსფორმირებული ვერსია. ტრანსფორმაციის ფორმა და შინაარსი დამოკიდებულია კონკრეტული ისტორიული პერიოდის მსოფლმხედველობაზე. მატრიარქალური მსოფლმხედველობისთვის დამახასიათებელია მზეთუნახავის კონსტრუქციული წარმოდგენა; მისი გაველენა ურჩხულზე გამაკეთილშობილებელია. პატრიარქატს სქემაში "კორექტიეები" შეაქვს. მისი ინტერპრეტაციით "მზეთუნახავი" ბოროტ ძალად გარდაიქმნება, ანუ "ურჩხულდება". ყოფილ "ურჩხულში" კი მისი მსხვერპლია. ადამისა და ევას ისტორიის სამოთხისეულ სტადიაში აშკარად იგრძნობა ამ მოდელის გაველენა. "მზეთუნახავი" ნებისმიერ ვერსიაში ქალის სახით ფიგურირებს. "ურჩხული" შეიძლება იყოს ფანტასტიკური მონსტრი,

მტაცებელი ცხოველი და ხანდახან მამაკაცი. უკანასკნელი ვარიანტი პატერნალისტური მოდელისთვისაა დამახასიათებელი, რომელშიც ქალს დესტრუქციული მისია აკისრია. როლების ასეთი გადანაცვლება პატერნალიზმის მიმძლავრების პარალელურია და დასრულებულ სახეს ქრისტიანულ პერიოდში აღწევს.

შუმერულ ეპოსში გილგამეშის შესახებ ჯერ კიდევ ცოცხლობს მატრიარქალური გავლენა, ამდენად შემორჩენილია ქალური საწყისის კონსტრუქციული შეფასება. მზეთუნახავი შამხათი ესტუმრება ნახევრად მსეც ენრდუს, რომელიც, ზემოხსენებული ურჩხულისა არ იყოს, ტყეში განმარტოებით ცხოვრობს, თავს შეაყვარებს და... გილგამეშის დაუძინებელი მტერი მის უერთგულეს მეგობრად გარდაიქმნება. სასეზეა ზემოხსენებული სქემა: მამაკაცური აქტივობა, რომელმაც გარკვეული მიზეზების გამო (ამ შემთხვევაში, ღმერთების ბოროტი ნებით) დამანგრეველ-აგრესიული ფორმა მიიღო, ქალური კეთილმეოფელი გავლენით გაკეთილშობილდება და სიკეთისკენ წარიმართება.

საინტერესო დეტალი: მრავალ უძველეს რელიგიაში სწორედ ქალური საწყისია უზენაესი მამაკაცური საწყისის სამყაროს შექმნისკენ მამოძრავებელი მთავარი სტიმული. საკმარისია დავასახელოთ ძველეგვიპტური ამონი და მისი მეუღლე მუტი, რომლის გარეშე ქმნის პროცესი არ დაიწყებოდა. ინდუიზმში ქალური საწყისი შაქტი არის შინაგანი შემოქმედებითი არსი, რომელიც მამაკაცს - ღვთაებას აქტივობისკენ უბიძგებს. კრიშნასთვის ეს არის რადხა, ბრაჰმასთვის - ლაქშმი, შივასთვის - პარვატი და ს. შ. ეზოთერიკაში სულიწმიდა დედური საწყისია და მამა-ღმერთი სწორედ მისი ძალით ქმნის სამყაროს.

პატერნალიზმის მომძლავრება ამ სქემაში როლების გადასინჯვამ განაპირობა. ქალური საწყისი ნელ-ნელა დესტრუქციულ დატვირთვას იძენს. ეს უკვე ბერძნულ მითოლოგიაშიც შეინიშნება. უკეთილშობილესი და უბრძნესი ქალღმერთი ათენა ზევსის თავიდან იბადება; აქედან დასკვნა – ყოველი სიკეთე მხოლოდ მამაკაცური საწყისიდან მომდინარეობს. ის, რომ ძალაუფლებას ჩაჭიდებულმა ზევსმა ათენას ფეხმძიმე დედა გადაეცალა, ძალზე გაკვრით მოიხსენიება. ქალი-ღვთაებები არცთუ მიმზიდველ ამპლუაში გვყვლინებიან. არტემიდე ირმად გადააქცევს მის წმინდა გამოქვაბულში შემთხვევით შემოსულ უბედურ აქტეონს და მას ნაგაზები დაგლეჯენ, კირკე ღორებად აქცევს მამაკაცებს. ზევსი, როგორც ჩანს, ქალის დაბალი ბუნების გათვალისწინებით, ლედას გედის სახით დაეუფლება, მინოსის ავხორცი მეუღლე პასიფაე ხარს შეაყვარებს და მისგან მინოტავრს – ნახევრად პირუტყვ მამაკაცს გაანენს. ისევ იგივე მოტივი – მამაკაცური საწყისის გაუკულმართება ქალურის მხრიდან.

"ათას ერთ ღამეში" შეტანილია ნოველები "ქალი და დათვი" და "ქალიშვილი და მაიმუნი", რომლებშიც ქალური საწყისის წინაშე აბსურდამდე აყვანილი ნეგატივიზმია ასახული. ამ ნოველებში მხეცი უკვე მამაკაცურ საწყისს არ გამოხატავს. მამაკაცი პირველ ნოველაში გარყვნილი ქალის დამსჯელი, ხოლო მეორეში – სწორ გზასე დამყენებელი, ანუ "უფლისწულია". დეკლარატიულადაა ხაზგასმული მამაკაცის მიერ ქალური საწყისის გაკეთილშობილება.

ქალის წინაშე დაუძლეველი შიში იკითხება მწერალ მერიმეს ნაწარმოებებში. ქალი-მონსტრი შეუბრალებლად კლავს უმწეო დათვს

ან მგელს, ტყავს გააძრობს და შეიმოსება. ქვეტექსტურად იგრძნობა მწერლის მიერ მამაკაცური საწყისის ამ მხეცებთან იდენტიფიცირება. იგივე მოტივის შორეული გამოძახილი იკითხება მერიმეს ნოველაში "ლოკისი", სადაც დათვის მიერ შეშინებული დათვი შობს კაც-პირუტყვს, ხოლო შემდგომ, სხვა ქალი მის პირუტყვულ ბუნებას თავისი კეკლუცობითა და ქარაფშუტობით წყალს დაასხამს.

მერიმეს ხსენებული ნოველის ზოგად მოდელზეა აგებული ფილმი "მხეცი", რომელიც თხუთმეტიოდე წლის წინათ გადიოდა თბილისის კინოეკრანებზე. მზეთუნახავის ფენომენი (ანუ ქალური საწყისის კონსტრუქციული გააზრება) სქემიდან საერთოდ ამოგდებულია. ქალი წარმოდგენილია როგორც პირუტყვი, რომლის ავხორცობის წინაშე ყველაფერი უძლურია. უფლისწული აღარ არსებობს, მაგრამ ამაშიც ქალია დამნაშავე. იგი პირუტყვია – მხეცის სარეცლის ჯერ ძალადობით გამზიარებელი, ხოლო შემდეგ მომთხოვნი და ინიციატორი, ამიტომ მხოლოდ ნახევრად პირუტყვებს თუ გააჩენს (აშკარაა პასიფაეს მოტივი). საბოლოოდ, ქალური საწყისის დესტრუქციული ენერგეტიკა მისტიკურ ძალას იძენს და უშუალო კონტაქტის გარეშე, დისტანციურად ამოხდის სულს უმწეო მამაკაცს.

ასეთია ქალური საწყისისა და სქესთა ინტერპერსონალური ურთიერთობის პატრიარქალური კონცეფციის "დაგვირგვინება". ჯეშმარიტებაა, თუ საკუთარი სისუსტით ნაკეები კომპლექსი? ჩვენ უფრო მეორე გვგონია.

ნოსტალგიური პასაჟი: ხალხურმა არქეტიპულმა მეხსიერებამ, რომელიც მდგრადია დროის გავლენის წინაშე, უცვლელად შემოგვინახა სქესთა ურთიერთობის უძველესი, ჯანსაღი გაგება. გენიალური სანდრო ბოტიჩელის ტილოზე "მარსი და ვენერა" ულამაზესი ფორმითაა ხორცშესხმული. დაუნდობელ, სისხლისმსმელ მარსს ბავშვივით ჩასძინებია თავისი მშვენიერი სატრფოს ფეხრთით. აბჯარი და იარაღი ამურების უწყინარ სათამაშოდ გადაქცეულა.

მხეცი, მზეთუნახავის მიერ მოთვინიერებული მამაკაცი, რომელიც ქალის სიყვარულმა გააკეთილშობილა...

რა არის საჭირო იმისთვის, რომ ეს მოდელი რეალობად იქცეს?

პირველ რიგში, ნამდვილი ქალი და ნამდვილი მამაკაცი, ანუ ორი სამერთიანი სიმეტრიის შერწყმა – ორმხრივი ძალისხმევის გარეშე ეს შეუძლებელია.

"ძლიერი და სუსტი" მამრები და მდედრები ამისთვის არ გამოდგებიან...

3. "მზეთუნახავი და ურჩხული" – პოლიტიკური განზომილება

მოდელი "მზეთუნახავი და ურჩხულის" ჰარმონიზირებული ვარიანტი იდეალურია საზოგადოებრივად პროდუქტიული შემოქმედებითი და აღმშენებლობითი საქმიანობისთვის ნებისმიერ სფეროში. იმავე პოლიტიკაში მამაკაცს სტილი, მისი ფსიქიკიდან გამომდინარე, უფრო აგრესიულ-ტექნოკრატულია, ხოლო ქალის – სოციალურ-ჰუმანისტური, როგორც სავსებით სწორად აღნიშნა ქალბატონმა ადა მარშანიამ. რა თქმა უნდა, მხედველობაში გვაქვს მასკულინური ტიპის მამაკაცები და ფემინური ტიპის ქალები – სწორედ ეს დუეტი მოგვცემს რეალურად ყველაზე გაწონასწორებულ და წარმატებულ პოლიტიკურ სტრუქტურას.

პატერნალიზმის პირობებში დარღვეულია ხსენებული მოდელის ნორმალური მიმდინარეობა. სახეზეა ან ურჩხულადქცეული "მზეთუნახავი", რომელიც მამაკაცს ფეხქვეშ გაიგებს ("ბანდიტი"), ან "ფსევდო-მზეთუნახავი", რომელიც ყურით დაიჭერს და თავის ჭკუაზე აიცეკვებს ("თაღლითი"), ან ქალი-მონა, რომელსაც არავინ "ამზეთუნახავებს". პირველ ორ შემთხვევაში მამაკაცი მსხვერპლია, მესამეში – აგრესორი ("ურჩხული", "გაუფლისწულების" პოტენციის გარეშე). ასეთ პირობებში ქალთა მოსვლა პოლიტიკაში ან შეუძლებელია, ან მანკიერი მეთოდებით ხორციელდება.

თუ ქალის პოლიტიკური მოღვაწეობა ოფიციალურად იკრძალება, მაშინ ძალაფლებისმოყვარე ქალები მსოფლიოსავით ძველ მეთოდს – საწოლის ტაქტიკას მიმართავენ. ამის შედეგად პოლიტიკურ სარბიელზე, ძირითადად, "ბანდიტები" და "თაღლითები" „ჯეჯილობენ". ამ ფონზე სავსებით გასაგებია ისტერიული შეძახილი ძველი რომის მაღალი ტრიბუნიდან, აგრეთვე ისო ზირაქის ანტიფემინიზმი.

თუ ქალის პოლიტიკური მოღვაწეობა ოფიციალურად არ იკრძალება, მაგრამ ყოფითი მეთოდებით (გაკიცხვა, ხელის შეშლა...) იბლოკება, მაშინ პოლიტიკურ სარბიელზე ისევ და ისევ ვხედავთ "ბანდიტებს", "თაღლითებს" და მასკულინური ტიპის "ვაჟკაცურ ქალებს",რომელთანაც შებმას ყველაზე ძლიერ მამაკაცებსაც არ ეურჩევდით. მაგალითებისთვის შორს წასვლა არც დაგვჭირდება – მარგარეტ ტეტჩერი, მადლენ ოლბრაიტი, კონდოლიზა რაისი. ეს მამაკაცურ შიშებს კიდევ უფრო ამძაფრებს.

კვოტირების იდეა სწროედ იმას ემსახურება, რომ პოლიტიკაში მოზიდულნი იყვნენ ორგანიზაციულ-ადმინისტრაციული უნარის მქონე „ფემინური მანდილოსნები", რომლებიც, იმედს ვიტოვებთ, რომ წარმატებით იმზეთუნახავებენ.

წმინდა მასკულინური პოლიტიკა განუწყვეტელი ომებისა და კრიზისების წყაროა. გავიხსენოთ – არისტოფანეს მიხედვით, ძველ საბერძნეთში გაჭიანურებული ომი სწორედ ლისისტრატეს ინიციატივამ შეაჩერა. თუმცა იგივე არისტოფანე "კანონმდებელ ქალებში" წმინდა ფემინურ მმართველობას ძალზე მახვილგონივრულად დასცინის. მისი საღი იუმორის ფონზე ჩვენს ძვირფას პარლამენტარ მამაკაცთა ქილიკი "მარადიული ბავშვის" უხეირო ცუმბუშობაა და სხვა არაფერი.

"რატომ სურთ ამ ქალბატონებს დეპუტატობა? დაე, დარჩნენ იმად, რაც არიან – ბოზებად!" – ბრძანა ფრანგმა სენატორმა რაიმონ დიუპლატიემ 1932 წელს.

მადლობა ღმერთს, არც ისე ცუდად გვქონია საქმე. ქართველ მამაკაცებს ასეთი რამ ჯერჯერობით ჩვენთვის არ უკადრებიათ.

Summery of the article
"He and She: Eternal Contradiction" by Medea Goxadze

The article "He and She: Eternal Contradictions" represents s series of essays unified with some common ideas. It discusses philosophical-emotional, socio-

psychological and philosophical parameters of the interpersonal relations between the sexes. In order to analyze the feminine and masculine characters, the author applies Eric Bern's fundamental model, according to which human behavior is regulated by three basic mechanisms: "the child" determines impulsive behavior, "the parent" supervises "the child" and "the adult" balances both of them. In virtue of the third one, neither "the child" climbs up "the parent", nor can "the parent" oppress "the child". These three mechanisms are balanced in case of the harmonious person – coming out from his or her psychological maturity; we can call such s person "the adult".

We tried to sociologize this approach. Paternalism killed "the adult" in s woman, roped "the parent" and waved s finger to "the child". It means that so called beautiful sex, in fact, was deprived the right of self-regulations. She was turned into s socio-historical invalid who harmed the society both in vertical and in horizontal prisms; namely, normal running of interpersonal relations between the sexes were ruined in the families, as well as in the society. Woman and man became historical rivals – fear and distrust dwelt between them. It caused s lot of medical, as well as socio-political deviations. The first suggests health and intimacy problems, the second includes family conflicts, while the third implies those difficulties, which women encounter in socio-political self-realization. All these issues are surveyed through both universal and comparatively narrow ethical prisms.

Specifically emphasized is one considerable factor: paternalism, having woman invalidated, has also damaged the man. The "Invalidated" woman does not fulfill her social functions and is not able to be s perfect mother (as s spiritual-moral governor) and s good spouse (as s friend and an intimate partner). In other words, she cannot do those things, which paternalism "graciously' inherited to her. S man raised by an imperfect mother becomes s gender ***half-ready/ready-made*** – the abovementioned balance is already deconstructed in him. Later, when becoming an adult, this misbalance is deepened by imperfect relations with an imperfect woman. The strong sex mostly is represented as "parents" and "children", while "adult" characters are pretty rare. It results in low rates of fulfillments of social functions in the men's case – we mean mainly state leadership and family patronage. During the crisis this imperfectness grows into s full social helplessness that expresses itself with serious health problems and suicidal tendencies. One special essay of the series is dedicated to this problem.

The survey is resumed by the analysis of the archetypical image-symbol of interpersonal relations – of "Beauty and Monster". These image-symbols permanently appear in mythology and in folklore. It reflects the ideological variations of philosophical parameters of gender relations. "Woman", happens to be s Beauty or s Monster according to the historical epoch, to which fits the concrete mythological and folkloristic pattern. S matriarchal period is characterized by constructive understanding of women's roles. In this version of the image-symbol the Beauty (woman) makes the Monster (man) into the Prince. The publication argues the phenomenological essence, structural order and dialectics of transformation of this image-symbol.

We hope that after some corrections these essays become s part of the future work "He and She".

ლიკა ნადარაია

ქალი და პოლიტიკა თანამედროვე საქართველოში

შესავალი

დემოკრატიის მთავარი პრინციპის თანახმად, გადაწყვეტილებას თავიანთ ყოფაზე თავად ისინი უნდა იღებდნენ, ვისაც ეს გადაწყვეტილება ეხება. საუკუნეების მანძილზე ეს პირობა არ ვრცელდებოდა ადამიანთა გარკვეულ ჯგუფებზე – ვისაც არ ქონდა საკუთრება ან განათლება; ვინც არ იყო გაბატონებული კულტურის ან რელიგიის წარმომადგენელი; მონებზე, ფერადკანიანებ'ზე, რასობრივ და ეთნიკურ უმცირესობებზე, დაპყრობილ ხალხებზე, და, განსაკუთრებით, ქალებზე. დღეს მრავალმა ამ ჯგუფთაგან მოიპოვა უფლება, მონაწილეობა მიიღოს პოლიტიკურ პროცესებსა და სახელმწიფო მართვაში. ქვეყნის დემოკრატიულობის მინიმუმად მიჩნეულია საყოველთაო და სამართლიანი არჩევნები, რომლის შედეგად საზოგადოების ყოველ სეგმენტს ეძლევა შესაძლებლობა, ჰყავდეს თავისი ინტერესების დამცველი სახელმწიფო მმართველობაში.

საზოგადოების კეთილდღეობასა და პოლიტიკურ წონასწორობას მეტწილად განსაზღვრავს ის, თუ რამდენად ინტეგრირებულია პოლიტიკურ გადაწყვეტილებებსა და კანონებში საზოგადოების ყველა წევრის ინტერესი. ამიტომ, ხელისუფლების ვალია, რაც შეიძლება მეტად გაითვალისწინოს საზოგადოების მთელი სპექტრის გამოცდილება და არა მხოლოდ გარკვეული ეიწრო ჯგუფის მოთხოვნილებების შესაბამისად იმოქმედოს.

მაგრამ ეს პირობა მხოლოდ ნაწილობრივ სრულდება - ახლად ჩამოყალიბებულ დემოკრატიულ ქვეყნებში საყოველთაო ხმის უფლება ჯერ კიდევ არ იძლევა ქვეყნის მმართველობაში თანასწორი მონაწილეობის სრულ გარანტიას. საზოგადოების მრავალი სეგმენტი ისევ რჩება პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღმა - უმთავრესად ეს ვრცელდება ღარიბ და ნაკლებად განათლებულ მოსახლეობაზე, და კვლავ ქალებზე.

XX საუკუნის ბოლოს, მსოფლიოს ქვეყნების 95%-მა ქალები დააჯილდოვა ორი ყველაზე ფუნდამენტალური უფლებით: ხმისა და არჩევნებში კენჭისყრის უფლებით. პირველი ქვეყანა იყო ახალი ზელანდია, რომელმაც 1893 წელს ქალებს ხმის უფლება მისცა; ფინეთი - კი პირველი ქვეყანა, რომელმაც 1906 წელს ქალებს ორივე ფუნდამენტური დემოკრატიული უფლება მიანიჭა. ისიც აღსანიშნავია, რომ მსოფლიოში ჯერ კიდევ დარჩა რამოდენიმე ქვეყანა, რომლებიც ქალებს უკრძალავს ხმისა და არჩევნებში კენჭისყრის უფლებებს - კუვეიტი და არაბთა გაერთიანებული ემირატები.

თეორიულად, არჩევნებში კენჭისყრის უფლება, კანდიდატობა და არჩევნებში გამარჯვება ეფუძნება ხმის უფლებას. რეალურად - კი ქალებს ხმის უფლება ესღუდებათ: ძირითადად ეს იმიტომ ხდება რომ, არჩევნებში მონაწილე კანდიდატების უმეტესობა მხოლოდ მამაკაცები არიან. ეს კანონსომიერება თავს იჩენს არა მხოლოდ განვითარებად, არამედ უკვე ჩამოყალიბებულ დემოკრატიულ ქვეყნებშიც.

ქალთა რაოდენობრივი წარმომადგენლობა გადაწყვეტილების მიღების სტრუქტურებში, გულისხმობს თანასწორობას, სამართლიანობასა და ადამიანის უფლებათა დაცვას. ქალთა მაღალი წარმომადგენლობა გადაწყვეტილების მიღებისას იწვევს ამ გადაწყვეტილებების თვისობრივ ცვლილებას – მათ სიცოცხლისუნარიანობასა და საყოველთაობას. საზოგადოებრივი წონასწორობის მიღწევა პოლიტიკურ პროცესებსა და სახელმწიფო სტრუქტურებში ქალთა დაბალი წარმომადგენლობის პირობებში შეუძლებელია!

ზოგიერთ ევროპულ პარლამენტში ქალთა წარმომადგენლობის სიმცირე შეიძლება ჩაითვალოს ქალების ფუნდამენტური დემოკრატიული უფლებების კარგად გამიზნულ დარღვევად, საკანონმდებლო ორგანოში ქალთა წარმომადგენლობის დაბალი მაჩვენებელი მიუთითებს არა დემოკრატიულობის ხარისხზე, არამედ სტატუს კვოს შენარჩუნებაზე.

ცხრილი I ქალები ეროვნულ პარლამენტებში (2004 წლის მონაცემები)

საშუალო მსოფლიო მონაცემი

ორთავე პალატა ერთობლივად	
მანდატთა საერთო რიცხვი	42 623
პარლამენტართა საერთო რიცხვი	41 299
მამაკაცი	34 911
ქალი	6 388
ქალთა პროცენტული მაჩვენებელი	15.5%

ქვედა პალატა		ზედა პალატა	
მანდატთა საერთო რიცხვი	36 286	მანდატთა საერთო რიცხვი	6 337
პარლამენტართა საერთო რიცხვი	35 204	პარლამენტართა საერთო რიცხვი	6 095
მამაკაცი	29 719	მამაკაცი	5 192
ქალი	5 485	ქალი	903
ქალთა პროცენტული მაჩვენებელი	15.6%	ქალთა პროცენტული მაჩვენებელი	14.8%

საშუალო რეგიონალური მონაცემი

რეგიონები	ქვედა პალატა	ზედა პალატა	ორთავე პალატა ერთობლივად
ჩრდილოეთის ქვეყნები	39.7%	-	39.7%
ევროპა ეუთო ჩრდილოეთის ქვეყნების ჩათვლით	18.5%	18.4%	18.4%
ამერიკა	18.3%	16.2%	17.9%
ევროპა ეუთო ჩრდილოეთის ქვეყნების ჩაუთვლელად	16.2%	16.2%	16.2%
sაბრის ოკეანის ქვეყნები	15.1%	14.5%	15.1%
წყნარი ოკეანის ქვეყნები	14.6%	13.6%	14.5%
აზია	11.1%	20.5%	12.3%
არაბული ქვეყნები	6.0%	-	-

უმეტეს ქვეყნებში არსებობს ქალთა წარმომადგენლობის კანონით დარეგულირების პრობლემა - რიგ შემთხვევებში კანონი მიღებულია, მაგრამ არ ტარდება; სხვა შემთხვევებში არ არსებობს თავად კანონი. მაგალითად, არგენტინაში კვოტების კანონი პარტიებიგან საარჩევნო სიების გამსვლელ რიგებში 30% ქალების ჩართვას ითხოვს. ასეთი კანონის გარეშე შესაძლებელი არ იქნებოდა პარლამენტარ-ქალთა რიცხვის გაზრდა.

კვლევებმა გვიჩვენა, რომ პარლამენტში ქალთა წარმომადგენლობის გაზრდისათვის უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს პოლიტიკურ სტრუქტურას, ვიდრე სოციალური ფაქტორებს. პროპორციული არჩევნების სისტემის შემთხვევაში სამჯერ-ოთხჯერ მეტი ქალი აირჩევა ხოლმე (გერმანია, ავსტრალია).

ქალი და პოლიტიკა საქართველოში

საქართველომ, დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ, მკაფიოდ გამოხატა თავისი დამოკიდებულება ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხისადმი. ქვეყნის კონსტიტუციის მე-14 მუხლის თანახმად: "ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალი და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა."

გარდამავალ პერიოდში დიდი ყურადღება მიექცა დემოკრატიზაციის პროცესს და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოალიბებისათვის აუცილებელი საკონმდებლო ბაზის შექმნას. საქართველო შეუერთდა ადამიანის უფლებათა დაცვის არაერთ კონვენციას, რომელიც იცავს ქალის ადამიანის უფლებებს და ხელს უწყობს ქალთა ჩართვას ქვეყნის მმართველობაში.

ეს კონვენციები შემდეგია:

- "ადმიანის უფლებეთა საყოველთაო დეკლარაცია" (უსენაესი საბჭოს დადგენილება, 15/09/1991).
- "სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი" (პარლამენტის დადგენილება, 25/01/1994).
- "ეკონომიკურ სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტი" (პარლამენტის დადგენილება, 25/01/1994).
- "ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენცია" (პარლამენტის დადგენილება, 22/09/1994). კონვენციასთან შეერთებამდე და შემდგომ საქართველომ მიიღო კანონები, რომელებიც ხელს უწყობს კონვენციის განხორციელებას.
- "შამაკაცთა და ქალთა თანაბარი ღირებულების შრომის თანაბარი ანაზღაურების შესახებ კონვენცია"(პარლამენტის დადგენილება, 29/05/1996).
- "წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის აღკვეთის ევროპული კონვენცია" (№272,3/05/2000);

- "წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის აღკვეთის ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმი" (№273,3/05/2000);
- "წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის აღკვეთის ევროპული კონვენციის მეორე დამატებითი ოქმი" (№274,3/05/2000);
- "ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის დამატებით ოქმთან შეერთების თაობაზე" (№1472-RS, 18/05/2002).
- "ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის მე-20 მუხლის პირველი პუნქტის შესწორების რატიფიცირების თაობაზე" (1674- IS,27/09/2002).

1998 წლიდან, ქალთა დისკრიმინაციის კომიტეტში ანგარიშის წარდგენიდან, არაერთი ინიციატივა განხორციელდა სახელმწიფოს მიერ. მათ შორის, 1998 წლის 20 თებერვლის პრეზიდენტის ბრძანებულების საფუძველზე შეიქმნა ქალთა წინსვლის სახელმწიფო პოლიტიკის შემმუშავებელი კომისია (პრეზიდენტის ბრძანებულება №48, 20/02/1998).

1998-2000 წლებისათვის მიღებულ იქნა ქალათა წინსვლის ეროვნული სამოქმედო გეგმა (პრეზიდენტის ბრძანებულება №308, 18/06/1998).

ეროვნული ინსტიტუციონალური მექანიზმის დაფუძნებამ დადებითი გავლენა მოახდინა გენდერული თანასწორობის და ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებაზე.

მეტიც, 1999 წელს ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტში ანგარიშის წარდგენის შემდეგ სახელმწიფოს მიერ გატარებული სპეციალური ზომები ასახავს გენდერული პრობლემების გადაჭრის პოლიტიკურ ნებას.

ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტის რეკომენდაციების საპასუხოდ სახელმწიფომ გამოსცა სპეციალური ბრძანებულება, რომელიც მიმართული იყო ქალთა უფლებების დაცვის გაუმჯობესებაზე.

სამწუხაროდ, საქართველოს პრეზიდენტის №511, 1999/11/05 ბრძანებულება – "საქართველოში ქალთა უფლებების დაცვის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ", დარჩა ფორმალურ პასუხად ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტის რეკომენდაციებზე და უმნიშვნელო გავლენა მოახდინა ქალთა წინსვლაზე.

"ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის დეკლარაციის" (გაერო, გენერალური ასამბლეა, 1993 წ.) საპასუხოდ გამოიცა საქართველოს პრეზიდენტის №64, 2000/25/02 ბრძანებულება და დამტკიცდა 2000-2002 წლების "ქალთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლის ეროვნული გეგმა".

მიუხედავად ჩამოთვლილი ღონისძიებებისა, გარდამავალ პერიოდში ცოტა რამ შესრულდა ქალთა წინსვლის თვალსაზრისით.

2003 წლის, 23 ნოემბრის "ვარდების რევოლუციის" შემდეგ საქართველოში განხორციელდა მასშტაბური ადმინისტრაციული ცვლილებები. ამ ცვლილებებმა გარკვეული გაელენა მოახდინა ქალთა წინსვლის საკითხზე – მართალია, უშიშროების საბჭოსთან არსებული ქალთა წინსვლის კომისია 2004 წლის იანვარში გაუქმდა, მის სანაცვლოდ

ჩამოყალიბდა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან არსებული გენდერული თანასწორობის საკითხების საკონსულტაციო საბჭო (პარლამენტის თავმჯდომარის ბრძანებულება N105/3, 27/10/04).

საქართველოში ქალთა წარმომადგენლობა გადაწყვეტილების დონეზე და პოლიტიკურ პროცესებში

პოსტკომუნისტურ საქართველოში გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალთა მონაწილეობამ მნიშვნელოვნად იკლო. საბჭოთა საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენელთა 30%-ს ქალები შეადგენდნენ, გარდამავალ პერიოდში უკუსვლის ტენდენცია გადაწყვეტილების მიღების ყველა დონეზე გამოვლინდა: მთელი პერიოდის (1991-2003) მაძილზე საპარლამენტო ხელისუფლებაში ეს ციფრი არ აღემატება 6.4%-ს, მათი რიცხვი მუდმივი რჩებოდა – 17, ხოლო, რაც შეეხება აღმასრულებელ ხელისუფლებას, აქ ქალთა წარმომადგენლობა არ აღემატებოდა 10%-ს.

2001–2003 წლებში ქალთა ქსელებმა პარლამენტში წარადგინეს ოთხი სხვადასხვა საკანონმდებლო რეკომენდაცია, რომლებიც პოლიტიკურ სფეროში ქალების წარმომადგენლობის გაზრდაზე იყო მიმართული – ეს რეკომენდაციები სხვადასხვა ფორმით ითხოვდნენ ქალებისათვის პოლიტიკურ პარტიებში ქვოტების დაწესებას. სამწუხაროდ, ყველა ეს მცდელობა მარცხით დასრულდა.

რაც შეეხება 2004 წლის პარლამენტს, აქ ქალთა წარმომადგენლობა 9,7% ტოლია - უკანასკნელი მონაცემებით პარლამენტართა რიცხვი 217 შეადგენს, რომელთა შორის 22 ქალია.[1] წინა პარლამენტთან შედარებით შესამჩნევი წინსვლაა – ქალ პარლამენტართა რიცხვი 3,3% გაიზარდა. აღსანიშნავია, რომ პარლამენტში ქალებს მნიშვნელოვანი პოზიციები უკავიათ – პარლამენტის თავმჯდომარე და უმრავლესობის ფრაქციის ლიდერი ქალები არიან; ასევე, საპარლამენტო ორ კომიტეტს ქალები უძღვებიან, ხუთი ქალი კომიტეტის თავჯდომარის მოადგილეა.

გენდერული თვალსაზრისით გაუმჯობესებაა აღმასრულებელ ხელისუფლებაშიც. დღეს, აღმასრულებელ ხელისუფლების მმართველობაში ქალები 20%-ს შეადგენენ. ქალები დანიშნული იქნენ შემდეგ მაღალ თანამდებობებზე: ოთხი სახელმწიფო მინისტრიდან ერთი ქალია, თოთხმეტი სამინისტროდან სამს, ხელმძღვანელობს ქალი: გარემოსა და ბუნების დაცვის სამინისტროს, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს და საგარეო საქმეთა სამინისტროს; ამასთან, ოთხ ქალს უკავია მინისტრის მოადგილის თანამდებობა.

ხუთი ქალი წარადგენს საქართველოს საერთაშორისო დონეზე: გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ევროპის საბჭოსთან საქართველოს მუდმივ წარმომადგენლობაში, საფრანგთსა და იუნესკოს მუდმივ წარმომადგენლობაში,იორდანიის ჰაშიმიტურ სამეფოს, ლიბანის რესპუბლიკას, საუდის არაბეთს, ქუვეიტსა და გაერთიანებულ არაბთა

[1] საქართველოს კონსტიტუციით საქართველოს პარლამენტში 235 პარლამენტის წევრია. დღეს აფხაზეთის დეპუტაციის 11 ადგილი თავისუფალია; 24 ოქტომბერს დანიშნულია განმეორებითი არჩევნები 4 მაჟორიტარი დეპუტატისთვის. რაც შეეხება სამ დეპუტატს, მათი წევრობა განხილვაშია.

ემირატებში, თურქმენეთსა და აეღანეთის საქართველოს საელჩოში. აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, თავის გამოსვლებში ხაზს უსვამს გადაწყვეტილების მიღების ყველა დონეზე ქალთა წარმომადგენლობის კიდევ უფრო ზრდის პოლიტიკურ ნებას.

სამწუხაროდ, გარდამავალ პერიოდში ჯერ არ გამოიკვეთა პოლიტიკური ძალა, რომელიც თავის სამოქმედო პროგრამაში გაითვალისწინებდა ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესებას და მათ წინსვლას. თუმცა აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში რიგმა პოლიტიკურმა პარტიებმა – სოციალისტებმა, მრეწველებმა, ლეიბორისტებმა, ახალმა მემარჯვენეებმა - ჩამოაყალიბეს შიდა პარტიული ქალთა ჯგუფები (კლუბები), მაგრამ ამ ჯგუფების საქმიანობა ძირითადად ქველმოქმედებაზე იყო მიმართული. გარკვეულად გააქტიურდნენ ახალი დემოკრატებიც და თანამშრომლობა დაიწყეს ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

თავის მხრივ, არც ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციები რჩებოდნენ უმოქმედოდ – 1999 წლიდან მათი ინიციატივით შეიქმნა რამოდენიმე ქალთა პოლიტიკური ქსელი, რომელიც ერთიანი ძალით ცდილობდა ხელისუფლებასა და პოლიტიკურ სპექტრზე ზეგავლენის მოხდენას. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 2001 – 2003 წლებში ქალთა პოლიტიკურმა გაერთიანებებმა ოთხი საკანონმდებლო ინიციატივა წარუდგინა პარლამენტს, რომლებიც სხვადასხვა მასშტაბით ითვალისწინებდა ქალთა წარმომადგენლობის გაზრდას პოლიტიკურ ასპარეზზე – უმთავრესად შიდაპარტიული ქვოტირების გზით. სამწუხაროდ, ყოველი ეს მცდელობა უშედეგოდ დასრულდა.

უკანასკნელი არჩევნების ანალიზი (2002 წლის ადგილობრივი და 2004 წლის საპარლამენტო არჩევნების) ავლენს გარკვეულ კანონზომიერებებს პოლიტიკაში ქალთა წინსვლის თვალსაზრისით საქართველოში.

2002 იენისს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მაჟორიტარული წესით კენჭი იყარა 13293 კანდიდატმა, აქედან 1538 იყო ქალი. საკრებულოს წევრი გახდა 674 ქალი. ოლქების მიხედვით სურათი შემდეგნაირია:

ოლქი №	ოლქის და-სახელება	ქალი კანდიდა-ტები	არჩეული ქალების საერთო რიცხვი	არჩეული წევრების საერთო რიცხვი	%
11	საგარეჯო	37	12	108	11.1
12	გურჯაანი	42	15	117	12.8
13	სიღნაღი	27	7	70	10
14	დედოფლის წყარო	30	12	60	20
15	ლაგოდეხი	34	18	79	22.8
16	ყვარელი	27	7	59	11.9
17	თელავი	45	13	84	15.5
18	ახმეტა	34	8	77	10.4
19	თიანეთი	22	14	60	23.3
20	რუსთავი	14	0	15	0
21	ვარდაბანი	31	7	131	5.3
22	მარნეული	5	1	108	0.9
23	ბოლნისი	9	2	78	2.6
24	დმანისი	7	6	80	7.5
25	წალკა	11	12	150	8

26	თეთრიწყარო	26	14	100	14
27	მცხეთა	37	8	86	9.3
28	ლუშეთი	63	15	87	17.2
29	ეხმეგი	15	4	30	13.3
30	ყასბი	21	12	89	13.5
31	ახალციხე	5	4	40	10
32	ბორ	44	16	143	11.2
33	ქრელი	20	8	99	8
35	ხაშური	36	11	70	15.7
36	ბორჯომი	26	10	60	16.7
37	ახალციხე	38	7	84	8.3
38	ადიგენი	27	9	125	7.2
39	ასპინძა	17	3	60	5
40	ახალქალაქი	13	5	112	4.5
41	ნინოწმინდა	6	2	50	4
43	ონი	13	13	90	14.4
44	ამბროლაური	23	12	95	12.6
45	ცაგერი	12	7	80	8.8
46	ლენტეხი	19	10	40	25
47	მესტია	27	14	80	17.5
48	ხარაგაული	42	20	99	20.2
49	თერჯოლა	25	3	95	3.2
50	სამტრედია	12	11	67	16.4
51	სუხუმი	30	11	99	11.1
52	ბაღდათი	26	9	65	13.8
53	ვანი	38	9	100	9
54	სამტრედია	35	11	79	13.9
55	ხონი	30	10	62	16.1
56	ჭიათურა	47	9	84	10.7
57	ტყიბული	21	7	54	13
58	წალენჯიხა	37	14	89	15.7
59	ქუთაისი	15	0	15	0
60	ოზურგეთი	66	24	149	16.1
61	ლანჩხუთი	33	9	61	14.8
62	ჩოხატაური	37	14	115	12.2
63	აბაშა	19	8	82	9.8
64	სენაკი	53	19	79	24.1
65	მარტვილი	21	13	105	12.4
66	ხობი	23	13	105	12.4
67	ზუგდიდი	32	15	159	9.4
68	წალენჯიხა	28	9	74	12.2
69	ჩხორწყუ	24	10	65	15.4
70	ფოთი	10	1	15	6.6
75	გულრიფში	6	2	24	8.3
79	ქ. ბათუმი	4	4	35	11.4
80	ქ. ქობულეთი	5	3	19	15.8
81	ქობულეთი	39	35	244	14.3
82	ხელვაჩაური	35	31	208	14.9
83	ქედა	15	9	94	9.6
84	შუახევი	6	5	106	4.7
85	ხულო	16	13	148	8.8

მ ცხრილის მიხედვით ახლად არჩეულ რაიონულ საკრებულოებ
ია წარმომადგენლობა საშუალოდ 11.8% -ია, რაც წინა არჩევნებ
რებით ქალთა წარმომადგენლობის კლება'სე მიგვითითებს – 2
წელს საკრებულოს წევრი გახდა 14.2% ქალი).
ტატისტიკური მასალის ანალი'სმა დიდი სხვაობა გამოაელ
დასხვა რეგიონებს შორის, სადაც ქალთა წარმომადგენლ
ასე მაღალი მაჩვენებელი არის ლენტეხის რაიონში - 25%, ხ
ასე დაბალი კი მარნეულის რაიონში – 0,9%.

ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში რაიონულ საკრებულოებ
არებით ქალთა წარმომადგენლობა კიდევ უფრო დაბალია:
აქ არჩეული იქნა 49 ქალი, რაც ქალაქების საკრებულოს წევრე
რთო რაოდენობის 10,4% შეადგენს. ეს მონაცემი 1.4% ნაკლე
იონალურ მაჩვენებელთან და კიდევ ერთხელ აღასტურებს ფაქ
ი იქ სადაც ძალაუფლების კონცენტრაცია მაღლობის და უფ
ვნელოვანი გადაწყვეტილებები მიიღება, ქალთა წარმომადგენლ
ბულობს.
2003 წლის 2 ნოემბრის მაჟორიტარულ საპარლამენტო არჩევნებ
ი იყარა 456 კანდიდატმა, აქედან 65 იყო ქალი, რომელთაგან მხოლ
ხდა მაჟორიტარი დეპუტატი – ქუთაისის, ყვარელის და ბოლნის
ქების.

ოლქი №	ოლქის და-სახელება	წარდგენილი კანდიდატებ ის რიცხვი	წარდგენილი ქალ-კანდიდატების რიცხვი	არჩეული კანდიდატის სქესი
1	მთაწმინდა	12	2	მამაკაცი
2	ვაკე	7	3	მამაკაცი
3	საბურთალო	9	1	მამაკაცი
4	კრწანისი	8	1	მამაკაცი
5	ისანი	10	0	მამაკაცი
6	სამგორი	8	2	მამაკაცი
7	ნაძალადევი	9	0	მამაკაცი
8	დიღომი	15	3	მამაკაცი
9	ხობალაღელი	10	2	მამაკაცი
10	ავლაბარი	9	1	მამაკაცი
11	საგურამო	5	1	მამაკაცი
12	ფონიჭალა	11	1	მამაკაცი
13	სოფელი	4	1	მამაკაცი
14	დიდოფლის წყარო	5	0	მამაკაცი
15	ლაგოდეხი	8	1	მამაკაცი
16	ყვარელი	6	3	ქალი
17	თელავი	10	1	მამაკაცი
18	ახმეტა	6	1	მამაკაცი
19	თიანეთი	6	0	მამაკაცი
20	რუსთავი	8	2	მამაკაცი
21	ალვანი	2	0	მამაკაცი
22	მარნეული	5	0	მამაკაცი
23	ბოლნისი	4	1	ქალი
24	ლენინი	4	0	მამაკაცი
25	წალკა	8	2	მამაკაცი
26	თეთრიწყარო	3	0	მამაკაცი
27	მცხეთა	5	1	მამაკაცი
28	დუშეთი	5	2	მამაკაცი
29	ქიზიყი	6	1	მამაკაცი
30	ქობი	4	0	მამაკაცი
31	ახალგორი	4	1	მამაკაცი
32	ჭალა	7	0	მამაკაცი
33	ქარელი	7	0	მამაკაცი
35	ხაშური	5	0	მამაკაცი
36	ბორჯომი	6	1	მამაკაცი
37	ახალციხე	7	1	მამაკაცი
38	ადიგენი	3	0	მამაკაცი
39	ასპინძა	9	0	მამაკაცი
40	ახალქალაქი	6	0	მამაკაცი
41	ნინოწმინდა	2	0	მამაკაცი
43	ონი	5	1	მამაკაცი

44	ავსტროლაური	3	0	მამაკაცი
45	ცაგური	2	0	მამაკაცი
46	ლენტეხი	1	0	მამაკაცი
47	შესტაფა	4	0	მამაკაცი
48	ხარაგაული	6	0	მამაკაცი
49	თურდოლა	4	0	მამაკაცი
50	სასიერე	8	0	მამაკაცი
51	ზესტაფონი	12	0	მამაკაცი
52	ბალდათი	5	0	მამაკაცი
53	ვანი	5	0	მამაკაცი
54	სამტრედია	5	1	მამაკაცი
55	ხონი	8	0	მამაკაცი
56	ჭიათურა	12	1	მამაკაცი
57	ტყიბული	2	0	მამაკაცი
58	წყალტუბო	4	0	მამაკაცი
59	ქუთაისი	10	3	ქალი
60	ოზურგეთი	5	0	მამაკაცი
61	ლანჩხუთი	6	0	მამაკაცი
62	ჩოხატაური	1	0	მამაკაცი
63	აბაშა	6	0	მამაკაცი
64	სენაკი	6	1	მამაკაცი
65	მარტვილი	7	0	მამაკაცი
66	ხობი	6	1	მამაკაცი
67	ზუგდიდი	8	1	მამაკაცი
68	წალენჯიხა	3	0	მამაკაცი
69	ხიხორეული	4	1	მამაკაცი
70	ფოთი	11	1	მამაკაცი
79	ბათუმი	6	0	მამაკაცი
80	ქედა	3	0	მამაკაცი
81	ქობულეთი	8	2	მამაკაცი
82	შუახევი	3	0	მამაკაცი
83	ხელვაჩაური	5	2	მამაკაცი
84	ხულო	3	2	მამაკაცი
85	ლიახვი	11	1	მამაკაცი
საერთო რაოდენობა		456	54	74 მამაკაცი / 3 ქალი

ამ ცხრილის თანახმად მაჟორიტარული წესით წარდგენ
ბიდატთა საერთო რიცხვის 11.8% ქალი იყო, ხოლო არჩეულ დეპუტა
ბთო რიცხვის მხოლოდ - 3.9%. ქალსა და მამაკაც კადიდატ
ენებში გამარჯვების განსხვავებული შესაძლებლობაც ეძლეო
ალებმა გაიმარჯვეს 5.6%-ში, ხოლო მამაკაცთათვის ეს ციფ
ალებით მეტი აღმოჩნდა – 18.4%.
ამოაველინდნენ საარჩევნო სუბიექტებიც, რომელთაც ყველაზე ნ
ი მაჟორიტარი კანდიდატი წარადგინეს: 1. საქართველოს ეროვნ
ელმწიფოებრივი პოლიტიკური გაერთიანება "მძლეველი"
ბიდატი); 2. საინიციატივო ჯგუფი (8 კანდიდატი); მესამე ადგ
აწილეს საქართველოს ლეიბორისტული (შრომის) პარტიამ
ემა "ჯუმბერ პატიაშვილი – პოლიტიკური გაერთიანება "ერთო
საარჩევნო სუბიექტის მიერ წარდგენილმა ქალმა მაჟორიტ
ბიდატმა შეძლო საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვება: ქუთაი
ჯანაძე – დემოკრატების", ყვარელში საინიციატივო ჯგუფისა
ნისში ნაციონალ - დემოკრატების კანდიდატებმა.
004 წლის 28 მარტის საპარლამენტო პროპორციულ არჩევნ
წილე პოლიტიკური პარტიების საარჩევნო სიების პირველ
ენციურად გამსვლელ) ათეულში ქალმა კანდიდატებმა "შემ
ლები დაიკავეს:

პარტიის დასახელება	I ათ-ში	II ათ-ში	III ათ-ში	IV ათ-ში	V ათ-ში	VI ათ-ში
"საქართველოს სოციალისტური პარტია" - №1	1 (№9)	1 (№19)	0	1 (№35)	5 (№40) (№43) (№45) (№47) (№48)	6 (№50) (№51) (№53) (№55) (№57) (№58)
"დემოკრატიული აღორძინების კავშირი" - №2	2 (№3) (№8)	1 (№17)	1 (№29)	3 (№30) (№33) (№34)	0	0
საარჩევნო ბლოკი "შემარჯვენე ოპოზიცია – მრეწველობა, ახლები" - №3	2 (№4) (№9)	1 (№14)	1 (№27)	0	2 (№41) (№49)	3 (№51) №55) (№59)
საქართველოს ლიბერალისტური პარტია - №4	1 (№7)	1 (№15)	0	2 (№34) (№37)	2 (№44) (№46)	3 (№53) (№56) (№58)
"ნაციონალური მოძრაობა დემოკრატები" - №5	2 (№1) (№5)	1 (№17)	1 (№21)	0	3 (№42) (№45) (№48)	0
"საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტია" - №6	მოხსნილია საკუთარი განცხადების საფუძველზე					
საარჩევნო ბლოკი "ედკ – ტრადიციონალისტები" - №7	1 (№4)	1 (№15)	0	1 (№37)	3 (№40) (№41) (№48)	4 (№51) (№53) (№57) (№58)
საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი პოლიტიკური გაერთიანება "ძალა ერისა" - №8	2 (№5) (№7)	0	4 (№21) (№22) (№24) (№25)	3 (№32) (№33) (№35)	5 (№40) (№41) (№42) (№43) (№44)	4 (№52) №53) (№55) (№56)
კონსტიტუციურ უფლებათა დაცვის პარტია - №9	მოხსნილია საკუთარი განცხადების საფუძველზე					
"ნაციონალისტები" - №10	0	0	2 (№22) (№23) (№24)	4 (№33) (№34) (№36) (№38)	2 (№45) (№48)	7 (№50) (№51) (№52) (№53) (№54) (№55) (№57)
ბლოკი "სამშობლო" - №11	1 (№9)	2 (№12) (№13)	1 (№20))	3 (№31) ((№32) (№35)	6 (№40) (№41) (№43) (№44) (№46) (№48)	5 (№50) (№52) (№55) (№56) (№58)
საარჩევნო ბლოკი "ნაციონალური აღორძინება" - №12	2 (№3) (№7)	3 (№15) (№16) (№17)	2 (№21) (№25)	5 (№31) (№32) (№33) (№35) (№36)	3 (№42) (№45) (№47)	2 (№50) №51) (№56) (№57) (№59)

ბლოკი "ეროვნულ პატრიოტთა – პოლიტიკური გაერთიანება "ერთობა" - №13	0	2 (№10) (№14)	1 (№23)	3 (№30) (№35) (№36)	1 (№40)	1 (№59)
დემოკრატიული საქართველოს პარტია - №14	3 (№4) (№5) (№9)	2 (№18) (№19)	5 (№20) (№22) №23) (№25) (№28)	8 (№30) (№32) (№34) (№35) (№36) (№37) (№38) (№39)	2 (№44) (№49)	4 (№52) (№54) (№55) (№58)
საქართველოს ეროვნული იდეოლოგიის პარტია - №15	2 (№5) (№6)	3 (№14) (№15) (№19)	5 (№22) (№23) (№24) (№27) (№28)	5 (№31) (№32) (№33) (№34) (№38)	4 (№41) (№44) (№46) (№47)	8 (№51) (№52) (№53) (№54) (№56) (№57) (№58) (№59)
პარტია "ნიღაბ ნათაქე – სახალხო ფრონტი" - №16	1 (№6)	2 (№14) (№15)	1 (№23)	0	1 (№46)	1 (№59)
საქართველოსაბა - №17	მოსსნილია საკუთარი განცხადების საფუძველზე					
პოლიტიკური მოძრაობა "თავისუფლება" - №18	1 (№7)	1 (№17)	0	1 (№31)	2 (№45) (№48)	2 №57) (№58)
სრულიად საქართველოს სახალხო ალიანსი - №20	0	1 (№11)	1 (№21)	3 (№31) (№33) (№34)	0	0
პროცენტული გამოთვლარიშება	13.1	13.8	17.5	21.9	18.1	23.8

2004 წლის 28 მარტის საპრლამენტო პროპორციული არჩევნების შედეგად 7%-ანი ბარიერი გადალახა მხოლოდ ორმა პოლიტიკურმა სუბიექტმა – "ნაციონალურმა მოძრაობა – დემოკრატებმა" 67.02%-ით და საარჩევნო ბლოკმა "მემარჯვენე ოპოზიცია – მრეწველობა, ახლები" 7.62%-ით. ამ პროცენტების შესაბმისად "ნაციონალურმა მოძრაობა – დემოკრატებმა" მიიღეს 135 მანდატი, რომელთაგან 15 ქალებმა მოიპოვეს, რაც შეეხება "მემარჯვენე ოპოზიცია – მრეწველობა, ახლებს" მათ წილად ხვდათ 15 მანდატი, აქედან 3 - ქალებს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მაჟორიტარული არჩევნების შედეგად არჩეულ იქნა 77 დეპუტატი, აქედან - 3 ქალი. რაც შეეხება აფხაზეთის დეპუტაციას, რომელსაც 1995 წლიდან ავტომატურად უგრძელდებოდა მანდატი, 2004 წლის მოწვევის პარლაენტმა გააუქმა მათი უფლებამოსილება, რის გამოც პარლამენტს გამოაკლდა 11 წევრი.

დღეს პარლამენტში 22 ქალია, რაც შეესაბამება 9.7%-ს. უნდა აღინიშნოს, რომ წინა მოწვევის პარლამენტებთან შედარებით ეს მონაცემი წინსვლაა – პარლამენტში ქალთა წარმომადგენლობა 3 %-ით გაიზარდა.

რეკომენდაციები

- გათვალისწინებულ იქნას 1999 წლის ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტის 29, 34 და 35 რეკომენდაცია, რომლის თანახმად საქართველოს მთავრობას ევალება დროებითი სპეციალური ღონისძიებების გატარება, კერძოდ პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის კვოტების დაწესება.
- განმტკიცდეს გენდერული წონასწორობა რეფერენდუმებსა და არჩევნების ადმინისტრირების სხვადასხვა დონეზე; გაიზარდოს ქალთა

მონაწილეობა არჩევნების ადმინისტრაციული პროცედურების მონიტორინგში.

- წამოიყალიბდეს პოლიტიკურ პარტიებში ქალთა ჯგუფები და შემოღებულ იქნას შიდა პარტიული კვოტირება.
- შემუშავდეს ქალთა პოლიტიკური განათლების სახელმწიფო პროგრამები, რათა ამაღლდეს ქალთა პოლიტიკური მომზადების დონე.

Summery of the article "Woman and Politics in Modern Georgia" by Lika Nadaraia

The seed of democracy lies in the principle that the legitimacy of the power to make decisions about peoples lives should be derived from s choice by those who will be affected. For many centuries the basis of the legitimacy was limited and many were excluded from making choice: those without property or formal education. those not "civilised" or the part of the dominant culture or religion in society. slaves, people of colour, of s particular racial or ethnic group, and overwhelmingly, women.

As we approached the end of the 20th century, over 95% of all counties have granted women the two most fundamental rights: the right to vote and the right to stand for elections. In theory, the right to vote, and to get elected, is based on the right to vote. The reality is, however, that women's right to vote remains restricted: principally because the only candidates to vote are male. The women's fundamental democratic right of representation in legislative bodies is more function of preserving status quo.

Women's participation in decision-making has substantially decreased in Post communist Georgia. In Soviet era, 30% of Georgian Government were women – nowadays, backward tendency is manifested by women's participation at all levels of decision-making: women constitute just 6 % of Georgian Parliament. As governing bodies women, contain 10%. In local governance, only 11% of elected were women. Conducted survey on Georgian political parties show that still there is no genuine political force that will promote women related issues and gender balance in decision-making. It should be mentioned that recently several political parties have formed women's caucuses: Electoral Bloc " Industry Will Save Georgia", Labor Party of Georgia, New Rights, and Socialist Party. But these caucuses mainly focus on charity - distribution. "United Democrats" also carry certain gender-related activities and began collaboration with women's NGOs. In spite all, it should be underlined that no political party has any special programs for women or concrete strategy for their promotion.

On their side neither women's nongovernmental organizations remained without activities- from the beginning of 1999 by their initiative were formed s number of women's political network, which tried to have pressure on governmental and political specter. In 2001- 2003 years women's political networks presented to the parliament four legislative initiatives that meant to increase women's representation in political area – mostly within party quota system. Unfortunately, all this attempts failed.

In the Parliament of 2004, gender balance is equal to 9.7% - with the previous Parliaments there is evident progress - the number of women MPs increased on 3.3%. It is important to underline that women consolidate their position in Parliament - the Chairman of Parliament is woman, the leader of Majority is woman, there are two women Chairmen of committees and five - Deputy-Chairmen.

ნინო ბაჟაჟური

საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტები დაჭართული კანონმდებლობა ოჯახური ძალადობის სფეროში

(შედარებითი ანალიზი)

I. საერთაშორისო სტანდარტები ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ

ოჯახური ძალადობა, როგორც ადამიანის სოცოცხლის, თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლების, აგრეთვე წამების, სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების დამამცირებელი მოპყრობისაგან თავისუფლების დარღვევა

ოჯახური ძალადობა და ზოგადად, ძალადობა ქალზე, მრავალი წლის განმავლობაში საერთაშორისო სამართალში გამოუკვლეველი და ტაბუირებული თემა იყო. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებებისადმი განსაკუთრებული მნიშვნელობის მინიჭებითა და მათი დაცვის საერთაშორისო მექანიზმების შექმნით მსოფლიოში დასაბამი მიეცა ძალადობის საწინააღმდეგო კამპანიას, უშუალოდ ქალის მიმართ ძალადობაზე საერთაშორისო წრეებში ხმამაღლა მხოლოდ გასული საუკუნის 70-80-იან წლებში ალაპარაკდნენ. ასეთი დაგვიანების გამო, ადამიანის უფლებების ისეთი მნიშვნელოვანი დოკუმენტები, როგორიცაა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია და საერთაშორისო პაქტები, აგრეთვე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია, ქალის მიმართ ძალადობაზე, როგორც ადამიანის უფლების დარღვევაზე, პირდაპირ არ მიუთითებენ.

მოგვიანებით, პრობლემის არსებობისა და მასშტაბების თანადათანობითი გამოვლენის შემდეგ, რომელიც დაემთხვა სხვადასხვა ქვეყნებში ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობის საკანონმდებლო (de jure) აღიარების პროცესს, საერთაშორისო საზოგადოება მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ქალის მიმართ ძალადობა (მათ შორის, მისი ერთ-ერთი ფორმა - ოჯახური ძალადობა) ადამიანის უფლებათა უმძიმესი დარღვევაა, რომელიც მიმართულია ქალის სიცოცხლის, თავისუფლებისა და პიროვნული ხელშეუხებლობის, აგრეთვე წამების, სხვა არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისაგან თავისუფლების წინააღმდეგ. ამან ქალის უფლებების დამცველებსა და ოჯახურ ძალადობასთან მებრძოლებს საშუალება მისცა, გამოეყენებინათ საერთაშორისო დოკუმენტების ის მუხლები, რომლებიც ადამიანის

ზემოაღნიშნული უფლებების დაცვას ეხება, კერძოდ, გაერთიანებული ერების ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-3, მე-5 და მე-8 მუხლები, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის მე-3, მე-6, მე-7 და მე-9 მუხლები, ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენციის მე-2, მე-3, მე-5, მე-8, მე-13 და მე-14 მუხლები.

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების პაქტის საფუძველზე შექმნილი გაერთიანებული ერების ადამიანის უფლებათა კომიტეტი, რომელიც იხილავს სახელმწიფოების წინააღმდეგ კერძო პირთა ინდივიდუალურ საჩივრებს პაქტით გათვალისწინებული უფლებების დარღვევის გამო, და ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლო ქალის უფლებათა დამცველებისა და ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ მებრძოლთათვის ერთ-ერთი გზაა საერთაშორისო დონეზე ძალადობის მსხვერპლ ქალთა პრობლემის წარმოსაჩენად.

ოჯახური ძალადობა, როგორც ქალის დისკრიმინაციის ფორმა

კონვენცია ქალის დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ (CEDAW)

მსოფლიოში ქალის უფლებათა დაცვისათვის ბრძოლის გააქტიურების პირველი თვალსაჩინო შედეგი - ქალის მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ კონვენცია გაერთიანებული ერების მიერ მიღებულ იქნა 1979 წელს.

ადამიანის უფლებათა სხვა დოკუმენტებისაგან აღნიშნული კონვენცია იმით გამოირჩევა, რომ ქალის უფლებების განსაკუთრებულად ხაზგასმასთან ერთად, მან პირველად მიუთითა როგორც საჯარო, ისე კერძო სფეროში (მათ შორის, ოჯახში) მომხდარი ადამიანის უფლებების დარღვევის გამო სახელმწიფოთა პასუხისმგებლობის თაობაზე.

კონვენცია ქალის მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ პირდაპირ არ მოიხსენიებს ქალის მიმართ ძალადობას, როგორც ქალის დისკრიმინაციის ერთ-ერთ ფორმას.

აღნიშნული შეუსაბამობის გამოსწორების მიზნით, გაერთიანებული ერების ქალის დისკრიმინაციის ლიკვიდაციის კომიტეტმა, 1989 წელს სახელმწიფოთა მიმართ თავის მე-12 რეკომენდაციაში აღნიშნა, რომ "კონვენციის მე-2, მე-5, მე-11, მე-12 და მე-16 მუხლები მონაწილე სახელმწიფოებისაგან მოითხოვს ქალის დაცვას ყველა ფორმის ძალადობისაგან, რომელიც აღმოცენდება ოჯახში, სამუშაო ადგილას ან სოციალური ცხოვრების ნებისმიერ სხვა სფეროში"[1] და ითხოვა სახელმწიფოებისაგან ზემოაღნიშნული მუხლების შესრულებაზე ანგარიშის წარმოდგენისას ქალის მიმართ ძალადობის წინააღმდეგ მიღებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის მიწოდება.

მიუხედავად აღნიშნული რეკომენდაციისა, სახელმწიფოთა ანგარიშები ნათლად არ ასახავდა მათი მხრიდან ქალის მიმართ დისკრიმინაციის,

[1] CEDAW Committee, General Recommendation 12 (eight session, 1989), www.un.org/womenwatch/daw/cedaw/recomm.htm

გენდერული ძალადობისა და ადამიანის უფლებების დარღვევებს შორის მჭიდრო ურთიერთკავშირის არსებობის სათანადოდ აღქმის ფაქტს.

ამის გამო, ქალის დისკრიმინაციის ლიკვიდაციის კომიტეტმა 1992 წელს თავის მე-19 რეკომენდაციაში უკვე პირდაპირ მიუთითა, რომ ქალის მიმართ ძალადობა წარმოადგენს კონვენციის პირველი მუხლით მოცემული ქალის დისკრიმინაციის ერთ-ერთ ფორმას და განმარტა იგი, როგორც "ძალადობა, რომელიც მიმართულია ქალის წინააღმდეგ ან მოქმედებს ქალზე არაპროპორციულად მისი სქესობრივი კუთვნილების გამო. ის მოიცავს ქმედებას, რომელიც იწვევს ფიზიკურ, გონებრივ ან სექსუალურ ზიანს ან ტანჯვას, ასეთი ქმედების მუქარას, იძულებას ან თავისუფლების სხვაგვარ შეზღუდვას".[2]

კომიტეტმა მიუთითა, რომ გენდერული ძალადობა ხელს უშლის ან მთლიანად გამორიცხავს ქალის მიერ საერთაშორისო სამართლის შესაბამისად ისეთი უფლებებით სარგებლობას, როგორიცაა:

ა. სიცოცხლის უფლება;
ბ. წამების, სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისაგან თავისუფლება;
გ. საერთაშორისო და შიდა შეიარაღებული კონფლიქტებისას ჰუმანიტარული ნორმების შესაბამისად თანაბარი დაცვის უფლება;
დ. პიროვნული ხელშეუხებლობისა და თავისუფლების უფლება;
ე. კანონის წინაშე თანაბარი დაცვის უფლება;
ვ. ოჯახში თანასწორობის უფლება;
ზ. უფლება ფიზიკური და ფსიქოლოგიური ჯანმრთელობის უმაღლეს შესაძლო სტანდარტზე;
თ. უფლება სამართლიან და ღირსეულ სამუშაო პირობებზე.[3]

კომიტეტმა მოითხოვა კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებისაგან ქალის მიმართ ძალადობის აღმოსაფხვრელად ქმედითი ზომების მიღება საზოგადოებრივი ცხოვრების როგორც საჯარო, ისე კერძო სფეროში. ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფოებს მოეთხოვათ არა მხოლოდ ქალის მიმართ ძალადობისაგან თავის შეკავება, არამედ აქტიური მოქმედებებით ისეთი გარემოს შექმნა, რომელიც მაქსიმალურად შეუწყობს ხელს ძალადობის სხვადასხვა გამოვლინებებისაგან ქალის დაცვას, როგორც საზოგადოებაში, ისე ოჯახში. სახელმწიფოებს საერთაშორისო პასუხისმგებლობა ეკისრებათ არა მხოლოდ მათი ორგანოების ან თანამდებობის პირების, არამედ კერძო პირების მოქმედებებისთვისაც.

ამავე რეკომენდაციაში კომიტეტმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ოჯახურ ძალადობას, როგორც ქალის მიმართ ძალადობის ერთ-ერთ ყველაზე ფარულ და საშიშ ფორმას და აღნიშნა, რომ ასეთი ძალადობა წარმოადგენს ყველა ტიპის საზოგადოების პრობლემას. ოჯახურ ურთიერთობაში ყველა ასაკის ქალები ექვემდებარებიან სხვადასხვა სახის ძალადობას, როგორიცაა, ცემა, გაუპატიურება,

[2] CEDAW Committee. General Recommendation 19 (eleventh session): Violence against Women (1992), Sec.6. Women and Human Right: The Basic Documents, Center for the Study of Human Rights, Columbia University, 1996. p.235

[3] Ibid, Sec.7, p.235

ლოკის ფილოსოფიური გაელვნები თანდათანობით როგორ იცვლებოდა ლაიბნიცისეული ორიენტაციით.

მაშამს ასევე მიეკუთვნება ესსე ლოკის შესახებ,განკუთვნილი „დიდი ისტორიული ლექსიკონისათვის". ხელნაწერის სახით შემორჩენილია ასევე ლოკის მისეული ბიოგრაფია. მისმა ნაშრომებმა კრიტიკული გამოხმაურება ჰპოვა ისეთ ჟურნალებში, როგორიცაა "Biblioteque Choisie"[15]. მიუხედავად ასეთი კარიერისა, მას ლოკის მიმართ გამოთქმული არგუმენტების გამო პლაგიატორობას სწამებდნენ. მის დასაცავად ხმა აიმაღლა კიდევ ერთმა ფილოსოფოსმა ქალმა **ქეთერინ თროთერ ქოქბურნმა,** რომელსაც მიეკუთვნება ნაშრომი „ბატონ ლოკის „ესსე ადამიანური გონების შესახებ" დაცვისათვის" (1702 წ.), რომელიც მაღალ დონეზე შეაფასეს ტოლანდმა, ტაირელმა, ლაიბნიცმა,ნორისმა და თავად ლოკმა. ქოქბურნიც არ მიეკუთვნებოდა არისტოკრატიულ ოჯახს. მამამისი, სახლეაო ხომალდის კაპიტანი, მოხეტიალე ცხოვრებას ეწეოდა და ოჯახსაც თან დაატარებდა. ქეთერინმა მოახერხა კარგი განათლების მიღება, ფრანგული, ლათინური და ბერძნული ენებისა და ლოგიკის შესწავლა. ადრეული ასაკიდანვე იწყო პიესების წერა და ოჯახს მნიშვნელოვან ფინანსურ დახმარებას უწევდა ხელმე. მოგვიანებით დაინტერესდა ფილოსოფიურ-რელიგიური საკითხებით. მიმოწერა ჰქონდა ჯორჯ ბარნეტთან, რომლისადმი გაგზავნილ ერთ-ერთ წერილშიც იცავდა სწორედ ლეიბ მაშამს. მაშამისა და ლაიბნიცის მიმოწერას კარგად იცნობდა ჯორჯ ბარნეტი, მაგრამ მაინც პლაგიატორობას სწამებდა პირველ მათგანს. ამის გამო ქეთერინ თროთერი მას სწერდა: „მე გთხოვდით, უფრო სამართლიანი ეყოლიყავით მისი სქესისადმი, ვიდრე ამეამად არის თქვენი კეთილშობილება: ვისაც, როცა კი რამ იწერება ქალის მიერ, არ ძალუძს უარსყოს ის მოწონება, რაც მათ გამოიწვიეს. ამიტომაც გეტაცებენ მთელს დიდებას ოვიანთი დასკვნით, რომ ეს არ არის მათი საკუთრებაო; ანდაც ვიდაცა დაეხმარათო, რაც მრავალგზის და სრულიად უსამართლოდ ითქვა ჩემი ცოდნის მისამართითაც".[16] 1708 წელს იგი ცოლად გაჰყვა ქოქბერნს. დიდი ოჯახის მოვალეობებმა იგი გარკვეული ხნით მოსწყვიტა ინტელექტუალურ საქმიანობას, რომელსაც მოგვიანებით კვლავ დაუბრუნდა. მისი სიკვდილის შემდეგ ნაწერებისა და უკვე გამოქვეყნებული პუბლიკაციების რედაქტირება და გამოცემა ითავა მათი ოჯახის მეგობარმა თომა ბერნმა და სულ მალე გამოსცა მისი შრომების ორტომეული.

ჯონ ლოკის აპოლოგიაში იგი ცდილობდა ეჩვენებინა,რომ ლოკის ესსე მორალს ამკვიდრებდა მტკიცე საფუძვლებზე, რაც მისი აზრით, ფასდაუდებელ სამსახურს უწევდა რელიგიას – მორალურობის ამ ადექვატური ეპისტემოლოგიური საფუძვლის გამონახვით იგი მორალს აფუძნებს ისეთ რამეზე, რაც შეესატყვისებაო ჩვენს ბუნებას, რასაც, მეორე მხრივ, მისი აზრით, მოითხოვს კიდეც ყოველივეს შემოქმედი. ქოქბერნი, ამასთან, თელის, რომ ლოკის არც ერთ შენიშვნას' არ მივყავართ იმის დაშვებამდე, რომ სული არ არის უკვდავი. მესამეც, იგი განიხილავს

[15] Eileen O'Neil: Disappearing Ink: Early Modern women Philosophers and Their Fate in History. *from* Philosophy in s Feminist Voice. *ed. by* Janet S. Kourany. Princeton University Press. 1998; p.26

[16] Women Philosophers of the Early Modern Period, *ed. by* Margaret Atherton. Hackett Publishing Company. Indianapolis. 1994; p.29

სექსუალური შეურაცხყოფის სხვა ფორმა, ფსიქოლოგიური და სხვა სახის იძულება, რომლებსაც საფუძველს უმაგრებს საზოგადოებაში არსებული ტრადიციული შეხედულებები, ქალის ეკონომიკური დამოკიდებულება მოძალადეზე. კომიტეტმა აღნიშნა, რომ ქალის მხრიდან მისი ოჯახური მოვალეობების უგულებელყოფა ასევე ძალადობის ფორმად უნდა ჩაითვალოს. ოჯახში ძალადობა ქალის ჯანმრთელობის რისკის ქვეშ აყენებს და ხელს უშლის მის თანაბარ მონაწილეობას როგორც კერძო, ისე საზოგადოებრივ ცხოვრებაში.[4]

რეკომენდაციაში მითითებულ ღონისძიებებს შორის, რომლებიც სახელმწიფოებმა უნდა განახორციელონ, კომიტეტმა მიუთითა ისეთი შიდასამართლებრივი მექანიზმის შექმნის ვალდებულებაზე, რომელიც უზრუნველყოფს ძალადობის ყველა ფორმის, მათ შორის, ოჯახური ძალადობისათვის, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაწესებას, სამოქალაქო დაცვის ღონისძიებებისა და მიყენებული ზიანის ანაზღაურების ნორმების შემოღებასა და განხორციელებას.

კომიტეტის მე-19 რეკომენდაცია ძალადობისაგან ქალის დაცვის გზაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო რამდენიმე თვალსაზრისით. მან:

- განმარტა ცნება "ქალის მიმართ ძალადობა" და გამოაცხადა იგი
  საერთაშორისო სამართლით აკრძალული ქალის დისკრიმინაციის ერთ-ერთ ფორმად;
- ხაზგასმით მიუთითა ოჯახურ ძალადობაზე, როგორ ქალის მიმართ ძალადობის ყველაზე ფარული და საშიშ ფორმაზე და სახელმწიფოთა
  პასუხისმგებლობაზე ოჯახში მომხდარი ადამიანის უფლებათა დარღვევებისთვის;
- ბიძგი მისცა გაეროთიანებული ერების შემდგომ მოქმედებებს ქალის მიმარ ძალადობის აღმოსაფხვრელად.

გარდა ამისა, რეკომენდაციამ საშუალება მისცა ქალის მიმართ ძალადობასთან მებრძოლებს და ძალადობის მსხვერპლებს გამოიყენონ, ქალის ყველა ფორმის დისკრიმინაციის ლიკვიდაციის შესახებ კონვენციის დამატებითი ოქმით, ახლახანს შექმნილი, ინდივიდუალური საჩივრების მექანიზმი.

კონვენციის დამატებითი ოქმი, რომელიც მიღებულ იქნა 1999 წელს, კონვენციით აღიარებული უფლებების დარღვევის მსხვერპლ ქალებს საშუალებას აძლევს ინდივიდუალური საჩივრით მიმართონ ქალის დისკრიმინაციის ლიკვიდაციის კომიტეტს.

საქართველომ დამატებითი ოქმის რატიფიცირება 2002 წლის 18 მაისს მოახდინა[5], რაც ქალის უფლებათა დამცველებს საშუალებას აძლევს გამოიყენონ ახალი პროცედურა საქართველოსთვის ოქმის ძალაში შესვლის (2002 წლის 30 ივლისი) შემდგომ მომხდარი დარღვევების მიმართ.

---

[4] Ibid, Sec.23, p.237

[5] საქართველოს პარლამენტის დადგენილება "ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" კონვენციის დამატებით ოქმთან შეერთების თაობაზე. № 1472-რს, თბილისი, 2002 წლის 18 მაისი

ქალთა, კონვენციით გათვალისწინებული, უფლებების დარღვევისათვის ინდივიდუალური სანიერების მექანიზმი მომავალში მნიშვნელოვანი როლს ითამაშებს ძალადობისაგან ქალის დაცვის საქმეში.

გაერთიანებული ერების შემდგომი ნაბიჯები

პრაქტიკული ღონისძიებებისა და საჯარო კამპანიების ერთიერთშეთანხმების საშუალებით ფემინისტური ჯგუფებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ პრობლემის წინ წამოწევა მის შესახებ საზოგადოებრივ ცნობიერებას თანდათანობით ზრდიდა, რამაც ხელი შეუწყო ქალის მიმართ ძალადობის წინააღმდეგ კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაბიჯის გადაგმას და მასთან ბრძოლის ამოცანის ჩართვას სახელმწიფოთა და საერთაშორისო ორგანიზაციათა სამოქმედო გეგმებში.

ყოველმხრივი კონსულტაციების შემგომ, მსოფლიოს ქალთა ორგანიზაციების კოალიციამ, ვენაში 1993 წელს გამართულ გაერთიანებული ერების ადამიანის უფლებათა მეოთხე მსოფლიო კონფერენციაზე, ლობირება გაუწია ქალის მიმართ სქესობრივ განსხვავებაზე დაფუძნებული (გენდერული) ძალადობის, როგორც ადამიანის უფლებათა არსებითი დარღვევის ოფიციალურ აღიარებას[6].

დეკლარაცია ქალის მიმართ ძალადობის წინააღმდეგ

1993 წლის 20 დეკემბერს გენერალური ასამბლეის რეზოლუციით მიღებულ იქნა დეკლარაცია ქალის მიმართ ძალადობის წინააღმდეგ, რომელმაც შექმნა საფუძველი ამ სფეროში შესასრულებელი საეალდებულო ძალის მქონე საერთაშორისო ხელშეკრულების მოსამზადებლად. დეკლარაცია შეიცავს ქალის მიმართ ძალადობის დეფინიციას,რომელიც ეფუძნება ქალის დისკრიმინაციის ლიკვიდაციის კომიტეტის მე-19 რეზოლუციაში მოცემულ განმარტებას. კერძოდ, დეკლარაციის მიხედვით,

"ქალის მიმართ ძალადობა" გულისხმობს სქესობრივ განსხვავებაზე დაფუძნებულ ნებისმიერ ძალადობრივ ქმედებას, რომელიც ფიზიკურ, სექსუალურ ან ფსიქოლოგიურ ზიანს ან ტანჯვას აყენებს ან შეიძლება მიაყენოს ქალს, მათ შორის ასეთი ქმედების მუქარას, იძულებას ან თავისუფლების უკანონო აღკვეთას, მიუხედავად იმისა, ამ ქმედებას ადგილი აქვს საზოგადოებრივ თუ პირად ცხოვრებაში.[7]

დეკლარაციის მიხედვით ქალის მიმართ ძალადობა არის ფიზიკური, სექსუალური და ფსიქოლოგიური ძალადობის ერთობლიობა, რომელიც შეიძლება აღმოცენდეს ოჯახში, საზოგადოებაში ან ჩადენილ ან შეწყნარებულ იქნას სახელმწიფოს მიერ მიუხედავად მისი აღმოცენების ადგილისა.

---

[6] World Conference on Human Rights: Vienna Declaration and Program of Action (1993), Sec. 36-44, Women and Human Rights: The Basic Documents, Center for the Study of Human Rights, Columbia University, 1996, p. 84- 86

[7] Declaration on the Elimination of Violence against Women (Art. 1), UN General Assembly, S/RES/48/104, 23 February, 1994

დეკლარაცია მნიშვნელოვანია აგრეთვე იმით, რომ იგი წარმოადგენს პირველ საერთაშორისო დოკუმენტს, რომელიც შეიცავს ოჯახური ძალადობის შემადგენელი ქმედებების ჩამონათვალს. აღნიშნული ქმედებებია: ცემა, მდედრობითი სქესის ბავშვებზე სექსუალური ძალადობა ოჯახში, საცოლის გამოსყიდვის ტრადიციასთან დაკავშირებული ძალადობა, მეუღლის მიერ გაუპატიურება, ქალის ჯანმრთელობისათვის საზიანო ტრადიციული სვეულებები, პარტნიორის მხრიდან ძალადობა და ექსპლუატაციასთან დაკავშირებული ძალადობა.[8]

პეკინის სამოქმედო პლატფორმა

ქალის დისკრიმინაციის საწინააღმდეგო კომიტეტის რეზოლუციასა და ქალის მიმართ ძალადობის შესახებ დეკლარაციაში მოცემული მიდგომა განმტკიცდა გაერთიანებული ერების ქალთა მეოთხე მსოფლიო კონფერენციის (პეკინი, 4-15 სექტემბერი, 1995) მიერ მიღებულ სამოქმედო პლატფორმით, რომელმაც მოუწოდა სახელმწიფოებს არა მხოლოდ თავი შეეკავებინათ ქალის უფლებათა დარღვევისაგან, არამედ მიეღოთ ყოველმხრივი აქტიური ზომები ქალის მიმართ ძალადობის თავიდან აცილებისა და აღმოფხვრისათვის.[9]

სამოქმედო პლატფორმა, რომელიც მიღებულ იქნა პეკინის კონფერენციაზე, გამოყოფს ქალის მიმართ ძალადობის ორ ძირითად ფორმას: ძალადობას, რომელიც აღმოცენდება ოჯახში და ძალადობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში, სამუშაო ადგილზე ძალადობის, ქალთა ტრეფიკინგისა და იძულებითი პროსტიტუციის ჩათვლით. სამოქმედო პლატფორმა სახელმწიფოებს უწევს მთელი რიგი პრაქტიკული ზომების მიღების რეკომენდაციას, რომელთა შორისაა, თავშესაფრების მოწყობა ძალადობის მსხვერპლთათვის, სადაც მათ გაეწევათ უფასო ფსიქოლოგიური, სამედიცინო და იურიდიული დახმარება.[10]

დოკუმენტების სერია "პეკინი პლიუს ხუთი"

ხუთი წლის შემდეგ ნიუ-იორკში იატარებულმა გერთიანებული ერების გენერალური ასამბლეის სპეციალურმა სესიამ (5-9 ივნისი, 2000) "ქალები 2000: გენდერული თანასწორობა, განვითარება და მშვიდობა 21-ე საუკუნეში", რომელიც ეძღვნებოდა პეკინის კონფერენციის მეხუთე წლისთავს, მიიღო დოკუმენტების სერია, ცნობილი "პეკინის დეკლარაციისა და სამოქმედო პლატფორმის განხორციელებისათვის შემგომი მოქმედებებისა და ინიციატივების" სახელით[11], რომელიც შეიცავს ძალადობის დეფინიციის ნოვატორულ განმარტებებს, მაგალითად, იგი ძალადობის ფორმად მიიჩნევს ღირსების სახელით მკვლელობას. აღნიშნულმა სესიამ დასკვნითი რეზოლუციით სახელმწიფოებს შესთავაზა ნაციონალური საკოორდინაციო მექანიზმის, მაგალითად ეროვნული მომხსენებლის სამსახურის ან სხვა უწყებათაშორისი ორგანოს შექმნა

[8] Declaration on the Elimination of Violence against Women (Art. 2 (s)), UN General Assembly, S/RES/48/104, 23 February, 1994

[9] Beijing Declaration and Platform for Action, Forth World Conference on Women, Chapter IV: Strategic Objectives and Actions, Human Rights of Women, Sec.215, Women and Human Rights: The Basic Documents, Center for the Study of Human Rights, Columbia University, 1996, p.100

[10] Beijing Declaration and Platform for Action, Forth World Conference on Women, Chapter IV: Strategic Objectives and Actions, Violence against Women, www.un.org/womenwatch/daw/beijing/platform/violence.htm

[11] Document S/S-23/10/ Rev.1 – General Assembly, 23rd Special Session, Supplement No.3

სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით, რომელიც წაახალისებდა ქალის მიმართ ძალადობის შესახებ ინფორმაციის გაცვლას და მისი გამომწვევი მიზეზებისა და ხელისშემწყობი ფაქტორების კვლევასა და აღმოფხვრას.

გაერთიანებული ერების სპეციალური მომხსენებელი: მოდელური კანონმდებლობა ოჯახურ ძალადობაზე

დეკლარაციის მიღებიდან ერთ წელის შემდეგ, 1994 წელს გაერთიანებულმა ერებმა დანიშნა ქალის მიმართ ძალადობის, მისი მიზეზებისა და შედეგების თაობაზე სპეციალური მომსხენებელი, რომელსაც დაევალა აღნიშნული პრობლემის მსოფლიოს მასშტაბით დოკუმენტირება და ანალიზი.

გაერთიანებული ერების პირველმა სპეციალურმა მომხსენებელმა დანიშვნიდან 2 წლის შემდეგ, 1996 წელს, მის მიერ ნატარებული კვლევისა და ანალიზის შედეგად მოამზადა "გაერთიანებული ერების მოდელური კანონმდებლობა ოჯახურ ძალადობაზე"[12].

აღნიშნული დოკუმენტი მოიცავს ყველა იმ მნიშვნელოვან ასპექტს, რომელსაც უნდა ითვალისწინებდეს სახელმწიფოთა კომპლექსური კანონმდებლობა ოჯახურ ძალადობის სფეროში. იგი წარმოადგენს სახელმძღვანელოს კანონმდებელთათვის, აგრეთვე, ყველა იმ პირისათვის, ვისაც გადაწყვეტილი აქვს ოჯახური ძალადობის პრობლემისთვის კომპლექსური კანონმდებლობის მიღებას ლობირება გაუწიოს.

გაეროს მოდელური კანონმდებლობა შედგება 7 თავისაგან. პირველ თავში მოცემულია: კანონმდებლობის მიზანი, მეორე თავი ეძღვნება ტერმინთა განმარტებას, მესამე თავში მოცემულია საჩივრების მექანიზმი, მეოთხე თავი ეხება სასამართლო მოხელეთა უფლებამოსილებებს, მეხუთე თავი არეგულირებს სისხლის სამართლის საპროცესო, ხოლო მეექვსე თავი – სამოქალაქო საპროცესო საკითხებს, მეშვიდე თავში კი მოცემულია მსხვერპლთათვის გათვალისწინებული მომსახურების სახეები.

თავი I. მიზნები

აღნიშნული თავი იწყება ოჯახური ძალადობის ცნების განმარტებით. კერძოდ, ოჯახური ძალადობა განმარტებულია, როგორც გენდერული ძალადობის ფორმა, რომელიც მიმართულია ქალის წინააღმდეგ პირად და ოჯახურ ურთიერთობებში, წარმოადგენს მძიმე დანაშაულს და არ უნდა იქნას საზოგადოების მიერ იგნორირებული. გაერთიანებული ერების სპეციალური მომხსენებელი ამ თავში სახელმწიფოებს მოუწოდებს სპეციფიკური კანონმდებლობის შექმნისაკენ, რომელიც ქალს პირად და ოჯახურ ურთიერთობებში მის წინააღმდეგ მიმართული ძალადობისაგან დაიცავს.

პირველი თავი ითვალისწინებს სპეციალური დეპარტამენტების, პროგრამებისა და მომსახურების დაფუძნებას, თავშესაფრების, საკონსულტაციო პროგრამებისა და პროფესიული ტრეინინგების

[12] A Framework for Model Legislation on Domestic Violence, Report of the Special Reporter on Violence against Women, its Causes and Consequences, Commission on Human Rights, Economic and Social Council, E/CN.4/ 1996/53/Add.2, 2 February 1996

პროგრამების ნათელით, რომლებიც განკუთვნილი იქნება ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დასმარებისათვის[13].

თავი II. ოჯახური ძალადობის დეფინიცია

ამ თავში მოცემულია ხუთადი რჩევა, რომ სახელმწიფოებმა უმჯობესია მიიღონ ერთი კომპლექსური კანონი ოჯახურ ძალადობაზე, რომელიც თავის თავში მოიცავს, როგორც სისხლის, ისე სამოქალაქო სამართლის ელემენტებს, ვიდრე შეიტანონ ცვლილებები სამოქალაქო და სისხლის სამართლის კოდექსებში.

დოკუმენტი სახელმწიფოებისაგან მოითხოვს ნათლად დაფიქსირონ, რომ "ქალის მიმართ ძალადობა (ა)ოჯახსა და (ბ)პიროვნულ ურთიერთობებში წარმოადგენს ოჯახურ ძალადობას"[14]. იგი უნდა ნათლად განსხვავებულ იქნას ოჯახგარე ძალადობისაგან.

ოჯახური ძალადობის დეფინიცია უნდა მოიცავდეს ძალადობას: მეუღლის, პარტნიორის, ყოფილი მეუღლისა და პარტნიორის, შეყვარებულის (მიუხედავად იმისა, მოძალადესთან ცხოვრობს თუ არა), ნათესაებისა (და-ძმა, მშობლები, შვილები) და ოჯახის მოსამსახურე ქალთა მიმართ[15].

სახელმწიფოებმა არ უნდა დაუშვან, რომ რელიგიური და კულტურული ტრადიციების სახელით აღგილი ჰქონდეს ოჯახურ ძალადობას. მათ უნდა დაიცვან, აგრეთვე, ის ქალები, რომლებიც მოცემული სახელმწიფოს მოქალაქეები არ არიან და დასაჯონ ამ სახელმწიფოს არამოქალაქე მოძალადე მამაკაცები. სამოქალაქო და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსები უნდა შესწორდეს იმგვარად, რომ ოჯახური ძალადობის მსხვერპლს შეეძლოს მისი ოჯახის წევრის, პარტნიორის ან ნათესაის პასუხისმგებლობის საკითხის დასმა.

თავი III. სასჯელების მექანიზმი

ამ თავში განსაზღვრულია ოჯახური ძალადობის შემთხვევაში ყინ შეიძლება მიმართოს პოლიციას ან სასამართლოს. ამ თავში, ასევე, განსაზღვრულია:

ს. პოლიციის თანამშრომელთა ფუნქციები;

ბ. ალტერნატიული სასჯელების პროცედურა;

გ. მსხვერპლის უფლებათა ნამონათვალი;

დ. ოჯახური ძალადობის შემთხვევის შესახებ ანგარიშის შედგენის წესები[16].

თავი IV. სასამართლო მოსელეთა უფლებამოსილება

ამ თავის პირველი ნაწილი ეძღვნება ეკლმსრივ, დროებით შემსულად ორდერებს. მოდელური კანონმდებლობის მისედვით, ისინი გამოიყენება, როცა მოპასუხე მხარე (მოძალადე) არ ცხადდება სასამართლოში ან შეუძლებელია მისი გამოძახება, რადგან იმალება. ასეთი ორდერი

[13] A Framework for Model Legislation on Domestic Violence, Report of the Special Reporter on Violence against Women, its Causes and Consequences. Commission on Human Rights, Economic and Social Council, E/CN.4/ 1996/53/Add.2, 2 February 1996, Sec. I

[14] Ibid, Sec.II

[15] Ibid, Sec.II

[16] Ibid, Sec.III

შესაძლებელია შეიცავდეს წინასწარ სასამართლო აკრძალვას, რომელიც მიმართულია მომავალში ძალადობის წინააღმდეგ და/ან პრევენციულ ზომას, რომელიც მოძალადეს არ აძლევს მსხვერპლისათვის აუცილებელი ნივთებით, მათ შორის საერთო საკუთრებაში მყოფი საცხოვრებლით სარგებლობისათვის ხელის შეშლის საშუალებას.

მსხვერპლის გარდა, მისი სახელით, ცალმხრივი დროებითი შემზღუდავი ორდერის მოთხოვნის უფლება უნდა ჰქონდეთ სხვა პირებსაც. ასევე შესაძლებელია ძალადობის საფრთხის ქვეშ იყოს და ორდერით დაცვა დასჭირდეს ძალადობის მოწმეს ან პირს, რომელიც პროფესიულ მომსახურებას უწევს ოჯახური ძალადობის მსხვერპლს.

როცა მსხვერპლის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან უსაფრთხოებას სერიოზული საფრთხე ემუქრება, სასამართლომ ორდერი ძალადობის შემთხვევის დროიდან 24 საათის გასვლამდე უნდა გამოსცეს. ცალმხრივი დროებითი შემზღუდავი ორდერი ძალაშია გამოცემიდან 10 დღის განმავლობაში. მისი დარღვევა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას იწვევს[17].

სასამართლო დამცავი ორდერის მოთხოვნის უფლება აქვს მსხვერპლს, მის ნათესავს, სოციალურ მუშაკს ან პირს, რომელიც დახმარებას უწევს მსხვერპლს. დამცავი ორდერის მიზანია დაიცვას ზემოაღნიშნული პირები შემდგომი ძალადობის ან ძალადობის მუქარისაგან.

სასამართლო დამცავი ორდერის მოთხოვნა შეიძლება ცალმხრივი შემზღუდავი ორდერის ვადის გასვლამდე ან შემზღუდავი ორდერისაგან დამოუკიდებლად. დამცავი ორდერის გაცემის მოთხოვნით მიმართვისას სასამართლომ საქმის განხილვა უნდა დანიშნოს მიმართვიდან 10 დღის განმალობაში.

მოდელურ კანონმდებლობაში მოცემულია ორდერის შინაარსი[18]. იქვე აღნიშნულია, რომ ორდერის გამოცემის საქმის განხილვისას სასამართლო პროცესზე სამოქალაქო საქმეში მტკიცების ტვირთი, რომ ოჯახური ძალადობა არ მომხდარა, აწევს მოპასუხეს.

მოდელური კანონმდებლობის V და VI თავებში განსაზღვრულია სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის საპროცესო თავისებურებანი; ხოლო VII თავი დაწვრილებით აღწერს მსხვერპლთა გადაუდებელი და გრძელვადიანი მომსახურების ზომებს[19].

ოჯახური ძალადობა, როგორც ბავშვის უფლებების დარღვევა

გაერთიანებული ერების ბავშვის უფლებათა კონვენცია

ოჯახში ბავშვის მიმართ ძალადობის თემამ, ქალის მიმართ ძალადობის მსგავსად, საერთაშორისო საზოგადოების მზარდი ყურადღება შედარებით გვიან მიიპყრო. თუმცა ბავშვის უფლებების შესახებ დამოუკიდებელი საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტის - გაერთიანებული ერების

[17] A Framework for Model Legislation on Domestic Violence, Report of the Special Reporter on Violence against Women, its Causes and Consequences, Commission on Human Rights, Economic and Social Council, E/CN.4/1996/53/Add.2, 2 February 1996, Sec. IV.S

[18] Ibid. Sec. IV.B.

[19] A Framework for Model Legislation on Domestic Violence, Report of the Special Reporter on Violence against Women, its Causes and Consequences, Commission on Human Rights, Economic and Social Council, E/CN.4/ 1996/53/Add.2, 2 February 1996, Sec. VII

ბავშვის უფლებათა კონვენციის მომზადების დროს, აღნიშნული საკითხის ირგვლივ უკვე მრავალი გამოკვლევა და დასკვნა არსებობდა (კონვენცია მიღებულ იქნა 1989 წელს). ალბათ, ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ქალის დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ კონვენციისაგან განსხვავებით, ბავშვის უფლებათა კონვენცია ოჯახში ბავშვის მიმართ ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ და სექსუალურ ძალადობაზე უშუალო მითითებას შეიცავს. კერძოდ, კონვენციის მე-19 მუხლის თანახმად, სახელმწიფოებს ეკისრებათ ვალდებულება, მიიღონ შესაბამისი საკანონმდებლო, ადმინისტრაციული, სოციალური და საგანმანათლებლო ზომები მშობლების, კანონიერი მეურვეების ან ბავშვზე მზრუნველი ნებისმიერი პირის მხრიდან განხორციელებული ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის, ზიანის მიყენების ან შეურაცხყოფის, მათ შორის, სქესობრივი ძალადობის, უყურადღებო, დაუდევარი და ცუდი მოპყრობის ან ექსპლუატაციისაგან ბავშვის დასაცავად[20].

დაცვის ასეთი ღონისძიებები აუცილებლობის შემთხვევაში უნდა მოიცავდეს ეფექტურ პროცედურებს სოციალური პროგრამების შემუშავებისათვის იმ მიზნით, რომ აუცილებელი მხარდაჭერა აღმოუჩინონ ბავშვს და იმ პირებს, ვინც მასზე ზრუნავს, აგრეთვე ხელი შეუწყონ ბავშვთა მიმართ არასათანადო მოპყრობის ზემოაღნიშნული გამოვლინებების თავიდან აცილების, წინასწარი გამომძღავნების, შეტყობინების, განსახილველად გადაცემის, გამოძიების, მკურნალობის და სხვა ღონისძიებების განხორციელებას, აუცილებლობის შემთხვევაში კი – სასამართლო პროცესის აღძვრას.

ბავშვის უფლებათა კონვენცია იცავს ბავშვის სიცოცხლის უფლებას და წამებისაგან ან სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან სასჯელისაგან, აგრეთვე თავისუფლების უკანონოდ აღკვეთისაგან მის თავისუფლებას, რაც ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ მიმართულ კიდევ ერთ სამართლებრივ საშუალებას წარმოადგენს. კერძოდ, კონვენციის მე-6 მუხლის თანახმად, თითოეულ ბავშვს აქვს სიცოცხლის თანდაყოლილი უფლება. სახელმწიფოები ვალდებულნი არიან უზრუნველყონ ბავშვის სიცოცხლის შენარჩუნება და ჯანსაღი განვითარება.

ხოლო კონვენციის 37-ე მუხლის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოებს ეკისრებათ ვალდებულება უზრუნველყონ, რომ არცერთი ბავშვი არ იყოს წამების, სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან სასჯელის მსხვერპლი; და არცერთ ბავშვს არ აღეკვეთოს თავისუფლება უკანონოდ ან თვითნებურად[21].

სახელმწიფოთა მიერ ბავშვის უფლებათა კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობის განსახილველად შექმნა გაერთიანებული ერების ბავშვის უფლებათა კომიტეტი, რომელიც იხილავს სახელმწიფოთა პერიოდულ მოხსენებებს კონვენციის იმპლემენტაციის თაობაზე. კომიტეტს შეუძლია ზოგადი ხასიათის წინადადებები და რეკომენდაციები მისცეს სახელმწიფობს. მას არა აქვს ინდივიდუალური

---

[20] ბავშვის უფლებათა კონვენცია, მუხლი 19, ბავშვის უფლებები, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის გამოცემა, თბილისი, სექტემბერი 2000

[21] ბავშვის უფლებათა კონვენცია, მუხლი 37, ბავშვის უფლებები, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის გამოცემა, თბილისი, სექტემბერი 2000

საჩივრების განხილვის უფლება, რაც ერთგვარად ამცირებს მის ეფექტურობას. თუმცა ბავშვის უფლებათა დამცველებს მაინც შეუძლიათ მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინონ სახელმწიფოსადმი კომიტეტის რეკომენდაციებზე ქვეყანაში ბავშვთა მდგომარეობის შესახებ ჩრდილოვანი ანგარიშების წარდგენით.

ევროპული დოკუმენტები ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ

გაეროიანებული ერების მიერ მიღებულმა ზომებმა ხაზი გაუსვა პრობლემის უნივერსალურ ხასიათს. მის მოქმედებებს კვალდაკვალ მიჰყვნენ რეგიონალური ორგანიზაციები. ევროპის საბჭომ, ევროკავშირმა და მოგვიანებით ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციამ შეიმუშავეს ფართომასშტაბიანი პოლიტიკა და სტრატეგია ქალის მიმართ ძალადობის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ევროპის საბჭოს 1997 წლის გეგმა ქალის მიმართ ძალადობის წინააღმდეგ შეიცავს იმ ღონისძიებების დაწვრილებით ჩამონათვალს, რომლებსაც უნდა მიმართონ სახელმწიფოებმა ქალის მიმართ ძალადობის თავიდან აცილებისა და მისი აღმოფხვრის მიზნით, აგრეთვე, ძალადობის მსხვერპლთა დასაცავად. იგი სახელმწიფოებისაგან მოითხოვს საკანონმდებლო ზომების მიღებასაც, შიდა კანონმდებლობაში ქალის მიმართ ძალადობის ნათელი დეფინიციის მიღების ჩათვლით.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2002 წლის 30 აპრილის "რეკომენდაცია წევრი ქვეყნებისადმი ძალადობისაგან ქალთა დაცვის შესახებ", რომელიც შეიცავს მითითებებს ევროსაბჭოს წევრ ქვეყნებში შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების თაობაზე, აქცენტს აკეთებს მსხვერპლთა დაცვაზე და დაწვრილებით აღწერს იმ ღონისძიებებს, რომლებიც უნდა გატარდეს ამ მიმართებით.

რეკომენდაცია უმნიშვნელოვანესი დოკუმენტია იმ თვალსაზრისით, რომ თავის თავში მოიცავს ოჯახური ძალადობის სფეროში საერთაშორისო სამართალში არსებულ უახლოეს ტენდენციებს.

რეკომენდაცია ხელმძღვანელობს გაერთიანებული ერების ქალის მიმართ ძალადობის შესახებ დეკლარაციის დეფინიციით, თუმცა ოჯახური ძალადობის შემადგენელი ქმედებების ჩამოთვლისას სცილდება მას და მოიცავს პეკინის სამოქმედო პლატფორმასა და "პეკინი პლიუს ხუთის" დოკუმენტებით გათვალისწინებულ ნოვატორულ ელემენტებსაც[22].

დეკლარაცია შეიცავს იმ სპეციფიკური მოთხოვნების ჩამონათვალს, რომლებიც უნდა განახორციელონ სახელმწიფოებმა ოჯახური ძალადობის სფეროში მსხვერპლთა დაცვის, სისხლის სამართლის საქმის აღძერისა და სასჯელის დანიშვნის დროს.

II. უცხო ქვეყნების კანონმდებლობა – საკანონმდებლო სიახლეები

ოჯახური ძალადობის ფენომენის ფსიქოლოგიური და სამართლებრივი კვლევის შედეგებმა, რომლებმაც ამ პრობლემასთან ბრძოლის მანამდე

[22] Recommendation Rec (2002)5 of the Commitee of Ministers to Member States on the Protection of Women against Violence (Adopted by the Commitee of Ministers on 30 April 2002 at the 79th Meeting of the Ministers' Deputies), Appendix to Recommendation, Sec. 1

არსებული მექანიზმების სრული უუნარობა წარმოაჩინა, ბიძგი მისცა არა მხოლოდ საერთაშორისო სტანდარტების, არამედ მრავალი ქვეყნის კანონმდებლობის რადიკალურად შეცვლას. აღნიშნული ცვლილებების გაცნობა აუცილებელია როგორც ამ სფეროში თანამედროვე სამართლებრივი მიდგომის ეფექტიანობის აღქმისათვის, ისე საქართველოს კანონმდებლობის ნაკლოვანებების წარმოსაჩენად.

თითოეულ ქვეყანაში, სადაც ოჯახური ძალადობის სფეროში რეფორმა განხორციელდა, ეს სხვადასხვა ფორმით მოხდა:

ზოგიერთ ქვეყანაში (მაგ., ფინეთსა და ესპანეთში) რეფორმა შემოსაზღვრა მხოლოდ სამოქალაქო კანონმდებლობით, რომლითაც შემოღებული იქნა დამცავი ორდერების სისტემა და ახლებურად დარეგულირდა ოჯახური ძალადობის კონტექსტში ბავშვთან ურთიერთობის საკითხები (ახალი ზელანდია);

ზოგიერთ ქვეყანაში გაიზარდა ოჯახური ძალადობის შემთხვევაში დამცავი ორდერების გამოყენებისა და პოლიციის ჩარევის სიხშირე და ფარგლები (ავსტრია, ირლანდია);

სხვაგან მოხდა სამოქალაქო და სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის რეფორმა (კვიპროსი, მექსიკა, ნიკარაგუა, აშშ-ს ზოგიერთი შტატი);

ზოგიერთმა შექმნა ახალი დანაშაულის სახე ან მთელ რიგ დანაშაულთა დამამძიმებელ გარემოებებში გაითვალისწინა მათი ჩადენა ოჯახის წევრის მიერ (ბელგია, საფრანგეთი, ესპანეთი, შვედეთი);

ხოლო ზოგიერთ ქვეყანაში შემუშავებულ იქნა კომპლექსური კანონი, რომელიც განსაზღვრავს როგორც ოჯახური ძალადობის იურიდიულ ასპექტებსა და სახელმწიფოს მოვალეობებს მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების თვალსაზრისით, ისე მონიტორინგისა და პრევენციის მექანიზმებს სახელმწიფოს სავალდებულო დაფინანსებით (კვიპროსი, ავსტრია, დანია, ფინეთი, შვედეთი).

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, არსებობს გარკვეული პრინციპების ერთობლიობა, რომელიც ყველა ამ ქვეყნისათვის საერთოა. წინამდებარე თავში განხილულია სწორედ ეს პრინციპები.

ოჯახური სფეროს ხელშეუხებლობის პრინციპი პიროვნული უსაფრთხოების პრინციპის წინააღმდეგ

უპირველეს ყოვლისა, აღიარებულ იქნა, რომ მიუხედავად სახელმწიფოს ვალდებულებისა, პატივი სცეს და დაიცვას ოჯახური სფეროს ხელშეუხებლობა, ეს უფლება არ შეიძლება მოქმედებდეს მაშინ, როცა სახელმწიფოს ჩარევა აუცილებელია პიროვნების სიცოცხლისა და ფიზიკური უსაფრთხოების დასაცავად, განსაკუთრებით მაშინ, თუ ეს პიროვნება სოციალურად ან ფიზიკურად დაუცველია.

ავსტრიაში ზემოაღნიშნული პრინციპი ოჯახური ძალადობის სფეროში რეფორმის ქვაკუთხედად იქცა. 1994 წლის 28 ივნისს ავსტრიის ფედერალურმა მთავრობამ მიიღო დადგენილება, რომელიც წარმოადგენდა ოჯახური ძალადობის სფეროში რეფორმის მომზრე და მოწინააღმდეგე ძალთა შორის პოლიტიკურად სავალდებულო კონსენსუსის შედეგს. აღნიშნული კონსენსუსი გულისხმობდა შემდეგს:

"მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფომ პატიეი უნდა სცეს და დაიცვას ოჯახური სფეროს ხელშეუხებლობა, ეს უფლება ხელშეუხებლობის დაცვაზე არ შეიძლება მოქმედებდეს მაშინ, როცა სახელმწიფოს ჩარევა აუცილებელია პიროვნების ფიზიკური უსაფრთხოების დასაცავად, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ეს პიროვნება სოციალურად ან ფიზიკურად სუსტია"[23].

ავსტრიაში ეს ფრაზა სახელმძღვანელო მითითებად იქცა იმის გასარკვევად, უნდა ჩაერიოს თუ არა სახელმწიფო ოჯახურ ურთიერთობებში. მიუხედავად იმისა, რომ აუცილებელია თითოეული პიროვნების პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის პატივისცემა (ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა ევროპის კონვენცია, მუხლი 8.1), საყოველთაო არ უნდა იყოს ოჯახურ ურთიერთობებში ჩარევა მაშინ, როცა პიროვნება, რომელიც ძალადობას განიცდის, დაცვას საჭიროებს.[24]

ოჯახური ძალადობა – საჯარო ბრალდების დანაშაული

თუ ადრე ოჯახური ძალადობის დანაშაულთა უმეტესობის გამო სისხლის სამართლის საქმის აღძვრა დამოკიდებული იყო მსხვერპლის მიერ სამართალდამცავი ორგანოებისადმი საჩივარით მიმართვაზე, ეს პრინციპი შეიცვალა საწინააღმდეგო პრინციპით. ოჯახური ძალადობის შემადგენელი დანაშაულები გახდა საჯარო ბრალდების დანაშაულები, რომელთა ჩადენის შემთხვევაში სისხლის სამართლის საქმე აღიძვრება თვით დანაშაულის ჩადენის ფაქტის ძალით, მიუხედავად მსხვერპლის სურვილისა, უჩივლოს ან არ უჩივლოს მოძალადეს.

ასეთი მიდგომის წყალობით ხდება ისეთი დაბრკოლებების გადალახვა, როგორიცაა მსხვერპლის პასიურობა, შიში და მოძალადისადმი სოლიდარობის გრძობა, რომელთა შესახებაც წინა თაეებში გვქონდა საუბარი და რომლებიც, მრავალ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც, ხელს უშლის მოძალადის წინააღმდეგ საქმის აღძვრას. ასეთი მიდგომა, საშუალებას იძლევა, აგრეთვე, მსხვერპლი არიდებულ იქნას დამატებითი ფსიქოლოგიური თუ ფიზიკური აგრესიისაგან, რომელსაც ხშირად იყენებს მოძალადე, რათა დაარწმუნოს იგი, არ მიმართოს სამართალდამცავ ორგანოებს.

დამცავი ორდერები: ცალმხრივი, გადაუდებელი (დროებითი) შემზღუდავი ორდერი

ამ ინსტიტუტის მიზანია დაიცვას მსხვერპლი ძალადობის ან ძალადობის განმეორების საფრთხისაგან. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ ოჯახური ძალადობის შემთხვევაში სახელმწიფოს ჩარევა

---

[23] სემინარის მასალები "როგორ ვებრძოლოთ ოჯახურ ძალადობას", ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი, კავკასიის ქალთა კელეკითი და საკონსულტაციო ცენტრი, ძალადობისაგან ქალთა და ბავშვთა დაცვის ეროვნული სამსახური, 2003 წლის 9-13 ივნისი.

[4] ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა ევროპის კონვენციის მე-8 მუხლი ითვალისწინებს ოჯახურ ურთიერთობებში კანონიერ ჩარევას დანაშაულებრივ ქმედებათა თავიდან აცილების მიზნით.

გულისხმობდეს არა ძალადობის მსხვერპლისათვის თავდაცვის მიზნით საკუთარი საცხოვრებლის მიტოვების შეთავაზებას, არამედ მიმართული იყოს იმ პირის წინააღმდეგ, რომლიც საფრთხეს უქმნის ძალადობის მსხვერპლის უსაფრთხოებას.

მოძალადეს (და არა მსხვერპლს) მოეთხოვება დაუყოვნებლივ დატოვოს სახლი (ბინა), რომელშიც იგი მსხვერპლთან ერთად ცხოვრობს, მიუხედავად იმისა, მოძალადე ამ სახლის მესაკუთრეა თუ არა და გარკვეული ხნის განმავლობაში (რომელსაც კანონი ადგენს ან სასამართლო განსაზღვრავს) არ დაბრუნდეს იქ, აგრეთვე, არ მქონდეს ურთიერთობა მსხვერპლთან. მოძალადეს ეკრძალება მსხვერპლთან მიახლოება გარკვეულ მანძილზე, მასთან სატელეფონო ან სხვა საშუალებებით დაკავშირების მცდელობა, მსხვერპლის სამუშაო ან საცხოვრებელ ადგილთან გარკვეულ დისტანციაზე მიახლოება ან სხვათა გამოყენება მასთან დაკავშირებისათვის.

სხვადასხვა ქვეყანაში აღნიშნული ინსტიტუტის დანერგვას თან ახლდა დისკუსია იმასთან დაკავშირებით, რამდენად შეიძლება მესაკუთრეს დაატოვებინონ საკუთარი სახლი (ბინა); ხომ არ წარმოადგენს ეს საკუთრების უფლების შელახვას. თუმცა, საზოგადოება ერთხმად მივიდა იმ აზრამდე, რომ ძალადობის შემთხვევაში, როდესაც საფრთხე ემუქრება ადამიანის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას, საკუთრების უფლების დაცვასთან შედარებით უპირატესი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს სწორედ მათ დაცვას, რადგან ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა უფრო მაღალ საზოგადოებრივ ღირებულებას წარმოადგენს.

ცალმხრივი გადაუდებელი შემზღუდავი ორდერები დანერგილია ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროპის ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა ავსტრია, ესპანეთი, ფინეთი, შვედეთი.

გადაუდებელი შემზღუდავი ორდერი გაცემა ძალადობის ან ძალადობის საფრთხის შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე და მას გასცემენ პოლიციის თანამშრომლები ან სასამართლო. სხვადასხვა ქვეყანაში მათი გაცემის პროცედურა განსხვავებულია.

მოძალადეს ცალმხრივი გადაუდებელი შემზღუდავი ორდერით შეიძლება აეკრძალოს:

ა) მსხვერპლის ან ოჯახის სხვა წევრის ან თანამობინადრის მიმართ ოჯახური ძალადობა ან ასეთი ძალადობის მუქარა;

ბ) მსხვერპლის შეურაცხყოფა, შეწუხება, ტელეფონით დარეკვა ან ნებისმიერი სხვა ურთიერთობა, პირდაპირ თუ არაპირდაპირ.

შემზღუდავი ორდერით მოძალადეს შეიძლება დაეკრძალოს:

ა) მსხვერპლის საცხოვრებელი ადგილის დატოვება;

ბ) მსხვერპლის ან ოჯახის სხვა წევრის ან თანამობინადრის საცხოვრებელი ადგილიდან, სკოლიდან, სამუშაო ადგილიდან ან რომელიმე სხვა ადგილიდან (რომელიც მსხვერპლის თხოვნით განისაზღვრება) შორს ყოფნა.

ორდერით ასევე შეიძლება განისაზღვროს ავტომობილის ან სხვა აუცილებელი პირადი ნივთების მფლობელობისა და სარგებლობის წესი, მიუხედავად იმისა, ვინ არის მათი მესაკუთრე, და დაეკრძალოს სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომელს, თან ახლდეს მოსარჩელეს საცხოვრებელ ბინაში (სახლში) შესვლისას, რათა უზრუნველყოს

მოსარჩელის მფლობელობაში სახლის, ავტომობილის ან სხვა პირადი ნივთების უსაფრთხო გადასვლა, ან მოსარჩელის ან მოპასუხის მიერ საცხოვრებლიდან პირადი ნივთების მშვიდობიანი წამოღება.

ორდერით შესაძლებელია ბავშვ'ს მეურვეობის უფლება დროებით გადაეცეს მოსარჩელეს და განისა'ღერეოს სხვა ღონისძიებები, რომლებიც, სასამართლოს აზრით, აუცილებელია მოსარჩელის, ან ოჯახის სხვა წევრების ან თანამობინადრეების უსაფრთხოების უ'სრულველსაყოფად.

სასამართლო ცალმხრივ გადაუდებელ ორდერს გამოსცემს დაუყოვნებლივ სასამართლო განხილვის გარეშე. ასეთივე წესით ხდება ორდერის შინაარსის შეცვლა.

მოძალადის იძულება, დროებით დატოვოს სახლი და არ ჰქონდეს ურთიერთობა მსხვერპლთან, საშუალებას იძლევა, განიმუხტოს დაძაბულობა და ორივე მხარეს მიეცეს მომხდარის გაანალიზების შესაძლებლობა. ამასთან მსხვერპლი იძულებული არ არის, თავდაცვის მიზნით თავშესაფარი ეძიოს მშობლებთან, მეგობრებთან ან ნებისმიერ სხვა ადგილას. ის გარემოება, რომ ქალს, უმეტეს შემთხვევაში ბავშვით (ბავშვებით) წასასვლელი არსად აქვს, ხშირ შემთხვევაში მისი მხრიდან ძალადობის ყოველგვარი გამოვლინების მოთმენის საფუძველი ხდება.

სამოქალქო სამართლის ნორმების გამოყენება ოჯახური ძალადობისას

სასამართლო დამცავი ორდერები

იმ ქმედებების სიმძიმე, რომლებიც ოჯახურ ძალადობას შეადგენს, ყოველთვის არ აღწევს იმ დონემდე, რომ ისინი დაკვალიფიცირებულ იქნას სისხლის სამართლის დანაშაულებად. ამ დროს არ ხდება მოძალადის წინააღმდეგ საქმის აღძრა, პოლიციის მხრიდან მისი დაპატიმრება ან "გადაუდებელი შემ'ღ'უდავი ორდერის" გაცემა. ძალადობა კი განაგრძობს პროგრესირებას. აღნიშნულმა გარემოებამ გამოიწვია სამოქალაქო სამართლის ნორმებით პრობლემის დარეგულირების აუცილებლობა. ამ ნორმების შესაბამისად, ძალადობის მსხვერპლს დამცავი ორდერის გაცემის თხოვნით შეუძლია მიმართოს სამოქალაქო სასამართლოს. ავსტრიაში ამას უწოდებენ ე.წ. შუალედურ სასამართლო აკრძალვას, რომელიც მოძალადეს აიძულებს, დროებით დატოვოს სახლი და უკრძალავს მსხვერპლთან ნებისმიერი სახის (უშუალო თუ არაპირდაპირ) ურთიერთობას[25]. აღნიშნული პროცედურა საშუალებას იძლევა დაცული იქნას მსხვერპლი ისეთი ძალადობისას, რომელიც თავისი სიმძიმით დანაშაულს არ შეადგენს, აგრეთვე თავიდან იქნას აცილებული პოლიციასთან უშუალო კონტაქტი.

შუალედური სასამართლო აკრძალვა ვრცელდება მხარეთა საცხვრებელი სივრცის გარეთ და მოიცავს უფრო დიდ ტერიტორიას, ვიდრე პოლიციის მიერ გაცემული დროებითი შემ'ღ'უდავი ორდერი.

[25] სემინარის მასალები "როგორ ვებრძოლოთ ოჯახურ ძალადობას", ევროსის დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისი, კავკასიის ქალთა კვლევითი და საკონსულტაციო ჯგუფი, ძალადობისაგან ქალთა და ბავშვთა დაცვის ეროვნული სამსახური, 2003 წლს 9-13 იანვარი

სასამართლოს შეუძლია აუკრძალოს მოძალადეს ისეთ ადგილებში მისვლა და დარჩენა, როგორიცაა, საბავშვო ბაღი ან სკოლა (რომელშიც დადიან მისი ან მსხვერპლის შვილები) ან მსხვერპლის სამუშაო ადგილი. მოძალადეს ასევე შეიძლება მიეცეს მითითება, რომ თავი მოარიდოს ოჯახის სხვა წევრებთან შეხვედრას.

სასამართლო დამცავი ორდერის ეფექტურობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ მსხვერპლმა დროულად წარადგინოს განცხადება სასამართლოში. ამისათვის კი ის დროის საკმაოდ მცირე მონაკვეთში უნდა დარწმუნდეს აღნიშნული ნაბიჯის მართებულობაში. ეს მიუთითებს სწრაფი და ეფექტური კონსულტაციისა და მსხვერპლის ფსიქოლოგიური მხარდაჭერის მნიშვნელობაზე. ავსტრიაში სპეციალიზებული კერძო სამართლის იურიდიული პირები უზრუნველყოფენ ამგვარ კონსულტაციასა და მხარდაჭერას. მათ ეწოდათ "ნარევის ცენტრები", რომლებიც ჩამოყალიბდა რეფორმის განხორციელების პროცესში.

ფინეთში დამცავი ორდერი შემოღებულ იქნა 1999 წელს. იგი გაიცემა ადამიანთა სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის მი'ნით, და მეორე ადამიანს, მაგალითად, მეუღლეს ან სრულწლოვან შვილს, რომელიც ცუდად ეპყრობა მშობლებს, უკრძალავს მეუღლესთან ან მშობლებთან ურთიერთობას.

ფინეთის კანონმდებლობა განასხვავებს ორი სახის დამცავ ორდერს: ძირითადი დამცავი ორდერი ნიშნავს, რომ პირს, რომლის მიმართაც იგი გაიცა. ეკრძალება მეორე ადამიანთან შეხვედრა ან ურთიერთობების მცდელობა. განერცობილი დამცავი ორდერი პირს უკრძალავს ასევე მსხვერპლის საცხოვრებელი ან სამუშაოს ადგილის ახლოს გამოჩენას. ორდერი ერთჯერადად გაიცემა არაუმეტეს ერთი წლის ვადით. მისი დარღვევისათვის პირს შეიძლება დაეკისროს ჯარიმა ან მიესაჯოს თავისუფლების აღკვეთა არა უმეტეს ერთი წლისა. 1999 წლის განმავლობაში ფინეთში გაიცა 1000 დამცავი ორდერი[26].

აშშ-ში სასამართლო დამცავი ოდერის რამდენიმე სახე არსებობს. ძალადობის საფრთხის სერიოზულობიდან გამომდინარე, მოძალადეს შეიძლება აეკრძალოს მსხვერპლის, მისი ოჯახის წევრებისა და ახლობლების მიმართ ოჯახური ძალადობის შემადგენელი დანაშაულების ჩადენა ან ამ დანაშაულების ჩადენის მუქარა; მსხვერპლის სიტყვიერი შეურაცხყოფა, ტელეფონით ან სხვა საშუალებებით უშუალოდ ან არაპირდაპირ დაკავშირების მცდელობა; მსხვერპლის საცხოვრებელ ადგილას ყოფნა, მიუხედავად საკუთრების უფლებისა; მსხვერპლის საცხოვრებელ ადგილთან, სკოლასთან, სამსახურთან ან მსხვერპლის, მისი ოჯახის წევრების ან ახლობლების მიერ მითითებულ სხვა ადგილთან მიახლობა; იარაღის ტარება და სხვ[27].

აშშ-ს მოდელური სახემწიფო კოდექსის თანახმად, სასამართლო დამცავი ორდერის მოთხოვნის უფლება აქვს პირს, რომელიც იყო ან არის ოჯახური ძალადობის მსხვერპლი. თუ მსხვერპლი ბავშვია,

---

[26] Legislation in the Member States of the Council of Europe in the field of Violence against Women, Volume I, Council of Europe, Strasburg, January 2001, p. 73

[27] Model Code on Domestic and Family Violence, Femily Violence: s Model State Code, National Council of Juvenile and Femily Court Judges, 1994, Sec. 204, p. 4-5

სასამართლო დამცავი ორდერის მოთხოვნი უფლება აქვს მშობელს, მეურვეს ან სხვა კანონიერ წარმომადგენელს.

ყველა სასამართლოს, რომელსაც აქვს იურისდიქცია საოჯახო საქმეთა განხილვაზე აქვს დამცავი ორდერის გაცემის უფლება.

არსებობს ორდერის მოთხოვნისა (სარჩელის) და თავად ორდერის წინასწარ შემუშავებული და დაბეჭდილი ფორმები, რათა გაადვილდეს ორდერის მოთხოვნისა და გაცემის პროცედურა.

სასამართლო დამცავი ორდერის ტექსტს ბოლოში აუცილებლად უნდა ერთვოდეს შემდეგი ორი წინადადება:

"წინამდებარე ორდერის დარღვევა იწვევს თავისუფლების აღკვეთას X ვადით და ჯარიმას X ოდენობით;

სასამართლოს მიერ შესაბამისი ბრძანების არსებობის შემთხვევაში, მოპასუხეს ეკრძალება მოსარჩელის საცხოვრებელ სახლში (ბინაში) შესვლა ან დარჩენა თუნდაც მოსარჩელის ან მასთან მცხოვრების პირების თანხმობის არსებობის შემთხვევაში. დამცავი ორდერის პირობების დარღვევა აკრძალულია ნებისმიერი მიზეზით"[28].

ბავშვზე მეურვეობის საკითხის გადაწყვეტა

ოჯახური ძალადობის შემთხვევაში და მისგან გამომდინარე დავების განხილვის დროს განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მოძალადე მშობლის ბავშვთან ურთიერთობის საკითხს, რადგან სამეცნიერო კვლევებით დადასტურებულია, რომ ძალადობა ოჯახში სეროზულ გავლენას ახდენს ბავშვზე, მიუხედავად იმისა, არის თუ არა იგი ძალადობის უშუალო ობიექტი.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ნებისმიერი საქმის განხილვისას, რომელიც ეხება ბავშვზე მეურვეობის საკითხის გადაწყვეტას, სასამართლოს მიერ ოჯახური ძალადობის შესახებ ინფორმაციის მიღება წარმოშობს პრეზუმფციას, რომ მოძალადე პირის სრულ მეურვეობაში ან მასთან ერთობლივ კანონიერ ან ფიზიკურ მეურვეობაში ბავშვის გადაცემა ბავშვისათვის საზიანოა და ეწინააღმდეგება მის ინტერესებს.

ისეთი საქმეების განხილვისას, სადაც წყდება ბავშვზე მეურვეობის ან რომელიმე მშობლის მიერ ბავშვის მონახულების საკითხები, სასამართლოს განკარგულებაში ოჯახური ძალადობის შესახებ ინფორმაციის არსებობისას, სასამართლომ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს:

(ა) ბავშვის უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის, აგრეთვე, ოჯახური ძალადობის მსხვერპლი მშობელის უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის ინტერესების გათვალისწინებით;

(ბ) მოძალადის მხრიდან ოჯახური ძალადობის შემადგენელი დანაშაულის ან დარღვევის სახისა, სიმძიმისა და საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის გათვალისწინებით.

თუ ერთ-ერთი მშობელი სასამართლო სხდომაზე წარმოდგენილი არ არის ან სხვა ადგილას იმყოფება მეორე მშობლის მხრიდან ოჯახური ძალადობის შედეგად, ეს გარემოება მის წინააღმდეგ გამოყენებული არ უნდა იქნას ბავშვზე მეურვეობის ან მასთან ურთიერთობის საკითხის გადაწყვეტის დროს.

[28] Model Code on Domestic aud Family Violence, Femily Violece: S Model State Code, National Coucil of Juvenile and Family Court Judges, 1994. Sec. 302 (3). p.22

ბავშვსე მეურვეობის საკითხის გადაწყვეტისას ოჯახური ძალადობის არსებობის შემთხვევაში სასამართლოს, როგორც წესი, გამოაქვს გადაწყვეტილება იმ მშობელთან ბავშვის ცხოვრების შესახებ, რომელიც არ არის მოძალადე.

თუ ოჯახური ძალადობის ფაქტი მოხდა მას შემდეგ, რაც სასამართლომ უკვე გამოიტანა გადაწყვეტილება ბავშვთან მშობლების ურთიერთობის შესახებ, აღნიშნული გადაწყვეტილება შეიძლება გადაიხედოს ძალადობის ფაქტის გამო.

სასამართლომ მხოლოდ მაშინ შეიძლება დართოს მოძალადე მშობელს ბავშვის ნახვის ნება, თუ ბავშვისა და მეორე მშობლის უსაფრთხოების სომები დაცულია. მიუხედავად იმისა, ნებადართულია თუ არა ბავშვის მონახულება, სასამართლოს შეუძლია გაასაიდუმლოვოს როგორც ბავშვის, ისე დედის მისამართი. თუ სასამართლო ოჯახის რომელიმე წევრს ბავშვის მონახულების დროს სედამხედველობის ნებას დართავს, მან თავის გადაწყვეტილებაში დეტალურად უნდა განსაზღვროს ბავშვის მონახულების წესები. აშშ-ს მრავალ შტატში შექმნილია ბავშვთა მონახულების სპეციალური სახელმწიფო დაწესებულებები, სადაც მოძალადე მშობლებს საშუალება ეძლევათ ბავშვები სედამხედველობის ქვეშ მოინახულონ, რათა თავიდან იქნას აცილებული შემდგომი ძალადობის ყოველგვარი საფრთხე.

მრავალ ქვეყანაში არა მხოლოდ ბავშვთან მოძალადე მშობლის ურთიერთობის, არამედ ოჯახური ძალადობის მსხვერპლ ბავშვთან სამართალამცავი ორგანოების, ფსიქოლოგთა და მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოების ურთიერთობის, ბავშვისათვის ჩვენების ჩამორთმევის, სასამართლო პროცესსე მისი მოწმედ გამოყვანისა და მოელი რიგი სხვა საკითხები სპეციალური კანონით ან ნორმებით რეგულირდება.

სამართალდამცავი ორგანოების როლი ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში

ა. ავსტრია

სამართალდამცავ ორგანოებს, კანონის შესაბამისად, მოეთხოვებათ დაიცვან ცალკეული პირები მათი უსაფრთხოების მოსალოდნელი დანაშაულებრივი ხელყოფისაგან. როდესაც პოლიციის სახლში გამოძახება ხდება ოჯახური ძალადობის აქტის არსებობის გამო, მათ უნდა მიიღონ გადაუდებელი სომები, რათა უსრუნველყონ ძალადობის საფრთხის ქვეშ მყოფ პირთა ეფექტური დაცვა.

ავსტრიაში "ოჯახური ძალადობისაგან დაცვის შესახებ" კანონის მიღებამდე სამართალდამცავი ორგანოების შესაძლებლობები შეესრულებინათ ეს ამოცანა, მეტად შესღუდული იყო. იმ შემთხვევაში, როდესაც პროკურატურისა და სასამართლოს შეხედულებით, შესაძლებელია, კვლავ მოსალოდნელი ყოფილიყო ამავე ტიპის დანაშაულებრივი ქმედებები, სამართალდამცავ ორგანოებს ჰქონდათ უფლება რეაგირება მოეხდინათ ოჯახური ძალადობის აქტსე დამნაშავის დაპატიმრების გზით. თუმცა, ავსტრიის კანონმდებლობის შესაბამისად,

ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება არ წარმოადგენდა დანაშაულებრივი ქმედების განმეორებით ჩადენის საფუძველზე მოძალადის დაკავების მიზეზს. გარდა ამისა, სასამართლო ორგანოები ყოველთვის არ იყენენ მზად, ასეთ შემთხვევებში გაეცათ მოძალადის დაკავების ბრძანება, ამიტომ სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლები იძულებულნი ხდებოდნენ გამოენახათ სხვა გზები და საშუალებები იმისათვის, რომ უზრუნველყოთ ძალადობის საფრთხის ქვეშ მყოფ პირთა უსაფრთხოება. უმეტეს შემთხვევაში, სამართალამცავი ორგანოების თანამშრომლებს შეეძლოთ მხოლოდ ერჩიათ ძალადობის მსხვერპლისათვის, რომ აუცილებლობის შემთხვევაში მას დროებით დაეტოვებინა საკუთარი სახლი და შვილებთან ერთად საცხოვრებლად გადასულიყო სხვა ადგილას - მშობლებთან, მეგობრებთან ან ფიზიკური ძალადობის მსხვერპლ ქალთა თავშესაფარში.

რეფორმასთან დაკავშირებული დებატების მიმდინარეობისას (1993-94 წლებში), ყველა მონაწილე მხარემ აღიარა ამ პროცედურის უარეოფითი მხარეები. აღინიშნა, რომ პოლიციის ასეთი მოქმედება ნიშნავს დავალების არასათანადოდ შესრულებას. ავსტრიის ფედერალური მთავრობის მიერ 1994 წლის 28 ივნისს მიღებული გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ:

"ძალადობის აქტებისაგან პრევენციული დაცვა სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენს. თუმცა, პოლიციის ჩარევა იმას კი არ უნდა გულისხმობდეს, რომ შესთავაზოს ძალადობის მსხვერპლს თავდაცვის მიზნით საკუთარი საცხოვრებლის დატოვება, არამედ ამგვარი ჩარევა მიმართული უნდა იყოს იმ პირის წინააღმდეგ, რომელიც საფრთხეს უქმნის ძალადობის მსხვერპლის უსაფრთხოებას. იმ შემთხვევაში, როცა შეუძლებელია ეჭვმიტანილი მოძალადის დაკავება, განხილულ უნდა იქნას მისი სახლიდან დროებითი გაძევების გზით ძალადობის მოსალოდნელი საფრთხის თავიდან აცილების შესაძლებლობა".

ეს მიზანი მიღწეულ იქნა 1997 წლის 1 მაისს პოლიციის კანონში ცვლილებების შეტანის საფუძველზე. ეს ცვლილებები ითვალისწინებდა საკანონმდებლო ბაზის შექმნას ოჯახური ძალადობის შემთხვევებში მოძალადის დროებითი გასახლებისა და სახლში დაბრუნების აკრძალვისათვის. აღნიშნული კანონის 38(ს)-ე მუხლის მიხედვით:

"იმ შემთხვევაში, თუ გარკვეული ფაქტების, განსაკუთრებით კი ადრე ჩადენილი ძალადობის აქტების გათვალისწინებით, მოსალოდნელია, ამა თუ იმ პირის სიცოცხლე, ჯანმრთელობა ან თავისუფლება ძალადობის რისკის ქვეშ აღმოჩნდეს, სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლები უფლებამოსილნი არიან ამგვარი სახიფათო ქმედების ჩამდენი პირი გააძევონ იმ სახლიდან (და მიმდებარე ტერიტორიიდან), სადაც ცხოვრობს ამგვარი საფრთხის ქვეშ მყოფი პირი . . . პოლიციის თანამშრომლები, ასევე, უფლებამოსილნი არიან გასახლებულ პირს აუკრძალონ აღნიშნულ ადგილებში გამოჩენა. პოლიციის თანამშრომლები უფლებამოსილნი არიან ჩამოართვან მოძალადეს საცხოვრებელი სახლის ყველა გასაღები. მათ მოძალადეს უნდა მისცენ საშუალება თან წაიღოს აუცილებელი პირადი ნივთები და მოიპოვოს ინფორმაცია შესაძლო საცხოვრებელი ადგილების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ მოძალადეს სჭირდება იმ სახლში შესვლა,

საიდანაც ის გაასახლეს, მას შეუძლია ამის გაკეთება მხოლოდ სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომელთა თანდასწრებით".

"ოჯახური ძალადობისაგან დაცვის შესახებ" კანონის ძალაში შესვლამდე 150 სპეციალისტი მომზადდა ერთობლივად არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მოსამართლეების მიერ. ამ სპეციალისტებს დაევალათ ავსტრიის სამართალდამცავი ორგანოების ყველა თანამშრომლის მომზადება. კანონის განმარტებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა შიდა საორგანიზაციო საკითხები და პოლიციის საქმიანობის შესახებ ანგარიშების მომზადება – ნათლად არის განსაზღვრული შინაგან საქმეთა ფედერალური სამინისტროს მიერ გაცემულ ადმინისტრაციულ დადგენილებებში.

ბ. ამერიკის შეერთებული შტატები

სამართალდამცავი ორგანოების როლს ოჯახური ძალადობის სიტუაციებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ამერიკის შეერთებულ შტატებშიც. ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ მოდელურ სახელმწიფო კოდექსში დეტალურად არის აღწერილი ოჯახური ძალადობის შემთხვევის დროს სამართალდამცავთა ფუნქციები. კოდექსის თანახმად, სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლებმა უნდა გამოიყენონ მსხვერპლის დაცვისა და შემდგომი ძალადობის თავიდან აცილების ყველა გონივრული საშუალება. მათ შორის:

(ა) უზრუნველყონ მსხვერპლისა და ოჯახის სხვა წევრთა პირადი უსაფრთხოება;

(ბ) ჩამოართვან მოძალადეს ყველა სახის იარაღი;

(გ) საჭიროების შემთხვევაში გადაიყვანონ მსხვერპლი და ბავშვები შესაბამის თავშესაფარში;

(დ) დახმარონ მსხვერპლს პირველადი მოხმარების ნივთების გადატანაში;

(ე) დახმარონ მსხვერპლსა და ბავშვებს სამედიცინო დახმარების მიღებაში და, საჭიროების შემთხვევაში, გადაიყვანონ სამედიცინო დაწესებულებაში;

(ვ) განუმარტონ მსხვერპლს მისი უფლებები და წერილობითი ფორმით გადასცენ ამ უფლებათა ჩამონათვალი, რათა მსხვერპლს ჰქონდეს შესაძლებლობა უფრო მშვიდ გარემოში გულდასმით გაეცნოს მას.

თუ ოჯახში ჩადენილი ძალადობა თავისი სიმძიმით და საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხით სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას არ იწვევს, მაგრამ ოჯახში მოძალადის დატოვება ემუქრება მსხვერპლის უსაფრთხოებას, სამართალდამცავი ორგანოს თანამშომელს უფლება აქვს სასამართლოს თანხმობით (წერილობითი ან ზეპირი) გადაუდებელი შემზღუდავი ორდერი გამოსცეს, რომელიც ძალაშია გამოცემიდან 72 საათის განმავლობაში.

იმ შემთხვევაში, თუ სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომელს აქვს სათანადო საფუძველი ივარაუდოს, რომ ჩადენილია ოჯახური ძალადობის დანაშაული (მიუხედავად იმისა, ჩადენილია მძიმე თუ მსუბუქი დანაშაული; თვითონ შეესწრო დანაშაულის ჩადენის ფაქტს თუ არა),

მას შეუძლია სასამართლოსაგან წინასწარი ოახმობის გარეშე მიიღოს გადაწყვეტილება ეჭვმიტანილის დაკავებისა და სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ.

პოლიციის თანამშრომლებს ეკრძალებათ დაკავების შესახებ გადაწყვეტილება დააფუძნონ მსხვერპლის თხოვნას ან საკუთარ შეფასებას იმის თაობაზე ითანამშრომლებს თუ არა მომავალში ძალადობის მსხვერპლი ან მოწმე სამართალდამცავ ორგანოებთან.

სამართალდამცავი ორგანოს თანამშომელს სასამართლოს წინასწარი ნებართვის გარეშე მოძალადის დაკავების უფლება აქვს, აგრეთვე, მოძალადის მიერ შემზღუდავი ან დამცავი ორდერის პირობების დარღვევის შემთხვევაში. პოლიციას ასევე უფლება აქვს ამოიღოს ოჯახური ძალადობის ადგილზე ნაპოვნი ყველა სახის იარაღი.

თუ სასამართლო მიიღებს წინასწარი დაკავებიდან პირის გათავისუფლების გადაწყვეტილებას, მან უნდა გამოსცეს სასამართლო დაცვის ორდერი, რათა უსრუნველყოფილ იქნას მსხვერპლის უსაფრთხოება და შეატყობინოს მსხვერპლს მოძალადის გათავისუფლებისა და ორდერის გამოცემის შესახებ. გათავისუფლების პირობებისა და ორდერის მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში პირი ექვემდებარება სამართალდამცავ ორგანოთა მიერ აუცილებელ დაკავებას.

სახელმწიფო და არასამთავრობო დონეზე ინსტიტუციური თანამშრომლობის აუცილებლობა

ოჯახურ ძალადობასთან ბრძოლაში სამართალდამცავი ორგანოების აქტიურ როლთან ერთად გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სამართალდამცავი ორგანოების, სასამართლოს, სოციალური სამსახურებისა და მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების ცენტრების შეთანხმებულ მოქმედებას. აღნიშნული ინსტიტუტების მჭიდრო თანამშრომლობის გარეშე საუკეთესო კანონმდებლობაც კი არაეფექტურობისათვის არის განწირული. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ ყველა ქვეყანაში, სადაც ოჯახური ძალადობის სფეროში რეფორმა განხორციელდა, ამ რეფორმის ერთ-ერთ მთავარ პირობას აღნიშნული თანამშრომლობისათვის მყარი საფუძვლის შექმნა წარმოადგენდა.

სახელმწიფო და არასამთავრობო ინსტიტუტების მჭიდრო თანამშრომლობის კარგი მაგალითია კვლავ ავსტრია, სადაც ძალადობის მსხვერპლის ინფორმირება მსხვერპლთა დაცვის სათანადო დაწესებულებების შესახებ სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა კანონით გათვალისწინებულ ვალდებულებას წარმოადგენს. აღნიშნული ვალდებულება რეფორმის ძირითადი ელემენტია. ის ემყარება მოსაზრებას, რომ ოჯახური ძალადობის შემთხვევაში სახელმწიფო იმას კი არ უნდა ელოდოს, ძალადობის მსხვერპლი თვითონ როდის გამოძებნის გზას საკონსულტაციო მომსახურებისაკენ, არამედ, აქტიურად დაეხმაროს მას ფსიქოლოგიური, სოციალური და სამართლებრივი პრობლემების გადაჭრაში ხელშეწყობის გზით.

უნდა გავითვალისწინოთ, რომ მსხვერპლს სჭირდება კონსულტაცია, რათა ინფორმაცია მოიპოვოს იმ გზებისა და საშუალებების შესახებ,

რომლებიც შეცვლის მის პირად მდგომარეობას. თუმცა, გარემოებების შესაბამისად, ის ყოველთვის ვერ შეძლებს ოჯახური ძალადობისაგან თავის დაღწევას. მიღებული გამოცდილება აშკარად ადასტურებს, რომ სპეციალური დახმარების გარეშე ძალადობის მსხვერპლი, უმეტეს შემთხვევაში, არ მოითხოვს სასამართლო დაცვის ორდერის გამოცემას. აქედან გამომდინარე, აუცილებელია, რომ სამართალმდაცავმა ორგანოებმა დაუყოვნებლივ აცნობონ ე.წ. "ჩარევის ცენტრებს" მათ მიერ გაცემული ნებისმიერი აკრძალვის ბრძანების შესახებ, რომლის მიღებისთანავე აღნიშნული ცენტრები უკავშირდებიან მსხვერპლს შესაბამისი ფსიქოლოგიური, სოციალური და იურიდიული დახმარების შეთავაზების მიზნით (ავსტრიის ტერიტორიაზე ასეთი ცხრა "ჩარევის ცენტრი" ფუნქციონირებს).

"ოჯახური ძალადობისაგან დაცვის შესახებ" კანონის საფუძველზე ავსტრიაში შეიქმნა, აგრეთვე, ინფორმაციის გაცვლის იურიდიული ბაზა, რომელიც მეტად საჭიროა სამართალდამცავ ორგანოებსა და ძალადობის მსხვერპლთა მხარდამჭერ დაწესებულებებს შორის მჭიდრო თანამშრომლობისათვის. ამ უკანასკნელს მიეწოდება ინფორმაცია ჩარევის პროცედურებისა და მოძალადის მოქმედების შესახებ, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ძალადობის მსხვერპლის მხარდამჭერი დაწესებულებების მუშაობისათვის.

ამ მუშაობის ძირითად ასპექტს, ერთის მხრივ, წარმოადგენს მსხვერპლისათვის კომპეტენტური ინფორმაციის მიწოდება და, მეორეს მხრივ, მისდამი ემოციური თანაგრძნობისა და თანადგომის გამოჩენა მისი უფლებების დაცვის, მისი მხარდაჭერისა და რთულ გარემოებებში ახალი ცხოვრების დაწყების შესაძლებლობისადმი მისი რწმენის გაძლიერების გზით.

ინდივიდუალური სოციალური პრობლემების სფეროში მუშაობის გარდა "ჩარევის ცენტრები" ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ინსტიტუციურ დონეზე: აღნიშნული ცენტრები ხელს უწყობენ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის თანამშომლობას, აკონტროლებენ მათ საქმიანობას და შინაგან საქმეთა ფედერალურ სამინისტროში არსებულ "ძალადობისაგან დაცვის საკონსულტაციო საბჭოს" წარუდგენენ წინადადებებს თანამშრომლობის ფორმების შემდგომი განვითარების თაობაზე ოჯახური ძალადობის ეფექტურად აღკვეთის მიზნით.

III. ქართული კანონმდებლობა

ოჯახური ძალადობის სფეროში ქართული კანონმდებლობის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ოჯახურ ძალადობასთან დაკავშირებულ დანაშაულთა უმეტესობა, თუ ისინი განსაკუთრებით მძიმე შედეგით არ სრულდება, მიეკუთვნება ნაკლებად მძიმე დანაშაულთა კატეგორიას, რომელთა ჩადენისათვის გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთას. უფრო ხშირად ამ დანაშაულების ჩადენისათვის დამნაშავე ისჯება ჯარიმით, თავისუფლების შეზღუდვით ან ტუსაღობით რამდენიმე თვით ან თავისუფლების აღკვეთით არა უმეტეს ერთი წლისა. ამასთან, დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკის

ანალიზის შედეგად, ირკვევა, რომ აღნიშნულ დანაშაულთა უმეტესობის ჩადენაში დამნაშავე პირებს ძირითადად პირობითი სასჯელი ენიშნებათ.

ამავე დროს, ზემოაღნიშნულ დანაშაულთა უმეტესობა მიეკუთვნება კერძო ან კერძო-საჯარო ბრალდების დანაშაულებს, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ შესახებ სისხლის სამართლის საქმე აღიძვრება მხოლოდ დაზარალებულის საჩივრით. ამასთან ერთად, კერძო ბრალდების საქმეები შესაძლებელია შეწყდეს ბრალდებულთან დაზარალებულის შერიგებით.

კერძო-საჯარო ბრალდების საქმეები ბრალდებულისა და დაზარალებულის შერიგების გამო არ წყდება, მაგრამ კანონმდებელი აქაც უშვებს გამონაკლისს და ითვალისწინებს ასეთი საქმეების შერიგებით შეწყვეტის შესაძლებლობას, როცა საქმის შემდგომმა გამოძიებამ შეიძლება ზიანი მიაყენოს როგორც დაზარალებულის, ისე ბრალდებულის ინტერესებს. "დაზარალებულისა და ბრალდებულის ინტერესებისადმი 'ზიანის მიყენება" მეტად ბუნდოვანი ტერმინია, რაც საქმის შესაწყვეტად მისი გამოყენების ხელსაყრელ საშუალებას იძლევა.

ეს, ერთი შეხედვით, არც თუ ისე მნიშვნელოვანი ასპექტები, სხვა ფაქტორებთან ერთად არსებით უარყოფით ზეგავლენას ახდენს საგამოძიებო ორგანოსა თუ სასამართლოში ოჯახურ ძალადობასთან დაკავშირებული საქმეების წარმოებაზე.

კანონმდებლის მიერ აღნიშნულ დანაშაულებზე სისხლის სამართლის საქმის აღძვრისათვის დაზარალებულის საჩივრის არსებობის აუცილებლობის დაწესება, იწვევს იმას, რომ აღნიშნული საქმეების აღძვრა ან საერთოდ არ ხდება, ან აღნიშნული საქმეები აღძვრის შემდეგ იხურება დაზარალებულის მიერ საჩივრის უკან წაღების, ბრალდებულისა და დაზარალებულის ვითომ "შერიგების" შედეგად.

თუ გავითვალისწინებთ ოჯახური ძალადობის მსხვერპლის ფსიქოლოგიურ მდგომარეობას, მის შიშს, დამნაშავისადმი მისი სოლიდარობის სინდრომს, მისი უსაფრთხოების დაცვის მექანიზმების არარსებობას, ნათელი გახდება, რომ მსხვერპლთა უმეტესობა მრავალ ფაქტორთა ზეგავლენით სრულიადაც ვერ იქნება განწყობილი მოძალადის წინააღმდეგ საჩიველელად.

მსხვერპლის ინიციატივაზე დაყრდნობა ოჯახური ძალადობის დანაშაულებთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმის აღძვრისას კანონმდებლის შეცდომაა, რაც დადასტურდა მრავალი ქვეყნის გამოცდილებით.

ოჯახურ ძალადობასთან დაკავშირებული საქმეების წარმოებას საგამოძიებო ორგანოსა თუ სასამართლოში ხელს უშლის აგრეთვე, ხშირ შემთხვევაში, დანაშაულის შესახებ დაზარალებულისა და/ან მოწმეთა ჩვენებების უქონლობა. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 204(2)-ე მუხლი, რომლის თანახმად, დაზარალებული და მოწმე ჩვენების მიცემაზე უარის თქმისათვის პასუხს არ აგებენ, თუ ისინი ბრალდებულის ახლო ნათესავები არიან, ოჯახურ ძალადობასთან დაკავშირებული სამართალწარმოებისას, აქტიურ ხელისშემშლელ ფაქტორს წარმოადგენს. ჩვენების არმიცემის უფლების არსებობის გამო მოკვლევისა და გამოძიების ორგანოები და სასამართლო მუდმივად დგას დანაშაულის შესახებ მტკიცებულებათა არასაკმარისობის პრობლემის წინაშე.

ოჯახური ძალადობის საქმეთა გამოძიების პროცესში მნიშვნელოვანი დამაბრკოლებელი ფაქტორია, აგრეთვე, ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა და მოწმეთა უსაფრთხოების დაცვის მექანიზმის გაუმართაობა. ისეთ პირობებში, როცა ადამიანების პირადი უსაფრთხოება და ხელშეუხებლობა უზრუნველყოფილი არ არის, მათი მხრიდან აქტიურობის გამოჩენის მოლოდინი ვერც სამართალდამცავ ორგანოებს და ვერც სასოგადოებას ვერ ექნება.

საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული არ არის, აგრეთვე, ოჯახური ძალადობის მსხვერპლთათვის უფასო სამედიცინო, ფსიქოლოგიური და იურიდიული დახმარების სამართლებრივი საფუძვლები. სათანადო სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა განთავსებისა და დახმარების დაწესებულებების – თავშესაფრებისა და რეაბილიტაციის ცენტრების მოსაწყობად.

ოჯახურ ძალადობის პრობლემასთან მიმართებაში ასევე არაადექვატურია საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობა. სამოქალაქო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსები არ შეიცავს დებულებებს, რომლებიც ოჯახური ძალადობიდან გამომდინარე მთელი რიგი საკითხების (მაგ.: დამცავი ორდერების გაცემა, მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება, მოძალადე მშობლის ბავშვთან ურთიერთობა) სამოქალაქო წესით ეფექტურ გადაწყვეტას შესაძლებელს გახდიდა.

სამოქალაქო (კერძოდ, საოჯახო და საპროცესო) კანონმდებლობაში უნდა შევიდეს სერიოზული ცვლილებები და დამატებები, რომლებიც ოჯახური ძალადობის კონტექსტში ახლებურად დაარეგულირებს ოჯახის წევრთა როგორც პირად, ისე ქონებრივ უფლება-მოვალეობებს.

ქვემოთ მოცემული ცხრილის საშუალებით ჩვენ შევეცადეთ ქართული კანონმდებლობის ყველა აღნიშნული ნაკლოვანება, საერთაშორისო წარმოგვესახა.

ქართული კანონმდებლობა	საერთაშორისო სტანდარტები
• ოჯახური ძალადობის შემადგენელი დანაშაულების უმეტესობაზე საქმე აღიძვრება დაზარალებულის სანივრის საფუძველზე და წყდება მსხვერპლისა და მოძალადის შერიგების შემთხვევაში.	• ოჯახური ძალადობის შემადგენელ დანაშაულებზე საქმე აღიძვრება არა დაზარალებულის, არამედ პროკურორის ინიციატივით და არ წყდება მსხვერპლისა და მოძალადის შერიგების გამო.
• ოჯახური ძალადობის შემთხვევათა უმეტესობის დროს, როცა ადგილი არა აქვს განსაკუთრებით მძიმე დანაშაულს, მოძალადე რჩება იმავე სახლში, სადაც ცხოვრობს მსხვერპლი. მსხვერპლი იძულებულია დატოვოს სახლი და ეძიოს თავშესაფარი ნათესავებთან, მეგობრებთან ან ახლობლებთან ან დარჩეს მოძალადესთან განმეორებითი ძალადობის საფრთხის ქვეშ.	• ოჯახური ძალადობის დროს მოძალადეს მოეთხოვება დაუყოვნებლივ დატოვოს ის სახლი, სადაც მსხვერპლი ცხოვრობს, მიუხედავად ამ სახლზე მისი საკუთრების უფლების არსებობა-არარსებობისა და გარკვეული დროის მანძილზე ეკრძალება მსხვერპლთან ყოველგვარი ურთიერთობა, მათ შორის, ტელეფონით დაკავშირება ან მის საცხოვრებელ ან სამუშაო ადგილთან გარკვეულ მანძილზე მიახლოება.

	• დამცავი ორდერები გაიცემა იმისაგან დამოუკიდებლად მოძალადის მიერ ნადენილი ქმედება წარმოადგენს თუ არა დანაშაულს. თუ მოძალადემ ისეთი დანაშაული ჩაიდინა, რომელიც მისთვის წინასწარი პატიმრობის შეფარდებას ითვალისწინებს, ორდერი გამოიცემა წინასწარი პატიმრობიდან მისი გათავისუფლების შემთხვევაში. ყველა სხვა შემთხვევაში ორდერი დაუყოვნებლივ გაიცემა. თუ მოძალადეს დანაშაული არ ჩაუდენია, დამცავი ორდერი გაიცემა მსხვერპლის სამოქალაქო სარჩელის საფუძველზე სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.
• წინასწარი გამოძიების დროს, თუ მიღებული არ იქნა მოძალადის წინასწარ პატიმრობაში მყოფობის გადაწყვეტილება, არ არსებობს მისი მხრიდან დაშინების, ანგარიშსწორების მუქარის ან განმეორებითი ძალადობისაგან მსხვერპლის დაცვის რეალური მექანიზმები.	• არსებობს ე.წ. შემსრულებელი და დამცავი ორდერები, რომელთა გაცემა შეუძლია სასამართლოს მსხვერპლის მოთხოვნის საფუძველზე ან ძალადობის ადგილზე მისულ პოლიციის თანამშრომელს მდგომარეობის შეფასებს შემდეგ საკუთარი ინიციატივით, რომელიც მოძალადეს უკრძალავს მსხვერპლთან გარკვეულ მანძილზე მიახლოებას ან სხვაგვარ ურთიერთობას (მაგ., სატელეფონო ზარებს). შემსრულებელი და დამცავი ორდერების დარღვევა სისხლის სამართლის დანაშაულია და ისჯება თავისუფლების აღკვეთით.
• გაუმართავია წინასწარი გამოძიების სტადიაზე და სასამართლო პროცესის მსვლელობისას ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა და მოწმეთა უსაფრთხოების დაცვის კანონმდებლობით გათვალისწინებული მექანიზმები.	• არსებობს წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო პროცესის მსვლელობისას საერთაშორისო დამცავი ორგანოების მიერ მსხვერპლთა და მოწმეთა უსაფრთხოების დაცვის სპეციალური სისტემა.
• კანონმდებლობით გათვალისწინებული არ არის ოჯახური ძალადობის მსხვერპლთათვის უფასო სამედიცინო, ფსიქოლოგიური და იურიდიული დახმარება.	• არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტიდან ფინანსდებიან, უფასო სამედიცინო, ფსიქოლოგიურ და იურიდიულ დახმარებას უწევენ მსხვერპლებს.

• კანონმდებლობით არ არის შექმნილი სათანადო სამართლებრივი საფუძველი ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დახმარების სპეციალიზებული დაწესებულებების, მათ შორის, თავშესაფრების უნაკლონირებისათვის.	• არასამთავრობო ორგანიზაციათა ბაზაზე ფუნქციონირებენ სპეციალური ცენტრები და თავშესაფრები, რომლებიც ოჯახური ძალადობის მსხვერპლს ეხმარებიან ძალადობის აქტით გამოწვეული პირველი ხიბლის გადალახვაში, არსებული მდგომარეობა უკეთ გაცნობიერებასა და საკუთარი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვაში
• სამოქალაქო კანონმდებლობაში გათვალისწინებული მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების მექანიზმები არაეფექტურია ოჯახური ძალადობის მსხვერპლებისათვის.	• სამოქალაქო კანონმდებლობით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების მექანიზმები ოჯახური ძალადობის მსხვერპლს საშუალებას აძლევს მიიღოს ძალადობის შედეგად მიყენებული ფიზიკური, მატერიალური, მორალური და სოციალური ზიანის ანაზღაურება, რაც მეტად მნიშვნელოვანია მისი ეფექტური რეაბილიტაციისათვის.
• სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დაურეგულირებელია ოჯახური ძალადობის (და ზოგადად, დანაშაულის) მსხვერპლ და მოწმე ბავშვთა უფლებების დაცვისა და განსაკუთრებული მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საკითხები	• არსებობს დანაშაულის მსხვერპლ და მოწმე ბავშვებთან მოპყრობის, მათგან ჩვენების მიღებისა და სხვ. განსაკუთრებული წესები.
• სამოქალაქო კანონმდებლობა განქორწინებასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტისას, აგრეთვე. მშობლებისა და შვილების ურთიერთ უფლება-მოვალეობების განსაზღვრისას საერთოდ არ ითვალისწინებს ოჯახში ძალადობის ფაქტორს.	• ოჯახში ძალადობის ფაქტები (ოჯახში ძალადობის ისტორია) მსხვედველობაში მიიღება როგორც განქორწინებასთან დაკავშირებული დავების, ისე მშობლებისა და შვილების, ასევე ოჯახის სხვა წევრების ურთიერთ უფლება-მოვალეობების განსაზღვრისას.

ყოველივე ზემოაღნიშნული ნათელს ხდის, რომ მოსაზრებები ოჯახური ძალადობის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის სრულყოფილების შესახებ არასწორია. ამ მოსაზრებების ქვაკუთხედად არსებული არგუმენტი, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლების შინაარსი ოჯახში მომხდარი დანაშაულებს მთლიანად მოიცავს, კანონმდებლობის ეფექტურობის დამადასტურებელ საკმარის არგუმენტად ვერ გამოდგება. აუცილებელია, ძალადობის მსხვერპლის უფლებების დაცვის პოზიციიდან ქართული კანონმდებლობის ძირეული რეფორმის გატარება, და ამ პროცესში საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინება, რათა ქვეყანაში ოჯახურ ძალადობის ფენომენის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტური სამართლებრივი მექანიზმები შეიქმნას.

Summery of the article "The International Legal Standards and the Georgian Law on Domestic Violence" by Nino Bakakuri

The problem of domestic violence has been tabooed in Georgia up to date. Though there have been increasingly open talks, research and efforts on this problem among the women's and children's rights defenders, it continues to remain s difficult topic to discuss to the various strata of the population.

International standards on violence against women: In this chapter the violence against women is discussed as s grave violation of human rights directed against the right of women to life, liberty, and personal security and their freedom from torture and other inhumane or degrading treatment based on international and regional human rights instruments.

Foreign legislation: legislative novelties: Results of psychological and legal research of the phenomenon of domestic violence have triggerred radical changes in the legislation of many countries. Review of the amendments makes it possible to both understand the effectiveness of contemporary approach to the issue and reveal gaps in the relevant Georgian legislation. The present Chapter discusses these amedments.

The Georgian legislation: The Georgian legislation does not treat domestic violence as s separate crime, though the Georgian Criminal Code criminalizes s number of actions constituting components of domestic violence. This Chapter discusses the Criminal Code articles by types of violence (physical, sexual, psychological); it also discusses other relevant laws.

Conclusion: Analysis of the Georgian legislation shows that s majority of crimes related to domestic violence unless they have particularly grave results belong to the minor category offences, punishment for which does not exceed deprivation of liberty for five years. In practice, perpetrators of these crimes are usually punished with s fine, restriction of liberty or with strict isolation for several months or with deprivation of liberty for not more than one year. In addition, the established jurisprudence shows that for s majority of crimes perpetrators are given conditional sentence.

At the same time, most of these crimes belong to the offences subject to private or private-public prosecution meaning that criminal action of these cases may be brought only if the victim complains.

These aspect coupled with other factors exert s substantially negative influence over proceedings by the investigation and judicial bodies on cases related to domestic vilence.

Proceedings at the investigation or judicial stages on cases related to domestic violence are also hindered by ineffective mechanisms for the protection of security of victims and witnesses of domestic violence during pre-trial investigation and judicial hearings.

The above discussion makes it clear that the considerations that the Georgian legislation related to domestic violence is perfect are false. The paramount argument beneath this consideration that the Georgian Criminal Code fully encompasses the offences of domestic violence in its articles cannot be regarded as s satisfactory baseline to prove the effectiveness of the legislation. It is necessary to launch radical reformation of the Georgian legislation from the standpoint of the victims' position in order to make it an effective tool for combating domestic violence.

V.
ენა, ლიტერატურა და გენდერი

ენისა და გენდერის კვლევის რეტროსპექტიული და
პროსპექტიული კოორდინატები
ზაალ კიკვიძე

ენისა და გენდერის პრობლემა
ქართულ სალიტერატურო ენასა და დიალექტებში
რამაზ ქურდაძე

იშვიათი გენდერული გულახდილობები თანამედროვე
ქართულ ლიტერატურაში
შოთა იათაშვილი

ზაალ კიკვიძე

ენისა და გენდერის კვლევის რეტროსპექტიული და პროსპექტიული კოორდინატები

როდესაც უცხოეთში მყოფ საქართველოს მოქალაქეს უწევს პასუხის გაცემა შეკითხვასა, თუ რომელი ქვეყნიდან არის იგი, და ამ შეკითხვაზე პასუხი ინგლისურ ენაზე ჟღერს (Georgia), უმეტეს შემთხვევაში აუცილებელი ხდება რამდენიმე განმარტების მიცემა იმის თაობაზე, რომ ეს არ არის ამერიკის ერთ-ერთი შტატი და რომ ეს არის შავი ზღვის პირას მდებარე ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა, რომელიც 70 წლის მანძილზე რკინის ფარდით იყო მოწყვეტილი დანარჩენ სამყაროს თავისი კოლონიური სტატუსის გამო. აღნიშნული მიზეზები იმასაც განაპირობებდა, რომ ჩვენთვის თითქმის მიუწვდომელი იყო დასავლეთის სამეცნიერო დისკურსისათვის ჩვეული აქტუალური პრობლემატიკა. დამოუკიდებლობის მოპოვებამ და მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის ინტენსიურმა პროცესმა გზა გაუხსნა უამრავ ახალ იდეასა თუ მიდგომას, რომლებიც ზოგჯერ მოულოდნელ სიახლესაც კი წარმოადგენს ჩვენი საზოგადოებისათვის; თუმცა სამართლიანობის გულისათვის ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი ისეთი რამ, რაც დაახლოებით ხუთი თუ ექვსი წლის წინ დიდ სიახლედ ითვლებოდა, ამჟამად უკვე ჩვეულ მოვლენადაა მიჩნეული. ზემოთქმული უშუალოდ ეხება გენდერის საკითხსაც. მიუხედავად იმისა, რომ ქალსა და მამაკაცს შორის არსებული საზოგადოებრივი ხასიათის განსხვავებები უძველესი დროიდანვე იყო ამა თუ იმ სახით შენიშნული ან აღიარებული, ამ პრობლემის ღრმა მეცნიერულ დამუშავებას მხოლოდ მე-20 საუკუნის უკანასკნელი მესამედიდან დაედო სათავე. ამ საქმეში გამორჩეული როლი ითამაშა ფემინიზმის, როგორც საზოგადოებრივი მოძრაობისა და როგორც პოსტმოდერნისტული თეორიული მოძღვრების, ფაქტორმა. ხსენებული ფაქტორის შემხედვარე, საგანებით ბუნებრივად ჩანს ის ფაქტი, რომ თითქმის ერთბაშად გაღვივდა ინტერესი კულტურასა და საზოგადოებაში ქალთა მდგომარეობის კვლევასთან დაკავშირებული პრობლემებისადმი. აღნიშნულ პრობლემათა შორის თავისი კუთვნილი ადგილი დაიკავა ენობრივმა ასპექტებმაც. უფრო ზუსტად, გენდერის, როგორც სქესის სოციო-კულტურული ასპექტის, ცნება შემოტანილ იქნა ენათმეცნიერებაში, და ჩამოყალიბდა სპეციფიკური მიმდინარეობა — ენისა და გენდერის კვლევა (შეიძლება ეს სფერო მოვიხსენიოთ როგორც გენდერლინგვისტიკა), რომლის ძირითადი საკვლევი საკითხებია: როგორ ლაპარაკობენ სხვადასხვა სქესის წარმომადგენლები და როგორ აღინიშნებიან ისინი ენაში. გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან ვულკანისდარად ამოხეთქა მრავალრიცხოვანმა სამეცნიერო (და არა მარტო სამეცნიერო) პუბლიკაციამ, რომლებიც ამ საკითხებს ეძღვნებოდა.

ამ საქმეში კი ტონს ძირითადად ამერიკელი და ბრიტანელი ლინგვისტები იძლეოდნენ, მიუხედავად იმისა, თუ რამდენად რელევანტური იყო მათ მიერ გამოტანილი დასკვნები, როგორც სოგადი თვალსაზრისით, ასევე ინგლისური ენისა და ინგლისურენოვანი საზოგადოებებისათვის. ამის მიზეზი ისიც გახლდათ, რომ ძალიან ბევრი გამოკვლევა ფაქტობრივად „თეორიულ ვაკუუმში" იყო მოქცეული (კრამარე, 1981, გვ. 91).

სანამ გენდერლინგვისტური კვლევის თანამედროვე მდგომარეობაზე ვისაუბრებთ, აუცილებლად მიგვაჩნია იმ ისტორიული მემკვიდრეობის მიმოხილვა, რომლის გათვალისწინება აუცილებლობას წარმოადგენს მსგავს საკითხებზე მსჯელობისას.

ქალთა და მამაკაცთა სამეტყველო განსხვავებების ფიქსაციის ერთ-ერთ უძველეს შემთხვევად შეიძლება ჩაითვალოს ძველ ბაბილონში შესრულებული და ჩვენამდე მოღწეული სოგიერთი ლექსიკოგრაფიული ნაშრომი: "ჩვეულებრივი შუმერული "სალიტერატურო" ენის გარდა (შუმ. eme - KU, ან კიდევ eme - gir_x) არსებობდა ასევე განსაკუთრებული "ქალური" შუმერული ენა — eme -sal, რომელიც გამოიყენებოდა, კერძოდ, ქალღმერთთა კულტში. ამის შესაბამისად შეადგინეს სამენოვანი eme-sal—eme-KU—აქადური ლექსიკონი, «dimmer =dingir=*ilu*» (სამივე სიტყვა ნიშნავს "ღმერთს" ამ სამ ენაზე)" (დიაკონოვი, 1980, გვ. 23). იქვე, სქოლიოში ავტორი შენიშნავს, რომ ეს "ქალური" ენა გამოიყენებოდა (წერაში) ქალღმერთებისა და ქალების, ასევე საჭურისთა მეტყველების გადმოსაცემად" (იქვე, სქ. 13).

გასაკვირი არ არის, თუ ადრეულ პერიოდში შენიშნულ ამგვარ განსხვავებებს ზოგჯერ თავისებურ ახსნა-განმარტებას უძებნიდნენ, რაც დღესდღეობით არა თავისი სამეცნიერო ღირებულების, არამედ იმ დროის საზოგადოებაში არსებული ლინგვო-გენდერული პოზიციების დაფიქსირების თვალსაზრისითაა მნიშვნელოვანი; მაგალითად, თავის თხზულებაში „ადამიანის ცხოვრების ამაოების შესახებ" რომის პაპი ინოკენტი III (1160-1216) გარკვეულ არქეტიპულ კავშირს ხედავს, ერთი მხრივ, ადამისა და ევას სახელებს და, მეორე მხრივ, ახალშობილის მიერ წარმოთქმულ ბგერებს შორის. მისი მტკიცებით, ყველა ახალშობილი ვაჟი ამ ქვეყანაზე მოვლენისას ტირის ასე: „ა!", ხოლო გოგონები – „ე!", რაც ადამისა და ევას სახელების სიმბოლური ექოა; ამასთანავე, ხსენებული პაპის აზრით, სახელი „ევა" გაიგება როგორც მწუხარების გამომხატველი შორისდებულები *ჰე* და *ჰა* (იხ. ჩუჩინ-რუსოვი, 2001, გვ. 62).

ერთ-ერთ პირველ მოცულობით და სისტემატიზებულ ნაშრომად კი, რომელშიც ასახულია ქალთა და მამაკაცთა ენობრივ-გენდერული დაპირისპირება, ითვლება 1664 წელს გამოსული "კარაიბულ-ფრანგული ლექსიკონი" (რომლის ავტორი მისიონერი ბერი, ვინმე როშფორი გახლდათ), სადაც მოთხრობილია იმის შესახებ, რომ მცირე ანტილის კუნძულების მკვიდრი ქალები იქაური მამაკაცებისაგან განსხვავებულ ენაზე საუბრობენ, რისი მიზეზიც ის ყოფილა, რომ, როდესაც კარაიბებმა დაიპყრეს ეს კუნძულები, მათ ამოხოცეს ყველა იქაური მამაკაცი, ხოლო ქალები კი ცოლად შეირთეს (იესპერსენი, 1922, გვ. 237). საგულისხმოა, რომ უფრო გვიანდელი პერიოდის მკვლევრებმა მსგავსი ვერაფერი დააფიქსირეს აღნიშნულ რეგიონში.

და მაინც, პროფესიონალ ლინგვისტთა მიზანმიმართული ინტერესი სხვადასხვა სქესის წარმომადგენელთა მიერ განსხვავებული სამეტყველო ქცევის მიმართ მხოლოდ მე-20 საუკუნის დასაწყისიდან აღინიშნება. აქ უნდა მოვიხსენიოთ რამდენიმე სკანდინავიელი ენათმეცნიერის ნაშრომები: შვედი გუსტავ სედერშოლდის "ქალების ენა", რომელიც დაიწერა 1899 წელს, მაგრამ მოგვიანებით გამოქვეყნდა (სედერშოლდი, 1900), დანიელი ლინგვისტის ოტო იესპერსენის სტატია (იესპერსენი, 1907), ცალკე თავი, სახელწოდებით "ქალი", მისსავე ცნობილ წიგნში "ენა: მისი ბუნება, განვითარება და წარმოშობა" (იესპერსენი 1922, გვ. 237-254) (ო. იესპერსენმა იგივე თავი (გარკვეული ცვლილებებით) მოგვიანებით შეიტანა დანიურ ენაზე გამოცემულ წიგნში (იესპერსენი, 1941)). ფართო სამეცნიერო საზოგადოებისათვის თითქმის უცნობია კიდევ ერთი დანიელი ავტორის ლის იაკობსენის ემპირიული მასალით მდიდარი წიგნი (იაკობსენი, 1912). ფრიად საინტერესო განსახილველი მასალისა და ყურადსაღები დასკვნების გამო საგანგებო აღნიშვნის ღირსია ედუარდ სეპირის ნაშრომი ამერიკის იანას ტომის ინდიელთა ენაში ქალთა და მამაკაცთა სამეტყველო ფორმების შესახებ (სეპირი, 1929). აქვე უნდა ვახსენოთ რამდენიმე ნაკლებად მოცულობითი, მაგრამ ჯერაც აქტუალური, სტატია სხვა ამერინდიული ენების გენდერლექტური თავისებურებების თაობაზე (ჰაასი, 1944; ფერფი, 1944; ფლენერი, 1946). თუმცა მ. ჰაასის, პ. ფერფისა და რ. ფლენერის ნაშრომებამდე კარგა ხნით ადრე დაიბეჭდა ჰოლანდიელი მეცნიერის ი. ვან გინეკენის ძალიან საინტერესო და თვალსაჩინო მასალით მდიდარი, ოღონდ სპეციალისტების მიერ დღემდე ვერშემჩნეული, სტატია (გინეკენი, 1934). ღირსსაცნობია, რომ აღნიშნულ პერიოდში გამოქვეყნებული კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვანი პუბლიკაციის დასახელება შეიძლება, თუმცა ზემონახსენები ნაშრომები ისედაც ნათლად წარმოგვიჩენენ ენისა და სქესის ურთიერთმიმართების კვლევაში ე.წ. გარდამავალი ეტაპის თავისებურებებს. ამ ეტაპისათვის დამახასიათებელი იყო ის, რომ ენისა და სქესის ურთიერთობის საკითხები ენათმეცნიერების პერიფერიულ პრობლემად რჩებოდა, ასევე მიღებული იყო მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ნორმად მიიჩნეოდა მამაკაცების მეტყველება, ხოლო "ქალური" ენა კი გადახრად განიხილებოდა. ამასთანავე, მაშინ სპეციალისტები ჯერ კიდევ არ ოპერირებდნენ გენდერის ცნებით და, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, ენით გამოხატულ სქესობრივ განსხვავებებს აღიარებდნენ მხოლოდ ე.წ. პრიმიტიულ საზოგადოებებში. თუმცა, როგორც აღმოჩნდა, იყო ერთგვარი გამონაკლისიც. მხედველობაში გვაქვს გენდერლინგვისტიკურ სპეციალურ ლიტერატურაში ბოლო დრომდე უცნობი ნაშრომი ენის საკითხების შესახებ, რომლის ავტორია გერმანელი ფ. მაუთნერი, და რომელიც პირველად 1913 წელს გამოქვეყნებულა. ს. კირილინა, ავტორი წიგნისა, რომელშიც არის საუბარი ამ ნაშრომის ჩვენთვის საინტერესო დებულებებზე, ამბობს, რომ, მაუთნერის აზრით, ენის შემოქმედებითი გამოყენება მამაკაცების პრეროგატივაა, ხოლო ქალებს მხოლოდ ის შეუძლიათ, რომ აითვისონ მამაკაცების მიერ შექმნილი ენა. "ქალური" ენის გაჩენას მაუთნერი უკავშირებს ანტიკური თეატრის ისტორიულ ტრადიციებს, სადაც თავდაპირველად მამაკაცები ასრულებდნენ მდედრი პერსონაჟების როლებს. მხოლოდ სცენაზე მანდილოსნების გამოჩენის შემდეგ დრამატურგიის ტექნიკაში მოხდა

ისეთი ცვლილებები, რომლებმაც გასაქანი მისცა ენის ქალურ ვარიანტსაც. ისტორიულმა მიდგომამ მიიყვანა ავტორი იმ დასკვნამდე, რომ საზოგადოებამ აღიქვა "ქალური" ენა მაშინ, როცა ამ ენაზე მოლაპარაკეებს მიეცათ გამოხმენის საშუალება, რაც მოწმობს იმას, რომ სქესთა უთანასწორობა გავლენას ახდენდა ენობრივ სოციალიზაციაზე (კირილინა, 1999, გვ 34-35).

მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სწორედ მე-20 საუკუნის 70-იანი წლებიდან იწყება ერთგვარი "გენდერლინგვისტიკური ბუმი" სპეციალურ ლიტერატურაში. თავიდაპირველად ინგლისური ენა გახდა ამ კონფლიქტის ასპარეზი: „...ინგლისურად მოლაპარაკე ადამიანთა კულტურაში მამაკაცები უფრო მაღალი თვალსაზრისით განიხილებიან, ვიდრე ქალები. მამრი ასოცირდება უნივერსალურთან, საზოგადოსთან, ყოველისმომცველთან; მდედრი უფრო ხშირად გამორიცხულია ან კიდევ რაიმე კერძო შემთხვევას წარმოადგენს. მამრებთან დაკავშირებულ სიტყვებს ხშირად აქვთ დადებითი კონოტაციები; ისინი გადმოგვცემენ ძალაუფლების, პრესტიჟისა და წინამძღოლობის ცნებებს. ამის საპირისპიროდ, მდედრობითი სიტყვები უფრო ხშირად უარყოფითია, გადმოგვცემენ სისუსტეს, ქვემდგომობას, უმწიფრობას, უმნიშვნელოს გაგებას. ქალების აღმნიშვნელი სიტყვები უფრო ვიწრო შინაარსისაა, ვიდრე მამაკაცებისა" (თორნი და ჰენლი, 1975, გვ. 15). რატომ მაინცდამაინც ინგლისური გახდა ასეთი ბრალდებების სამიზნე? ამის მიზეზად ორი ფაქტორი შეიძლება დასახელდეს: ა) აღრეული ამერიკული და ბრიტანული ფემინისტური მოძრაობა, რომელსაც ცნობილ გარემოებათა გამო ეროვნული, პოლიტიკური და სოციო-კულტურული ფესვები ჰქონდა; ბ) სქესის გამომხატველი გრამატიკული და ლექსიკური საშუალებების სისტემა თანამედროვე ინგლისურში. ამ ტალღის ერთ-ერთ ამგორებლად ითვლება ამეიკელი ლინგვისტი რობინ ლაკოფი და მისი ცნობილი წიგნი „ენა და ქალის ადგილი", რომლის ძირითადი პათოსი ასე ჟღერს: „ქალები ორი მხრით განიცდიან ენობრივ დისკრიმინაციას: როგორ ასწავლიან მათ ენის გამოყენებას და როგორ მოიხსენიებიან ისინი საერთოდ ენაში" (ლაკოფი, 1975, გვ. 4).

აღნიშნულის გათვალისწინებით შეიძლება გავარჩიოთ სამი მოდელი ენისა და გენდერის ურთიერთობაში მე-20 საუკუნის 70-იანი წლებიდან დღემდე. პირველი მათგანი არის **დეფიციტის** მოდელი, რომლის ფარგლებში ქალები არახელსაყრელი პოზიციის მქონე მოლაპარაკეებად ჩანან; ამის კარგი მაგალითია რ. ლაკოფის (1975) ზემოხსენებული წიგნი. მეორე არის **დომინანტობის** მოდელი, რაც იმას გულისხმობს, რომ ქალები უუფლებო მდგომარეობაში არიან მამაკაცებთან ვერბალური ურთიერთობისას (ზიმერმანი და უესტი, 1975). დაბოლოს, მესამე არის **კულტურული სხვაობის** მოდელი, რომლის მიხედვითაც ქალები და მამაკაცები ორი სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლებად განიხილებიან (მალცი და ბორკერი, 1982; თანენი, 1991). ჩვენი აზრით, ეს მოდელები არ გამორიცხავს ერთმანეთს: განსხვავება რომ არის და თანაც არა მარტო ფიზიოლოგიის დონეზე, ეს უკვე თითქმის საყოველთაოდაა აღიარებული; სოციო-კულტურული სხვაობები კი შესაძლოა პოვნიერ იქნეს არა მარტო თანაბარ, არამედ ერთმანეთთან იერარქიულ მდგომარეობაში მყოფ ჯგუფებს შორის; სწორედ აქ უნდა

ვიგულისხმოთ ერთ-ერთის დომინანტობა. რაც შეეხება მესამე მოდელს, არადომინანტური ჯგუფის პოზიცია სწორედ გარკვეული დეფიციტის შედეგადაც შეიძლება მიეიჩნიოთ. ეს ბუნებრივიც იქნება. საგულისხმოა, რომ ამ მოდელის მომხრე ყველა სპეციალისტი თავისი მოსაზრების დასაბუთების პოვნას ენაში და სქესთა შორის ვერბალური ურთიერთობების პერიპეტიებში ცდილობს. ღირსსაცნობია, რომ ეს და სხვა მიდგომები ინგლისურის შემდეგ გავრცელდა დასავლეთის განვითარებული ქვეყნების სხვა ინდოევროპულ ენებსეც (იხ. მაგ., იაგელო, 1979; მესეგერი, 1977; პუში, 1984; რიენი, 1976; სუარდიასი, 2002; ჰოლმბერგი და ნორდენსტამი, 1995, და მრავალი სხვა).

ამ მიმართულებით ჩასატარებელი კვლევის ობიექტურად წარმართვის მიზნით გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ უცხოურ სპეციალურ ლიტერატურაში დაფიქსირდა დასავლური კულტურებისა და მათი ენების ანალიზის შედეგად მიღებული დებულებების უნივერსალიზაციის ტენდენცია. სამწუხაროდ, ბოლო დრომდე ვერ ამჩნევდნენ ამ ტენდენციის მავნე გავლენას მეცნიერულ გამოკვლევათა შედეგების ობიექტურობაზე. დასავლური ფასეულობების "პროკრუსტეს სარეცელმა" ვერ გაუძლო იმ ფაქტს, რომ გენდერული განსხვავებები, რომლებიც ყველა საზოგადოებაშია პოვნიერი და გარკვეული სახით ვლინდება ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში, ნაირგვარია კულტურიდან კულტურაში. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინო ხდება, როდესაც გენდერული სხვაობების ენობრივ გამოხატულებაზეა საუბარი.

საერთოდ, გენდერის, როგორც სქესის სოციო-კულტურული ასპექტის, ცნებას თავისთავად უნდა გამოერიცხა ამგვარი უნივერსალიზაცია. გენდეროლოგიამ წარმოაჩინა, რომ ადამიანის, როგორც საზოგადოებრივი არსების, ჩამოყალიბებაში გადამწყვეტ როლს თამაშობს არა ბიოლოგიური სქესი, არამედ მოცემული საზოგადოებისათვის ღირებული კულტურული ფასეულობანი. გარემოსა და აქტუალური სოციალური სიტუაციის გათვალისწინებით კულტურა გამოარჩევს ადამიანის თავისებურებებთა ერთ წყებას და ჩაახშობს მეორეს, რომლებიც არ ესადაგება მის არსებობას. ამიტომაა, რომ ქალი ხდება ქალური (ფემინინური) და მამაკაცი – მამაკაცური (მასკულინური), რაც ხორციელდება მოცემულ კულტურაში მისი სქესის წარმომადგენლისათვის მისაღები ქცევის სტანდარტების ათვისების შედეგად. ენა ერის კულტურულ (სულიერ) ფასეულობათა გამომხატველი, შემნახველი, კელავ წარმომშობი და ამმოძრავებელია. აშკარაა, რომ ენის ფაქტორი ერთ-ერთი გადამწყვეტია გენდერულ განსხვავებათა წარმოჩენისა და მათთვის სათანადო კვალიფიკაციის მიცემის საქმეში. ამ ფაქტის გათვალისწინება იმაშიც მოგვეხმარება, რომ სწორი პასუხი გაეცეთ შემდეგ კითხვას: რატომ არ განვითარდა გენდეროლოგიური კვლევა ჩვენში? გავიხსენოთ, რამ შეუწყო ხელი მის განვითარებას დასავლეთში: საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა და ენობრივმა ფაქტორებმა. ფემინიზმის აყვავებისათვის ჩვენში სათანადო ნიადაგი არ იყო და არც უწყნია მას თაკი. რაც შეეხება ენობრივ მახასიათებლებს, ქართული, მიუხედავად გარკვეული თანხვედრისა, მსოფლიოს იმ ენათა რიცხვს ეკუთვნის, რომლის მრავალი თავისებურება მხარს არ უჭერს დასავლურ გენდერლინგვისტიკაში მიღებულ ბევრ სტერეოტიპულ

დებულებას (იხ. მაგ., კიკვიძე, 1999). თუმცა ეს თავისებურებანი ჯერ კიდევ ელის შესაფერისს აღწერასა და შესწავლას.

საქართველოში ენისა და გენდერის საკითხების კვლევის თვალსაზრისით ჯერ მხოლოდ პირველი ნაბიჯებია გადადგმული; რამდენიმე წლის წინათ ნვენში ამ მხრივ ისეთივე მდგომარეობა იყო, როგორის შესახებაც თავის დროზე ერთი ბრიტანელი მეცნიერი ასე წერდა: „როდესაც დავიწყე ფემინისტურ ლინგვისტიკაში მუშაობა, ბრიტანეთში, ყოველ შემთხვევაში, არ არსებობდა მასზე უფრო ბუნდოვანი და ნაკლებად სანდო სფერო... ერთ-ერთი ინტერვიუს დროს კორესპონდენტმა ასეთი შენიშვნა გააკეთა ნეო წიგნზე „ფემინიზმი და საენათმეცნიერო თეორია": „კი, მაგრამ ეს იგივე არ არის, რომ დაწერო წიგნი ლინგვისტიკისა და ორგანული მებაღეობის შესახებ?" (კამერონი, 1995, გვ. 31). მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ზემოხსენებული პრობლემატიკა ნვენში უკვე ნამდვილად დგას სამეცნიერო კვლევის დღის წესრიგში, და შეიძლება გამოვყოთ ამ მიმართულებით ნასატარებელი გამოკვლევების შემდეგი პერსპექტიული, სანიმუშო აქტუალური თემატიკა:

• როგორ მეტყველებენ ქალები და მამაკაცები სხვადასხვა გარემოში (ფსიქოლინგვისტური, სოციოლინგვისტური და ეთნოლინგვისტური ასპექტები). რა თქმა უნდა, არსებობს რამდენიმე ეთნოგრაფიული ნაშრომი, რომლებშიც ეხედებით გარკვეულ დაკვირვებებს სხვადასხვა სქესის წარმომადგენელთა ნაირგვარი სამეტყველო ქცევის შესახებ, თუმცა აქ, რასაკვირველია, არ არის გამოყენებული გენდერის ცნება და შესაბამისი ცნებითი აპარატი. ღირსსაცნობია, რომ გერმანელმა მკვლევარმა პელგა კოტჰოფმა რამდენიმე ნაშრომი უძღვნა საქართველოში გავრცელებულ საადღგრძელოების თქმისა და სამგლოვიარო ტრადიციებს, რომლებშიც ყურადღება გამახვილებული იყო გენდერის, ენის, ემოციისა და კულტურის ფაქტორთა ურთიერთმიმართებაზე; აქ კი აეტორმა შრომის გარკვეული, გენდერული დაყოფის პრინციპიც კი აღმოაჩინა (კოტჰოფი, 1995; 2001; იხ. აგრეთვე რეცენზია: კიკვიძე, 2003ა). ავტორის ეთნომეთოდოლოგიური მიდგომა საკმაოდ ეფექტურია, თუმცა ეს მხოლოდ ზღვაში წვეთია იმასთან შედარებით, რაც ჯერ კიდევ საკვლევია;

•• ქალთა და მამაკაცთა მიმართვის ფორმების გენდერული ასპექტი. სხვათა შორის, ქართულ ენათმეცნიერებაში მიმართვის ფორმებს მნიშვნელოვანი ყურადღება აქვს დათმობილი, თუმცა სპეციფიკური გენდერული ფაქტორის გაუთვალისწინებლად. ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხად მიგვაჩნია კაკეასიის მთიანეთში ჯერ კიდევ შემორჩენილი წესი რძლების მხრიდან ქმრის ნათესავების სახელების ტაბუირებისა; გამორჩეულად საინტერესოა ისიც, რომ არსებობს ერთგვარი გარდამავალი ზონები, რომელთა ფარგლებში უკვე გაჩენილია ტენდენცია ამგვარი ტაბუირების თანდათანობითი გაქრობისა, რაც უადრესად ფასეული სოციოლინგვისტური და ეთნოლინგვისტური მასალის მომცემი და გამომელენია. ნვენი აზრით, უკვე არსებულ და გამოქვეყნებულ ეთნოგრაფიულ მონაცემებს აუცილებლად უნდა გაუკეთდეს სათანადო გენდერული ექსპერტიზა, რამაც გამორჩეულად მნიშვნელოვანი კანონზომიერებები უნდა წარმოაჩინოს, როგორც ეს დაადასტურა შ. აფრიდონიძის ამას წინათ გამოქვეყნებულმა ნაშრომმა (აფრიდონიძე, 2002);

••• როგორ არიან წარმოდგენილი ენაში ქალები და მამაკაცები (ქალთა და მამაკაცთა აღმნიშვნელი სიტყვები, გენდერული თანამიმდევრობის პრობლემა რეფერენციაში, ფარული სქესი და ა.შ.). ყოველთვის, როდესაც აღნიშნული საკითხი გამოდის წინა პლანზე, ენობრივი სექსიზმის პრობლემა ყველაზე აქტუალურად წარმოგვიდგება. იმის მიუხედავად, თუ რამდენად შეესაბამება ეს მიდგომა სინამდვილეს, არსებობს ამგვარი დებულებების უნივერსალიზაციის ცდები, რასაც, როგორც ეს გამოინდა ზოგიერთ გამოკვლევაში (კიკვიძე, 2001), ემპირიული საფუძველი არ გააჩნია.

რაც შეეხება ფარული სქესის საკითხს, იგი ჯერაც შეუსწავლელია ქართველურ ენებში (კიკვიძე, 2004);

•••• რა ადგილი ქალთა და მამაკაცთა სახელებში? აღნიშნულმა შეიძლება მოიცვას ონომასტიკის გენდერული ასპექტით კვლევასთან დაკავშირებული პრობლემატიკა;

••••• ქალები და მამაკაცები საქართველოში არსებული ენობრივი სიტუაციის მატრიცაში (სინქრონიული და დიაქრონიული პერსპექტივა).

ეს და სხვა საკითხები მეტნაკლებად დამუშავებულია თანამედროვე უცხოურ გენდერლინგვისტიკაში, თუმცა ქართველურ ენათა მასალა ჯერჯერობით მხოლოდ ძალიან მცირე დოზითაა გათვალისწინებული საზოგადო დასკვნების გამოტანისას. რაც მთავარია, მიუხედავად იმისა, რომ ქართული გენდერლინგვისტიკა ეერდნობა დასავლეთში გაკეთებულ ქრონოლოგიურად წინმსწრებ გამოკვლევებს აღნიშნულ სფეროში, ეს იმას არ ნიშნავს,რომ იქ შემუშავებული ყველა პრინციპი აქსიომატურად უნდა მივიღოთ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აფრიდონიძე, 2002 — S. afridoniZe, col-qmris urTierTmimarTvebisa da erTmaneTis moxseniebis qarTuli tradiciebi // saenaTmecniero Ziebani, XII. Tbilisi, 2002.
2. გინეკენი, 1934 — Ginneken, J. v. Mannen en vrouwentaal. Onze taaltuin, No 3, 1934.
3. დიაკონოვი, 1980 — Дьяконов, И. М. Вавилонская филология (III-I тыс. до н. э.).
4. В кн.: История лингвистических учений. Древний мир. Москва: Наука, 1980.
5. იესპერსენი, 1907 — Jespersen, O. Mands Spog og Kvindens Tale. Gads Danske Magasin, 1907.
6. იესპერსენი, 1922 — Jespersen, O. Language: Its nature, development and origin. London: George Allen & Unwin, 1964.
7. იესპერსენი, 1941 — Jespersen, O. Sproget, Barnet, Kvinden, Slægten. København: Gyldendal, 1941.
8. ზიმერმანი და უესტი, 1975 — Zimmerman, D. & C. West. Sex roles, interruptions and silences in conversation. Language and Sex: Difference and Dominance. Ed. by Thorne, B. & N. Henley. Rowley, Mass.: Newbury House, 1975.
9. თანენი, 1991 — Tannen, D.You Just Don't Understand. London: Virago, 1991.

10. თორნი და ჰენლი, 1975 — Thorne. B. & N. Henley. Difference and
11. dominance: an overview of language, gender, and society. Language and Sex: Difference and Dominance. Ed. by Thorne, B. & N.Henley. Rowley, Mass.: Newbury House, 1975.
12. იაგელო, 1979 — Yaguello, M. Les mots et les femmes: Essay d'approache socio-linguistique de la condition feminine. Paris: Payot, 1979.
13. იაკობსენი, 1912 — Jakobsen, L. Kvinde og Mand. En Sprogstudie fra Dansk Middelalder. København & Kristiania: Gyldendal, 1912.
14. კამერონი, 1995 — Cameron, D. Rethinking language and gender studies: some issues for the 1990s. Language and gender Interdisciplinary perspectives. Ed. by S. Mills. London & New York: Longman, 1995.
15. კიკვიძე, 1999 — Kikvidze, Z. Visible women in language: the case of Georgian. Working Papers, 47: Dept. of Linguistics, Lund University, 1999.
16. კიკვიძე, 2001 — Kikvidze, Z. On The Sex-Preferential Order of the Components in Some Dvandva Compounds in Georgian. Papers of the First International Conference GENDER. LANGUAGE, CULTURE, COMMUNICATION. Moscow, 2001.
17. კიკვიძე, 2003 — Kikvidze, Z. Review of Bettina Baron and Helga Kotthoff, eds. Gender in Interaction: Perspectives on Femininity and Masculinity in Ethnography and Discourse. In H-Gender-MidEast, H-Net Reviews, March, 2003. URL: http://www.h-net.msu.edu/reviews/showrev.cg?path=29721051831188
18. კიკვიძე, 2004 - Kikvidze, Z. How is the Gendered Division of Labour Reflected in Covert Gender Patterns of Georgian? Urban and Rural Domains. (ibeWdeba).
19. კირილინა, 1999 - Кирилина, А. В. Гендер: лингвистические аспекты. Москва: Издательство 'Институт социологии РАН', 1999.
20. კოტჰოფი, 1995 - Kotthoff, H. The social semiotics of Georgian toast performances: Oral genre as cultural activity. Journal of Pragmatics, 24, 1995.
21. კოტჰოფი, 2001 - Kotthoff, H. Gender, emotion, and poeticity in Georgian mourning rituals. Gender in Interaction: perspectives on femininity and masculinity in ethnography and discourse. Ed. by Baron, B. & H. Kotthoff. Amsterdam & Philadelphia: John Benjamins, 2001.
22. კრამარე, 1981 - Kramarae, C. Women and men speaking. Rowley, MA: Newbury House, 1981.
23. ლაკოფი, 1975 - Lakoff, R.Language and woman's place. New York: Harper & Row, 1975.
24. მალცი და ბორკერი, 1982 - Maltz, D. & R. Borker. S cultural approach to male-female miscommunication. Language and Social Identity. Ed. by J. Gumperz. New York: Cambridge University Press, 1982.
25. მესეგერი, 1977 - Meseguer, S. G. Lenguaje i discriminacion sexual. Madrid: Editorial Cuadernos Para el Dialogo, 1977.
26. პუში, 1984 - Pusch, L. F. Das Deutsche als Mannersprache. Frankfurt/M.: Suhrkamp, 1984.
27. რიენი, 1976 - Ryen, E. Sprak og kjon. Oslo: Novus, 1976.
28. სუარდიასი, 2002 - Suardiaz, D. E. El sexismo en la lengua espanola. Zaragoza: Libros Portico, 2002.

29. სედერშოლდი, 1900 - Cederschold, G. Om kvinnosprak och andra amnen. Lund: Gleerup, 1900.
30. სეპირი, 1929 - Sapir, E. Male and female forms of speech in Yana. Donum Natalicium Schrijnen. Ed. by S.W.J. Teeuwen. Nijmegen:Dekker &Van de Vegt,1929.
31. ფერფეი, 1944 - Furfey, P. Men's and women's language. The American Catholic Sociological Review, 5, 1944.
32. ფლენერი, 1946 - Flannery, R. Men's and women's speech in Gros Ventre. International Journal of American Linguistics, 12, 1946.
33. ჩუჩინ-რუსოვი, 2001 - Чучин-Русов, А. Е. Гендерные аспекты культуры // Женщина в обществе: мифы и реалии. Сборник статей. Москва: Информация - XXI век, 2001.
34. სედერშოლდი, 1900 - Cederschiold, G. Om kvinnosprak och andra amnen. Lund: Gleerup, 1990.
35. ჰაასი, 1944 - Haas, M. Men's and women's speech in Koasati.Language, 20, 1944.
36. ჰოლმბერგი და ნორდენსტამი, 1995 - Holmberg, P. & K. Nordenstam (eds).Language and Gender. Case Studies from s Swedish Seminar. Goteborg: Goteborgs Universitet, 1995.

Summary of the article "Retrospective and Prospective Coordinates of Language and Gender Studies" by Zaal Kikvidze

Almost every time, when I give an answer to the question *What country are you from?*, and whenever this answer is in English, *I am from Georgia*, I have to add s couple of sentences clarifying that this is not one of the American states, but this is s former Soviet republic, being situated between Turkey and Russia, that this is one of the ancient countries in the world, and that, for seventy years in the 20th century, Georgia (Sakartvelo) was forced to be separated from the rest of the world with the iron curtain due to its colonial status. However, after the breakup of the Soviet empire, both our sovereignty and the globalization process allowed s plethora of new ideas, concepts and approaches into my society, and I have to admit that we did not seem to be ready to accept and welcome all of them, though, due to the fact that nowadays our society is exposed to so much influence from the Western world, things that were great news some three or four years ago, have become quite common now.

The above said is true about the notion of gender, as s socio-cultural phenomenon. But, owing to the above said processes, one can easily predict that, in this country, the coming years will soon see the boom of considerations upon gender issues in general, and, particularly, upon the interrelationships of language and gender. Irrespective of the fact that the 1990s saw the publication of some papers by Georgian scholars dealing with various issues of language and gender, the said problem still requires further investigation, both quantitatively and qualitatively.

Below I will list some issues that can be relevant in language and gender research in Georgia, indicating what has been done, and what is to be done:

• how women and men speak in various settings (sociolinguistic and ethnolinguistic aspects). Only some ethnographic observations exist commenting on

women's and men's differing speech behaviors, though with no reference to the notion of gender.

•• how women and men are spoken to. The problem of terms of address has attracted considerable attention in Georgian linguistics scholarship, though with not much interest to gender-specific cases. Highland parts of the Caucasus have still preserved the habit of tabooing of in-laws' names on the part of s married woman. What is most interesting, there are transitional locales and settings where those tabooing practices tend to vanish, this exposing very peculiar sociolinguistic data.

••• how women and men are represented in the language (words for women and men; sex-preferential order of words and its socio-cultural value; covert gender, etc.). Traditionally, wherever this issue is s case in point, the problem of sexism in language is presented as the most crucial, and this linguistic sexism affects predominantly women. Whether true or not, there have been attempts to universalize these provisions, that is it would have been taken for granted that language is discriminatory towards females by its character. Though Georgian presents instances not supporting these universalizations. The view that language is anti-feminine and it provides s negative semantic space for women cannot be considered universal, as Georgian is the language which demonstrates the facts far from androcentrism, and the visibility of women is rather favorable for them. The above said can be highlighted with the fixed feminine-preferential word order in Georgian dvandva compounds referring to both sexes, positive semantic space of*deda* (the English for mother).

The problem of covert gender has not yet been studied in Georgian. One can predict for sure that such kind of investigations will yield in very valuable findings both for sociolinguistic and cognitive linguistic aspects of language and gender research.

•••• what's in women's and men's names? This issue implies the study of naming practices of women and men before and after marriage. It is common knowledge that, around the globe, women abandon their maiden names and take on their husbands' ones. According to the corresponding legislative acts in Georgia, both, women and men, can retain their names after marriage, or take on each other's names. Hence, in Georgia, many married women are still referred to by their maiden names. The problem should be studied with respect to clusters of social, psychological, and geographic, etc. characteristics affecting their choice.

•••••• women and men in the matrix of the language situation in Georgia (past and present). This problem is the most comprehensive among all, as far as it comprises both diachronic and synchronic sociolinguistic aspects, macro- and micro-sociolinguistic approaches, and the above mentioned issues can also incorporated within it.

These and other issues have been common in language and gender research in western countries (and not only), and, hence, certain conclusions have already been drawn; though not all of them may have been valid concerning the specific Georgian data.

The paper is an attempt to survey the past, present and future of language and gender research with special reference to prospective scholarly issues concerning the Georgian context, based on the assumption of the concept of gender as s multi-dimensional, socio-cultural and historical phenomenon, and with s view of the specific character of the Georgian culture as s certain mixture of the eastern and the western.

რამაზ ქურდაძე

ენისა და გენდერის პრობლემა ქართულ სალიტერატურო ენასა და დიალექტებში[1]

დღეისათვის კარგად ცნობილია, რომ ყველა ენა საინტერესოა გენდერული თვალსაზრისით. ყველა ენას შეუძლია თავისი მონაცემებით გაამდიდროს ენისა და გენდერის ურთიერთობის კვლევა და თავისი წვლილი შეიტანოს გენდერის საკითხების შესწავლაში, თავის მხრივ, კი გენდერული და სოციალური საფუძვლების გათვალისწინებით შესაძლებელია აიხსნას ენაში ისეთი მოვლენები,რომლებიც ლექსიკურ-გრამატიკული საშუალებებით არ აიხსნება.

ჩვენი მოხსენების მიზანია ვაჩვენოთ, თუ როგორ უნდა იქნეს განხილული სამხრეთ კავკასიური ენის, ქართულის და მისი 16 დიალექტის მონაცემები ზემოაღნიშნულის მიხედვით.

ქართულში დღემდე არ არის სათანადოდ გამოკვლეული, თუ რა დატვირთვას იღებენ მდედრობითის თუ მამრობითის აღმნიშვნელი სიტყვები საზოგადოებრივ ყოფასთან მიმართებით, როგორ ვლინდება ქალის სახე ანდა კაცის სახე სხვადასხვა სოციალურ დონეზე და მათგან რომელს ენიჭება პრიორიტეტი სოციალური ურთიერთობის დროს.

მოხსენებაში წარმოვადგენთ რამდენიმე საკითხს, რომლებიც, ჩვენი აზრით, საინტერესოა გენდერული თვალსაზრისით.

ქართულში და ასევე მის მონათესავე მეგრულ, ლაზურ და სვანურ ენებში არ გვხვდება სქესის გრამატიკული კატეგორია. ამ ენებში მხოლოდ მდედრობითის და მამრობითის აღმნიშვნელი სიტყვები გვაქვს: ქალი, კაცი; დედა, მამა; დედალი, მამალი, ძროხა, ხარი და სხვა. მაგრამ საყურადღებოა, რომ ე. წ. საშუალო ქართულში (XII-XVII საუკუნეები) იყო ცდა - ა სუფიქსის გამოყენებისა მდედრობითი სქესის პიროვნებათა აღსანიშნავად: მეფ-ა, უფალ-ა, იგი-ა... შდრ.: მეფე, უფალი, იგი.

გრამატიკული სქესის უქონლობის გამო ეს სუფიქსი არ შეესაბამებოდა ქართული ენის ბუნებას, მაგრამ მაინც ცდილობდნენ მის დამკვიდრებას უცხო ენების გაელენით. არსებობს მოსაზრება, რომ აღნიშნული სუფიქსის გამოყენება საშუალ ქართულში მთარგმნელობით საქმიანობას უკავშირდებოდა. პრაქტიკულად აღნიშნული ფუნქციით - ა სუფიქსის დატვირთვა საშუალ ქართულში განაპირობა ჯერ ბერძნულის, შემდგომში რუსულის დედანთან მიახლოების მცდელობამ, ე. ი. საქმე გვაქვს იმ ენების გაელენასთან, რომელთაც სქესის კატეგორია გრამატიკულად გარჩეული აქვთ (კ. დონდუა, 1975, გვ. 60-61, 65).

ვიმეორებთ, სქესის გრამატიკული კატეგორია უცხოა ქართულისათვის. -ა სუფიქსის გამოყენება მდედრობითი სქესის პიროვნებათა აღსანიშნავად საშუალ ქართულში ხელოვნური და არაბუნებრივი იყო.

[1] წაკითხულია მოხსენებად ენისა და გენდერის მეორე საერთაშორისო კონფერენციაზე ინგლისში, ლანკასტერის უნივერსიტეტში 2002 წლის 14 აპრილს.

თუმცა, ქართულშიც შესაძლებელია გარკვეული სოციალური მოთხოვნილება განაპირობებდეს მდედრობითი სქესის პიროვნებათა მარკირებას. ამ მხრივ საყურადღებოა, რომ თანამედროვე ქართული ენის რიგ დიალექტებში ვადატურებთ სპეციალურ სუფიქსებს, რომლებიც გათხოვილი ქალის ქალიშვილობის გვარს დაერთვის და ქმრის სოფელში, ქმრის სახლში ქალი ამგვარი ფორმით მოიხსენიება. მაგ.: აღმოსავლეთ საქართველოს კახური დიალექტის ქიზიყურ კილოკავში -ურ-ი (ასიმილაციით -ულ-ი) სუფიქსებით. მაგ.: მახარობლიშვილიდან – მახარობლიაური, მეკრიშვილიდან – მეკრიაული და სხვ. (ს. მენთეშაშვილი, 1943, გვ. 179).,

-ურ სუფიქსი ამავე ფუნქციით გვხვდება დასავლეთ საქართველოს მთის დიალექტში, რაჭულში: ნალაძის გვარიდან გამოთხოვილი ქალი იქნება – ნალაური, გოგსაძისაგან – გოგსაური და სხვ. (ალ. კობახიძე, 1987, გვ. 103).

ამავე ფუნქციით დასავლურ დიალექტებში, იმერულში გვხვდება -ოურ სუფიქსი. კერძოდ, კვინიკაძის გვარიდან გამოთხოვილი ქალი იქნება – კვინიკოური, ხუსკიეაძისაგან – ხუსკიოური და სხვ. (პ. გაბესილაძე, 1976, გვ. 111).

გურულ დიალექტში ასეთ სუფიქსად –ფხე გვხვდება: ცინცაძის გვარიდან გამოთხოვილი ქალი იქნება – ცინცაიფხე, ღლონტისაგან – ღლონტიფხე და სხვ. (ს. ღლონტი, 1936, გვ. 64). გურულ დიალექტშივე გვხვდება იმავე სუფიქსის ფონეტიკური ვარიანტი -ხე. -ხე სუფიქსი დასტურდება ქვემოიმერულ კილოკავშიც, კერძოდ, ფარცხალაძის გვარისაგან გამოთხოვილი ქალი იქნება – ფარცხალაიხე, ბუიძისაგან – ბეიხე და სხვ. (შ. ძიძიგური, 1970. გვ. 156; კ. კუბლაშვილი, 1985, გვ. 122; ბ. ჯორბენაძე, მ. კობაიძე, მ. ბერიძე, 1998, გვ. 472).

ამ მხრივ საყურადღებოა სხვა დიალექტების მონაცემებიც, კერძოდ, ჯავახურისა და აჭარულის ნიმუშები. ჯავახურში გათხოვილი ქალის წარმომავლობა აღინიშნება -ულ-ა სუფიქსით, რომელიც დაერთვის იმ ტოპონიმებს, საიდანაც გამოთხოვილია ქალი. მაგ.: სოფელ ნუნნახათიდან გამოთხოვილ ქალს ეძახიან ნუნნულას, სოფელ ქუნციდან გამოთხოვილ ქალს – ქუნცულას. ასევეა აჭარულშიც -ურ-ა სუფქსი: ზენდიდურაჲ – სოფელ ზენდიდან გამოთხოვილი ქალი, ბათუმურაჲ – ქალაქ ბათუმიდან გამოთხოვილი ქალი და სხვ. (ბ. ჯორბენაძე, მ. ბერიძე, მ. კობაიძე, 1988, გვ. 392; ნ. სურმავა, 1983, გვ. 7).

მესხური დიალექტის მასალა სხვა მხრივაც საყურადღებოა. ამ დიალექტის ჯავახურ კილოკავში -ულ სუფიქსი, როგორც აღენიშნეთ, გათხოვილი ქალის წარმომავლობას გვიჩვენებს ადგილის სახელის მიხედვით, მაგრამ მთლიანად მესხური დიალექტისათვის (რომელშიც ჯავახური კილოკავიც შედის) დამახასიათებელია ასეთი ფაქტი: წარმომავლობის -ურ და -ელ სუფიქსებმა შეიძლება განასხვაონ მამაკაცი და ქალი; ერკოტული (• ! ერკოტური) არის ქალი, ერკოტელი კი კაცი (ბ. ჯორბენაძე, მ. ბერიძე, მ. კობაიძე, 1988. გვ. 397-398), მაშინ როდესაც ეს სუფიქსები სალიტერატურო ქართულ ენაში განარჩევენ არა კაცისა და ქალის წარმომავლობას, არამედ -ელ გვიჩვენებს ზოგადად ადამიანს (ქალსაც და კაცსაც), -ულ კი – საგანს, ნივთს. მაგ.: ბრიტანელი (პირი), მაგრამ ბრიტანული ნაწარმი, პროდუქტი.

ქართული ენის დიალექტებში განსაკუთრებით საინტერესოა ლექსიკურად გამოვლენილი გენდერული განსხვავებულობანი. ამ მხრივ, მეტად საყურადღებოა ტერმინები ვაჟიშვილი და ქალიშვილი. კერძოდ, ზოგ დიალექტში გოგო შვილად არ მოიხსენიება. კაცი, რომელსაც ჰყავს სამი შვილი – ერთი ბიჭი და ორი გოგო – კითხვაზე, თუ რამდენი შვილი ჰყავს მას, უპასუხებს: ერთი შვილი და ორი გოგო. შვილში, ჩვეულებრივ, ბიჭი იგულისხმება.

ასეთი ვითარებაა სვანურულ, თუშურ, მთიულურ, მოხეურ დიალექტებში და აჭარულში, აგრეთვე ინგილოურ დიალექტში, რომელიც ამჟამად საქართველოს ტერიტორიის ფარგლებს გარეთ, აზერბაიჯანის რესპუბლიკაშია (ლ. კაიშაური, 1967, გვ. 240; შ. ნიჟარაძე, 1971, გვ. 388; ნ. როსტიაშვილი, 1978, გვ. 214; ი. ქავთარაძე, 1985, გვ. 259 და სხვ.).

ქალიშვილის აღსანიშნავად ჩვეულებრივ ხმარობენ გოგოს ან ქალს. მაგ.: აჭარულში ('სემოაჭარულში), სადაც ვაჟი შვილად იხსენიება, ქალიშვილის აღსანიშნავად დასტურდება: გოგოშვილი, გომბიო, გოგო, ციკაი.

ქართული ენის ინგილოურ დიალექტში შვილი აღნიშნავს ვაჟიშვილს წარმოქმნილ ნათესაურ ტერმინებშიც, როლებიშიც მამიდაშულ – მამიდაშვილ ვაჟს ნიშნავს, ხოლო გოგონასათვის იმავე დიალექტში მამიდაქალ გვხვდება (რ. ღამბაშიძე, 1988, გვ. 291).

მოხეურ დიალექტში ბალღი აღნიშნავს მხოლოდ ვაჟიშვილს, თუმცა ამავე სიტყვით სხვა მთის დიალექტებში მთიულურ-გუდამაყრულში, ფშაურსა და თუშურში ორივე სქესის შვილი აღინიშნება (ა. შანიძე, 1984, გვ. 286; ი. ქავთარაძე, 1985, გვ. 177).

შვილის ანუ ვაჟიშვილის დომინანტობა მთის დიალექტებში მიმართვის ფორმებშიც ვლინდება. მაგალითისათვის მთიულურ-გუდამაყრული დიალექტის ნიმუშებს დავასახელებთ, სადაც "ოჯახის უფროსს ჩვეულებრივ უფროსი ვაჟიშვილის სახელით მიმართავენ. მაგ.: "შალიკოს მამაო" – მიმართავდა ერთი მთიული ქალი თავის მესობელს, რომლის უფროს ვაჟიშვილს შალიკო ერქვა"; "შიოს მამავ!" პატივისცემით მიმართავა მამაკაცისადმი მისი შვილის (ვაჟიშვილის – რ. ქ.) სახელის მიხედვით. ამგვარად მიმართავენ, როცა სახელის დაძახებისა ერიდებათ. შესაბამისად, დედაკაცსაც ასე მიმართავენ: "შიოს დედავ!"" (ლ. კაიშაური, 1967, გვ. 132; ქართ. დიალ., 1961, გვ. 573).

ჩვეულებრივ, ვაჟიშვილი ოჯახის მემკვიდრედ, საოჯახო ქონების მოწილედ, წილის მქონედ ითვლება როგორც საქართველოს მთის, ასევე ბარის რეგიონებში. ქალიშვილს საოჯახო მემკვიდრეობაში (იმ შემთხვევაში, თუ იგი მარტო არაა და ოჯახში ვაჟიც ჰყავთ) წილი არა აქვს, მისი წილი ოჯახიდან მსითვით განისაზღვრება, ამდენად იგი არაა მოწილე. ამ სოციალური სურათის ეროვნული გამოვლინებაა მთის დიალექტებში: მთიულურ-გუდამაყრულში, მოხეურში, ფშაურსა და ხევსურულში დადასტურებული ვითარება, სადაც უშვილოს (ე. ი. უძეოს, უვაჟიშვილოს) აღმნიშვნელად უწილო გვხვდება (ა. შანიძე, 1984, გვ. 410; გვ. 452; ლ. კაიშაურ, 1967, გვ. 234; ო. ქაჯაია, 1967, გვ. 429).

ჩვენი აზრით, საოჯახო ქონებაში მონაწილეობა შესაძლებელია ისტორიულად განაპირობებდეს ქართულ სალიტერატურო ენასა და დიალექტებში ნათესაური ურთიერთობის აღმნიშვნელი ლექსიკური

ერთეულების: ძმის'შვილისა და დის'შვილის სამოყალიბებას. მათ'ში განირჩევა მ'შობლის სქესი, ვისი შვილია, ვაჟი'შვილის თუ ქალი'შვილის და არა ბავ'შვის სქესი. განსხვავებით ინდოევროპული ენებისაგან, სადაც ბავ'შვების სქესია გარჩეული და არა მ'შობლისა. შდრ.: გერმანული: neff, nichte; ინგლისური: nephew, niece; რუსული: племянник, племянница;

ქართული დიალექტების მონაცემებ'ზე დაყრდნობით ვფარაუდობთ, რომ საერთო-საოჯახო ქონების გაყოფის შემთხვევა'ში, დიდი პატრიარქალური ოჯახის პირობებ'ში, როდესაც რამდენიმე თაობა ერთად ცხოვრობდა, მნი'შვნელოვანი იყო არა დედმამი'შვილთა 'შვილების სქესი, არამედ ის, თუ დედმამი'შვილთაგან ვისი 'შვილი, ვისი ბიჭი იყო: ვაჟი'შვილის თუ ქალი'შვილის.

"დის'შვილის" და "ძმის'შვილის" ამ მიმართებით განხილვა სოციალურ-ეკონომიკურ რეალობას უფრო ადეკვატ'ურად უნდა წარმოგვიდგენ'დეს, რადგანაც ძმის'შვილი ვაჟიც მემკვიდრეობის მოწ'ილად 'შეიძლება ნათვლილიყო, განსხვავებით დის'შვილი ვაჟისაგან, რომელსაც თავისი მემკვიდრეობა, წილი მამის მხრიდან ერგებოდა.

გენდერ'ული განსხვავებულობა ჩანს შთამომავლობის, მოდგმის აღმნი'შვნელ ტერმინებ'შიც ქართული ენის მოხევურ დიალექტ'ში. კერძოდ, ჯილაგ-ი აღნი'შნავს მოდგმას დედის მხრიდან, ხოლო ჯი'ში-ი კი – მამის მხრიდან (ო. ქაჯაია, 1967, გვ. 450; გვ. 451; ი. ქავთარაძე, 1985, გვ. 395, გვ. 396).

სალიტერატ'ურო ქართულ'ში ჯი'ში და ჯილაგი სინონიმებია, მათ შორის გენდერული განსხვავება არა გვაქვს.

მოხევურ დიალექტ'ში საინტერესოა ტერმინები: ხონჯრისანი, ხონჯრისები, რაც კაცის მხრიდან შთამომავლობას, 'შვილებს, 'შვილი'შვილებს აღნი'შნავს (ი. ქავთარაძე, 1985, გვ. 387). "ხონჯარ" მიღებ'ულია ხვანჯრისაგან ვა >ო გადასვლით და 'შარვლის ერთგვარ ქამარს ნი'შნავს. ამრიგად, ამ შემთხვევა'ში კაცის 'შვილების, 'შვილი'შვილების აღმნი'შვნელი ტერმინი 'შარვლის ქამარს უკავ'შირდება – ხონჯრისანი, ხონჯრისები ე. ი. ქამრისები.

მსგავსი სახელწ'ოდება ქალის ტანსაცმელთან დაკავ'შირებით ვერც მოხევურ'ში და ვერც სხვა რომელიმე დიალექტ'ში ვერ დავადასტ'ურებ. მაგრამ 'შეგვხვდა ასეთი იდიომი: "ბარკლის მოკეთე", რაც ცოლ'ეურებს, მოყვრებს, არასისხლით ნათესავებს ნი'შნავს (ო. ქაჯაია, 1967, გვ. 391).

'შესაძლებელია ქალის სსეულის ნაწ'ილის აღმნი'შვნელი სიტ'ყვა გენდერ'ული განსხვავებ'ულობის საფ'უძველი აღმონ'დეს. ეს არ ეხება ნათესაურ ურთიერთობათა ლექსიკას, მაგრამ საინტერესოა საკვლევ საკითხთან მიმართებით. კერძოდ, მოხეურ დიალექტ'ში სიტ'ყვა კაჩაი აღნი'შნავს ბარძაყს (ო. ქაჯაია, 1967, გვ. 405). ქალთან დაკავ'შირებით ამ სიტ'ყვისაგან ნაწ'არმოებ 'სმნებს იყენებ'ენ მოხეურ დიალექტ'სა და მთიულ'ურკილოკავში, კერძოდ, მოხეურ'ში: "ამაკაჩა – კაბის კალთების ისე მაღლა აწ'ევა, რომ ბარძაყები ჩანდეს" (ო. ქაჯაია, 1967, გვ. 378); მთიულურ'ში: "დაიკაჩავს – მეტად მოკლე კაბას ჩაიცმ'ევს, კაჩებ'ს გამოაჩენ'ს" (ლ. კაიშაური, 1967, გვ. 198). მაგრამ ზოგადად როგორც კაცის, აგრეთვე ქალის მიერ ტანსაცმლის კალთების ან სამოსის სახელოების მაღლა აკეცვისას იმავე მოხეურ დიალექტ'სა და ქართული ენის მთის სხვა დიალექტებ'ში ხმარობ'ენ სხვა სიტ'ყვას (ამოკოლთვას

(ო. ქაჯაია, 1967, გვ. 378; ა. შანიძე, 1984, გვ. 340), რომელიც არ გულისხმობს იმ ნიუანსს, რაც სიტყვა კარას შემოხვევაში ქალის ფეხს მიანიშნებდა.

ყურადღებას იქცევს ქალის ფიზიოლოგიურ მდგომარეობასთან ე. წ. "დედათა წესთან" (მენსტრუაციასთან) დაკავშირებული ტერმინები. უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ შემოხვევაში ეს ტერმინები ქალის ფიზიოლოგიური მდგომარეობის ნიშნებასთან ერთად წარმოგვიდგენდა, თუ როგორ იყო განცალკევებული, იზოლირებული ამ მდგომარეობაში მყოფი ქალი სოციუმისაგან. კერძოდ, ამ პერიოდში ქალს არ შეეძლო სახლში ცხოვრება. იგი უნდა ყოფილიყო განცალკევებულ ადგილას. არ უნდა მიკარებოდა ვინმეს, სანამ მენსტრუაციის პერიოდი არ დამთავრდებოდა. ეს ეხება საქართველოს მთას, ქართული ენის მთის დიალექტებს. ცხოვრების ასეთმა წესმა ბოლო დრომდე (XX საუკუნის II ნახევარი) მიაღწია, რასაც ქართული ენის მთის დიალექტებში დადასტურებული ტერმინები გვინიშნებენ.

ა) ადგილები, სადაც უნდა იმყოფებოდეს ქალი "დედათა წესის" დროს, ხევსურულ დიალექტში ასეთებია: ბოსელი, სანაქო; შენაქო, სამრეველო, სამრელო – სოფლის ბოლოს, მოშორებით ქოხი თვიურიანი ქალების სამყოფად. სამრეველო, სამრეველო გვხვდება თუშურ დიალექტშიც (ა. შანიძე, 1984, გვ. 292; გვ. 391-392; ქართ. დიალ., 1961, გვ. 556).

ხევსურულში დადასტურებულია "სანეხიც", რაც მშობიარე დედაკაცისათვის გაკეთებულ ქოხს ნიშნავს, თუმცა "დედათა წესის" მიდამოდაცაა განმარტებული (ა. შანიძე, 1984, გვ. 397).

ბ) "დედათა წესის" აღმნიშვნელი ტერმინები: ხევსურულში, თუშურსა და ფშაურში გვხვდება ტერმინი ბოსლობა (ა. შანიძე, 1984, გვ. 392), რაც ბოსელ სიტყვასე აბსტრაქტული სახელების -ობა სუფიქსის დართვითაა მიღებული. კარს ყოფა – იგივეს აღნიშნავს და დადასტურებულია გუდამაყრულ, ფშაურ, ხევსურულსა და თუშურ დიალექტებში (ა. შანიძე, 1984, გვ. 227).

გ) ქალი "დედათა წესის" დროს.

მებოსლე (ა. შანიძე, 1984, გვ.357). მიღებულია ბოსელ სიტყვასე დანიშნულების აღმნიშვნელ მე–ე კონფიქსის დართვით. კარს მყოფი (ა. შანიძე, 1984, გვ. 337). მყოფი აწმყო დროის მიმღეობაა. ამავე მნიშვნელობით წარსული დროის მიმღეობაც გვხვდება – კარს ნამყოფი.

აღსანიშნავია ტერმინი "ნარევი", რომელიც მთიულურ კილოკავში მენსტრუაციის მქონე ქალს აღნიშნავს, ხევსურულ დიალექტში კი – ადამიანს, რომელმაც მკვდარი უნდა მოამზადოს დასამარხად (ა. შანიძე, 1984, გვ. 362; გვ. 372). საინტერესოა ხევსურული ტერმინი მირეული, რაც ასევე მენსტრუაციის მქონე ქალს აღნიშნავს, მეორე მნიშვნელობით კი ესაა "კაცი, ვინც მკვდარს გაასვენებს და დამარხავს (ხევსურები მას არ ეკარებიან) ან ვინც "მებოსლე" დედაკაცთან მივა" (ა. შანიძე, 1984, გვ. 362).

მთიულურ-გუდამაყრულ და თუშურ დიალექტებში გვხვდება ტერმინი ქალის აღსანიშნავად, რომელსაც ჯერ მენსტრუაცია არ მოსდის, ესაა – უმრეცხლო (ა. შანიძე, 1984, გვ. 409), რაც "რეცხვა" სინიდან მომდინარეობს და ნაწარმოებია უარყოფითობის მაჩვენებელი უ–ო კონფიქსით და ნიშნავს

პირს, ვისაც გარეცხეა (გაწმენდა) არ სჭირდება. აღსანიშნავია, რომ ამ ტერმინით ხევსურულ დიალექტში ორსულ ქალს აღნიშნავენ. ეს გასაგებიცაა, რადგან ფეხმძიმობის დროს მენსტრუაცია წყდება.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, "დედათა წესის" დროს ქალი განცალკევებული უნდა ყოფილიყო სახლიდან. მაგრამ ირკვევა, რომ ზოგ შემთხვევაში ქალებს "დედათა წესის" დროს მაინც უხდებოდა სახლში ყოფნა და ერთგვარად წმინდად ვერ ინახავდნენ სახლს. ასეთი შემთხვევისათვის ფშაურ, მთიულურ-გუდამაყრულ დიალექტებში დადასტურებულია ტერმინები: რეცა, მორეცა (ა. შანიძე, 1984, გვ. 382).

ხევსურულსა და ფშაურ დიალექტებში დადასტურებულია წარსული დროის მიმღეობა – ნალაკი – აღგილი, სადაც თვიურიანი დედაკაცი გაიელის, მისი ნაღგომი, ან ხელმონაკიდი (ა. შანიძე, 1984, გვ. 371; ქართ. დიალ., 1961, გვ. 593).

გენდერული ლექსიკის სპეციფიკის გასაცნობად საინტერესოა სხვა შემთხვევებიც. ზოგჯერ ასეთ განსხვავებას სამეურნეო იარაღების ნარისახეობებიც გვინვენებენ. კერძოდ, ხევსურულ დიალექტში თიბვასთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს ცელისა და ჭენცელის მომხმარებელთა აღმნიშვნელი სიტყვები: ჭენცელი – ესაა ხელის ცელი – ნამგალი. ცელით კაცები თიბავენ, მათ მეჭენცლენი ჰქვიათ (ა. შანიძე, 1984, გვ. 360; ქრთ. დიალ., 1961, გვ. 5; ი. ქავთარაძე, 1985, გვ. 391).

წარმოდგენილი მასალის გაანალიზების შედეგად მივდიეართ დასკვნამდე, რომ ქართული ენის დიალექტებში მამრობითი გენდერი დომინირებს, რასაც სოციალური საფუძველი უნდა განაპირობებდეს. კერძოდ, შეინიშნება, რომ მდედრობითი გენდერი მარკირებულია, მაშინ, როდესაც მამრობითი გენდერი არ არის მარკირებული.

ქართულ სალიტერატურო ენასა და მის დიალექტებში ნათესაურ ტერმინოლოგიაშიც მდედრობით ტერმინთა დანაწევრებულობაც ქალის გენდერის ეროგვარი მარკირებულობის მაჩვენებელია. ამ შემთხვევაში ცალკე ტერმინებია დეიდა (დედის და) და მამიდა (მამის და), მაშინ, როდესაც დედის ძმაც და მამის ძმაც აღინიშნება ერთი ტერმინით – ბიძა.

საერთოდ, ქართული სალიტერატურო ენის და უფრო მეტად ქართული დიალექტების ლექსიკა ქალის სახეს უფრო დანაწევრებულად წარმოადგენს, ვიდრე მამაკაცისას, რასაც ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილი მაგალითებიც ადასტურებს.

საყურადღებოა, რომ ზოგჯერ როგორც სალიტერატურო ენაში, ისე დიალექტებში ქალის გენდერი მამაკაცის გენდერთან გათანაბრებულად წარმოგვიდგება.

სახელდობრ, სალიტერატურო ქართულში ლათინური სიტყვა human აღინიშნება ორი სიტყვით: ადამიანი და კაცი.

"კაცს" ჩვეულებრივ მამაკაცის მნიშვნელობითაც ეხედებით. ე. ი. ცალკე კაცი აღნიშნავს human-ს და მამაკაცს. ქალის აღსანიშნავად მამაკაცის საპირისპიროდ გვაქვს დედაკაცი (ქალი არ აღნიშნავს ზოგადად human-ს). ასეა როგორც ქართულ სალიტერატურო ენაში, ისე დიალექტთა უმეტესობაში. მაგრამ მთის ზოგიერთ დიალექტში განსხვავებულად გამოიყენება human-ის აღმნიშვნელი მეორე სიტყვა – ადამიანი.

ამ სიტყვის ძირი ბიბლიურ ადამს უკავშირდება და სალიტერატურო ქართულსა და დიალექტთა უმეტესობაში ზოგადად ადამის მოდგმას, ნამოიმავლობას ანუ human-ს აღნიშნავს.

მაგრამ საყურადღებოა, რომ მთის ზოგ დიალექტში – ფშაურში, მთიულურ-გუდამაყრულსა და მოხეურში – ადამიანი აღნიშნავს ქალს, დედაკაცს; ადამიანობა – ქალები, დედაკაცები (ა. შანიძე, 1984, გვ. 277; ქართ. დიალ., 1961, გვ. 566).

მაშასადამე, ერთი მხრივ, კაცი აღნიშნავს ზოგადად human-ს და მამაკაცს; მეორე მხრივ, ადამიანი აღნიშნავს ზოგადად human-ს და დედაკაცს (მიუხედავად იმისა, რომ ადამიანი ამოსავალში მამაკაცის სახელს ადამს უკავშირდება).

ქალის გენდერის მამაკაცის გენდერთან ეროგვარი გათანაბრების სურვილი გვაქვს საქორწინო ტერმინოლოგიაშიც თუშურსა და თიანურში. კერძოდ, როდესაც კაცი საქორწილოდ ემზადება, სალიტერატურო ქართულსა და უმეტეს ქართულ დიალექტებში ამბობენ: კაცი ცოლს ირთავს, ქალი კი თხოვდება. მაგრამ თუშური და თიანური მეტყველება გასათხოვარი ქალისთვისაც "შერთვას" იყენებს: კერძოდ, თუშურში (ქალი) ქმარს ირთავს; ასევე თიანურში (ქალის მიერ) ქმრის შერთვა (ქართ. დიალ., 1961, გვ. 585; გვ. 600).

სტატიაში წარმოდგენილი მასალა ძირითადად ემყარება ქართული ენის განმარტებით ლექსიკონს და ქარტულ დიალექტურ ლექსიკონებს. ეს ლექსიკონები XX საუკუნის მეორე ნახევარშია შექმნილი და შესაბამისად იმდროინდელ სიტუაციას წარმოგვიდგენენ. მხოლოდ ცნობილი ქართველი ენათმეცნიერის აკაკი შანიძის ლექსიკონია ყველაზე ძველი, ის 1913 წელს არის შედგენილი.

ამით იმის თქმა გეინდა, რომ თანამედროვე ცხოვრების წესი მეტ-ნაკლებად უკვე საქართველოს მთის კუთხეებშიც შეიჭრა და ზოგიერთი ტრადიცია უკვე მოიშალა ან იშლება და, შესაბამისად, იცვლება ენობრივი მონაცემებიც. თუმცა ენობრივ მონაცემთა უმეტესი ნაწილი დღესაც დაცულია, რომლებიც მრავალგზის დადატურებულ იქნა პირადად ჩვენ მიერ საველე მუშაობის დროს.

ამრიგად, დღეისათვის არსებული ქართული ენობრივი მასალის განხილვის შედეგად აშკარაა გენდერული განსხვავებულობანი, რომელთაც სოციალურ-კულტურული საფუძველი აქვთ და რომლებიც ფაქტობრივად "ორი კულტურის" მოდელის (Maltz and Borker 1982, Tannen 1990) ერთგვარ გამოვლინებად შეიძლება ჩაითვალოს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ჯ. დონდუა, 1975 – К.Д. Дондуа, Феминизирующий гласный в грузинском, Статьи по общему кавказскому языкознанич, Ленинград, 1975
2. ს. მენთეშაშვილი, 1943 – ს. მენთეშაშვილი, ქიზიყური ლექსიკონი, თბ., 1943.
3. ალ. კობახიძე, 1987 – რაჭული დიალექტის ლექსიკონი (მასალები), შემდგენილი ალ. კობახიძე, თბ., 1987.

4. ჰ. გაწეფილაძე, 1976 – ჰ. გაწეფილაძე, იმერული დიალექტის სალექსიკონო მასალა, თბ., 1976.
5. ს. ულენტი, 1936 – ს. ულენტი, გურული კილო, თბ., 1936.
6. შ. ძიძიგური, 1970 – შ. ძიძიგური, ქართული დიალექტოლოგიური ძიებანი, თბ.,1970.
7. კ. კუბლაშვილი, 1985 – კ. კუბლაშვილი, ქართული ენის ქვემოიმერული დიალექტი, თბ., 1985.
8. ბ. ჯორბენაძე, მ. კობაიძე, მ. ბერიძე, 1988 – ბ. ჯორბენაძე, მ. კობაიძე, მ. ბერიძე, ქარტული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონები. თბ. 1988.
9. ნ. სურმავა, 1983 – ნ. სურმავა, სიტყვაწარმოების შესახებ აჭარულში, აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, ბათუმი, 1983.
10. ლ. კაიშაური, 1967 – ლ. კაიშაური, მთიულურის დარგობრივი ლექსიკა, თბ., 1967.
11. შ. ნიჟარაძე, 1971 – შ. ნიჟარაძე, ქართული ენის აჭარული დიალექტი (ლექსიკა), ბათუმი, 1971.
12. ნ. როსტიაშვილი, 1978 – ნ. როსტიაშვილი, ინგილოური ლექსიკონი, თბ., 1978.
13. ი. ქავთარაძე, 1985 – ი. ქავთარაძე, ქართული ენის მოხეური დიალექტი, თბ., 1985.
14. რ. დამბაშიძე, 1988 – რ. დამბაშიძე, ქართული ენის ინგილოური კილოს ლექსიკონი, თბ., 1988.
15. ა. შანიძე, 1984 – ა. შანიძე, ქართული კილოები მთაში, თხ.ს., ტ. I, თბ., 1984.
16. ქართ. დიალ., 1961 – ივ. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ე. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, თბ., 1961.
17. ო. ქაჯაია, 1967 – ო. ქაჯაია, მასალები მოხეური კილოს ლექსიკონისათვის, "სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები", XI, ცხინვალი, 1967.
18. Maltz and Borker, 1982 _ Maltz D. and Borker R. A cultural approach to male-female miscommunication. In Gumperz, J. (ed), Language and Social identity, pp. 196-216. Cambridge: Cabridge Uniersity Press.
19. Tannen, 1990 – Deborah Bannen, "You Just Don't Understand", New Uork, 1990.

Summary of the article
"The Problem of Gener and Language in Current Standard Georgian and its Dialects" by Ramas Kurdadze

As is known, the Georgian language belongs to the Kartvelian group of the Southern Caucasian languages. Apart from the Standard variant it has 16 dialects. Though gender in Georgian is not grammatical, but natural/rational, the Georgian language and its dialects provide interesting data from the viewpoint of gender-language relationship. It should be mentioned that this aspect of the Georgian language has not

been sufficiently investigated. The analysis of the data has proved that in Georgian, masculine gender is unmarked, whereas feminine is marked. The said can be illustratedf with the material of maiden names of married women. In the Kakhtian, Rachan, Imeretian and Gurian dialects special suffix-markers –uri, -ouri, -pkhe are added to the maiden manes of married women (e. g. Makharobliauri, Goksauri, Tabeshouri, Lomtatipkhe). A similar method is applied to denote the origin of a married woman _ in this case the suffixes –ura, -ula are added to the toponyms. This phenomenon is attested in two dialects _ Acharan and Javakhetian (e. g. "Zendidura" danotes a married woman from Zendidi; "Chunchkhula" – refers to a woman who before marriage lived in Chunckhati).

In Georgian and its dialects the female kinship manes are differentiated (deida mother's'!sister, mamida father's'!sister), while the male kinship terms are not (bidza (uncle) is the common term used to denote both mother's brother and father's brother). Hence the paper argues that female kinship terms are marked whereas the male kinship terms are not.

Gender differences then mentioning sons and daughters are also noteworthy. In the mountain dialects of Georgian – Khevsurian, Tushian and Acharan daughters are not considered to be children. When a person who has three children is asked how many children s/he has, s/he will answer "I have a child and two girls".

In the given paper the data is analysed within the framework of the so-called "two-culture model" (Maltz&Broker, 1982, Tannen 1990).

ზოთა იათაშვილი

იშვიათი გენდერული გულახდილობები თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში

ეს სტატია, პირველი თუ არა, ალბათ ერთ-ერთი პირველი მცდელობაა იმის დანახვისა, თუ როგორ ირეკლება გენდერული პრობლემატიკა თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში. აქედან გამომდინარე,ამ ეტაპზე შეუძლებელი იქნებოდა მეთოდოლოგიურად დალაგებული ისეთი ტექსტის შეთხზვა, რომელშიც ყველა ძირითადი ტენდენცია და ამ თვალსაზრისით ყველა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ნაწარმოები იქნებოდა აღწერილი და შეფასებული. ვერ მოხერხდება ეს მთელი ქართული ლიტერატურის ამ ჭრილში ანალიზის გარეშეც, მით უმეტეს, რომ მოცემული პრობლემატიკა ქართულ ლიტერატურაში უძველესი დროიდან არსებობდა – უფრო ზუსტად კი ხელნამდე მოღწეულ პირველსავე ტექსტში – იაკობ ხუცესის "შუშანიკის წამებაში". XIX საუკუნიდან გენდერული თემები უკვე ინტენსიურად ჩნდება. ამ კუთხით განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ავტორია ილია ჭავჭავაძე თავისი "ოთარაანთ ქვრივითა" თუ "კაცია-ადამიანი?!"-თ. XX საუკუნის პირველ ნახევარში კი მიხეილ ჯავახიშვილი "ჯაყოს ხიზნებით" თუ "თეორი საყელოთი".

მაგრამ, უკვე განვლილი მთელი ამ ტრაექტორიის მოხილვას სულ სხვა ძალისხმევა, დიდი დრო და ბევრი მელნის ხარჯვა სჭირდება, არადა თანამედროვეობის მოთხოვნა მუდამ ერთნაირია: მიმდინარე პროცესებში გარკვევა და მათი ანალიზი! სწორედ ამის გამო გვიწევს პირდაპირ ახალ ავტორებსა და ახალ ნაწარმოებებზე აქცენტის გაკეთება. თუმცა ეთვალიერე ზემოთქმულის გამო ეს სტატიაც თავისებურ ფორმას შეიძენს: იგი მოზაიკასავით იქნება, უხვი თვალსაჩინო მასალით – ციტატებითურთ – და ამ თანამედროვე ლიტერატურულ მოზაიკაში შეეცდებით მოვნიშნოთ ის თავისებური და რადიკალური ინტონაციები, რაც დღევანდელ ქართველ ავტორთა გენდერულ მიდგომებში შეიმჩნევა.

საინტერესო იქნება დავაკვირდეთ, არსებობს თუ არა გენდერული პრობლემატიკა ცნობიერი კუთხით. ანუ როდესაც მწერლები წერენ, ფიქრობენ თუ არა, რომ ნაწარმოები უნდა დაიწეროს გენდერულ პრობლემაზე, თუ ეს ყველაფერი ხდება არაცნობიერად, თავისთავად – ანუ ისინი უბრალოდ წერენ და ამ ნაწარმოებებში ბუნებრივად ჩნდება ის დადებითი ან უარყოფითი გენდერული ტენდენციები, რაც არსებობს საზოგადოებაში. ჩემი აზრით, ცნობიერი კუთხით ეს ყველაფერი ნაკლებად არსებობს. თავისთავად საინტერესოა მეორე დაყოფაც: ქალი ავტორი და მამაკაცი ავტორი. ვისთანაა უფრო აქტუალიზებული ეს პრობლემატიკა და ვისთან როგორი რაკურსით.

თუ მიმდინარე ლიტერატურაზე ელაპარაკობთ,მეტად საყურადღებოა ის გარდატეხა, ის პერიოდი, როდესაც, ფორმალურად რომ ვთქვათ, "საბჭოთა

ლიტერატურა“ “პოსტსაბჭოთა ლიტერატურად“ იქცა,“საბჭოთა ავტორები“ კი “პოსტსაბჭოთა ავტორებად“ მოგვეელინენ ან კელავაც საბჭოეთში ჩარჩენ. უფროსთაობელთა პოსტსაბჭოური პერიოდის ნაწარმოებებიდან, ნემი აზრით, გენდერული თვალსაზრისით ერთ-ერთი ყველაზე საინტერესოა ოთარ ჭილაძის მეხუთე რომანი “აველუმი“. მან პირველად დაწერა “თანამედროვე რომანი“ იმ აზრით, რომ პირველად მიმართა იმ ეპოქას, რომელშიც ცხოვრობდა და ცხოვრობს. შექმნა თანამედროვე გმირი. “გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“-დან მოყოლებული, სადაც მან მითოლოგიური საქართველო აღწერა, ის ნელ-ნელა მოემართებოდა თანამედროვეობისაკენ და აი, როგორც იქნა, მოაღწია კიდეც. თუმცა იგი ამ რომანში მხოლოდ დღევანდელობის აღწერით არ შემოფარგლულა. უფრო მეტიც, რომანის ძირითადი კორპუსი საბჭოურ პერიოდს ხატავს, დაახლოებით მისი ასაკის ადამიანს – ე. წ. “საბჭოთა ინტელიგენტს“, “საბჭოთა მწერალს“, რომელიც სინამდვილეში არაა არც საბჭოთა ინტელიგენტი და არც საბჭოთა მწერალი, მაგრამ არც აშკარა “ანტისაბჭოთა ელემენტია“. ეს პერსონაჟი, სახელად აველუმი, აშენებს “სიყვარულის იმპერიას“, რომლითაც იგი საბჭოთა იმპერიას უპირისპირდება. თავისუფლების ყველაზე რადიკალური გამოვლინება მისთვის “სიყვარულის იმპერიის“ შექმნა და ამ იმპერიაში იმპერატორად თავის წარმოდგენაა. ალბათ, არაერთი ქართველი საბჭოთა მოქალაქე იცნობს თავს აველუმში, მაგრამ შეიძლება, მათთვის აღმოჩენა იყოს ის, რომ თურმე მათი სწრაფვა შორეული სასიყვარულო თავგადასავლებისაკენ თავისუფლების არაცნობიერ აქტს წამოადგენდა. ის, რაც, როგორც წესი, ელემენტარულად სექსუალური ენერგიის გამოვლინებად ითვლებოდა ხოლმე, ოთარ ჭილაძის რომანში სხვანაირადაა გააზრებული და თეორიული საფუძვლებითაა გაფორმებული. მაშინ, როცა დასავლეთში სექსუალური რევოლუციის ბუმი იდგა და ეს ბუმი დასავლური თავისუფლების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წახნაგად მოიაზრებოდა, აქ, ჩვენთან, ადამიანები “სიყვარულით“ გაკეთილშობილებულ ლოკალურ “სექსუალურ ცულლუტობებს“ სჩადიოდნენ და ამას, დასავლელთა მსგავსად, გულის სიღრმეში თავისუფლების ერთ-ერთ და, ვინ იცის, იქნებ ერთადერთ წახნაგად სახავდნენ.

მეორე მხრივ, რომ დავუკვირდეთ, აველუმმა მელანიასთან, სონიასთან და ფრანსუაზასთან (ერთი ქართველია, ერთი რუსი, ერთი ფრანგი) ერთად “სიყვარულის იმპერია“ კი შექმნა, მაგრამ აქ აღმოსავლური მოდელი არ მუშაობს – ჰარამხანეულ დამოკიდებულებას ადგილი არა აქვს, და ამავე დროს არ მუშაობს არც დასავლური მოდელი, როცა კაციც და ქალიც ამ ურთიერთობებში თანასწორუფლებიანი და თანაბრად თავისუფალია. რეალურად, ესაა პორტრეტი იმ ადამიანისა, რომელიც ილუზიური ტოტალიტარული მეთოდებით ცდილობს არ იყოს მორჩილი ტოტალიტარული რეჟიმისა და საკუთარი გარემოს ლიბერალიზაციისათვის ისწრაფვის, რათა ქალები მის პირად დაქვემდებარებაში მოაქციოს.

ოთარ ჭილაძისათვის ახალი არ არის სხვადასხვა თვალსაზრისით დაქვემდებარებული (მეტიც, ტერორიზებული) ქალების პორტრეტების ხატვა. რომანში “ყოველმან ნემმან მპოვნელმან“ ერთ-ერთ მთავარ გმირ

ანას ადრე უკვდება მეუღლე და შემდეგ მეორედ თხოვდება. პირველი ქმრისგანაც შვილი ყავს და მეორისგანაც. უფროსი შვილი ბოსელშია გაგდებული და იქ ცხოვრობს, ანა კი ჩუმად მიდის ხოლმე მასთან, რათა ნახოს, მიუალერსოს, და როდესაც უმცროსი შვილი ი'სრდება, იგი უფროს ძმას ნაბიჭვარს ეძახის, და ამ დამოკიდებულებას ფაქტიურად, მთელი სოფელი ი'სიარებს – ანუ მამის გარეშე დარჩენილი კანონიერი შვილი ნაბიჭვრად მოიაზრება. მათთვის ერთი მეუღლის მეორეთი ჩანაცვლება იმდენად უსიამოვნოა, რომ ხდება რეალობის გაყალბება, გერის ნაბიჭვრად შერაცხვა, ყოველივე ეს კი შინაგანად, "გერ-ნაბიჭვარზე" უფრო მეტად დედას, ანას ანგრევს და სრესს.

თუკი განსაკუთრებულ შემთხვევებს არ მივიღებთ მხედველობაში, საინტერესოა, თუ როგორი იყო საერთო სურათი და უფროსი თაობის ავტორებთან ძირითადად როგორ იყო ნაჩვენები ქალის სახე, რას უკავშირდებოდა პრობლემურობა ან იყო კი საერთოდ პრობლემურობა მათ ნაწარმოებებში. ჩემი დაკვირვებით, მამაკაცი მწერლების მიდგომა ხშირად ერთგვარი პოლარულობით გამოირჩეოდა: ქალი იყო ან რაღაც ამაღლებული არსება, გახვეული რომანტი'ზმის საბურველში, ან იგი წარმოადგენდა საუკეთესო მასალას ფუნაგორიული ხასიათის, ეულგარული, ანეგდოტურ დონეზე დაყვანილი ტექსტებისა. ეს პოლარულობა ძალიან კარგად ჩანს ტარიელ ჭანტურიას შემოქმედებაში.

ერთის მხრივ, მას ეკუთვნის ცნობილი სტრიქონები:

"უხერხულია, შენ გერქვას ცოლი,
შენ უნდა ცისფერ ღრუბელთან იწვე"

და მიუხედავად ამისა,ბოლო პერიოდის ერთ-ერთ ლექსში იგი წერს:

"ქალი მუდამ ქალია – ძუ. ძუ. ძუ. ძუ.
ბუ'ჩალტერი-გალია! – ძუძუძუძუ...
სიმღერაა, ენებაა – ინდი-მინდი...
მხოლოდ ქალის ნებაა – ინტიმ-ინტიმ..."

და მერე:

"ძუ. ძუ. ძუ. ძუძუები – ვეტკბები გამეორებით!
სექსით გაუმაძღრები – პოლიგამიურები!
ლამაზი ნიკაპები. თეძოები. მუცლები.
ერთი გოჯი კაბები. ერთი მეტრი ქუსლები"

ასეთი მაჩოური ხასიათის გამოხდომა-გამოვლინებების მოყვანა, და განსაკუთრებით პოეზიაში, მრავალად შეიძლება. რაც შეეხება ქალ ავტორებს, მათთან სიღრმისეული თვალსაზრისით ყველაზე უკეთ ნაფიქრი და გააზრებული, ჩემი ა'ზრით, დედაშვილობის პრობლემაა. ქალისა და მამაკაცის სასიყვარულო, სექსუალური ურთიერთობების ანალი'ზი შეიძლება იმდენი თავისებურებით არ გამოირჩეოდეს, როგორც აღნიშნულ თემა'ზე დაწერილი ტექსტები, და ამას თავისი ახსნა აქვს. ამ მხრივ უაღრესად საინტერესო ავტორია რუსუდან კაიშაური, რომელიც ცდილობს ორივე რაკურსიდან დაინახოს ეს ურთიერთობა და ორივე შემთხვევაში ზღვრულ, დაუნდობელ სურათს იღებს. აი, დედის თვალთახედვა: "შვილებსაც ვანენ, როგორც ჩემს სასჯელს"

ლექსში "დედაჩემის სიბერე" კი შვილი ამბობს:

"მხოლოდ გულს არ სჭირდება შეკეთება.
მექანიკური საათივით

კიდევ ერთხელ დავქოქავ
და ბუდიდან გამოხტება:
"დედა გენაცვალოს!"
და მარადიულია ეს წეველა."

ეს ორმხრივი – დედის შვილისადმი და შვილის დედისადმი – აგრესია შოკისმომგვრელი და პარადოქსულია, მაგრამ, ეჭიქრობ, ქართველთათვის იოლად გასაგები. ამაზე უკვე იმდენი ითქვა, რომ ალბათ არც ღირს შეგახსენოთ დედის დაქვემდებარებაში ჩარჩენილი ზრდასრული შვილი, რასაც მოჰყვება ხოლმე ის შედეგი, რომელიც კაიშაურის ლექსებშია ნაჩვენები. ამის მიზეზად კი სხვადასხვა რამ სახელდება: ვთქვათ, ის, რომ ქალის სოციალური ფუნქციები ძალზე შეზღუდულია და ამიტომ ისინი მიჯაჭვულნი არიან თავიანთ ლამის ერთადერთ ფუნქციას,მოუარონ შვილს და თავიანთი განუწყვეტელი "დედა გენაცვალოს!" მათთვისვე შეუმჩნეველად წეველაში გადაიყვანონ. ხოლო ეს წეველა რანაირად ბრუნდება უკან, კარგად ჩანს ზაზა ბურჭულაძის რომანში "წერილი დედას".

ბაქოში მეოცე დედისადმი გაგზავნილ წერილებში პერსონაჟი ყვება თავს გადამხდარ სხვადასხვა ისტორიას, იხსენებს ბავშვობას, სიყმაწვილეს და თავისი ცხოვრების სხვადასხვა პერიოდებს. უფრო სწორად, ამ ყველაფერს ახსენებს დედამისს თავისი ამოჩემებული "გახსოვს, დე!"-თი. ამასთან, იგი არაფერს არ ყვება დედასთან უშუალო ურთიერთობაზე. დედა თხრობაში ფაქტიურად არ ფიგურირებს. მაგრამ ნაწარმოების ფინალში მთავარი გმირი სრულიად მოულოდნელად შემზარავ წეველას უგზავნის დედას. წეველის ბოლოს კი, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, მოელ ამ წერილს "ძღნერის ორმოსავით დიდ და სქელ წერტილს" უსვამს.

გენდერული თვალსაზრისით ერთ-ერთი ყველაზე პროგრესული ტექსტი, ჩემი აზრით, არის დავით ჩიხლაძის "Feminin/Feminin". მეტად უცნაური ნაწარმოებია, რომელსაც ავტობიოგრაფიული ხასიათი აქვს. დავიწყოთ იქიდან, რომ თავად სათაურია საეურადღებო. "Masculin/Feminin" შეცვლილია "Feminin/Feminin"-ით, ოღონდ ლესბოსური ხასიათის ტექსტთან არ გვაქვს საქმე. ესაა მამაკაცის მიერ დაწერილი ტექსტი, სადაც მოთხრობილია მის ურთიერთობებზე ქალებთან, ოღონდ მნიშვნელოვანია ის, რომ მთავარი გმირის თვისებები ქალურია. მამაკაცი შეიძლება ბევრ ნაწარმოებში ტიროდეს, ავლენდეს უამრავ სისუსტეს, მაგრამ ქცევები მაინც მამაკაცური ჰქონდეს. დავით ჩიხლაძე კი გვიყვება იმ მამაკაცზე, რომელიც მამაკაცია, მაგრამ მასში არის რაღაც ქალური. ცნობილია, რომ ყველა ადამიანში არის რაღაც ნაწილი ქალურობისა და რაღაც ნაწილი მამაკაცურობისა და ეს განსხვავება ქმნის ქალსა და მამაკაცს, მაგრამ მამაკაცში მაინც რჩება რაღაც ნაწილი ქალურობისა და ქალში – მამაკაცურობისა. და თუ ამის გამოელენა ხდება დადებითი კუთხით, ეს აღრმავებს და ამრავალფეროვნებს ადამიანის სულიერ სამყაროს. ვთქვათ, ასეთი მაგალითი:

"წელს შემოდგომაზე გაიცანი მსახიობი ნინო ერუაშვილი, სამეფო უბნის თეატრის ვესტიბიულში. მე დავკარგე სქესის შეგრძნება ჩემში და, კიდევ, ძალიან მომინდა თავის მოკვლა. მე დავკარგე ტირილის უნარიც და ეს ყველაზე საშინელი, გამოუვალი მდგომარეობაა. ამას ვერაკინ

ამბნევს, როგორ ვქრები. ნინო მეუბნება, რომ თავი უნდა დავანებო აღმოსავლეთს, გავხდე ძლიერი, არ მეშინოდეს ძაღლის, ვიპოვო ქალი ჩემში, გავხდე რაინდი...“

ე.ი. “ვიპოვო ქალი ჩემში, გავხდე რაინდი“. პარადოქსულია, მაგრამ ავტორი გვეუბნება, რომ ქალურობა და რაინდობა ერთდროულად შესაძლებელია.

“როდესაც ორი წლის წინ, ამერიკიდან დაბრუნებულმა, თბილისის ბალეტის სკოლას მივაშურე, დარწმუნებული ვიყავი, რომ მხოლოდ აქ შეიძლებოდა საუბარი თანამედროვე ხელოვნებაზე, როგორც სულზე (და არა როგორც ახალ ფორმებზე და ესთეტიკაზე, რაც სხვა სასწავლებლებშიც შესაძლებელი იქნებოდა). ეს გამართლდა. აქ იყო დისციპლინა, აქ იყო სული, უშუალო ენერგია და აზრი. კიდევ, მე აქ შევძელი მომეხდინა ჩემი სქესის ერთი შემდეგი ტრანსცენდეცია, გასვლა მისგან, ქალის ხატისგან; გასვლა ამ უხეში ფიზიკურობისგან და კვლავ დაბრუნება, პოვნა რომანტიზმის სულის.“

აქ კი საპირისპირო რამ ხდება: პერსონაჟი უკვე ქალის ხატებისგან გადის. ქალთან იდენტიფიკაციას გაურბის. მისთვის ზოგადადამიანურობაა მთავარი.

თუ დავაკვირდებით ადრინდელ ან თუნდაც თანამედროვე ქართველ ქალ ავტორებს, ისინი ძირითადად წერდნენ და წერენ საკუთარი სქესის პოზიციიდან, მთავარი გმირი, “მე“ – ყოველთვის ქალია. ამ მხრივ საინტერესოა ნაირა გელაშვილის პოზიცია. მასთან ნაწარმოებთა ნახევარში, და შეიძლება მეტშიც კი, მთავარი გმირი მამაკაცია. მე მგონია, ესაა პროპორციის, ბალანსის დაჭერის შინაგანი სურვილი, და ეს გაცნობიერებულად ხდება, ვინაიდან, ავტორს არ სურს, რომ პრობლემათა ის წრე, რომელზეც მას უწევს საუბარი, გაიგივებული იყოს მაინცდამაინც ქალის ან მამაკაცის პრობლემათა წრესთან. სწორედ ამიტომ ხდება ეს მონაცველობა, რომელიც გვიტოვებს განცდას, რომ ავტორისთვის ეს პრობლემები ზოგადადამიანური, ზოგადსაკაცობრიო და მეტაფიზიკური პრობლემებია.

ახალმა ავტორებმა უფრო ღიად, ეფემინზმების გარეშე დაიწყეს თანამედროვე სამყაროში არსებულ ქალთა პრობლემებზე ლაპარაკი. მეტიც, მათი აუცილებელი მხატერული ხერხი ხშირად უკვე ჰიპერბოლიზაციაც კია. შეიძლება ლაპარაკი ქართული ფემინისტური პოეზიის წარმოშობის შესახებ, თუმცა ქართველი ქალის გულში გატარებული დასავლური ფემინისტური იდეოლოგია მდიდრდება ახალი, ზოგჯერ კი მეტად ორიგინალური ინტერპრეტაციებით.

სექსუალური თემატიკის აღწერისას ყველაზე პირდაპირია დიანა ვაჩნაძე. მისი ენებიანი ტექსტების ყოველ სტრიქონში იგრძნობა მსოფლმხედველობა: ქალი უნდა იყოს სექსუალურად რეალიზებული, უამისოდ ცხოვრება ნაკლოვანია. თუმცა მისი მეორე პრინციპი ერთგულებაა.

ერთი ცხვირი მაქვს,
ერთი ნიკაპი,
ერთი შუბლი,
ორი ლოყა.
რვა ტუჩი მაქვს,

ცხრა ყური,
თორმეტი ყურის ბიბილო,
ოცი ძუძუ,
ოცდაერთი ძუძუსთავი.
ნვიდმეტი ჭიპი მაქვს,
საშოცდაოთხი დუნდული,
ასი თითი და
ათასი ვაგინა.
და ეს ყველაფერი შენთვის.

ჰიპერბოლი'საციის ეფექტი თვალნათლიეია: ქალს,რომელსაც ათასი ვაგინა აქვს, ალბათ ათასჯერ (თუ მეტჯერ არა) ეს'რდება სექსუალობაც, მაგრამ მიუხედავად ამისა, ის ერთგული რჩება, ანუ ერთგულების პოტენციალი მას'ში უსა'ზღვროდ მაღალია. ფემინისტური პოეზიისათვის თემის ასეთი მობრუნება საკმაოდ მოულოდნელი ჩანს. ყველა თავის ლექსში დიანა ვინნაძის გმირი მიმართავს თავის უცველელ შეყვარებულს, ვინმე გ.-ს., ხოლო თუკი მას პირდაპირ არ ასახელებს, გულისხმობს მუდამ.

დიანა ვინნაძემ პოესიის შემდგომ რომანიც დაწერა – "ნატა ანუ ახალი ეიული", რომელიც საქართველოში ჯერ კიდევ თვითდგენის სტადიაში მყოფი "ბოიფრენდ-გელფრენდ"-ის ინსტიტუტის ზონდირებას წარმოადგენს და მაღალი ემოციური გრადაციის ქვეშ იკულეეს მის სოციალურ, ფსიქოლოგიურ თუ ზნეობრივ მდგომარეობას.

"ახლახან გამოაცხადეს, რომ ნახევარ საათში ნიუ-იორკს ვიქნებით და ამერიკის მიწა'ზე დაშვებამდე ნახევარი საათით ადრე მე ვიწყებ შენთან გამოსაგზ'საენი უსტარის წერას. ის, რაც უნდა გამცნო, ა'ირი აქვს, რომ მხოლოდ შენ გამცნო და იმიტომ, რომ ვუწყი, მხოლოდ შენ თუ შესძლებ გამომიყვანო იმ აუტანელი მდგომარეობიდან, რომელ'ზიც ახლა ვიმყოფები. წარმოიდგინე, სულ რაღაც რამდენიმე საათის უწინ შენი ასო ჩემს სარცხვინელში იდო. ისინი ისე მჭიდროდ მიჰბჯენოდნენ ერთურთს, როგორც არცერთი სხვა 2 საგანი დედამიწა'ზე. ისინი ერთმანეთისთვის და ერთმანეთში ფეთქავდნენ, ჟონავდნენ, მყოფობდნენ და თითქოს ეს იყო ურყევი კანონ'ზომიერება: შენი ასო ჩემს სარცხვინელ'ში, ჩემი სარცხვინელი შენს ასო'ს! ახლა შენი ასო მიწა'ზეა, ჩემი სარცხვინელი კი სადღაც ჰაერში. ნახევარ საათში იგი დაეშვება მიწა'ზე, მაგრამ შენი ასოსაგან ათასობით ვერსის და'შორებით! და რა მოხდება მერე, წარმოდგენა არა მაქვს! და საერთოდ, რა ხდება, როცა ერთმანეთ'ში მყოფი ნივთები (არსებები, მოელენები – ვერაფრით ვერ ეის'წავლე ზუსტი შესატყვისების შერჩევა!) უცებ გამოცალკევდებიან და შესა'ზარი სისწრაფით იწყებენ დაშორებას? რა ხდება, როცა დისტანცია პირველად იხსნება შენს წინ, როგორც კატასტროფა?"

აი,პირდაპირ ასე იწყება ეს რომანი და თბილისში ჩარჩენილ ლეოსა და ნიუ-იორკში მომუშავე ნატას შორის ხან რეფლექსიურ, ხან შმაგ, ხანაც ირონიულ მიმოწერაში კონცენტრული წრეებივით ნელ-ნელა იშლება ქალისა და მამაკაცის ურთიერთობის სხვადასხვა ასპექტები. და ორივე სქესის ბუნების პლიუსები და მინუსები, ამ ნაწარმოებში, შეიძლება ითქვას, ერთნაირი დო'ზითა და გამომსახველობითი სიძლიერით არის ნაჩვენები.

ბესო ხვედელიძის მოთხრობაში "კლარა" მამაკაცი ჩაგრულია. ქალის კომმარული ხატება ანადგურებს მას, ჭამს, და ეს ჭამა თანდათან მეტაფორად იქცევა. ყოველივე ეს ვითარდება 11 სექტემბრის ტერაქტის ფონზე, რაც, ცხადია, არაა შემთხვევითი: ჩანს, ავტორს მიაჩნია, რომ აპოკალიფსური მდგომარეობა საესებით შეიძლება გაიგივდეს ცოლის აქტიურობის პათოლოგიურ უსაზღვროებასთან. მხატერულად ეს უკიდურესი გროტესკითაა ნაჩვენები.

ე.ი. ერთის მხრივ გვაქვს ხვედელიძის "კლარა", მაგრამ მეორეს მხრივ არსებობს არაერთი ნაწარმოები, და ეს სიუხვე ბუნებრივია, სადაც პირიქით, ქალი-ცოლია ჩაგრული მამაკაცის მიერ. თუმცა ხშირად ქართული ლიტერატურის ეს ნიმუშები ვერ დაიკვეხნიან ორიგინალობით, ვერ ცდებიან სტერეოტიპულ აზროვნებას. ბოლო პერიოდის ნაწარმოებთა შორის მათგან გამორჩეულად მიმაჩნია მაკა მიქელაძის მოთხრობა "გვირაბი". ესაა ნაწარმოები, რომელიც ქალის ზღვრულ მდგომარეობაზეა და რომელშიც სათქმელის, ემოციური ველისა და ფორმის შესატყვისობა ზღვრულ სიზუსტეს აღწევს. თუ შეიძლება ითქვას, ესაა "ვირტუალური ეგზისტენციალიზმი", ან სულაც "ეგზისტენციალური ვირტუალობა" – კომპიუტერული თამაშისა და ადამიანის ცხოვრების არსის ეტაპობრივი იდენტიფიკაცია – ერთდროულად ტრაგიკული და ტაკიმასხრული.

"ნიას მხოლოდ ფორმაში ყოფნა ეეალებოდა" – წერს ავტორი და ნიაც, როგორც კომპიუტერულ გვირაბებსა და კომპიუტერული თამაშის ეტაპებს, ისე გადის თავის ცხოვრებას.

ქალის ასეთ ზღვრულ მდგომარეობაზეა დაწერილი ლია სტურუას ეროი ადრინდელი ლექსი – "ქვრივები":

"ჩემს სამყაროში დგანან ქალები,
გაბეზრებულნი შვილიანობით,
ხორბალს ხარშავენ თაფლში გარეულს,
და ბატკნებისთვის ლესავენ დანებს,
მერე ტირილით, ზარით, შავებით,
თავ-თავის კაცებს ასაფლაურებენ.
იქნება პური და ღვინო ბევრი,
და მზე იდგება ცაზე მკვდრისფერი,
ქმარს წაიღებენ შავი ცხენებით,
და მერე სულში ბზის ტყეებივით
ჩადგება რწმენა..."

საზოგადოებისაგან დაწესებული ნორმების შესრულება, მეუღლეთა დასაფლავების მთელი რიტუალის ჩათვლით, გარკვეულწილად მექანიკურად ხდება. ხოლო როდესაც ეს ლოკალური სამყარო,რომელიც თან "ძვირფასი და საყვარელია" და თან დამთრგუნველი, იხსნება და ქრება, მხოლოდ ამის შემდეგ, – ანუ მას შემდეგ, რაც "ქმარს წაიღებენ შავი ცხენებით", – მოდის რწმენა...

"უსნოობაა! როგორ შეიძლება ასეთი რაღაცეების წერა!" – იტყვის ბევრი, ისევე როგორც კაიშაურის ან ბურჭულაძის ტექსტებზე, მაგრამ ნამდვილი ლიტერატურა ხომ მუდამ დადგენილი კანონებისა და ნორმების გადამოწმება იყო, ადამიანური ცნობიერების იმ სიღრმეების დანახვა, რაც ეთიკასა და მორალს არ ხელეწიფება.

მსგავსი "უმსგავსო" სახისაა დათო ბარბაქაძის ლექსი "მე მსურს გაგაუპატიუროთ".

აი, როგორ იწყება იგი:

"რა მშვენიერია სამყარო, არა?

მე მსურს გაგაუპატიუროთ და გთხოვთ დამრთოთ ნება!"

თავისთავად, უკვე ეს წინადადება, რომელიც შემდგომში რეფრენად გასდევს მთელ ლექსს, არალოგიკურია, ვინაიდან გაუპატიურება ძალადობაა, პროტაგონისტი კი მდედრობითი სქესის წარმომადგენელს მიმართავს, გთხოვთ დამრთოთ ნებაო. ეს, მე, ცოტა არ იყოს, ნოდარ დუმბაძის "შემომეუპატიურას" მახსენებს. ლექსში რელიეფურადაა ნაჩვენები ქალისა და მამაკაცის გარკვეული ტიპის ურთიერთობების მთელი ხასიათი: ანუ, როცა არსებითად გაუპატიურებას აქვს ადგილი, მაგრამ გარეგნულად ეს ყველაფერი შენიღბულია და კეთდება ძალიან პოეტურ, რომანტიულ გარემოში. ასევეა მაკა მიქელაძის მოთხრობაშიც: გარემო მშვენიერია მაგრამ ეს მშვენიერება გამოიყენება იმისათვის, რომ ქალისთვისაც და მამაკაცისთვისაც იოლად და ზედმეტი ფსიქოლოგიური დაძაბულობების გარეშე მოხდეს სქესობრივი ძალადობა.

დათო ბარბაქაძის ეს ლექსი არის ძალიან გრძელი და სარეფრენო ფრაზებს შორის აი, ასეთი სახის "უწყინარი" ტირადებია:

"ქალიშვილო, შეხედეთ მთვარეს, რა ლამაზი

და ეს აძლიერებს აქცენტს, აჩვენებს პროვინციული გარემოს სულისშემხუთველ დამოკიდებულებას ქალის შემოქმედებითი თავისუფლებისადმი, თუმცა პროვინციული გარემო, ჩვენი აზრით, გარკვეულწილად, საშუალებაა, რათა მთლიანად ქართული საზოგადოების კომპლექსები იქნას დახატული ამ საკითხთან დაკავშირებით.

საყურადღებოა ერთი მომენტიც: დასავლურ ხელოვნებაში შემოვიდა საქმიანი ქალის ტიპი. თანამედროვე კინემატოგრაფში ეს მშვენიერად ჩანს, ეს კინემატოგრაფი კი ძირითადად თანამედროვე დასავლური პროზის ეკრანიზაციას წარმოადგენს. ქართულ ლიტერატურაში კი, სანთლით რომ ეძებო, ალბათ ვერ იპოვი ისეთ მოთხრობას ან რომანს, სადაც აღწერილი იქნება, თუ როგორ იკეთებს ქალი კარიერას – ბიზნესში, ხელოვნებაში თუ რა სფეროშიც გნებავთ. პირადად მე ასეთი ტიპის ნაწარმოებები სულ არ მიყვარს და არც ვიდარდებ, თუ ამ სახის ტექსტებს ქართულ ლიტერატურაში ვერ გადაეყრები, მაგრამ ობიექტურად, ეს იმის მანიშნებელია, რომ საქმიანი ქალი დღევანდელი ქართული საზოგადოებისათვის თვალშისაცემ მოვლენას ჯერ არ წარმოადგენს. ასე რომ არ ყოფილიყო, მიმდინარე ლიტერატურა მას რაღაცნაირად აუცილებლად არეკლავდა.

ამ სტატიაში შეეცადე. მოცემული საკითხისადმი მაქსიმალურად გახსნილი თანამედროვე ქართული ტექსტები მომყავია, და ეფიქრობ, საბოლოო ჯამში რაღაც სურათი კიდეც დაიხატა. მოყვანილი ნიმუშებიდან გენდერულ პრობლემატიკას ზოგჯერ ნაწარმოების ეპატაჟური ბუნება ბადებდა და არა საკითხის კვლევის მიზანმიმართული სურვილი, მაგრამ ამჯერად ამ პრინციპით მათ დახარისხებას არ შევუდგები, ვინაიდან ეს პირველი ცდა, როგორც დასაწყისშიც ითქვა, მხოლოდ და მხოლოდ თემატური მოზაიკის აწყობა იყო.

Summery of the article "Rare Gender Sincerities in Modern Georgian Literature" by Shota Iatashvili

This article is one of the first attempts to see how gender problematics is reflected in modern Georgian literature. This problem area had its place in Georgian literature since the ancient times, but from the 19th century these processes were intensified. The author considers the analysis of Georgian literature in this area to be an object of future works; yet he himself tries to construct s mosaic from the modern Georgian texts, maximally opened for the abovementioned tendency and underline some radical intonations. According to Shota Iatashvili, gender problematics rarely become conscious, even in case of authors reviewed by him. Visions of female and male writers are compared to each other. The article shows that since the Soviet period, authors have started to write about women's challenges in the contemporary world more openly and without euphemism. Furthermore, in most cases, crucial literary technique for them appears to be hyperbolization.

The article highlights the writings of: Otar Chiladze, Tariel Chanturia, Lia Sturua, Rusudan Kaishauri, Zaza Burchuladze, Davit Chixladze, Naira Gelashvili, Diana Vachnadze, Beso Xvedelidzze, maka Miqeladze, Dato Barbaqadze and Tsira Khurashvili.

VI.
მზერა, ხედვა და გენდერის პრეზენტაცია

ქალი და მამაკაცი:
გენდერული სტერეოტიპები და მოდიფიკაციები
ქართული, ამერიკული და ესპანური კინემატოგრაფის
მაგალითზე
თეო ხატიაშვილი

მასკულინობა და ფემინობა კულტურის დისკურსში
ნანა ბერეკაშვილი

გრძნობათა ანესთეზია12 ანუ მარინა ივანიშვილის
ვნებათა იმპერია
დაავით ანდრიაძე

თეო ხატიაშვილი

ქალი და მამაკაცი: გენდერული სტერეოტიპები და მოდიფიკაციები ქართული, ამერიკული და ესპანური კინემატოგრაფის მაგალითზე

(წერილი შექმნილია RSS-ის ჯგუფური სამეცნიერო პროექტის საფუძველზე (თეო ხატიაშვილი, გოგი გვახარია, ნინო დანელია, მარა მანუკიანი)

რაც უნდა პარადოქსული იყოს, ფსიქოანალიზი, რომელიც აანალიზებს პატრიარქალური ანუ მასკულინობის პრიმატით აღბეჭდილი ცივილიზაციის სტრუქტურებს, სადაც ფალოსი, ბიოლოგიური თუ სიმბოლური მნიშვნელობით, ცენტრად იქცევა, თავად წარმოგვიდგება ფალოცენტრულ მოძღვრებად. იგი ემყარება კასტრირებული – "დეფექტური" ქალის სახეს, რომელსაც პენისის შური მთელი ცხოვრების მანძილზე მიჰყვება. ქალი ამ შემთხვევაში განიხილება როგორც სხვა (არამამაკაცი), დამხმარე ობიექტი, რომელთან გამიჯვნაც ისევ და ისევ მამაკაცს ეხმარება საკუთარ სქესთან იდენტიფიკაციაში. ქალის "დეფექტი" მამაკაცს/მამას/პატრიარქს აპრიორი პრიეილეგირებულად აქცევს, რომლის ძალაუფლება პენისის ფლობას ემყარება. ოიდიპალური თეორიის მიხედვით სწორედ კასტრაციის შიში ჩაკლავს პატარა ბიჭში ლტოლვას დედისადმი – სურვილს პირველი ობიექტისადმი, რასაც მომავალში უკვე საკუთარი ქალისადმი სურვილი ჩაენაცვლება.

საგულისხმოა, რომ პატრიარქალური ასროვნება ქალის ფლობას ფალოსის ფლობასთან აიგივებს. უძველესი მითებიც სწორედ ამ პირობას ემყარება – გმირები საბოლოო გამარჯვებას მაშინ მოიპოვებენ, როცა ქალს ამარცხებენ. ანუ ქალი გააბრებულია, როგორც მთავარი მეტოქე, უმთავრესი საფრთხის წყარო, შეუცნობადი, იდუმალი "ბორიტი სულის" – ანიმას განსხეულება (იუნგი). თუმცა, ამავე დროს, სწორედ ანიმა ხდება მამაკაცისთვის სტიმულატორი ქვეცნობიერიდან ცნობიერში გადასასვლელად – ანუ გმირობიდან (დედასთან მიჯაჭვულობის ინფანტილურ-მითოლოგიური პერიოდი) რეალობაში გასასვლელად (ჩამოყალიბებული პიროვნება, რომელიც ეთიშება რა დედას, ისევ ანიმასკენ, ოღონდ ამჯერად სხვა ქალის, სატრფოსკენ ილტვის). ამ თვალსაზრისით, ევას არქეტიპი სხვა არაფერია, თუ არა იმპულსი უცნობის გაცნობიერებისკენ, რასაც თუმცა ჰარმონიის რღვევა მოჰყვება, მგრამ განვითარების "გარანტი" ხდება (1).

იუნგის კონცეპტი მამაკაცური რაციისა და პროგრესისადმი მიდრეკილი ქალური ირაციის შესახებ ფემინისტური თეორიების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დებულება ხდება. საკმაო განსხვავებულობის მიუხედავად, მათ აერთიანებს ქალის მიერ "პენისისადმი შურის" უარყოფა, რადგან ძალაუფლების ეს ინსტრუმენტი მხოლოდ პატრიარქალური სტრუქტურებისთვის არის სიცოცხლისუნარიანი (ლუსი ირიგარი). უარყოფა ხშირად იმის მტკიცებაში გადადის, რომ მამაკაცი ქალის სიძლიერეს შინაგანად აღიარებს (როგორც აღინიშნა, ის არის მთავარი მეტოქე), რაც ხან კასტრაციის, ხან კი ქალის, როგორც შემოქმედის, რეპროდუცირების უნარის მქონის მიმართ შურში ვლინდება.

ფემინოფობია პატრიარქალურ წარმოდგენებში ქალის რადიკალურად განსხვავებულ ორ ტიპაჟში აისახება, რომელთაგან ორიეე სექსუალურ იმიჯს ემყარება: 1) პატარა, სუსტი არსება, სასურველია ქერა, რომელიც დაცვას საჭიროებს. ის უბიწო ქალწულია, სექსუალურად მოკრძალებული და დადებით, ნორმალურ, მისაღებ კულტურულ წარმოდგენებთან ასოცირდება. 2) femme fatale (ქალი-ვამპი, მედუსა-გორგონა, სირინოსები და ურსხულთა ათასგვარი ინტერპრეტაცია, რომლებიც უმთავრესად მდედრობით სქესისანი არიან) – ენებიანი, მიზანსწრაფული, რომელიც მამაკაცებს თავის "კლანჭებში" იქცევს, მომაკვდინებელია მათთვის და შესაბამისად, ნეგატიურად ფასდება. ფემინოფობია მამაკაცს უბიძგებს, გაწყვეტოს კავშირი ქალთან/დედასთან, მაგრამ ამაში "გამოსავალი" არ არსებობს, რადგან იგი მეორე ქალს/ცოლს მიელტვის დაჟინებით. "ბოროტი ქალური გენიტალიის" გაუვნებელყოფა მხოლოდ მისი სიმბოლური სიკვდილით მიიღწევა – ანუ ქალს თვითრეალიზაციის საშუალება ესპობა და კასტრატის როლი მიეწერება (2).

ლუსი ირიგარის თქმით, პატრიარქალურმა ცივილიზაციამ მასკულინთა დომინანტურობის დასამტკიცებლად მოიგონა პირველადი მკვლელობის – მამის მკვლელობის მითი, რათა ამით ყველაზე არქაული – დედის მკვლელობა დაეფარებინა. კასტრაციასა და ოიდიპალურზე გადატანილი აქცენტი "გარდაუვალ და შეუხორცებელ ჭრილობას" – ჭიპლარის გადაჭრას ჩქმალავს. კაცმა ღმერთმა/მამამ მოკლა დედა იმისთვის, რომ ძალაუფლება ჩაეგდო ხელში, რის შედეგადაც დედას საკუთარი სიმბოლური განაცხადი ჩამოერთვა და განისაზღვრა როგორც კასტრატი (3).

სწორედ ქალის ასეთი სტატუსი განაპირობებს მის ძირითად ფუნქციას პატრიარქალური ცნობიერების ჩამოყალიბებაში: ის სიმბოლიზდება, როგორც კასტრაციის საფრთხე და ამით თავისი შვილის სიმბოლურ რიგში გადასვლას უწყობს ხელს; ამის შემდეგ ის აღარ არსებობს "კანონისა და ენის სამყაროში" და მხოლოდ დედისეული წიაღის მთლიანობასა და უკმარისობაზე მოგონებებში რჩება (ლაკანი) (4).

პოსტფემინისტური კრიტიკა ფემინისტებს ყველაზე მეტად ვერ "პატიობს" არანაკლებ უნივერსალურობასა და პატრიარქალური მექანიზმისთვის დამახასიათებელი ბინალური სტრუქტურით – ქალი/მამაკაცი – მანიპულირებას. მართალია, ფენინისტებმა უარყვეს ფროიდის დებულება, რომ "სქესი – ეს ბედისწერაა", მაგრამ მათ, ფაქტორივად, მხედველობის არის მიღმა მრავალფეროვანი იდენტიფიკაციები დატოვეს. "სახელის აღნიშვნის მრავალი შესაძლებლობა" არსებობს. ის, რომ ვიღაც

ქალია,არ ნიშნავს,რომ ეს მისი ერთადერთი იპოსტასია. "სქესი იკვეთება რასობრივი, კლასობრივი, ეთნიკური, სექსუალური და რელიგიური მოდალობებით", რაც განსაზღვრავს საბოლოოდ ინდენტიფიკაციას (დენის რაილი). "სქესი" თანამედროვე ტექსტებში, ფაქტობრივად, "გენდერმა" ჩაანაცვლა, რომელიც თავისი არსით ცვალებადი, პერფორმატიულია და რომლის თავისებურება დროით, სივრცით, კულტურული კონტექსტით ზუსტდება (ჯუდით ბატლერი) (5).

ფალლოგოცენტრულ ანუ ვერტიკალურ/იერარქიულ წარმოდგენებში კი სულ უფრო აქტიურად იჭრება ჰორიზონტალური, მოზაიკურად განლაგებული კორექტივები. აშკარა ხდება მამაკაცური შოვინიზმისა და რეპრესიული, მკაცრად ლოგიკური კულტურის კრიზისი, რის ალტერნატივადაც ფემინური – არალოგიკური, ოიდიპოსამდელი ენა ისახება.

სხვათა შორის, კინემატოგრაფის გაჩენისთანავე დაიწყეს საუბარი მისი სახით ფემინური ენის აღორძინებაზე, რამდენადაც კინოს "სამეტყველო აპარატი" არა მკაფიოდ დეფინირებულ ლოგოსზეა დაფუძნებული, არამედ ქაოსურ გამოსახულებაზე, ირაციონალურ, არაერთმნიშვნელოვან იერ-სახეებზე. თუმცა, ბუნებრივია, არსობრივად კინოც, როგორც პატრიარქალური ცივილიზაციის ნაწილი, პატრიარქალური ფასეულობების, მათ შორის გენდერული ასიმეტრიის აშკარა გამომხატველი იყო და დიდწილად არის კიდევაც. ამ ჭრილში ქართული კინო არასოდეს ყოფილა განხილული, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი კულტადქცეული ტრადიციები და კულტურული წარმოდგენები ეკრანზე საკმაოდ საინტერესოდ პროეცირდება. აქვე ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ ჩვენ, მსგავსად სხვა ტრადიციული კულტურებისა, სრულიადაც არ წარმოვადგენთ გამონაკლისს ტრადიციაზე ნაკლებად ორიენტირებულ კულტურათა შორის, სადაც ასევე მყარად ინერგება ქალი-მამაკაცის იერარქიული დამოკიდებულება. ამის საუკეთესო მაგალითია ჰოლიეუდი, რომელიც არა მარტო ოცნებების, არამედ გენდერული სტერეოტიპების მძლავრი ფაბრიკაც არის. ჩვენთვის გაცილებით ახლობელი და მონათესავე სამხრეთული, ესპანური ტრადიციული კულტურა კი წარმოშობს ალმოდოვარის ფენომენს, რომელსაც არა მარტო სერიოზული კორექტივები შეაქვს გენდერულ დისბალანსში, არამედ ნამდვილ ანარქიას ახდენს.

მამის სიმულაკრუმი

საქართველოში ფალოცენტრული მენტალიტეტის განმტკიცებას კომუნისტურმა დიქტატურამ დიდად შეუწყო ხელი, რაც თავის დროზე მართლმადიდებლობას ჩაენაცვლა. საბჭოეთის დაშლის შემდეგ კი რელიგიური ტრადიციების მძლავრი აღორძინება ანუ უკუნანაცვლება იწყება, რაც, ერთი მხრივ, ეროვნული იდეოლოგიის მომძლავრებამ და, მეორე მხრივ, რთულმა სოციალურმა ფონმა გამოიწვია.

საქართველო, რომელშიც სახელმწიფოებრიობა ერთიან უწყვეტ სისტემად ვერ ჩამოყალიბდა და მხოლოდ ცალკეული პრეტედენტების სახით ელინდებოდა, განიცდიდა ძლიერი მმართველის – მამის/ფალიკურის დეფიციტს (6). ამიტომ ისტორიისა და ისტორიული პირების (მეფეები,

მხედართმთავრები, ეროვნული მოღვაწეები) მითოლოგიზირება დამახასიათებელია ჩვენი ცნობიერებისთვის, თანაც ისინი ხელშეუხებლად ცხადდებიან და მათი შეფასებების გადახედვა საზოგადოების მხრიდან ყოველთვის მძაფრ რეაქციას იწვევს. ამდენად, ფალიკურის დეფიციტი მის საკრალიზაციას ახდენს და აზროვნების ფალოცენტრიზმიც არა იმდენად მამის მორჩილებაში, არამედ მის ძიება-ნოსტალგიაში ელინდება.

ამ თვალსაზრისით ქართული სინამდვილე, სადაც ოიდიპალური კომპლექსის თავისებურ მოდიფიკაციას ვაწყდებით, კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ნებისმიერი დისკურსის უნივერსალურად აღიარებას მხოლოდ ცდომილებამდე მივყავართ. რამდენადაც ქართულ კულტურაში არსებობს არა იმდენად მამა, რამენადაც მამის სიმულაკრუმი, მასთან იდენტიფიკაციაც უფრო მისტიფიკაციაა. ალბათ, ამითაც აიხსნება, ფაქტობრივად, სიცოცხლის ბოლომდე ქართველის დედასთან მიჯაჭვულობა და მისი ხასიათის ინფანტილურ-რომანტიკული ბუნება. სხვათა შორის, სწორედ ამ ნიშნის აქცენტირებით გაითქვა სახელი 1960 წლიდან მოყოლებული ქართულმა კინომ. აღსანიშნავია, რომ ქართულ კულტურაში ფსიქოლოგიური ჰეროიზმის განცდა არ არსებობს – ანუ მოთხოვნილება გმირისა, რომელიც მამას აღუდგება. ერთადერთი მითოლოგიური გმირი, რომელიც ღმერთებს აუმხედრდება, ამირანია და ისიც საშუდამოდ დასჯილი – მიჯაჭვულ და უმოქმედო. ეს მეტად საგულისხმო დეტალი დათრგუნული ამბოხების გამომხატველია.

ასეთი ფსიქოლოგიური მდგომარეობა კინოში გამოვლინდა, ერთი მხრივ, ხასგასმულად იდეალიზებულ, ჰეროიზებულ მხატვრულ სახეში, მეორე მხრივ, კი "უგმირობაში". პირველი მათგანის კულტივირება გასაგები იდეოლოგიური მოსაზრებებით განსაკუთრებული ინტენსივობით 30-50-იან წლებში ხდება. მიხეილ ჭიაურელის "არსენა" და "გიორგი საკაძე", ლეო ესაკიას "ბაში-აჩუკი" და ა. შ. – ეს ის ფილმებია, რომლებიც, ერთი მხრივ, სიკეთის ბოროტებაზე გამარჯვებას ქადაგებდა (რაც ძველი ცხოვრების ახლით დამარცხების იდენტური იყო), მეორე მხრივ, კი ამტკიცებდა ყოვლისშემძლე, იდეალური მამრის/ბელადის იმიჯს.

"ოტტეპლების" სიომ ქართულ კინოშიც შექმნა სოცრეალიზმის "გაადამიანურების" საფუძველი. 60-იანი წლებიდან იწყება ინფანტილური ანტიგმირების მთელი სერია (ოთარ იოსელიანის "გიორგობისთვე" და "იყო შაშვი მგალობელი", ელდარ შენგელაიას "არაჩვეულებრივი გამოფენა" და "შერეკილები", და სხვა), რომლებიც ერთი შეხედვით ჰგვანან ევროპულ თუ ამერიკულ კინოში მოსულ ნონკონფორმისტი თაობის პერსონაჟებს (ბუნებრივია, მათი მსგავსების ხედაპირულობა თუნდაც იმის გამო, რომ ისინი სრულიად განსხვავებულ სოციალურ-პოლიტიკურ ფონზე წარმოიშენენ და მათი რეაქციაც აბსოლუტურად საპირისპირო მიმართულებებისაა). ეს უკანასკნელნი – უმთავრესად ასოციალური "მეამბოხენი მიზეზითა თუ მიზეზის გარეშე" არა მხოლოდ ანტიგმირის, არამედ ანტიევარსკვლავის ფენომენსაც ამკვიდრებენ, რომელთა "დახასიათება იწყება უარყოფითი ნაწილაკით "არ": ის არ არის ლამაზი, ის არ არის ვაჟკაცური, ის არ არის გამარჯვებული, ის არ არის გმირი..." (7). მაგრამ ისინი არიან რევოლუციონერები, რაც არსობრივად განასხვავებს მათ "ქართველი შერეკილებისგან". ამ უკანასკნელთა პროტესტი ერთი-ორი გამონაკლისის გარდა (მწერალი – გიორგი

შენგელაიას "ალაყერდობაში", ნიკო – ოთარ იოსელიანის "გიორგობისთვეში"...) არ სცილდება გან'ხე გადგომას, ჩაურეკლობას, რაც "კერპების დამხობით" არასოდეს მთავრდება. "დასავლელი თანატოლებისგან" განსხვავებით, რომელთა ასოციალურობა უკვე თავისთავად მათი თავისუფლების იდენტური ხდება (ჯონ შლეზინგერის "ღამის კოვბოი", დენის ჰოპერის "უდარდელი მგ'ავრი", ბობ რაფელსონის "5 მსუბუქი პიესა"...), ქართველი გმირები წარმომავლობასთან, ტრადიციებთან, კულტურასტან კავშირს ყოველთვის ინარჩუნებენ (გამონაკლისის სახით უნდა აღვნიშნოთ ერთაო'ი ელდარ შენგელაიას "შერეკილებიდან", რომელიც ფილმის დასაწყისში თავის უბადრუკ ქოხსაც კი ფიცარ-ფიცარ გაყიდის, რაც მისი აბსოლუტური გათავისუფლების მეტაფორად იკითხება); ხაზგასმულად მიენიშნება მათ არისტოკრატულ ძირებ'ე, რაც კომუნისტური დიქტატის რეპრესიებში მოექცა და იმ დროისთვის დისიდენტურად იკითხებოდა... ამიტომაც ამ პერსონაჟების "კონტრკულტურა" ყოველთვის "კულტურულია" და არა ანარქიული, მებრძოლი.

90-იან წლებში პოლიტიკური კერპების დამხობისა და საყოველთაო ქაოტურობის ფონზე ქართულ კინოში ძლიერი მამის ნოსტალგიის ტენდენცია შეინიშნება. ერთმანეთის მიყოლებით გამოდის გოდერძი ჩოხელის "ლუკას სახარება", ზაზა ურუშაძის "აქ თენდება", ლევან ანჯაფარიძის "ორმაგი სახე" და ა. შ., რომლებიც მამის ხატის ირგვლივ არის კონსტრუირებული. თანაც შვილის სისუსტე, მისი ავადმყოფობაა ხაზგასმული, რომელიც მოვლას/მფარველობას საჭიროებს. საგულისხმოა, რომ ხსენებულ ფილმებში დედა ან არ ჩანს, ანდა მისი არსებობა მხოლოდ ფორმალურია (8).

დედის კულტი

ქართულ კინოში ყველა'ზე მონუმენტური გენდერული არქეტიპები სწორედ წარმავალ თაობას – დედას და მამას – უკავშირდება: გიორგი სააკაძე და გიორგი მახარაშვილი (რეზო ჩხეიძის "ჯარისკაცის მამა"), ოთარაანთ ქვრივი (მიხეილ ჭიაურელის ამაყე სახელწოდების ფილმი) და მაგდანა (რეზო ჩხეიძის "მაგდანას ლურჯა"). მაგდანას გარდა,სამივე მათგანს შვილები უკვდებათ (სააკაძე, ფაქტობრივად, ვაჟს მსხვერპლად სწირავს სამშობლოს) – ანუ ისპობა მომავლის პერსპექტივა, მაგრამ გადარჩენის იმედად, ქვეყნის ბურჯად დედისა და მამის მონუმენტური სახეები რჩება. საგულისხმოა, რომ მედეას არქეტიპი სწორედ საქართველოს უკავშირდება; ყოველი ბავშვის რეპერტუარში კი შედის ხალხური ლექსი "საბრალო ჩიტ-ჩიორა'ზე", რომელსაც მელია პერიოდულად შვილებიანად გადასანსელას ემუქრება. "მსუნაგ" მელიას ჩიორა თითო-თითო ბარტყით უმასპინძლდება (?!).

მაგდანა და ოთარაანთ ქვრივი ქართულ ლექსიკაში ილია ჭავჭავაძის ჰიერ დამკვიდრებული სიტყვის – "დედაკაცი" – რეპრეზენტაციას ახდენენ, რომელიც ქალის აღმატებული ხარისხის აღმნიშვნელია. ერთი შეხედვით, შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ სიტყვის ერთგვარი ანდროგენულობა ორივე აქცესს თანაბარ რანგში განიხილავს, თუმცა სინამდვილეში საქმე გვაქვს სასკულინი'საციასთან, როგორც უპირატესობის მინიჭებასთან (ენა'ში

ასახული მასკულინური რეპრესიის კიდევ ერთი მაგალითია "ქაცი", როგორც სინონიმი "ადამიანის", "პერსონის", რომელიც კრებითი მოვლენის აღწერისას ქალის აღმნიშვნელიც ხდება). დედაკაცი გარკვეულწილად დედა-სამშობლოსთან ასოციირდება, რისი სიმბოლური გაერთიანებაც ეროვნული იდენტიფიკაციის ნიშნად ქცეულ "ქართლის დედაში" მოხდა. ფალოსისებური ფორმის დეეროტიზებული ქალი ხმლით (ფალოსით) ხელში თბილისს ზემოდან ამაყად გადმოყურებს (შამა-ღმერთის პოსა პრეროგატივა). იდეალური ქალის სიმბოლოდ ქცეული ფიგურა ეროვნულ ცნობიერებაში ღრმად გამჯდარი წარმოდგენის გამომხატველია, როცა დეკლარირებული ქალის კულტი, ფაქტობრივად, დედის კულტთან იგივდება. გარკვეულწილად, ალბათ, ამითაც აიხსნება ღვთისმშობლისადმი გამორჩეული პატივისცემა, მისი წილხვედრობის პრეტენზია – მისი "ფუნქციაც" ხომ ის იყო, რომ მასში ჩასახულიყო და გაეზრდა.

ამ შემთხვევაში ქალს პრეპროდუქციულობის გარდა, ყველა თვისება ჩამორთმეული აქვს. ოჯახის შექმნამდე მას, ფაქტობრივად, დღემდე თავისუფალი სექსუალური ურთიერთობა ეკრძალება, შვილის გაჩენასთან ერთად კი ის სქესს "კარგავს" – ქალი აღარ არის სრულფასოვანი პიროვნება, არამედ მხოლოდ დედა, რომლის მთელი ენერგია შვილის აღზრდაშია აკუმულირებული. თუმცა საქართველოში "სრულფასოვნების" თავისებური კრიტერიუმი მუშაობს: რაც უნდა წარმატებული იყოს ქალი პროფესიონალურადაც და ინტუმურ ცხოვრებაშიც, თუ მას ოჯახი და შვილი არ ჰყავს, საზოგადოების მხრიდან ის მაინც "არასრულფასოვნად" აღიქმება.

ყველაფერ ამის გათვალისწინებით ბუნებრივია, რომ საქართველოში ეროტიკულობა ტაბუირებული და დასაძრახია. ასეთ დამოკიდებულებას ქრისტიანული დოგმატიკაც უწყობს ხელს, რომელიც სიამოვნებას (არა მარტო სექსუალურს) ცოდვად მიიჩნევს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ გაცილებით არაპურიტანულია ქართული ფეოდალური კულტურა, განსაკუთრებით ფოლკლორული, რომელიც, საერთოდ ნაკლებად ემორჩილება აკრძალვებს. როგორც ჩანს, ტაბუ საბჭოთა მორალისტურმა იდეოლოგიამ უფრო გააღრმავა, რომელიც აცხადებდა, რომ "ჩვენში სექსი (სინონიმი ბურჟუაზიულისა) არ არსებობს". შესაბამისად, ქართული კინოც გაურბის ეროტიკულობის მინიშნებასაც კი და თუ პრეცედენტი მაინც არსებობს, აუცილებლად ნეგატიური შეფერილობის.

ალექსანდრე წუწუნავის "ქრისტინე" – პირველი ქართული მხატვრული ფილმი (1916/1917 წწ.) გახდება დასაბამი კიდევ ერთი მძლავრი არქეტიპისა – ნამუსახდილი, დაჩაგრული, დაუცველი ქალისა. გაუპატიურება ყველაზე დიდ უბედურებად ცხადდება, რაც ქალს შეიძლება დაემართოს და რასაც ის თვითმკვლელობამდე მიჰყავს. 90-იანი წლების დასაწყისში ეკრანებზე "ქრისტინეს" ახალი ინტერპრეტაცია გამოდის – ერეკლე ბადურაშვილის "თბილისი ჩემი სახლია", სადაც პრობლემის "ტრაგიზმი" კვლავ უცვლელი რჩება. თითქოს საუკუნოვანი ინტერვალის შემდეგ ქართული კინო ტრადიციისადმი უბადლო ერთგულებას ინენს.

სწორედ სუსტი, უუფლებო, უმწეო ქალის მხატვრული სახის ხორცშესხმით გაითქვა სახელი ნატო ვაჩნაძემ, რომელიც ყველაზე პოპულარული ვარსკვლავი იყო ქართულ კინოში. სხვათა შორის, ყველაზე წარუმატებლად ევროპელი ქალის მისი რამდენიმე როლი ითვლება, თუმცა

აქაც მამაკაცსე დაქვემდებარებულ, სიყვარულის მსხვერპლს განასახიერებს.

რა თქმა უნდა, მუნჯი კინოს ეს იმიჯი იდეოლოგიურ კონიუნქტურასაც ითვალისწინებდა – ახალი ბოლშევიკური ყოფა ყოველგვარ პატრიარქალურს უპირისპირდებოდა და მისი უკეთესით შეცვლას გვპირდებოდა. 30-იანი წლებიდან საბჭოურ რეჟიმს დისკრიმინირებული გმირების ჩვენება უკვე აღარ აწუობდა. გათანაბრება-გათანასწორების პრინციპი სქესობრივ იერარქიებსაც ეხებოდა. შესაბამისად,მორცხვ,პასიურ, ვინმესე დაქვემდებარებულ ქალს აქტიური,ემანსიპირებული პერსონაჟები ცვლიან. ამოქმედებას იწყებს "დედაკაცის" – "რკინისებური ქალის" არქეტიპი: კოლმეურნე ქალები,სოცშეჯიბრის გამარჯვებულნი,სამშობლოს შეწირული გმირები (რეზო ჩხეიძის "მაია წყნეთელი", ნიკოლოზ შენგელაიას "ნარინჯის ველი", სიკო დოლიძის "დარიკო" და ა. შ.). ანუ ქალები, რომლებშიც მოვალეობა გრძნობასე დომინირებს (ასეთი გმირები ყოველთვის უფრო პოპულარული იყო საქართველოში: მაგალითად, ნესტან-დარეჯანი, ვიდრე თინათინი, ოთარაანთ ქვრივი, ვიდრე ყაზბეგის ვნებებით სავსე პერსონაჟები და ა. შ.). 50-იანი წლებიდან კომკავშირული პათეტიკა შედარებით რბილდება, თუმცა არსობრივად არც ამ პერიოდის ლაღი და ქალაბიჭა გოგოები (რეზო ჩხეიძის "ჩვენი ეზო", სიკო დოლიძის "ჭრიჭინა", "აბესარა"...) განსხვავდებიან თავდაჭერილი და სანიმუშო წინამორბედებისგან.

ამ თვალსაზრისით, არც 60-იანი წლების "ახალი ტალღა" შემოიტანს მნიშვნელოვან ძვრებს,მაგრამ მაინც აღსანიშნავია ლანა ღოღობერიძის გამოჩენა კინოში, რომელსაც ლირიკული ინტონაციები მოჰყვება ("ფერიცვალება", "მე ვხედავ მზეს", "როცა აყვავდა ნუში"). რეჟისორი ქალის ერთგვარად ნარცისული გმირებისგან სრულიად განსცავებულ მუხტს ატარებენ მერაბ კოკოჩაშვილის ამავე პერიოდის პერსონაჟები ("მიხა", "დიდი მწვანე ველი"), რასაც მათი დაფარული ეროტიზმისა და ვიტალური ვნებების დაძაბულობა წარმოშობს. მაგრამ ზოგადად მაინც, გარკვეულწილად, დღემდე ძალაში რჩება "აქსიომა": ქალი მით უფრო დადებითია, რაც ნაკლებ ეროტიკული და მით უფრო მისაბაძია, რაც უფრო უკარება.

ქალები მზერის ქვეშ

ძლიერად დეეროტიზირებული სახეები – ალბათ, ეს არის ყველაზე არსობრივი განმასხვავებელი ქართული მხატვრული სახეებისა ამერიკულთან შედარებით, რომელიც ასევე მძლავრად იდეოლოგიზირებულია და ემყარება მსგავს მითოლოგიურ (კეთილი–ბოროტი) თუ გენდერულ არქეტიპებს (ძლიერი კაცი – სუსტი ქალი), ოღონდ ამ შემთხვევაში ქალის და კაცის რეპრზენტაციაც ძალზე სექსისტურია, ანუ მათი მნიშვნელობა ეროტიზაციის ხარისხით განისაზღვრება.

ამერიკულმა კინომ იმთავითვე შეასხა ხორცი პატრიარქალური ცივილიზაციის მიერ შემუშავებულ იმიჯებს: 1) ძლიერი, დაკუნთული ჭასკულინი (განსაკუთრებით აღსანიშნავია ვესტერნი, რომელიც, როგორც ჟანრი, სწორედ ამ არქეტიპის კულტივირებით ჩამოყალიბდა); 2) სუსტი,

ნაზი ქალი (პოზიტიური); 3) ფატალური ქალი, რომელიც მამაკაცებზე მაგიური ზემოქმედების მიუხედავად, მაინც მათ'ზეა დამოკიდებული. ამ მხრივ, მარლენ დიტრიხის, გრეტა გარბოსა თუ ბეტ დეივისის უძლიერესი სახე-სიმბოლოებიც კი არ არის გამონაკლისი. ფილმები მათი პერსონაჟების გარშემო იგება, მაგრამ ეს მხოლოდ ფსევდოცენტრია; სინამდვილეში ისინი ისევ და ისევ მამაკაცური სურვილის გამოხატულებანი არიან (საგულისხმოა გაეიხსენოთ, რომ მელოდრამა ქალებისთვის განკუთვნილ, მათ საყვარელ ჟანრად ითვლება. თუმცა მისი იდეოლოგია ქალთა სასარგებლოდ არასოდეს მოქმედებს – ყველაფერი მამაკაცის ნების, ქალზე, როგორც ობიექტზე, მისი სურვილის გამარჯვებით მთავრდება. "ზემს ფილმებ'ში მარლენი არ არის მარლენი. დაიმახსოვრეთ,– მე ვარ მარლენი", – აცხადებდა დიტრიხის უცველი რეჟისორი შტენბერგი. "საბედისწერო ქალები" მამაკაცებთან გამოცხადებულ თუ გამოუცხადებელ ბრძოლა'ში ებმებიან, რაც ხ'შირად "არაქალური" გარეგნობის იმიჯით გამოიხატება (იქნება ეს დიტრიხის გარკვეულწილად ბისექსუალური მინი'შნების მატარებელი სმოკინგი "მაროკო'ში", გრეტა გარბოს კამ'სოლი "დედოფალ ქრისტინა'ში" თუ ბეტ დეივისის გადახოტრილი თავი "დედოფალ ქალწულ'ში"...), მაგრამ ეს მაინც ისევ და ისევ მამაკაცის ქმედება'ზე პასუხია ან პროეკაცია. "მნი'შვნელობა აქვს მხოლოდ იმას, თუ რას ინსპირირებს გმირი ქალი ან უფრო სწორად, რის რეპრე'ზენტაციას ახდენს... თავისთავად ქალს არანაირი მნი'შვნელობა არ აქვს" (9). მთელი მისი ინსპირაცია კი მამაკაცის სიყვარულის, მამაკაცის ყურადღების, მისი მ'ხერის მისაპყრობადაა მიმართული, თუმცა ამის უკან ხ'შირად საკუთარი ინდივიდუალობის დადასტურებისა და "სხვად ყოფნის უფლების" მოპოვების მცდელობა იკითხება. ყოველივე ამის კლასიკურ მაგალითად შეიძლება განვიხილოთ წითელ კაბა'ში გამოწყობილი ბეტ დეივისის მეჯლის'ზე გამოცხადების ცნობილი ეპი'ზოდი უილიამ უაილერის ფილმ'ში "იეზებელი". თეთრსა (ქალები) და შავებ'ში (კაცები) გამოწყობილი სა'ზოგადოების ფონ'ზე, რომელიც წესრიგის, მორალის სიმბოლოდ აღიქმება, მოლიელვე წითელი ლაქა იკითხება არა იმედენად,როგორც ეროტიკული ფეტიში, არამედ როგორც ნორმატიულობის წინააღმდეგ აჯანყება. გასათვალისწინებელია ის მომენტიც, რომ შავ-თეთრ ფილმ'ში წითელი ფერი ილუ'ზორულია, თუმცა მუქი ტონალობა უახლოვდება შავს – ანუ მამაკაცის (ამ შემთხვევა'ში, ძალაუფლების) ტანსაცმლის ფერს.

მაგრამ პატრიარქალური სა'ზოგადოების ისტორიას კაცები ქმნიან, ქალები კი მხოლოდ მათ მიჰყვებიან. ქალებს სიჩუმე'ში ყოფნა, მდუმარება მიუსაჯეს, ამდენად მათი პროტესტი ან კრახით ან მონანიებით მთავრდება. მარლენ დიტრიხის სასიყვარულო ინტრიგებ'ში გახვეული გმირი (ფონ შტენბერგი "ქერა ვენერა") საბოლოო ბედნიერებას ისევ ქმართან ჰპოვებს. ხაზგასმ'ულია, რომ მას ეს უკანასკნელი აყენებს "ჭეშმარიტ" გზა'ზე – აბრუნებს ოჯახ'ში., გრეტა გარბოს ფილმის "ქალი კამელიებით" აფიშებიც კი იმის მაუწყებელი იყო, რომ ქალის სიცოცხლე/ცხოვრება მთლიანად მამაკაცს ეძღვნება. ის, ფაქტობრივად, სიყვარულის საკურთხეველთან მიტანილი მსხვერპლია. ამ სიყვარულს კი პატრიარქალური სა'ზოგადოება აკონტროლებს და საჭიროების შემთხვევა'ში ქალს უკრძალავს კიდევაც: "მომხვიე ხელები მანამდე, სანამ უკანასკნელი ამოსუნთქვა დატოვებს ჩემს სხეულს", ანდა – "მარადიული ქალი მზად არის, იტანჯოს და

მოკვდეს მამაკაცისთვის, რომელსაც მთელი სიცოცხლე და სიყვარული უძღვნა".

კლასიკური ჰოლივუდური კინო ქალს მანიპულირების ობიექტად აქცევს, რომელიც "მზერის პრიორიტეტის" თუ "მზერის სიამოვნების" ფაქტორს ეფუძნება. როგორც ცნობილია, ეს უკანასკნელი აქტიურ/მამაკაცურ/ვუაიერისტულ და პასიურ/ქალურ/ექსჰიბიციონისტურ დისკურსებს ემყარება. ქალის როლი შეიძლება განისაზღვროს, როგორც "მზერის ქვეშ ყოფნა" (to be looked at ness), მაშინ როდესაც მამაკაცი მზერას მიმართავს. შესაბამისად, ქალისა და მამაკაცის სექსუალური სიმბოლოები ეკრანზე სხვადასხვა დატვირთვას ატარებს: 1) კაცის ეროტიზაცია მოქმედების, ძალაუფლების, ფლობის გამომხატველია; მასთან ხდება იდენტიფიკაცია, როგორც სუპერმენთან და, შესაბამისად, მამაკაცური ამბიციის დაკმაყოფილება. 2) ქალის ეროტიზაცია კი მომლოდინეს – ლტოლვილის, მამაკაცის სურვილის ობიექტის სტატუსის მატარებელია. მაგრამ რამდენადაც ძლიერია ქალის სექსუალური სიმბოლო და მისგან მიღებული სიამოვნება, მით უფრო მძაფრდება კასტრაციის შიშიც. თუმცა ამ შიშის დაძლევა, მისი (ქალის ანუ "ბოროტი ქალური გენიტალიის") გაუვნებელყოფა შესაძლებელია, თუ ქალი იქცევა ფეტიშად, რაც "ქალურობის" იდეალიზაციით ან უტრირებით მიიღება. კამერა, რომელიც ფალოსის ფორმისაა, აქცევს სწორედ ქალის სხეულს ფეტიშად და ამით მის უკან მდგარი რეჟისორის (უმთავრესად ასევე ფალიკური სიმბოლო) ვუაიერისტული ენების ფიქსაცია-ნეიტრალიზაციას ახდენს. კამერა-რეჟისორის ტანდემი (ლაურა მალვის თქმით, "ტყუარ მექანიზმი") საბოლოოდ ქალის "სიკვდილს" იწვევს, რისი აშკარა დემონსტრირებაც არის ქალის სხეულის მიმართ – როგორც უსულო სხეულის მიმართ – დამოკიდებულება, მისი დანაწევრება-დაჩეხვა. "ფრაგმენტიზირებული სხეულის ნაწილების ჩვენება ანგრევს რენესანსულ (ფერწერულ) სივრცეს, სიღრმის ილუზიას, რომელიც ნარაციას საჭიროებს; ის ეკრანზე არა სინამდვილის ეფექტს, არამედ ზედაპირულობის, ბრტყელი ამოჭრილი ფიგურის ან იკონური ნიშნის შთაბეჭდილებას ბადებს" (10). "უწყინარი" ეროტიზმის მოდუსი განსაზღვრავს მსხვილი ხედით ნაჩვენებ მარლენ დიტრიხის გრძელ ფეხებსა თუ გრეტა გარბოს სახეს, რომელსაც როლან ბარტი ტოტემის გამოსახულებას ადარებს (11). ასეთი შეიძლება იყოს მხოლოდ არქეტიპი, რომლის ერთადერთი ეპითეტია "ღვთაებრივი" ანუ შესაბამისად, მიუწვდომელი.

"აბსოლუტური სილამაზის" ეფექტი აუცილებელი და ბაზისური ელემენტია ვარსკვლავთა სისტემაში. შემთხვევითი არ არის, რომ პირველი ვარსკვლავი სწორედ ქალი იყო – ფლორენს ლაურენსი, რომელიც ჩვეულებრივი ობივატელის იდეალს აკმაყოფილებდა. კრიტერიუმები დროით ნაკარნახევი მოდისა და გემოვნების მიხედვით იცვლება (თუ, ვთქვათ, რენესანსული იდეალი ფუმფულა, მრგვალ ფორმებში ვლინდება და გამხდარი ქალი "ავადმყოფურად" ითვლება, დღევანდელი მოდის მიხედვით კრიტერიუმი პოლარულად შემობრუნდა), რის შედეგადაც კიდევ უფრო მყარდება ქალის, როგორც მკაცრად კონტროლირებადი სხეულის აღქმა.

ვარსკვლავის შემთხვევაში იდეალური უნდა იყოს ყველაფერი – გარეგნული მონაცემებიდან დაწყებული "შეფუთვის ტექნიკით"

დამთავრებული. ამიტომ ქალი ნაირნაირ კოსტუმებში საგანგებოდ ირთვება, საწოლშიც არ იშორებს რთულ ვარცხნილობასა თუ სქლად დადებულ მაკიაჟს; ის ყოველთვის თხემით ტერფამდე მოწესრიგებული უნდა იყოს. რაც უფრო რაფინირებული, მყიფე და სათუთი იქნება მისი იმიჯი, მით უფრო იდეალურ იკონურ ნიშანთან გეექნება შეხება. საგულისხმოა, რომ კონკიას იდენტიფიკაცია, რომლის არქეტიპი ჰოლივუდში დღემდე აქტუალურია, ხდება მის ნამცეცა ფეხთან (დედინაცვლის ბოროტი ქალიშვილისგან განსხვავებით, რომელიც ფილიგრანულ ფეხსაცმელს გაჭირვებით ირგებს). აქ საინტერესო იქნება, გავიხსენოთ ფეხის გადახვევის უძველესი ჩინური ტრადიცია, რის შედეგადაც ზრდას აჩერებდნენ. პატარა ფეხის "პრეროგატივა" არისტოკრატ ქალებს ეკუთვნოდა და ითვლებოდა, რომ ეს ენებიანი და აღმგზნები ვიგინის ჩამოყალიბებას განაპირობებდა (12). სინამდვილეში, ეს ტრადიცია მკაცრ მორალისტურ საფუძველს ემყარებოდა – ქალის ფიზიკური უსუსურობა (ბუნებრივია, მას მოძრაობა უჭირდა) კერასთან მის მიჯაჭვულობას კიდევ უფრო აძლიერებდა და მისთვის მიკუთვნებულ ფუნქციას – სექსის ობიექტი და შვილების "გამომკვები" – ამყარებდა.

საერთოდ, მორალისტური შეფასება, როგორც ვთქვი, მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ქალის მხატვრულ სახეებს: უბიწო – დადებითი, femme fatalle – უარყოფითი. ეს უკანასკნელი, როგორც ეროტიკული ფეტიში, დედობრიობის ცნებასთან გამიჯნულია. ჰოლივუდურ კინოში, როგორც წესი, მათ შვილები არ პყავთ, სამაგიეროდ, უდიდეს გაფრთხილებას ატარებენ: მამაკაცებო, ნუ აპყვებით ცდუნებას, ნუ ენდობით ასეთ ქალებს. გაფრთხილება განსაკუთრებით საგანგაშო ხდება 50-იანი წლებიდან, როცა ემანსიპაციის თანმდევი "გაშიშვლების სინდრომი" ფერად ბაფთებში შეფუთული "თოჯინა-პრესენტის" თავდაცვის მექანიზმს მნიშვნელოვნად აქვეითებს. დიტრიხის რაფინირებულ ეროტიკულობას მერლინ მონროს ვულგარული სექსუალურობა ცვლის. ჰოლივუდი ეს, ალბათ, ყველაზე დიდი და უკანასკნელი მითი, რომელიც სწორედ ფეტიშიზაციის მსხვერპლი გახდა, უხეში მგრძნობელობის სიმბოლოდ იქცა. ის აღარ იყო სახე-სიმბოლო, რომელიც შეიძლება შეგიყვარდეს, არამედ ქალი, რომელთან დაწოლაზე მილიონობით კაცი ოცნებობს. მისი ფოტოები კორეის ფრონტზე იგზავნებოდა, როგორც ე. წ. "ჯარისკაცთა მადონას" იკონური ნიშანი. ფეტიშაზაცია ამ შემთხვევაში სხვა აქცენტით მიმდინარეობს – ქალური ფორმების (დიდი მკერდი, თეძოები, ენებიანი, ხორციანი ტუჩები და ა. შ.) ხაზგასმა, უტრირება, იდეალიზაცია... "დადებითი", უბიწო ქალწულისგან მან ერთგვარი ინფანტილიზმი (მოშტერო გოგონა, რომელიც თავისთავად უკვე ნაკლებად საშიშია) და ქერა კულულები შეისისხლხორცა. მსგავსი იერ-სახე განსაკუთრებით აქტიურად "Film noir"-სა თუ ჰორორის ჟანრში ინერგება (ჰიჩკოკის შემოქმედება, პოლანსკის "როზმარის ბავშვი" და სხვა). ის არა თუ ასოცირდება, არამედ ხშირად პირდაპირ აცოცხლებს მეზღვაურთა სიმღერით მომნუსხავი სირინოზების (ორსონ უელსის "ლედი შანჰაიდან"), მაგიური მზერის მედუზა-გორგონას (რობერტ ოლდრიჩის "მაკოცე ძლიერად") თუ ათასგვარ "ქალური სახის" საბედისწერო არქეტიპებს.

მსგავსი არქეტიპების მოჭარბება 50-60-იან წლებში (და არა მარტო კინოში) თითქოს პარადოქსულია, რადგან სწორედ ამ თაობებთან

ასოცირდება "სქესთა თანასწორობის", "სექსუალური რევოლუციისა" და ა. შ. ლოზუნგები, რაც ფემინოფობურ მითოლოგიასთან ინელად მონტაჟდება. პარადოქსულია, მაგრამ ამავე დროს ლოგიკურიც, რაც უფრო აქტიურდება ქალის სოციალურ-პოლიტიკური სტატუსი, ქვეცნობიერში ჩაძირული შიშისმომგვრელი იერ-სახეები მით უფრო ძლიერად ამოტივტივდება.

სანიმუშო ქალი და "საყვარლის აჩრდილი"

როგორც უკვე აღვნიშნე, ქართულ კინოში ქალი, როგორც ეროტიკული სიმბოლო (ანუ შესაბამისად, femme fatalle-ს იმიჯი), ფაქტობრივად, იგნორირებულია. ერთი შეხედვით შეიძლება მოგვესვენოს, რომ ეს ეროვნულ მენტალიტეტში არარსებული (ან მცირედობით არსებული) ფემინოფობიით არის განპირობებული. ფსიქოლოგთა ნაწილი სწორედ ამით ხსნის ქართული კინოს ეროტიკული ეპიზოდებისადმი გულგრილობას. ჩემი აზრით, ამ შემთხვევაში გაათმაგებული ხარისხით ერთვება შიშიც, მორალისტური შეფასებაც და ტაბუც, რითიც მამაკაცის უსაფრთხოება მაქსიმალურად გარანტირებულია. ამიტომაც გადადის აქცენტი დედის სახეზე, რომელიც კეთილშობილებასთან ერთად, როგორც წესი, სტერილური სიმბოლოა. აქა-იქ შეგვახსენებენ, რომ არსებობს "სხვა" ქალიც – არა დედა,მამაკაცის ლტოლვის ობიექტი,თუმცა ის,ფაქტობრივად, არარეპრეზენტირებულია. ამ ტენდენციას ამ შემთხვევაში "საყვარლის აჩრდილის სინდრომი" ეუწოდოთ. მათ (ანუ საყვარლებს) ეკრანზე არც კი აჩვენებენ; მათი არსებობის შესახებ ძირითადად დიალოგებიდან ვიგებთ ან, უკეთეს შემთხვევაში, ხაზგასმულად ქალური შარმით წამიერად გაიელვებენ. ლეო ესაკიას ფილმში "ნინო" სწორედ ამ "აჩრდილის" გარშემო იგება მთელი ინტრიგა. ის უწესიერესი, საუკეთესო მეოჯახესა და პროფესიონალს (ექიმი), უსათნოესი გარეგნობის ნინოს უპირისპირდება. თენგიზ აბულაძის "სხვის შვილებში" ეს დაპირისპირება ხდება ქვრივ მამაკაცში შეყვარებულ ორ ქალს – საყვარელსა და უმანკო "დეიდა ნატოს" შორის. არჩევანი, რა თქმა უნდა, ამ უკანასკნელის სასარგებლოდ კეთდება, რაშიც გადამწყვეტ ფაქტორს ქვრივის ნატოზე უზომოდ შეყვარებული ბავშვები ასრულებენ. ფილმი თავისი რიტორიკით ძალზე წააგავს მოგვიანებით შექმნილ რობერტ უაისის მიუზიკლს "მუსიკალური ჰანგები", რაც საქართველოში მეტად პოპულარული იყო. ჯული ენდრიუსის გმირი სწორედ დედობრივი ინსტინქტების დემონსტირებით იგებს კაპიტნის გულს და ჭირვეულ საცოლეზე უარს ათქმევინებს, რომელსაც არანაირი სითბო და სიახლოვე არ აკავშირებს კაპიტნის მრავალრიცხოვან ბავშვებთან.

ქალი, როგორც დედა ან პროფესიონალი და ქალი, როგორც საყვარელი არსება – ამგვარ დიხოტომიას ვერ გაექცა ლანა ღოღობერიძეც,რომელიც, როგორც ვთქვი, მთელ საბჭოურ კინემატოგრაფიულ სივრცეში "ქალური ხმის" ერთ-ერთ დამამკვიდრებლად ითვლება. მას ყველაზე დიდი პოპულარობა მოუტანა ფილმმა "რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე", რომლის გმირი ქალი – წარმატებული ჟურნალისტი, მოულოდნელად შეიტყობს, რომ მას ქმარი ახალგაზრდა, მომხიბვლელ ქალთან ღალატობს (თავად ჟურნალისტი ხაზგასმულად "არაქალურია" – ატარებს მამაკაცურ

ლაბადას და დიდ სათვალეს). კელაე გადაუჭრელი რჩება დილემა – რა არჩევანი აქვს ქალს? იყოს მამაკაცისთვის სასურველი ობიექტი თუ იყოს დედა და მით უმეტეს, წარმატებული პროფესიონალი? სხვათა შორის, მთელ საბჭოურ კინემატოგრაფიაში გმირის (ქალიც და კაციც) "დადებითობის" აუცილებელი პირობაა მისი საქმიანობა, "სანიმუშო მუშაკობა" (ამის აუცილებლობა ამერიკულ კინოში არ არსებობს. პოზიტიური შეფასებისთვის საკმარისია, ქალი პატიოსანი და კარგი მეოჯახე იყოს, მამაკაცი კი – ძლიერი და სამართლიმოყვარე, თუნდაც მხოლოდ "კოლტს" ატრიალებდეს ყოჩაღად). პირველ ეტაპზე (20-30-იან წლებში) ისინი სოციალისტური შრომის დამკერელები არიან, შემდეგ (წერა-კითხვის უცოდინრობის საყოველთაო დაძლევის ხანა) – უფრო "საპატიო" პროფესიის წარმომადგენლები: ექიმი, მასწავლებელი, ინჟინერი, აგრონომი და ა. შ. ფრთიან ფრაზად იქცა არა ერთი თაობის საბჭოთა მაყურებლის საყვარელი ფილმის – გაიდაის "კავკასიელი ტყვე ქალის" – გმირის ძალზე ლაკონური, მაგრამ საბჭოთა რეალობისთვის მეტად მეტყველი "დადებითი" დახასიათება: "სტუდენტი, სპორტსმენი, კომკავშირელი". საბჭოთა იდეოლოგია, რომელმაც ქალის ემანსიპაცია გარკვეულწილად გაცილებით ადრე მოახდინა, ვიდრე დასავლეთმა, პირად/ოჯახურ ვალდებულებაზე მეტ უპირატესობას საზოგადოებრივ ვალდებულებას ანიჭებდა.

ამ ფონის გათვალისწინებით, ადვილად აიხსნება ის ფაქტი, რომ ქართულ კინოში მელოდრამის ჟანრი არ განვითარებულა. ერთადერთი დასამახსოვრებელი მელოდრამატული სახე ესაა ფუფალა (თენგიზ აბულაძის "ნატვრის ხე") და ისიც შეშლილი, თანაც აბსოლუტური ანაქრონიზმი. საგულისხმოა ფრაზა, რომელსაც ის ფილმის დასასრულს ამბობს: "არც შიოლა არ ყოფილა..." ანუ ფუფალას შეყვარებული – წარმოსადეგი, კეთილშობილი რაინდი შიოლა, რომლის ხსოვნასაც ინახავს და რომელსაც მთელი ფილმის განმავლობაში მისტირის – მხოლოდ ფანტაზიის ნაყოფი აღმოჩნდება (გავიხსენოთ "მამის სიმულაკრუმის" ფაქტორი).

მასკულინურობის კრიზისი ჰოლივუდში

ძლიერი, ქალის მფარველი, უდრეკი ნებისყოფის და ა. შ. მამაკაცის მითი, ანუ მასკულინურობის სტერეოტიპის შერყევა ამერიკულ კინოში 50-იანი წლების ბოლოდან, განსაკუთრებით 60-იან წლებში იწყება (თუმცა, ძირითადად, არაჰოლივუდურ კინოში). მძლავრი მეამბოხეობის ხანას არანაირად აღარ ეხმიანებოდნენ ბუტაფორიული "კაი ბიჭები". მით უმეტეს, ვიეტნამის ომის საყოველთაო მონანიების ისტერიამ ძალის კულტივირებას რეაქციული ინტონაციები შესძინა. თუმცა 80-იანი წლებიდან რეიგანის პოლიტიკა ამერიკული ოპტიმიზმისა და, შესაბამისად, ძლევამოსილი/მამაცი ამერიკელის ხატის აღორძინებას ემსახურება. "ამ პერიოდის ჰოლივუდური კინო აჩვენებდა გმირობის, წარმატების, მიღწევის, სიძლიერის, "კაი ტიპობისა" და "ძველი მაგარი ამერიკელის" ტიპაჟს, რამაც რეიგანისეული რევოლუცია შესაძლებელი გახადა" (13). "რემბოსა" და "ტერმინატორების" მწკრივი ხდება არა მარტო ჰოლივუდის, არამედ მთელი ამერიკის – რეიგანის ერის სატიტულო/საიმპორტო ნიშანი. თუმცა

სტალონესა თუ შვარცენეგერის დაკუნთული, ჰიპერტროფირებული სხეული უკვე კრიზისის მაჩვენებელია. მასში აისახება პატრიარქალური ცივილიზაციის, როგორც განწირულის, მომაკვდავის აგრესიული გაბრძოლება. ამ სახეებში იმდენად უტრირებულია მასკულინურობა, რომ ისიც (ისევე, როგორც სექსუალური ქალი) იქცევა ფეტიშად, უკეთეს შემთხვევაში კი იკითხება, როგორც პაროდია ანთროპომორფულ ფალოსსე და დაკარგულ იდეალზე. "მამაკაცურობის ეს გაზვიადებული სიმულაკრები, რომლებსაც სრულყოფილების წრასულში გადავყავართ, მამისეული აღმნიშვნელის დაკარგვისა და პატრიარქალური ნარატიული წესრიგის ამუამინდელი კრიზისის მსხვერპლს წარმოადგენენ" (14).

კრიზისი კიდევ უფრო აშკარად გამოიხატა მეორე, სრულიად განსხვავებულ ტენდენციაში, რომელიც მამაკაცის არატრადიციულ-მგრძნობიარე (რაც აქამდე "ქალურობის" ნიშანი იყო), სენსუალურ (რითიც უხეში, აგრესიული სექსუალურობა იცვლება) – სახეს ამკვიდრებს. თავდაპირველად ასეთი იმიჯი იმავე 80-იანი წლების რეკლამაში გაჩნდა (იქნებოდა ეს ტელე, საჟურნალო, პლაკატები თუ სხვა), რამაც მაყურებელში "სექსუალური ამბივალენტურობის კოდირება" მოახდინა და ერთგვარად შეამზადა კინოგმირებისთვის, რომლებიც 90-იან წლებში აქტიურად მოედებიან ამერიკულ ეკრანებს. მასკულინურობა აღარ განიხილება, როგორც ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრული ნორმა, არამედ ის მოიცავს დაეჭვებას, თავის თავზე კითხვებს. თუ აქამდე მასკულინურობის რეპრეზენტაცია გარეგნული, მანიფესტაციური იყო ანუ სიმამაცის/ძალის/აგრესიის დემონსტრირებას ახდენდა, 90-იან წლებში მზერა უფრო ხშირად შიგნით არის მიმართული, რის შედეგადაც აღმოჩნდა, რომ "ნორმა" არც ისე მყარი, მოწესრიგებული და უპრობლემოა (14).

ხელმოცარულობა, თავის თავში დაუჯერებლობა, ტრავმები... – ეს თემები სულ უფრო ინტენსიურად იჭრება უკანასკნელი წლების ამერიკული კინოს სივრცეში. ტრადიციული გენდერული როლების კრიზისის სიმპტომები უკვე უკანასკნელი წლების "ოსკარების" ტრიუმფატორთა გამოვლენაშიც შეინიშნება. ამ მხრივ, ერთ-ერთი ყველაზე დეკლარირებული, ალბათ, მაინც სემ მენდესის "ამერიკული სილამაზეა", სადაც თავმოყრილი, ფაქტობრივად, ყველა ამერიკული ოცნება ან ჩიხში ექცევა ან კრახს განიცდის: წამარტებული საშუალო ამერიკელის მითი, სანიმუშო ოჯახის მამის, პურიტანული მორალის დამცველის იმიჯი (მთავარ გმირს თავისი ჯერ კიდევ არასრულწლოვანი ქალიშვილის სკოლის მეგობარი შეუყვარდება), სექსუალური სუპერმენი (როგორც თვითონ ამბობს, თაეს ყველაზე ბედნიერად შხაპის ქვეშ მასტურბაციისას გრძნობს)... თუმცა, ამავე დროს, კრიზისის აღიარებასთან ერთად, ამ ფაქტთან ამერიკელთა ვერშეგუება თუ დაკარგული მასკულინობის ნოსტალგიაც შეინიშნება. ბოლო წლების სხვა ტრიუმფატორ ფილმებში მელ გიბსონისა (მელ გიბსონისავე "მამაცი გული") თუ რასელ ქროუს (რიდლი სკოტის "გლადიატორი") სახით "ლომგული ვაუკაცების" გამოჩენა საგულისხმო სიმპტომია. ეს უკანასკნელი სულ ერთი წლის შემდეგ "სუსტი", "ავადმყოფი" მეცნიერის იმიჯს იქმნის რენ ჰოეარდის "ბრწყინვალე გონებაში". კუნთებიანი, მამაცი გლადიატორის ამგვარი რეინკარნაცია კრიტიკოსთა დაცინვის საგანი გახდა. ამგვარ და კიდევ უფრო ძლიერ მოულოდნელ ინკარნაციას თვით შვარცენეგერიც ვერ

გადაურჩა, რომელიც ფილმში "უმცროსი" წარმატებით ორსულდება და "დედობის" სიხარულსაც იგემებს. ამ შემოხვევაში გენდერულ ტრანსფორმაციაზე მეტად კრიტიკოსთა ნაწილმა ისევ განწირული, კრის'ში მყოფი მამაკაცური აგრესია დაინახა, რომელიც შეფარულად – ქალებისადმი შურის ობიექტის, რეპროდუქციულობის "მითვისების" მცდელობაში – გამოვლინდა.

ჰოლივუდშიც – ამ ერთ-ერთ ყველაზე კონსერვატულ სისტემაშიც კი – გენდერული კრიზისის 'მეჭრის კიდევ ერთი დამადასტურებელი ფაქტია ჰომოსექსუალთა "ღიად" გამოჩენა, მათი ალაპარაკება და მათი მოსმენა. თუმცა ისინი ჯერ კიდევ ჰოლივუდის პირველი ათწლეულების ფილმებში ჩნდებიან – მართალია, იშვიათად და ძირითადად მინიშნებით; რა თქმა უნდა, ისინი არ არიან პირველხარისხოვანი, არამედ უბრალოდ კომიკური ეფექტის შესაქმნელად ჩნდებიან. 1930 წელს გაფორმებული "ჰეისის კოდექსი", რომელიც "მორალური სტანდარტების განმტკიცებისკენ" იყო მიმართული, მკაცრ ცენზურას აწესებს ხან ავადმყოფეზე, ხან კი პერვერსიად მონათლულ ჰომოსექსუალებზე. ამდენად "კონსპირაცია" კიდევ უფრო ძლიერდება და თანაც უწყინარი, "სასაცილო" ადამიანები უკვე ბოროტმოქმედებად, მონსტრებად გარდაიქმნებიან. პურიტანული მორალის დამცველი და მითების მძლავრი მწარმოებელი, ჰოლივუდი ჰომოფობიურ მითს ქმნის ჰომოსექსუალებზე და ამით არა მხოლოდ "ჩვეულებრივ" ადამიანებს ასწავლის, თუ როგორი წარმოდგენა უნდა ჰქონდეთ ჰომოსექსუალებზე, არამედ ამ უკანასკნელთაც – თავის თავზე. ამიტომაც მათი თვითიდენტიფიკაცია ხდებოდა დანაშაულთან, ცოდვასთან, რომელიც უნდა მოინანიო, აღმოიფხვრას, მოიკვეთოს. ფილმებში ისინი თავიანთ "სხეობას" ტრაგიკულად განიცდიან და მათი თვითგვემა უმეტესად თვითმკვლელობით სრულდება.

90-იანი წლებიდან ჰომოსექსუალებზე შექმნილი ეს ნეგატიური სტერეოტიპი იცვლება. ამის ნაცვლად არა მარტო ახალი გეი-ტიპაჟი შემოდის, რომელიც "ნორმიდან გადახრასთან", "ავადმყოფობასთან", "ცოდვასთან" აღარ ასოცირდება, არამედ კინოს ისტორიის გადახედვაც ხდება სულ სხვა, არაპეტეროსექსუალური ათვლის წერტილიდან. შესაძლოა ეს ძალზე სუბიექტური, მაგრამ მეტად საინტერესო ინტერპრეტაციაა, რომელიც მანამდე არსებული ფარული ჰომოეროტიკის "გახსნას" ახდენს. ამის შედეგად კლასიკური ჰოლივუდის მამაკაცური სიამაყენი - სტენლი კუბრიკის "სპარტაკი" და უილიამ უაილერის "ბენ-ჰური" ჰომნოეროტიკის გამომხატველ ტიპურ ტექსტებად მიიჩნევა, ხოლო "გაბრაზებული" თაობის საკულტო ფილმის – ნიკოლას რეის "შეამბოხე მიზეზების გარეშე" – გმირის ბუნტი აღმოჩნდება უფლების მოსაპოვებლად მიმართული იმ საზოგადოებისკენ, რომელსაც ჰომოსექსუალების ეშინია.

– "შეამბოხე მიზეზების გარეშე" იყო ფილმი სინაზეზე, სიახლოვეზე... – ამბობს ფილმის სცენარის ავტორი სტიუარტ შტერნი ვიტო რუსოს ძალზე სკანდალური წიგნის "ცელულიდის კარადის" მიხედვით გადაღებულ დოკუმენტურ ფილმში, – ეს იყო მცდელობა, სიყვარულის დაშვებული საზღვრები გაფართოებულიყო. სცენარი დღეს რომ დამეწერა, გაცილებით კონკრეტული ვიქნებოდი. დავწერდი, რომ გმირი გარიყული იყო, რადგან ბანდა მას ჰომოსექსუალად თვლიდა; მისი იზოლაცია სწორედ ამ მოსაზრებით იყო გამოწვეული".

იმ დროისთვის, როცა "მეამბოხე მიზეზების გარეშე" გამოვიდა ეკრანებზე 1955 წ.), მამაკაცური სინაზის, მგრძნობელობის წარმოჩენა წარმოუდგენელი იყო, რადგან იგი მასკულინურობის ტრადიციულ გაგებას (ძლიერი, რაციონალური, ემოციებისგან შორს მდგარი) ეწინააღმდეგებოდა და, ამდენად, შეურაცხმყოფელი, საჩოთირო იყო.

სხვათა შორის, ქალთა ჰომოსექსუალიზმი არც იმდენად სასაცილოდ, არც იმდენად შოკისმომგვრელად აღიქმებოდა; შეცდომა იქნებოდა ეს ლესბოსელთა ნაკლები დისკრიმინაციის გამოვლინებად მიგვეჩნია. უბრალოდ, ამ შემთხვევაშიც ფალოკრატული ცივილიზაციის კანონები გვახსენებს თავს: ჯერ ერთი, ქალთა ჰომოეროტიკა მამაკაცისთვის "შორეულია", ის ეხება "სხვას"-ქალს და ამდენად, მისგან "საფრთხე" არ ელის; მეორეც – სანახაობის სიამოვნება ორმაგდება, სექსუალური ფეტიში კიდევ უფრო ძლიერი ხდება. თუ ქალად გადაცმული მამაკაცი სიცილს იწვევს (მაგალითად, ბილი უაილდერის "ჯაზში მხოლოდ ქალიშვილები არიან"), კაცის ტანსაცმელში გამოწყობილი ქალი ორივე სქესისთვის სასურველი ობიექტია. მაყურებელთა განსაკუთრებულ მოწონებას ფილმ "მაროკოს" სწორედ ის ეპიზოდი იმსახურებდა, როცა სმოკინგში ჩაცმული მარლენ დიტრიხი ერთ-ერთ მაგიდასთან მიდიოდა და მშვენიერ ქალბატონს ტუჩებში კოცნიდა.

დღეს, როდესაც ჰოლივუდს ჰომოსექსუალური ურთიერთობების ასახვა ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე შეუძლია, მათ მაქსიმალურ ესთეტიზაციას მიმართავს, რათა "ტრავმირებული" საშუალო ამერიკელი ჰეტეროსექსუალის მზერას ამით მაინც ასიამოვნოს. რა თქმა უნდა, ჰოლივუდი ახალ სტერეოტიპებს იგონებს, ცდილობს, შეალამაზოს რეალობა, მაგრამ კრიზისზე ღიად საუბარი უკვე ძალიან მნიშვნელოვანია. მართალია, ჰოლივუდი კრიზისს იმით ხსნის, რომ მამაკაცებმა პატრიარქალური ცივილიზაციის მიერ ნაბოძები დომინანტურობა დაკარგეს და არა იმით, რომ სწოროდ ამ ცივილიზაციის კრიზისმა დააკარგვინა მათ დომინანტურობა, მაგრამ მაინც აშკარაა, რომ პოსტმოდერნიზმი, ყოველგვარი იერარქიულობის კრახის დეკლარირებით, ჰოლივუდშიც ღრმად შეიჭრა.

"ქაოსი, რომელსაც წესრიგი არ სჭირდება"

> "მიკროსკოპის სიმბოლო ჩვენი დიზაინის მთავარ ობიექტად იქცა. ესპანელებმა ბოლოს და ბოლოს საკუთარ თავში ჩაიხედეს, იქ უჭრელესი ქაოსი დაინახეს და ამ ქაოსით გაიხარეს, რომელსაც წესრიგი არ სჭირდება..."
>
> პედრო ალმოდოვარი

თანამედროვე ესპანური კინო, რომლის უდავო ლიდერობას დღემდე პედრო ალმოდოვარი ინარჩუნებს, შეიძლება განვიხილოთ, როგორც პოსტმოდერნისტული ენისა (პრალოგიკური) თუ პოსტმოდერნისტული ესთეტიკის ("დიზაინიზმი") არაჩვეულებრივი ნიმუში.

70-იანი წლების დასაწყისში ფრანკოს გარდაცვალებით ევროპული ქვეყნების ისტორიაში ყველაზე ხანგრძლივ რეჟიმს ეღება ბოლო. ესპანეთი, სადაც "შუა საუკუნეები პირველ მსოფლიო ომამდე გაიწელა" (16) და

რომელიც ისტორიულად კათოლიციზმის დოგმატიკის ერთ-ერთ ყველაზე ერთგულ დამცველად ითვლება, უეცრად რადიკალური ექსპერიმენტების ქმედანა ხდება. კარჩაკეტილი ესპანეთი ყველა სარკმელს ფართოდ ხსნის და ყოველივეს აქტიურად ისრუტავს – იმასაც, რაც ჩრდილო-დასავლეთ ევროპაში ძველმოდურია. პოლიტიკური პერიპეტიები, შერწყმული სექსუალურ რევოლუციასთან, "მოვიდის" ეკლექტურ, მეტად თავისებურ ეპოქას ბადებს. ესპანურმა კინომ დააფიქსირა რა "ენის კრიზისი", ძალზე სწრაფად მოახერხა ტოტალიტარული ცნობიერების დაძლევა და "ლოგოსის მეტაფიზიკისგან" (დერიდა) გათავისუფლდა არა "ლოგოსთან" ბრძოლით, როგორც ამას აკეთებდნენ ავანგარდისტები, არამედ "ლოგოსის" სრული იგნორირებით. ესპანელმა 80-იანელებმა კინოს ისტორიაში ყველაზე სწრაფად მიაღწიეს "ტექსტის ერთიანი თეოლოგიური აზრისგან გათავისუფლებას და მის მრავალმხრივ სივრცედ ქცევას" (როლან ბარტი); ანუ ერთ ტექსტში წერის განსხვავებული ტიპის შერწყმა ხდება შესაძლებელი, ისე რომ არც ერთი მათგანი აღარ იყოს გამორჩეული და ტექსტი უსასრულოდ მრავალი კულტურული ცენტრების ერთობლიობად იქცევა (17).

ამ ეკლექტიკაში ალმოდოვარი საოცრად ლაღად გრძნობს თავს. ის ეკრანულ სამყაროს ანდროგენული ნიღბების კარნავალად წარმოსახავს და ყველაფერს კემპურ დისაინად აქცევს.

ახალგაზრდა კაცი მშვენიერ ქალიშვილს ხედავს. ცდილობს, მისი გული მოინადიროს. პასუხი გულისმომკელელია – ქალიშვილი თავისი სქესის წარმომადგენლებს ანიჭებს უპირატესობას. თავზარდაცემული მიჯნური "ავტომატ-მკითხავს" მიმართავს რჩევისთვის. პასუხი ამჯერადაც გამაოგნებელი: "თუ მას ქალები უყვარს, გახდი ქალი!.." "ორაკულის" ნათქვამი უნდა აღსრულდეს. ქალად გადაცმული ეაკიც ადვილად ახერხებს ქალიშვილის მოხიბვლას. თუმცა რამდენიმეთვიანი რომანის შემდეგ "იძულებით ტრავესტი" აღმოაჩენს, რომ იმდენად შეისისხლხორცა ქალის ტანსაცმელი, ახლა თვალი მამაკაცისკენ გაურბის...

ასეთია პედრო ალმოდოვარის ერთ-ერთი პირველი, რამდენიმეწუთიანი კინო-მინიატურა "სექსი მოდის, სექსი მოდის", სადაც უკვე კარგად ჩანს მომავალი მეტრის ხელწერა – მელოდრამატული სიუჟეტი მეტად ორიგინალური, მოულოდნელი დრამატურგიული სვლებით, უშრეტი იუმორი, "პერფორმატიული სქესის" გმირები, მანამდე მარგინალური ჰომო-, ბი- თუ ტრანსსექსუალები, რომლებიც საუკუნეების მანძილზე მისჯილი მდუმარების შემდეგ, როგორც იქნა, ალაპარაკდნენ. ალაპარაკდნენ გამომწვევად, ძალზე ხმამაღლა, მხიარულად და თანაც ესპანელებისთვის დამახასიათებელი მძაფრი ემოციურობით. ალმოდოვარის ეს გმირები კორიდისა და კარმენის ესპანეთს სულ სხვაგვარად წარმოაჩენენ.

ალმოდოვარი ლა მანჩაში დაიბადა და თითქოს ამით უკვე განწირული იყო, კულტურული მემკვიდრეობის ირდილის შებრძოლებოდა. უპირველესი "აჩრდილი" ესპანური კინოს "დიდი მამის" – ლუის ბუნუელისა გახლდათ, რომლის სიურრეალისტური მეტამორფოზები ალმოდოვარის ბაროკალურ სამყაროში გარკვეულწილად მაინც მოქმედებენ, მაგრამ რეჟისორი თავის "წინაპრად" სულ სხვა კულტურასა და სხვა რეჟისორს – ბილი უაილდერს ასახელებს, კონკრეტულად კი მის ფილმს "ჯაზში მხოლოდ ქალიშვილები არიან". გადაცმის ენება და ესოეტიკა, რის შედეგადაც ტონი კერტისისა

და ჯეკ ლემონის გმირები თვით ქალურობის სიმბოლო მერლინ მონროზე გაცილებით უფრო "ქალურები" და კეკლუცნი არიან, ალმოდოვარის შემოქმედების ერთ-ერთი ცენტრალური ხაზი გახდება. ტრანსექსუალთა ანდროგენულობა ეროდროულად აქარწყლებს ტრადიციულ წარმოდგენას. ძლიერ კაცზეც და მგრძნობიარე ქალ'ზეც. მათი ჰიპერტროფირების შედეგად მაყურებელს სერიოზულად აღქმის უნარი ეკარგება და სანახაობა აბსოლუტურ კომპად იქცევა. ენებიანი კარმენების ადგილს სასაცილო და საყვარელი კიკები იკავებენ; ესპანური კულტურის ღვიძლი შვილის – მაჩოსა და მაჩოიზმის პაროდირებით კი ალმოდოვარი ტოტალიტარული ცნობიერების ყველაზე მძლავრ რევიზიას ახდენს.

ამ თვალსაზრისით, თანამედროვე ესპანური კინოს მეორე სახე – ბიგას ლუნა უნდა გავიხსენოთ,რომელიც მუდმივად უტრიალებს უხეში, "ჩლუნგი" მაჩაკაცურობის კრიზისს. "ოქროს კვერცხები" – ასე უწოდა მან თავის ერთ-ერთ საუკეთესო ფილმს და ამით პატრიარქალური სამჯაროს მიმართ ირონია გამოხატა, სადაც ფალოსი ფეტი'შად ქცეულა (ხავიერ ბარდემის გმირი ფალიკური სიმბოლოების ფონ'ზე ჩნდება გამუდმებით), სექსი კი – მის "წმინდა" რიტუალად. მაჩო-გმირი სწორედ თავისი ნარცისული ფალოცენტრიზმის მონა და მსხვერპლი ხდება.

ალმოდოვარი გაცილებით "მხიარულად" გვამცნობს პატრიარქის სიკვდილს – უფრო სწორად, მის რეინკარნაციას. ფილმ'ში "ყველაფერი დედაჩემის შესახებ" ის ტრავესტი ლოლა-ესტებანის სახეში ცოცხლდება. ეს უკანასკნელი მთელი ფილმის მანძილზე უხილავია,როგორც ლოგოსი; მხოლოდ ბოლოსკენ ჩნდება სულ ცოტა ხნით – კიბეებით ეშვება ზემოდან (ციდან) მამა-ღმერთისთვის შესაფერისი მედიდურობით. სულ მალე მას უკვე მადონას "იკონოგრაფიით" ვიხილავთ, როცა თავის ახალშობილ ვაჟს აიტაცებს. ლოლა უკვე მძიმე ავადმყოფი ჩნდება და ფილმის დასასრულს კვდება კიდევაც. ამით თითქოს აღადგენს დედასთან კავშირის პრალოგიკურ, პრაოდიპალურ წონასწორობას.

ფილმი "ეძღვნება ბეტ დეივისს, ჯინა რეინოლდს, რომი შნაიდერს... ;ყველა მსახიობს, ვინც მსახიობს თამაშობდა, ყველა იმ ქალს, ვინც თამაშობს, კაცებს, ვინც თამაშობს და ქალად იქცევა, ვისაც უნდა, იყოს დედა – ჩემი დედა"–

"ჩვენ უნდა მივცეთ მას (ქალს) ახალი სიცოცხლე, ახალი სიცოცხლე იმ დედას, ჩვენს დედას ჩვენ შორის და ჩვენში (18) – ეს სიტყვები უკვე ლუსი ირიგარისეული "დედა-შვილის არასიმბოლიზებული ურთიერთობის" კონცეპტს შეეხება, რომლის თანახმადაც პატრიარქატმა დედობრივი გენეალოგია მოსპო. დედასთან ნებისმიერი კავშირი გაძეევებულია "ჩვენი კულტურის ჩრდილში; ეს არის მისი ღამე და მისი ჯოჯოხეთი" (ირიგარი). განსაკუთრებით იგნორირებულია დედა-ქალიშვილის კავშირი, რომელიც პატრიარქალური სიმბოლიკური წესრიგისთვის საფრთხეს წარმოქმნის, რადგან ეს ახალი – არაპატრიარქალური რეპრეზენტაციის პოვნისა თუ აღდგენის მცდელობაა.

სწორედ ამგვარ მცდელობას წარმოადგენს ალმოდოვარის "მაღალი ქუსლებიც", რომელშიც ქალიშვილის დედასთან მიჯაჭვულობა, მისადმი პირველადი ლტოლვის მდგომარეობაა ნაჩვენები. რებეკა დაუფიქრებლად იცილებს მათ გზიდან, ვინც ამ ურთიერთობას ეღობება (ჯერ მამინაცვალს, შემდეგ თავის ქმარს, რომელთანაც ძირითადად იმიტომ შეუღლდა, რომ

დედამისის ყოფილი საყვარელი იყო). რებეკას მიერ "დედასთან სხეულებრივი შეხების" აკრძალვის დარღვევა ჯერ ქმარზე პროეცირდება ირიბად, შემდეგომ კი კაბარეს მომღერალ ფემ ლეტალზე, რომელიც ბეკის იმიჯის ინპერსონიფიკაციას ახდენს.

ძალზე საგულისხმოა ფემ ლეტალის სახე, რომელიც მოსამართლე დომინიკეს თუ ნარკომანის დამსმენის ერთ-ერთ მეტამორფოზას წარმოადგენს. ფემ ლეტალი (ანუ "ფარული ქალი") ანგრევს პატრიარქალური წესრიგისა და კანონის დამცველის იმიჯს, მამაკაცის ტრადიციულ ფუნქციას, რომელიც "ავენსურებს და ერევა დედის მიმართ ლტოლვაში; დომინიკეს გმირი "ახალი კაცის" დაბადებას აღნიშნავს, რომელიც აღარ იყენებს პენისს "დედობრივი ძალის სამართავ ინსტრუმენტად" (ირიგარი) (19), არამედ ქალს პირველადი სურვილის დაკმაყოფილებაში ეხმარება. სწორედ ეს "ახალი კაცი" ხდება ალმოდოვარის ერთ-ერთი ბოლო ფილმის "ესაუბრე მას" გმირი, რომელიც ქალებთან არა ძალადობისა და დამორჩილების, არამედ გრძნობების, სინაზის, ფაქიზი მზრუნველობის ენაზე ურთიერთობს.

ამ მოკლე მიმოხილვიდანაც ჩანს, რომ ესპანურ კინოში "გენდერული რეოლუცია" წარმატებით ხორციელდება (რაც, უპირველეს ყოვლისა, პედრო ალმოდოვარის დამსახურებაა). ესპანეთში – კორიდის სამშობლოში, რომელიც მამაკაცური სილამაზის, ძალის, ტრიუმფის რეპრეზენტაციას ახდენს – სულ უფრო პოპულარული ხდება არსობრივად სხვა სახის შოუ – ტრანსექსუალთა კონსტუმირებული სანახაობანი, სადაც ქალური და მამაკაცური ძალაუფლება ერთი ხარისხისაა.

ყოველგვარი იერარქიულობის მოსპობა და ამ "საყოველთაო თანხმობაზე" აღმოცენებული კარნავალური სანახაობა ქართულ კინოში სერგო ფარაჯანოვის შემოქმედების სახით მოგვეელინება. საგულისხმოა, როგორ წარმართავს თავის ფილმებში რეჟისორი მზერის ეექტორებს – მზერისა, რომლის "მფლობელიც", როგორც აღვნიშნე, პატრიარქალურ ცივილიზაციაში არის მამაკაცი. ფარაჯანოვის გმირები (ქალებიც და კაცებიც), როგორც წესი, ერთმანეთს არ უყურებენ, არამეც იცქირებიან კამერაში და მათკენ მომართულ მზერას თამამად უსწორებენ თვალს. ფარაჯანოვმა ჯერ კიდევ პოსტმოდერნისტული საყოველთაო ხლვრების მოშლის ეპოქის დადგომამდე შექმნა კალეიდოსკოპური სანახაობა (გნებავთ კინო-დიზაინი, გნებავთ კინო-კოლაჟი), სადაც "დეტალსა" თუ "მთელს", "ცენტრალურსა" თუ "მარგინალურს" ერთნაირი მნიშვნელობა მიანიჭა; უფრო სწორად, ამგვარი დეფინიციებისთვის ადგილი არ დატოვა და ყველაფერი პირობითი ნიშნების ულამაზეს კარნავალად აქცია. ეს ნიშნები კი ყოველ წუთს შეიძლება შეიცვალოს – მაგალითად: სიცოცხლის სიმბოლო (ბროწეული) სიკვდილის მაუწყებლად იქცეს, ქალი - კაცად თუ პირიქით... "ბროწეულის ფერში" ერთი მსახიობის, სოფიკო ჭიაურელის მიერ საიათნოვასა და მისი სატრფოს განსახიერება ფარაჯანოვისეულ მსოფლმხედველობას მკაფიოდ გამოხატავს – სამყარო, როგორც ანდროგინული ერთობა...

პატრიარქალური წესრიგი თუ ქაოტური წონასწორობა?

ქართული კულტურისთვის პოსტტოტალიტარული ქაოსი, მისი

ხანგრძლივობის მიუხედავად, არც სერიოზული იდეოლოგიური რევიზიისა და არც ახალი ესთეტიკური კატეგორიების ჩამოყალიბებისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა. ქაოსს ჯერ მსოფლიო გარშემო თვალის მიდევნებით ეამჩნევთ, საკუთარ თავში არ აღმოგვიჩენია (რადგან არც ნაგვიხედავს) და, შესაბამისად, მისი რეპრეზენტაციაც ზედაპირული და უფრო შიშით, ძრწოლით აღსავსეა, ვიდრე თავისუფლების მიღების სიხარულით. "ტოტალიტარიზმის მსხვრევამ ნოსტალგია წარმოშვა, სიტყვის შედარებითმა თავისუფლებამ ნათელი გახადა, რომ სიტყვა აღარ დარჩა სათქმელი, "ძველი ენის უარყოფამ" – საერთოდ ენის სიკვდილი"... (20). იდეოლოგიურ წნეხში მყოფმა კულტურებმა საერთოდ იდეოლოგიასე თქვეს უარი და საბოლოოდ ნაციონალისტური და დემოკრატიული ფასეულობების გაურკვეველი, ბუნდოვანი სიმბიოზი მივიღეთ. არც ერთი მათგანი პლაკატის ესთეტიკასა და დეკლარირების ფარგლებს არ სცილდება.

როგორც უკვე აღვნიშნე, ამ მდგომარეობამ 90-იანი წლების ქართულ კინოში მფარველი, საიმედო მამის სახის პედალირება გამოიწვია. თუმცა "პოსტტოტალიტარულ" კინოზე ტოტალიტარული განსოგადება, ალბათ, განსაკუთრებულ ცდომილებამდე მიგვიყვანს, რადგან ორიენტირის არქონე კინოში ტენდენციებზე უფრო მეტად სიმპტომატურობას, ზოგჯერ გაუაზრებელ შემთხვევითობას ვაწყდებით. 90-იანის შუა წლებში და შემდგომ მიწურულს გამოვიდა ორი ფილმი – პაატა მილორავას "ვირთხა" და მიხო ბოროშვილის "ცარიელი სივრცე" – სადაც მასკულინურობის სრული კრიზისი ვლინდება: სუსტი, მშიშარა კაცები თავის დასაცავად ქალის საფარველს იყენებენ. ესპანური კინოსგან განსხვავებით, სადაც პატრიარქის სიკვდილი კარნავალურ ორომტრიალში გამოიხატება, აქ კრიზისი ტრაგიკულ მდგომარეობად აისახება, როგორც სამყაროს დასასრული, სრული სასოწარკვეთისა და გამოუვალობის შეგრძნებით.

ამგვარი სიმპტომების წარმოშობის მიზეზები უფრო ეკონომიკურ ფონზე უნდა ვეძიოთ, ვიდრე გენდერული იერარქიების რღვევის დასაწყისად მივიჩიოთ. უკანასკნელ ათწლეულში ქართული ოჯახების უმეტესობის ეკონომიკურმა უსრუნველყოფამ ძირითადად ქალების ფუნქციებში გადაინაცვლა, რის მიუხედავადაც, ფაქტობრივად, კაცის – ოჯახის "მამა-მარჩენალის" ფორმალური სტატუსი არ შეცვლილა. "ვაუკაცობის" რეპრეზენტაცია ზოგჯერ აქტიური (უფრო აგრესიული), ძლიერი ქალის გამოჩენით ხდება, რომლის აქტიურობა არა თვითიდენტიფიკაციის ძიების, არამედ დაგვიანებული, მაგრამ სასტიკი შურისძიების გამომხატველი უფროა. ამდენად, ქალი ჯერ კიდევ დესტრუქციულ ძალად, საფრთხედ მოიაზრება.

კიდევ ერთი იპოსტასი, რომელსაც ასევე სიმპტომის სახით იძენს ქართველი ქალი – უბიწო, სტერილური იერ-სახიდან ის სექსუალურ სიმბოლოდ იქცევა (ყოველ შემთხვევაში, მცდლობის დონეზე). "პერესტროიკის" შემდგომ პერიოდში ეროტიკა მოკრძალებულ-ინფანტილური სახით, მაგრამ მაინც დაინერგა ქართულ ეკრანზე. თუმცა "სექს-პერსონაჟებს" ძირითადად რუსი მსახიობები ასრულებენდნენ, რაც არა მარტო ქართველთა გაუბედაობით უნდა აიხსნას. ქართველთა ცნობიერებაში ეროტიკა რუს ან, ყოველ შემთხვევაში, სლავური წარმოშობის ქალთან ასოცირდებოდა, რაც ფილმებში პოვებდა

გამოძახილს (მაგალითად, რეზო ესაძის "ერთი ნახვით შეყვარება"). "დასავლური ცივილიზაციის" შემოჭრის შემდეგ რუსი ევროპელმა (ძირითადად ინგლისურენოვანმა) შეცვალა (ოთარ შამათავას "ძეირფასი M", გიორგი შენგელაიას "სიყვარული ვენახში") ან ახალი ტიპის "გადასავლეთებულმა" გოგომ. ქართული 60-იანელების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენელი გიორგი შენგელაია სწორედ მას წარმოსახავს ტრადიციული ოჯახის შენარჩუნების გარანტად – ანუ ქალს, რომელიც დასავლური მედიის მიერ ინტენსიურად კულტივირებულ ეროტიკულ ფეტიშთან, ეროტიკულ თოჯინასთან ახდენს იდენტიფიკაციას (აღსანიშნავია, რომ ეს უკანასკნელი აუცილებლად ქერათმიანია).

სასურველი/სექსუალური ქალის "უცხოური გენეზისის" გამოგონების მიზეზი ისევ ქართველთა მენტალიტეტის "ღამესა და ჯოჯოხეთში" უნდა ვეძიოთ. როგორც ჩანს, ქართველი ქალის იდენტიფიკაცია დედობასთან იმდენად ძლიერია, რომ მის სექსუალურ სიმბოლოდ წარმოსახვისთანავე ღრმად გამჯდარი ინტუიტიურალური კომპლექსი ერთვება, რომლის გადალახვასაც მამაკაცი ქალისთვის "უცხოელობის" (ანუ არა "ჩემი დედა") მიწერით ახერხებს. თანაც მის ფეტიშიზაციას ახდენს, რაც, როგორც აღვნიშნე, ფემინოფობიის სხვა ფორმაა. ამ შემთხვევაში ქალი ისევ და ისევ განიხილება, მხოლოდ როგორც ობიექტი, კონტროლირებადი სხეული.

მასიური "ბარბიზაცია" კინოზე უფრო აქტიურად ქარტულ პოპკულტურაში შეინიშნება, განსაკუთრებით ტელესერიალებში, რეკლამასა თუ არამუსიკაში (აქ ძალზე საგულისხმოა ბავშვთა შოუ-ბიზნესი და მათი ეროტიზაცია). იგივე შეიძლება ითქვას გეი-ესთეტიკის თანდათანობით შემოჭრაზე. რა თქმა უნდა, გეი-პერსონაჟის "რეაბილიტაცია" ეკრანზე ჯერ წარმოუდგენელია (ჩვენში ჯერჯერობით მხოლოდ იმის აღიარება მოხდა, რომ არა მარტო სექსი, არამედ ჰომოსექსუალებიც არიან, რომელთა კლასიფიკაციის" დადგენის პროცესში ვართ – ვინ არიან ისინი: "პერვერსიულები" თუ "ავადმყოფები"?), მაგრამ სოგიერთი ტელეწამყვანისა თუ მომღერლის იმიჯი – ნასი, "სენსუალური", არატრადიციულად ჩაცმული თუ "ექსპრესიული პლასტიკის" მქონე მამაკაცისა – უკვე გარკვეულ სიახლეზე მიგვანიშნებს.

დასასრულ, შეუძლებელია არ მოვიხსენიო ასევე 90-იანი წლების შუა ხანებში გადაღებული ძალზე სადა და უპრეტენზიო მოკლემეტრაჟიანი ფილმი – გიო მგელაძის "არა, მეგობარო!" (რომელმაც წარმატებით მოიარა რამდენიმე ფესტივალი, მათ შორის ობერჰაუსენის). მასში აღწერილია ქაოსური, სამოქალაქო ომის სისხლიანი თბილისი, რომლის მკვიდრი სიმპათიური ახალგაზრდა კაცი ამ ფერსულში მონაწილეობაზე უარს აცხადებს და იარაღს მდინარეში გადაისვრის. თუმცა თვითონ ამ განუკითხაობის შემთხვევითი მსხვერპლი ხდება, მაგრამ ძლიერი მასკულინის მიერ "ძალაუფლების ამ ინსტრუმენტზე" (რევოლვერი/ფალოსი) ნებაყოფლობით უარის თქმა სერიოზული განაცხადია (და ცოტა არ იყოს, მოულოდნელიც) ქართულ კინოში.

სუსტად გამოვლენილი, მაგრამ აქამდე უცნობი სიმპტომატიკა მაუწყებელია იმისა, რომ პატრიარქალურ უნიტარულობას ქართულ კულტურაშიც შეერყა ნიადაგი. ძნელი სათქმელია, ამ ქაოსიდან რას უნდა ველოდეთ – ისევ ძველი, პატრიარქალური წესრიგის აღდგენას თუ ახალი "უწესრიგო წესრიგის" დაბადებას?

გამოყენებული ლიტერატურა:

1. C. G. Jung, Aspects of the Masculine, Princenton/Bollingen Paperback Edition. 1989.
2. К. Хорни, Женская психология, СПБ, 1993.
3. S/ Asatiani, Women-Mothers: the Labyrinth of a Mad Desire, unpublished paper for an MA in Media Studies, University of Sussex, UK, 1999.
4. Ж. Лакан, Значение фаллоса, Комментарии, М. 1996.
5. Дж. Батлер, Гендерное беспокойство, Антология гендерной теории, Минск, 2000.
6. გ. მაისურაძე, სექსები და ცივილიზაცია, "ნეკერი", 1998.
7. Мифы и Реальность. Зарубежное кино сегодня, 1974.
8. Т. Хатиашвили, В сторону мистики, «Искусство кино» 1998/99.
9. Л. Малви, Визуальное удовольствие и нарративный кинематограф, Антология гендерной теории, Минск, 2000.
10. იქვე.
11. Р. Барт, Мифологии, М. 2000.
12. А. Дворкин, Гиноцид, или китайское бинтование нок, Антология гендерной теории, Минск, 2000.
13. S. Asatiani, New Hollywood and Images of Masculinity: Mediating Critical Condition, unpubliched thesis for an MA in Media Studies, University of Sussex, UK, 2000.
14. B. Creed, From here to Modernity Feminism and Postmodernism. "Screen", Spt. 1987.
15. S. Asatiani, New Hollywood and Images of Masculinity: Mediating Critical Condition, unpubliched thesis for an MA in Media Studies, University of Sussex, UK, 2000.
16. Бунюэль о Бунюэле, М. 1989.
17. გ. გვახარია, პოსტტოტალიტარული კინო (საკონფერენციო მოხსენება ხელნაწერის უფლებით).
18. S. Asatiani, Women-Mothers: the Labyrinth of a Mad Desire, unpublished paper for an MA in Media Studies, University of Sussex, UK, 1999.
19. იქვე.
20. გ. გვახარიას დასახელებული სტატია.

Summery of the article "Woman and Man: Gender Stereotypes and Modifications on the Examples of US, Spanish and Georgian Cinematography" by Teo Khatiashvili

The article reviews how the stereotypes of femininity and masculinity, typical for patriarchal cultures are represented in cinema. It is exemplified by materials from Georgian, American and Spanish cinematography. Special interests in Georgian cinema, certainly, are very natural, as the actions of general discussion in familiar space always become an object of particular curiosity. American / Hollywood cinema, as s giant

producer of such stereotypes, gives the richest material for such research. The Spanish cinema of the previous decades, which is s part of deeply traditional culture, provides us with wonderful instances of "gender revolution".

Though modern societies still continue to be patriarchal civilizations, movie-dynamics shows explicitly that the strict stereotypes are shaken and the gender roles keep redistributing.

ნანა ბერეკაშვილი

მასკულინობა და ფემინობა კულტურის დისკურსში

კულტურა, ეს არის ცნებები, განწყობები, ადათ-წესები და ქცევის თავისებურებანი, რომელიც საერთოა ადამიანთა დიდი ჯგუფისათვის (მაიერსი, სოციალური ფსიქოლოგია, 1997)

უძველესი კულტურებიდან დაწყებული თვალშისაცემი იყო საზოგადოებებს შორის დიდი განსხვავება, რომელიც ვლინდებოდა ურთიერთობათა დომინირებულ სტილში, წამყვან ღირებულებებში, სოციალური როლების თავისებურ სტრუქტურაში და კიდევ მრავალ სხვა ნიშანში.

მეცხრამეტე საუკუნიდან დაწყებული ეთნოგრაფიულ, ანთროპოლოგიურ და ისტორიულ აღმოჩენებთან დაკავშირებით საზოგადოებრივ დისციპლენებში იწყება ტრადიცია — კულტურას, საზოგადოებას მიუყენონ და მიაწერონ ადამიანისათვის დამახასიათებელი თვისებები: "ერის გონი", "კულტურის სული", "ხალხთა ფსიქოლოგია", "საზოგადოების ემოციური ტონუსი", "კულტურა და ტემპერამენტი" და ს.შ. ამ და სხვა ცნებებმა, რომლებიც იმდროინდელ წამყვან მოაზროვნეებს ეკუთვნით, და აუხსნელ პრობლემათა სიმრავლემ საფუძველი ჩაუყარა კულტუროლოგიას და ეთნოფსიქოლოგიას, როგორც ფსიქოლოგიის დარგს. დღეს ეთნოფსიქოლოგია, როგორც ცნობილია, ძირითადად კროსკულტურული კვლევების მიმართულებით მიმდინარეობს. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განზომილება, რომელიც ხშირად გამოიყენება კულტურათა დასახასიათებლად და მათ შორის განსხვავებების საკვლევად, მასკულინობა-ფემინობის განზომილებაა, რომელიც საზოგადოებაში ტრადიციულად ქალურად ან მამაკაცურად აღიარებული ღირებულებების და ნიშნების აქცენტირება-უგულებელყოფას აღნიშნავს.

ანტროპოლოგები, რომლებიც პრიმიტიულ კულტურებს სწავლობდნენ, ხშირად აღნიშნავდნენ საზოგადოებებს შორის ისეთი ტიპის განსხვავებებს, რომლებიც ყველაზე უკეთ მასკულინობა - ფემინურობის განზომილებაზე აღიწერებოდა. ფემინურად ისეთ საზოგადოებას ახასიათებდნენ, რომელშიც წამყვანი იყო ბავშვებისადმი სიყვარული, თანამშრომლობითი ურთიერთობა, ხარისხზე ორიენტირება, ქალური ღვთაებანი, ბუნებასთან ჰარმონიაში ცხოვრება და სხვა; მასკულინურს უსადაგებდნენ საზოგადოებას, რომელიც ხასიათდებოდა აგრესიული, იერარქიული, კონკურენტული დამოკიდებულებით როგორც ადამიანების, ასევე ბუნების მიმართ, ორიენტაციით რაოდენობაზე (და არა იმდენად ხარისხზე), მამრობითი ღვთაებებით. ამ კულტურების განმასხვავებელი და საერთო ნიშნები ძირითადად ისეთ ფსიქოლოგიურ და სოციალურ-ფსიქოლოგიურ

მახასიათებლებს ეხებოდა, როგორებიცაა ურთიერთობითი, ღირებულებითი და ემოციური ან ტემპერამენტის თავისებურებანი.

პარალელურად, ფსიქოლოგიაშიც გაჩარდა ინტერესი ქალური და მამაკაცური თვისებების პრობლემის მიმართ. ყველაზე თვალსაჩინო პიროვნულ კითხვარებში შემოიტანეს მასკულინობა - ფემინობის განზომილება (MMPI, ტერმან-მაილზის ტესტი, გილფორდის მასკულინობის სკალა და ა.შ.). სოციალურ ფსიქოლოგიაში ძალიან განვითარდა ისეთი მიმართულება, რომელიც გენდერული როლებისა და მასკულინობა-ფემინობის სტერეოტიპებს სწავლობდა. გენდერული როლები ანუ სქეს-როლები ესაა ის პოზიცია და მასთან დაკავშირებული თვისებები, რომელიც ამ საზოგადოებაში ქალს ან მამაკაცს უკავია. გენდერული სტერეოტიპები - ესაა სტანდარტული წარმოდგენა. იმაზე თუ რა უნარ- თვისებები, ფუნქციები, გააჩნია თითოეულ სქესს. მკვლევარებმა, დაადგინეს, რომ შინაგანი დეტერმინანტებს არც იმდენი მნიშვნელობა აქვს სქეს-როლური ორიენტაციის და გენდერული როლების ჩამოყალიბებაში, როგორც ეს ადრე იყო მიჩნეული. მუხედავად იმისა, რომ სქეს-როლური სტერეოტიპები ერთობ ცვალებადი აღმოჩნდა დროისა და სივრცის მიხედვით და ისეთ შემთხვევით ფაქტორებზე დამოკიდებული, როგორებიცაა გეოგრაფია, მეურნეობის წესი, კულტურული გავლენები, რიცხოვნება და ა.შ. მკვლევარებმა მაკ-კიმ და შერიფსმა თავიანთ შემაჯამებელ ნაშრომში გამოიყვანეს ერთგვარი ინტრაკულტურული კონსტანტა გენდერული სტერეოტიპებისა. ისინი ხასიათდება შემდეგნაირად: ტიპიური მამაკაცური - ნიშნავს ისეთ თვისებებს, რომლებიც დაკავშირებულია სოციალურად შეუსღუდავ სტილთან, კომპეტენციასთან, რაციონალურობასთან, აქტივობასთან და ეფექტურობასთან, ხოლო ტიპიურად ქალური შეიცავს სოციალურ და კომუნიკაციურ უნარებს, სითბოს და ემოციურ მხარდაჭერას. ამასთან, მასკულინური თვისებები საყოველთაოდ უფრო ღირებულად ითვლება. თუ პარსონსის განსაზღვრებით ვისარგებლებთ, მასკულინური ურთიერთობის სტილი ხასიათდება როგორც **ინსტრუმენტული**, ხოლო ქალური - როგორც **ექსპრესიული**. ბალანი თვლის, რომ მასკულინური თვისებების კომპლექსი შეიძლება დახასიათდეს ტერმინებით – agency ანუ ძალა და აქტიურობა, ხოლო ქალური თვისებები, როგორც – communion, ანუ ერთობა. ორივე ფორმულირებაში მასკულინობა განსაზღვრულია, როგორც აქტიური, კონტროლირებული და ინსტრუმენტული მიდგომა, ხოლო ფემინური - როგორც უფრო რეაქტიული, ემოციური და გულითადი.

აშმორმა, დელ ბოკამ და ვოლერსმა გაანალიზეს რა გენდერული სტერეოტიპების სტრუქტურა სხვადასხვა კულტურებში, მივიდნენ იმ დასკვნამდე,რომ გენდერული სტერეოტიპების მაორგანიზებელ პრინციპს ოსგუდისეული ძალის განზომილება წარმოადგენს, უფრო ზოგადად კი ურთიერთკორელირებული დომინანტობა-დაქვემდებარების და კონტროლის განზომილება და არა აქტივობის განზომილება. მრავალი გამოკვლევის შედეგი იმაზე მიუთითებს, რომ პიროვნული ნიშნების მიკუთვნება ქალისა და მამაკაცისადმი განიცდის მათი აქტუალური სოციალური როლის გავლენას (მაგ. დიასახლისის და პროფესიონალის). უფრო მეტიც, არსებული გამოკვლევების შედეგების თანახმად[1],

[1] Smoreda 1995, Berger 1992, Gerber1988, Lokhid & Hall 1976

პიროვნული თვისებები, რომლებიც ამა თუ იმ სქესს მიეწერება, არა იშვნად საკუთრივ სქესის ატრიბუტია, არამედ სოციალურ სტრუქტურაში სუბიექტის ძალის აღმნიშვნელი. ეს ნიშნავს, რომ უფრო ძლიერი (ძალის მქონე) პიროვნება ან სქესი აღიქმება როგორც უფრო ინსტრუმენტული ანუ მასკულინური ატრიბუტიკის მქონე და ნაკლებ ექსპრესიული, ანუ ფემინური ატრიბუტიკის მქონე. აქედან გამომდინარე, რადგანაც ძალის პრივილეგია მამაკაცს ეკუთვნის, როგორც მთელ სოციალურ სტრუქტურაში, ასევე დიადურ ურთიერთობებში, ინსტრუმენტული სტილი სტერეოტიპის დონეზე მასკულინურის ატრიბუტად გადაიქცა. თანამედროვე თეორიების მიხედვით, რეალობაში ყოველი კონკრეტული მამაკაცის პიროვნული თვისებები შეიძლება ხასიათდებოდეს, როგორც მასკულინური,ასევე ფემინური ან ორივე ტიპის ნიშნებით ერთდროულად (ფსიქოლოგიური ანდროგინობა). იგივე ეხება ქალებსაც. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ 1973 წელს მაკობიმ და ჯეკლინმა გაანალიზეს ევროპული და ამერიკული გამოკვლევების უმრავლესობა სქესთაშორის განსხვავებების შესახებ და სანდო სქესობრივი ფსიქოლოგიური განსხვავებანი თითქმის ვერ აღმოაჩინეს, გარდა ვერბალური უნარებისა, აგრესიულობისა, სივრცობრივი და მათემატიკური უნარებისა,გენდერული სტერეოტიპების გავლენას განიცდის როგორც მთელი საზოგადოება, ასე ცალკეული ადამიანებიც, მათ შორის მეცნიერებიც. გენდერული სტერეოტიპი მოქმედებს შეფასების ობიექტურობაზე. ასევე, პორტერის, გეისის და ეალსტედის (1994) გამოკვლევაში ორივე სქესის ცდისპირები, რომლებსაც ეძლეოდათ მეცნიერთა ჯგუფის სურათი და უნდა აერჩიათ ვინ არის ლიდერი, უმეტეს შემთხვევებში მამაკაცებს ირჩევდნენ, მაშინაც კი, როდესაც ქალს მაგიდასთან ლიდერის პოზიცია ეკავა. შედეგი გამომდინარეობს იმ გენდერული სტერეოტიპიდან,რომ ქალს გაცილებით ნაკლებად შეუძლია ხელმძღვანელობა

როგორც ვხედავთ,გენდერული სტერეოტიპები ძალიან აქტუალურია და დიდ გავლენას ახდენს კოგნიტურ, ქცევით და აფექტურ დონეებზე. ასევე ცხადია, რომ დღევანდელ საზოგადოებაში ქალის განაწილების სტრუქტურა მამაკაცის სასარგებლოა, ამიტომ ის ნიშნები, რაც ფემინურობა-მასკულინობას მიეწერება შეიძლება მაღალი და დაბალი სტატუსის ჯგუფებისთვის დამახასიათებელი ნიშნები იყოს და არა სქესის ატრიბუტი. როგორც გუინი (1984) აღნიშნავს, მამაკაცები და ქალები შოლიანობაში შეიძლება განიხილო, როგორც განსხვავებული სოციალური სტატუსის ჯგუფები ყველა თანმდევი შედეგით. მაღალსტატუსიანი ჯგუფები როგორც წესი, ფასდება კომპეტენციის და ეკონომიკური წარმატების ტერმინებში, ხოლო დაბალსტატუსიანი - სითბოს, გულითადობის და ჰუმანურობის ტერმინებში. ამ ავტორის აზრით, ქალის სტერეოტიპის ყველა დადებითი ნიშნები (სითბო,ემოციური მხარდაჭერა, დამთმობობა) სხვა არაფერია, თუ არა კომპენსაცია ქალის პოზიციის უქონლობისათვის.

დავებრუნდეთ მაკრო დონეს - კულტურას (იგულისხმება ერის ან კონკრეტული საზოგადოების კულტურა). როდესაც განიხილავენ საზოგადოების ღირებულებით პრიორიტეტებს, მიზანშეწონილია გამოყენებულ იქნას კულტურის დონის შესატყვისი ღირებულებითი

განსომილებანი და არა ინდივიდუალური დონის განზომილებანი[2]. პიროვნების დონეზე ღირებულებანი წარმოადგენენ მოტივაციურ მიზნებს, რომლებიც მართავენ მის ცხოვრებას. როდესაც ლაპარაკობენ კულტურისთვის დამახასიათებელ ღირებულებებზე, გულისხმობენ სოციალურად გაზიარებულ, აბსტრაქტულ წარმოდგენებს იმაზე, თუ რა არის კარგი, სწორი ან სასურველი ამ საზოგადოებაში[3]. ეს კულტურული ღირებულებები ქმნიან გაზიარებული ნორმების საფუძველს და განსაზღვრავენ შესაფერისი ქცევის შერჩევას ყოველ ცალკეულ სიტუაციაში. კულტურული ღირებულებანი ახასიათებს ორგანიზაციებს და სოციალურ ინსტიტუტებს. ღირებულებითი პრიორიტეტები გაელენას ახდენს მაგალითად იმაზე, თუ როგორ იქნება განაწილებული სოციალური რესურსები, როგორ საზოგადოებრივ პოლიტიკას ატარებს ერი (საზოგადოება) და ა.შ. საზოგადოების წევრებს ისინი გადაეცემა ყოველდღიურ ცხოვრებაში ჩვეულებების, წესების, ნორმების, კანონების საშუალებით. მათი დაკვირვება უშუალოდ არ შეიძლება და უმეტეს შემთხვევაში მათზე მრავალფეროვანი კულტურული პროდუქტების მიხედვით დაასკვნიან.

ფემინურობა-მასკულინობა, რიგი ავტორების თანახმად, ასეთი კულტურული ღირებულებაა და აღნიშნავს იმას, თუ რა დონით არის გაზიარებულ საზოგადოების წევრებს შორის ღირებულებები, რომლებიც მამაკაცის ან ქალის ატრიბუტიკას უკავშირდება. ჰოფსტედის განსაზღვრების თანახმად, საზოგადოების *მასკულინობა/ფემინობის* განზომილებით აღიწერება ის, თუ რამდენად ხდება გარკვეულ საზოგადოებაში სქეს-როლებს შორის განსხვავების უგულვებელყოფა ან პირიქით, მათი მაქსიმიზირება, ე.ი. თუ არსებობს მათში გენდერული როლების მკვეთრი დაყოფა - სტრატიფიკაცია ან, თუ როლები ეროვერთგადამფარავია. მასკულინურ საზოგადოებებში სქესობრივი (გენდერული) როლები მკვეთრად განსხვავდება. კერძოდ, იგულისხმება, რომ მამაკაცი უნდა იყოს: თავდაჯერებული, უხეში, მატერიალურ წარმატებაზე მიმართული; ქალი - მოკრძალებული, ნაზი, ცხოვრების ხარისხზე მზრუნველი. სხვათა შორის, ევოლუციონისტი ფსიქოლოგების შეხედულებით ფემინურობის ეს ბაზისური ნიშანი - ხარისხზე ორიენტაცია ბიოლოგიური მიზანშეწონილებით და რეპროდუქციული უნარების სქესობრივი თავისებურებით აიხსნება (სოციალური ფსიქოლოგია, მაიერსი, 1997)).

ფემინურობას მიაწერენ ისეთ საზოგადოებებს, სადაც სოციალური გენდერული როლები ერთმანეთის გადამფარველია და ორივესათვის, ე.ი. ქალისთვისაც და მამაკაცისთვისაც ნორმალურად ითვლება მოკრძალებული, თავდაჭერილი ხასიათი, სინაზე და ცხოვრების ხარისხზე ზრუნვა.)

მასკულინურ საზოგადოებებში წახალისდება და ფასდება ქცევები, რომლებიც მასკულინური ზედსართავებით ხასიათდება. ასეთი ზედსართაველია: სწრაფი, უხეში, ძლიერი, ეფექტური, გადაწყვეტლების ადვილად მიმღები, ძლიერი ნებისყოფის, შემტევი, ათლეტური. ფემინური ზედსართაველია: ნაზი, მგრძნობიარე, სახლზე მზრუნველი, კომფორტის

[2] შეარცი, 1990

[3] უილიამსი, 1970

და სილამაზის დამფასებელი, ბავშვების მოყვარული. ეს თვისებები, განმარტების თანახმად, ფემინურ საზოგადოებაში უნდა ფასდებოდეს.

საზოგადოებების ასეთივე მკაფიო მახასიათებელია როლების განაწილება. როლები, რომლებიც საჭიროებს სიმამაცეს, ანალიტიკურობას, ზედამხედველობის და მართვის უნარს, სიმტკიცეს, კონტროლის ინტერნალურ ლოკუსს,მასკულინურ საზოგადოებაში დაკავშირებულია მამაკაცებთან, ხოლო ფემინურში განაწილებულია სქესთა შორის. როლები, რომლებიც მომსახურების ფუნქციებს შეიცავს, მასკულინურ საზოგადოებაში ქალებს უკავიათ, ხოლო ფემინურ საზოგადოებებში - ორივე სქესი ინაწილებს.

ორგანიზაციულ დონეზე მასკულინობა ელინდება აგრესიულ კონკურენციაში, ძლიერი ნების და მტკიცე ხელმძღვანელობის სტილში, მოგებაზე და ბაზრის ზრდაზე ორიენტაციაში, ორგანიზაციის ფუნქციონირებაზე დამოკიდებულებაში, მკაცრ გარემოში, დისკრიმინაციაში სქესობრივი ნიშნით და მაღალი თანამდებობების პატივისცემაში.

როგორც ვხედავთ, ფემინურობა-მასკულინობა აქ ბიპოლარული მოდელის სახითაა წარმოდგენილი, რაც ურთიერთგამორიცხავ თვისებებს გულისხმობს. როგორც ცნობილია, პიროვნულ ტესტებში ეს მოდელი შეცვლილია ორი დამოუკიდებელი სკალით მასკულინობისთვის და ფემინობისთვის, რაც თავის მხრივ ნიშნავს, რომ ეს ორი ცნება ურთიერთს კი არ გამორიცხავს, არამედ შესაძლებელია, რომ ერთ პიროვნებას ორივე სკალაზე მაღალი ან დაბალი მაჩვენებელი ჰქონდეს. ეს შემოხვეები ტიპოლოგიაში შესაბამისად ანდროგინობის და არადიფერენცირებული ტიპის სახელითაა ცნობილი. მართალია,არსებობს ხანგრძლივი ტრადიცია, ქალური და მამაკაცური წარმოდგენილი იყოს ბინარული ოპოზიციების სახით ისევე, როგორც ნათელი და ბნელი, ამაღლებული და მიწიერი, სველი და მშრალი და ს.შ.. ზოგიერთი მეცნიერი მიიჩნევს, რომ სამყაროს მოწესრიგება ბინარული ოპოზიციების სახით ადამიანის იმანენტური, ანთროპოგენეზის დროს ჩამოყალიბებული და გენეტიკურად განმტკიცებული ფსიქიკის თვისებაა. მაგრამ თუ სველი არასოდეს არ შეიძლება იყოს იმავე დროს მშრალი და ბნელი ვერ იქნება ნათელი, სამაგიეროდ ადამიანი ერთდროულად ფემინური და მასკულინრული თვისებების მატარებელი შეიძლება იყოს. ბიოლოგიურ დონეზეც, ადამიანის ორგანიზმი, ხომ ორივე სქესისთვის დამახასიათებელ ჰორმონს შეიცავს და მხოლოდ მისი პროპორცია უზრუნველყოფს ამა თუ იმ სქესის ნიშნების გამოვლინებას.

სამართლიანი იქნებოდა დაგვეშვა იგივე მოდელი საზოგადოების დახასიათებისთვის: მაგ. საზოგადოება, რომელშიც ღირებულია ორივე, ან რომელშიც არც ერთს არ ენიჭება უპირატესობა და ფასობს სულ სხვა - სკალის მიმართ ნეიტრალური თვისებები. ასევე, რეალურად, ძნელი წარმოსადგენია, რომ არსებობდეს წმინდა ფემინური კულტურა, განსაკუთრებით თუ გავიზიარებთ იმ შეხედულებას, რომ ფემინური თვისებები სხვა არაფერია, თუ არა დაბალი სტატუსის ჯგუფის აღმნიშვნელი თვისებები. ხოლო დაბალი სტატუსის თვისებები და შესაბამისი ღირებულებები არ შეიძლება გახდეს მთელი საზოგადოებისთვის საერთო და ღირებული უკვე განსაზღვრების თანახმად. თანამედროვე კულტურები, რომელშიც შეინიშნება ფემინური

ნიშნების მომრავლება, სინამდვილეში მასკულინური კულტურებია გამდიდრებული ფემინური ღირებულებებით და ამდენად, მათ უფრო ანდროგინული შეგვიძლია ვუწოდოდ. ამდენად, ჩვენ გამოვეყოფდით მასკულინობა-ფემინურობას, როგორც მახასიათებელს იმ ნამდვილად ბიპოლარული განზომილებებისგან: მაგ. კოლექტივიზმი-ინდივიდუალიზმი, ძალის დიდი ან მცირე დისტანცია და ა.შ. (უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი ავტორის მიხედვით კოლექტივიზმი-ინდივიდუალიზმიც ცალკე სკალების სახით უნდა იყოს განხილული, შვარცი, 1990) და განვიხილავდით ს. ბემის მსგავსად დამოუკიდებელ სკალებად. ასევე აღსანიშნია, რომ, რაცა არ მომხდარიყო მეორე, *ძალის დისტანციის* განზომილების ნიშნებთან გადაფარვა ძალის ამსახველი აიტემები ამ განზომილებიდან ხელოვნურადაა ამოღებული. ძალის დისტანცია აღნიშნავს იმ თვისებას, თუ რამდენად მიღებულია საზოგადოებაში ძალის განაწილების უთანასწორობა, რამდენად ავტოკრატულ სტილსა და ავტორიტეტებსეა ორიენტირებული, რამდენად ძლიერია ემოციური კავშირები დომინანტურსა და დაქვემდებარებულს შორის და ა.შ. მაგ. ძალის დიდი დისტანციის კულტურებში ძირითადი ღირებულებებია: ძალა, ავტორიტეტი, პრესტიჟი, სტატუსი, სიმდიდრე, და მატერიალური ქონება. როგორც ვხედავთ, ეს მახასიათებელი ძალიან ახლოსაა კულტურის მასკულინობა-ფემინურობის განსაღერებებთან. რიან ეისლერი (1987) მიიჩნევს, რომ არსებობს *საზოგადოებების "პარტნიორული" და "ბატონობის"* (ან "მბრძანებლობითი") მოდელები. ბატონობის კულტურები იერარქიულია, პატერნალისტურია, მატერიალისტურია და მამაკაცთა გაბატონებული მდგომარეობით გამოირჩევა. მისი აზრით, პარტნიორული მოდელები ბატონობით მოდელებთან კონკურენციაში დამარცხდნენ. ავტორი ამას ზნეობრივ შეფასებასაც აძლევს და ბატონობით მოდელებს ბრალს დებს ბუნებასთან, ერთმანეთთან და საკუთარ თავთან გაუცხოებაში. ხშირად ავტორი პარტნიორული და ბატონობითი საზოგადოებების მაგივრად კულტურის ფემინიზაციისაა ან მასკულინიზაციის ცნებებს იყენებს. ასეთი ტიპის მიდგომებში ძალის დისტანციის და ფემინურობა-მასკულინობის განზომილებები ერთმანეთის ექვივალენტური გამოდის.

ყველაფერი ზემოთ თქმულის საფუძველზე, და იმ აზრის გათვალისწინებით, რომ სწორედ ძალის განზომილება წარმოადგენს გენდერული თვისებების მაორგანიზებელ პრინციპს,ამ ნიშნების (ძალისა და გენდერული) დაშორება უმართებულოდ გვესვენება.

ის, რომ საზოგადოებაში ძალის განაწილება სქესთა შორის ურთიერთობაში მნიშვნელოვანი ფაქტორია, ილუსტრირებულია პოლ სეკორდისა და მარსია გუტენტაგის ე. წ. Sex Ratio თეორიის მეშვეობით. ამ თეორიის მიხედვით კაცობრიობის ისტორიის მანძილზე სხვადასხვა კულტურაში სქესთა შორის სტრუქტურული და დიადური (ერთი წყვილის ფარგლებში) ძალის განაწილება დამოკიდებული იყო ამ საზოგადოებაში სქესთა შორის რაოდენობრივ თანაფარდობაზე, ხოლო ძალთა განაწილება ქმნის საზოგადოებაში სქესთაშორისი ურთიერთობების გარკვეულ სტილს, რომელიც ამ კულტურაში მასკულინობა-ფემინურობის კონცეფციაში აისახება. სტრუქტურულ ძალაში იგულისხმება სოციალური სტრუქტურის მახასიათებლები საზოგადოებაში, რომლებიც სხვადასხვა სქესს განსხვავებული რესურსებით უზრუნველყოფს. სეკორდის და გუტენტაგის

შეხედულებით, სქესთა შორის ურთიერთობა ისევე, როგორც ნებისმიერ ორ ბიოლოგიურ არსებას შორის, პირველ რიგში, ძალა-დამოკიდებულების ურთიერთობას ასკამს დაღს. სოციალური სტრუქტურის მახასიათებლები ჩვენთვის ცნობილ კულტურებში, როგორც წესი, კაცს ქალზე შეუდარებლად მდიდარი რესურსებით უზრუნველყოფს. თუმცა, სტრუქტურული ძალა მას ყოველთვის მეტი აქვს, ეს სიდიდე მაინც იცვლება. აეტორების აზრით, სქესთა რიცხობრივი თანაფარდობის ბალანსის ცვლილება გაცილებით უფრო ძლიერად მოქმედებს დიადურ ძალთა განაწილებაზე (მაგ. ოჯახში). მაღალი Sex Ratio საზოგადოება, თეორიის თანახმად ეწოდება ისეთს, სადაც ქალების უმცირესობაა მამაკაცებთან შედარებით, შესაბამისად დაბალი Sex Ratio საზოგადოებაში ქალები სჭარბობენ მამაკაცებს. სქესს, რომელიც უმცირესობაშია, ეკუთვნის მეტი დიადური ძალა, ხოლო სქესი, რომელიც რაოდენობრივად სჭარბობს მეორეს, მეტად დამოკიდებული ხდება ურთიერთობაზე. ქალისა და მამაკაცის ურთიერთობა და როლური იდენტურობანი ცვალებადობს განსხვავებულ საზოგადოებაში და მათ განმასხვავებელ ნიშანს წარმოადგენს, მაგრამ, ამასთან ერთად, მაღალი Sex Ratio საზოგადოებები ხასიათდებიან საერთო ნიშნებით და შედეგებით, ისევე როგორც დაბალი Sex Ratio საზოგადოებები. აი ელემენტები, რომლებიც ახასიათებს ქალთა დეფიციტის საზოგადოებებს (High Sex Ratio). ასეთ საზოგადოებებში მეტი მამაკაცია ქალებთან შედარებით. ახალგაზრდა ქალები ძალიან ფასობენ, ხოლო ის თუ რა სახით გამოიხატება ეს დაფასება, დამოკიდებულია ყოველ მოცემულ კულტურაზე. ყველა გაუთხოვარი ფასდება სილამაზისა და მომხიბლაობის მიხედვით, ხოლო გათხოვილი - როგორც მეუღლე და დედა. მამაკაცი დაინტერესებულია ცოლის შენარჩუნებაში და ამისათვის ყველაფერს აკეთებს. ზოგიერთ საზოგადოებაში ეს უკიდურესობამდეა მიყვანილი, ქალი ისეთივე ღირებულებად იქცევა, როგორც უძრავი ქონება. ამ ტიპის საზოგადოებაში ქალი დაკმაყოფილებას პოულობს ტრადიციულ - დედისა და დიასახლისის როლში. მამაკაცის და ქალის როლები ურთიერთგამომრიცხავია. ზოგ შემთხვევაში მაღალი SR ქალს აძლევს ძალისა საკუთარ ცხოვრებაზე კონტროლის შეგრძნებას. ეს ნაწილობრივ მართალიცაა, როცა ქალი თვითონ ირჩევს ქმარს. სამაგიეროდ, სექსუალურ და ეკონომიკუკრ თავისუფლებას ეს არ ეხება, მას არ შეიძლება ჰქონდეს პრეტენზიები კარიერაზე, პიროვნულ და პოლიტიკურ უფლებებზე. მთელს საზოგადოებაში გაბატონებულია მკაცრი სექსუალური მორალი, განსაკუთრებით ქალის მიმართ. ხშირად ასეთ საზოგადოებაში ორმაგი სტანდარტია მიღებული, რომელიც მდგომარეობს ქალისადმი სიწმინდის, ხოლო მამაკაცისთვის მრავალფეროვანი და უწესრიგო სქესობრივი ურთიერთობების დასაშვებობაში.

დაბალი SR - ანუ ქალთა სიჭარბის საზოგადოებებში ქალს შეძლება ჰქონდეს სექსუალური ცხოვრება ქორწინების გარეშე, ჰყავდეს უკანონო შვილები. ხშირია განქორწინებებიც. სექსუალური თავისუფლებით აქ ორივე სქესი ერთნაირად სარგებლობს, თუმცა მამაკაცს მრავალფეროვნების უფრო მეტი შესაძლებლობა აქვს; ქორწინება და ოჯახი ნაკლებ ღირებულებას წარმოადგენს. (ასეთ საზოგადოებაში მოსალოდნელია ფემინიზმის სხვადასხვა ფორმის აღმოცენება).

მაღალი Sex Ratio-ს ილუსტრაციად მკვლევარებს მოჰყავთ კლასიკური ათენი, ადრეული შუასაუკუნეების ევროპა, ორთოდოქს ებრაელთა საზოგადოება ევროპაში. ამის საწინააღმდეგოდ, დაბალი SR საზოგადოებების მაგალითია კლასიკური სპარტა, გვიანშუასაუკუნეები, 70-იანი წლების ამერიკა და ა.შ.

თუმცა მკვლევარები ძირითადად ქალსა და მამაკაცს შორის ურთიერთობის ცვლილებას SR-ის ცვლილებასთან დაკავშირებით განიხილავენ და აქცენტს დიადურ ურთიერთობებზე აკეთებენ, ნათელია, რომ მათ მიერ აღწერილ საზოგადოებებში მასკულინობა-ფემინურობასთან დაკავშირებული თვალსაჩინო როლური და ღირებულებითი განსხვავებები აისახა. კერძოდ, დაბალი Sex Ratio საზოგადოება ფემინურ საზოგადოებას უფრო უახლოვდება, რადგან იგი ხასიათდება მეტი როლური თავისუფლებით და საეარაუდოა, რომ ფუნქციების გადაფარვით, შედარებითი ეგალიტარიზმითა და სხვა ნიშნებით (მიუხედავად იმისა, რომ ქალებს, ავტორთა აზრით, ნაკლები დიადური ძალა აქვთ). აღწერილი საზოგადოებები გარკვეული ნიშნებით სავსებით ემთხვევა საზოგადოების განსაზღვრებას. ავტორები აღნიშნავენ, რომ სტრუქტურული ძალა (სოციალური სტრუქტურაში ჩადებული მახასიათებლები, რომლებიც განსხვავებულ ძალას ანიჭებენ ამა თუ იმ სქესს) მამაკაცს ყოველთვის მეტი აქვს ქალთან შედარებით. ხოლო თუკი ეს ძალა ქალების სასარგებლო აღმოჩნდებოდა (ე.ი. თუ ისინი უფრო მაღალი სტატუსის ჯგუფად გადაიქცეოდნენ), არ არის გამორიცხული, რომ საზოგადოება მასკულინური უპირატესობის საზოგადოება იქნებოდა, რამდენადაც ძალის პოზიცია ანუ დომინანტობა (ერთ-ერთი ჯგუფის დომინანტობა მეორეზე, იერარქია) მასკულინობის ერთ-ერთი ატრიბუტია. როგორც, ჩანს ფემინური თვისებების, ღირებულების გასაძლერებლად ხელსაყრელ გარემოს მხოლოდ ეგალიტარული ურთიერთობების საზოგადოება შეიძლება ქმნიდეს.

ჩვენ განვიხილეთ ფემინური და მასკულინური საზოგადოებების ძირითადი მახასიათებლები. ასევე ვნახეთ, თუ როგორ მოქმედებს სოციერული ფაქტორი კულტურის გენდერულ ორიენტაციაზე (ეს ტერმინი კულტურის მასკულინობა-ფემინურობის ექვივალენტურად გეესახება). შეგვიძლია დავამატოთ, რომ - საზოგადოებები შეიძლება დახასიათდეს საზოგადოების წევრების ქცევებსა და ცნობიერებაზე გენდერული სტერეოტიპების გავლენის მიხედვით. კერძოდ, განმარტების თანახმად, მასკულინური კულტურა უფრო ძლიერი სტერეოტიპულობით ხასიათდება. მისი ნიშანია როლების მკაცრი სტრატიფიკაცია, რომელიც თავის მხრივ სტერეოტიპულ წარმოდგენებს ეფუძნება ქალის და მამაკაცის ბუნების, უნარებისა და დანიშნულების შესახებ. მასკულინურ საზოგადოებში დომინანტური სქესი (მაღალი სტატუსის ჯგუფი) თავისი ინტერესების დასაცავად თვითონ ქმნის გენდერულ სტერეოტიპებს და მათ კულტივირებას ახდენს. ასეთი ტიპის საზოგადოებებში,ქალებიც,როგორც დაბალი სტატუსის ჯგუფი ინარჩუნებენ მისი მეორეხარისხოვნების და დაქვემდებარებული მდგომარეობის გამამართლებელ გაბატონებულ შეხედულებებს. ამდენად, საზოგადოება, რომელშიც ძლიერია გენდერული სტერეოტიპები, იმავდროულად მასკულინური ღირებულებების უპირატესობის საზოგადოებაცაა.

კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს *მასკულინური* და *ფემინურის* ცნებების პირობითი ხასიათი. ისინი აღნიშნავს ძირითადად დასავლური ცივილიზაციისთვის დამახასიათებელ ღირებულებას, რომელიც ქალისა და მამაკაცისთვის გარკვეულ ნიშანთა კომპლექსის მიწერას გულისხმობს. მიუხედავად ზოგიერთი ნიშნის ტრანსკულტურული ვალიდობისა, ამ ცნებების გაიგივება *ქალურსა* და *მამაკაცურთან* უმართებულოდ გვეჩვენება. სხვა ისტორიულ ან კულტურულ გარემოში შექმნილი ეს განზომილება განსხვავებული შინაარსით შეიცავებოდა. თუ მ. მიდის მიერ დახასიათებული ახალი გვინეის ოთხ ტომში ქალური და მამაკაცური ღირებულებების გაგება ისე ძლიერ განსხვავდებოდა, რომ მკვლევარმა ისინი ოთხგანზომილებიანი სისტემის ოთხ პოლუსზე მოათავსა, ნათელია, რომ ამ კულტურებში შემუშავებული განზომილება მეტად განსხვავებული აღმოჩნდებოდა ჩვენს მიერ ადრე დახასიათებულისგან.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, მასკულინური და ფემინური კულტურების დასახასიათებლად შეიძლება გამოვეყოთ შემდეგი დებულებები:

1. მათ განსაზღვრავს ძალის განზომილება, კერძოდ, საზოგადოებაში სტრუქტურული და დიადური ძალის განაწილება და ამ კულტურისთვის დამახასიათებელი ძალის დისტანცია.
2. ფემინური კულტურა არ არსებობს სუფთა სახით, რადგან მისი განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ იდეალურად ეგალიტარულ საზოგადოებაში, სადაც არც ერთი სქესი არ განიხილება დომინანტურად ან დაქვემდებარებულად. სრუქტურული ძალის მაჩვენებლით სქესები და ნებისმიერი სხვა ჯგუფის მდგომარეობა უთანაბრდება ერთმანეთს. ხოლო ნებისმიერ საზოგადოებაში, სადაც გამოკვეთილი იერარქია და სტრუქტურაა წამყვანი, შეიძლება იყოს მასკულინური ღირებულებები; ასეთი კულტურა ასევე ვერ გადარჩებოდა სხვა კულტურებთან აგრესიული კონკურენციის პირობებში.
3. თანამედროვე სამყაროში ფემინური ნიშნები კულტურაში გვხედება მხოლოდ მასკულინურ თვისებებთან ერთად, (და არა მათ გამომრიცხავად). ამიტომ მიზანშეწონილია ლაპარაკი ანდროგინულ კულტურებზე (ფსიქოლოგიური ანდროგინული პიროვნების ანალოგიით);
4. საზოგადოებაში ფემინური ღირებულებები უფრო მოსალოდნელია, რომ ქალთა სიმრავლის პერიოდებს ემთხვეოდეს.
5. მასკულინური საზოგადოება შეიძლება დახასიათდეს, როგორც ძლიერი გენდერული სტერეოტიპების საზოგადოება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Девид Майерс, *Социальная Психология*, Санкт-Петербург,1997.
2. Агеев В.С., Психологические и социальные функции полоролевых стереотипов, *Вопросы Психологии*,1987.
3. Кон И.С., Психология половых различий, Вопросы психологии, 1981.
4. Теренс Маккена, *Пища Богов*, Изд-во Трансперсонального Института,1995.
5. William Ickes, Sex-role Influences in Diadic Interaction: S Theoretical Model. *Gender and Nonverbal Behaviour*, Springer-Verlag, New York, Heidelberg, Berlin,1981
6. Secord,Paul. The origin and maintenance of social roles: The case of Sex Roles. *Personality, Rolesand Social Behavior*, ed. by W. Ickes &E.S. Knowles, Springer-Verlag, New York, Heidelberg, Berlin. 1982.
7. Zbignew Smoreda, Power, gender stereotipes and perseption of heterosexual couples, *British Journal of Social Psychology*, 1995.
8. Eagly, S.H. & Steffen, V.J. Gender Stereotipes stem from the disribution of men and women social roles. *Journal of Personality and Social Psychology, 1984.*
9. *Maccoby E.E. & Jacklin C.N. The Psychology if Sex Differences. Stanford, 1974.*
10. Schwarts, S.H. Values in the West: S Theoretical and empirical challenge to the individualizm-collectivism cultural dimention, *World Psychology*, 1995.
11. Schvarts, S.H. Are there universal aspects in the structure and contents of Human values? Journal of Social Issues,Vol.50, 1994.

Summary of the article "Masculinity and Femininity in Cultural Discourse" by Nana Berekashvili

The article represents an overview of literature on the problem of feminine-uline dimensions in person and culture. On the basis of different sources, the or tries to show s crucial significance of Osgood's "power" (subordination-dination) dimension in the attribution of masculinity-femininity traits. N. kashvili tries to explain gender stereotypes from other approaches as well and across her own opinions about the characteristics of masculine and feminine ties (cultures).

დავით ანდრიაძე

გრძნობათა ანესთეზია ანუ მარინა ივანიშვილის ვნებათა იმპერია

იმ დღეს, მარინა ივანიშვილის ყერნისაჟსე ნება-ნება მიმავალს, რატომღაც ოთარ ჭილაძის სტროფი ამეკვიატა: "თოვლი მოვიდა, მარინა თოვლი! არც ისე მკაცრი ყოფილა ღმერთი. დედოფალივით სუფთას და მოვლილს, ჩემთან აგზავნის და მხოლოდ ჩემთვის".

არადა, რა თოვლი, რის თოვლი! თბილისური შემოდგომის ერთი ნორმალური საღამო იყო. იქ კი, გალერეა "ორიენტში" არანორმალური (თუ პარანორმალური), "პათოლოგიური" ხელოვნება გვეულოდა...

მარინამ მოსაწვეული ბარათითვე სცადა პოტენციური (თუ იმპოტენციური) რეციპიენტის გაღიზიანება: "კომპეტენტური აზრი: შიშველი სხეული ხელოვნებაში პორნოგრაფია. ის კი ვინც მას გამოსახავს – პათოლოგიური. ფსიქოლოგი: სიშიშვლე ქართული ეროვნული ცნობიერებისათვის მიუღებელია! აქედან გამომდინარე, "ცეცხლი ჩვენსკენ".

ნურას უკაცრავად, არავითარი ცეცხლი... და ღადარი!

ყოველ შემოხვევაში, ასეთი ეპატაჟი ჩემთან არ გაგიეა, მარინა ("არც ისე მკაცრი ყოფილა ღმერთი"!)

ხედავთ, ჩვენს მშვენიერ მხატვარ სურს, "რომ ამირიოს გზები სრულიად და გზის ნაპირად დამსვას მგზავრივით"?!

მოკლედ, მისამართი შეგეშალა, ძვირფასო! თქვენი მორჩილი მონა სულაც არ ფიქრობს, რომ შიშველი სხეული ხელოვნებაში პორნოგრაფიაა; და ასე რომც იყოს, რა არის ამაში მიუღებელი?!

თუმცა, მარტო შიშველი სხეულის ხატვით რომ ერთობოდეს მარინა, ვინ გიჟი და ოხერი დააბრალებდა პორნოგრაფიას ანდა პათოლოგიურობას.

ასე გასინჯეთ და (კაი გასასინჯი კია!), მარინა კოიტალურ სცენებსაც ხატავს, სექსს "მისტირის", დიახ, ხამბახებიან მთვარეს, ანდა სიყვარულს კი არა (მით უფრო, "სიყვარულის ალაბაგის ქალისას"), სექსს მისტირის...

ვითომ?!

კეთილი! არაფერსაც არ მისტირის. რა აქვს სატირალი, როცა თავდ ფლობს სექსს და ამაში სულაც არაა მარტოხელა და ორიგინალური.

რასე ვსლაპრობდი?!

ჰო... მარინა სექსს ფლობს-მეთქი... ახლა ვნახოთ, როგორ ფლობს სექსს; და არა მხოლოდ მარინა...

შორიდან მოვუვლი და კიდევ ერთხელ დავაფიქსირებ, რომ დღეს ადამიანმა – ამ "კოლექტიურმა არაკაცმა", შექმნა რა ისეტი ყარმოსახვითი ელემენტი, როგორიცაა "სექსი", ანუ სექსუალობის დისპოზიტივი,

იმაედროულად გამოიმუშავა თავისი ფუნქციობის ეროი ფუნდამენტური პრინციპი: სექსის ნდომა – მისი ფლობის სურვილი,დაუოკებელი წადილი, მიიღოს სექსის, ასე ვთქვათ, სერტიფიკატი. ესაა სურვილი, გახსნა სექსი, გაათავისუფლო იგი და მოახერხო მისი არტიკულირება, დისკურსში არტიკულირება. კიდევ მეტი: ფორმულირება, თანაც ჭეშმარიტების სახით ფორმულირება.

მადლობა ღმერთს, სექსის ხანგრძლივი და უმკაცრესი დათრგუნვის ეპოქამ კარგა ხანია "ჩაილურის წყალი დალია" – ქრისტიანული ასკეტიზმიდან, ბურჟუასიული ეკონომიკის იმპერატიეებით დამთავრებული, მისთვის დამახასიათებელი სიძუნწით რომ იყენებდა ამ მოუხელთებელ ფანტომს.

ასე რომ, ჩვენს წინაშე, რომ იტყვიან, თაობათა ქედჩაუხრელი გარჯით დეზავეურებული სექსუალური ცენზურის ისტორიაა. როგორც დიდი ილია იტყოდა, აი, ისტორია! კიდევ მეტი, სექსი რომ გვეგონა, "სექსი" ყოფილა, ძალაუფლება... ეს უკანასკნელი (თუ "პირველი"?!) ასე შემოგვიტრიალდა ინვარიანტის სახით და კაცობრიობის (თუნდაც მამაკაცობრიობის) დათრგუნვის ისტორიულ (და ისტერიულ) ფორმებად ჩამოისახა.

ესეც ჩვენი "სექსუალობა", როგორც ისტორიული გამოცდილება, თავისი პიკანტური ინსტრუმენტარიითურთ სამმაგი ღერძის გარშემო რომ ბრუნავს. ესენია (კარგად დაიხსომეთ!): სექსის ცოდნისაკენ მიმართული განათლება, ძალაუფლების სისტემები, სექსუალურ პრაქტიკას რომ არეგულირებენ, და ბოლოს, ფორმები, რომელთა მეშვეობითაც ინდივიდებს შეუძლიათ საკუთარი თავი ამგვარი სექსუალობის სუბიექტთა ხარისხში დასახონ; დასახონ და აღიარონ...

მოკლედ, "სექსი" მარტო მარინასთვის კი არა, ნებისმიერი "ნორმალური" ადამიანისათვის კონსტიტუირდება, როგორც სასურველი; და სწორედ ეს საურველობა (თუ სანდომელობა) გვაკავშირებს ჩვენ (მე და მარინას კი არა, ყოველ "ჩვენგანს), რათა გავხსნათ ფრჩხილები და შევიმეცნოთ ეს, უკვე კარგა ხანია ლეგიტიმირებული ხილი. მოკლედ,ჩვენი (ისევ "ჩვენი"!) სურვილია, არა მხოლოდ "სექსი", არამედ მისი კანონისა და ძალაუფლების გაშიშვლება.

სექსუალური დისკურსის (და არა, უბრალოდ, ადამიანის, ანდა კოიტალური აქტის) გაშიშვლებაა აქ მთავარი, სურვილის გაშიშვლება, ნდომის გაშიშვლება; და სწორედ ეს ნდომაა, რომელიც გვაიძულებს ვიფიქროთ, რომ ჩვენ (სევ "ჩვენ და ისევ ჩვენ") ყოველგვარი ძალაუფლების ჯიბრით ეამტკიცებთ ჩვენი სექსის უფლებებს, იმ დროს, როდესაც სინამდვილეში სექსის ნდომა სექსუალობის დისპოზიტივთან გვაბამს, გვაიძულებს საკუთარი სიღრმეებიდან წამოვიმართოთ და... რა მერე?! შევიმეცნოთ საკუთარი თავი – "სექსის ეს შავი ციალი" (მიშელ ფუკო).

აი, ხომ ხედავთ, არც ისე ყოფილა საქმე, როგორც ზოგიერთს "პათოლოგ-ანატომს" წარმოუდგენია!

ასე რომ, სიყვარული კი არა, სექსი უნდა ყველას – თინეიჯერებსაც, კომუნისტ-პენსიონერებსაც, პოლიციელებსაც, მარკეშეიდერებსაც, "ახალ ქართველებს" ხომ უნდათ და უნდათ... სამთავრობო ელიტასაც უნდა (რაო, არ გინდათ?!) ან კიდევ, როგორ დასაჯერებელია, ჩვენი გადარჩენილი კულტურის მოიტელიგენტო (თუ წაინგელიგენტო) მოციქულებს არ

სურდეთ სექსი. არადა, ყველა მალავს, საგულდაგულოდ ჩქმალავს, იმ დროს, როდესაც, სიყვარულს მალავა უნდა, თორემ სექსს?! როგორ გეკადრებათ!

და მაინც, სექსი ყველას უნდა, თანაც ყველგან – ვენახშიც, საუნაშიც, პარლამენტშიც, არასამთავრობო ორგანიზაციათა ოფისებშიც, მაგრამ გამხელა უჭირთ... ერთი თინეიჯერული სიმღერის "უტიფარ" ტექსტშიღა თუ მოისმენთ: "შენ, რა სექსი სარ". დარბაისელ ქართველს მაინც ის ერჩივნა: "ჩუმად გაგიყვან მინდორში, ჩუმად დაგისხამ ღვინოსა, ისეთ..." და ასე შემდეგ.

რას იზამ, მორიდებულია, ქართველი მამაკაცი – მოსთქვამს მარინა, – ყველაფრის ერიდება, ერიდება კი არა, ეშინია. შიდსის ეშინია, მინეტის ეშინია, ხიბლავს, მაგრამ ეშინია (''მხიბლავს, მაგრამ მეშინია''). ელემენტარულად, არ შეუძლია იკითხოს, სად არის აქ ახლო-მახლო ტუალეტი? ანდა, ბოლოს და ბოლოს, ბორდელი?! ის კი არა, იმაზე საუბარსაც კი გაურბის, თუ სად სჯობს ქალის "მიტ...არაკანება" (ე. ი. გაჭყლეტვა) – საწოლში თუ დივანზე?! არადა, ანტონ პაველოვიჩი – ჩეხოვი არ გაურბოდა...

მარინა მამაკაცს აშიშვლებს თითოეულ ჩვენგანში, პატრიარქალურ მამაკაცს, და აღმოაჩენს, რომ "მამაკაცი" მართლაც საოცარი ქმნილებაა. იგი (მამაკაცი კი არა, მარინა) ყოველგვარი აგრესიულობის გარეშე ახერხებს ქართული მამაკაცური დისკურსის "სახიარო ტოპოსების" პრეპარირებას, ამოქექავს იდუმალებით მოცული ქართული ვაუკაცური სუბსტანციის ყველა შესაძლო ატრიბუტს – ამ "საოჯახო ნივთებს", თუმცა არასოდეს აკეთებს მათს ერექციაზე პედალირებას; მარინას მაინც ქალის ჰარმონიული ორგანოები ურჩევნია.

და საერთოდ, მარინა უსბლიმატია, სუბლიმირება კი, გენიტალიების დამალვას ნიშნავს. სხვათა შორის, რემი დე გურმონი თავის გახმაურებულ წიგნში – "სიყვარულის ფიზიკა" – წერდა, რომ ქალის სხეული მამაკაცისაზე ჰარმონიული იმიტომაა, რომ მას არ გააჩნია უსიამოვნო წამონაზარდები,სექსუალური ლტოლვის პროცესში ვისთვის ამაზრზენად, ვისთვის კი, სულისწამღერებად რომ ტორტმანობენ.

ქალის სხეული ოვალურია; ოვალური და სალუქი, გლუვი, ხავერდოვანი, და თითქოს, სწორედ რომ "მაღალი ხელოვნებისათვისაა" შექმნილი. რაც შეეხება პენისის ერექციულ გამოსახულებას, მისი აკრძალვა შემაშფოთებლად უსიამოვნო, უფორმო ობიექტის გამოსახულების აკრძალვაცაა. გავიხსენოთ, ძველი იაპონური პორნოგრაფიული გრავიურის ეფექტი მეტრფეთა სხეულების პირობითი ესთეტიზმისა და ჰიპერტროფირებული გენიტალიების კონტრასტზე იყო ამოზრდილი; და ამგვარი, ევროპული თვალთახედვით, პორნოგრაფიკა უეცრად ექცევა ესთეტიკურის ორბიტაში და კაცმა რომ თქვას, უკვე აღარც კი აღიქმება პორნოგრაფიად, იმ დროს, როდესაც, ვთქვათ, ფრანც ვან ბაიროსის ოპუსები უკვე პორნოგრაფიაა, მაგრამ – ღმერთო ჩემო! – როგორი პორნოგრაფია?!

რაც შეეხება ქართულ მამაკაცურ დისკურსსა და მის ტოპოლოგიას, მარინა აღმოაჩენს (რამდენი რამე უნდა აღმოგვიჩინო, ძვირფასო!), რომ ეს "მამაკაცი", მაინც და მაინც, მყარად ვერ დგას ადგილზე. ყოველ შემთხვევაში, მარინა დამატებით, თავის წილ პროვოკაციას გეიწყობს; პროვოკაციასაც და შანტაჟსაც...

მარინა (მოკვდი, გაუთავდი შენი სახელის ძახილით!), ადამიანური ღირსების დასაცავური კოდექსით ცხორობს: "თავს ნურც გაიმართლებ და ნურც იწუწუნებ".

პუშკინის მიერ ჩაადაეეისადმი მიწერილი ბარათის პერიფრაზირებით შემიძლია მოგახსენოთ, რომ მარინა ჩვენს ფემინურ არტსოციუმში – ნუ გაიკვირვებთ და,– ლამისაა ერთადერთი მასკულანისტი ევროპელია და რაც არ უნდა უხეშად და ცინიკურადაც უნდა მოგვეინოს, იგი ამ სიტუაციაში მარინაზეცაა დამოკიდებული, რათა ბევრად უფრო უარესები არ გავხდეთ... "ბევრად უარესები" – კაი ნუგეშია, მე და ჩემმა ღმერთმა!

ასეა, ჩვენი ძვირფასი მარინა ნამდვილი ევროპელია. ევროპული ზომიერებით შოკირებადი და ეპატირებადი??. იგი თავს არტისტული ორგაზმის დროსაც არ კარგავს და უსირცხილობაშიც ზომიერია. თქვენ წარმოიდგინეთ, იგი მორცხვიცაა, ყოველ შემთხვევაში, მორცხვსაც ზომიერად თამაშობს. თუმცა, მამაკაცები უფრო მორცხვები არიან. ვიქტორ ეროფეევი, დღევანდელი რუსული მწერლობის ეს "ანფან ტერიბლი" წერს:

"Женщины играют со своей стеснительностью в прятки, но стоит мужщине выйти за дверь, как они с облегчением выпускают газы–. კარგია, არა?!

ამ ტექსტში მე უკვე ბევრჯერ მოვიხმე (და მოვიხმარე) სიტყვა "მამაკაცი",

მაგრამ სად არის იგი – აი, ამას ჩვენს მარინა!

არა, "მამა" დარჩა (თუ გადარჩა?), მიემატა "ქმარი", მაგრამ "კაცი"?!

"კაცი" დაიეიწყეს; მართლაცდა, "კაცია – მამა"? ანდა, "კაცია – ქმარი"?!

"ქმარი" მუშაობს, სვამს, ბავშვებს "აჩენს", მაგრამ "კაცი", "კაცი" რაღას აკეთებს?

მგონი, ძალიან შევიჭერი "შემთხვევითი ნომენკლატურული ოჯახობის სფეროში", მარინა კი, გვერდზე დამრჩა. არადა, ალბათ, კითხულობს ახლა ამ მარგინალურ ტექსტს ჩვეული იუმორით, "პონტით" და "არაბუნებისმცოდნეობითი" ინტერესით და ულვაშებში ეღიმება, ანდა ქართული კულტურის რეჟიმის მიერ რეპრესირებული ტანით თახთახებს.

მაინც, რა აკეთებინებს მარინას ამ პერვერსიულ ეგზერსისებს?

ჯერ ერთი, "რა" კი არა – "ვინ"!

"ვიიინ"?

"ვინ", "ვინ"... ვინ და კუკუფა! ეს კუკუფა ჩემი მისტიფიკაციის ნაკური არ გეგონოთ – დენი დიდროს კურტუაზული რომანის – "Les bijoux indiscrets" – პროტაგონისტია, სულთან მანგოგულას ჯადოსნურ ბეჭედს რომ უძღვნის. ეს ბეჭედია, სულთანის ხარჭებს რომ აიძულებს, გათქვან თავიანთი ამურული თავგადასავლები.

განმანათლებლობის ეპოქის ეს ფრივოლური ზღაპარი ერთობ ნაყვარება მიშელ ფუკოს, იმ "გაფუჭებულ" ფუკოს, ამ თხუთმეტი წლის წინ რომ გარდაიცვალა... შიდსით (ვაი, სირცხვილო?!)..

პოსტმოდერნული ფილოსოფიის ეს "მაგი" (სუპში არ აგერიოთ) თავისი "სექსულობის ისტორიის" 1 ტომში ("ნება ცოდნისადმი") დიდროსეულ, "საშიშ" ჯადოსნურ ბეჭედს სახავს "სექსის შესახებ ჭეშმარიტების დეტექტორად", თავად კუკუფას კი, ძალაუფლების მონსტრად წარმოგვიდგენს, რომელიც სექსუალობის რეპრესირებას კი არ მიმართავს,

არამედ პირიქით, გეაიძულებს მოუკვეთ საკუთარი თავის შესახებ და ასე გავამჟღავნოთ ყოველივე საიდუმლო და დაფარული. ამ რაკურსში, ჯადოსნური ბეჭედი ძალაუფლების სინეკდოქეა, იმ ძალაუფლებისა, სექსს დისკურსში რომ გამოდევნის და ხელში მოიმწყვდევს გამოკვლევის, კონტროლისა და აღიარების პროცედურებს.

აი, ეს კუკუფა, უფრო სუსტად, კუკუფას ბუფონადური გენია ასის ჩვენს მარინას მოკარნახე დემონიეთ. კუკუფას "მადლით" განიცდის იგი არა სექსუალობის, როგორც სოციალურობის, უკეთ: სოციურობის ლანდშაფტებს და ნახატის მაესტრიით წარმოგვიდგენს სექსუალური ტანის კარტოგრაფიას. ამასთან, გამუდმებით იცავს რეგლამენტირებული გრაფიკული დისკურსის მხატვრულ ჰიგიენას, შეძლებისდაგვარი სიმკაცრით აკონტროლებს პლასტიკური ხატის მშობიარობის პროცესს, ამიტომაცაა რომ, მარინას მიერ "ნამშობიარები" ნაყოფი ესთეტიკურად კანონიერია და ესეც განსაზღვრავს ახლადშობილი სახე-ორგანიზმების "იურიდიულ" ძალმოსილებას.

და მაინც, მარინას მიერ მუყაოზე "გამოძერწილი" ხატები "პერვერსიის იმპლანტაცია" მგონია. თუმცა, გარეგნულად "ავტორი" არასოდეს ვარდება ანტიესთეტიზმში. პერვერსიის იმპლანტაცია მხატვარს – მარინა კი, უპირველეს ყოელისა, მხატვარია – იმისათვის სჭირდება, რაია დაგვანახოს, რომ ჩვენი სოციუმიც სექსის "რეპრესიის" კი არა, "ექსპრესიის" სოციუმია. ამ მხრივ, ნებსით თუ უნებლიეთ, საფუძველი ეცლება ფსიქოანალიზის, როგორც სექსის განთავისუფლების ინსტრუმეტარიის რენომეს, იმ ყაბადაღებული ფსიქოანალიზისას, რომელიც თავის მხრივ, გვეელინება ერთ-ერთ ძალაუფლებით სტრატეგიად – "აღიარების პროცედურად", სექსისაგან თვითგახსნას, ანდა მეტაღიაობას რომ თხოულობს. ოღონდ, არა პრეპარატორის ლუპის ქვეს, ანდა საგიუეთის "კოიკა'ხე", არამედ დაგმანული კაბინეტის სტუმართმოყეარე დიეან'სე. ასეა თუ ისე, მარინამ არა მხოლოდ "გასცა" თავისი სექსუალობა ანუ "უღალატა" თავის თავს, არამედ რეპრეზენტაციის წესით ისიც დაგვანახა, რომ სექსუალობაშია ჩამრხული იდუმალი "სხვის" რესურსები. და ისიც გაგვიმხილა, რომ ამ საიდუმლოს ანაგრამირებული სექსუალი'ზებული სახით გამოოქმა კონსტიტუირებს ძალაუფლების დისკურსს. მე ახლა აქ ერეინ პანოფსკიც მახსენდება, რომელიც ამუშავებდა რა ძალაუფლების იკონოლოგიას, შემოხვევით არ იხსენებდა იურისპრუდენციის ემბლემატიკას თვალახვეული ქალის სახით. ეტყობა, ხელისუფლების მიერ პროდუცირებული სექსუალობის ანატომია სწორედ ამ სამსხვერპლო სიბრმავისაგანაც უნდა გათავიუსფლდეს, რათა კელავაც სიმბოლურად გამოიხედოს თვალში და ამგვარად გახსნას საბედისწეროდ ჩახლართული ეპისტემოლოგიური კვანძი.

აი, რამდენი რამ მიეაწერე მარინას პან და ტრანსსექსუალი'ზებულ ტანებს; და კიდევ რამდენი წმინდა ადგილი დამრჩა შესავსები!

მაგათ რა შეავსებს. თუმცა მაინც ეცადოთ:

მარინას სურვილია, რაც შეიძლება ძვირი დაუჯდეს ავტონომიური (თუ ეგზოტოპიური) "სექსი". ამიტომაც უწევს მა'სანდას ამ სექსუალურ დისკურსს; და მართალიცაა – თავადაც ძვირი აქვს გადახდილი მასში... მოკლედ, მან უკვე ჩადო განსაზღვრული (თუ განუსაზღვრელი) ინვესტიცია თავისი ოპუსების სექსუალურ დისკურსში და რა გასაკვირია, მის ამოღებას

რომ ცდილობდეს?! ახლა თუ არა, მოგეიანებით მაინც ამოიღებს! არა, სჯობს ახლავე ამოიღოს. ოღონდ, თუ არ გაუმართლებს, ეურჩეე, ნურც ამაზე დასწყდება გული. დრო მოვა და ბორკილს ასწყვეტს მიჯაჭვული ამირანი... ამირანი რა შუაშია – მარინა! თუმცა აიწყვეიტა და ეგაა (მე ხომ ავიწყვეიტე და ავიწყვეიტე)!

მთავარი ისაა, რომ მარინამ, ივანიშვილმა, თავისი სუბლიმირებული კეაზიპორნოგრაფიული ციკლით იპოვა "სექსის ფიქტიური პუნქტი". ერთგვაარი პუნქტირით თავადვე აღნიშნა ხორკლიან მუყაოზე, "სექსის შავი ციალიეით" ამოსიდა მოქანდაკე მამრის ხელით დახატული მძლავრი ფიგურები, ერთმანეთში ჩახვეული, "სექსის" მახეში მომწყვდეული სხეულები და მათი ეროგენული ზონები. ჩემი ნება რომ იყოს, მე კიდევ უფრო გავაშიშვლებდი ამ ეროგენულ ზონებს, მეტ ექსჰიბიციონისტურ მიმზიდველობას შევძენდი. და საერთოდ, ნუ გერიდება, მეტი პორნოგრაფია, მარინა, მეტი პორნოგრაფია, გაიგე?! სხვა გიზთ ვერ გახვალ ევროპულ არტპორნობაზარზე, ანუ ვერ გახდები "გასასყიდი უმანკოება".

და კიდევ, შენ, ჩემო მარინა, შენი "ორიენტული" ექსჰიბიციით დაგვანახე, რომ სექსის ნდომასაც გაგება უნდა, ნდომის პერმენევტიკა! სხვისი არ ვიცი და მე, შენი – კიდევ ერთხელ მინდა დაგიფიქსირო – "მორჩილი მონა" ამ გამოფენაზე შენი სახით შევხვდი მხატვარს, რომელმაც პროფესიონალურად გაამხილა თავისი ხვაშიადი, ამადაც შეძლო სოციალური ტანის არცთუ მაინც და მაინც კარნავალური განგვირგვინება და წარმოგვიდგა ინდივიდად, რომელსაც შეუძლია გაგვიზიაროს საკუთარი თავის, როგორც "სექსუალობის" სუბიექტის სიმულაციური გამოცდილება, ან თუ რეპრეზენტირდეს ვითარცა ნდომის წმიდა კვაზისუბიექტი.

გარკვეული გაგებით, ეროტიკა მარინამაც აერობიკად გარდასახა. თვით სექსუალობა კი ფიქციად და ფანტაზმად დასახა. ამ მხრივ, თითქოსდა ბოდრიარისეული მოჩვენებითობის საზოგადოებაც დაგვანახა, დი გებორისეული სოციუმის სპექტაკლიც წარმოგვიდგინა და ამ რაკურსიდანაც გვაჯერეტინა ძალაუფლების მიკროფიზიკა. ასეთი (ვირტუალური) ძალაუფლება კი, ანუ ძალაუფლება სუვერენიტეტის გარეშე ისევ და ისევ დიდროსეული რომანის დემონია, კუკუფაა, ძალაუფლების მფრინავი მონსტრია თავისი ჯადოსნური ბეჭდითურთ, მალე თვალს რომ მიეფარება, ჩვენ კი აქ, მიწაზე დარჩენილებს, სექსის გამოთქმას გვაიძულებს; სექსუალობის პოლიფონიური დისკურსი კი ისევ იხმიანებს განსხვავებულ ობერტონებსა და რეგისტრებში...

ახლა კი Coitus interruptus-ად რომ არ ჩამეთვალოს სულ ბოლო მინაწერსაც გავაკეთებ და ეს იქნება ჩემი "საკონტროლო გასროლა".

მარინა ივანიშვილის გამოფენით თვით "მარინა ივანიშვილი" გამოიფინა; გამოიფინა, ანუ გაშიშვლდა არა ტანით, ორგანოებით, სომატური ლოკალიზაციებით, ფუნქციებით, ანატომო-ფიზიოლოგიური სისტემით, შეგრძნებებით, კმაყოფილებებით და მისთ. არამედ, სექსუალური დისპოზიტივით, თუნდაც მის მიერვე ტრავესტირებული ისტერიის სტრატეგიით. დიახ, არა ისტერიით, არამედ ისტერიის სტრატეგიით. ეს უკვე მის შინაგან კულტურაზე, ანუ ექსტრალოკალურ საქციელსა და უკომპლექსო ნატურაზე მეტყველებს. ისტერიის ამგვარი სტრატეგია კი ინტერპრეტირდება, როგორც სექსის თამაში; თამაში იმდენად, რამდენადაც იგი სინქრონულადაა "ერთიცა" და "მეორეც", ნაწილიცა და მთელიც,

ტოტალობაც და უკმარობაც... სხვა თუ არაფერი – გრძნობების ანესთეზიაა!

თბილისი, 1999 წ. 7 ნოემბერი

P. S. თბილისში ისე აცივდა, მგონი თოვლის მოსვლასაც არაფერი უკლია. ყოველ შემოხვევაში, ტანი მიგრძნობს, "ამაღამ მგონი იქნება ქარი..."ეს უკვე სევდის ჰანგია,
როგორც მერაბ მამარდაშვილი იტყოდა, "პოსტკოიტალური სევდის" ჰანგი...
დროებით...

Summary of the article
"The Anesthesia of Feelings or Marina Ivanishvili's Empire of Passions" by David Andraidze

"An epoch of long-lasting and severe repression of Sexes had already been gone long time age – greedily using this inaccessible phantom from the Christian s sceticism till the economical imperatives of Bourgeoisie".

So we are facing the history of sexual censor, deja-vous-ed by "the efforts" of entire epochs. An object of the proceeding essay, marina IvaniSvili, coming out from her own opuses – undresses s patriarchal male in each of us and manages to prepare "shared toposes" of Georgian metaphysical-masculine discourses without any aggression. Icons, created on the cardboard by the Georgian female sculptor are "implantations of perversion", through which the author tries to show how our society is inclined to become s society not of "the repression", but of "the expression". In virtue of her sublimated quasi- pornografic series the painter finds "the fictional points of sex"; paints passionately the bodies and their erogenous zones, tricked into the erotic trap and in this way transcends herself/himself in us, as s simulational experience of the sexual subject and therefore is represented as s pure quasi-subject of desire (wish). By means of her/his artistic exprobation the author stripped in front of spectators not his/her body, organs or somatic localizations etc., but the sexual dispositive.

VII.
მასმედია:
გენდერი და გენდერული საკითხები/პრობლემები

ქალის ფაქტობრივი სტატუსის შეფასება
საქართველოს მედიაში
დიანა მიქაძე

საქართველოს კანონმდებლობა
და
მასმედიის ხელმძღვანელთა
გენდერული მგრძნობელობა
ია მურკვილაძე

დიანა მიქაძე

ქალის ფაქტობრივი სტატუსის შეფასება საქართველოს მედიაში

ეს სტატია ორი წლის წინ დაიწერა. მას შემდეგ მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა საქართველოს სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. ქალთა რაოდენობაც ოდნავ გაიზარდა ქვეყნის პარლამენტსა და აღმასრულებელ შტოში. ზედაპირული ანალიზით, ქალთა სტატუსისა და მედიაში მისი წარმოჩინების ხარისხის ცვლილება დიდად არ შეინიშნება, თუმცა შესაძლოა ღრმა, კლინიკურმა კვლევამ განსხვავებული სურათი აჩვენოს. ამ სტატიის გამოქვეყნებაც სწორედ ამ დინამიკისთვის თვალის უკეთ გადაეყენების მიზნით გადავწყვიტეთ.

საექსპერტო გამოკითხვა, რომელიც საფუძვლად დაედო ამ კვლევას, მიზნად ისახავდა გაგვერკვია, რეალურად როგორია ქალის სტატუსი დღევანდელ საქართველოში, კონკრეტულად კი - როგორ წარმოჩინდება იგი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში.

გამოკითხვაში, რომელიც "ქალთა ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის" (CEDAW) საფუძველზე წინასწარ შედგენილი კითხვარის მიხედვით ჩავატარეთ, ექვსმა რესპოდენტმა მიიღო მონაწილეობა. მათი შერჩევა ჩვენი, როგორც ინტერვიუერის პროგატივა იყო. ამიტომაც შევეცადეთ, იმ პიროვნებებთან გვესაუბრა, რომლებიც თავიანთი სტატუსის, ინტერესის თუ მოქალაქეობრივი მოვალეობის გამო აპრიორი კომპეტენტურებად მივიჩნიეთ ისეთ საკითხებზე სასაუბროდ, როგორიცაა ქალისა და მამაკაცის სტერეოტიპული პორტრეტი მასმედიაში, სახელმწიფოს დამოკიდებულება გენდერული საკითხების მიმართ, სახელმწიფოსა და მედიის თანამშრომლობის პრეცენდენტები – მიმართული მოძველებული, დროსთან შეუსაბამობაში მყოფი სტერეოტიპების აღმოფხვრისკენ და ა. შ.

ჩვენი არჩევანი შემდეგ პიროვნებებზე შეჩერდა:

1. გიორგობიანი ედნარ – საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის კორპორაციის თავმჯდომარის მოადგილე.
2. კუპატაძე ცირა – შპს "ქალთა გაზეთის" გამომცემელი და რედაქტორი.
3. ლეონიძე გიორგი – საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის კორპორაციის თავმჯდომარის პირველი მოადგილე.
4. მერკვილაძე ია – დამოუკიდებელი ჟურნალისტი, გენდერულ და ქალთა საკითხებზე მომუშავე ჟურნალისტთა ქსელის წევრი.
5. ხომერიკი ლელა – სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრის დირექტორი.

6. ჯახუა ნინო – ასოციაცია და რადიო "მწვანე ტალღის" რედაქტორი.

საზოგადოების დაინტერესებული ნაწილისთვის ცნობილია, რომ 1994 წ. საქართველო შეუერთდა "კონვენციას ქალთა ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ". ეს კი იმას ნიშნავს, რომ მან ვალდებულება აიღო, ცხოვრებაში გაატაროს მისი დებულებები და განახორციელოს გარკვეული ქმედებები ქალთა დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში და მათ შორის, ცხადია, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებშიც.

ვიდრე უშუალოდ ჩვენს საკელევ თემას შეეხებოდეთ, გვინდა სტატისტიკური ინფორმაცია მოვიხმოთ. ამჟამად საქართველოში არსებობს 44 ტელეკომპანია, ფუნქციონირებს 9 საკაბელო ტელევიზია და 17 რადიოარხი, გამოიცემა 120 გაზეთი. ამ მედია-საშუალებების უდიდესი ნაწილი დამოუკიდებელია. სახელმწიფოს მფლობელობაში დარჩენილია რამდენიმე მედიასაშუალება, რომელთაგან, საზოგადოებაზე ზემოქმედების თვალსაზრისით, მნიშვნელოვნად შეიძლება მივიჩნიოთ ცენტრალური ტელევიზიის I არხი და სახელმწიფო რადიოს I არხი, ბეჭდვითი პრესიდან კი "თბილისი" და "საქართველოს რესპუბლიკა", თუმცა ეს უკანასკნელი რედკოლეგიის საკუთრებაა და ძნელი გასარკვევია სახელმწიფო გაზეთია, თუ კერძო... ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ სახელმწიფოს ნაკლები ბერკეტები აქვს საკუთარი პოლიტიკის პროპაგანდისთვის, მაგრამ, ჩვენი აზრით, ეს მოსაზრება საფუძველშივე მცდარია, რადგან სახელმწიფო იოლად ახერხებს მედიის დაინტერესებას იმ საკითხებით, რომელსაც პრიორიტეტულად მიიჩნევს. გენდერული თანასწორობის პოპულარიზაცია არანაირად რომ არ შედის სახელმწიფოს ინტერესთა სფეროში, კარგად გამოჩნდა ჩვენს რესპონდენტებთან საუბრისას. მათ ვერ გაიხსენეს მიზანმიმართული საინფორმაციო კამპანიის პრეცენდენტი (ვერც სახელმწიფო და ვერც დამოუკიდებელ მედიაში), რომელიც საზოგადოებრივი აზრის კონცენტრირებას მოახდენდა ისეთ პრობლემებზე, როგორიცაა ოჯახური ძალადობა, ტრეფიკინგი, ნაადრევი და ძალდატანებითი ქორწინება, ანუ ე. წ. მოტაცება და ა. შ. თუმცა საქტელერადიო კორპორაციის წარმომადგენლებმა ჩვენთან საუბრისას აღნიშნეს, რომ სახელმწიფო ტელევიზია და რადიო ძალიან ხშირად ეხება ამ თემებს სხვადასხვა გადაცემებში, იქნება ეს საინფორმაციო თუ თოქ-შოუს ტიპის გადაცემები და სექტემბრიდან (2002 წ.) სპეციალურად იქნა შემოღებული გადაცემა პრეს-სტუდია (ავტორი და წამყვანი ნანა ჯაფარიძე), რომლის ძირითადი ამოცანაც გახლავთ ზუსტად ამ თემების გაშუქებაო, მაგრამ, ჩვენი აზრით, ეს აქტიურობები ვერ განიხილება სახელმწიფოსა და მედიის თანამშრომლობის შედეგად და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, ამ სტრუქტურის შიდა პოლიტიკას უფრო უნდა მიეწეროს. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს ის, რომ საქტელერადიო კორპორაციის ხელმძღვანელებმა არ იცოდნენ, ან, უკეთეს შემთხვევაში, არ ახსოვდათ რა ნაბიჯები გადადგა სახელმწიფომ ქალთა უფლებების დაცვის სფეროში საერთაშორისო თუ ეროვნულ დონეზე და რომ ქალთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლის გეგმის ფარგლებში, უშუალოდ ეკალებოდათ, მაგალითად, სპეციალური სატელევიზიო პროგრამების შემუშავება პოტენციურ მოძალადეთათვის.

(საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №64; 2000 წ. 25 თებერვალი, თბილისი).

გენდერულად თუნდაც ოდნავ მგრძნობიარე ადამიანი, თუ დააკვირდება მასმედიის პროდუქციას, აუცილებლად აღმოაჩენს ტრადიციული სტერეოტიპების სიჭარბეს და, შესაძლოა, ეს არც იყოს გასაკვირი ჯერ კიდევ ისეთი პატრიარქალური წყობის ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა. მედია კი, განსაკუთრებით ეს ითქმის ე. წ. მსუბუქ პრესასე, ნებსით თუ უნებლიეთ, ეწევა ისეთი სტერეოტიპების კვლაეწარმოებას, როგორიცაა, მაგალითად, მამაკაცი – ოჯახის უფროსი, რომელიც ძირითადად "საგარეო საქმეებზეა" პასუხისმგებელი და ძალიან ცოტა დროს უთმობს თუნდაც ისეთ მნიშვნელოვან სფეროს, როგორიცაა შვილების აღზრდა, რადგან ეს ტრადიციულად ქალის მოვალეობად ითვლება ისევე, როგორც სხვა შიდა ოჯახური საქმიანობა. უკანასკნელ ხანს ჩვენს პრესაში ასე მომრავლებულ ე. წ. საოჯახო ინტერვიუებში კარგად ჩანს საზოგადოების წევრთა ორმაგი მორალი გენდერული ნიშნით, როდესაც მაგალითად, მამაკაცის ღალატი ნაკლებ მტკივნეულად აღიქმება და დასაშვებიც კია, ხოლო ქალის – არა. საკმაოდ გავრცელებული სტერეოტიპია ოჯახის შექმნა მოტაცების გზით და ეს სულაც არ აღიქმება როგორც გამონაკლისი, ან სირთულე, ან ქორწინების პრობლემატური გზა.

სიმპტომატურია ისიც, რომ გენდერული სტერეოტიპებით საკმაოდ გაჯერებულია სერიოზული გამოცემებიც, სადაც მოცემულია ძლიერი მამაკაცის პორტრეტი (ხშირ შემთხვევაში ფოტო) შვილებთან ერთად და მის გვერდით თითქმის არასოდეს არ ჩნდება მეუღლე... ერთი სიტყვით, ქართულ მედიაში ძირითადად ჩანს პოლიტიკური ან ეკონომიკური, უფრო იშვიათად შოუ-ბიზნესის წარმომადგენელი წარმატებული მამაკაცი, რომელიც ძირითადად ტრადიციული წყობისაა და თავის ქმედებებში ცდილობს, იყოს შემგუებელი საზოგადოებრივ აზრთან. შედარებით იშვიათია ლიბერალური ღირებულებების მქონე მამაკაცთა პორტრეტები (ძირითადად ახალგაზრდა პოლიტიკოსების ერთი ნაწილი), რომლებიც გამოირჩევიან რელიგიური ან ეთნიური შემწყნარებლობით, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ ისინი გახსნილნი არიან გენდერული პრობლემების მიმართ, ამის ნიშნები ჯერჯერობით არ მჟღავნდება...

რაც შეეხება ქალთა სახეებს მედიაში, ისინი შედარებით ნაკლებია, რადგან, როგორც წესი, მასმედია პოპულარიზაციას უწევს სტატუსის მქონე ადამიანებს ზოგადად და ვინაიდან ასეთი ქალები ქვეყანაში არც თუ ისე ბევრია, შესაბამისია მათი წარმომადგენლობაც მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში. ცნობილი ადამიანების ცოლები, ტრადიციულად მეუღლეების ამპლუაში, გამოჩნდნენ ზემოხსენებულ ე. წ. საოჯახო ინტერვიუებში. სტერეოტიპი ასეთია, რომ კარგი ცოლი ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ მისმა ქმარმა წარმატებას მიაღწიოს, რისთვისაც იგი ხშირად სცილდება პროფესიულ ასპარეზს და უარს ამბობს საკუთარ კარიერაზე. ხშირ შემთხვევაში სტერეოტიპულია ჟურნალისტთა დამოკიდებულებაც ქალი და მამაკაცი რესპონდენტებისადმი. ცნობილ ქალებს ხშირად აკენებენ მორალური დილემის წინაშე და ეკითხებიან – კარიერის გამო ალბათ სათანადო ყურადღებას ვეღარ უთმობთ ოჯახს, შვილებს, მეუღლეს და არ განიცდით

ამას? მაშინ, როდესაც მსგავს კითხვას თითქმის არ უსვამენ მამაკაცს. მსგავსი მიდგომა გამოსჭვეივის სტატიების დიზაინში, მაგალითად, თუკი ქალი გენდერულ თანასწორობაზე საუბრობს, იგი აუცილებლად აგრესიულად არის წარმოდგენილი, მამაკაცი კი თავდაცვით პოზაშია და ა. შ. თუმცაღა ჩვენი რესპონდენტებიდან რამდენიმემ აღნიშნა, რომ მედია შეგნებულად არ უწყობს ხელს გენდერული სტერეოტიპების დამკვიდრებას. იგი ამა თუ იმ კონკრეტულ ადამიანს და მის სოციალიზაციის პროცესს ასახავს რეალურად, კომენტიკის გარეშე. აქედან დასკვნა, რომ ისეთია მედია, როგორიცაა საზოგადოება, ან პირიქით. მაგრამ მედია ხომ საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედების ერთ-ერთი მძლავრი საშუალებაა და აქ კვლავ დგება სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საკითხი, რომელსაც ერთ-ერთი ჩვენი რესპოდენტის სიტყვებით რომ ეთქვათ, "ნამდვილად არ სცხელა მასმედიასთან ქალთა საკითხებზე სათანამშრომლოდ". თვით ისეთ სპეციფიკურად ქალებზე ორიენტირებულ გაზეთს, როგორიცაა "ქალთა გაზეთი", არ უკეთდება პოპულარიზაცია, მისი რეკლამა არასოდეს გასულა ისეთ პოპულარულ ტელეარხებზე, როგორიცაა "რუსთავი 2" ან "I არხი". პარლამენტართა ფოსტაშიც თითქმის ვერ შეხვდებით "ქალთა გაზეთს". შესაძლოა ამ გაზეთში გამოქვეყნებული ყველა მასალა არ გამოირჩეოდეს გენდერული კორექტულობით, მაგრამ მასში სისტემატურად შუქდება ისეთი თემები, როგორიცაა ოჯახი, მშობლებისა და შვილების ურთიერთობა, ძალადობა, ტრეფიკინგი, უცხოეთში მცხოვრები ქართველი ქალები და ა. შ. ერთი სიტყვით, თუკი რამ ამ კუთხით შუქდება სოგადად მედიაში, ისევ ქვევიდან წამოსული ინიციატივის შედეგად, რადგან სახელმწიფო კი დგამს გარკვეულ შემხვედრ ნაბიჯებს საერთაშორისო მოთხოვნებზე, მაგრამ ნაკისრ ვალდებულებათა აღსრულებას ვეღარ ართმევს თავს. ჩვენი ინფორმაციით, ქალთა განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის შემმუშავებელ კომისიაში, რომელიც 27 ადამიანისგან შედგება, არ არის პიროვნება, რომელიც მედიის მონიტორინგს განახორციელებდა გენდერული კუთხით და ინფორმაციას მაინც მიაწვდიდა ამ პრობლემით დაინტერესებულ ადამიანს. ამ პრობლემას შესაძლოა მოეძებნოს ერთი მარტივი და პრაგმატული ახსნა, რაც მდგომარეობს იმაში, რომ ქალთა განვითარების სამოქმედო გეგმის განხორციელებისთვის, რომელიც, ცხადია, მედიასაშუალებებში გაწეული საქმიანობის პროპაგანდასაც ითვალისწინებდა, არცერთი თეორი არ გამოეყოფილა სახელმწიფო ბიუჯეტში. სახელმწიფოს არ დაუფინანსებია საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებიც მიმართული იქნებოდა გენდერული სტერეოტიპების აღმოფხვრაზე. ამგვარი პროგრამები არ განხორციელებულა საშუალო და უმაღლესი სკოლების კონტინგენტისთვის, არც სპეციფიკური სამი'ნე ჯგუფებისთვის. ასეთი მიზნობრივი დაფინანსება არ მიუღია თვით საქტელერადიო კორპორაციასაც კი და ის გადაცემები, რომლებიც მეტ-ნაკლებად ეხება გენდერულ საკითხებს, შესაძლოა საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციების მიერ იყოს დაფინანსებული.

"ადამიანის უფლებათა სხვა ხელშეკრულებებისაგან განსხვავებით, CEDAW კონკრეტულად ავალდებულებს იმ სახელმწიფოებს,რომლებმაც მოახდინეს კონვენციის რატიფიცირება, მიიღონ ყველა შესაბამისი ზომა

ნებისმიერი პირის, ორგანიზაციის ან დაწესებულების მხრიდან ქალის დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად".[1] რა პოლიტიკას ადგას საქართველოს ხელისუფლება ამ თვალსაზრისით? დავიწყოთ იქიდან, რომ სახელმწიფოში არ არსებობს გენდერული სტატისტიკა არცერთ დონეზე. არ არსებობს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი შრომის კოდექსი. სახელმწიფოს საეროდ არ უფიქრია შრომის დაცვაზე და შესაბამისად, არც ქალის შრომის პირობებია დამუშავებული. საუბარია მოქნილ სამუშაო დღეზე, სხვადასხვა დროით რეჟიმებზე, საათობრივ ანაზღაურებაზე და ა. შ. პრაქტიკულად მოშლილია სკოლამდელი აღზრდის სისტემა, რის გამოც გათხოვილ ქალებს, მით უმეტეს, თუ მათ მცირეწლოვანი შვილები ჰყავთ, არათუ სამსახურეობრივი წარმატების და ეკონომიური დამოუკიდებლობის მიღწევა, არამედ სამსახურის შოვნაც კი უჭირთ. ალბათ ყველასთვის ცნობილია ფაქტები, როდესაც დაოჯახებულ ქალს უარს ეუბნება მენეჯერი სამსახურში მოწყობაზე, რადგან მან აპრიორი იცის, რომ იგი მთელ თავის დროსა და ენერგიას ვერ დაუთმობს სამსახურს და უპირატესობას ანიჭებს მამაკაცს. ამ შემთხვევაში ქალი არაკონ-კურენტუნარიანია. ალბათ სწორედ ამის გამო, შესაძლოა, დაისვას კიდეც კვოტირების საკითხი, მაგრამ ეს სხვა კვლევის საგანია და ჩვენ ამ თემაზე ყურადღებას აღარ შევაჩერებთ.

ჩვენ უკვე ვისაუბრეთ ქალისა და მამაკაცის რა სახის სტერეოტიპებია გავრცელებული მედიაში და აღვნიშნეთ, რომ ქალები ძირითადად მასმედიის ყურადღებას იპყრობენ თავიანთი სტატუსის მიხედვით. აქედან გამომდინარე, ხშირად ჩანს მედიაში პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე, ასევე ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში მოღვაწე ლიდერი ქალები. მაგალითად, პარლამენტარი ელენე თევდორაძე, სახალხო დამცველი ნანა დევდარიანი და სხვ. კულტურის რუბრიკაში შედარებით ხშირად ჩანს მინისტრი სესილი გოგიბერიძე, მაგრამ, როდესაც კითხულობ ან ისმენ იტერვიუს მათთან, თითქმის არასოდეს იკვეთება მათი დამოკიდებულება ქალთა თუ გენდერული პრობლემებისადმი. ისინი საკმაოდ კომპეტენტურად მსჯელობენ სხვადასხვა საკითხებზე, მაგრამ მათი აქტივობა, მიმართული გენდერული საკითხების მოგვარებისაკენ, საზოგადოებისთვის უცნობია. საინტერესო პრაქტიკას მისდევს რადიო "მწვანე ტალღა", რომელიც ცდილობს წარმოაჩინოს არასამთავრობო სექტორში დასაქმებული ქალები და მათ საქმიანობას გაუწიოს პროპაგანდა... მიუხედავად იმისა, რომ შოუ-ბიზნესი საქართველოში თავისი განვითარების საწყის ეტაპზეა, მან მაინც მიიპყრო მედიასაშუალებების ყურადღება. ამ სფეროში დასაქმებული ქალები შედარებით ხშირად ჩნდებიან გასეთების ფურცლებსა თუ ტელევიზიის ეკრანებზე, მაგრამ მათი სახეებიც საკმაოდ სტერეოტიპულია, რადგან ძირითადი აქცენტი კეთდება მათ გარეგნულ სილამაზეზე და ამ სილამაზის კომერციალიზაციაზე.

სტერეოტიპებზე საუბრისას გვერდს ვერ ავუვლით სარეკლამო რგოლებს, რომლებიც საკმაოდ ხშირად გადის ეთერში და უმეტესად გენდერული არაკორექტულობით გამოირჩევა. ისეთი საყოფაცხოვრებო ნივთის რეკლამირებისასაც კი, როგორიცაა ტელევიზორი, ქალი

[1] სემინარების რეფერატები, ქალთა განათლებისა და ინფორმაციის საეროაშორისო ცენტრი, თბ., 2001 წ.

აუცილებლად საკვების მომზადების პროცესშია წარმოდგენილი, რაც კიდევ უფრო ამყარებს იმ სტერეოტიპს, რომ ქალმა საკუთარი თავის რეალიზება შესაძლოა მოახდინოს მხოლოდ ოჯახში და მხოლოდ როგორც დიასახლისმა... ამიტომ შესაძლოა არ იქნებოდა ურიგო ისეთი პროგრამის არსებობა, რომელიც მონიტორინგს გაუწევდა ჟურნალისტების და ზოგადად მედიასაშუალებების მიერ გენდერული სტერეოტიპების გამოყენების ფაქტებს, დაამუშავებდა ამ მასალას ანალიტიკურად და შემდგომ საზოგადოებას მიაწვდიდა ინფორმაციას მისთვის გასაგები, პოპულარული ენით, თუ რა სიკეთე, ან ზიანი მოაქვს ამგვარი სტერეოტიპებით მანიპულირებას. ამგვარი სამუშაო ჯერჯერობით საქართველოს მასმედიაში არ განხორციელებულა და გენდერული კორექტულობა თუ არაკორექტულობა ამა თუ იმ კონკრეტული მედიასაშუალების, კონკრეტული რედაქციის პოლიტიკასა და, თუ გნებავთ, ჟურნალისტური ეთიკის დაცვის პრობლემებს უკავშირდება.

შესაძლოა ალოგიკურადაც მოგვეჩვენოს ის, რომ მასმედია ასეთ სტერეოტიპულ კლიშეებს გვაწვდის გენდერული თვალსაზრისით მაშინ, როდესაც ჟურნალისტთა დიდ ნაწილს ქალები შეადგენენ. საქმელერადიო კორპორაციის მაგალითს თუ მოვიხმობთ, ამ უწყების თავმჯდომარის ხუთი მოადგილიდან ერთი ქალია, საშუალო ხელმძღვანელ რგოლში თორმეტი რედაქციიდან რვას ხელმძღვანელობს ქალი, ტელე და რადიო გადაცემების ავტორები და წამყვანები უმეტესად ქალები არიან. რიგით ჟურნალისტთა შორისაც უმრავლესობა ქალებია. დაახლოებით მსგავსი სიტუაცია უნდა იყოს სხვა მედიასაშუალებებშიც, თუმცა გასათვალისწინებელია ერთი მნიშვნელოვანი დეტალი, რომ მედიაიერარქიის უმაღლეს საფეხურზე მაინც მამაკაცები ჭარბობენ, ანუ რედაქტორებად, კომერციულ დირექტორებად, პროდიუსერებად, მენეჯერებად ძირითადად მამაკაცები გვეელინებიან. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღება და ეკონომიკური ბერკეტები ძირითადად მამაკაცების ხელშია. თუმცა ზოგადად ჟურნალისტი მამაკაცი ცოტაა. თსუ ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე სტუდენტი გოგონები უფრო მეტნი არიან, ვიდრე ვაჟები. ამასაც შესაძლოა სტერეოტიპული ახსნა მოეძებნოს. კერძოდ კი ის, რომ ჟურნალისტიკა ჯერჯერობით ისევ რნება დაბალანასლაურებად პროფესიად, ამიტომ ვაჟები, მათი პოტენციური სოციალური როლიდან გამომდინარე, ისეთ პროფესიას ირჩევენ, რომელიც მათ მატერიალურად მეტად უზრუნველყოფთ. თუმცა არსებობს მეორე მიდგომაც, რომ შესაძლოა ჟურნალისტიკა ის სფეროა, სადაც ქალი უფრო კარგად გრძნობს თავს და უკეთ ავლენს თავის შესაძლებლობებს, ანდა საზოგადოებრივი ტკივილებისამი მაღალი მგრძნობელობა, რაც ჟურნალისტის მახასიათებელი უნდა იყოს, ქალებს მეტად აქვთ განვითარებული და ა. შ. ერთი სიტყვით, ჟურნალისტის პროფესიის დაუფლებაში ქალთა დისკრიმინაცია ნამდვილად არ ხდება ისევე, როგორც არ ხდება პროფესიული მოვალეობის შესრულებისას ქალი ჟურნალისტებისთვის რაიმე განსაკუთრებული ხელშეწყობა.

უმაღლეს სახელისუფლებო სტრუქტურებში საქართველოში ქალთა წარმომადგენლობა ზოგადად ძალზე დაბალია. პარლამენტში მხოლოდ 16 ქალია, ხოლო უმაღლეს აღმასრულებელ ხელისუფლებაში 2 მინისტრია

ქალი. წინასაარჩევნო პროცესი, როგორც უმაღლეს, ისე ადგილობრივ საკანონმდებლო სტრუქტურებში ძალზე უსისტემოდ და არაორგანიზებულად მიმდინარეობს ამომრჩეველისთვის. სახელმწიფო არ ზრუნავს ამომრჩეველთა განათლებაზე. მას არ განუხორციელებია ფართო საზოგადოებრივი პროგრამა ამ თვალსაზრისით, მით უმეტეს ქალებზე რომ ყოფილიყო მიმართული. რაც შეეხება ქალ კანდიდატთა მხარდაჭერას, სახელმწიფოს არც ამგვარი ღონისძიება ჩაუტარებია. ახლანდელი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინ "ფემინისტურმა კლუბმა" (არასამთავრობო ორგანიზაცია) გააკრცელა პლაკატები და ლიფლეტები მოწოდებით – ხმა მიეცით ქალებს, მაგრამ ამ აქციასთან სახელმწიფო არაეითარ კავშირში არ ყოფილა.

ცნობილია, რომ პოლიტიკური კამპანიის წარმართვა გარკვეულ ფინანსებთან არის დაკავშირებული. ქალებს კი ჯერ-ჯერობით არა აქვთ საკმარისი მატერიალური შესაძლებლობა ამგვარი კამპანიის გასაწევად. რაც შეეხება მასმედიის პოლიტიკას წინასაარჩევნო პერიოდში, შეიძლება ითქვას, რომ იგი გენდერულად აბსოლუტურად ნეიტრალურია. შესაძლოა მოგეჩვენოს, რომ მედია მამაკაცებს უფრო მეტ ყურადღებას უთმობს, მაგრამ ეს იმით აიხსნება, რომ ზოგადად ქალი კანდიდატები ცოტანი არიან. პოლიტიკური პარტიების კანდიდატთა სიებს თუ გადავხედავთ, პირველ ათეულში ერთი, მაქსიმუმ ორი ქალია, მათი ძირითადი ნაწილი კი სიის ბოლოშია თავმოყრილი. როგორი გენდერული ბალანსიც არის კანდიდატებს შორის, მედიაშიც იმგვარად წარმოჩინდება. თუმცა დამოუკიდებელ მედიას შესაძლოა ჰქონდეს კერძო ან კომერციული ინტერესი და ამა თუ იმ კანდიდატს, მათ შორის ქალსაც, მეტი პროპაგანდა გაუწიოს. რაც შეეხება სახელმწიფო ტელევიზიას, იქ ცდილობენ თანაბრად გაანაწილონ საეთერო დრო არჩევნებში მონაწილე ყველა პოლიტიკურ პარტიასა თუ მაჟორიტარ კანდიდატს შორის, რასაც არეგულირებს კანონი არჩევნების შესახებ და აქცენტების დასმა გენდერული კუთხით, პრაქტიკულად გამორიცხულია.

ხშირად გვსმენია, რომ საქართველო არ განიცდის განათლებული, ინტელექტუალური ქალების დეფიციტს, მაგრამ პოლიტიკურ ასპარეზზე მყოფი ქალების რაოდენობა მაინც დაბალია. ამის შესაძლო მიზეზებს ჩვენ ნაწილობრივ უკვე შევეხეთ, მაგრამ იქნებ ცოტა დაწვრილებით შევჩერდეთ, ხომ არ არსებობს ჩვენს საზოგადოებაში ქალის პოლიტიკაში მოღვაწეობის ნეგატიური აღქმა? აქ შესაძლოა რამდენიმე ასპექტი გამოვლინდეს. საკმაოდ ნეგატიურად აღიქმებიან ის ქალები, რომლებიც საბჭოთა პერიოდში მოღვაწეობდნენ პოლიტიკაში და დღესაც ამ ასპარეზზე არიან, მათი იმიჯი საკმაოდ დაბალია საზოგადოებაში. ასევე ნეგატიური დამოკიდებულება იყო და გარკვეულწილად დღესაც გრძელდება ზვიადისტი, ე. წ. კარვის ქალების მიმართ, თუმცა ისინი, ალბათ, პოლიტიკით დაინტერესებულნი უფრო იყვნენ, ვიდრე პოლიტიკოსები. რაც შეეხება დღევანდელ რეალობას, თითქოს საზოგადოება, ზოგადად, პოზიტიურად არის განწყობილი ქალების პოლიტიკაში მოღვაწეობის მიმართ. ზოგიერთ ქალს ხელსაც კი უწყობს თავისი გარემოცვა, რომ გარკვეულ წარმატებას მიაღწიოს, მაგრამ ასეთ ქალებს საზოგადოება გარკვეულწილად ქალური თვისებების არმქონედ აღიქვამს. აქ კვლავ მუშაობს სტერეოტიპი, რომ თუ ქალს უხდება

შეასრულოს ის გენდერული როლი, რომელიც ტრადიციულად მამაკაცისთვის არის დამახასიათებელი, ანუ თუ ის არის კომპეტენტური, პოსიციის, სტატუსის მქონე, შეუძლია გადაწყვეტილების მიღება, ქალურობას კარგავს. შესაძლოა აგრეთვე ნეგატიური დამოკიდებულება გამოელინდეს პოლიტიკოსი მამაკაცის მხრიდან თავისი ოპონენტი პოლიტიკოსი ქალის მიმართ. ყოფილა შემთხვევები, როდესაც პოლიტიკოს მამაკაცს უარი უთქვამს პირდაპირ ეთერში კამათზე ოპონენტ პოლიტიკოს ქალთან და ეს მხოლოდ იმით აუხსნია, რომ ქალს ვერ შეეკამათება, ან ქალს რაზე უნდა ეკამათოს... ეს კი იმის მიმანიშნებელია, რომ სახელმწიფოში შენარჩუნებულია ის კულტურული კონტექსტი, რომელიც ხელს უწყობს ქალის დაქვემდებარებას. იქმნება შთაბეჭდილება, რომ საქართველოს სახელმწიფოს მიერ ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესებისკენ მიმართული ღონისძიებები შემოიფარგლება მხოლოდ ფორმალური (ქაღალდზე) რეაგირებით გარკვეულ საერთაშორისო მოთხოვნებზე, როგორიცაა CEDAW კონვენციის რატიფიცირება, პეკინის მოქმედებათა პლატფორმის საფუძველზე ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავება, გაეროში ქალთა მდგომარეობის შესახებ ანგარიშის წარდგენა, შემდგომ, გაეროს რეკომენდაციების საფუძველზე, პრეზიდენტის ბრძანებულების შემუშავება და ს. შ. ამ მოსაზრებას ამყარებს ის გარემოება, რომ სახელმწიფოს პრაქტიკულად არ გადაუდგამს ქმედითი ნაბიჯები გენდერულად დის-კრიმინაციული სტერეოტიპების აღმოსაფხვრელად. მას არ განუხორციელებია საგანმანათლებლო და საინფორმაციო კამპანიები, რომელიც საზოგადოებრივი აზრის სტიმულირებას მოახდენდა დემოკრატიული საზოგადოებისთვის ისეთ მნიშვნელოვან კონცეფციაზე, როგორიცაა გენდერული თანასწორობა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გენდერული პოლიტიკა და მასმედია, თბ., 2002წ.
2. სემინარების რეფერატები, ქალთა განათლებისა და ინფორმაციის საერთაშორისო ცენტრი, თბ., 2001წ.
3. ქალი საქართველოში, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, თბ., 2000წ.

Summary of the article
"Assessment of the Women's de-facto Status in Georgian Media" by Diana Mikadze

The goal of an article is to express s stereotypical portrait of s man and s woman in our mass media, what kind of relation the country have toward gender issues, if there are any precedents of collaboration between the country and media, which aims to deplete old fashioned stereotypes inappropriate to the present time and etc.

In Georgian mass media it is frequently seen s political or economical, and rarely s representative of show-business, man who is s typical and traditional and tries to be tolerant toward the society opinion, that naturally means to be indifferent to gender problems. As for women's images in mass media, we meet them very rarely, because as s rule, mass media popularizes people of status generally and as there are not many women of such status in the country, their representation in mass media is in accordance with this case.

Social opinion over those serious problems, such as family violence, trafficking, early and forced marriage or so calling bride napping and others, are not concentrated in our media. Correct materials in gender understanding are not priorities for the media that could be explained with absence of ordering from the society's side, though the Country can lead the right gender politics in the way not to touch the level of independence of mass media. CEDAW convention obliges it directly.

P.S. This article was written two years ago. Since that time very important changes happened in s social-political life of Georgia. Number of women in the Parliament of Georgia and an executive branch increased s bit. Analyzing surfacing women's status and the changes of level of their representation in media are not very evident, though it is also possible that after deep clinical research may show s different picture. Publishing of this article was decided for observing this dynamics in s better way.

ია მერკვილაძე

საქართველის კანონმდებლობა და მასმედიის ხელმძღვანელთა გენდერული მგრძნობელობა

მასმედია, როგორც მასკულტურის ნაწილი, წარმოუდგენელია სტერეოტიპული ხატების გარეშე. ხშირად სწორედ სოციალური სტერეოტიპები განუსაზღვრავენ საზოგადოებას თუ რა არის კარგი და რა – ცუდი. ა'ზროვნებისა და ქცევის შაბლონები ყალიბდება სოციალური, პოლიტიკური, რელიგიური, კულტურული, ეროვნული გამოცდილების საფუძველ'ზე. ეს ეხება, უპირველეს ყოვლისა, გენდერულ სტერეოტიპებს. გენდერული სტერეოტიპები უწყვეტად გენერირებს, ახლდება. ისინი სოციალი'საციის სისტემის ნაწილს წარმოადგენს არა მარტო თანამედროვე, არამედ ძველი და მომავალი თაობებისათის. ძნელია გადააფასო მასმედიის როლი სა'ზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში, რაღგანაც მასმედია კომუნიკაციური სიერცის ჩამოყალიბება'ზე უშუალო გავლენას ახდენს. გენდერი, როგორც სოციალურ-კულტურული კონსტრუქტი, აელენს ქალისა და მამაკაცის როლების, სტატუსების, მეტყველების ტიპების, შეფასებების, ქცევის, მენ-ტალობისა და ემოციურობის პროდუცირების პროცესს.

ქართულ მასმედიაში, როგორც სარკეში, აისახება მამაკაცისა და ქალის ხატების ტრანსფორმაციის დინამიკა. ეს ეხება საქართველოს ისტორიის რომანტიკულ პერიოდსაც, როცა ქალი იყო სალონური ცხოვრების ატრიბუტი, ვიდრე დღემდე, როცა ღიად აყენშირდება ქალი, როგორც სექს-ობიექტი. რევოლუციამდელ პერიოდში (1917 წ.) მასმედიაში დომინირებდა ქალის, როგორც პატრიარქალური ოჯახის დედის პორტრეტი, ხოლო რევოლუციის დროს – ქალის აქტიურობა გამოიხატებოდა მამაკაცი-რევოლუციონერის დახმარება'ში. იგი იყო თანამებრძოლი "სამართლიან" საქმესა და კომუნისტური ხუთწლედების გადაჭარბებით შესრულება'ში. სამამულო ომის დროს (1941-45 წწ.) იგი ქალიც იყო და კაციც, მუშაობდა ქარხანაში, ეხმარებოდა ფრონტის ხაზის ჯარისკაცებს (სამედიცინო დახმარება), იბრძოდა, სწერდა მგრძნობიარე წერილებს ფრონტის ხა'ზე მყოფ მამაკაცს, ელოდებოდა მას... ომში დაღუპული მამაკაცის ქვრივი გმირობისა და მსხვერპლთშეწირვის სიმბოლო იყო. საბჭოთა პერიოდში მასმედიაში პრეეალირებდა ქალთა შემდეგი "სახეები": პატიოსანი კოლმეურნე, ტრაქტორისტი, ინტელიგენტი, პედაგოგი, პარტიული აქტივისტი (მაგრამ არა ლიდერი), ნათელი მომავლის "ჯარისკაცი".

ეროვნული მოძრაობის დროს (განსაკუთრებით ამას ხელი შეუწყო 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიამ) მასმედიაში კელავ გაჩნდა ქალი გმირის და მსხვერპლის ხატი. 9 აპრილს დაღუპული ქალების სახელებს არქმევდნენ ქუჩებს, იბეჭდებოდა ინტერვიუები მათი ოჯახის წევრებთან... მაგრამ მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა 1991 წელს, როდესაც ლექსიკაში

შემოვიდა ტერმინები: "კარვის ქალები", "შაკოლგოტკიანები" - კანონიერი ხელისუფლების მომხრენი და მასმედია აიესო ქალთა უარეყოფითი იმიჯის მატარებელი ტექსტებით. სამოქალაქო ომის დროს ე.წ. "ქალის კულტი" ქართულად დაეწყებულ იქნა.

აფხაზეთის ომის დროს კვლავ ამოტივტივდა ქალი-მსხვერპლის, "შაევებში ნაცმული ქალის "ხატი. ერთი მხრივ – "'შვილმკვლელი დედის" ხატი, მეორე მხრივ – "აკიტირებული, პოლიტიკურად აქტიური ქალის" პორტრეტი, ფაქტობრივად, პარალელურად არსებობდა.

საბაჭრო ეკონომიკის და სიტყვის თავისუფლების დროს გენდერული როლები იცვლება და მრავალპლანიანი ხდება. ჩნდება ქალებისა და მამაკაცების ჟურნალების შექმნის ტენდენცია. ასეთ გამოცემებს, ძირითადად, შემდეგი ტენდენცია აქვს – რჩევები ქალებს, როგორ გახდნენ უფრო მეტად სექსუალურები, ჰიმზიდველები, მამაკაცის "რელაქსანტები". მასმედია ქალის მიმართ იმ საზომით უდგება, თუ რამდენად შესაძლებელია მისი სტერეოტიპული ხატის კომერციალიზება. ქალთა, როგორც გენდერული ჯგუფის, ინტერესები მასმედიაში, ძალიან იშვიათი გამონაკლისის გარდა, არაა წარმოდგენილი. რედაქტორები "გენდერულ ცენზურას" იყენებენ იმ გასასამართლებელი მოტივით, რომ „ქალის" ანუ „დედის არსის" დეკონსტრუქცია სახელმწიფოებრიობის საფუძვლებს არღვევს.

გენდერული სტერეოტიპები იცვლება სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური პროცესების ზეგავლენით, მაგრამ არ იცვლება ერთი რამ: ის, რაც ითვლება "მამაკაცურად", საზოგადოებაში ხასიათდება, როგორც პრიორიტეტული, დომინანტური, ხოლო ის, რაც "ქალურია" – მეორეხარისხოვანი და დაქვემდებარებულია. გენდერი, სხვა მახასიათებლებთან ერთად, წარმოადგენს სოციალური სტრატიფიკაციის საბაზო პრინციპს, ხოლო ქართული მასმედია გარკვეულწილად ხელს უწყობს ამ სტრატიფიკაციას – არა მარტო "ყვითელი", არამედ "სერიოზული პრესა" გვთავაზობს სკანდალურ ისტორიებს, რეკლამას, პორნოგრაფიას, წინასაარჩევნო კამპანიების გენდერულ სახეს მასმედიაში და ა.შ.

საქართველო, როგორც გაეროს, ეუთოს, ევროსაბჭოს წევრი ქვეყანა საერთაშორისო თუ ადგილობრივი ორგანიზაციების ძალისხმევით დემოკრატიზაციის რთულ პროცესს გადის. 10 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ჩვენი ქვეყანა შეუერთდა "კონვენციას ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ" (CEDAW). ამავე დროს, საქართველო იზიარებს გაეროს ქალთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის შემცველი რეზოლუციების, პეკინის დეკლარაციის, მოქმედებათა პლატფორმის და პეკინი+5 (პოლიტიკური დეკლარაცია და დასკვნითი დოკუმენტი), სხვა საერთაშორისო დეკლარაციებისა და ევროსტრუქტურების რეკომენდაციების სულისკვეთებას. მოგახსენებთ, რომ ამ დოკუმენტების შემადგენელი ნაწილია ქალთა უფლებებისა და მასმედიის ურთიერთმიმართება. ეაფიქსირებთ რა თითოეული ადამიანის უფლებას, ჰქონდეს საკუთარი აზრი მასმედიის ამა თუ იმ საშუალებების თუ კონკრეტული თემატიკის მიმართ, უნდა აღვნიშნოთ, რომ XXI საუკუნეში მწვავედ დგას მასმედიის სოციალური პასუხისმგებლობის საკითხი, განსაკუთრებით, იმ დარგში, რომელიც ადამიანის უფლებებს ეხება. მითუმეტეს, როდესაც თანამედროვე ადამიანებისათვის წარმოუდგენელია ცხოვრება მასმედიის და ინტერნეტის გარეშე, ხოლო ადამიანის უფლებების,

ქალთა უფლებების მნიშვნელობა ფორმალურადაა დეკლარირებული სახელმწიფოს მიერ. რეალურად, მშობლიური მასმედია ხშირად იგნორირებს ამ უფლებებს. ეგულისხმობ, არა იმდენად მარტო ჟურნალისტებს, რამდენადაც მასმედიის ხელმძღვანელებს. მასმედია, ნებით თუ უნებლიეთ, "თვალს ხუჭავს" ამ უფლებების არსებობაზე და ბოროტად იყენებს სიტყვისა და გამოხატვის უფლებას, განსაკუთრებით, თუ ეს ეხება ქალებს და მათ რეპრეზენტაციას მედიასივრცეში. ღია, დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობა წარმოუდგენელია სექსიზმის – დისკრიმინაციის სქესობრივი ნიშნით- დაძლევის გარეშე. "სექსიზმი – ეს არის პოზიცია ან მოქმედება, რომელიც ამცირებს, გამორიცხავს, არ აფასებს და სტერეოტიპიაციას უწევს ადამიანებს სქესის მიხედვით. სექსიზმი – ეს ორიენტაციაა, რომელიც ერთ სქესს მეორეს მიმართ არახელსაყრელ პირობებში აყენებს" (ანდრე მიშელი, "ძირს სტერეოტიპები!").

ჩვენ შორს ვართ მორალიზაციისგან, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის, როგორც პიროვნულ თუ სნეობრივ ზრდას, აქვს გამოხატული გენდერული სპეციფიკა, ხოლო მის ჩამოყალიბებაში უდიდესი როლი მიუძღვის კულტურულ-სიმბოლურ გაგებას, თუ რა არის "ნამდვილი მამაკაცი და ნამდვილი ქალი". მასმედია, როგორც მასკულტურა და მეოთხე ხელისუფლება, ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტია საზოგადოებრივი აზრისა და დამოკიდებულებების ჩამოყალიბების პროცესში. განსაკუთრებით, თუ სოციალური სტრატიფიკაციის საბაზო კატეგორიებს – სქესს, გენდერს ემატება სტრატიფიკაციის სხვა კრიტერიუმები – ეროვნება, ასაკი, სოციალური წარმომაყლობა. ამ სტრატიფიკაციური პრინციპების კომბინირება აძლიერებს თითოეულის მოქმედებას. მაგალითად, სამუშაოზე მიღების შეზღუდვის ფაქტორებად სახელდება როგორც ბიოლოგიური მახასიათებლები, 30 წელზე (ხშირად 25 წელზე) მეტი ასაკი, ასევე "არაევროპული" გარეგნობა. ამგვარი საბაზრო თუ კონიუქტურული მოთხოვნის განმცხადებლებად ძირითადად გვეყლინება მასმედია, როგორც ბეჭდვითი ასევე აუდიოვიზუალური და ინტერნეტი. მაგალითად გაზეთები: "რეკლამა+", "სიტყვა და საქმე"; მორბენალი სტრიქონი ტელეარხზე "თბილისი"; www.jobs.ge (ვაკანსიების ვებ-გვერდი) და ა.შ.

მასმედია მუდმივად ტირაჟირებს მამაკაცების "საიდენტიფიკაციო ორიენტირებს" – პოლიტიკის, ჯარის, ბიზნესის, რესპექტაბელურობის, წარმატების, დონ-ჟუანობის მიწერით, ხოლო ქალის "საიდენტიფიკაციო ორიენტირები" ასეთია: თუ 1990-იანი წლების პირველ ნახევარში საოჯახო მეურნეობით და ქალური პროფესიებით შემოიფარგლებოდა, XX საუკუნის ბოლოსა და XXI საუკუნის დასაწყისში მკვეთრად სექსუალიზებული გახდა. გაინდა უამრავი ჟურნალი ("თბილისელები", "რეიტინგი", "გზა", "სარკე", "მაქსი", "მაესტრო", "კაცები", "ბომონდი", "პირველი", "შინი", "N", "ულტრა", "ახალი ჟურნალი", "სტერეო" და ა.შ.), რომელიც თავისი შინაარსით ძლიერ ჰგავს ერთმანეთს. ჰგავს რუბრიკებით: "რა უყვრო უყვართ მამაკაცებს", "დიასახლისის დავთარი", "სილამაზის სამსახურში", "შის ფოტო", "ეროტიკა", "ლამაზმანი" და ა.შ. უნდა აღინიშნოს ამ ჟურნალების ტრადიცია, თავისი ფურცლები დაუთმოს ისტორიულ ნარკვევებს, ქართველების ვაჟკაცურ სულს, ქართველი მამაკაცების პატრიოტობას ბასიანისა და დიდგორის ომებში, რაც ამგვარი ჟურნალების კონტექსტში მასკულინობის დამკვიდრების თუ აფიშირების სუსტ და არაადეკვატურ მცდელობას წარმოადგენს.

საერთაშორისო დოკუმენტებში აღიარებულია, რომ სამართლებრივი ნორმების განვითარება, რომელიც ქალს აძლევს ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების გამოყენების საშუალებას – აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი ნაბიჯია მათი დისკრიმინაციის დასაძლევად. მსოფლიოში არსებობს უამრავი ფაქტი იმის დასადასტურებლად, რომ ქცევის შაბლონების ცვლილებაში სამართლის ეფექტურობა არაა დამოკიდებული არც საზოგადოებაში არსებულ რწმენებსა და არც იურიდიული სანქციების სიმკაცრეზე. პატრიარქალურ საზოგადოებაში, ისევე როგორც, ალბათ, უტოპიურში, არსებობს ზოგჯერ მკვეთრად, ზოგჯერ არამკვეთრად შემოფარგლული აზროვნებისა და ქცევის შაბლონები. ის, რაც ერთისთვის წარმოადგენს საზოგადოების ეფექტური და სამართლებრივი ფუნქციონირების პირობას, სხვების თვალში – არასაჭირო, სულელური და ანტისახელმწიფოებრივია. ეს უშუალოდ ეხება ქალთა უფლებებს და ქალთა უფლებებისადმი არსებულ დამოკიდებულებას საქართველოში.

"არც ერთი მამაკაცი არ დათანხმდებოდა გამხდარიყო ქალი, მაგრამ ყველა მამაკაცს უნდა, რომ ქალები არსებობდნენ. "მადლობას ვწირავთ ღმერთს, რომ მან შექმნა ქალი", "ბუნება კეთილია, რადგანაც მან კაცებს ქალები აჩუქა". ამ და სხვა ფრაზებში მამაკაცს მერამდენედ მიიმიტურად სჯერა, რომ მისი ყოფნა ამ სამყაროში – გარდუვალი ფაქტია, მისი უფლებაა, ხოლო ქალის არსებობა, უბრალოდ შემთხვევითობაა, თუმცა ბედნიერი შემთხვევითობა" – წერდა **სიმონა დე ბოვუარი**. ამ სიტყვებით მოკლედ შეიძლება დავახასიათოთ "პირველი და მეორე სქესისადმი" დამოკიდებულება არა მარტო იმ დროში, როცა ფრანგი ფემინისტი ცხოვრობდა, არამედ XXI საუკუნეშიც. გენდერული როლების ამგვარი დიფერენციაცია განსაკუთრებით მასკულტურაში (მასმედიაში) ვლინდება. მშობლიური მასმედია ქალებზე ცოტას წერს და ლაპარაკობს. ნუ მოგატყუებთ "ქალთა საკითხავის" სიმრავლე – უცხოური ჟურნალების "პროტოტიპები"... სერიოზული გაზეთები და ჟურნალები, ძალიან იშვიათი გამონაკლისის გარდა, პრაქტიკულად არ აქცევს ყურადღებას ქალ-თანამემამულეებს, როცა თემა ეხება სერიოზულ პრობლემებს: კანონს, ბიზნესს, პოლიტიკას, ეკოლოგიას, საუკუნის პროექტებს, ქვეყნის განვითარების გზებს. გენდერული სტერეოტიპები, მე მგონი, ყველაზე ძლიერი სტერეოტიპებია დედამიწაზე. პიროვნების მორალურ-ზნეობრივ პრობლემას აქვს მკვეთრად განსაზღვრული გენდერული სპეციფიკა. გენდერული სტერეოტიპები "უწყინარი იარლიყებიდან" გარდაიქმნებიან "ადამიანის უფლებების" დარღვევის ჩვეულებრივ პრაქტიკებად. განსაკუთრებით ეს ეხება ე.წ. "მესამე თაობის ადამიანის უფლებებს", რომელშიც ქალთა უფლებები მოიაზრება

ქალთა უფლებები დიდი ხანია აღარაა ფემინისტების "კაპრიზი" ანდა არასამთავრობო ორგანიზაციების მოღვაწეობის ფორმა. ეს კანონმდებლობით გამაგრებული რეზოლუციების, კონვენციების, ნორმატიული აქტების, ადგილობრივი თუ საერთაშორისო დირექტივების კრებულია.

"სტრატეგიული მიზანია მასმედიის საშუალებების წახალისება, რათა მათ თავი შეიკავონ ქალების, როგორც არასრულფასოვანი ადამიანების, წარმოჩინებისაგან, ასევე არ გამოიყენონ იგი სექსუალური მოთხოვნილებების ობიექტად, არამედ წარმოადგინონ, როგორც შემოქმედებითი პიროვნებები; განვითარების პროცესის მნიშვნელოვან

მონაწილეებად, რომლებსაც შეაქვთ თავისი წელილი და იყენებენ არსებულ შესაძლებლობებს; მოხდეს პროპაგანდა იმ იდეის, რომ მასმედიაში ქალთა სტერეოტიპული ხატები თავისი არსით დისკრიმინაციული და ღირსების შემლახველია, შეურაცხმყოფელია. ეფექტური ზომების დანერგვა ან მიღება, მათ შორის, შესაბამისი კანონმდებლობის, რომელიც მიმართული იქნება მასმედიაში პორნოგრაფიისა და ქალთა და ბავშვთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ (პეკინის დეკლარაცია და მოქმედებათა პლატფორმა – 4-15.09.1995 წ.). "პრობლემა გახლავთ ქალთა შესახებ შეუსაბამო და ნეგატიური წარმოდგენების სხვადასხვა ფორმის გავრცელების მასშტაბები, რომელიც შეურაცხყოფთ მათ, მათ შორის, პორნოგრაფია და სტერეოტიპული ხატები. ამავე დროს გამოიყენება ახალი კომუნიკაციური ტექნოლოგიები, ხოლო მასმედიაში კვლავ შენარჩუნებულია ქალის მიმართ წინასწარშექმნილი, დისკრიმინაციული ხატები (პეკინი+5: პოლიტიკური დეკლარაცია და დასკვნითი დოკუმენტი, 5-9.06.2000 წ.). "ძალიან მნიშვნელოვანია, მასმედიას გარანტირებული აქვთდეს დამოუკიდებლობა, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია, მოეთხოვოს ჟურნალისტებს და მასმედიის სხვა პროფესიულ მუშაკებს, თავი აარიდონ ქალისა და მამაკაცის ხატების მიკერძოებულ და სტერეოტიპულ გავრცელებას. დაწესდეს სპეციალური ორგანოები ამ სფეროს მდგომარეობის მეთვალყურეობისთვის" (ევროსაბჭო. 12. 03.03 წ.).

რიგ ქვეყნებში (ესპანეთი, აშშ, სკანდინავიური ქვეყნები) უკვე არსებობს საამთავრობო პროგრამები, რომელიც კრძალავს ქალის სხეულის, როგორც სექსუალური ობიექტის გამოყენებას. ესპანეთში 1994 წლიდან მოქმედებს საამთავრობო პროგრამა – შეიქმნა სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც აკონტროლებს რეკლამის შინაარსს. აშშ-ში თეთრეგულირების სპეციალური ორგანოა შექმნილი – სარეკლამო საქმიანობის მეთვალყურეობის ეროვნული საბჭო, ხოლო ნორვეგიაში რეკლამა, რომელიც სქესთა თანასწორობის პრინციპს ეწინააღმდეგება, აკრძალულია კანონით მარკეტინგის შესახებ (I მუხლი) . ამავე დროს მომხმარებელთა უფლებების წარმომადგენელს უფლება აქვს, შეწყვიტოს იმ საქმიანი ოპერაციების წარმოება, რომელიც კანონს (ქალისა და მამაკაცის თანასწორობის) არღვევს.

ევროკავშირში აპირებენ სქესობრივი თანასწორობის დირექტივის მიღებას. დოკუმენტი შემუშავებულია ევროსაბჭოს სოციალური საკითხების კომიტეტის წარმომადგენლის **ანა დიამონტოპოლოს** მიერ და მიმართულია სექსი'ზმის წინააღმდეგ მასმედიაში, სადა'ხლეევო ბიზნესსა და რეკლამაში.

ქართულ კანონში "სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" და "კანონში რეკლამის შესახებ" დღემდე არ არის არც ერთი ნორმა ან სტატია, რომელიც ეხება გენდერული სტერეოტიპების კვლავწარმოების, რეკლამის სექსუალი'ზების და თანასწორობის პრინციპის დარღვევის მიუღებლობასთან დაკავშირებით. ეს მაშინ, როცა სწორედ მასმედია "კარნახობს" ადამიანებს ცხოვრების სტანდარტებს და მოთხოვნილებებს. ეს მოთუმეტეს მნიშვნელოვანი პრობლემაა, რადგანაც გენდერული სტერეოტიპები, ხატები გამოხატავს ეპოქის იდეოლოგიასა და სწორედ მათ მიხედვით იმსჯელებენ ჩვენს საუკუნეზე.

რაც შეეხება ადგილობრივ, ქართულ კანონმდებლობას, არსებობს მოქმედებათა გეგმა ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ, სადაც ერთ-

ერთ შემსრულებლად დასახელებულია ტელევიზია და პრესა. მაგრამ არა რადიო (პრეზიდენტის დირექტივა 25.02.2000წ.). არ არსებობს ნორმატიული აქტი ან მითითება, რომელიც შეიცავს თანასწორობის პრინციპსა და მასმედიაში სექსიზმისაგან თავის არიდების მოთხოვნას. არ არსებობს სახელმწიფო ორგანო, რომელიც მეთვალყურეობას გაუწევდა საერთაშორისო კონვენციებს და რეზოლუციებს, რომელიც არსებობს როგორც გაერთიანებულ ერეოსტრუქტურებში.

2001 წელს მიღებულ იქნა "კანონი მავნე ზეგავლენისგან არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ". კანონში "მავნე ზეგავლენა" განისაზღვრება იმ ფილმების, ნაბეჭდი პროდუქციის ნვენებით, რომელმაც შეიძლება ზიანი მიაყენოს არასრულწლოვანის ფსიქიკურ ან/და ფიზიკურ ჯანმრთელობას, მორალურ და სოციალურ განვითარებას" (I – §3,ს). ამ კანონში საუბარია იმ ფილმების ნვენების შეზღუდვის თაობაზე, რომელიც შეიცავს სქესობრივ კავშირს და ძალადობის სცენებს (III – §5). ასევე იკრძალება იმ ფილმების ნვენება, რომელიც უარყოფითად მოქმედებენ ბავშვებზე (III – §9). XXI მუხლის I პუნქტი კრძალავს არასრულწლოვანთათვის იმ ჟურნალების და გაზეთების მიეიდვას და რეალიზაციისთვის გადაცემას, რომელსაც აქვთ სექსუალური სახის მასალა, ხოლო არასრულწლოვანთათვის ამგვარი ბეჭდეითი პროდუქციის მიეიდვა ნებადართულია მხოლოდ შეფუთული სახით, წარწერით "აკრძალულია 18 წლამდე" (III – §3-3). არ შეიძლება ამ პროდუქციის გაეიდვა ქუჩაში, დროებით სადგომებზე, აეტომანქანებიდან და ა.შ.

მაგრამ რეალურად რა სიტუაციაა საქართველოს დედაქალაქში, სხვა ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში? ეეთელი და მოეეითალო პრესა, "საინფორმაციო ფურცლები" სექსის შესახებ ეეელგან იეიდება. რეიტინგული ჟურნალ-გაზეთებიც ანეენებენ "ქალთა საიდუმლოებებს", მამაკაცებისას – იშვიათად, ძირითადად, არა ჟურნალის ყდებზე.

ნვენს მიერ ჩატარებული მინიგამოკითხვის თანახმად, ეეელაზე დიდი რაოდენობა "საინფორმაციო ფურცლებისა" იეიდება ვაგზლის, ავტოსადგურების მიმდებარე ტერიტორიებზე და არა თბილისის აეროპორტში, რათა "არ შეაწუხონ" უცხოური სტუმრების მზერა არასათანადო "მესიჯებით" ქართველების მორალური სახის შესახებ. ამგვარი "საეაგზლო" ვაჭრობა, ძირითადად, ხორციელდება საქართველოს სოფლებიდან და შორეული რეგიონებიდან ჩამოსული მეიდეელების ხარჯზე. "სიეეარული და სისხლი", "ქალის სიეეარული" და ფურცლები "დზინ-დზინის" ტიპისა კარგად იეიდება საქართველოს პერიფერიებში არასრულწლოვანი და სრულწლოვანი ქართველების ცნობისმოეეარეობის დასაკმაეოფილებლად.

ზემოხსენებულ კანონში საერთოდ არ მოიხსენიება ისეთი ტერმინები, როგორიცაა "პორნოგრაფია", "სექსიზმი", "გენდერი". არაა მოცემული ამ კანონის კავშირი კანონებთან რეკლამასა და მასმედიის შესახებ. საზოგადოება საერთოდ არ იცნობს იმ ფილმებისა და ნაბეჭდი პროდუქციის რეესტრს, რომელიც არასრულწლოვანთათვის აკრძალულია. (III – §12-1). პროდუქცია, რომელშიც მოცემულია როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი მოწოდება სექსიზმისკენ, სქესობრივი ნიშნით დისკრიმინაციისკენ, იეიდება ეეელგან და საკმაოდ წარმატებითაც. ამ პროდუქციას რეკლამას უწევს "რუსთავი 2". მაგალითად ჟურნალი "მაქსი"

(ფასი 70 თეთრი), რომელიც გასცეთ "ახალი ეერსიის" დამატებას წარმოადგენს და ჟურნალი "კაცები" (ფასი 70 თეთრი) – ამაევე გასცეთის დამატება. მათთვის საერთოა არა მარტო წარმომაელობა ("დამოუკიდებელი მედია-ჯგუფი") და ჟურნალისტები, რომლებიც ორიეე გამოცემისთვის მუშაობენ (ორიეე გამოცემა მამაკაცებისთვისაა), არამედ ის სტერეოტიპებიც, რომლის ტირაჟირებასაც ახდენენ. ამ ჟურნალების რედაქტორებმა "ცოტა წაიკამათეს" ერთმანეთთან "ქალის სილამაზეების" ნეენების ეთიკურობის შესახებ. "მაქსი" ხომ მამაკაცების შესახებ წერს ისეთი რუბრიკებით, როგორიცაა: "ბორდელოგრაფია", "დონჟუანი", "სექსშოპი", ხოლო კაცები – "ქართული სუფრის ლეგენდები". რამდენიმე ხნის წინათ შეწყდა ჟურნალ "მინის" ("ახალი ეერსიის" დამატება, "დამოუკიდებელი მედია ჯგუფი") და "N" (ორიეე ჟურნალი ქალებისათვის,) გამოცემა, რომელიც, ფაქტობრივად, "მაქსის" შერბილებული ვარიანტი იყო. გამოცემა მდიდარი იყო მდედრობითი სქესის (მათ შორის არასრულწლოვნების) ფიზიკური მონაცემების რეიტინგით და ამგვარი ტიპის სტატიებით, როგორც "ფეხები გეტყვიან ქალურ სიმართლეს".

თანამედროვე მსოფლიოში სიტყვისა და პრესის თავისუფლება არის ადამიანის უფლებების ქვაკუთხედი. მასმედიის თავისუფლება სახელმწიფო ცენზურიდან დემოკრატიული საზოგადოების მთავარი ელემენტია. თუმცა ამ ტერმინების გაგება განისაზღვრება სხვადასხვა კულტურული, ისტორიული და ეკონომიკური ფაქტორებით და დამოკიდებულია როგორც ქვეყანაზე, ასევე საზოგადოების გენდერულ მგრძნობელობაზე. "თავისუფლება" ხშირად გაგებულია არაპეგელისეული ინტერპრეტაციით (თავისუფლება, როგორც გაცნობიერებული აუცილებლობა). არამედ როგორც შეზღუდვებისაგან სრული თავისუფლება, მაგრამ ერთის უსაზღვრო თავისუფლება მეორე ადამიანის თავისუფლების შეზღუდვას გულისხმობს. ამიტომაც დემოკრატიულ საზოგადოებებში თავისუფლებას ამა თუ იმ სფეროში ყოველთვის აქვს როგორც იურიდიული. ასევე მორალური ჩარჩოები.

მთლიანად მთელ კანონში ("კანონი სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ"), რომელიც მიღებულ იქნა 2004 წელს , არსად არაა ნახსენები სქესობრივი ნიშნით დისკრიმინაციის დაუშვებლობა - არც ისეთი ტერმინების განმარტებაში, როგორიცაა: "უხამსობა", "არადისკრიმინაციულობა", "აუცილებელი შეზღუდვა" (დემოკრატიული საზოგადოებისთვის კრიტიკულად აუცილებელი შეზღუდვა), "შეზღუდვის პროპორციულობა", არც თავად კანონის ცალკეულ მუხლებში.

ძალიან ბევრ ქვეყანაში მასმედია, რომელიც ხელმძღვანელობს სოციალური და ზნეობრივი პრინციპებით, ნებაყოფლობით უშვებს თვითშეზღუდვებს და თავის მასალებში ხელმძღვანელობს ე.წ. პოლიტკორექტულობის პრინციპით. ამავე დროს, სულაც არ თელის ამას ძალადობად სიტყვის თავისუფლებაზე. როდესაც არ მოქმედებს ადეკვატური იურიდიული და სოციალური ნორმები (ჩვენს შემთხვევაში CEDAW, გაეროს რეზოლუციები, პეკინის დეკლარაცია, ევროსაბჭოს რეკომენდაცია, კონტროლის სოციალური მექანიზმები და ა.შ.), რომელიც სიტყვის და გამოხატვის თავისუფლების რეალიზაციას ახდენს როგორც მასმედიისთვის, ასევე ცალკეული პიროვნებისთვის, ორივეს ინტერესები სერიოზულ წინააღმდეგობაში ვარდება. თუმცა პეკინის დეკლარაციაში მითითებულია "მასმედიაში სამეოველეურეო ჯგუფების შექმნის უსრუნველყოფის

აუცილებლობა, რომლებიც თავალს მიადევნებენ მასმედიის საშუალებებს, ნაატარებენ მათთან კონსულტაციებს ქალთა საჭიროებების და პრობლემების სათანადო ასახვის უზრუნველსაყოფად" (§242-თ).

გამოვხატავთ რა პატივისცემას საქართველოს კანონების მიმართ, გთავაზობთ საქართველოში "კანონის სიტყვისა და თავისუფლების შესახებ" და "კანონის რეკლამის შესახებ" (1998 წ.) გენდერულ ექსპერტიზას. უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას შევანერებ რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხზე:

ძველ კანონში "პრესისა და სხვა მასობრივი ინფორმაციის საშუალებების შესახებ", მასმედიის ბოროტად გამოყენების დაუშვებლობის მუხლში მოცემულია "ომის, სისასტიკის, რასობრივი, ეროვნული, რელიგიური შეუწყნარებლობის პროპაგანდის" (I – §4, გ) მიუღებლობა, მაგრამ არაა მოცემული სქესობრივი შოვინიზმის ანუ სექსიზმის დაუშვებლობა. ახალ კანონშიც ეს დებულება ძალიან ბუნდოვნადაა განსაზღვრული (გენდერული კომპონენტი საერთოდ არ ფიგურირებს). ყველას აქვს გამოხატვის თავისუფლება, რაც გულისხმობს "თავისუფლებას იძულებისაგან, გამოთქვას თავისი შეხედულება რწმენის, აღმსარებლობის, სინდისისა და მსოფლმხედველობის, ეთნიკური, კულტურული და სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ოჯახური, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, აგრეთვე ყველა იმ გარემოების შესახებ, რომელიც შეიძლება გახდეს მისი უფლებებისა და თავისუფლებების შელახვის საფუძველი" (I – §3, 2-3).

ძალიან ხშირად, თავად მეც არაერთხელ დამიფიქსირებია, "გენდერული თემის ჟურნალისტებს" რედაქტორები არ სწყალობენ, რადგანაც ითელება, რომ ეს თემა თითიდანაა გამოწოვილი, ხოლო რედაქტორს შეუძლია, მთელი გვერდი დაუთმოს კრიმინალის თუ დამნაშავეის დეტალურ აღწერას, ვიდრე "ალტერანტიულ თემას". ისეთ სიტუაციაში, როდესაც დამოუკიდებელ ექსპერტებს, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებს, ჟურნალისტებს ანდა სხვა პროფესიების ადამიანებს არა აქვთ საშუალება, გამოხატონ თავისი დამოკიდებულება მნიშვნელოვანი პოლიტიკური, სოციალური, კულტურული, მორალური, გენდერული პრობლემების შესახებ (ეს თემა ზოგადი პრობლემების მთელს სისტემას მოიცავს), ირღვევა არა მარტო ამ ადამიანების სიტყვის თავისუფლება, არამედ სხვისი უფლება, თავისუფლად მიიღოს ინფორმაცია სხვა ადამიანებზე, მათ წარმოდგენებზე და ზოგადად, მთელს საზოგადოებაზე. ცივილიზებულ სამყაროში მასმედიის თავისუფლება აუცილებელია იმისთვის, რათა საზოგადოება უკეთ ეცნობოდეს თავისსაეე პრობლემებს, ანევე, თავისუფლად გამოიხატოს ყველა სოციალური ფენის ანრები, ასევე, უზრუნველეოს საკუთარი მოქალაქეების თვითგამოხატვის უფლება. ეს უფლება, ასევე, გამაგრებულია კანონით: ყველას აქვს უფლება "ნებისმიერი ფორმის ინფორმაციისა და იდეების მოძიების, მიღების, შექმნის, შენახვის, დამუშავებისა და გავრცელებისა" (I – §3,2).

საქართველოში ძალიან ბევრ გაზეთებსა და ჟურნალებში დადებულია აკრძალვა ე.წ. "არასაშტატო ინფორმაციებზე" ანუ იმ ჟურნალისტების სტატიებზე, რომლებიც არ არიან გაზეთების შტატში, მაგრამ უნდათ ითანამშრომლონ. 2004 წელს სახელმწიფომ გადაახდევინა ჯარიმა სახელმწიფო გაზეთებს (მაგალითად, გაზეთი "თბილისი"), რადგანაც გაზეთი

იყენებდა "შტატგარეშე ჟურნალისტების ინფორმაციას". რადგანაც გენდერული ჟურნალისტიკა ძირითადად არასამთავრობო ორგანიზაციებიდან იღებს სათავეს, ის ადამიანები, რომლებიც კვალიფიციურად წერენ ქალთა/გენდერულ თემებზე, ეოველთვის არ არიან მასმედიის "საშტატო ერთეულები", ანდა ჟურნალისტიკის ფაკულტეტის კურსდამთავრებულები.

კანონში სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ "უხამსობა" ასე განისაზღვრება: "განცხადება, რომელსაც არა აქვს პოლიტიკური, კულტურული, საგანმანათლებლო ან სამეცნიერო ღირებულება და რომელიც უხეშად ლახავს საზოგადოებაში საყოველთაოდ დამკვიდრებულ ეთიკურ ნორმებს". "საზოგადოებრივი ყურადღება" – საზოგადოების ინტერესი (და არა ცალკეულ პირთა უბრალო ცნობისმოყვარეობა) იმ მოვლენისადმი, რომელიც დაკავშირებულია დემოკრატიულ სახელმწიფოში საზოგადოებრივი თვითმმართველობის განხორციელებასთან" (I – §1, ვ, ზ). ამ კანონში საერთოდ არაა მოცემული პორნოგრაფიის განმარტება.

კანონში "მავნე ზეგავლენისაგან არასრულწლოვანთა დაცვის" შესახებ ნათქვამია: "საქართველოს განათლების ან საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ შეიძლება ნება დართოს სექსუალური ურთიერთობის ამსახველი მასალების შემცველ ისეთ ნაბეჭდ პროდუქციაზე, რომელშიც მოთავსებული მასალები სამეცნიერო, საგანმანათლებლო და საინფორმაციო ხასიათისაა, სექსუალური ურთიერთობის ამსახველი დეტალები კი მოცემულია მხოლოდ იმ სახით, რომელიც აუცილებელია საგანმანათლებლო და საინფორმაციო საკითხების ილუსტრირებისთვის". (III – §11-6)

ამგვარი დებულება არაა დაფიქსირებული კანონებში რეკლამის და სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ. შეიძლება ადამიანმა იფიქროს, რომ სტერეოტიპები, ქალისა და მამაკაცისადმი სექსისტური დამოკიდებულება მყარდება მხოლოდ 18 წლამდე, ხოლო ამ ასაკის შემდეგ იგი "უვნებელია" როგორც ფსიქოლოგიურ, ასევე სამართლებრივ და სოციალურ კონტექსტში. კანონში არაა მოცემული თემა "სექსისადმი ინტერესის ექსპლუატაცია" და შესაბამისად არაა არანაირი მინიშნება პორნოგრაფიასა და ეროტიკულ მასმედიაზე. ბევრ ჟურნალს, რომელიც სექსისტური ტენდენციებითაა ცნობილი, აქვს "საზოგადოებრივ-პოლიტიკური" მასმედიის სტატუსი.

"კანონში რეკლამის" შესახებ საერთოდ არ არსებობს მინიშნება ფასიანი სექსუალური მომსახურეობის და რეკლამის გასექსუალების შესახებ. შესაბამისად არ არსებობს კონტროლის მექანიზმი, რომელიც გამოიყენებს სანქციებს მასმედიაში ინტიმური ურთიერთობების არაკორექტულ "აფიშირებას". თუმცა მასმედია ხშირად იყენებს ევფემიზმებს: "სასიამოვნო გარემო", "სასიამოვნო საუბარი". არის პირდაპირი რეკლამაც: "ინტიმი", "სუპერინტიმი" და ა.შ. ამავე დროს რედაქცია თავს იცღვევს და ჟურნალის თუ გაზეთის რომელიმე კუნჭულში აცხადებს: "შესაძლებელია, რედაქციის შეხედულებები არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს. მასალაში გამოქვეყნების ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი", ანდა "სარეკლამო მასალაზე რედაქცია პასუხს არ აგებს".

ამასთან დაკავშირებულია ისეთი უაღრესად მნიშვნელოვანი პრობლემაც, როგორიცაა მასმედიის გამოყენება ისეთი სისხლის სამართლით დასჯადი

ქმედებებისთვის, როგორიცაა ტრეფიკინგი, ბუნაგების მოწყობა და მაჭანკლობა. სექსუალური თემატიკის შემცველი რეკლამა ყოველთვის შეიცავს ამგვარი კრიმინალური ქმედების რისკს თუ ალბათობას. ტელევიზიით (მორბენალი სტრიქონი) დიდი ხნის განმავლობაში გადიოდა და გადის "სამუშაო რეკლამა" კაზინო "ჯოისთვის", რომელიც სასიამოვნო გარეგნობის გოგონებს იწვევს მადალანაზღაურებად სამსახურში.

არც ერთ ქართულ კანონში არაა განმარტებული თუ რა არის "სექსუალური ხასიათის პროდუქცია", "პორნოგრაფიული მასალები", "მასმედიის სპეციალიზირებული საშუალებები".

ჟურნალი "მაქსი" მიუთითებს, რომ "ეს ჟურნალი მამაკაცებისთვისაა", მაგრამ ჟურნალის ფურცლებზე ვერ იპოვით იმის განმარტებას, რომ ეს ნაბეჭდი პროდუქცია "სპეციალიზდება პორნო ან სექსუალური თემატიკის მასალებზე". ამავე დროს სახელწოდება "... მამაკაცებისათვის" მკითხველს აწვდის მზა სტერეოტიპს, რომ მამაკაცებს აინტერესებთ მხოლოდ სექსი, "ქალების შებმა" და ძვირადღირებული აეტომანქანები. ამგვარი ჟურნალები ასევე აყალიბებს მამაკაცებისადმი სტერეოტიპულ ხატებს და არღვევს კანონით (სიტყვისა და გამოხატის თავისუფლების შესახებ) მონიჭებულ უფლებას – "თანაბარი მოპყრობის ვალდებულება" (I – §1, ს) .

აქვე უნდა დავსძინოთ, რომ ბევრ ქვეყანაში არსებობს ნორმატიული აქტები, რომლებიც არეგულირებს და აკონტროლებს სექსუალური ხასიათის პროდუქციის ბრუნვასა და გავრცელებას. საქართველოში არც ამგვარი კანონია, არც დირექტივა და არც კანონპროექტი...

პორნოგრაფია, როგორც გენდერული პრობლემა, დღეს არ ფიგურირებს არც ქართულ საკანონმდებლო სივრცეში, არც საჯარო დისკუსიებში და, მითუმეტეს, არც გადაწყვეტილების მიმღებ სტრუქტურებში. თუმცა არსებობს "უხამსობის" განმარტება, რომელიც ინტერპრეტაციებისთვის საკმაოდ დიდ სივრცეს იძლევა.

პორნოგრაფიის "უხამსობაში" მოქცევა აძნელებს სამართლებრივი სანქციების გამოყენებას, რადგანაც მაშინვე დგება სიტყვისა და გამოხატვის, მეწარმეობის თავისუფლების საკითხი. ამავე დროს კანონი ძალიან ბუნდოვნად აღნიშნავს თუ რას ნიშნავს „საზოგადოებაში საყოველთაოდ დამკვიდრებული ეთიკური ნორმები". თუ საუბარია ტრადიციულ პატრიარქალურ ნორმებზე, მაშინ კომენტარს არ საჭიროებს ძალაუფლების და სუბორდინაციის ვერტიკალის გენდერული ასპექტი. უნდა აღინიშნოს, რომ დღეს პორნოგრაფია არა იმდენად მორალური, რამდენადაც უფრო გენდერული პრობლემაა. ქართული კანონი „უხამსობას" განსაზღვრავს, მაგრამ აქ არაა გათვალისწინებული „მესამე თაობის ადამიანის უფლებების" სპეციფიკა, ზოგადად ადამიანის უფლებებისადმი (ქალთა უფლებების) სისტემური მიდგომის საჭიროება, როდესაც ქალისადმი, როგორც მხოლოდ სექსის ობიექტის, „მეორეს სქესის" სტატუსის მინიჭება ძალადობაა, რომელსაც საფუძვლად უდევს მამაკაცის დომინირების „ნორმალურობა" და "ეთიკურობა", ხოლო ქალის დაქვემდებარებული პოზიცია არაორაზროვანია.

ქალისა და მამაკაცისადმი სტერეოტიპული დამოკიდებულების ღია გამოხატვა, ტექსტი თუ ქარაგმა "თანაბარი სტატუსის" პრინციპის უგულებელყოფას ახდენს. ანუ პორნოგრაფიის სამიზნის –ამ შემთხვევაში - ქალის სოციალურ-პოლიტიკური სტატუსი სუბორდინირებულია

დომინანტური სტატუსის მქონეთა მიმართ, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ძალადობა არა მარტო ფიზიკური ძალადობის შემცველი ცნებაა (ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, მორალური, სიტყვიერი და ა.შ.) ასევე ფაროო გაგებით უნდა იყოს აღქმული კანონში დაფიქსირებული დებულება იმის თაობაზე, რომ "რეკლამა არ უნდა უბიძგებდეს მოქალაქეებს ძალადობის, აგრესიისა და ქაოსისკენ, არ უნდა მოუწოდებდეს მათ საშიში ქმედებისაკენ, რომელსაც შეუძლია ზიანი მიაყენოს ადამიანის ჯანმრთელობას ან დაემუქროს მის უსაფრთხოებას ("საქართველოს კანონი რეკლამის შესახებ". თავი II. 9).

ამავე კანონში ეკითხულობთ იმ პასუხისმგებლობებსა და სანქციებზე, რომელიც რეკლამის დამკვეთს, მწარმოებელს თუ გამავრცელებელს ეკისრება იმ პირების მიმართ, რომელთა უფლებები და ინტერესები ღარღვეულია არასათანადო რეკლამის შედეგად (თავი V, §20, 21). დასარალებულ პირებს "უფლება აქვთ დადგენილი წესით, სარჩელით მიმართონ სასამართლოს ჯანმრთელობისა და ქონების, სახელის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციისთვის მიყენებული ზიანის კომპენსაციის თაობაზე და მოითხოვონ არასათანადო რეკლამის საჯაროდ უარყოფა" (V, §21-3).

ლუდი "ლომისის" რუსთაველ II-ზე შარშანდელმა "P.R." კამპანიამ უმტკიცნეულოდ ჩაიარა. ჩემმა მცდელობამ მასმედიაში ("დილის გაზეთი", 12.06.04.) ამ რეკლამის სამართლებრივი შეფასების საკითხის დაყენების შესახებ უშედეგოდ ჩაიარა, ისევე როგორც ტელეარხით "იმედი" ამ პრობლემის გაცხადებამ (ჯანრი კაშიას გადაცემიდან ჩემი განცხადება "ამოიღეს" – 21.05.04).

თანამედროვე რეკლამის ლომის წილი ქალს იყენებს გასაყიდი პროდუქციის ფონად, ხოლო გასაყიდი პროდუქცია ძირითადად თმის შამპუნები, სარეცხი ფხვნილები და გემრიელი კერძის საიდუმლოებებია. უფრო "სერიოზული საგნების" – ავტომობილი, სახლი – სექსუალური სატყუარა ქალია, უფრო სწორად. მისი სხეული.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კანონის ("სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ") თანახმად, „მოწოდება" არის „განცხადება, რომლის ავტორიც მი'ნად ისახავს ან აშკარად უშვებს გარკვეული ქმედების გამოწვევას" (I – §1, დ). ამავე დროს, კანონში ეკითხულობთ, რომ „ამ კანონის ინტერპრეტირება უნდა მოხდეს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს მიერ ნაკისრი საერთაშორისო სამართლებრივი ვალდებულებების, მათ შორის, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისად" (I – 2). თუმცა ამ მუხლში კონვენცია (CEDAW) არაა ნახსენები, არადა კონვენცია „ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ" ავალდებულებს სახელმწიფოებს, „შეიტანონ მამაკაცისა და ქალის თანასწორუფლებიანობის პრინციპი თავიანთ კონსტიტუციებში ან სხვა შესაბამის საკანონმდებლო აქტებში, თუ ეს აქამდე არ გაუკეთებიათ და უსრულველყონ კანონითა და სხვა შესატყვისი საშუალებებით ამ პრინციპის პრაქტიკული განხორციელება" (მუხლი 2,1.CEDAW). საქართველოს კანონებში (სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების, რეკლამის, მავნე ზემოქმედებისგან არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ) CEDAW არაა

მოხსენიებული, მაგრამ ვიმედოვნებთ, რომ იგი ფორმალურადაც და არაფორმალურადაც უახლოეს მომავალში მაინც მოაზრებულ იქნება.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რედაქტორები ხშირად მიმართავენ ე.წ. "გენდერულ ცენზურას" და გენდერულად მგრძნობარე სტატიებს თუ გენდერზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების აქტივობებს არ უიმობენ საგაზეთო ფურცლებს. თუმცა კანონი აცხადებს "ცენზურის დაუშვებლობას", მაგრამ ამ შემთხვევაში "ცენზურა" უფრო მეტად მოიაზრება სახელმწიფოს მხრიდან, და არა თავად სარედაქციო პოლიტიკის განხორციელების პროცესში, რომელიც რედაქტორის პირად გენდერულ მგრძნობელობაზეა დამოკიდებული.

ამავე დროს საქართველოში მოქმედ მხოლოდ მასმედიის რამდენიმე საშუალებას აქვს მიღებული "ჟურნალისტის კოდექსი". ამ ტექსტებში ბუნებრივია, კომპენტენტურადაა დეკლარირებული ჟურნალისტის პროფესიული ეთიკა (მოვალეობები, უფლებები), მაგრამ ქალთა უფლებების სპეციფიურობის და მათი გაშუქების პროცესის შესახებ არაფერია ნათქვამი. ასევე არაფერია ნათქვამი ჟურნალისტთა გაერთიანების კოდექსში მედიაში სექსიზმის, როგორც ადამიანთა უფლებების შელახვის შესახებ (იგულისხმება არა მარტო საქართველოს, ასევე უცხოური ქვეყნების პროფესიული გაერთიანებები). არსებობს "ჟურნალისტ ქალთა ასოციაციის" წესდება,რომელიც ქალთა თემის ლობირებას მოიაზრებს.

უნდა აღინიშნოს აქვე, რომ ინტერნეტი, კომპიუტერული ქსელები, როგორც მასობრივი საინფორმაციო საშუალება – ელექტრონული მედია – ასევე საჭიროებს მარეგულირებელი საკანონმდებლო სისტემის შექმნას. დღეს სწორედ ინტერნეტი გვეელინება სექსისტური კულტურის ერთ-ერთ უძლიერეს და სიცოცხლისუნარიან გამოვლინებად. არამარტო პორნოგრაფიული საიტები, არამედ სერიოზული თემით "დაკავებული" ვებ-გვერდები უარს არ ამბობენ ქალის, როგორც არასრულფასოვანი არსების და რეალაქსაციის საშუალების წარმოსაჩინებლად. უხეშ თუ რბილ პორნოს იხილავთ არა მარტო კომპიუტერული ვირუსების სახით, არამედ საკმაოდ დიდი სივრცისა და ავტორიტეტის მქონე ვებ-გვერდებზე. ესაა სექსუალური მომსახურება მდიდარი ვიზუალური სურათ-ხატებით, ქალთა საკონტაქტო ტელეფონების მითითებით. ეს კი ტრეფიკერებს, ბუნაგების მომწყობებსა და "სუტენიორებს" ფართო სამოქმედო ასპარეზსს აძლევს.

კანონში ასევე არაა მითითებული დღეისათვის ინტერნეტის, როგორც მასობრივი კომუნიკაციის საშუალების მნიშვნელობა და სპეციფიკურობა. არც კანონი "მავნე ზეგავლენისაგან არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ" არეგულირებს ინტერნეტ-სივრცის ტენდენციების რისკს. თუმცა კანონში სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ მედიის განმარტებისას ინტერნეტი მოხსენიებულია, როგორც მასობრივი კომუნიკაციის ელექტრონული საშუალება (I – ღ). მეტი არაფერი.

ამ სტატიის მიზანი არ არის სტერეოტიპებისა და საზოგადოების სამართლებრივი, ფსიქოლოგიური, სოციალური, კულტურული, ეკონომიკური, პოლიტიკური ასპექტების მიზეზ-შედეგობრივი კავშირი. სოციალური სტერეოტიპის კელავწარმოების საფუძველია გენერალიზაციის, განზოგადების, სქემატიზაციის ფსიქოლოგიური ფენომენი, რომლის ტირაჟირება და უკონტროლო დანერგვა არა მარტო "ადამიანთა უფლებების მესამე თაობის" დარღვევაა, არამედ "პირველი და მეორე თაობის უფლებების"

შელახვის საშიშროებას უდევს საფუძველად. სტერეოტიპი გეკარნახობს ნორმას, საშუალო სტატისტიკურს, ცხოვრების წესს. ეს კი "ერთ მშვენიერ დღეს" შეიძლება ადამიანის ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევით შემოგვიბრუნდეს. გენდერული სტერეოტიპების ნეგატიური სოციალური ეფექტი, ბუნებრივია, სრულად ვერ იქნება წარმოდგენილი კანონში ("სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ" და სხვ.), თუმცა კანონი შეესაბამებოდეს ამ ნორმებსაც აწესებს: "ამ კანონით აღიარებული და დაცული უფლებების შემსაბამისი კანონი უნდა იყოს: ა) პირდაპირ მიმართული ლეგიტიმური მიზნების განხორციელებისაკენ; ბ) კრიტიკულად აუცილებელი დემოკრატიული საზოგადოების არსებობისათვის; გ) არადისკრიმინაციული; დ) პროპორციულად შემსაბამისი (II – 2. ა, ბ, გ, დ), ხოლო შინაარსობრივი რეგულირება (IX – 1) ეხება "უხამსობას, პირდაპირ შეურაცხყოფას, დანაშაულის ჩადენისკენ წაქეზებას, რეკლამას, ტელეშოპინგს ან სპონსორობას".

ხშირად რედაქტორები გენდერულ თემაზე კომპენტური სტატიების გამოქვეყნებისაგან იმის გამო იკავებენ თავს, რომ ეს თემა "კარგად არ იყიდება", რადგანაც ეს პრობლემა "გრანტებმა მოიტანა" – (ერთ-ერთი გაზეთის რედაქტორის შეხედულება), ან ქალის უფლებები საქართველოში არ ირღვევა (მეორე გაზეთის რედაქტორის შეხედულება) .

გთავაზობთ ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიმოხილვას, რომელიც გენდერულ მგრძნობელობას ციფრებში გამოხატავს. კვლევა განხორციელდა 2004 წელს საქართველოს კულტურულ ურთიერთობათა ცენტრ "კავკასიური სახლის" ჰაინრიხ ბიოლის ფონდთან (გერმანია) თანამშრომლობის პროექტის ფარგლებში.

სამიზნე ჯგუფები: 2004 წლის სექტემბრამდე მოქმედი ჟურნალ-გაზეთებისა და რადიო-ტელევიზიის რედაქტორები.

კვლევის მეთოდოლოგია: დადგინდა მასმედიის საშუალებების ხელმძღვანელების რაოდენობა. კვლევა ჩატარდა სპეციალურად შემუშავებული კითხვარის საშუალებით.

რესპონდენტთა შერჩევა მასმედიის საშუალებათა მიხედვით. ბეჭდვითი – 40 (20 – გაზეთი, 20 – ჟურნალი); რადიო – 12; ტელევიზია – 8. კვლევაში სულ მონაწილეობა მიიღო 60-მა რედაქტორმა. რესპონდენტთა 45% – მდედრობითი სქესისაა, 55% – მამრობითი. რედაქტორების ასაკი – 20-დან 30 წლამდე – 14%; 31-დან 40-მდე – 34%; 41-დან 50 წლამდე – 41%, 50 წელს ზემოთ – 11%. მასმედიის თანამშრომელთა განაწილება სქესის მიხედვით ასეთია: 62% – მდედრობითი სქესის; 38% – მამრობითი. ზემოხსენებული მასმედიის საშუალებების საშუალო ასაკი – 7 წელი. მოღვაწეობის არეალი: მთელი ან თითქმის მთელი საქართველო – 62%, თბილისი და ზოგიერთი რეგიონები – 12%, მხოლოდ თბილისი – 26%.

კვლევის ძირითადი მიმართულებები:

1. მასმედიის საშუალებების ხელმძღვანელების გენდერული მგრძნობელობის დადგენა;
2. ქალთა უფლებებთან დაკავშირებით საერთაშორისო და ადგილობრივი საკანონმდებლო ბაზის ცოდნის დონე;
3. რედაქტორთა შეხედულებები გარდამავალი პერიოდის გენდერული სტერეოტიპების დინამიკის თაობაზე;

4. ჟურნალისტური ეთიკის, სექსიზმისა და გენდერული საკითხების ურთიერთმიმართება.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა რედაქტორთა დამოკიდებულება სექსიზმისადმი, როგორც ადამიანის უფლებების დარღვევისადმი. რესპონდენტთა 98%-ს მიაჩნია, რომ დისკრიმინაცია სქესობრივი ნიშნით არის ადამიანთა უფლებების დარღვევა, თუმცა კვლევის შედეგად მიღებული მონაცემები არ ემთხვევა რესპონდენტთა ზემომოყვანილ ერთსულოვნებას. ეს შეიძლება აიხსნას იმით, რომ მათ არ უნდათ "არამომგებიანი" ასრის გამოთქმა. რესპონდენტთა 60%-ის აზრით, მასმედიის კანონი (კანონი სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ) არ უნდა არეგულირებდეს სექსისტური ტენდენციების არსებობას მასმედიაში. მხოლოდ 18%-ია თანახმა, ეს საკითხი მოიაზრებოდეს კანონში.

ნიშანდობლივია, რომ გამოკითხულ რედაქტორთა 78% საერთოდ არ იცნობს ქალთა უფლებების მარეგულირებელ არც ერთ საერთაშორისო და ადგილობრივ კონვენციას თუ რეკომენდაციას – CEDAW, გაეროს რეზოლუციებს, ევროსტრუქტურის რეკომენდაციებს, ჟენევის კონვენციას და ა.შ. რედაქტორთა 22%-მა, რომელმაც განაცხადა , რომ იცის ქალთა უფლებების მარეგულირებელი ნორმატიული აქტები, კონკრეტულად ვერ დაასახელა, თუ რას ეხება ეს დოკუმენტები. შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ რესპონდენტთა 100%-ს არა აქვს არანაირი ინფორმაცია ქალთა უფლებების იურიდიული ბაზისის შესახებ, რაც შესაძლებელია აიხსნას, როგორც გენდერული თემის "არამომგებიანობით", სამთავრობო სტრუქტურების მხრიდან ამ საკითხის იგნორირებით, ასევე არასამთავრობო სექტორის მხრიდან "გენდერი და მასმედიის" თემის მიმართ არასაკმარისი ყურადღებით.

მიუხედავად ზემოხსენებული გარემოებისა, რედაქტორთა 61% აცხადებს, რომ ისინი მიმართავენ სპეციალურ ზომებს, რათა მათდამი დაქვემდებარებული მასმედიის საშუალებების პროდუქციაში გათვალისწინებული იქნას ქალთა უფლებების დამცველი ადგილობრივი და საერთაშორისო დონის კონვენციები, დებულებები, ნორმატიული აქტები. შემდგომი პასუხი კი ცხადყოფს, რომ სპეციალურ ზომებში არ იგულისხმება საგანმანათლებლო ღონისძიებები, ტრენინგები, სემინარები, სისტემატური მონიტორინგი, შესაბამისი მითითებები, მასმედიის საშუალების ეთიკურ კოდექსში სპეციალური მუხლის შეტანა და ა.შ., არამედ მხოლოდ სტატიის/გადაცემის აკრძალვა. აღსანიშნავია, რომ დისკრიმინაციული შინაარსის სტატიის/გადაცემის აკრძალვას მხარი დაუჭირეს სწორედ იმ მასმედიის ხელმძღვანელებმა, რომლებიც გამოირჩევიან სექსისტური ტენდენციებით. ამგვარი პასუხი შეიძლება აიხსნას ან საკითხის (სექსიზმი) არცოდნით, ანდა დემოკრატიული თუ დასავლური ღირებულებებით დამკვიდრების ფორმალური მზადყოფნით.

რედაქტორთა 45%-ს მიაჩნია, რომ გენდერული დისკრიმინაციის შინაარსის სტატიებზე/გადაცემებზე, ჟურნალისტის ეთიკურ კოდექსში არ უნდა იყოს მითითებული გარკვეული შეზღუდვები, 37%-ის აზრით, ეს აუცილებელია, ხოლო 17% ფიქრობს, რომ ამგვარ შეზღუდვებს აზრი არა აქვს .

რესპონდენტთა 77% -ს მაჩნია, რომ დღეისათვის აუცილებელია მასმედიის ჰუმანიზაცია სწორედ გენდერული თანასწორობის პრინციპის

გათვალისწინებით. კვლევის შედეგები, რომელიც ეხება ქალის სექსუალობით რეპრეზენტაციას მასმედიაში, ფემინისმისადმი დამოკიდებულებას და ტრანზიციის პერიოდის გენდერულ სტერეოტიპებს, ცხადყოფს, რომ მიუხედავად იმისა, რომ რედაქტორთა უმრავლესობა მასმედიის ჰუმანიზაციის მომხრეა, ისინი ჰუმანიზაციაში არ მოიაზრებენ ქალისადმი, გენდერული როლებისადმი არასექსისტური პოლიტიკის გატარებას. ეს ისევე და ისევ შესაძლებელია აიხსნას, ერთი მხრივ, როგორც სნობური მოსაზრებებით, "არარეიტინგულთა" სიაში მოხვედრის შიშით, ასევე სოციალური შეკვეთის დიქტატით. რედაქტორთა 87% ეთანხმება იმ მოსაზრებას, რომ ნებისმიერ სტატიაში/გადაცემაში აქცენტი ქალისა და მამაკაცის თანასწორობაზე უნდა კეთდებოდეს. თუმცა კითხვაზე: უნდა იცავდეს თუ არა ჟურნალისტი ყველა იმ ნორმასა და კანონს, რომელიც გენდერულ თანასწორობას ეხება, მხოლოდ 40% მიიჩნევს ამას ძალიან მნიშვნელოვან საკითხად; 51%-ის აზრით, ეს მნიშვნელოვანია, მაგრამ არა – აუცილებელი, ხოლო 9% ამას არ ანიჭებს არავითარ მნიშვნელობას.

რესპონდენტთა 83%-ის აზრით, ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე უნდა ისწავლებოდეს გენდერი, როგორც საგანი. ეს ციფრი მიგვითითებს გენდერისადმი, როგორც ინტერდისციპლინარული მეცნიერებისადმი, არსებული ფარული თუ ხილული ინტერესი, რომელიც რეალურად არსებობს თანამედროვე ქართულ საზოგადოებაში და რომლის დაკმაყოფილება, როგორც არასამთავრობო, ასევე სამთავრობო სტრუქტურების სამოქმედო გეგმა უნდა გახდეს. რაც შეეხება ქალისა და მამაკაცის სექსუალობის თაობაზე მასმედიით მსჯელობას, რედაქტორთა 63%-ის აზრით, ეს დასაშვებია, 35% კი თვლის, რომ ღიად მსჯელობა ამის შესახებ დაუშვებელია (2%-მა თავი შეიკავა პასუხისგან). ამავე დროს, ფაქტობრივად, ყველამ აღნიშნა, რომ ამ თემას მხოლოდ კომპეტენტური სპეციალისტები უნდა უძღვებოდნენ.

ამ მოსაზრების ამბივალენტური გაგრძელებაა ის, რომ რესპონდენტთა მხოლოდ 12%-მა ჩათვალა, რომ ქალთა სექსუალობის, შიშველის სხეულის "სასაქონლო ნიშნად" გამოყენება რეკლამასა და სტატიის/გადაცემების ფონად ქალთა დისკრიმინაციაა და უნდა აიკრძალოს. 42% მიაჩნია, რომ ეს დისკრიმინაცია არ არის, თუმცა უნდა აიკრძალოს. 42%-ის აზრით, ქალის სხეულისადმი ასეთი დამოკიდებულება არაა დისკრიმინაცია და ამიტომაც არ უნდა აიკრძალოს, ხოლო 4%-ის აზრით, ეს ზედმეტად გაზვიადებული დამოკიდებულებაა ადამიანთა უფლებებისადმი. რედაქტორთა 41%-ის აზრით, სტატიის/გადაცემის რეიტინგი ნამდვილად იზრდება ქალთა სექსუალობის, შიშველი სხეულისა თუ პორნოგრაფიული "სიუჟეტის" ჩვენებით; 37% -ს მიაჩნია, რომ – უბრალოდ იზრდება; 15%-ის აზრით, არც იზრდება და არც მცირდება, ხოლო 5% თვლის, რომ ამგვარი "სიუჟეტური ჩანართები" მასმედიის საშუალების რეიტინგზე უარყოფითად მოქმედებს.

რესპონდენტთა უმრავლესობას (26%) მიაჩნია, რომ მასმედიაში ქალთა სექსუალობაზე თუ სიშიშველეზე არსებული მოთხოვნილება სოციალური შეკვეთითაა ნაკარნახევი; 13% ამგვარ პოლიტიკას რეკლამის შემკვეთს აბრალებს; 17%-ის აზრით, რეკლამაში ქალის სექსუალობის ღია დემონსტრირება და ამგვარი რეკლამის მიმზიდველობა ადამიანის ბუნებრივი ინსტინქტია, ხოლო 21%-ის აზრით, ეს საყოველთაოდ დადგენილი წესია. მხოლოდ ერთმა რედაქტორმა აღნიშნა, რომ ამ ხერხს დაბალი დონის

ჟურნალისტიკა იყენებს... გამოკითხულთა 9%-ის აზრით, "ქალი ლამაზია და თავადაა თანასმა მისი სხეული სხვამ გამოიყენოს". დაფიქსირდა ასეთი მოსაზრებებიც: "ქალი სატყუარაა და კაცი ტყუვდება", "სექსუალური ქალი ბიზნესმენებს ისიდავს", "ქალი – მოდაა" და ს.შ. მხოლოდ ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ "სექსისტური რეკლამა ქალისადმი არაჰუმანური დამოკიდებულების შედეგია". რესპონდენტთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ მათ "პროდუქციაში" აქტიური, წარმატებული (46%), პროფესიონალი (47%) ქალის იმიჯი იქმნება და მხოლოდ რესპონდენტთა მინიმალურმა რაოდენობამ აღნიშნა, რომ მათ სტატებში/გადაცემებში, ქალი "სექს-ობიექტია" ანდა "მომთმენი, ნაზი, წყნარი, პასიური" არსებაა. რესპონდენტთა ასეთივე რაოდენობამ (47%) აღნიშნა, რომ მაოდამი დაქვემდებარებულ მასმედიის საშუალებებში მამაკაციც აქტიური, წარმატებული (47%) და პროფესიონალია (47%). ფაქტობრივად, არ დაფიქსირებულა მოსაზრება ქალისა და მამაკაცის სტერეოტიპული იმიჯის შესახებ. მაგალითად, ქალი – პატიოსანი, ერთგული; მამაკაცი – დონ-ჟუანი; ქალი – ოჯახის მარნენალი, მობილური, აღვილად ადაპტირებადი; მამაკაცი – უსაქმური, ზარმაცი, არ შეუძლია ოჯახის რჩენა, ძნელად ადაპტირებადი.

უაღრესად მნიშვნელოვანია ცენტრალური მასმედიის ხელმძღვანელობის დამოკიდებულება საზოგადოებაში ქალთა მოძრაობის/ფემინიზმის მიუღებლობასთან და გარკვეულწილად, მის მიმართ არსებული აგრესიის მისეზებთან დაკავშირებით. რესპონდენტთა 20% -ის აზრით, საზოგადოება საეროოდ არ იცნობს საქართველოში ქალთა მოძრაობას, 10%-ს მიაჩნია, რომ ამის მიზეზია "ფემინისტების მიერ ტრადიციების რღვევა" და "ქალთა მიმართ ძალადობის ფაქტების გაზეიადება" (10%), 19%-ის აზრით, "ფემინისტები არიან აგრესიულები და ისტერიულები"; 16% ფიქრობს, რომ "ფემინისტთა აქტივობა მხოლოდ გრანტების მოძიებითაა ნაკარნახევი"; 19%-ის მოსაზრებაა, რომ "ფემინისტები მხოლოდ ქალებზე ზრუნავენ". რედაქტორთა მინიმალური რაოდენობის აზრით, "ფემინისტები ბუნების წინააღმდეგ იბრძვიან", "საზოგადოება არაა მზად მიიღოს მათი იდეოლოგია". ზოგიერთი რედაქტორი ფიქრობს, რომ "ფემინისტები "არაკაცურად" იქცევიან". ერთ-ერთი რედაქტორის აზრით კი, "ფემინიზმის მიუღებლობა მამაკაცობის კომპლექსებითაა განპირობებული".

რესპონდენტთა 12% თავად რომ წყვეტდეს ქალთა მოძრაობის საკითხებს, "ქალთა მოძრაობის ლიდერებს შეცვლიდნენ"; 15% – მოძრაობის აქტივობების, ხოლო 24% – მიმართულებების შეცვლის მომხრეა. მხოლოდ 1% არაფერს შეცვლიდა დღეევანდელ ქართულ რეალობაში. რამდენიმეჯერ დაფიქსირდა აზრი, რომ "ფემინიზმი სისულელეა", რომ "რა საგიროა ამდენი ფემინისტი". იყენენ ასევე კატეგორიული პოზიციის მქონე რესპონდენტებიც, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ "ფემინიზმი საეროოდ გასაუქმებელია". ერთეულებმა დააფიქირეს დღეევანდელ საზოგადოებაში განათლების დეფიციტის არსებობა გენდერულ სფეროშიც

მართალია, რესპონდენტთა 30%-მა აღნიშნა, რომ იცნობს ევროპული ქვეყნებისა და აშშ-ს (26%) გამოცდილებას ქალთა მოძრაობის მნიშვნელობის შესახებ, მაგრამ ვერ დაკონკრეტეს, კერძოდ, რა სფეროს უკავშირდება მათი ცოდნა. რედაქტორთა 26%-ის აზრით, გენდერული კვლევა მხოლოდ ქალთა საკითხებს მოიცავს; 47% ფიქრობს, იგი სქესთა თანასწორობის შემსწავლელი საგანია; 14%-ის აზრით, ეს უსაგნო და არაფრისმომცემი

კვლევაა; 6%-მა კი განაცხადა, რომ გენდერი მხოლოდ მამაკაცთა საკითხებს მოიცავს.

რესპონდენტთა მხოლოდ 23% მიიჩნია, რომ გენდერი, როგორც თემა, დღეს აქტუალურია ქართულ მასმედიაში. 77% კი ფიქრობს, რომ არაა აქტუალური. მხოლოდ რამდენიმე რესპონდენტი აღნიშნავს თავის უმაყოფილებას მასმედიაში ამ თემის დეფიციტის გამო. დაფიქსირდა შემდეგი განმარტებები მასმედიაში გენდერული თემის არასიოცოხლისუნარიანობის გამო: "სხვა ბევრი მნიშვნელოვანი პრობლემაა", "ადამიანებს შიათ, რა დროს ქალებია", "ქალის უფლებები საქართველოში არ ირღვევა", "მასმედია ბიზნესია და ქალთა თემა არაა მომგებიანი", "ქალები ისედაც ბედნიერნი არიან საქართველოში", "ქართული სასოგადოება ჩაკეტილია და ამგვარი პრობლემები არავის აწუხებს", "საქართველოს ეს არ სჭირდება", "ახალგაზრდა ჟურნალისტებს გენდერი არ აინტერესებთ", "რადგან პრეზიდენტს ქალები უყვარს, ქალთა თემა ახლა აქტუალური იქნება", "სერიოზულ ჟურნალისტიკას, მათ შორის გენდერულს, ნაკლები ყურადღება ექცევა", "ქალის პრობლემა ყველას პრობლემაა", "კაცი წარმატებულია, ქალი ვერ იქნება წარმატებული", "ქალთა თემა მხოლოდ ტრეფიკინგს და პროსტიტუციას უკავშირდება", "ქალთა მოძრაობას არა აქვს P.R." და ა.შ.

ბოლო 15 წლის განმავლობაში საქართველოში გენდერულმა როლებმა და სტერეოტიპებმა გარკვეული ცვლილება განიცადა და, ეფიქრობთ, მთელი სასოგადოებისათვის ძალიან საინტერესოა გენდერული სტერეოტიპების, კერძოდ, ქალის ხატის ცვლილებების დინამიკა. მოცემულ კვლევაში ჩვენ მოვიცავეთ საქართველოს ისტორიის 6 პერიოდი: კომუნისტური, ეროვნული მოძრაობის, ომის, საბაზრო ეკონომიკის, ვარდების რევოლუციის და დემოკრატიის დასავლური მოდელის განვითარების პერიოდი.

რესპონდენტთა 56%-ის აზრით, კომუნისტური პერიოდის დროს სასოგადოებაში და მასმედიაში პრევალირებდა ქალი-დედის და ქალი-დიასახლისის (20%) ხატი; **ეროვნული მოძრაობის დროს** - ქალი-დედის – 42%, ქალი-დიასახლისის - 23% და სასოგადოებრივად აქტიური - 17%. ქალის ხატი **ომის** (სამოქალაქო, აფხაზეთის, ოსეთის) დროს: ქალი-დედის —44%, გმირი ქალი-დედის - 11%, ქალი-დიასახლისის – 26%, სასოგადოებრივად აქტიური ქალის – 18% . **საბაზრო ეკონომიკის დროს**: ქალი-დედის ხატი – 14%, ქალი-დიასახლისი – 5%, ქალი-სექს-ობიექტი – 14%, სასოგადოებრივად აქტიური ქალი – 38%, პროფესიონალი - 28%. **ვარდების რევოლუციის დროს**: ქალი-დედა – 16%, ქალი-დიასახლისი- 7%, ქალი-სექს-ობიექტი- 15%, სასოგადოებრივად აქტიური - 32%, პროფესიონალი- 23%. **დემოკრატიის დასავლური მოდელის განვითარების პერიოდი**: ქალი-დედა- 17,8%, ქალი-სექს-ობიექტი- 23%, სასოგადოებრივად აქტიური- 33%, პროფესიონალი– 18%.

ფაქტობრივად, არც ერთმა რესპონდენტმა არ აღნიშნა, რომ ამა თუ იმ პერიოდში საქართველოში არსებობდა "ქალის კულტი", რაც კვლევის მონაცემების გათვალისწინებით, ეწინააღმდეგება საყოველთაოდ გავრცელებულ მითს საქართველოში დამკვიდრებული ქალის კულტის შესახებ. კვლევის შედეგად მიღებული ციფრები ცხადყოფს, რომ ომის პერიოდში ქალმა როგორც სექს-ობიექტმა "მიიღო" პროცენტების მინიმალური რაოდენობა (კომუნისტური პერიოდის დროს – 0%), ხოლო ვარდების რევოლუციის შემდგომ დემოკრატიის განვითარების ხანაში – მაქსიმალური რაოდენობა. უნდა აღინიშნოს, რომ კვლევის თანახმად არც

ერთ პერიოდში საზოგადოებრივად აქტიური ქალისა და პროფესიონალის ცნება ერთმანეთთან გაიაიგივებული არაა. ფაქტობრივად, ყველა პერიოდში "პროფესიონალიზმი" 10%-ით "ზამორნება" საზოგადოებრივად აქტიური ცხოვრების წესს. ეს საკარაუდოდ მიუთითებს იმაზე, რომ ქალთა დასაქმება არაფორმალურ, არასამთავრობო სექტორში, "წვრილი ბიზნესის" წარმოებაში, ბრძოლა ფიზიკური გადარჩენისთვის, პროფესიონალურ სრდას გარკვეულწილად აფერხებს. რესპონდენტები რეალურად აფასებენ ქალის, როგორც სპეციალისტის დისკვალიფიკაციის რისკს მისი საზოგადოებრივად გააქტიურების აუცილებლობის პირობებში.

კვლევამ ცხადყო, რომ ბოლო ერთი წლის განმავლობაში განეითარებული პროცესები, რომელიც უკავშირდება დემოკრატიის დასავლური მოდელის დანერგვას საქართველოში, კიდევ უფრო აღრმავებს ქართულ საზოგადოებაში, მასკულტურაში და კერძოდ, მასმედიაში ქალისადმი სექსისტურ დამოკიდებულებას.

ამგვარად, ჩვენს მიერ ნატარებული კვლევის შედეგად გამოვლინდა რამდენიმე ტენდენცია, რაც ქალთა პრობლემებზე და გენდერულ თანასწორობაზე მომუშავე ორგანიზაციებისათვის სიახლეს არ უნდა წარმოადგენდეს. კვლევის რესპონდენტები-რედაქტორები, ფაქტობრივად, აღიარებენ მასმედიაში გენდერული თანასწორობის პრინციპის არსებობის აუცილებლობას, მაგრამ, ამავე დროს, მათდამი დაქვემდებარებული მასმედიის საშუალებებში გენდერული სტერეოტიპების აღმოფხვრისათვის არანაირ ქმედით ღონისძიებებს არ მიმართავენ. არგუმენტად კი იყენებენ სოციალურ შეკვეთას, დამკვიდრებულ ტრადიციებს და გენდერული როლების სტერეოტიპული გადანაწილების ბუნებრიობას. ამგვარი დამოკიდებულების ერთგვარ "გამართლებად" შეიძლება მოვიყვანოთ ქალთა უფლებების საერთაშორისო და ადგილობრივი კანონმდებლობის არცოდნა, სახელმწიფო სტრუქტურების უყურადღებობა ამ თემისადმი და პატრიარქალური კულტურის ტრადიციები. გასაგებია არგუმენტი, რომ მასმედიამ რეალურად უნდა ასახოს საზოგადოებაში არსებული ტენდენციები, მაგრამ ქალთა უფლებებთან მიმართებაში მასმედია სტერეოტიპიზაციის აშკარა კატალიზატორად უფრო გვეველინება, ვიდრე ადეკვატურ ამსახველად. საყურადღებოა ქალთა პრობლემებზე ორიენტირებული გამოცემის ხელმძღვანელი ერთ-ერთი ქალი რედაქტორის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ თუ "ქალი ფიზიკურად ლამაზია, მან ეს საჩუქარი ყოველნაირად უნდა გამოიყენოს"... კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ გენდერული დემოკრატიის მისაღწევად, კერძოდ მასმედიის სფეროში, საჭიროა დიდი ძალისხმევა: გენდერული ჟურნალისტიკის დანერგვა, საგანმანათლებლო კურსების შექმნა როგორც საუნივერსიტეტო ფაკულტეტებისთვის, ასევე სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის, მასმედიისა და რეკლამის შესახებ კანონმდებლობის გენდერული ექსპერტიზა და ა.შ. მითუმეტეს, როდესაც რედაქტორთა 83% მიესალმება გენდერის, როგორც სასწავლო საგნის სწავლების ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე. ამავე დროს ქვეყნის ევროსტრუქტურებში გაწევრიანებისა და დასავლური სტანდარტების დანერგვისთვის აუცილებელია ევროსაბჭოს მინისტრთა კაბინეტის რეკომენდაციის გათვალისწინება, რომელიც იმპერატიულად სთხოვს ევროსაბჭოს წევრ ქვეყნებს, "თავი აარიდონ მასმედიაში ქალისა და მამაკაცის სტერეოტიპული ხატების გავრცელებას" (12.03.03).

ზემოთ ხსენებულმა კელეეამ დაგეიდასტურა, რომ ინფორმაციულმა რეეოლუციამ არა თუ გააქრო გენდერული დისბალანსი, არამედ, პირიქით, გაამყარა და გააღრმაეა იგი. გენდერული დემოკრატიის თვალსაზრისით კი მასმედიის სტრუქტურა და ფუნქციონირება საჭიროებს ძირეულ ცვლილებებს საერთაშორისო სტანდარტებისა და ციეილიზებული დემოკრატიული ღირებულებების მესაბამისად.

მასმედია, როგორც ბიზნესის ფორმა, წარმოუდგენელია კომერციალიზაციის გარეშე, მაგრამ ნებისმიერი საკუთრება (როცა საკუთრება მასმედიაა) – იქნება ეს სახელმწიფო, კორპორატიული თუ კერძო – სამართლებრივი და სოციალური მექანიზმების არარსებობისას მანიპულირების და მხოლოდ საზოგადოების ერთი ნაწილის ინტერესების გამოხატეის საშუალება შეიძლება გახდეს. მეორე ნაწილი (ამ შემთხვევაში ქალები, როგორც გენდერული ჯგუფი) იგნორირებულნი არიან და ამ ბიზნესში მხოლოდ სტერეოტიპიზაციის მასალად მოიაზრებიან.

სახელმწიფო, როგორც სისტემა, რომელიც გადასახადების გადამხდელი მოქალაქეების ხარჯზე არსებობს, პასუხისმგებელია დაიცვას ადამიანის კონსტიტუციური უფლებები და უფლებები, რომელსაც საერთაშორისო შეთანხმებები თუ აქტები ამკეიდრებს. ქალთა უფლებები, რომელიც სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის ერთ-ერთ ქვაკუთხედს წარმოადგენს, საერთოდ არაა წარმოდგენილი ზემოხსენებულ კანონებში და ამიტომაც ეს კანონები შემდგომ დახვეწას მოითხოვს. უპირველეს ყოვლისა, საჭიროა მასმედიის მიმართ სახელმწიფოს პოლიტიკის ნამოყალიბება, რომელიც დაემყარება ქალისა და მამაკაცის თანასწორობას და მათ არადისკრიმინაციულ რეპრეზენტაციას მასმედიაში. ხელი უნდა შეეწყოს მასმედიის პოლიტიკაში გენდერული თემის წარმოდგენას; წახალისდეს მასმედიაში და სარეკლამო ბიზნესში იმ კონკრეტული პროგრამების ამუშავება, რომლებიც ქალთა უფლების სამართლებრივი ბაზის შესახებ ინფორმაციას შეიცავს; წახალისდნენ მასმედიის ხელმძღვანელები, რათა მათ თავიანთ რედაქციებში გენდერულად კორექტული მიდგომები დანერგონ, არა მარტო მასალების შერჩევისას, არამედ საკადრო პოლიტიკის გატარებისას; კანონში აისახოს ის, რომ ქალის შესახებ ნეგატიური ხატების ტირაჟირება დისკრიმინაციული და შეურაცხმყოფელი ქმედებაა; მიღებულ იქნას კანონი, რომელიც მიმართული იქნება პორნოგრაფიასა და მასმედიაში ქალთა მიმართ ძალადობის, სექსიზმის წინააღმდეგ; აუცილებელია ხაზი გაესვას მასმედიის ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობას მასმედიის ბოროტად გამოყენებისა და ადამიანთა უფლებებისა თუ საზოგადოებრივი ინტერესების შელახვისას; საჭიროა შეიქმნას უფრო ეფექტური სამართლებრივი მექანიზმები, რომელიც უზრუნველყოფს პასუხისმგებლობის დაკისრებას მასმედიის ბოროტად გამოყენების დროს; სახელმწიფომ იზრუნოს (არამარტო საერთაშორისო ორგანიზაციებმა) მასმედიაში გენდერულად კორექტული თემების, რუბრიკების, გვერდების, გადაცემების, ნანართების უზრუნველყოფასა და დაფინანსებაზე. ასევე შესაძლებელია სპეციალური გამოცემების მხარდაჭერა სახელმწიფო ბიუჯეტიდან; სახელმწიფოს მხრიდან იმ მონაცემების მხარდაჭერა, რომლებიც საზოგადოების, სამოქალაქო სექტორის ინტერესს გამოხატავს.

საჭიროა რეკლამის შესახებ კანონის დახვეწა ტრადიციული გენდერული სტერეოტიპების, ქალის,როგორც სექს-ობიექტის გამოყენების შესწორებითა და აკრძალვით; უნდა წარმოებდეს რეკლამის მუდმივი მონიტორინგი ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობის პრინციპის გათვალისწინებით; გამოყენებულ იქნას პროფესიული გაერთიანებების (ჟურნალისტთა გაერთიანებები) რესურსები სპეციალური ეთიკური ნორმების და წესების შესამუშავებლად როგორც სარეკლამო საქმიანობაში, ასევე მასმედიის ფუნქციონირებისათვის; საჭიროა დაინერგოს და განვითარდეს სტუდენტი-ჟურნალისტების განათლების და პროფესიული მომზადების პროგრამები, როგორც უმაღლეს სასწავლებლებში, ასევე განათლების შემდგომ პერიოდში; საჭიროა მოხდეს მასმედიის მუშაკთა ორიენტირება ადამიანის უფლებების და საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებით; სიტყვის თავისუფლებისა და სოციალური პასუხისმგებლობის შერწყმის აუცილებლობის დამკვიდრება როგორც სასწავლო პროგრამებში, ასევე სარედაქციო პოლიტიკის შემუშავებისას.

საჭიროა საქართველოს კანონშემოქმედი სტრუქტურების აქტიური ჩართვა მსოფლიოში მიმდინარე პროცესში, რომელიც კომპიუტერული ქსელების, ინტერნეტის რეგულირების საფუძვლებს ეხება.

მასმედიაში შექმნილი ხატები, რასაკვირველია, დაკავშირებულია სქესობრივი იდენტიფიკაციის ფორმირებისა და რეფორმირების პროცესთან. პრინციპული განსხვავება დღეანდელი და 6-10-13 წლის წინანდელი მასმედიისგან ისაა, რომ ისინი ფუნქციონირებენ მკვეთრად გამოკვეთილი კულტურული, სოციალური, მორალური და ა.შ. იერარქიების არარსებობის პირობებში.

თუ კომუნისტური და ეროვნული მოძრაობის პირობებში მყარდებოდა ქალის, როგორც დედის და კარგი პედაგოგის ხატი, თანამედროვე პრესაში ამგვარი სახეები აღარ დარჩა. დღეს მამაკაცური ჟურნალები რეპრეზენტირებს მამაკაცობას არა მარტო სექსის საშუალებით, არამედ კონკრეტულად – კლასობრივი თუ პროფესიული პოზიციიდან, ქალთა ჟურნალებში, ქალი – ეს არის "ბარბი", რომელიც მუშაობს, მაგრამ მუშაობის პროცესში "იმაზე" ფიქრობს.

სხვათა შორის, 5 თვის წინათ ჟურნალმა "მინიმ" (ჟურნალი ქალებისათვის) შეწყვიტა თავისი არსებობა. აღმოჩნდა, რომ იგი ცუდად იყიდებოდა, რასაც ვერ ვიტყვით "მაქსიზე" და მის მსგავს ჩანართებზე რეიტინგულ ჟურნალებში.

სტერეოტიპებს ამყარებს ის,რომ ქალთა ხატები, ტექსტები მიჯაჭვულია ნიშან-სიმბოლოებთან – ბიკინი, პომადა, ფეხსაცმელი, საოჯახო ინტერიერი; მამაკაცის ატრიბუტიკა – მანქანა, ფული, ბიზნეს-ტური. თავისთავად ეს სიტუაცია დიდად არ გამოიწვევდა დიდ გაკვირვებას, რომ არა ერთი "ჯეშმარიტება" – ფორმას, ნიშანს, სიმბოლოს აქვს არა მხოლოდ რეპრეზენტაციული, გამომხატველობითი, არამედ კონსტიტუციური ფუნქცია. ამიტომაც ენიჭება უდიდესი მნიშვნელობა ატრიბუტიკას, თუ რის ფონზე კეთდება მესმედიაში (ფოტოკოლაჟები, დიზაინი პორტრეტი) მამაკაცისა და ქალის რეპრეზენტაცია. ამ ჟურნალებში მამაკაცი ავტონომიურია, დამოუკიდებელი; მის გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული ქალი, მისი ადგილი როგორც სახლში, ასევე საზოგადოებრივ ასპარეზზე. თუ 10 წლის წინათ სტერეოტიპულ ხატებს ჰქონდა მკვეთრად გამოხატული სექსისტური

ტენდენციები, დღევანდელ დღეს ამას მიემატა მამაკაცობის იდეოლოგია, რომელიც ქალურობას იმორჩილებს. ეს არის "ახალი ქართველების" მომრავლება მედიაში, რომელთა სტატუსი განისაზღვრება კაპიტალით, P.R. –ით, საზღვარგარეთ ყოფნის ხანგრძლივობით (მაგრამ არა პროფესიონალიზმით, თუ ეს სპორტს არ ეხება), მანქანით და საყვარელი ქალების სიმრავლით.

ამგვარი პროდუქციის წარმატება და რეიტინგი, როგორც სარეკლამო პროდუქციის უმეტესი ნაწილისა, მიმართულია არა იმდენად საქონლის გაყიდვაზე, არამედ ცხოვრების სტილის პროპაგანდაზე. ლამაზმანის ცხოვრების სტილი, რომელიც თავის ფიზიკურ სილამაზეს თავის სასიკეთოდ იყენებს (სილამაზის კონკურსის მასმედიაში 24-საათიანი რეკლამა, ფრანგული მადაზიების მიმზიდველობის პროპაგანდა და ა.შ.) არის "საშუალო კლასის" ცხოვრების სტილის პროპაგანდა, რომელიც საქართველოში რეალურად არ არსებობს.

მეორე მხრივ, ქალთა დომინირება ოჯახში და სოციალიზაციის ინსტიტუტებში სულაც არ ნიშნავს, რომ საზოგადოება თავისუფალია სექსიზმისგან. მშობლიური მასმედიისთვის ტიპურია ქალის სოციალური როლის ანალიზი მამაკაცთან მიმართებაში. მაგალითად, დედა (გმირის), ცოლი (პოლიტიკოსის), მეგობარი (ოლიგარქის), ქალიშვილი (სახელმწიფო ჩინოვნიკის). ქალები მამაკაცის იმიჯის ნაწილია.

სიმონა დე ბოვუარი წერდა: "ფსიქოანალიტიკოსები განსაზღვრავენ მამაკაცს, როგორც ადამიანს, ხოლო ქალს – როგორც ძუკნას. ყოველთვის, როდესაც ქალი ადამიანივით იქცევა, ისინი ამბობენ, რომ იგი მამაკაცს ბაძავს".

დიდი ხნის წინათ წარმოთქმული ეს სიტყვები, ეჭიქრობთ, არა მხოლოდ ქართულ მასმედიას უსვამს დიაგნოზს. მკურნალობას კი, ალბათ, ხანგრძლივი და რთული პერიოდი დასჭირდება.

Summary of the article
"Georgian Laws and Gender Sensitivity of Mass Media Leaders" by Ia Merkviladze

The article tries to make s gender-based expertise of three Laws of Georgia: "The Law of Georgia on Protection of Juveniles from Harmful Influences", "The Law of Georgia on Liberty of Speech", and "The Law of Georgia on Advertisements". The author provides governmental structures with recommendations for democratization of public and private media, in order to take CEDAW and Beijing Action Plans into account. The dynamics of gender stereotypes of Georgian mass media through transitional period, the connection of stereotypes to "the third generations of Human rights" and the role of social request in the formation of freedom of speech and of social responsibility are analyzed through the paper as well.

The review of the opinion poll (editors and directors of 60 radio/TV broadcasts and newspapers were questioned) clarifies the causal connections which is characteristic not only for the Georgian mass media, but also for all the society. These are the absence of the rule of the law, the stability of patriarchal traditions and the deepening of gender misbalance by Informational revolution.

IV.
ქალის უფლებები:
სამართალი და პოლიტიკა

He & She – მარადიული დაპირისპირება
მედეა გოქსაძე

ალი და პოლიტიკა თანამედროვე საქართველოში
ლიკა ნადარაია

საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტები
და
ქართული კანონმდებლობა
ოჯახური ძალადობის სფეროში
ნინო ბაქაქური